

Handwritten text in a cursive script, possibly a historical document or letter. The text is dense and difficult to decipher due to the style and fading.

Handwritten text in a cursive script, possibly a historical document or letter. The text is dense and difficult to decipher due to the style and fading. Below the text is a decorative flourish or signature.





აწილი

თხზულებათა სრული კრებული

გამომცემლობა „მერანი“
თბილისი

XVII — XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლისა და ქართველ განმანათლებელთა მესაძირკელის — არჩილ მეფის პოეზიის კრებული უკანასკნელად სამოცი წლის წინ გამოვიდა საქართველოში.

ამჟერად მკითხველს ვთავაზობთ არჩილ მეფის თხზულებათა სრულ გამოცემას, რომელიც მომზადებულია არჩილის თხზულებათა ძირითადი ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე. ტექსტი ბევრად გავრცობილი და გამართულია, მეფის მემკვიდრეობის დიდი ნაწილი პირველად იბეჭდება ქართულად, რაც საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს გამოიწვევს. წიგნს დართული აქვს სამეცნიერო აპარატი (ტექსტისათვის, ლექსიკონი, საძიებელი).

ბეჰსტი გამოსაცემად მოაგზავნის
ლექსიკონი, საძიებელი და გამომკვლევას
დაურთავს:

ივანე ლოლაშვილი

ლიანა კეკელიძე

ლალი ძოწენიძე

სამცრემლატორი: რევაზ ბარანიძე

გამომცემლობის რედაქტორი მირონა ძიძიგური

მხატვარი ჯემალ ზენაიშვილი

არიან მწერლები, რომელნიც თავიანთი შემოქმედებით, აფორისტული გამო-
სქმითა თუ მორალური სენტენციებით, რუსთველიდან და გურამიშვილი-
დან მოყოლებული და გალაკტიონით დამთავრებული, ისე შეგვეზარდნენ,
ისე ვეზიარჩნით მათი პოეზიის მადლს, რომ ძნელია გახსენება და გაცნობი-
ერება, თუ რომელი ასაკიდან შევერწყეთ მათ სტრიქონებს, როდიდან იწყება მა-
თი ქმნილებით ცხოვრება. ასეთ, სიყრმითაგანვე, მით უფრო ბავშვობიდან გაცნო-
ბიერებულ მწერლად ვერ მივიჩნევთ არჩილ ბაგრატიონს, ესაა შემოქმედი, რო-
მელთანაც შედარებით დაგვიანებით, სიმწიფის ასაკში მივიღივართ, მაგრამ მისე-
ლისთანავე ვგრძნობთ, თუ როგორი ღრმა აზროვნებისა და სასიცოცხლო პრობ-
ლემის დამამკვიდრებელია იგი ჩვენს სინამდვილეში. ვგრძნობთ, რომ ესაა მოაზ-
როვნე, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ მდინარეებს ჩვენს პოეზიაში, შემოქმე-
დი, რომლის ნაზარევეა წარმმართველი როლი ითამაშა ჩვენი სიტყვიერი კულტუ-
რის განვითარებაში და სიტყვის ისეთი დიდოსტატებიც კი, როგორიც სულხან-
საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილია, ხშირ შემთხვევაში იმპულსირებული
არიან ამ დიდი წინაპრით, უხუცესი თანამედროეთი.

არჩილ ბაგრატიონი (1647 — 1713) იყო მემკვიდრე შანავეზად წოდებული ვახ-
ტანგ V-ისა.

ვახტანგმა საფუძველი ჩაუყარა ფართო მასშტაბის სახელმწიფოებრივ-კულტუ-
რულ საქმიანობას¹. ქვეყნის გამაერთიანებელ ღონისძიებებთან ერთად იგი ყოველ-
ნაირად უწყობდა ხელს მწიგნობრობის, მეცნიერების და საერთოდ, კულტურის
აღმავლობას. უცხოელი მოგზაურები აღტაცებით აღნიშნავენ ვახტანგის მოღვაწე-
ობის ამ მხარეს. შარდენი მოხიზლული იყო ვახტანგ V-ის სასახლის მშენებლობით.
აქ გამოვლენილი სიმდიარე და გემოვნება დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახ-
ველზე: ვახტანგის სასახლე — წერს შარდენი — „გაშენებულია მდინარის პირას
და მთლიანად ღიაა ამ მხრიდან. მოზაიკით მორთული ჰქერი ეყრდნობა მოქრულ
და მოხატულ სვეტებს, რომელთა სიმაღლე ოცდათხუთმეტიდან ორმოცამდე ფუტს
შეადგენს: მთელი დარბაზი საუცხოო ხალიჩებითაა დაფარული“².

უფროსი ვაჟი — არჩილი ვახტანგ მეხუთემ აღრე ჩააბა სახელმწიფოებრივ საქ-
მეებში და უახლოეს თანამოღვაწედ გაიხადა. არჩილს სიყრმიდანვე აწრთობდნენ
სამხედრო ხელოვნებაში და ბრძოლის ჩვევებს უნერგავდნენ. არჩილს სიყმაწვი-
ლეშივე შეუყვარდა წიგნი, გატაკებით კითხულობდა და მეტად განსწავლული,
ფართო ინტერესების რიანდად აღიზარდა. თანამედროვეთა შორის გამოირჩეოდა:
„ზედმიწვენილი სწავლითა სულიერითა და სიბრძნისა ცნობითა, და სამხედრო-
თა და სამამაცოთა სიმხნეთა და ახოვნებათა სრული“.

არჩილის აღზარდა დაევალა ისეთ განსწავლულსა და ბრძენ მამულიშვილს, რო-

¹ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვახუშტის ბიოგრაფიისათვის. წიგნ. ვახუშტი — აღ-
წერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 12.

² შარდენის მოგზაურობა, 1975, გვ. 327.

გორიც იყო იოსებ სააკაძე. თვით არჩილი შემდეგში მადლიერების გრძნობით იგონებს: „იოსებ სააკაძემ მასწავლა წმინდა და საკვირველებით სავსე ესე წიგნი ესე სახელით ოდენ მეფესა არჩილსო“¹.

დიდი სიყვარულით და აღტაცებით წერს ვახუშტი ბატონიშვილი არჩილის შესახებ:

„ესე არჩილ იყო ახოვნებითა, მშვენიერებითა, სიმხნითა და ყოვლითა სამხედრო-სანადიმო ზნითა სრული, რომლისა ისარი (იბ) მუჭი სიგრძითა, შემმართებელი, ძლიერი, ლაღი და ამყვი, მონადიმე და მოასპარეზე წარჩინებული და საღმთოთი აღმატებული“².

ნაადრეველ ტანაყრილი და ღრმად განსწავლული, ასაკისათვის შეუფერებლად დაბრტყეული არჩილი შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსმა მამამ ადრევე ჩააბა სახელმწიფო საქმეებში. ფართო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ხედვის ქართლის გამგებელმა თავიდანვე დაიწყო ქვეყნის გაერთიანებისათვის ზრუნვა და ენერგიულად შეუდგა ქართველი კაცის საუკუნობრივ ოცნებას — ქვეყნის გაერთიანების იდეის განხორციელებას; გარკვეული პოლიტიკური სიტუაციის გამო ამ დიდა მზნის მიღწევის კონკრეტულ ამოცანად დღის წესრიგში დადგა დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი, იმერეთის სამთავროს შემოერთება და ამ ხაზით გადადგმულ ნაბიჯში თანამოღვაწედ მცირეწლოვანი უფლისწული, არჩილი გაიხადა.

შაჰ-ნავაზმა კარგად გამოიყენა ამ დროს დასავლეთ საქართველოში მომხდარი არაეულობა: მსწრაფლ ჩაერია იქაურ ამბებში და ყოველი ღონე იხმარა, რათა იმერეთის ტახტზე თავისი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი არჩილი დაესვა. ამით მან საფუძველი ჩაუყარა აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებას.

იმერეთის დიდგვაროვანთა ინტრიგისა და თურქთა სულთანის პოლიტიკური ორიენტაციის გამო არჩილი იძულებული გახდა აღმოსავლეთ საქართველოში გადასულიყო. ირანის შაჰიც მოერიდა თურქებთან ურთიერთობის გამწვავებას და შაჰ-ნავაზს შემოუთვალა, რომ ხელი აედო დასავლეთ საქართველოზე, ხოლო მისი ვაჟი მასთან გაეგზავნა სპარსეთში და იმერეთის სანაცვლოდ კახეთის ტახტს პირდებოდა არჩილს. ამ წყალობის გაღება გამოწვეული იყო არა იმით, რომ გულჩვილ შაჰს იმერეთში გაწვილებული არჩილის დამშვიდება და ნუგეშისცემა უნდოდა, არამედ ამ ზრუნვას რეალური პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. კერძოდ, კახეთის ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა თეიმურაზ I-ის შვილიშვილი კახთა ბაგრატიონების შტოს წარმომადგენელი, რუსეთში გადახვეწილი და რუსული ორიენტაციის მქონე ერეკლე I. კახეთის ტახტის მემკვიდრის საკითხში რუსების ჩარევის საშიშროება მოსვენებას არ აძლევდა შაჰს და ამიტომ ერეკლეს დასაპირისპირებლად მან დიდი ხალისით დაუქირა მხარი არჩილის კანდიდატურას, რითაც, უარის მხრივ, ერეკლეს იცილებდა თავიდან და კახეთს თავისი დაქვემდებარების სფეროში აქცევდა და, მეორეს მხრივ, იმადლიერებდა თავის მოხელეს და ქართლის გავლენიან მმართველს შაჰ-ნავაზს.

იმერეთიდან გამოწვეული არჩილი შაჰმა ირანში დაიბარა. დიდი პატივით მიიღო, შემდეგ გამაჰმადიანება მოსთხოვა, არჩილს უკან დასახვევი გზა არ ჰქონდა, იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო, ამით ნასიამოვნებმა შაჰმა არჩილს შაჰ-ნავაზარ-ხანი უწოდა და კახეთის გამგებლობა უბოძა. ეს მოხდა 1664 წ. არჩილის კახეთის მეფედ აღიარება მიანაც დააჩქარა, რომ კახეთის ტახტის მოცილე ერეკლე I რუსეთიდან თუშეთში ჩამოვიდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა კახე-

¹ ქ რ ი ს ტ. შ ა რ ა შ ი ძ ე. პირველი სტამბა საქ-ში, 1955, გვ. 45.

² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 126.

თის მეფედ ეკურთხათ, ეს კი შაჰის პოლიტიკური კურსის აშკარა დამარცხება იქნებოდა. ამიტომ მოცემულ სიტუაციაში არჩილი შაჰისათვის სასურველი კანდიდატურა იყო.

არჩილი, მამის რჩევითა და დახმარებით, ღინჯად და წინდახედულად შეეღობა კახეთის გამგებლობას. უპირველესად მან გადაწყვიტა კახეთის დედაქალაქი თელავში გადმოეტანა. ეს უაღრესად გონიერული და იმ დროისათვის საკვებით გამართლებული გადაწყვეტილება იყო. საქმე იმაშია, რომ კახეთის ძველი დედაქალაქი გრემი თითქმის სასახლოვრო ზოლში იყო და სპარსელთა შემოსევის პირველი ტალღა უშუალოდ მას წვდებოდა, ასევე ადვილად ეხსმოდნენ მას თავის სახლოვრად აღმართული დაღესტნის მთიდან გადმოთარეშებული ლეკები, ასე რომ, მოსახლეობა გახიზნასა და თავის შეფარებას ვეღარ ასწრებდა. ლეკთა მოთარეშებრბო იოლად და სწრაფად ახერხებდა მოსახლეობის ელეტასა და გატაცებას, ასევე იოლად ძარცვავდნენ და ანგრევდნენ ქალაქს და ვიდრე მოსახლეობა გონს მოვიდოდა, მაშველ თანაოფელელებს შემოიკრებდა, ლეკთა გუნდები მსწრაფლ მიაშურებდნენ გრემზე გადომდგარ ტყით დაფარულ მთებს უამრავი სულერი და უსულო ნადავლით, ხოლო თელავი კი ბევრად შორს იყო სასახლოვრო ზოლიდან და ვიდრე იქამდე მოაღწევდა მტრის რაზმი, ხალხი და გამგებელი ასწრებდნენ მობილზიაციასა და სათანადო ზომების მიღებას. ამავე დროს თელავი გომბორის გზით ბევრად უფრო ახლოს იყო თბილისთან და არჩილი ოპერატიულად უკავშირდებოდა იქ მყოფ მამას, ვახტანგ V-ს, რომელიც რჩევითა თუ მაშველი ჭარით უმაღ გვერდში ედგა ახალგაზრდა უფლისწულსა და ეს გარემოებაც მეტ საშუალებას ქმნიდა ქართლ-კახეთის ერთობლივი მოქმედებისათვის. ამასთანავე თელავს თავზე ადგა ციგეგომბორის ტყიანი მთები, რომელიც საქირიების შემთხვევაში ხიზანთა საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თელავის მყუდრო და სტრატეგიული მდებარეობა, გარდა იმისა, რომ აიოლებდა სხვა ქალაქებთან და სოფლებთან კონტაქტის ქონას, ამავე დროს მისი მდებარეობა ხელს უწყობდა მეურნეობის განვითარებისა და დაცვის ორგანიზებას.

არჩილის ამ გადაწყვეტილებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ კახეთის ყიზილბაში ხანები ყარაღაქში იხსდნენ და ამის გამო გრემი თითქმის ალყაშემორტყმული ცოცხილბაშთაგან.

არჩილმა თელავის დედაქალაქად გამოცხადებისთანავე იქ ააგებინა სასახლე „არჩილის მიერ თელავში აგებული და შემდეგ ერეკლე II-ის დროს გადაკეთებული, დღესაც არსებობს, მაგრამ იმდენად შეცვლილია, რომ მისი თავდაპირველი სახის ნამდვილად წარმოდგენა ძნელდება. მთავარი აქ დიდი სააუდიენციო დარბაზი იყო. სასახლეს მძლავრი გალავანი არტყია; მთელ ამ ანსამბლს ბატონის ციხეს უწოდებენ“¹.

ახალგაზრდა და ჭერ კიდეც სათანადოდ გამოუცდელი არჩილი, რასაკვირველია, დამოუკიდებლად ვერ გაუძღვებოდა საქმეს. იმ დროს ქართლ-კახეთს ფაქტურად ვახტანგ V განაგებდა. ეს ჭერ კიდეც შარდენმა შენიშნა, რომელიც წერს, რომ არჩილი, „მეთვის (ვახტანგის) მოადგილეა“. არჩილი თავისი მამის ვახტანგ V-ის რჩევითა და თანამდგომლობით უაღრესად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა კახეთში. მართებულად შენიშნავს პროფ. დ. გვრიტიშვილი: „მამა-შვილი შეთანხმებულად მუშაობდნენ, ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ მტრის შემოსევები კახეთში საგრძნობლად შემცირდა, მოსახლეობა გამრავლდა, არაერთი მატერიალური კულ-

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 379.

ტურის ძეგლი შეკეთდა, ან ახალი აშენდა“¹. ქართლ-კახეთის გათიშვა იმდენად საშური იყო შაჰისათვის, რომ ის დიდ დამოძაბვებზე წავიდა, უკან დახევასაც არ მოერიდა და რუსეთში მყოფ ერეკლეს შეუთვალა: შენგან სარწმუნოების გამოცვლას აღარ მოვიტხოვ, დარჩი ქრისტიანად, ოღონდ ჩამოდი ჩემთან და გაგამფეხებ კახეთშიო. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, შაჰ-სულეიმანმა ერეკლე „ვახტანგ და არჩილ მეფისათა მეტოქედ“ წაიყვანა ირანში.

არჩილმა იგრძნო, რომ მისი პოზიციის შესუსტდა, შაჰმა კახეთისათვის ჩამოიყვანა ერეკლე და კახეთის შენარჩუნება ძნელი იქნებოდა. მან კვლავ იმერეთის ტახტზე აიღო ორიენტაცია და მამასთან შეუთანხმებლად 1675 წ. ყოველგვარი საბრძოლო კონფლიქტის გარეშე თვითვე მიანება თავი კახეთს და იმერეთის ტახტის დაკავების სამზადისს შეუდგა. ასე მოულოდნელად დათმო ვახტანგისაგან დილის რულენებით შემოერთებული კახეთი.

არჩილმა იმერეთის ტახტის მოპოვების მიზნით ახალციხის ფაშაზე აიღო გეზი და მისი მხარდაჭერის იმედით მასთან წავიდა. ვახტანგი ბევრს ეხვეწა, რათა ეს ნაზივი არ დაგაეღვა, მაგრამ არჩილმა არ დაიჯერა და ახალციხეში გადასულმა დაიწყო მოკავშირეთა ძებნა იმერეთის ტახტის დასაყვებლად.

შაჰი გაუწყრა ვახტანგს იმის გამო, რომ არჩილი ახალციხის ფაშას ეახლა. ვახტანგმა თავის მართლების მიზნით გადაწყვიტა სპარსეთში გამგზავრება, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა 1675 წ. ერთ-ერთი ცნობით ისპაჰანში მიშაჰის ერთ-ერთმა მოსულემ ჩაუხურჩულა, რომ შაჰს შენი სიკვდილით დასჯა აქვს გადაწყვეტილიო, რის გამოც მსოფიანმა ვახტანგმა შეურაცხყოფისა და ტანჯვის თავიდან აცილების მიზნით თავი მოიწამლა.

ახალციხეში გადასულ არჩილს კი ბედმა არ გაუმართლა. მან ოთხჯერ დაიკავა იმერეთის ტახტი: 1675—1679, 1690—1691, 1695—1696 და 1698 წწ. მაგრამ ოთხჯერვე დაკარგა.

იმერეთი, საერთოდ დასავლეთ საქართველო და აგრეთვე სამხრეთ-საათაბაგო თურქეთის სულთანის თავის სამფლობელოდ მიიჩნდა და აგრერივად ვერ შეეგუებოდა იქ სპარსელთა თუ ქართლ-კახეთის მფლობელთა გავლენის ზრდას. სულთანი მეთოდურად იღუწოდა, რათა ეს კუთხე გაემამდიანებინა და ამით კიდევ უფრო შემოემტკიცებინა თავისი ქვეყნისთვის. ქართველთა გაათათრების მრავალ ხერხს მიმართავდნენ: მუქარა, გაყიდვა, გადასახლება, ელეტა, საჩუქრებით მომადლიერება, მაგრამ ერთ-ერთი ტოტალური იყო დიდი გადასახლების შემოღება. საყურადღებო ცნობას გვაწვდის სომეხი ისტორიკოსი კარენეცი „1643 წელს ოსმალეთის საციოხის (იბრაჰიმი 1), ბრძანების თანახმად, არზრუმის ფაშა ჯავარს დაუწყია ქვეყნის აღწერა, რასაც შედეგად მოჰყოლია გადასახლის მეტისმეტი დამძიმება. თორთომის ქართული მოსახლეობა ამ ფაქტის გამო იმდენად შეძრწუნებულია, რომ ერთიანად მიუღია მამამდიანობა, ხლო სომეხებს (რომელთაც გადაუხდიათ დაქირავებული „ხარაჯა“ — რ. ბ.) შეუნარჩუნებიათ სარწმუნოება“². სულთანი ყოველივე ამ ხრიკით მიზანს აღწევდა. საქართველოს სამხრეთ და დასავლეთ პროვინციებს თანდათან ითვისებდა და ამ გზაზე ყოველივე დაბრკოლებას სპობდა. ასეთი მიზანდასახულობის დროს, ბუნებრივია, რომ არჩილის დასავლეთში გამეფება მისი პირადი კომპეტენციის შელახვად მიიჩნდა.

¹ დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ 3, გვ 186.

² ლიანა დავლიანიძე — ჰაკობ კარენეცის ერთი ცნობის გამო, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. 1976 წ. გვ. 250.

საქართველოდან ლტოლვილი არჩილ მეფე 1699 წ. ჩავიდა მოსკოვში და იქ სამუდამოდ დაშვიდდა. აღმოსავლელ ტირანთაგან შევიწროვებულმა ქართველებმეფეებმა და მოღვაწეებმა ადრევე აიღეს ორიენტაცია ევრ.აპის ქვეყნებზე და უპირველესად ერთმორწმუნე, დიდსა და ძლიერ მეზობელ რუსეთზე. საქართველოს მეფეები და მათი თანამოღვაწენი საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების დინტერესებსას საქართველოში, მაგრამ მათთან ურთიერთობას არავითარი რეალური პერსპექტივა არ უჩანდა. მართალია, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მესვეურები შესანიშნავად გრძობდნენ, რომ მათი კომერციული ინტერესებისათვის საქართველო დიდი სარგებლობის მომტანი იყო, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად რეალურ ნაბიჯს ვერა და ვერ დაგმდნენ. ამისათვის მათ არც სამხედრო შესაძლებლობა ჰქონდათ და არც პოლიტიკური ატმოსფერო იყო სათანადოდ მომწიფებული: ჯერ ერთი, თვით ევროპის სახელმწიფოები ურთიერთის მიმართ დაძაბულ მდგომარეობაში იყვნენ აღმოსავლეთის პრობლემათა მოწესრიგებაში და, მეორეც, არც ერთს არ გააჩნდა სპარსეთსა თუ ოსმალეთთან დასაბირისპირებელი რეალური ძალა. ყოველივე ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილ ქართველ მოღვაწეებს, ფხიზლად განჰვებრტეს რეალური საერთაშორისო სიტუაცია და გადაწყვიტეს, რათა უფრო მეტი ენერჯითა და დაბეჭივებით ეზრუნათ რუსეთთან კონტაქტების გაშლასა და განმტკიცებისათვის. სახელოვანი წინაპრების შემდეგ ამ პოლიტიკური კურსის ერთ-ერთი თანამმდევრულად დამცველი თეიმურაზთან ერთად არჩილ მეფე იყო.

არჩილ მეფემ ადრევე დაამყარა აქტიური ურთიერთობა რუსეთის მეფესა და მისი კარის გავლენიან ფეოდალებთან.

როგორც აღენიშნეთ, ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს, განსაკუთრებით კი იმერეთში ვაგეფების პერიოდში, არჩილი ინტენსიური მიმოწერითა და დიპლომატიური მისიის წარგზავნილი წარმომადგენლების საშუალებით ყოველნაირად ცდილობს რუსეთთან მჭიდრო სახელმწიფოებრივი კონტაქტების დამყარებას. რუსეთში დამკვიდრებულმა არჩილმა თავიდანვე მიიპყრო რუს გამგებელთა კურალღება.

მოსკოვის საიმპერატორო კარს შეუმჩნეველი არ დარჩენია არჩილის ფართო განმანათლებლური ინტერესები და მისწრაფებები. სწორედ იმის გამო, რომ მოსკოვი ჯერჯერობით ვერ ახერხებდა არჩილისადმი ქმედითი პოლიტიკური დახმარების გაწევას, თითქოსდა ამის კომპენსაციის მიზნით, ყოველნაირად ცდილობდნენ. რათა კულტურის სფეროში მაინც შეეწყობოთ ხელი ქართველი მეფის მოღვაწეობისათვის და სწორედ ასეთი მიზანდასახულობის აშკარა გამოვლენა იყო, რომ რუს ხელმწიფეებს ივანესა და პეტრეს არჩილისათვის გაუგზავნიათ მხატვარი გ. ზინოვიევი, რომელიც რამდენიმე თვეს მუშაობდა მისთან. პროფ. ლ. მენაბდის აზრით, „იმ დროს ქართველი ოსტატი — მხატვარი ვასილიც ყოფილა მოსკოვში“¹.

არჩილმა შემოიკრიბა მოსკოვში მყოფი ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები და მათთან თათბირითა და თანამოღვაწეობით ზრუნავდა ეროვნული კულტურის აღორძინებაზე.

1700—1712 წლები: საოცარი პერიოდია ქართული კულტურის ისტორიაში: საქართველოში ვახტანგ VI განმაცვიფრებელი ენერჯითა და სიბრძნით ზღაპრულ შედეგებს აღწევს. ფაქტურად მან დააარსა აკადემია, რომელშიც სწავლულთა ინტენსიური მუშაობის შედეგად დამუშავდა „ქართლის ცხოვრება“, „სამართ-

¹ ლ. მენაბდე, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 96. 1963 წ. გვ. 192.

ლის წიგნი“, ლექსიკონი, დაარსდა სტამბა და გამოიცა „ეფესისტყაოსანი“. ყოველივე ეს წარმოდგენელი ნაყოფიერებაა დროის ასეთ მცირე მონაკვეთში. იმავე პერიოდში ასეთივე მანაშტაბით მოქმედებს არჩილი მოსკოვში. ასე რომ, შინ და გარეთ ქართველი მოღვაწეები — ბიძა-ძმისწვილი — ერთ საერთო დიდ საქმეს აკეთებენ, ერის კულტურის აღმავლობისათვის იღვწიან და საოკარ შედეგებსაც აღწევენ. რუსეთში არჩილმა თავისი სიღარბისლით, სიბრძნითა და განათლებით, დასვენწილი ტაქტიანობითა და ღირსების გრძნობის დაცვით თავიდანვე აღიარება და პატივისცემა დაიმსახურა. მას ანგარიშს უწევდნენ არა მარტო გველენიანი თავადები, არამედ თვით ხელმწიფენიც. უდავოდ დიდ პიროვნულ ღირსებებთან ერთად არჩილის ავტორიტეტს ზრდიდა ისიც, რომ მისი ძე, ალექსანდრე ბატონაშვილი პეტრე პირველის უახლოესი ადამიანი და თანამოღვაწე იყო.

პეტრე და ალექსანდრე თითქმის თანატოლები იყვნენ და პეტრემ ბავშვობიდანვე დაიხსლოვა ალექსანდრე. ჯერ კიდევ 1684 წ., როდესაც არჩილმა პირველად გაგზავნა თავისი ვაჟები მოსკოვში, რუს ხელმწიფეთა დიდ დარბაზში არჩილის ვაჟებმა ალექსანდრემ და მამუკამ მამის სათხოვარი წარუდგინეს ახალგაზრდა მეფეს. ამ პირველი შეხვედრისას პეტრეს მეტად მოეწონა ალექსანდრე, განსაკუთრებული სითბოთი განეწყო და დაიხსლოვა კიდევც.

პეტრე დიდმა ისე დაიხსლოვა და დაიმეგობრა ქართველი უფლისწული, რომ იგი იმპერატორის მუდმივი თანხლები და თანამოღვაწე გახდა. „დიდი ელჩობიდან“ დაწყებული რუსეთის არტილერიის გენერალ-ფელდსეიბსტრად დანიშვნის ჩათვლით, ალექსანდრე პეტრე დიდის საქმეების თანაზიარი გახდა, ქართველი უფლისწულისა და რუსეთის იმპერატორის ურთიერთსიყვარულმა დიდად განსაზღვრა კიდევ არჩილის მოღვაწეობის წარმატებები რუსეთში, მაგრამ ალექსანდრეს ნაღარევემა ტრაგიკულმა სიკვდილმა გარკვეულად შეზღუდა ქართველი მეფის საქმიანობის მასშტაბები.

სიბერის ეამს ბედისაგან განწირული, სამშობლოს მოწყვეტილი და რუსეთის იმპერატორის კარს შეხიზნული არჩილ მეფე თითქმის სრულიად ჩამოსცილდა პოლიტიკურ ცხოვრებას. მას უკვე იშვიათად ეძლეოდა საშუალება ქვეყნის საგარეო საქმეების მოწესრიგებისა¹. არადა თავისი ქვეყნის დიდად მოპირიანახლე, იშვიათი გზნების მამულიშვილი დღენიადაც თავისი უსამართლოდ ჩაგრული სამშობლოს, განმაცვიფრებელი შემოქმედებითი უნარის მქონე ხალხის მომავალზე ფიქრობდა. პოლიტიკურ ასპარეზს გამოცლილმა არჩილ ბაგრატიონმა თავისი უშრეტო ენერჯია, ცხოვრების დიდი გამოცდილება, იშვიათი ნიჭი და სიბრძნე ახალი გზით წარმართა.

მოსკოვში საბოლოოდ დასახლების შემდეგ არჩილმა კიდევ უფრო ინტენსიურად დაიწყო ქართული წიგნის ბეჭდვაზე ზრუნვა. ამ საქმეში მას გვერდში ამოუდგა ჯერ კიდევ სტოკპოლში ყოფნის დროს მისი ვაჟიშვილი ალექსანდრე. ეს უკანასკნელი, მიუხედავად იმისა, რომ შევლებთან ტყვედ ყოფნის დროს უღარესად მძიმე პირობებში იმყოფებოდა, დღენიადაც სულ თავის ხალხზე ფიქრით იყო შეპყრობილი და ტყვედმყოფმაც კი მოახერხა თავისი ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის კეთება. ალექსანდრე სტოკპოლში პირადად დაუკავშირდა იქაურ სწავლელებსა და სტამბის ოსტატებს და მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით სტოკპოლში დამზადდა ახალი ქართული შრიფტი, რომლის ამონაბეჭდი

¹ ვ. გაბაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, კრ. „სულხან-საბა ორბელიანი“, საქ. სსრ მეცნიერებათა აკად. გამომცემლობა, 1959 წ. გვ. 64—65.

დაკვლია სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში. მართებულად შენიშნავს მკვლევარი ო. კასრაძე: „სტოკჰოლმში შემონახულ ანაბეჭდულ ფურცელზე აღფაგეტის მიხედვით განლაგებული დიდი და პატარა ზომის ასომთავრული სასა-თაურო შრიფტებს ქვეშ მოთავსებულია წერილი ნუსხურით აწყობილი ორი ნაწყვეტა „სახარებიდან“ — „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“ და „ლოთისმშობელო ქალწულო გიხაროდენ“. ეს ტექსტები იმდენად დაზღვეულია შედღოებისაგან, რომ დაუჭერებელია ისინი ნ. კისის ეკუთვნოდნენ. ექვსკარეშეა, მათ აწყობაში ქართველი კაცის ხელი ურევია“¹ და ეს ქართველი კაცი არის ალექსანდრე ბატონიშვილი. სამწუხაროდ, ამ შრიფტმა, ისე როგორც თვით ალექსანდრე ბატონიშვილმა, არჩილამდე ვერ მოაღწია.

მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, არჩილი არ გატეხილა, იმედი არ დაუკარგავს და, მართლაც, საოცარი ენერჯისა და მიზანსწრაფვის შედეგად მან მაინც შეძლო, რომ 1705 წ. მოსკოვში პირველად გამოეცა ქართული წიგნი და ეს წიგნი იყო „დავითნი“. ასე ჩაუყარა არჩილ მეფემ საფუძველი ქართული წიგნის ბეჭდვას მოსკოვში, ხოლო შემდეგ არჩილისაგან გზაგაკალებლმა მისმა მემკვიდრეებმა მოსკოვსა და საქართველოში კიდევ უფრო ვააფართოვეს წიგნის ბეჭდვა. რის შედეგადაც დიდმა სწავლულმა ვახტანგ VI-მ 1712 წ. თბილისში დაბეჭდა „ეფესისტყაოსანი“.

„დავითნის“ დაბეჭდვის შემდეგ არჩილი შეუდგა მთლიანი ქართული ბიბლიის გამოცემის თადარიგს. მან შეაგროვა ხელნაწერი ბიბლიური წიგნები, შეუდგარა სლავეურს, დაპყო თავებდა, თარგმნა ისო ზირაქისა და მაკაბელთა წიგნები, რომლებიც ქართულად არ იყო იმხანად და გამართა სასტამბოდ. მაგრამ მთლიანი ქართული ბიბლიის დაბეჭდვა ვერ მოასწრო, მისი წამოწყებული საქმე ვახტანგ VI-ის სწავლულმა შეიღებმა — ბაქარმა და ეახშუტიმ განაგრძეს².

არჩილი ბეჭდვის საქმის მომქანცველ შრომასთან ერთად უადრესად ნაყოფიერ მეცნიერულ-მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა. მან ქართულად თარგმნა დიდი ბერძენი იმპერატორისა და მხედართმთავრის, ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრების ამსახველი მხატვრული თხზულება „ალექსანდრიანი“³. თარგმნა აგრეთვე ისტორიული ხასიათის შრომა — „ხრონოგრაფი“ და დიდი უკრაინელი მწერლისა და მოაზროვნის პეტრე მაგილას ფილოსოფიური ტრაქტატი — „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა“. პროფ. ლევან მენაბდის დაკვირვებით არჩილ მეფეს რუსეთში ყოფნის დროს აქვს დაწერილი ორიგინალური თხზულება — „შეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“⁴. ამ ნაწარმოებში მრავალ მეფეთაგან მიძღვნილ სტრიქონებში გამოირჩევა პეტრე პირველის ქება. არჩილი ალტაცებით, დიდი სიყვარულით წერს პეტრეს შესახებ არა მარტო იმიტომ, რომ რუსეთის იმპერატორი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ლტოლვილი მეფისადმი, არა-

¹ ო. კასრაძე, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნები, გვ. 17.

² ლ. მენაბდე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 201.

³ რ. მირიანაშვილი, — „არჩილის მთარგმნელობითი მოღვაწეობა“ (სა-დისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსა-პოვებლად, 1973 წ. გვ. 20).

⁴ ლ. მენაბდე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 204; შესაძლოა ეს ნაწარ-მოები მთლიანი სახით არჩილმა მოსკოვში დაასრულა, მაგრამ ჩვენის აზრით, იგი წლების მანძილზე თანდათანობით იწერებოდა. ჯერ კიდევ საქართველოს პერიო-დიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში აუხსნელია შაჰ-აბასისადმი მიძღვნილი მკაებარია ეპითეტები.

მედ იმიტომაც, რომ პეტრეში იგი ხედავდა უშრეტო ენერჯის ბრძენ მოღვაწეს, რომელმაც რუსეთი მანამდე არნახული აღმავლობის დიდ გზაზე დააყენა. არჩილი ალტაელებით წერს:

„თვით პეტრე ცარი, ვნახე რაც არი,
დიდის რუსეთის მტკიცედ მპყრობელი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პეტრემ 1713 წ. საგანგებო ბრძანება გასცა, რათა დაეკმაყოფილებინათ არჩილის თხოვნა და, საერთოდ, პეტრე იმდენად დიდ ანგარიშს უწევდა არჩილს, რომ ქართველ მეფეს იგი იმ ამბებსაც კი ატყობინებდა, რომელიც უშუალოდ არ ენებოდა არჩილს, მაგრამ რომელსაც რუსეთისათვის ჰქონდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა (ეს იქნებოდა ბრძოლაში გამარჯვება, თუ რაიმე სხვა წარმატება). პეტრემ საგანგებოდ დააეღა თავად რომანდოვსკის, რომ მას უშუალო კონტაქტი ჰქონოდა არჩილთან და ეს უკანასკნელი შეეყვანა მოვლენათა განვითარების კურსში და მასთანვე ებრუნა მასზე.

პეტრეს არჩილისადმი კეთილგანწყობის გამოვლენა ისიც, რომ იგი არჩილს ასაჩუქრებდა თავისი საჭინობოს ცხენებით. ეს, იმდროინდელი საკარო ეთიკის გათვალისწინებით, პატარა წყალობა არ იყო. არჩილიც, თავის მხრივ, იმდენად ახლოს გრძნობდა პეტრესთან თავს, რომ იმპერატორს გაუბედა თხოვნა, რათა მას ვადასახადებიდან გაეთავისუფლებინა მისი ყმები. ყველა ვადასახადი მომიხსენითო — მოახსენებდა არჩილი — გარდა „სტრელეცკი ხლებისაო“, თორემ ჩემი გლახობა ღატაკდება და აქეთ-იქით მექსაქსებაო. აქ არჩილის ჰუმანური ბუნებაც ჩანს, აშკარაა, თუ როგორ ზრუნავდა იგი თავის ქვეშევრდომებზე. პეტრე 1-მა კი თავის მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ შვედლებთან ომში იყო ჩაბმული, არჩილის თხოვნა მაინც შეიწყნარა.

ქართველი უფლისწულის, ალექსანდრესადმი სიყვარული და არჩილისადმი პატივისცემა პეტრე პირველმა გადაზარდა არჩილის ასაკოვანი ასულის დარეჯანისადმი და ეს ყურადღება არ შეუწელებია ძმისა და მამის გარდაცვალების შემდეგაც. პეტრემ რაღაც საოცარი ნათესაური სითბოთი შეიყვარა ალექსანდრე და ამავე სითბოთი გაათბო მხცოვანი არჩილი და დარეჯანი.

არჩილისადმი ანგარიშის გაწევა, მისდამი პატივისცემით დამოკიდებულება განპირობებული იყო არა მარტო პოლიტიკური მოსახრებებით, არამედ, ამავე დროს, ქართველი მეფის დიდი და უდავო პიროვნული ღირსებებით. იგი თავისი სიღარბისლით, ტაქტით, გამჭრიახობითა და სიბრძნით, ქცევითა და დამარწმუნებელი. შთამაგონებელი მსჯელობით თავიდანვე კეთილად განაწყობდა მასთან მოსაუბრეს. მახვილად აქვს შენიშნული მკვლევარ ტატიშვილს:

„არჩილი, როგორც ბევრი მისი გვარიშვილი, შრომისმოყვარე და მოქმედი კაცი იყო. მას ყოველი დღე განრიგებული ჰქონდა: კითხულობდა სიტყვაკაზმულ მწერლობას, საღვთისმეტყველო წიგნებს, თარგმნიდა ბერძნულიდან და სპარსულადან, ფხიზლად აღევნებდა თვალ-ყურს პოლიტიკას, იცოდა დროზე გაჩუმება და თავისი მეფური სიტყვის დროზე თქმაც. არასოდეს, თვით განდევნის წლებშიც კი. არ ავიწყდებოდა მას ფიზიკური ვარჯიში და ნადირობა“¹. არჩილი ერთი შეხედვითაც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებდა უცხო ადამიანზე. ამის ნათელი დადასტურებაა გამოჩენილი ინგლისელი ჰიდროლოგის კაპიტან ჯონ პერის მოგონებები, იგი წერს: „1699 წელს მეფე საქართველოში. ერთ-ერთი ყველაზე

¹ ვლ. ტატიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 180.

მიღიარო და მკიდროდ დასახლებული ქვეყნისა, იმყოფებოდა კასპიის სანაპირო-ებთან. მაშინ მე ვმუშაობდი ვოლგისა და დონის შეერთების გვეგებზე და ამ დროს გამოიარა საქართველოს მეფემ, შეჩერდა და მოვიდა ჩემი სამუშაოს სანახავად. ეს იყო მაღალი, ლამაზი მამაკაცი. მე მერგო პატივი მასთან ერთად მესადილა კამიშინის გუბერნატორის სახლში. მეფის მოზრძანების შესახებ გუბერნატორი წინასწარ იყო გაფრთხილებული და მიღებული ჰქონდა ბრძანება, რომ მას დახვედ-როდნენ მეფისათვის შესაფერისი პატივით¹.

არჩილის შესახებ მაღალი აზრის იყვნენ არა მარტო მასთან უშუალო კონტაქტში მყოფი სპარსელი, რუსი თუ დასავლეთ ევროპელი ისტორიული პირები (შაპ-აბასი, პეტრე დიდი) და სწავლულები, არამედ შემდეგი დროის რუსეთის მოწი-ნავე ინტელიგენციის წარმომადგენლები და სახელოვანი მწერლები. განსაკუთ-რებით ფასეულია ნეკრასოვისა და პუშკინის აზრები რუსეთში გადახვეწილ ქარ-თველ სწავლულ მეფეზე. 1852 წელს ნ. სუშკოვმა გამოცა „ისტორიული და ლი-ტერატურული კრებული“. ნეკრასოვმა დაბეჭდა ამ კრებულის განმარტებელი რე-ცენზია, რომელშიც იგი სასტიკად კიცხავდა სუშკოვს ამ კრებულის გამო და ბოლოს დასძინდა, რომ კრებულის, რომელსაც „რაუტ“ ეწოდებოდა, გამართლე-ბა მხოლოდ იმით შეიძლებოდა, რომ აქ მოთავსებულია იმერეთის მეფის არჩი-ლის მეტად საინტერესო ცამეტი წერილი გრაფ გოლოვინისადმი. ეს წერილე-ბი, — წერდა ნეკრასოვი — იმდენად მდიდარ პირველხარისხოვან ისტორიულ მას-სალას გვაწვდიან და მეთხველის ისეთ დაინტერესებას იწვევენ, რომ მხოლოდ არჩილ მეფის მნიშვნელოვანი წერილების გამო შეიძლება მადლობა ეუძღვნათ სუშკოვსო, სხვა ღირსება მის კრებულს არ აქვსო². უდაოდ მნიშვნელოვანი ფაქ-ტია, რომ დიდი რუსი მწერალი და მოაზროვნე ნეკრასოვი მისთვის ჩვეული პრინციპულობით აფასებს რა იმდროინდელ ლიტერატურულ მოვლენას, ერთ-ერთ ისტორიულ ღირსებად არჩილ მეფის ჰეივანური, საქმიანი წერილების პუბ-ლიკაცია მიიჩნია. არჩილის ნააზრევმა თითქმის საუკუნის შემდეგ თვით ნეკრასო-ვის ყურადღებაც კი მიიპყრო.

ხოლო ბევრად უფრო ადრე დიდი პუშკინი დაინტერესდა არჩილისა და მისი ვაჟის ტრაგიკული ისტორიით. პუშკინი საგანგებოდ წერდა: «Царь предписывает сенату через Пипери и Реншильд вытребовать тело царевича умертвленного для препровождения к отцу (дабы его бедную старость потешить), приводя в пример, что принца Винтенбергского тело с честью отпущено его матери»³.

დიდი რუსი პოეტი ისტორიული ფაქტის გადმოცემასთან ერთად საოცარ სითბოსა და თანაგრძნობას ავლენს უსასობაში. მყოფი მხცოვანი ქართველი მე-ფისადმი.

რუს და უცხოელ პოლიტიკურ მოღვაწეთა, სწავლულთა და მწერალთა მიერ აღიარებული და პატივდებული არჩილი, პირდაპირ სათაყვანებელი პიროვნება იყო თანამემამულეთათვის, მასთან დაკავშირებული ადამიანები მოკრძალებულნი იყვნენ არა როგორც მეფის წინაშე, არამედ, ამავე დროს, მოხიბლულნი იყვნენ მისი სითბოთი და ზრუნვით. არჩილი, განსაკუთრებით ემიგრაციის წლებში, ამა-ღლევებელი სინაზითა და მამაშვილური ალერსით ფიქრობდა ყველას ბედზე, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მის გვერდში მყოფთათვის კეთილი მდგომარეობა

¹ Джон Перри. Состояние России при нынешнем царе. М., 1871, с. 63.

² Н. А. Некрасов. Полн. собр. соч. писем, т. IV, 1950, с. 657.

³ А. С. Пушкин. История Петра, Соч. писем, т. X, 1938, с. 263.

შეექმნა და ყოველივე მათგანი ისეთ საქმეში ჩაება, რომელშიც იგი მაქსიმალურად გამოავლენდა თავის შესაძლებლობებს და რაც შეიძლება მეტ სარგებლობას მოუტანდა თავის ხალხს. არჩილის ჰუმანური და წარმოუდგენლად დემოკრატიული ბუნება სილადესა და სითამამეს მატებდა მის ქვეშევრდომთ, მაგრამ ეს სითამამე არასოდეს სცილდებოდა მოყრძალებისა და მოწიწების ფარგლებს. არჩილის ფართო ინტერესები, ღრმა განსწავლულობა და სიბრძნე, მახვილი პოეტური ნიჭი ალტაცებდასა და აღიარებდას იწვევდა. არჩილის ნაწერების დიდი ზეგავლენა კარგად აქვს გამოხატული არჩილის უმცროს თანამედროვეს, მისი თხზულებების ერთ-ერთ პირველ გადაწვერს, გივი თუმანიშვილს, რომელიც არჩილის თხზულებათა კრებულის — „არჩილიანის“ შესახებ წერს: „რომელ („არჩილიანი“ — რ. ბ.) საწადლად და სასურველ არს მკითხველ-მსმენელთათვის, საწადელ ბრძნეთა და მკაცრი და სატრფილო მოსწავლეთა“¹. არჩილის ღრმა განსწავლულობას გაცილებასში მოჰყავდა თანამედროვენი: „არჩილ იყო კეთილად წიგნებსა ორსავე — ქართულისა და რუსულისა სწავლულ და მთარგმნელ“.

ამ ყოველმხრივ მომზიბლავ პიროვნებას, რომელიც თავისი ადამიანური კეთილშობილებით და ზრუნვით, განსწავლულობითა და სიბრძნით, ენერჯითა და სასცემწიფოებრივი მოღვაწეობით, ვაჟკაცობითა და თავგანწირვით განსაკუთრებულ მოწიწებას იმსახურებდა, ასეთ ღვაწლმოსილ ადამიანს მეტად მწარე სიბერე დაუდგა. გაქრა სამშობლოში დაბრუნების და ქვეყნის ხსნის პერსპექტივა. ალექსანდრე ბატონიშვილის ტრაგიკულმა სიკვდილმა საბოლოოდ მოუსპო ყოველი პირადი თუ სახელმწიფოებრივი სიხარული და საბოლოოდ გადაუწურა იმაზე ოცნება, რისთვისაც იგი იღვწოდა. ერთადერთი საზრუნავი ისღა რჩებოდა, რომ თავისი ასული, მეტად გონიერი და მამასავით მოღვაწის ცეცხლით გზნებული დარეჯანი მეფის მემკვიდრედ ეღიარებინა რუსეთში, რის გამოც იგი ევედრებოდა პეტრე დიდს: „მალალი შინაჩქის თვალთ გადმოხედე და შეივრდომე ჩემს შემდგომ დარჩენილი ასული ჩემი. იმედი მქონდა ჩემი ვაჟების მეოხებით აღმედგინა მემკვიდრეობა ჩემი გვარეულობისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მფლობელობდა ივერიის და სხვა ქვეყნებს. ღმერთმან არ ინება ეს. მაგრამ დამიტოვა ასული, რომლის მეოხებით ჩვენში გვარი შეიძლება აღდგენილ იქნეს, თუ ჩემი ქალისათვის გამოჩანული იქნება შესაფერისი პირი, კანონიერი ქორწინებით და ურთიერთთანხმობით მასთან შესაუღლებლად. წარსულში ამ გზით ჩვენი გვარი ორჯერ იყო განასლებული. ეს წესი მიღებულია და კანონიერად ითვლება აზიისა და ევროპის ბევრ საშეფო კარზე. იმერეთის სამეფოს და სხვა სამფლობელო მიწებს, რომლებიც თქვენს მალაღმონარქიულ მფარველობაში იმყოფებიან, ნუ დასტოვებთ უმწოდ საერო და საეკლესიო საქმეებში. მათი ბედი თქვენს ხელშია. მათ სწავლიათ თქვენს მფარველობაში ყოფნა ისევე, როგორც წინათაც თქვენი უდიდებულესობის წინაპართა მფარველობაში იყვნენ. დე, ბრძანოს თქვენმა უდიდებულესობამ, რომ აზნაურები და ჩვენს ენაზე მოლაპარაკე ყველა წოდების ადამიანები, რომლებიც ჩვენთან ცხოვრობდნენ მოსკოვში და ჩვენს შემდგომაც ჩემი ქვეყნიდან ჩამოვლენ, მოვიდნენ და წაივინენ წინანდებურად დაუბრკოლებლად. დე, მოსკოვში ჩამოსულნი, მიღებულნი ჩვეულებისამებრ, აუცილებლად ჩვენს სახლში ცხოვრობდნენ“². ეს ლოცვად წარმოთქმული ევედრება გამთბარია არა მარტო საკუთარი ქალწულისა, არამედ ყველა თანამემამულისადმი ზრუნვით, მათი ბედის მოსაწესრიგებლად მშობლიურ ქვეყანაზე, თანამომეგებზე ფიქრსა და

¹ Е. Такашвили, Описание рукописей, II, с. 176.

² ვლ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 227.

მათი ბედუქვლმართობით გამოწვეულ მწუხარებაში დაილია ღვაწლმოსილი მსკო-
ვანი მეფის სიოცხლე. მრავალ ქირვარამგამოელი არილ ბაგრატიონი გარ-
დაიცალა 1713 წლის 16 აპრილს და დაკრძალეს დონის მონასტერში შეილების
გვერდით. ასე გაუხარებლად და მიზანმიუღწველად დასრულდა ჩვენი ქვეყნის
აებდომის შედეგად შორს გადახვეწილი ერთ-ერთი შესნიშნაეი და საამაყო მა-
მულიშვილის სიოცხლე.

არჩილი უადრესად რთული და საინტერესო ფიგურაა ჩვენს სინამდვილეში.
მისი მოღვაწეობის ასპექტები მრავალსახოვანია. მაგრამ იგი, უპირველეს ყოვლი-
სა, შემოქმედია, ახალი საწყისის დამამკვიდრებელი შემოქმედი, ამასთან ისიც
ზახგასასმელია, რომ ის გამორჩეულად იმკვიდრებს სახელს ვითარცა ლიტერატუ-
რის თეორეტიკოსი. ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ისტორია ჯერ კი-
დღე ადრეულ საუკუნეებშია სათავედღებული. თვით აგიოგრაფიულ ძეგლებში-
ვეა ჩამოყალიბებული ესა თუ ის ლიტერატურათმცოდნეობითი პრინციპები,
ხოლო ეფრემ მცირის ნააზრევი ხომ მთელ ეპოქას ქმნის ქართულ ლიტერატუ-
რათმცოდნეობაში. ადრეული თეორიული აზროვნების გეირგვინი და ახალი ეს-
თეტიკის განვითარების სისტემაში მომყვანი და ბიძგის მიმცემია შოთა რუსთა-
ველი.

რუსთაველის შემდეგ ძველი ქართული მწერლობის არც ერთ წარმომადგე-
ნელს ისე საგანგებოდ არ გაუმახვილებია ყურადღება ლიტერატურის თეორიულ
საკითხებზე, როგორც არჩილს. მას ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი კონცეფცია,
მისი მოსაზრებები ლიტერატურის კონკრეტულ საკითხებზე დღესაც ანგარიშგა-
საწევია. თავისი დროისათვის კი არჩილმა შექმნა გარკვეული ლიტერატურულა
სკოლა და მისმა შეხედულებებმა წარმმართველი მნიშვნელობა იქონიეს ქართუ-
ლი მწერლობის განვითარებაზე.

არჩილის ეპოქაში ხდება ძველი ლიტერატურული ტრადიციების კრიტიკული
გადაფასება, ახალი მოთხოვნებისა და გემოვნების შესაბამისად ყალიბდება
ახალი შეხედულებები, ისახება ახალი პერსპექტივები ლიტერატურის განვითარე-
ბისა. ამ დიდი ლიტერატურული მოვლენების ცენტრალური ფიგურაა თვითონ
არჩილი.

XVII—XVIII საუკუნეებში წამოჭრილი „მართლის თქმის“ პრინციპი (რეა-
ლიზმის ტენდენციები) არ წარმოადგენენ მხოლოდ ლიტერატურული ძიების შე-
დეგებს. ამ საკითხზე მსჯელობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მარტო
ლიტერატურული, არამედ ფილოსოფიური ასპექტებიც. ადამიანის წინაშე მწეავედ
დადგა სამყაროს შეცნობის პრობლემა და ამიტომ განსაკუთრებით მახეილდება
ყურადღება მეცნიერებაზე, გონებაზე. რაც შემთხვევაში ლიტერატურა და ხე-
ლონება დაუპირისპირდა კიდევ მეცნიერებას, რომელიც სწავლობდა სამყაროს
და მისი შეცნობის ტექნიკურ საფუძვლებს. მეცნიერების პრიმატის ნიშნები გან-
საკუთრებით გამოიკვეთა ვოლფსმა და ლაიბნიცის კონცეფციებში. ამ მხრივ
მეტად მრავალისმეტყველია ლაიბნიცის მსჯელობა: იე მიხარია, რომ დრადენმა
ვირგილიუსის თარგმანში მიიღო 1000 ფუნტი სტერლინგი, მაგრამ ვისურვებდი,
რომ ნიუტონს ჰქონებოდა 10-ჯერ მეტი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოეზიის
ფასეულობა მეცნიერებასთან შეფარდებით შეადგენს პროპორციას — 1:7 (ერთი
შეიდთან). უდიდესი ემპირიკოსი ლოკი წინა პლანზე წამოწევს ცდის ფუქციას,
სამყაროს რეალურ და მეცნიერულ შემეცნებას, რამეთუ მეტად სკეპტიკურად
უყურებს სიტყვიერი ხელოვნების შემეცნებით ფუნქციას.

რეალიზმი ხდება ფართო ფილოსოფიური ცნება. ის მიზნად ისახავს სამყა-
როს, ბუნების შეცნობას, მის ათვისებას. ამ დამოკიდებულებასთან მჭიდრო კაე-

შირში იმყოფება ლიტერატურული პოზიციაც — ჩნდება მოახონილება რეალური სინამდვილის, სიცოცხლის ასახვისა. ამიტომ ეთიკური ცამოძღვრების ორბიტაში შედიან არა მარტო ქეცის ნორმები და ზნეობრივი კეტეგორიები, არამედ სინამდვილის შეცნობა და შესწავლა, ყოველივე რეალურის გააზრება.

ეკლავ ხახვასმით უნდა აღინიშნოს, რომ „მართლი“ თქმის“ პრინციპი ლიტერატურაში არის მსოფლშეგრძნების შედეგი, განმნათლებლური პოზიციით ნაქარნახევი სამყაროს შეცნობის მოთხოვნილება. სწორედ ასეთმა ზოგად ფილოსოფიურმა ქვერტამ განაპირობა არჩილის ახალი ლიტერატურული პოზიციი.

არჩილის მხატვრულ-შემოქმედებითს კონცეფციაში საგანგებო ადგილი უქირავს „მართლის თქმის“ პრინციპს. „მართლის თქმაში“ გამოსქვივის რეალიზმის ელემენტები. არჩილის რწმენით, პოეზიის საგანი, ასახვის ობიექტი შეიძლება იქონ მხოლოდ და მხოლოდ არსებული სინამდვილე, რეალური მოვლენა. მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟები, სიტუაციები, ამბები, რეალურად არსებულ, ისტორიულ ფაქტებს უნდა ასახავდეს. ისტორიულად არარსებული ფაქტების გამოვლენას მწერლობაში ის მიიჩნევს ზღაპრულად. „არჩილისათვის სრულიად უცნობია ზოგადობისა და ტიპიურობის მომენტი, რაც შეადგენს რეალისტური მსოფლმხედველობის საფუძველს“¹. არჩილი არ ახდენს დროის ლოკალიზაციას, მისი რეალიზმის კონცეფციაში ერთნაირი მნიშვნელობა აქვს როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე ამბის ასახვას, რადგანაც მისთვის ამოსავალია ცაქტის ისტორიულად არსებობა, ნაცულად გამოგონილისა, პოეტური ფანტაზიის ნაყოფისა. არჩილისათვის ერთნაირად „ნამდვილია“ როგორც თამარ მეფის, ისე თავისი უფროსი თანამედროვის, თეიმურაზ პირველის დროინდელი ამბავი, ზოლო ვეფხისტყაოსანში გამოსახული პერსონაჟები ზღაპრულია, იმიტომ, რომ ეს პერსონაჟები კონკრეტულად არ არსებობდნენ, თუმც ისინი გარკვეული ეპოქის ტიპური სახეები.

„მართლის თქმის“ პრინციპს არჩილი აყალიბებს თეიმურაზისა და რუსთაველის „გაბაასების“ შესავალ ნაწილში: „სხვას ზღაპრულს ამბავს ისევე მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავდ; და არცა რა ამაში ტუყილი სწერია ერთის, მეფისა, და რუსთაველის პირდაპირ გაბაასების მეტი. საქართველოს ამბავსაც არგად და მართლა მოგახსენებ, ბატონებისა და დარბაისელთა“. როგორც ვხედავთ, „ტყუილად“ პოეტს მიაჩნია ისტორიულად არარსებული, გამოგონილი ფაქტი, სიუჟეტი. თავისი პოეზიის ერთ-ერთ ღირსებად არჩილი იმას მიიჩნევს, რომ მისთვის შთაგონების წყაროს „ნამდვილი ამბავი“ წარმოადგენს და არა მოგონილი, „ზღაპრული“. პოეტი ერთგვარი სიამაყის გრძნობითა და ნიშნის მოგებით აღნიშნავს, რომ ის არ დამწერა ზღაპრული ამბების გალექსვავზე; „ზღაპრულ შიარში“ დამკვიდრება ლიტერატურაში არჩილს მწერლობის ნაკლად მიაჩნია; საგულისხმობა, რომ ლიტერატურული ჟანრის კლასიფიკაციასაც ახდენს იმისდა მიხედვით, თუ რას ასახავს ის — ნამდვილ ამბავს თუ მოგონილს. მაგალითად, სახობტო პოეზიისადმი სექპტიკურადაა განწყობილი მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ბევრი რამ არამართალია. ის ერთგვარ დაპირისპირებასაც ახდენს, ჩემი ნაწარმოები არისო „არა ზოტბა, არამედ მართალიო“. აქედან კეთდება ბუნებრივი დასკვნა, რომ სახობტო პოეზია გამორიცხავს სიმართლეს, მაშინ, როდესაც მწერლის დანიშნულებაა სწორედ სინამდვილის ასახვა. პოეტი დაბეჯითებითა და მაღალი პრინციპულობით აცხადებს:

¹ ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1954, წ. (ა. ბარამიძე, არჩილი, გვ. 366).

„რაც მასმოდა, ან მენახა, ამავე ვთქვი მე მართლები,
ანუ ლხინი, ანუ ჭირი ერთმანეთზედ დანათლები,
სიმაართლე და კელაე სიმრულე, ვინ ბნელი კმნა, ან ნათლები“.

სინამდვილის ასახვაში პოეტი მიუყვარებას ქადაგებს. არჩილის რწმენით, ცხოვრება ასახულ უნდა იქნეს მთელი თავისი მრავალფეროვნებით, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებით. სიმაართლისადმი ლალატი შემოქმედის დიდი ნაკლია, მან უნდა ასახოს როგორც „ლხინი, ისე ჭირი“, როგორც „ბნელი, ისე ნათელი“, როგორც „სიმაართლე, ისე სიმრულე“. არჩილი პოეტისაგან მოითხოვს მაღალი მოქალაქეობრიობისა და პასუხისმგებლობის გრძობას. არჩილის რწმენით, პოეტი ტრიბუნია, რომელმაც მოურიდებლად უნდა ამხილოს ყოველგვარი ნაკლოვანება და ხელი შეუწყოს თანამოქალაქეთა ზნეობრივად გაწვრთნას: „ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებ, ავის საქმის მე დამგმობარე“ (ვახ. რ. და თ. სტ. 726), — აცხადებს პოეტი. არჩილი არაერთგზის უბრუნდება „მართლის თქმის“ საკითხს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მწერალმა სინამდვილის ასახვაში უნდა გამოიჩინოს გულწრფელობა, ყოველ მოვლენას საკუთარი სახელი უნდა ეწოდოს: „კარგისა ავი არ მითქვამს, არც შინაგანა ჭრელადა“ (სიტყვა სანთლისღებრ... სტ. 28), — დაბეჭითობს გვაუწყებს პოეტი.

ამრიგად, არჩილის მიერ წამოყენებული „მართლის თქმის“ პრინციპი გულისხმობს, ერთის მხრივ, ნამდვილად, ისტორიულად მომხდარი ამბის, ფაქტის აღწერას მწერლობაში, მეორეს მხრივ, მის მართებულად ასახვას, მიუდგომლობასა და სიწრფელეს, ე. ი. ისტორიული ფაქტი არ უნდა იქნეს დამახინჯებულად, ცალმხრივად ან ზედაპირულად გაშუქებული. „მართლის თქმის“ არჩილისეული კონცეფციის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს ნაციონალური თემატიკის საკითხი. საგანთა და მოვლენათა რეალისტურად ასახვის საჭიროებასთან ერთად, არჩილი მოითხოვს ისტორიულ-ნაციონალური თემატიკის დამუშავების აუცილებლობას. არჩილი გმობს მისი წინამორბედი პოეტების ამბავთა ზღაპრულობასა და უცხოურ (სპარსულ) წარმოშობას. არჩილი მოითხოვს მწერლებისაგან, რომ მათ ასახონ ქართული სინამდვილე. მათ ნაწარმოებებში გამოხატულებას პოულობდეს როგორც ჩვენი ისტორიული წარსული, ისე თანამედროვეობა. მწერლობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემსახურებოდეს ერის წინაშე დასმულ საპირბოროტო საკითხების გადაწყვეტას. არჩილის ეს პოზიცია ერთგვარი რეაქცია იყო თეიმურაზ I-ის სპარსოფილური ტენდენციის წინააღმდეგ. არჩილი კიხავს უცხოური სიუჟეტებით გატაცებას და მოითხოვს ეროვნულ თემატიკაზე ყურადღების გამახვილებას.

არჩილის ლიტერატურათმცოდნეობითი ნააზრვეი პრობლემათა ფართო სპექტრს მოიცავს. მას მეტად საყურადღებო შეხედულებები აქვს ჩამოყალიბებული როგორც შემოქმედებით მეთოდზე, ისე ფორმასა და შინაარსის ურთიერთმიმართების საკითხზე, როგორც მხატვრული ენის, ისე კომპოზიციის საკითხებზე. ყოველივე ამის გამო არჩილს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების ისტორიაში.

არჩილის მიერ „მართლის თქმის“ პრინციპების ჩამოყალიბება და განსაკუთრებით მწერლობაში ნაციონალური თემატიკის დამკვიდრების ტენდენცია თეორიულ საფუძველს ქმნიდა ეროვნული და განმთავისუფლებელი ბრძოლისათვის. ეს იყო შანავეზის მიერ დასახული სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის აღმავალი ეროვნული პოლიტიკური კურსის გამოვლენა მწერლობაში. პოეზიაში აღმოსავლური ფანტასტიკური სიუჟეტებისა და თემატიკის წინააღმდეგ გალაშქრება შესატყვისებოდა იმავე აღმოსავლეთის ტირანულ სახელმწიფოებთან დაპირისპი-

რებას, ეროვნული პოზიციების გაძლიერებასა და დამკვიდრებას. არჩილის მიერ განვითარებული ლიტერატურული შეხედულებები და სიახლენი ამ სფეროში იყო არა მარტო პროფესიონალური გამოცენების გამოხატულება, არამედ ეროვნული პოლიტიკის, საერთო ატმოსფეროს ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლენა. ეს იყო დიდი და სერიოზული შემომბრუნება ნაციონალური კულტურის თვითმყოფლობისაკენ.

არჩილის ლიტერატურულმა შეხედულებებმა კონკრეტული გამოხატულება პოვა მისსავე შემოქმედებაში. არჩილის პოეზია გამოვლენა ახალი გემოვნებისა, ახალი დამოკიდებულებისა სინამდვილისადმი. არჩილი არა მარტო თეორიულად აყალიბებდა „მართლის თქმის“ და ეროვნული თემატიკის პრინციპს, არამედ საკუთარი შემოქმედებითი მეთოდით ამ პრინციპზე აგებულ. არჩილის პოეზიაში ჩვენ ვხედავთ ახალი თემატიკის შემოქრას. აღმოსავლური სიუჟეტების ნაცვლად ის ამუშაებს ნაციონალურ თემატიკას, ეროვნული სინამდვილის საჭირბოროტო საკითხებს. არჩილის მრავალფეროვან შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დამოხილი როგორც ჩვენი ისტორიული წარსულის ასახვას, ისე თანამედროვეობის პრობლემატიკას.

უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იპყრობს მისი დიდი ეპიკური ტილო „გაბაასება“ თეიმურაზისა და რუსთველისა. მართებულად შენიშნავს გ. ლუონიძე, რომ „ეპოქის პოტენციის მაჩვენებელია დაპირისპირება ანუ „შედრა“ რუსთაველისა და თეიმურაზის არტისტული სახელმებისა“¹.

ეს ნაწარმოები არა მარტო იმით იპყრობს ყურადღებას, რომ მასში ჩამოყალიბებულია ორი დიდი ქართველი შემოქმედის ლიტერატურული კონცეფციები, გამოვლენილია მათი გემოვნებისა და აზროვნების სტილის ნიშან-თვისებები, არამედ ამასთანავე წარმოჩენილია ჩვენი ისტორიული სინამდვილე, რუსთველის ეპოქის სინამდვილე აღზევებისა და დიდების ზენიტში მთელი თავისი სიძლიერისა და მშვენიერების გამოვლენით და, მეორეს მხრივ, თეიმურაზის ეპოქის სინამდვილე ბრძოლის, გაპირვების, უდრეკელობისა და იმედით სხივმოსილი მწვანე რეალობა, თავისი ურთულესი პოლიტიკური, სოციალური თუ ეთიკური პრობლემებით.

„გაბაასება“ თეიმურაზისა და რუსთველისა მრავალ საკითხთა შორის ყურადღებას იპყრობს სწორედ ისტორიულ პირთა სახეების წარმოჩენით. არჩილი არა მარტო აცოცხლებს და გეაცნობს მის უფროს თანამედროვეებს, არამედ ამასთანავე ავლენს მათდამ, როგორც თავის, ისე თანამედროვეთა დამოკიდებულებას. როგორც თეიმურაზი, ისე გიორგი სააკაძე წინააღმდეგობით აღსავსე პიროვნებები იყვნენ და მათ შესახებ ისტორიაში და შესაბამისად ახალი დროის მკვლევართა შრომებში ურთიერთსაპირისპირო შეხედულებებია გამოთქმული. ყოველივე ამის გათვალისწინებით უაღრესად მნიშვნელოვანია არჩილის აზრულებები, რადგანაც მათი საშუალებებით ჩვენ ვგებულობთ, თუ როგორ იყვნენ ეს დიდი ისტორიული პირები თანამედროვეთა მიერ აღქმულნი. არჩილი სწორედ თანამედროვეის თვალთ კვრეტს და აფასებს მათს ღვაწლსა და დამსახურებას ქვეყნის წინაშე. სწორედ არჩილისაგან ვგებულობთ თანამედროვეთა საზოგადოებრივ აზრს ეპოქის წინაშე დასმულ საჭირბოროტო საკითხებზე და იმ პიროვნებათა შესახებ, რომელთაც განსაკუთრებული როლი ითამაშეს XVII საუკუნის მთელ მანძილზე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

¹ გ. ლეონიძე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1949 წ.

ამ ისტორიულ პირთა მთელი გალერეა წარმოსახული არჩილის თხზულებაში. საერთოდ, არჩილის „გზაასება“ წარმოადგენს უაღრესად თავისებურსა და რთულ ქანრს, რითაც ის გამოირჩევა გაბაასების ხასიათის სხვა თხზულებებისაგან. ეს ნაწარმოები, გარდა პაექრობის გამოვლენისა, თავის თავში აერთიანებს ორ დამოუკიდებელ დიდ ეპიკურ თხზულებას. ერთი, რომელშიც თეიმურაზის ეპოქაა წარმოსახული და პირობითად შეიძლება ეწოდოს მას „თეიმურაზიანი“ და მეორე — რომელშიც რუსთაველის ეპოქის სურათებია ასახული. ამ მონაკვეთში არჩილი ეყრდნობა „ქართლის ცხოვრებას“ და ამდენად ნაკლებ საინტერესოა. ხოლო თავის დამოკიდებულებას რუსთაველისადმი, როგორც აღვნიშნეთ, იგი გამოვლევს პაექრობის პროცესში.

„თეიმურაზიანი“ შეიძლება გააზრებულ იქნეს როგორც დამოუკიდებელი დიდი ეპიკური ქმნილება, რომელშიც ასახულია ავტორის თითქმის თანამედროვე მოვლენები და რაც მთავარია, ავტორი ამ რთული და მრავალფეროვანი ისტორიული ეპოქის ასახვისას იყენებდა არა მარტო ისტორიულ წყაროებს, არამედ ამასთანავე იგი ეყრდნობოდა უფროს თანამედროვეთა მიერ მოწოდებულ ზეპირ ცნობებს და საკუთარი თვლით განჭვრეტულ სისხამ ფაქტებს. ამიტომ თხზულების ეს მონაკვეთი წარმოადგენს ძვირფას პირველწყაროს ჩვენი ისტორიის შესასწავლად.

აღსანიშნავია ისიც, რომ არჩილმა მის მიერ ჩამოყალიბებული „ქართლის თქმის“ თეორიის პრინციპების მომარჯვებით შექმნა ისეთი რეალისტური თხზულება, რომელშიც საკმაო სიღრმითა და მასშტაბურობით აისახა სინამდვილე და დამაჯერებლად გამოიყვანა ისტორიულ პირთა სახეები და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ავტორმა ისტორიულ პირთა და საერთო სიტუაციის წარმოჩენის ფონზე შეძლო მთელი სიღრმითა და სიძლიერით აესახა ეპოქის მწვევე სოციალურ-პოლიტიკური და ეთიკურ-მსოფლმხედველობითი პრობლემები. ასე რომ, თეიმურაზისა და რუსთაველის „გზაასება“ წარმოადგენს ალორძინების ეპოქის ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლს, რომელშიც არჩილმა ჩამოაყალიბა მნიშვნელოვანი ლიტერატურული შეხედულებები, ასახა ჩვენი ისტორიული სინამდვილე, აღძრა ეროვნული და სოციალური საკითხები და წარმოგვისახა მშრომელთა ყოფის საოცრად ცოცხალი სურათები.

როგორც აღვნიშნეთ, არჩილი უაღრესად მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართული მწერლობის ისტორიაში. მან გაბედულად დაიწყო ლიტერატურული ტრადიციების გადაფასება: ჩამოაყალიბა საინტერესო და პროგრესული შეხედულებები მწერლობის არსზე, მის სპეციფიკასა და მიზანდასახულობაზე. აღძრა მრავალი და საჭირობოროტო საკითხი, დავენიშნათა საქართველოს ისტორიული წარსული და თანამედროვე ცხოვრება. დამაჯერებლად აღწერა როგორც რთული ისტორიული მოვლენები, ისე ყოფითი სინამდვილის საინტერესო დეტალები. მთელი სიღრმითა და სიმწვავეთ წამოჭრა სოციალური პრობლემა და გამოთქვა მოწინავე შეხედულებები სოციალურ მოვლენებზე. ღრმა პატრიოტული გზნებითაა დაწერილი მისი შესანიშნავი თხზულებები. ბრძნული შეგონებებითაა გამსჭვალული მისი დიდაქტიკური პოეზია. არჩილის ზნეთსწავლება მოიცავს ადამიანის ქცევის ყველა სფეროს. არჩილთან უნდა ვეძიოთ გურამიშვილის დიდაქტიკის სათავე. არჩილმა დიდი სიღრმით წამოჭრა ადამიანის ცხოვრებასთან დამოკიდებულებისა და დანიშნულების საკითხი და მებრძოლი ოპტიმისტური მსოფლმხედველობითი პოზიციებიდან გადაწყვიტა იგი. ყოველივე ამის გამო, არჩილის ნააზრევმა და შემოქმედებამ წარმმართველი მნიშვნელობა იქონია ქართული ლიტერატურის განვითარებაზე.

ფასდაუდებელია არჩილის ღვაწლი ქართული კულტურის ისტორიაში. ის

არის პირველი დიდი ქართველი განმანათლებელი, რომელიც დაუშრეტელი ენერგიით იღვწოდა ქვეყნის აღორძინებისათვის და ოცნებობდა სამშობლოს დიად მომავალზე. მიუხედავად ჯამთა სიავისა, არჩილი ბევრს ზრუნავდა ქართული კულტურის ცენტრების აღდგენა-გაშენებაზე. მან პირველმა გამოსცა რუსეთში ქართული წიგნი, შექმნა სამწერლობო კერა მოსკოვში და მის კარზე იყენენ თავმოყრილი ქართველი სწავლულნი და მწერალნი. არჩილის მოსკოვის კოლონიის საშუალებით ქართული საზოგადოება დაუკავშირდა რუსეთისა და ევროპის მოწინავე კულტურას. არჩილის განმანათლებლური მოღვაწეობა გამოიხატა როგორც პრაქტიკულ საქმიანობაში, ისე ახალი მოწინავე იდეების განვითარებაში.

არჩილმა პირველმა წამოაყენა გონების, „სიბრძნის“ პრიმატის პრობლემა, მასვე ეკუთვნის პიროვნების თავისუფლების იდეის წამოქრა. არჩილმა ჩამოაყალიბა ჩვენს მწერლობაში რეალისტურობის, „მართლის თქმის“ პრინციპები.


არჩილის განმანათლებლურმა იდეებმა გამოხატულება პოვა როგორც ეთიკის, ისე სოციოლოგიის სფეროში. მისი დიდაქტიკა მიზნად ისახავდა საზოგადოების ზნეობრივად დახვეწას და ამაღლებას. ის იბრძოდა მეცნიერული და ფილოსოფიური ცოდნის გავრცელებისათვის. განმანათლებლურმა იდეებმა განაპირობეს აგრეთვე მისი პროგრესული შეხედულებები სოციოლოგიურ საკითხებში.

არჩილი, როგორც განმანათლებელი, იყო ქართული ჰუმანიზმის ტრადიციების აღმდგენი და გამგრძელებელი.

ფრანგი განმანათლებლებისაგან განსხვავებით, არჩილი არ ებრძოდა ეკლესიას, პირიქით, მის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი ეჭირა რელიგიურ მოტივებს. მაგრამ ეს თავისებურება განპირობებული იყო ეროვნულ-ისტორიული სინამდელით.

აგრესიულ მაჰმადიანურ სამყაროსთან ბრძოლის გამო სარწმუნოებრივი მოტივი ეჭაქებოდა ეროვნულს და თურქ-სპარსთა შემოტევის გამო ერში ქრისტიანული მოძღვრების განმტკიცება ეროვნული თვითმყოფელობის შენარჩუნების ერთ-ერთი ფორმა იყო. ამით აიხსნება ქართული განმანათლებლობის ფუძემდებლის, არჩილის, მსოფლმხედველობაში ჰარმონია რელიგიისთან.

რეზაზ ბარბიქაძე



ლირიკა

1. საქართველოს ზნეობანი

1. მოწყალე ხარ მართლის გულით მოქენეთა უხვად, ღმერთო, გვაძოვნებით სამხატვრო, ღვთაებითა მხოლოდ ერთო! ვინ თბე ჩვენი შეიმოსე, სხვას ნივთს არას არ იერთო, რისხვაზედან სრულ სულგრძელო, წყალობაზედ წამი ერთო.
2. ღმერთო, შენა ხარ კაცისა შემწე, დამხსნელი ქირისა, უძლურთა ძალის მიმცემი, მომჯაბნებელი გმირისა, მაღალთა მამამდაბლებელი, ამმაღლებელი მწირისა, ავისა კარგად შემცვლელი, მარგალიტ-მყოფი მწვირისა.
3. აწ ეს მომინდა სათქმელად: რამდენი ზნეობა არის — სამღვთო და ანუ სამხედრო, მშვეებლის და მოვავლაზარის, ლაშქრობის, ნადირობისა, რომელმან კაცი ახარის, საქციელ-სამსახურისა ვინც იცის, ცოდნათაც კმარის.
4. თავსაც სამღთო სჯობს, ბოლოსაც, კაცთა ზნე-საქმე რაც არი. სიტყვა ნაგრეხი არ მითქვამს, მაშა, მკითხველო, რაც არი! აბა, გაზაფხულს აშთარხანს ნახე, თუ სჯობდეს რაცარც; ეგება კიდევ სხვაც რამ ვთქვა, სრულ რუსთა ვნახო რა ცარი.
5. შესაყრელობა, ალერსი თვითოს ზნეს ყველას უდარსა, მხიარულსა და ჭაეროიანს მას-მისსა დანაყუდარსა; სიტკბობებაცა იურავს, ვის გინდა, მის მემუდარსა, თავს შეაყვარებს ყოვლს კაცსა, მოწყენილს, ნისლსა უდარსა.
6. დია კარგია სხვებიცა ზნეობა-საქციელები: მშვილდ-ისარი და ბურთობა, ორივე ცხენ-ფიცხელები;

რად აბრაგანს და გარდზედა მარჯვედ იზმაროს ხელები?
წავლა-წამოვლა, ცხენს ჯდომა მწვედ ვარგა ნასახელები.

7. სიმღერა და დასდებელი ესეც ასრე დავითვალოთ,
მასპინძლობა და ჩუქება ერთმანეთსა დავავალოთ;
კარგი ხმა და თან უსული შევიყვაროთ და ვითვალოთ,
ვინც მემთვრალობს მარტო სადგომს, ავად ვუგდებ და
ვავალოთ.
8. გარიგება მარაქისა, მის-მის ალაგს კაცის დასმა,
სუფრის ბარაქიანობა, საამოვნო ჭამა და სმა;
ბევრგვარ უნდა ხილის დაჭრა, ბექის გათლა, დანის მოსმა;
უფრო არის, ვერ მოთვალოს საშოცხუთმან, ვერც სამაძსმა.
9. ზმა და ხუმრობა, სიცილი, სხვის ზმისაც მალ გაცინება,
კარგის აზნაურშვილისა სიტყვისა არ გამგუნება,
ღროიან-გაჯავრებულმან, კარგია, მოიგუნება;
მუნასიბისა ლექსისა უკეთ რა მოიგონება?
10. რაც საკრავია, ყველა რამ თვითო ზნეობად ჩაეგდოთ:
ზაპი, ცეკვა და სამაი, ჯუბანაც რასთვინ დავაგდოთ?
წმიდათ ჭამა და დიდი სმა, ვინ პირით აღარ წავაგდოთ,
კარგია, ვინც კი შეირგებს; ვინც არწყევს, კარში გავაგდოთ.
11. ტანსა და ფერხსა გაწყობა კარგი რამ საცოდნი არის.
ქარქაშის კარგა მობორბვლა, ჩექმა დეზითურთ კმა არის,
უჩირქოთ, წმინდათ ხმარება, კვლავ გასცის და მოიხმარის,
სანდომ მიხედვა-მოხედვა, თვალი მახვილად მოარის.
12. მეჩინიობა, მხედრობა, ცხენოსნობა სხვადასხვაობს;
მომტველობაც ფრინელებისა ცალ-ცალკეა, სულ ნუ მწყევრობს:
მან კი იცის, ეს ასრეა, ვინ ოსტატად ბაზიერობს,
ძალდიც კარგად მოუტიოს, ვინ კურდღლობს და მალე
მწყევრობს.
13. ცხენისა და მფრინვლის ცნობა, ძალლისაც, ზნე არიო.
ამადა ვთქვი ესეები, არც ერთზედან არიოთ;
ვისაც გინდა, ეს არ გინდა, ასე რამ გარდაგრიო?
თუ არ გიყვარს, მხედარს კაცსა, მაშ, აღარ შეგადრიო.

14. აშფაშიაქი და ყაბაზნი, ბურთის სროლა, მესეფქობა, კარზედ ცხენის გაჭენება, ხელ-ძალიან ჭირითობა, ახლა ესეც ზნედ დაიდვა — მოუცდენი მეთოფობა, ის უწინცა ვარგებულა, ხელ-ფეხი და ქვეითობა.
15. მკურაობაც კარგი არის, მაგრამე სჯობს წავთ ხმარება; ვინც არ იცის, დიდროანს წყლებს ვერავენი მიეკარება; გაღმა კაცს თუ საქმე რამ აქვს, იმას სხვა ზნე არ ედრება; მაშინ დია ვარგისია, წყალწალებულს ვინ ესწრება.
16. მოტიროლობა, გლოვის წესი, ზარი, ახა ზნედ დაიდო; უსარგებლო მკედრის და ცოცხლის ვინ ძმა იძმო, ან და იდო, ერთმანერთის წაბაძეთა დაწესდა, ხილად გაიდო; წლამდინ ვინ ხორცი არ სჭამო; ბრძანე, წინა გიდვა ი დო.
17. ჭადრაკის მღერა, ნარდისა და სხვა რაც რამ-ა ყუმარი, ზარდიორდა და ჩალიჩი, სევდისა დასადუმარი — ზტომა. ქვის გდება, რკინობა, მოგვერდი, ფანდიც რამ არი, ის კაცსა ბევრჯელ უკუჰყრის, ვინ კარგი ზუმარი არი.
18. ვერ ჰხედავთ, ფრიდონისასა მოშაითობას ჩემულობს, საბელზედ ფავლა-ზტომასა თამამად, ართუ მოზარობს, ტარიელსა და ავთანდილს ქაჯეთს მისელაზედ უამბობს? ვინ იცის, მის დროს იქმოდეს, ცოდნასა ნურვინ მცონარობს.
19. პინდიც არ ვნახეთ? ჩვენს წინა ოთხს აქლემს გარდახტებოდა, ხელ-დაუკრავად ჰაერში მათზედ გარდაბრუნდებოდა, იქით ფერხს დადგის, მის მკვრეტელს თვალი არ
მოუსხლტებოდა,
ორს ცხრას იქით-აქ ზელჭერილს შიშვლის ხმლით შიგ
გახტებოდა.
20. წმინდას შალზედ გაირბენდა, კაცთ ჰაერში დანაჰირსა; მახვილების ბორბალშიგან შიგ გახტის და არა სჭირსა; ფეხებს ქედზედ დაიწყობდა ზელით, ესკვრეტლით ნარონისა, თამაშობდა უცხოებსა, ამათ უფრო გასაჰირსა.
21. თავთან დაისვის ხანჯალი, გულადმა წამოწვებოდა, ანაზღად ახტის, პირდაღმავ იქით თავს გარდევლებოდა,

მუნით გულდაღმავ დაეცის, იმის წვრით თვის წვერს
მყოფლობდა,
მნახავთ და გამგონეთაგან მუნ მაშინ საკვირველობდა.

22. ხეს დაიჭერდა კბილითა, ძვილ ექვსმან კაცმან აიღის!
ძელს დაიდებდა გულზედან, იგ ოთხმან ხარმან წაიღის,
ქვეშ დაისვენდა მახვილსა, ქვე ტანი აღარ დაიღის,
ხმელზედ თევზურად ცურევედა, კვლავ უცხო რამ შემოიღის.
23. ინატრეს ბევრმან ვაჟებმან: „ნეტავი ეს მასწავლაო:
მისი სიფიცხე, სიმალე, ისე თამამად წავლაო!“
მაგრამ ის შავი არ დადგა, არავის არ ასწავლაო,
მიზეზი ეს თქვა: „მწადიან სულ ხელმწიფების დავლაო“.
24. წყლის წურვა და ბადის სროლა — კარგად ესეც ჩაგდებულა,
წეროს გეზით დამჭერლობა ზნეობადვე სწავლებულა,
მეძებრისა ხალისიან სწავლებაც კი დადებულა.
ვინ ჯერდება მარტო ამას, ბევრჯელ კიდევ აგდებულა.
25. კვლევა და ნახვა კურდღლისა, მეხოხბეობა, მწყერობა;
სტვენა, წრუწუნნი, ძახილი გავაზის, იხვის მზვერობა,
ბატონს ვაამო, ჩავაგდო ახლა ყავლი და წერობა,
მალე მიშველა ფრინველსა, მუნ ადრე წამომწვერობა.
26. ისრის თლა, სწორად გამართვა, გაქლიბვა, სეფქის გაწყობა,
მშვილდის ჩაგდება, ყულაჯი, ქარქაშის კარგა ჩაწყობა:
არც შორი-შორ და არც სულა ახლო ერთმანერთს მიწყობა.
რა ზნეა, თორემ ქვეყანა არის, ვარგისობს ბრიყობა.
27. ჩოგნის მოხვრეტა, მობანდვა, სწორის ბურთისა გამოჭრა,
ბურთობის დროსა ასპარეზს პირმხიარულად გამოჭრა,
ცხენის მოხტომა უხელოდ, იმის დროს ფიცხლად გარდმოჭრა,
მოპეიტრობა სახმობის, ამორთმა, ხურდის ამოჭრა.
28. ხმლის ცემა, ლახტის თამაში, ბევრგვარ ბრუნება შუბისა,
საცერის წყობა, მათრახის ბილდირვა რა შეუბისა,
ისარი სხვილი და გრძელი, ხელთ არ დადება უბისა,
ცისცა არა აქვს, უზრახვენ, სხვამან სხვას მიუუბნისა.
29. ჯაჭვის ცნობა, სხვათ საჭურვლის, კარგია და ძნელიაო,
გაწყობა და მორთულობა, ვერვინ თქვას ზენკალიაო;

მასცა კარგად მოუხდების, ომამდინ ვინც მხდალიაო,
მაშინ შექმნას ცურცლა რამე, თრთოლა და კანკალიაო.

30. თხუთმეტის დღისა მთვარესა შექურვა ვინ სულ დაასწროს,
ვირე სრულ ამოვიდოდეს, ცხენზედაც შეჯდეს, მიასწროს,
ხელფიცმან კაცმან ხელბუქსა ასაღებელი ასწროს,
ფერხით მსუბუქმან ფერხმძიმეს დგენაზედ ადვილ წაასწროს.
31. ენა და წიგნი რამდენი ვინც იცის, ესეც იმდენად
ჩავაგდოთ თვითო ზნეობად, სხვის ქვეყნის ამბავ-მოსმენად;
მაშ, ერთად როგორ ვიტყოდეთ? იკითხონ სხვადასხვა ენად!
ვინ სხვას ვერ ასმენ, ის ისმენს, იქ დაიწყებენ მიდენად.
32. მწიგნობრობა ჭრელ-სადაგი, ჭრელ-ძილისპირთა გარდათქმა,
მსმენელობა, მთარგმნელობა, ღრმის სიტყვის ადვილ გამოთქმა.
ხუცურისა და მხედრულის სხვადასხვაობს თვითოსა თქმა,
კანანახი ხმამალალი სჯობს, ყვინჩილად ნუ იქათმა.
33. მწერლობა ხუცურს და მხედრულს, იცით, უნდა სხვადასხვა, და,
მგრგლოვანს, ყვავისფრჩხილოვანსა, ასომთავრულს სმენ
თავადა,
მხატვრობას, მონახაზობას არვინ ჩაადგებს ავადა,
გარეშე წიგნის კითხვაზედ ზმა ავად ნუ იხავა, და.
34. ლექსთ მთარგმნელობა, გარდმოვლით ხუმრობის ადვილ
შეტყობა,
კარგად ჩამორთმა სიტყვისა, წყენისა არას დატყობა,
თავის-გუნების კაცს გარდა სხვისაც ბევრისა გაწყობა,
ის ვერ მოგყვების, შენ მიჰყევ, მობრიყვობს, რეგს ამაყობა.
35. მოჩივრობა და სამართლის მართლის ქმნა, კვლავ დიდი ბჭობა,
ანგარიში და რიცხვთცოდნა, ჩაგდება, მეკენჭეობა,
რამლის ყრა, მესტროლაობა, ზნევეა მეკოკაობა.
ვისცა არა აქვს, უზრახვენ, სხვამან სხვას მიუღუნისა.
36. მრჩეველობა, სიტყვის გაკვეთა, თავს ჩემობს ამისი სწავლა,
ელჩობა, მოციქულობა, სიტყვისა სწორად დასწავლა —
სხვადასხვა არის ესენი, მე ასე ვინმემ მასწავლა.
ღრო არის გვიანობისა საჩქაროზედან მალ წავლა.

37. გელექსობა, შაირის თქმა, უდარესი ამიციანა,
კარგის მთქმელმან გამაგონა სიტყვა მკვევრო, არ მაგინა;
საალერსოდ ვისდა მიველ, არ მიმიშო, თქვა, მაციანა.
გამოვბრუნდი, კვლავ ვიახელ, ვეხუმრე, არ გამიციანა.
38. კარგკაცობაა შენახვა ყოვლისა ხვაშიადისა;
ცრუს სიტყვას ყურსა ნუ ასმენ, ნურცა ენასა გასდისა.
ჩხუბი და მეენაობა ვინც კაცმან დაიქადისა,
სასაცილოდ და საზრახად მან თავი გაიხადისა.
39. ვინ ბატონის საიდუმლო სიტყვა გარეთ გაიტანოს,
ქუსაიფს თუ სხვას, ვის გინდა, მისი რჩევა მიუტანოს,
მას პირს უნდა შეადღუფოს, ზედ თავსლაფი დაატანოს,
ძარში ენა ამოართოს, კლიტე თან ამოატანოს.
40. მუშაობაც კარგი ზნეა, ზედმდგომობა და სარქრობა,
ბარვა, წიღნვა, ხნვნა და თესვა, მკის და სთელისა მის-მის
ლობა;
კაცს შემატს და გაახარებს მოსაელის ბევრის მოსწრობა.
ვის ჰქუა ჰყავსო, თვითან შერება, ურეცია არზაქრობა.
41. კაცის სახელის დასწავლა და ცნობაც უნდა კარგაო,
მგზავრობის წესი და ნისლში ვინცა გზა არ დაჰკარგაო,
რა გინდა რამე წამხდარი კიდევ მალ მოივარგაო.
მზარეულობა, ქაშნიგის ცნობას ამბობენ, ვარგაო.
42. ბატონის დარბაზის კარი რაგინდ რომ მაღალი იყოს,
თავმოხრით უნდა შევიდეს, არც ლაჯში თავი გაიყოს;
უმცროსის კაცის უფროსმან ხელი საკმელზე წაიყოს,
მეფისგან მონაკითხავი ამხანაგებსა გაუყოს.
43. ნუ მომიწყინებ, მსმენელო, მოხსენებთა ამდენით;
არ მინდა, იყვნეთ ზნეობის ავსაქციელად წახდენით;
წავლა-წამოვლა, ზე-დგომა, ჯდომა, ადგომა მოხდენით,
მენუზლეობაც ვარგისობს, თან უკლებ სხვისაც მოდენით.
44. უმცროსმან კაცმან უფროსი არ უნდა დაიწყოსო;
ადგეს, სჯობს, ისრე მჯდომელმან ქვემოთ დაიწიოსო;
საჩოქეთ რა შეიყარნენ, უწინ მან წაიწიოსო,
არცა უხამსად დამდაბლდეს, არც ბეწვად აიწიოსო.

45. ორმან ტოლმან ამხანაგმან დაიწვიოს რა მესამე,
 ორთავ თავს არ გარდღუარო და ჩაუჭევე შუა სამე;
 ეს შენ კარგად ჩამოგართვან და იმათაც ორთავ ამე.
 უდროოდ და უალაგოდ ნურც იმღერი, ნურც ისამე.
46. ჯდომაში ფერხი გარეთი ზევით არ უნდა დაიდო;
 პირში რა გედვას, ნუ უბნობ, სიტყვის აღვირი აიდო;
 მეორემ სიტყვა აცალე, თუ არ გთნდეს, ლუკმა წაიგდო;
 ხელს ნუ დაიბჯენ, ადგე რა; იქ ჯონი მხარს არ გაიდო.
47. წინ ჯდომით, უკან უკუხრით ზურგს ნუ მიპყულებ კედელსა,
 ნურც თავს დაჰკიდებ, არ ჰგევანდე თვალნაკლებს
 ოქრომჭედელსა;
 ცალს თეძოზედან არ დასჯდე; რად ექვ ძნელს მოსადებელსა?
 ცხვირის გამოკრკნა არ წაგცდეს, ნუ ეძებ კბილის საჩრჩნელსა.
48. თუ რამ ბატონმა გიბოძოს, ორის ხელით ჩამოართვი,
 აგრევე შენგან მისართმევი ორითავე მას მიართვი;
 ამხანაგსა, მარჯვნივ მჯდომსა, მარცხენათი გამოართვი;
 მარცხენისა მონაცემი კვლავ აქათით წამოართვი.
49. ბატონს ზურგი ანუ გვერდი, ვინ გინდა, ვინ შეაქცია!
 შინაყმასა თუ რამ მიაქვს, საქცევი ნუ დააქცია;
 პატრონისა ბრძანებაზედ მონანი მალ გაიქცია.
 ხაშს, იცოდეს ყველა რამე, ვინ არის კარგი კაცია.
50. კულით და ყანწით, სხვებითაც სასმელს ვინ აწრუწუნებსა,
 ვინ კბილებითა ბატონთან თხილს ამსხვრევს, აღაწუნებსა?
 მცოდინარესა მეფესა უთუოდ გაამგუნებსა.
 ავსაქციელი მარტვილი მამას მწვევ დააჭმუნებსა.
51. ბატონთან და უფროს კაცთან მჯდომი არას გარდეყუდო;
 ზეზე მდგომი ფერხს ნუ იკავ, ნურც ბოძს ხელს ჰხვევ, თუ არ
 ცუდო;
 ნურც იცინი, ნურც რას უბნობ, არც ვინ ჯოხს ჩამოეყუდო.
 თუ ვინ ასრე არა ზრდილობს, მაშ, იქნება სვანი ყუდო.
52. მეფეს თუ რასმე ჰზრახევდე, ნუ ათამაშებ ხელ-ფერხსა;
 ესეც ავია: ვინც მუდამ ულვაშს იკეთებს, იგრეხსა.
 ხელ-ქვემოჭდობით ეუბენ, თავყანს-ეც მერმე ნაფერხსა.
 შენ არ მიწვრთნიხარ, ამაყო! ჰე, ჰგაეხარ ჩაუქსა ვეფხსა.

53. ვინ ხელით აზნაურშვილობ, გამეცალე, წადი იქით!
რად გგონია, უგუნურო, ბრძნის ვისგანმე მაგით იქით?
თუ არ დაშლით, მოწერთა გიჯობს ჯოხითა და გინდა ბაქით.
მაამებლად ვინცა ჰხუმრობ, მო, დაბრძანდი ზევით, აქით!
54. ბატონი თუ ჯდეს მოწყენით, უთქმელად დასულეებული,
ნურც შენ იცინი, მასთანა დუმენი სულდაღებული!
კანდიერება თუ გქონდეს, რა ნახო სუფრა დებული,
ეცადე, ტკბილის სიტყვითა იხილო გაღიმებული.
55. თუ ვინმე ცხენით ან ქვეით თავისთვის ლაპარაკობდენ,
გნახონ და შენსკენ წამოდგენ, შენც მიდი, თუ კამათობდენ.
რა გაგიდრიკონ, დაეხსენ, სძრახევდენ თუ ვის ამკობდენ;
მათ ჰპართებს, გაგირიონცა, თუ გულით არ ამაცობდენ.
56. ყმისგან ბატონის სიტყვისა გაგონა, მოხსენებაცა,
ძნელია ცოდნა ამისი, ანაზღად მოგონებაცა.
ღიახ სჯობს, უპრიანია ურჩებას დამონებაცა;
დასაშლელს ცალკე უშლიდეს, ათავოს მისი ნებაცა.
57. ბატონ-ყმური ლაპარაკი სხვა არის და სხვისა სხვაა,
ჩამორთმა და მოხსენება, ზოგჯერ სიტყვის შენახვაა,
სწორ უმფროსულ-უმცროსულსა ქართულსაც აქვს დასახვაა;
ვინცა იცის ყველაკი, ბევრის საქმის მონახვაა.
58. ოდეს ბატონი ბრძანებდეს სიტყვისა რასმე ქართულსა,
მოკლეს თუ გრძელსა ამბავსა, ერთმანერთზედან წართულსა,
ნუ ლაპარაკობ, დაჩუმდი, ნუ ჰგეუხარ კაცსა ქურთულსა!
მწვედ გაეწყობა მეფენი ზნეკეთილს, ასრე მორთულსა.
59. სიწყნარეს და სიჩქარესა ორსავე აქვს მის-მისი დრო,
სიმშვიდეს და სიანჩხლესა, მდივანბეგო, განა სადრო?
ორზედ უნდა მულამ იყო და იმ ორს კი უფრო აღრო.
სიჩქარე სჯობდეს სიწყნარეს, — რ უ ს თ ვ ე ლ ს ე გ ე ვ ი ნ
შეჰკადრო!?
60. საქციელი და ზრდილობა, იცია, ბევრი სხვაცაა?
ნურავის გინდა ავადა გადუჟვა, ცხვირის ზოცაა;
წინამავალს უკან მიჰყვე, ტალახი არ მოსცხოცაა;
უცხო მდიდარი მის სადგომს მალ-მალე არ ნახოცაა.

61. მეფეს ცხენით სერნობაზედ მართო იქით ნუ მოუვლი,
საითაც რომ კარგი რამ ჩნდეს, და ნურც წინა გარდაუვლი;
ნურც ცხენის თავს დაუსწორებ, ნურც სულ სწორად წინათ

უვლი.

ჯარისაყენც ნუ მოჰყევი, რასა ჰქვიან მასთან შულლი!

62. სამსახურიც ბევრგვარია, საცოდნელადაც ძნელია.
ბატონს თავს მწვე შეაყვარებს, ვინც მისი მართლა მქმნელია,
დაუზარლად და თამამად, ფიცხი უნდა, არ ნელია,
მალ ისმენდეს ბრძანებასა, დღე იყოს თუ სიბნელია.

63. მღვიძარება და სიფრთხილე, სწრაფად აღდგომა ძილითა,
მალე ტანს ჩაცმა დილაზედ, ზორტით ჰქონდეს თუ ღილითა,
ადგილზე მოდარბაზობა, ამდეს მისის მისვლითა,
წყნარი, მდაბალი, თამამიც შეენოდეს გაღმილითა.

64. ზნეობა-საქციელები არ ბნელობს, არის ნათელი,
კამკამებს დაუფარავად, ვითა წყვილიადში სანთელი;
ეს უნდა კაცმან იცოდეს: მის-მის ღროს რაა საქნელი?
ნურას მიზეზობთ, ისწავლეთ, ეს არის თქვენი მსწავლელი.

65. ვინც ამასა იქმს, მასცა იქმს, რაც რომ არ დამიწერია;
ბევრის რამ ზნეობებისა კარგი რამ ანაწერია,
ზოგი რამ იცის წუმამა, მთავრობდა და აწერია,
მაშინც ეშმაკი ებრძოდა, მორია, და აწერია.

66. ამად ვთქვი ასრე გვიანად კარგები, ძნელად საცოდნი;
ძვირად მინახავს ამათი სრულად და კარგად ნაცოდნი,
ამათს მოქმედსა მოყმესა სიავეს არას აცოდნი,
სხვა რომ ერთბირად შეჰყარო, იქნება ყველა საცოდნი.

67. მსწავლელი მოსწავლეებსა სასწავლოს არ გაუძნელებს,
მცირედ-მცირედის სწავლებით ძნელს საცოდნს გაუადვილებს;
ცოტა რომ კარგად ისწავლოს, გაუშვებს, მალ ასადილებს;
უწინ პატ-პატა სწავლებით ამ დიდრონს დააქადილებს.

68. რა სჯობს, დაუკლის ლოცვასა ჟამნთა ზეპირად ცოდნასა?
საეროს გარდა დაფარვით არ აღვიძებდეს მონასა;
ჩურონით ბაგეს ქვეშ იღუმალ არვისა გასაგონასა —
ამის უკეთესს ვინ რას იქმს, ვის ვინდა, მოსაწონასა?

69. პურადობა და გაცემა, მამაცობა სხვას ყველას სჯობს, შეხვეწილზედა ნამუსი, ვინ თავმდაბლა მოაჩვენოს, სახელს ეძებს უზაკველად, ფიცს არა სტენს, გამმარჯვეობს, ამის მცოდნესა ესეცა სჭირს, სამღვთოზედან განამრჯეობს.
70. სარღლობა, ზავთი სარჯლისა, დღე და ღამ დაუზარობა, უწინ სიფრთხილე, გასინჯვა, სიტყვისა მწვე-მიმხვდარობა; საქმე საქმეზედ რა მიდგეს, კატათ სჩინდეს უზამბარობა, შეპართვა მებრძოლთ თამამად, წინ წადგომისა დასწრობა.
71. რაზმის გაწყობა კარგგვარად, აგრევე ნადირობისა, სადავე პირჩვილს სხვა უნდა და სხვაა გამზიდრობისა, მოხშიროს ტყისა, ეწრისა და კიდევ მინდორობისა; ყოველთა უკეთესია, ვახ, ცოდნა ერთპირობისა.
72. ყოვლი ცოდნა ზნეობაა, საბაითიც რადგან ზნეობს, ისლარბენ მთვარეს კოჩები, ვინ ოხიჭურ-ვარადაობს, ხელბუჩხობა, კულის გათლა, ვინ შალაფს ხმარობს, ხარატობს. ისა კარგი ზნეობაა, ვინც გულით არვის ბოროტობს.
73. სიბრძნეს ვერ სწორავს ვერარა, არს ისე მოსახმარია. მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ გამხმარია; სად წახვალთ, თან გამოგყვებათ, საგზლადაც, მგონ, სახმარია; სხვა დაგრჩება და ის არა, გვერდს გახლავს, ცათ კამარია.
74. უცოდნი კაცი, სად გინდა, უხამსზედ გამამაცდება; როს მართებს, ველარ ივარგებს, საქმესაც ბევრსა დასცდება; მუდამ ღინცილობს, მრავალჯერ ცულ-მულდი სიტყვა წასცდება; ცოტახანს თუმცა რამ იყოს, სიბრიყვით მალე წანდება.
75. სიბრძნე სჯობს, თორემ უთუოდ ზნეობა ყველა კაია, მოზლაპრეობაც ივარგებს, საძილოდ — არაკაია; მინდოდა, სხვებიც რამ მეთქვა, მითხრეს: „ეგ კმარა, კაია!“ თუ გინდა ცოდნა, ვინცა თქვა, დამშლელი მამუკაია.
76. სხვა ზნე ყველა მობრყვილდება სენითა თუ დაშავეებით; მარტო დავრჩი უსაჭურვლო. სულ შიშველი ვის შევებით? ეს დარჩების სიკვდილამდინ არც სულ დაუნაშავეებით, ვინც იცით და ვინც არ იცით, ცოდვას მაშინც არ ვეშვებით.

77. პურადი ხარ --- შენ სხვასა სთხოვ? აბა, რაღას იპურადებ?
ქვეითი ხარ, ცხენი არ გყავს --- რით იგადრებ ან ირადებ?
დაბერდი და თვალს დაგაკლდა --- მშვილდ-ისარსა რად არ
დასლებ?

სიბრძნე არის სამუდამო, სიკვდილამდი ვერ გააგდებ.

78. ცხენი არა გყავს, ვერა იქ, რაც სხვაა ცხენთა ზნეობა;
ძალი გაქვს, მრკენალს ვერ შოებ, თუცა კარგია მხნეობა.
ეს უმჯობეა, ვინც იცის ღვთის ზვეწნა, მოქნეობა,
სიბრძნის მის ალაგს რაც ჰხამდეს, მის საქმის მომგონეობა.

79. სიბრძნისაც ეგებ ვინმე თქვას: „მსმენი არა მყავს, რა ვქნნაო?“
მაშინ სჯობს, თუ სულ მარტო ხარ, დაამოს შენი სულთქმნაო;
მას შეგავედროს შესაწყლად, ვინ ზღვა და ხმელი შექმნაო;
ამპარტავანის ვაჟისა იცის რამ კარგად მოქნაო.

80. საღვთო საქმის უმეცარი ბევრს ავს საქმეს წაადგება:
ეშმაკს ვერას ვერ შეუტყობს, რა საცთომლად შეადგება,
მერმე მისად საპასუხოდ კარს ღვთის რისხვა მიადგება,
შერცხვება და წა-ცა-წყმდება, ველარ ოდეს აუღდება.

81. ეშმაკს მარტო წასაწყმედად არ უნდივართ, რად არ იცით?
აქაც უნდა შეგვარცხვინოს ავის ქმნით და ცრუის ფიცით;
მისის რჩევის ამყოლემან კარგი ვერრა ვერ მოვიციტ;
თუ ვტყუოდე, გამამტყუენეთ, ჩემს წინ თავი გარდაიციტ.

82. ვერ ხედავთ, მარტო ჩვენს ეამში რამდენი ავი რამ იქმნა:
რა ცრუ-ფიცობა, რა ზაკვა, უნამუსობა, რა ლიქნა;
ღვთის შიშის გულით განვარდნა, ვისგან სულ არსი შეიქმნა,
ვეჭვ, აღსასრულიც მოვიდ, ავისაც ბოლო დაიქნა!

83. სიბრძნე ის უფრო მტკიცეა, ვის ოსტატი ჰყავს, აწწავლის,
სამების მცოდინარესა, არ ახუნების არდავლის.
გულს დაუდებს და ისწავლის, ბიჭურად კარზედ არ დავლის,
წარმართებრ წმასნას არ ჯერა მობედეთა და არ დავლის.

84. თუ ოსტატი ვერ იშოოს, ხელთა იგდოს საღვთო წიგნი,
უნდა ბევრჯელ წაიკითხოს, შეუვიდეს შიგან შიგნი,
ღირღლოვანი, ღრმად მეტყველი, ეცადო, რომ სულ შეიგნი,
მაშინ სიბრძნის გზა და კვალი უსათუოდ მალ გაიგნი.

85. მე, ნუ გგონიათ, სრულ ბრძენთან თავს ვდებდე, ანუ თუ ვიყო, არცინ მყოლია მსწავლელი, მეტქვას სხვაც, ვიწვრთნა თუ ვიყო;
რაც ვიცი, სამლოხ წიგნთაგან მაქვს, სხვათ არვისგან გავიყო. სანამ ცოცხალ ვარ, ვსწავლულობ, ეს მცნება არ დავივიწყო.
86. წმიდათა ბრძენთა წერილი არის ნათლისა ებგური, სრულ ნათალ თვალთა ნაგები, არ ურევია აგური; იქით გიზახის, მიგიწოდს: „ჰე, ძმაო, თქვენი სადგური — სასუფეველი ზეცათა! ნუ გსურთ სრულ სტიკრი, ჩონგური“.
87. ეს ზნე სჭირს მათსა წერილსა: ვინ ეცდება და ისწავლის, მათი ნათქვამი დარჩება და სხვათა ცუდი ის წავლის; მას ყურს ნუ უდგებთ, ლიქნასა, ვინ სხვათა ზაკვა წაავლის, სხვის, ამ სოფლისა რიტორთა მგზავსია მტერისა, ის წავლის.
88. ყველას რამ ზოგი სრულად იქმს და სიბრძნეს ვერაფინაო; ყველაფრით კაცი დაშვრება, იმით კი არაფინაო; ვის აქვს ზადგურად მთაწმიდა, ეგრეთცა — მთავე სინაო, ვერცა იქ მყოფნი სრულ მისწეთენ, ვერც ბრძენი დეო-ჯინაო.
89. სხვას გარდა ეს ვთქვა: რაზედაც კაცსა გულს განუზურებსა, ღმერთს დაამონებს, პატრონსა ერთგულად ამსახურებსა, სიმართლესა სწვრთის ყოველთა, სოცრუეს ვინ უყურებსა, შფოთსა დაუშლის, დაათმობს, ავპირად ვინ უხუმრებსა?!
90. საფუძვლად ღვთის შიშს დაუდებს, ზედ სიყვარულსა აუგებს, ღმერთსა ცხოველსა დაამონს, სხვას კერპსა არვის არ უგებს, გზას აპოვინებს შეცდომილს, სიბნელეს ნათლად გაუგებს, კარგს საქციელად ამყოფებს, დააშლევინებს აუგებს.
91. უდებსა ლოცვად აღადგენს, მცონარსა გაამოღვაწებს, ღვთის სათნოების ისარზედ ფრთედ მაგრა სწორად დააწებს; ვის ჭირი იპყრობს, ტკბილადრე მოსასვენებლად დააწებს, ვინ დაუჯერებს, ამას ჰყოფს, თორემ დააყრის მას ბაწრებს.
92. ცოდვილს მოაქცევს მართალს გზას, ცდომილსა მის განდგომილით, კაცს განსაცდელსა მადლობით მიათვლევინებს ღუმილით; მას დაანახვებს, ვინ არის ვერვისგან ვერ მიწვდომილით. პეშვით არ კმარა სასმელად, ვის გწყურის, მიღით, სუ მიღით.

93. ჯაბანს გაამხნობს, მხდალს კაცსა, მგონია, გაამამაცებს;
 ანჩხლს დაატკობს და განსწავლის სულელსა კაცსა და უცებს,
 ბრძენს კიდევ სიბრძენს შესძინებს, ბევრს შეუმატებს ბრიყვს
 ხუცებს,
 მოწყენილს, ღიალ, უკუპყრის, სამუდმოდ არ გააბუტებს.
94. ამხანაგის სიყვარული კარგია და მოუმატებს,
 დაამშვიდებს, დაამდაბლებს, აღარავის აამაყებს;
 სიტყვა-მცდარსა დაადუმებს, ვინ ეწყობა სიტყვა-როყებს;
 იმას ღია მოუხდება, ყმაწვილობით ვინ იბრიყვებს.
95. ვინ ძნელს საქმეს დაბმულიყოს, უადვილებს გასაჭირსა,
 ცოდვის თოკით მაგრა შეკრულს მო-ცა-უშვებს მოსაჭირსა,
 სევდა-ნალევლს განუქარვებს, უმსუბუქებს სენს და ჭირსა,
 ამას გარდა სხვა მრავალი კიდევ ბევრი კაი სჭირსა.
96. აწ სიბრძენს უნდა ღეთის შიშის შემსკვალება, მაგრა ჭონება,
 ვინ უამისოდ აპყვება, ეშმაკისაა მონება;
 ჭრისტე მოირთე მის მცველად, მას დაამონე გონება,
 თორ უამისოდ ცუდია, იქნება მართ მამონება.
97. ნუ გეშინიანთ, არ გიშლით — „სოფელი ნურვის გინდათ,
 ცოლი და შვილი, მამული, ძმა, სახლისკაცი, გინ დაო“.
 აბრამსაც ყონდა და ჰქონდა, ღეთის სიტყვას მოისმენდაო,
 თორემ უმისოს საქმესა, რასაც იქმ, დაინანდაო.
98. რასაც შერებოდეთ სიმართლით, ღეთის სადიდებლად
 იქმოდით;
 სად კაი საქმე ისმოდეს, ცუდი გაუშვით, იქ მოდით!
 რა შეიმატოთ, რა ირგოთ, სულ ხმით, ყვირილით იქმოდით,
 თეარა ყოველმან სიცრუეე იზღვიოთ, მწარის იქ მოდით!
99. არ ვიციოთ, მოაქვს წამს რა და ან თვალის დახამხამებას,
 დილას, სადილობს, შუადღეს, სამხარს და ან დაღამებას,
 აქა-იქით სამ სიარულს, სასჯელსა კელავ დახამებას,
 მწუხარებას და გლოვასა, უმჯობეს მას გახარებას.
100. ამად დავშურდი სიბრძენსა, მისი ვარ ესრეთ მმკობარი,
 არ დამრჩეს, თუ რამ ვიცოდე, სხვისაგან შეუტყობარი,
 სხვათაც მოუწოდ სასწავლოდ, ვარ მათი მალლად მხმობარი,
 ვერავინ მოვრჩეთ სოფელსა ცრუს ლახვარ-დაუსობარი.

101. საქართველოში იტყვიან სამასსამოცდახუთსაო
ზნეობას, სხვას არ აგდებენ ქვეყნისას, თუ არ მათსაო,
აქაური რამ ყველაი ვთქვი, ვერვინ დამიზნუთსაო,
ეს დაუცს, მაგრამ მე ვგონებ უფრო ბევრს ხუთათასსაო.
102. თუ კაცის ფიქრი საერთოდ ერთ რასმე შემოკრბებისა,
ქვეყანა გაიზომება, გარ ზღვაში ჭალაქებისა,
ან დავლა ვისმე ძალუძეს მთების და სულ ვაქებისა,
მაშინ შეიძლოს ამას გარდ სულ მოთვლა ზნეობებისა.
103. ბევრი კაცი იმიზეზებს: „არა მყონდა მომვლელიო,
ზნეობა რამ დამესწავლა, ხარის-ხარისხ ამვლელიო“.
ახლა რაღა პასუხი გაქვსთ? აი, თქვენი მსწავლელიო!
ვინ არ იწრთენა, მალმც მოჰკვდები, ნუ ხარ ხანის წამვლელიო.

2. გაბაასება კაცისა და სოფლისა

ეს ერთი პირველი ლექსი დავით მამუკა(ს)
შვილს ჟაფარიძეს ეთქვა- სოფელზედ აშ-
თარ ხანს. ამას ქვეითი სოფლისა და კა-
ციის გაბაასება ამ ერთმან ლექსმან მოახ-
დინა. ასრე არის ყოვლისფერის, კარგისა თუ ავის
საქმისა, ორისავ მიზეზი. პირველ ასრე ცოტათ იწ-
ყების და შემდგომად ასრე განმრავლდების.

„თქვეს: ჩარხი სოფლის სიმუხთლის სამულდმოდ არის
მბრუნავი,
ლხინს მოგვემს, ჭირი გვერდს ახლავს, ხან შვება, ხან
საკმუნავი;
ნურვინ სდევს, ვერვინ მისწვდების, ცხენი ჰყავს ანუ თუ ნავი.
თქმულა, რომ: არვინ დარჩება ბოლომდინ მოუმდურავი“.

აჲა იწყების შესავალი

1. დავით! უძრახეს სოფელსა სხვათ ბრძენთა, შენც აგიტანეს.
მე არ ვემდურავი, მაგრამე, მგონია, მეც დამიტანეს.
ვის ავი უყო, ან კარგი, არცერთმან არ გაიტანეს,
ამად ჰკიცხვენ და ჰბასრობენ, სად უნდათ, ვერ მიიტანეს.

2. სოფელს ჰმდურავ სიმუხთლესა; როს არ მოგყვეს, ჰკიცხავ, ზრახავ; თუ გაამებს, გაუცინებ; გაწყენინოს — სულთქვამ, ახავ; მისებრ შენც თუ არ მუხთალ ხარ, მაშ, ნუ გინდა, ნულარ ნახავ! თორე სიტყვით ორნივ სწორად მსგავსი მსგავსსა განიზრახავ.
3. სოფელს კაცი, კაცს სოფელი მუდამ ზრახვენ სიმუხთლესა, ერთად ზაკვენ; თუ შენც იტყვი, არ ამბობენ სიტყვას მრთელსა; ორივ სწორად მოინდომებს ზან ბნელსა და ხან ნათელსა, აწ მე ვიტყვი მათ საქმეთა, თქვენ შეიტყობთ უმართლესა.
4. მათი საქმე მათ იუბნან, ნუ უღდავართ ჩვენ ნურც ერთსა, სოფელმან და კაცმან სიტყვა თვით მიუგონ ერთმანერთსა. გავუსინჯოთ, რას იტყვიან ერთი-ერთზედ თუ რაერთსა მერმე გავბჭოთ სამართლითა, მადლი მივცეთ უფალს ღმერთსა.

აკათბან იწყების ბაასი სოფლისა და კაცისა

5. ს ი ტ ყ ვ ა პ ი რ ვ ე ლ ი კ ა ც ი ს ა: სოფლის სიმუხთლე, ტრელობა, ვაი, სოფლისა დაწყებით ბოლომდის მრუდად მვლელობა! რა მწვე სიცრუის აფრაა სიმუხთლის პელეგონობა! არას ბრძნისაგან იცნობა მისი ეზომი ჭრელობა.
6. პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს: კაცო, შენ, ღვთის მსგავსად რადმე შექმნილო, ჩემად და ჩემთა ნიეთთა ზე უფლად და მთავრად განზრდილო, ვა შენ, რომ მცნებას გარდაჰხე, ბოლო კარგა ზანს დაქნილო, განშვივლდი დიდებისაგან, უგუნურ პირუტყვიად ქმნილო.

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ი ბ:

7. აჰა, მაცთურო, რომელმან აღმოსთქვი პირით თვისითა შენი მტერობა, სიმუხთლე, ღამითა ჰქმენ თუ დღისითა. ნაყოფმან შენმან არ მომწყლა, არ ვიცი, მოგაქვს ვისითა! ხილვამ სულ მომკლა, წარმწყმიდა; თქვი, თუ სხვით იქმნა

ვისითა?

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

8. ადამ, ამოდ მეტყველო და უგუნურად მზრახველო, უბრალოს რად მყოფ ბრალეულს, შენისას სხვისა მძრახველო? სატანა არ ვარ, არც გველი, არც ევას ცოტას მნახველო; ღვთისგან შევიქმენ საშენოდ, შენ თავს რად ვერ ამიხველო?

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ი გ :

9. ეჰა, სოფელო, მწარისა ტკბილადრე გამომეტყველო, წარსაწყმედელის საქმისა საამოდ მაჩვენებელო, მტერს თუ მტერობა უნდოდა, რად ჩაპყევ, სულ საგმობელო? მაგრამ შენ გპოვა მიზეზი, სრულ ჩემო მაგლოვებელო.
10. დალაცათუ მტერმან შენმან შეიშურვა ეს დიდება, მაშინც შენის ნაყოფითა მოხდა ჩემი შეჩვენება. რად არ უთხარ: ეგ მოკვდება და მეც წყევა დამედება! თავს ნუ მართლობ! ვერ იმართლებ, სტყუი, სიტყვა წაგიხდება.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

11. ადამ, უფლად საპატრონოდ შექმნილი ხარ ღვთისგან ჩემდა, უსამართლოს ნურას ბრძანებ, სტყუი! მართალს რად იჩემ, და? არ ნაყოფმან ჩემმან მოგკლა, დაიჭრე, შენმა მზემ, და არც ერთისა ხილის კამამ, მაგ მიზეზს ნუ აიჩემ, და.
12. რითაც მოჰკვდი, მე გიამბობ მოკლის სიტყვით პირველ ნელად: ღვთის ბრძანების არ-საქნელის საქმის იქმენ რასთვის მკმნელად? მცნების მისის გარდახდომა რად არ ჰგონე დიდად ძნელად? აწ ეს მითქვამს: კვლავცა მნახე უფრო წვრილად აღმომთქმელად.

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ი დ :

13. სოფელო, ტკბილად მეტყველო, სიმწარის მომატყვებელო, სად ჰქონდა გველსა ადგილი უშენოდ, დასაესებელო? თუშეცა ვეცთუნე, შენით არ, სიკეთის გამავებელო? შენით მომკლა და ვანმგესლა, ნათლისა დამბნელებელო!

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

14. ადამ, საქმეს მე ნუ მადებ და ნურცარას ჩემს ნაყოფსა, შენის ნებით ქმნილს საქმესა მწამობს ვითა განაყოფსა; ვინ აბრალებდეს სხვას თვისსა ნაქმარსა, ავადა ჰყოფსა. ევას რჩევით და-ცა-ჰკარგავ ედემსა და კარგს სამყოფსა.

ს ი ტ ვ ე ა ა დ ა მ ი ს ი ე :

15. რა მიზეზია, სოფელო, მაშა, ჩემისა ცთომისა, კურთხევისა წილ წყევლისა, სირცხვილისა და კლემისა? დიდებისაგან სიშიშვლე, ვა, შენის ნდომით ზღომისა, რით შემეცვალა ცხოვრება, ვაგლახ შენ, მე მოკდომისა!
16. პატივითა უპატიოდ, აბა, გავხდი, მითხარ, რისგან? ედემს ვიჯე მოსვენებით, აწ განვეარდი დიდებისგან. შრომით უნდა ვიმუშავო, თორ რით დაერჩე? მაშა, რისგან? შენითა მჭირს ესეები, უაუგოვ, სხვათ-არვისგან.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

17. გაუწყო, ადამ, მართალი, დაისაჯე თუ რა საქმით: ამ მიზეზით გამოვარდი სამოთხით და, აბა ამით: მტერს უსმინე მოშურნესა, შენს შემოქმედს მით რა ამით? მე იმათში არ ვრევივარ, შენ რომე სცთი საქმით სამით.

ს ი ტ ვ ე ა ა დ ა მ ი ს ი ე :

18. მაუწყე, მტერო ბოროტო და ჩემო მაყვედრებელო, სამოთხით გამომძებელო, კარის-კარ მატარებელო, გესლის უმწარვე ნაყოფო, მომრწყველო საჯრებელო, რაზომცა სტყუი, ზისმინო, ცრუვ-სიტყვის მაგემებელო!

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

19. იზილე, ადამ, თუ ღმერთმან წყალობა გიყო რაზომი, ვითარ პატივ-გცა, აწ მაშინც, აბა, ეცადე, გაზომი! რა შეგიშნადა, არ იცი, არც დაედება საზომი. საშვებლად მოგცა ედემი, რა სასურველი, სანდომი!

20. ოდეს ღმერთმან ერთმან, წმინდამ, გვახოვნებთ სამებულმან, პირებითა განყოფილმან, ნებით სწორად დადებულმან — მამამ, ძემ და სულმან წმიდამ — სამთავ ერთად დიდებულმან არასაგან არსი შექმნა ერთმანერთზედ კიდებულმან:
21. ცა, ქვეყანა დაგვამყარა სხვის ყოვლისა შეუძლებად, განაშორა ბნელს ნათელი საშრომლად და მოსვენებად, განყო წყალი, ზე სამყარო, სხვა ქვეშ შეკრბეს, იქმნეს ზღვებად, აწ ქვეყანა განაშენა, ხე-ყვავილთა მდელი ვსებად;
22. შემდგომ შეამყო ცა მზითა, მთვარითა, ვარსკვლავებითა, აწყა თევზნი და მფრინველნი, ვეშაპი სხვას მხეცებითა, ყოვლი ცხოველი მოძრავი, პირუტყვი კარგ-ავეებითა, სრულქმნა ცანი და ქვეყანა, შენთვინ მით იყო შეებითა.
23. აჰა, აღამ, აქ იხილე შენზედ შისი მოწყალება:
არ დაგბადა ბნელსა შინა, ცეცხლის გინდეს რამ ალება.
არც შეუმკობს ცასა ქვეშე, ან მე მაკლს რა ნიეთთა ხლება?
მაგრამ საქმე ასეთი ჰქმენ, მოგვიანოდ გეშველება,
24. ცა ყოვლითა სამკაულით განგიშენა და დაგირო, კვლავ ქვეყანა ყოვლის ნიეთით მით აგივსო, შენ მიიროთო. აწ შენ შეგქნა საბატრონოდ, ბრალი არის, რომ წაიროთო. ამ დიდების მომზირალმან, ჰხამს, სიცრუე არ შეიროთო.
25. სამოთხე დასხა ედემსა, კაცთა ენითა უთქმელი, ეგზომ ტურფა და სანდომი, ვერცალა მე ვარ სრულ მთქმელი; მუნ გაფუფუნა შეებითა არ იყო ურგით სულმთქმელი; თუ მორჩილ იყო იმისი, ვინ იყო შენი დამნთქმელი?!
26. ხატებითა გცა პატივი, სული შთაგბერა ცხოველი, უფალ — თევზთა და ფრინველთა, მხეცთა და რაც არს ცხოველი; შიში და ზარი დაადვა და დაგამონა ყოველი. რად აღირჩიე ამის წილ, ვაგლახ მე, შენ სამოელი?
27. ცად დაგისხა მზე და მთვარე, იგ გამცნობენ ჟამთ-ვსებასა, დღეს და ღამეს, კვირას და თვეს, წელიწადის მომგრველებასა;

ცანი — ცვარსა მენაყოფსა. უფსკრული — წყალს, ჩემს
შეებასა.
დაგვეარგე, თორ არ ვლირსვიყავთ შენს პატრონ-ყმობა-
ხლებასა.

28. ესეოდენსა პატივსა ღირს-გყო და არ შეირაცხე;
ერთის ხილისა არ-ჰამა რად არ ისმინე, გაჰკიცხე?
გაგემარჯვება, გვიჩვენე, თუ გვჯობდა ყველას ერთიე ხე!
ამისი მსგავსი სიცრუე, არ ვიცი, ვისით მოიციხე.

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ი ზ :

29. მუხთალო, ცრუო, მტყუანო, ერთს წამსაც დაუღვრომელო,
დაუნდობარო, მძრახველო, სრულ იქი-აქა მძრომელო,
ბრძენთ საქულარო ყოველთა, უცებთა მწვე-სანდომელო,
რას მყვედრი, რასთვის არ იტყვი, ვინ დააშავე, რომელო?
30. არ სატანამ მოიბირა უღურსუძო შავი გველი?
დედაკაცი მოაცთუნვა, — ვის მტერობას არ მოველი, —
რა ხილითა, არც ის ვიცი: მშრალი იყო, თუ სოველი;
წყუელმცა ხარ მათიანად, შენგან იქმნა სულ ყოველი!
31. თუ მცოდნოდა ეშმაკისა მტერობა და ჩემზედ შური, .
ან შენისა სიმუხთლისთვინ მო-ცა-მეკრა სადმე ყური,
უთუოდ არ დამცდარ ვიყავ, გა-ცა-მეგდე შენ, აღმური,
ვინ მომეცა შემწედ ჩემდა, მომცა, ვჭამე, დავეშური.
32. თუ არ გინდოდა შენ ჩემი მტერობა, ეშმაკთ მოყვსობა,
რად მიეც შენი ნაყოფი, რომელი გულსა მესობა?
მაგრამ ის ჩემსა არჩიე, რა ნახე უკეთესობა,
მე არ მინდომე, მართალი: მაცთური მაცთურს ეწყობა.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

33. ადამ, ადამ, ეგ ვითა სთქვი, თუ ეგ საქმე არ იცოდი?
გონიერად პირმეტყველად შექმნილი ხარ და იცოდი.
ხატმან ღვთისამ, ავადა ჰქმენ, სატანასი დაიცოდი,
მას ურჩ ექმენ, ვინ პატივ-გცა; მაშლა, ვისგან დაიცოდი?
34. რადგან ეგზომი პატივი სამოელ ნახა შენია,
განაღამე შეშურდებოდა, ეს ადვილ მოსასმენია.

მტრის საყვარელი ყოველს მტერს ცდილა და მოუცდენია;
რა გაუყრია ოდითგან, შენებრივ ცრემლი სდენია.

35. დედაკაცს რაღა მიზეზობ? მე გეტყვი: მოგცა ამაღა
ის შემწედ შენდა, შენ მასზედ გაუფლა, გაათავადა.
რად დამორჩილდი ავ საქმეს? იცოდი, რომ ჰქმენ ავადა.
თავისი ლიქნა სატანამ შავით მალ გაათავა და.
36. მე შენთვის შემქმნა, გიბრძანა ერთისგან კიდე ყოვლისა,
ვინ წამსა შინა თვალისა იცის სრულ არსთა მოვლისა,
არ ურჩებისა ხმარება, მორჩილებისა ცხოვლისა;
სტყუი, ნუ მართლობ, არ იქმნა უძვირეს მის პირველისა.

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ა :

37. საწუთროვო, როს ვიცოდი მე მტერობა ეშმაკისა,
ზაკვით გველის მობირება სატანასგან მის შავისა?
არა ვიცი აღმართ-დაღმართ, კვლავ ადგილი სივაკისა;
შენ იცნობდი სამთავ კარგად, ისიც შენით მომიმკისა.
38. დედათა მალ ცთომილება შენვე იცი, წამი ერთო,
ხან სიმდიდრის მომცემელო, მალე კიდევ წამი ერთო.
მე არ გინდი, სამოელ გუნავეს, მეც დაგკარგე, წა, მიერთო!
დამემტერე ასეთ გვარად, ველარათი წამიერთო.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

39. ადამ, რად გინდა მაგდენის ტყუილის სიტყვის-მგებლობა,
შენ მეცნიერად შექმნილო, უმეცრებისა მჩემლობა?
სრულ სიკეთითა აღგავო, არ მოგცა ავის მცნობლობა;
თავის თავისა უფალმან ბოროტს რად უწყე მფლობლობა?
40. ავს ამისთვინ ვერ იცნობდი, რომე შენში არ ერია;
რასთვის შესციდი? მცნებას დასციდი. არ გამართებდა, შეგერია?
ჩემს წაყოფს რად დააბრალებ? ძალად როდის მოგერია?
შენის ნებით თუ არ გექმნა, უგფლებოდა ვერც მტერია.

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ი თ :

41. მაშ, თუ სრული დავიბადე და სიცრუე არ გამომყვა,
ევზომ დიდი და უმსგავსო ავი შენზედ, თქვი, რით მომყვა?

თუ ბუნებით არა მქონდა, რახან აღვდეგ, რად თან აპყვა?
მაგით უფრო არ შენ მომკალ, ნივთთა შერთვით თუ არა
მყვა?!

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

42. აღამ, ყოველთ წმინდათ თქმული მაგაზედ წინ აღვიდგების,
ლეთისგან შენში ავის ნდომის გარევა არ შეიგების.
ხელმწიფება გაქეს თავისა, ავი ნურა მოგინდების,
როსაც ხილვა მოინდომე, თვალი მაშინ დაგიდგების:
43. ბოროტს მაგად ვერ იცნობდი, რომ არ ჰქონდა მის ბუნება,
არ თუ გექმნა, რასა ჰქვიან, ვერცა გეწყო მოგონება!
ცოლმან ვითხრა, მალ ჩამოჰყევ. დაუჯერე, დართე ნება,
ღმერთს განშორდი მოწყალესა, მტერმან გიწყო დამონება.
44. ოდეს ჰქმენ საქმე უშვერი, მაშინ სცან გემო ცოდვისა,
ცოდვის უქმნელმან არ იცის, ცოდვილ]სა თუ რა მოსდისა;
რახან სცდეს, გემო იხილოს მის სიმჭარისა მოდისა;
უთუოდ მთხრებლში შთავარდეს, ვინ უადვიროდ რბოდისა.

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ი ი :

45. შეუქვდემლად მუხანათო, ვითარ სრული დავიბადე?
შენის ნივთის ნაწილითა არ ამ სახით დავიბადე?
ეგზომისა სიცრუვისგან წილს არ მიდებ? ადე, ადე!
ჰაი, სტყუი, მირვეიხარ, მისთვის ასრე გავიხადე.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

46. დაღაცათუ აღიზილე და აღიგე ჩემის მტერთა,
ყოვლი არსი სიტყვითა ჰყო ერთითა და არ-ბევრითა.
შენ ხატებად თვისად შეგქმნა ზელით შემოქმედებრითა;
შემოქმედსა ნივთთ განწმენდა არ შეეძლოს, მითხარ, რითა?

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს ა ი ა :

47. სოფელო მრუდო, უკეთუ დავიბადე საქმით სრული,
არ მერია შენი რამე, შენებრ ტრელი, შენებრ ცრული,
მსგავსსა ღვთისას ასე მიყავ, თუმც გენახე გაკიცხული,
არ უარესს დამმართებდი? მუდამცა ხარ გაბასრული!

48. მაშ, თუ ბუნებით სიცრუვე არ მახლდა, შენით მომეცა, უფრო არა ხარ მტყუანი? მაგას ჩამოგყვე, მომეცა! არ მოგელორე სამოთხით, მგონია, კიდევ მომეცა, შენით წამერთო დიდება, ნუ სცრობ, ისრევ მომე ცა!

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

49. ეგეც კმარა, შენ კარგად ხარ. სამტროდ ვინ ეს გაქნევიანა? რას მამბრალე მე საბრალოს? გვერც არ გიზის, ე, ჰე, ვინა? ცხოვრების წილ სიკვდილითა ჯოჯოხეთს დაგანთქმევიანა, შენ ეგ გიყო და უბრალომ მეც მაგან დამაწყევიანა.

50. ადამ, რა ვქმნა? არ დასულდი წყევითა და გინებითა? აწ გრქვა, რითაც დაგემართა, ძალითა თუ გი[ნ] ნებითა: მართალს გეტყვი ყველაკასა არ-ფერობით, არ-თნებითა, ვიცი, უფრო გამიწყრები შენ ამის მოხსენებითა.

51. სამოელსა და სატანას როს ესე დაემართოდეს, იზრახეს ამპარტავნება, მაგრამ არ წარემართოდეს, ანგელოზთ ბუნებისაგან უფროსად აღემართოდეს, გარდახდეს საზღვარს უფლისას, რაზედაც დაემართოდეს.

52. გარდმოცვიდენ ზეციდამე და უფსკრული დაიმკვიდრეს, ნათლისა წილ ბნელად იქმნენ, ვერაოდეს ველარ იდრეს; ანგელოზი შეიცვალა, მსწრაფლ ეშმაკად ასრე იდრეს, ტყუილს არას მოგახსენებ, ზელს ზელზედა რაზე იდრეს?

53. კელავც გითხრა დიდი პატივი, უფლება მიწიერისა, მათ უნივთოთ წილ დადგენა უნებს შენ ნივთიერისა; გამცნო მის შიშს და ბრძანებას ქვეშ ყოფა მშვენიერისა, მისდა მადლობის შეწირვა ყოველთა შესაფერისა.

54. საზღვარი დაგდვა, გიბრძანა: ადამ, ნუ მეუორჩებია, ამ ურჩებისა ნაყოფსა ნუ სქამ, ნუ შეეხებია! თუ სქამო. მუნვე სიკვდილით მოჰკვდე, ვერ მოუორჩებია; ნეტა, თუ ის არ გეხმია, სულ ქვეყნით ვერ დარჩებია.

55. ამის მსმენელსა მაცდურსა შურდა დიდება შენია. განზრახა მცნების გარდასვლა, შენგან არ მოსასმენია. უსმინე მტერსა, იუფლე სიკვდილი, ბევრი სენია. რა ვქნა? თუ არ ვთქვა, მამბრალე, თორე რა მოსახსენია?

56. ნუ გგონია, ვაშლით მოჰკვდი, ნუთუ ყურძნით ან ლეღვითა, არა! — მცნების ურჩებიტა და ბრძანების გარდასვლიტა. უფრო კიდეე — განღმრტობისა ნღომიტა და სურვილიტა. რაც სიცრუე წარმოსცალე, მალ მიიწყევ ისრეე წყვიტა.

57. აწ ვინ არი ჩვენ ორტაგან უცრუე და მუხანათი? სრულ ქვეყანა ხელტ მოგცა და ცა შეეგმკო, ესრეტ მნათი. განღმრტობასაც შეეცილე, რადგან იყო დიდ ხანათი, შეადარე ჩემს სიცრუევს შენსა სჯობდეს რა ხანათი.

პ ა ს უ ხ ი ა დ ა მ ი ს ი ი ბ :

58. მაცტუნვე, დავსცდი დიდ საქმეს, ჰო, ჯავრი შენი. მაცტურო, აწ რად არ სცხრები, სიცრუვის ორღანოვ, ტკბილო სამტურო! უფროსლა მტერობტ ჩემტ შეილტა, წამს ბარული ხარ, წამს — თურო. ორს ბევრს გარდაჰკარ ლახვარი, სხეატ უმარავეტა სამტ — ურო.

59. ბოლოს არვის გაუტავებ, ვინც დაიპყრობს დიდებასა; ვინ ლარიბობს, არ აღირსებ მოსვენებიტ თავს დებასა; ზოგს გლოვიტ არ გამოიყვან, არ დაუვსებ ცეცხლტ-დებასა. რად არ იცი, გატავება უნდა დიდსა მტერობასა.

60. ნუ იკბინები სასტიკად, ასპიტო, გველო ველისა, ნულარ მწარდები, სამსალავ, ბოროტო უფროს ნავღლისა, ნუ მუხანათობ, ნუ ჰრელობ, მგზავსად შენისა ძალისა, თორ მოგიხდება გარდახდა, როსცაა ჩემის ვალისა!

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

61. მე თუ ვჰრელობ, შენ რას მბაძავ? შენ ხარ თავის ნების მქმნელი, შემოქმედმან რაც რამ შექმნა, ცხელი რამ თუ ანუ ნელი — ცა, ქვეყანა, ზღვა, უფსკრული, ნათელი და გინა ბნელი, შენგან კიდე არვინ არის თავისისა თნების მზმელი.

62. ცა, ქვეყანა ასრე არის ერთმანერთის იძულებიტ: ციტ თუ ცვარი არ მომეცეს, მხედავ, ვხმები დარგულებიტ; ჩემიტ აღწოვს ჰაერივე, თორ არ მისცემს მას ბუნებიტ. დიდს ზღვას ქარი ააღვლევეს, არ აყენებს თავის ნებიტ.

63. მნათობთ ეტლი არ უტევებს წამსა ერთსა განსვენებად,
მზე მომახლდეს — განმაახლებს; განმეშოროს — შემიქს ვნებად;
წელიწადში ოთხგზის შემცვლის, ხან — სიცხედ და ხან —
ყინვებად;
ჩვენ არვის გვაქვს ხელმწიფობა, ოდენ შენ ხარ თავის ნებად.

ს ი ტ ყ ვ ა ა დ ა მ ი ს შ ვ ი ლ თ ა ი გ :

64. რა ვქმნათ, სოფელო? პირველსა მამაჩვენს ცთომა დაადევ,
შეათვისე და ატომე, შეპრთევე და აძმე და ადევ;
სიცრუეზეუდან აუფლე, სიმართლით გარე განაგდევე,
შენი ნღომა გვაქვს, მის გამო გვიდევნებ ჩვენცა, განა გდევ?

65. რა მამაჩვენი ადამი აცთუნე, ცთომა დაიღო,
შენი სიცრუის ნაგრეხი წნელსავით ყელსა მოიღო;
ღმერთს განაშორე, სიცრუევე შეირთო, იძმო და იღო;
მშობელმან ჩვენმან ამისი წილი ყოველთა დაგვიღო.

66. რაც არსია ყოვლი რამე, თვის-თვის ნივთზედ ჩამოდიან,
მფშვინეიერნი — გვარ-მოდგამით, თესლით მდელი აღმოდიან;
ზოგთ ნაყოფი წმინდა მოაქვთ, ზოგთ — უხმარი და ღვარძლიან;
კვლავ მშობელნი თვისთა შვილთა მისავ საქციელზედ ზრდიან.

67. ნაყოფი რაცა ერთბამად ძირთავან აღმოიღება,
ჩვენც მის ფესვიდამ მოგვიდგამს, მით ბოლო არ მოიღება,
შენით ცთუნებით მის გამო ჩვენშიაც შემოიღება.
რას მოგვეცემ, შენვე დაგრჩება, სხვით არსით არ წაიღება.

68. შენ ხარ შემწე ჩვენის ცთომის, მაგრამ არას დალონდები,
ღღეს სხვაფერად აგვიჩნდები და ხვალე სხვად გამოსჩნდები.
მოგიძულებთ — კვლავ საცთომლად ლიქნით ხელში
დაგვიბნდები;
ასეთს გვარად რას მოგვირთავ? კიდევ უფრო მოგვინდები.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

69. პოი, ძენო ადამისნო, სცთა პირველი დედა თქვენი,
მამაც იმან მოვიღორათ, ცთომილები მალე მფქვენი;
მაგით სხვას ნივთს ნუ ემსგავსეთ, თქვენ მალა ხართ და სხვა —
ქვენი,
თვარ კაცობას ნულარ იტყვით და პირუტყვნი დაირქვენი.

70. იცი, ენუქ სათნო ეყო ღმერთს, მისცვალა სამოთხე და, ნოე ჰპოვა მის წინაშე მადლი მტკიცე, არ მოთხე და; აბრამს რწმენა შეეცადა სიმართლედ და მსხვერპლს მოხედა, კვლავ ელია ცეცხლის ეტლმან აღიტაცა მეოთხედა.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც თ ა ი ლ :

71. ვითარ გვარწმუნებ, სოფელო, მის ცთომის უწილობასა, ან დაგვაჩერებ ევასა წყევას ქვეშ-უწყოფლობასა, მის ცთომილთ თესლთ დათესილთა სიმართლის ნაყოფობასა? ამათით ხელთ არ ჩავცვივდით, ვა, შენსა მაცთურობასა!

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

72. არ წავრთმევია უფლება კარგის და ავის მფლობლობა, ხელმწიფება გაქვს ორისავე, რომლისაც გინდათ მპყრობლობა. რომელიც გინდათ, იმას იქმთ, ჩემზე. რასი გაქვსთ ბრალობა? ძედ ღვთისა გიხმობთ, იჩემოთ, — ვინ დაგიჩეროსთ ობლობა?!
73. არც ეს იცი: ორი გზა გაქვსთ — სიცოცხლის და სიკვდილისა, წინა გიძესთ გასავალად სინათლის და სიბნელისა, რომელიც გთნავსთ, მაზედ წარხველთ, რა საქმეა სიბნელისა? აღირჩიეთ უმჯობესი, ნუ გსურსთ ცრუ მოქადულისა.

74. არც ზვაობით სათნოება წარგემართოს, ეს იცოდე! თუ თავით რას მოქადულობ უღვთოთ რასმე, ეს იცოდე! რაც კარგი გკირს, ყველა წახდეს, აღარც მისგან დაიცოდე, ის გიხმს შემწედ სიმართლებედ, თორე ცოდვით დაიცოდე.

75. თვინიერ ღვთისა კეთილი არარა წარემართების; ვინ წმინდობს მოღვაწებითა, ფინიკებრ აღემართების, მწიკლოვანება განწმდება, სიმრუდე დაემართების; ვინცა აღზავდეს, დაეცეს, ეს ასრე დაემართების.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც თ ა ი ე :

76. არა რის ხელმწიფება მაქვს; როსცა გინდა, შემაწუხებ; რაც მაქვს ხელში, გამომართმევ, თვალს ჩავრითა დამიწუხებ; მე კარის-კარ მართონინებ, მტერს მიცემ და მაზედ უხვებ. ფუ, ეგზომსა სიცრუევსა, რომ შენ ძლით გულს ლახვარს

გიხებ!

პასუხის ოფლისა:

77. ვინ მას ცთომასა შეუდგეთ, ნანდვილვე ისრვე შესწუხნეთ;
ვინ მე მყვარობდეთ უძღებად, დასკმუნდეთ, თვალნიც
დასწუხნეთ.
რა ჩემის სიყვარულის წილ ქრისტეს სურვილი მიიხვნეთ,
თუ ვინ გამძღავრობდესთ, გამტერობდესთ, აღარა რათი
დაინთქნეთ.

სიტყვა კაცისა ივ:

78. რას პირით გვიშლი, სოფელო, მის ჰაქმის უქმნელობასა?
გვსწავლი და მერმე მოიღებ სიტყვისა მწვე-ძნელობასა,
გინდა და მაგრამ ვერა სთმობ ტყუილის უთქმელობასა...
გვიკვირს, პატრონი ვით გითმობს მაგდენს უსამართლობასა!
79. მამაჩვენმან შენით პოვა ეგზომ დიდი შეჩვენება!
შენვე გყვედრი, შენვე გკიცხავ, შენვე გვმძღავრობ, ვით
ეგება?
ხე ხილისგან, ხილი ხისგან, ნათქვამია, იცნობება.
შეხეთ მაცთურს, უაუგოს, კიდევ რასმე გვეუბნება!
80. სხვა ნივთი ვით გამოიღოს ნათესმან ძირის გარდამო?
არა გასმია, ვინ არის კაცთა ძე თავი აღამო?
შენი სიმწარის საწდევნი მაგისგან უფრო არ დამო?
მაგრამ ნაცვალი პატიუი მიიღე ზეცით გარდამო.

პასუხის ოფლისა:

81. კაცნო, ძენო აღამისნო, გაიგონეთ, კიდევ რა ვთქვა,
სრულ მართალი, არ ცრუული, პასუხიცა ველარა სთქვა;
მოგამშვიდო გულფიცხელი, რაზომცა ხარ გულადა ქვა,
რა გასინჯოთ ჩემი სიტყვა, მერმე მართალი დამარქვა:
82. ქრისტეს მოსვლამდით თუ ჰქონდათ ადგილი მაგა სიტყვისა,
თორე აწ რა გაქვსთ პასუხი, მიბრძანეთ, ვინ რას იტყვისა!
მან ტვირთი თქვენი იტვირთა, სიმძიმე რომე იტყვისა;
ღმერთი კაც იქმნა, დაგიხსნათ, ვინ ნებსით თავი იტყვისა.
83. იტყვით: აღამის ცთომისა წილი გვიც მითა ვსცთებითო.
მიბრძანეთ, ერნო, მითხარით: თქვენით იტყვით თუ კრებითო?

არას მიჯერებთ, მაგრამე აგრეც ვერ გავიყრებითო,
მაგით ვერ მორჩიეთ წარწყმედას, ნუ ბორგიო, ცუდად
შერებითო!

84. აწ გითხრა თქვენი ჭკვა-სიბრძნე, რა ძნელი მოგონებანი,
ფიქრით და რასმე განზრახვით შორს საქმის მიახლებანი,
ხელოვნებითა კარგითა ძველისა გაახლებანი;
რასათვის მაგდებთ ერთგულსა? თვით მინდა თქვენი ხლებანი.
85. მოიხვამთ ტკბილის ხილისას, ტყავს სხვაზედ შთამოაცომ და,
ჯერკვალსა, ძირით მწარესა, გარ რასმე შემოაცობ და;
მის პირველისა სიხნეშეს დაატკობ, გამოამობ და,
ამით საქმითა სხვა სხვითა ბუნებით შემამცვალობ და.
86. კვლავ მოიტან სამფერ ხილსა, სხვას ნივთისა ხესა დამყნი,
სამსავ სხვაფერ განახარებ ხილითა და ზოგს აქვს სამყნი;
მის პირველის ბუნებასა შესცვლით, არ ხართ ვით ბაყაყნი,
სხვას ცხოველს რას ემგზავსებით, ვინ არ იყოთ ცრუ, ამყნი!
87. მწარეს ნუშს, მყავეს ბროწეულს ამასაც ასე გამოსცვლით:
ორსავ ძირში მკვარს გაუყრით, ჰიტკობებად ამით შესცვლით;
რა ნაყოფსა გამოიღებს, ავისაგან კარგსა მოსთვლით,
მე სრულ რასთვინ მათქმევინებ, თქვენ საქმესა თქვენ ვერ
მოსთვლით?
88. არ თქვენს უფრო შემოქმედმან ზელიწითოს ნივთთ განწმედა?
ქნას რა უსასწაულესი, მოგახსენო აწ თქვენ მე და;
დაიმდაბლოს თავი თვისი, გარდამოხდეს თქვენდა მწედა,
ეშმაკს აღარ დაგანებოსთ, არ ინებოთ თუ წარწყმედა.
89. გამოირჩია უფალმან ნაშობთაგანი ევასა,
ქალწული წმინდა მარიამ დახსნის მის გამო წყევასა;
განზორციელდა მის სამოთ, გარდახდის თქვენსა ზღვევასა,
ეს უხმდა თქვენის სიცრუით ეგზომსა ტყვევნა-რბევასა.
90. მარიამის პატივითა ევას წყევა აღმოხოცა,
ადამის თბე შეიმოსა, მტერნი მისნი დაამხოცა;
გველმან ზაკვით რომ გიქადა, კაცნო, ამან განგალმროცა,
უკვდავება თქვენ მოგმადლა, მოშურნე კი დაგიმხოცა.

91. ნათელ-ილო და დაგიდვა სახე მის ნათლისღებისა,
ძველისა მის თბის დანთქმითა ახალი მიიღებისა.
ეს ცად აღგიყვანსთ ამ სახით, დაწმული განვლებისა,
უზეშთაესი იშოვეთ სამოთხის კარ-ბალებისა.
92. ძველს ადამს კი განიძარცვავთ, რახან ქრისტე შეიმოსოთ,
ძედა ღვთისად აღმოხდებით, ნუ გგონიათ, შეიმოსოთ!
უკვდავნი ხართ, განღებულნი გვერდი ნახოთ, სისხლი მოსოთ,
თქვენს სიკეთეს ნუ აბრალებთ, თბე თქვენი ღვთის მარჯვნივ
მოსოთ.
93. თვით ივნო, თქვენ უვნებლობა მოგცათ წყლით, სულით
შობილნო,
ცხოვრებისა და სიკვდილის — ორისავ ახლაც ცნობილნო.
რომელიც გინდათ, ხელთა გაქვსთ. რას თავსა მართლობთ,
ძმობილნო?
ვინ ეს წყალობა უარვეყოთ, პირველის უფრო გმობილნო.
94. ადამ თქვა თვისად სიმართლედ საქმისა დაუცდელობა,
თქვენ აღარა გაქვსთ მიზეზი, თავის მართლების მცდელობა;
კარგსა და ავსა ორსავე იცნობთ, ნუ გინდათ ხელობა;
არ იცით, არვის შეგვრჩებათ ტყუილი, ცრუ-მფიცველობა?

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც თ ა ი ზ:

95. სოფელო, ეგ ჭეროვანი თქვი: როდესცა ქრისტე მოვა,
შეტომილნი მომიძია, მხეტა პირში ღრღენად მპოვა,
უჩინარის ადგილიდამ მისი მანვე მომიშოვა,
შენგან მკვლარი — ჯოჯოხეთით აღმადგინა, აღმამსო, ვა.
96. რა კიდე აღარ მებხნები, მაცთუნებ, შემაცოდება,
რამდენ რიგითა საქმითა გინდა ცეცხლისა მოდება?
დილას გვახარებ, სალამოს მოვა ტირილი, გოდება;
არ გაგძლება, ასეთი იცი საქმისა მოდება.
97. თუ განგვამდიდრებ, ზღვაობას ჩაგვიგდებ გულსა საწყენსა,
ღვთის ნებაზედან, იცი, რომ აღარ მიმიშვებს, მაყენსა.
როს დამამდაბლებ, საგმობარს სიტყვას მათქმევ და მაყენ სა?
ლოცვაზედ წასვლა გვინდოდეს, ქვე ჩაგვსვამ ზეზე ამყენსა.
98. ზღვით და ხმელით — ორითავე შემაწუხო, ამას ცდილობ,
დილას ერთით და მეორით აღმამფოთო, ხან სადილობ.

მათქმევეინო ღეთის წინაშე საგმობილო, ვით გმობილობ,
მერმე მითხრა; „სიტყვას დასცდი, უგუნურო, ავად ზრდილობი“

99. განგვახარებ, სულიერსა საქმეს ყველას დაგვაიწყებ;
რა მოგვაწყენ, მწუხარებით მცონარებას აღმოვიწყებ.
რა ვქმნა შენი გარდამკიდე? მუდამ ვტირ და ზშირად ვიტყებ.
ზოგს განსწავლი ყოვლის კარგით და მე ასრე გამაბრყებ.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

100. კაცო, იცი ორიე კარგად, რომელია უარესი,
რაზომ ღიდის საქმითა სჯობს ძვირს კაცს უიეფესი?
მაშ, რა გინდა ეგე რამე უმჯობესის უღარესი?
უგუნურო, რასათვის ხარ ავზედ უუმოსწრაფესი?
101. კვალად გასწავო: რა იყავ, რა ხარ და რა იქმნებია?
— მიწა ხარ, მტვერი, რომელსა სთრგუნვენ სრულ
პირუტყვებია.
პატიე გცა ღმერთმან მსგავსებით თვისითა, არ გეთნებია,
მოგცა უფლება ყოველთა, ჰხედავ, რომ დაგმონებია.
102. არ მარტო ნივთთ უფალი ხარ, უნივთონიც გმორჩილობენ;
წმინდათ კაცთა ანგელოზნი ემსახურნეს, არ ურჩობენ;
ეშმაკიცა ბევრმან ტყვე ჰყო, თავზედ ფერხს გარდაცმულობენ;
ვინ ხატება დაიმარხოთ, ვერა რამე ვერ გურჩობენ.
103. სასუფეველი მოგეცათ სამკვიდროდ და მამეულად,
თქვენი არის ღღეის წალმა, ნულარ უჭერეთ მისეულად.
ვინც იესო შეიმოსოთ, ვერვინ გმძლავრობსთ მოსეულად,
ცოტა ხანს თუ ხორცს გატკენდესთ, ვერა გაენოსთ სულსა
სულად.
104. რად მოყვარე ხართ, უკვდავო, მოკვდავის ცრუ-ღიდებისა?
იმ პატივისა პატრონსა ესე ვით მოგინდებისა?
თუ შეირაცხო ღეთისაგან, ის აღარ წაგიხდებისა,
თორემ მიწა ხარ, უძღური, ღირსი სკორისა ღებისა.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა ი ც :

105. მინდა ყოველი სიკეთით, ყოფა სიმდიდრით, სოფელო,
სახელით განვლა შენ მიერ, ცრუ ხანის წამ-საყოფელო,

ზეცის ქალაქსა მკვიდრ-ყოფა, მის წილად არ-სამყოფელო, არამედ შენვე მატუნებ, ტკბილად-რე შემომყეფელო.

106. თუ მდიდარ მყოფ, კიდევ უფროს დიდებასა მომანდომებ; რთს შემომყრი დიდს ლაშქარსა, თავსა დიად მომაწონებ, მერმე ერთს სხვას წამომჭიდებ, მომრევე, იმას დამამონებ; გგონია, რომ შენს სიმუხთლეს ვერ ვხედვიდეთ? ამას ჰგონებ?
107. უფროსი ვიპყრა ქვეყანა, სხვათ დარჩეს უმცირესია, ვირ წამჭიდებდე, სრულ მზრახავ, იტყვი, თუ: „მაც, არ ესია“. მასცა არ იპყრობს სახელი, არ უნდა უყეთესია, მაგრამ ეგ შენი ნარჩევი, ვიცით, რომ უარესია.
108. უთვალავი ოქრო-ვერცხლი მქონდეს, თვალნი თლილნი ხშირად, არ გამაძლებ, სიხარბესა შემყრი, შემაქ დიდად ჭირად; ჩემი მყვანდეს შევნიერნი და სხვას ესვას რამ დუხჭირად, ფუ, წყეულო, მომანდომებ, შოვნადც შემიქ გასაჭირად!
109. მედგას ცხენნი ბედაურნი, ფიცხნი, კარგნი, მუხლად მაღად, ოდეს ვნახო ერთი სხვისა თოხარიკი ლაღად მავლად, ან ნებთა გამოვართმევ; თუ არ მომცემს, მერმე — ძალად. ასრე გამხდი უსამართლოდ, არ მყოფ მისად შესაბრაღად.
110. სხვა რამ ნივთია შენი, რაც სადები, კაცთა სახმარი, არასფრით არად განმაძლებ, ვარ ვით შიმშილით მომყმარი; მიძახდენ, არვის არ მივსცემ, ძახილით ხმანი დამხდარი, სად ხმება, სად რა წახდება, იქავ ძეს ცუდად წამხდარი.
111. უქორწილოთა ქორწილი ჰსურის და ეოცნებიან, ქორწინებულთა ნიადავ სახმარნი ეზრუნვებიან. უშვილოთა სწვავს წუხილი, მუღამ ერუდუნებიან, შეილ-ბევრიც, ქმნილა, მრავალჯერ შენის ჯავრითა დნებიან.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

112. ვინათვან, კაცო, სიმდიდრის მოცემაზედაც მყვედრია, კეთილი გიყო, მაშ, რაღა, ან შენ რას შემომჩერღია? თუ გღარობდე, მას უკან მოცემას შემომყვეღრია; აწ მართალს გეტყვი, მაცალე, მე ცრუს კაცს არ შევედრღია.

113. მითქვამს: ყოვლი ჩემეული მოკლეა და განბრუნადია.
მინდა, მოგცე საუძღებოდ რაღაც, რა კი მებადია;
შენ რასთვის იქ? გონება გაქვს კარგის ქმნის დანაბადია.
ყმაწვილურად მისთვის ლაყბობ, გვერც არ გიზის რომ გაღია.

114. თუ გყვანდეს სპათა სიმრავლე, ურიცხვი ლარი დაგედვას,
ყოველს ქვეყანას შენისა შიშისა ზარი აღედვას,
კეთილს უყოფდე ყოველთა, მით ავი აღარ მოგედვას,
ნუ მოიწყინებ გუნებით მდაბალთ წყალობით მოხედვას.

115. რად გინდა შენი ქონება, დასალბობლად, მღილთ საქმელად?
რად არ ირცხვნი მშვიერთაგან, საზრდო გედვას ძველის-
ძველად?
რად არ იცი, ღმერთს ავასხებ, რა გამოსჩნდე გლახაკთ
მზრდელად?
როს დაგჭირდეს, ბევრ-წილ მოგცეს და მოვიდეს შენდა
შველად.

116. თუ ეს არა ჰქმნა, თავს იღვა ტანჯვა მის მდიდრის ლაზარეს,
მოკვდე — აქ დაგჩეს სალარო, გიკრეფდენ მრავალს მოზარეს.
რა გარგოს, მუნ რა მიხვიდე? ცეცხლსა შთაგადონ საზარეს.
მას შენატრიდე, საბრალოვ, ვინ გთხოვდეს აქ სამაზარეს.

117. აბრამის წიალს იხილო შენი მთხოვარი პურისა,
ის ფუფუნებდეს, იშვებდეს, შენ აღში წყალი გწყურისა,
სოვლის თითისა დაწება გამხმარს ენაზედ გსურისა,
რაზომცა ცრემლით ითხოვდე, აღარ გყვეს მომგდე ყურისა.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა ი თ :

118. სოფელო, ჩემობ სიმართლეს, ეს რა სიმართლის მგვანია?
ნუ ამბობ: ცრუ ხარ, მართალი შენი არ შესაგვანია;
უსამართლო ხარ, უწყალო, ვით მულახელი სვანია.
ვნახე, სახლს მდიდარს შეუხედ, ნაცართა უწყე გვანია.

119. დიდებულ მყოფ ყოვლის საქმით, მნახ-მსმენელთა სანატრელად,
დაგჯერდები, აღარ ვიტყვი: სოფელია ჩემზედ ჭრელად.
ხრიეს გარდამკრავ, ზურგზედ დამცემ, შემიქ მტერთა
საყვედრელად,
ბოლოს მაშინც მუხანათი ხარ, არ იყო პირველ ტრელად.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

120. კაცო, მაგას ამად გიზამ, მიმადლიდე მე და ბედსა, ანგარებ და უსამართლობ, გაირისხებ შემოქმედსა; მაშინ ცეცხლსა მოგიკიდებ ტალს-კვეს შუა, ვით აბედსა, ბოლოს როგორ გაგითავებ სიკეთისა ავ-მოქმედსა?!

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა კ :

121. თუ ეგ გპირდეს მარტო ოდენ, ანგარსა და უსამართლოს, წაართმევდე, ნახო ვინმე საიმერლოს ან საქართლოს, კახეთს, ოდიშს, გურიასა, გარ ვინ იყოს, ან საფართლოს, მხოლოდ მრუდნი გაბრალებდენ, მართალთ ყველამ
განგამართლოს.
122. მაგრამ ცოდვილთ და უმანკოთ საერთოთ შემაწუხარო, წამს თუ შევებისა მომცემო, ხანგრძლივ და დიდხანს უ ხარო. ცას თავსა ჰკრევდეს ზიმალით, თავი არც იმას უხარო, ყოვლის საქმით რომ განმართლდე, იობით მაინც ცრუ ხარო.
123. რა უყავ მართალს, უმანკოს იობს, მსახურსა ღეთისასა, რაზომის სიმდიდრისაგან გლახაკ-ჰყოფ უბანს სხვისასა? პირველ ტახტზედან მჯდომარეს ჰკორეის სომ უამს ზიციხისასა: ამით, ვეჭვ, პირსა დაგიყოფ შენისა სიცრუვისასა.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

124. იობის საქმე, იცოდე, ჩემი რა დასაბარია? თვით წიგნი მისი მოგითხრობს; იკითხე, ვის აბარია? ეშმაკმა უყო, განცადა, მაგრამ იგ ვერამ არია, მანცა მიუშვა მიხედვით, ვის უძრწის მთა და ბარია.
125. ვინ გონიერ გულისხმა ჰყოთ მის ამბვისა მომსმენელთა, სარგებელი დიდი გეყოსთ მსგავსად მისებრ მომთმენელთა; იგ უმანკო გამობრწყინდეს უფროს ყოვლთა ცის ნათელთა. მართალს თუ ის შეემთხვია, რადღა გიკვირსთ ცოდვის მქმნელთა?!
126. ვითარ ხედვიდა უფალი შინაგანს ფარულს გონებას, გამოგიცხადებს ყოველთა მის სარწმუნოსა მონებას.

ვით მან უწყობდა, აპირებს თქვენ კაცთა გამოჩვენებას,
უმანკოს, მართლის იობის არ მოსწყდეთ თქვენ მოხსენებას.

127. კვლავ განსაცდელის შემთხვევა ორპირად გამოაჩინოს;
თუ ვინ მართალი შთავარდეს, მადლობით მალ მოაჩინოს;
უნანელს ცოდვილს პასუხი მიაგოს, არ შეაჩინოს,
ულეთოს, ანგარის კაცისა კვალიცა ნუ დაეჩინოს.
128. ამის მგულველმან უფალმან ამისთვის ეს ინებისა:
უტევა ეშმაქს განცდადა, ასე მას მიანებისა,
სულს გარდა ყველას მიუშვა, ის კი არ დაანებისა.
მან სანატრელმან დაიდგა გვირგვინი მოთმინებისა.
129. მიუღო ყოვლი დიდება სახედ ხილულის მტერისა,
მონანი ამოუწყვიდა რამდენ რიგ ანაწერისა!
ქარი დაკვეთა დარბაზსა, სად მკობა იყოს სერისა,
ძენი, ასულნი შიგ დარჩენ, დახოცა, მოუმტვერისა.
130. სულ ერთპირად წარუტაცა, რაც ჰყვანდა და ან ებარა,
სახლში გარედ, მეზობელთა, ველად, შიგნით მიება რა,
ღალადისი მორბიოდეს: „მოგვსრეს, ტყვე-გვეყვეს, რაც გვებარა“.
ოდენ ცოლი შეაჩინა, უნდა ევად მოეხმარა.
131. ოდეს მტერმან უკეთურმან განცდა თვისი აღასრულა,
არა სცოდა იობ ღმერთსა, სიტყვით, საქმით, არა სულა;
ხორცს შეახო, ქალაქს გარეთ უბანს დასვა სულ მოწყლულა,
აწ საცთომლად დედაკაცი ზრახავს, მან კი დაასულა.
132. დედაკაცმან ჰრქვა: „პატრონო, ვიდრე სთმობ ამ წყლულებასა,
კიცხვას და სიგლახაკესა, კაცთა შეურაცხლობასა,
სკორესა ზედან შენს ჯდომას, სხვის კარად ჩემს მავლობასა,
კიდევ უფალსა იმედობ, არ მოშლი მის მადლობასა?“
133. მან უთხრა: „ზრახავ რად დედად ერთი ვით უგუნურამდი?
თუ შევიწყნარეთ უფლისა ყოვლი კეთილი აქამდი,
ბოროტიც არ მოვითმინოთ ცოცხალმან სულის დგმისამდი?
იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ უკუნისამდი!“
134. ჰე, კაცო, იობ მოიგო ბევრ-წილად მოთმინებითა,
ჩანს მთიებისა ვარსკვლავის უფროსად ბრწყინეალებითა;

სასუფეველისა ღირსია მოწყალის ეგზომ თნებითა,
სამადლობელის სიტყვითა, წყევითა, არ-გინებითა.

135. აწ, კაცნო, მისნო მსმენელნო, გონიერად გიხმსთ განზრახვა:
როს სიმღიდლისგან დავარდეთ, მისთვის არ-სულთქმა, არ-ახვა,
მადლობით მითვლა სიმდაბლით, არ კიცხვა სხვისა, ნუ ზრახვა,
ნათქვამი არის: ხილია წინ მიმავალის დანახვა.
136. თუ სიმართლეს შეემთხვევი, ღმერთი ნაცვალს აქავ გაგებს
და უკვდავის ცხოვრებისად ნამეტნავად, ღიად, გარგებს;
თუ ცოდვის წილ დაგემართა, მაშ, მოვალე შენი გეძებს;
აქავ გიჯობს გარდუწყვიტო, იქ უშრეტი ცეცხლი გადაგებს.
137. ამ ორისავ პირისათვის ღვთისა გმართებს ღიდი მადლი,
ხვეწნისაგან კიდე რაზომ განზრახვასა მის ნუ აღლი;
ქრისტე კარგსა, ავს არ გიზამს, მაგრამ თქვენ კი არ უმადლი.
ღამიჯრე, უგუნურად ზრახავ, თავით რასაც ქადლი.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა კ ა :

138. ერთი ოდენ ეგ დაადევ, ეშმაკს რომ შენ არ ერიე,
თორემ მაგის გარდაისად ყოვლი წმინდა შენ შერიე;
ტყუილით და მაცდურობით, მგონი, კიდეც მოერიე,
შორ იყავით ერთმანერთზედ, მაგრამ ნდომით გაერიე.
139. რასაც ის მიზამს შენითა, თორ ბრძოლას ვერ მისწორებდეს,
ის სახილავი გონჯი და შავი რით მომალორებდეს?
უშენოდ ხელთ რა უჭირავს, სადა გინდ კიდეც დარებდეს!
თუ არ შენისა შვენებით, ბილწი ვით მოიდარებდეს?
140. ამას გარდაის მტერობა შენგან ეს არის ჩვენია:
ტრელობ, მუხთალობ ეგზომად, ვით თავი შეიჩვენია,
არც მდიდარი და არც გლახა არავინ მოასვენია;
სიცრუე, ცქაფად მქცევლობა ეს შენი გასამჩვენია.
141. ზოგს ამდენს მისცემ, სოფელო, რიცხვსა არ შეაგებინებ,
ზოგი სიყმილით მომყმარი გყავს, ნაცუნტელს მოაძებინებ;
მრავალთა სახლს არ აღირსებ, ერთს ცამდის ააგებინებ,
ძველს თავადს ღაღანიძესა ქვეშ კილობს დააგებინებ.

142. ანუ სულ მწუხარებაში გყევარ ხელ-მოჭდობილია;
დილას გვახარებ, შუადღე გლოვა კარს მოდგომილია;
აქ გყავარ ასეთს ყოფასა, ვინც შენი მონდობილია,
სხვის სოფლისათვისც გვაბრკოლებ, ასე გაქვს მონდომილია.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

143. მიკვირს, კაცო, ცუდ სიტყვასა რასთვის ჰპრაზავ, გონიერო,
პირმეტყველო, არ-პირუტყვო, მსგავსო ღვთისა, შეენიერო?
ერთისაგან შემოქმედის ორნიც ქმნილ ვართ, მიწიერო,
შენ — უფალი, მე ვარ მონა. ბრძანებაა, მის მიერო.

144. თუ ჩემსა ჩემი მომცემი უფალი აღირჩიოო,
არ სიმდიდრითა აღზავდე, არც სიღარიბე სჩიოო,
ყოველი ჩემი ნაყოფი ეამ-ეამად დაირჩიოო;
ეს დაისწავლე, კაცი ხარ, თუ პირუტყვი ხარ, ჩიოო.

145. მომცემლისგან თუ უფროსად შემიყვარო, ვაი შენო,
არც სიმდიდრით არც სიმცირით, არცერთით არ მოგასვენო;
მწუხარს ტირილი დაგაცადო, ცისკარს შვება ვერ ახსენო,
იცი, ჩემი სიყვარული ღვთის მტრობაა, მოგახსენო!

146. ნანდვილვე მტერსა ღვთისასა კეთილი არა ეყოს რა,
ვინ უძღვებება შეიტებოს, მას ნიეთი არა ეყოს რა;
სრულ ტახტად ჰქონდეს ქვეყანა, არცა ის ართუ ეყოს რა,
კაცს მგზავსსა ჯოჯობეთისას რ მოარჩეს, ან რა ეყოს რა?!

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა კ ვ :

147. სოფელო, ვითარ მინდოდეს, რაეამს შევხედო მეფესა,
გვირგვინითა და პორფირით ტახტსა ჯდეს დარბაზს-სეფესა,
ფარემოს — ჯართა სიმრავლეს, ახლოს — დიდებულს სეფესა!
არ ძუნწსა, გაუცემარსა, უქებდენ სიიფესა.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

148. საძაგელ არის უფლისა ყოვლი მაღალი გულითა;
მას სწყალობს უხვად მოწყალე, ვინ მდაბალია სულითა.
არა ჯერა არს წადილი მეფობის ურჩის უღლითა;
აქამდინ ტკილად გეუბენ, აწ გეზრახები შუღლითა.

149. მონისაგან ვით ეგების მეფობისა ნდომა ყოლად?
რომ გონებამ ეგ გიზრახოს, სცან, ეშმაკის ხარ ამყოლად,
ეგ არ არის მოსაგონად, თუმც ძლივ ღირსხარ ყმურად ყოლად,
ეგებ ეს კი მოინდომო: გვერდს იახლო კაამყოლად.
150. ადვილი ტვირთი გგონია მეფობის უღლის დადება.
ვერ ხედავ, რაზმთა სიმრავლეს საშიშრად დაექადება,
მერმე წყალობით მიხედავს, მისცემს და არ იქადება;
მეფე, სიმართლის მსაჯული, ღვთისაგან დაიბადება.
151. რაჟამს ნახო მეფე, სვითა, ერი — მის გარმდგომარენი,
განკრთი ღვთისა ძლიერებას, ვით ამონა ერთს ამდენი;
ვისცა სწყალობს, იხარებენ, შიშით ძრწიან დამქადენი,
ვისცა იცის, კარგი არის, უფრო ტკბილი, ხან მწარენი,
152. ოდეს სჭვრეტდე ქვეყანას და ერს სიმართლით გაგებულსა,
დამონდი და ემსახურე მას და ყოვლსა მის ერთგულსა.
უსამართლოს ასრე მზერდი, — ხეს ფესვ-დამპალს დანერგულსა;
მცირე რამ სჯობს სიმართლითა დიდს, ღიცრუით მოგებულსა.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა კ გ:

153. არა, ცრუვ, როგორ ნუ მინდა?! რა ვნახო ამხანაგნია
დიდებასა და პატივსა, გვერდს ახლდენ ყმანი კარგნია,
აქლემის ყათრით, ჯორებით ბევრი დასდევდენ ბარგნია,
მე ბზიანს საბძელს ვეძებდე, თბილია, ცივა, ვარგნია?
154. მე ასრე ცარიელი ვარ სიცხის დროს, როგორც ნახევი;
ტანს არაფერი მაცვია, თუ არ ძველი და ნახევი,
სახლი დავაგდო, დამრჩება, ვით მონაგლეჯი, ნახევი;
ეს შენი უსამართლობა, უწყალოვ, მოდი, ნახევი.
155. სხენანი ხელმწიფეთ წინაშე იდგნენ ზრახვად მეგობარებ,
მე ასეთსა ადგილს ვდგევარ, შორით თვალსა ძლივ მოვარებ,
უსადილოდ გამაბრუნებ, შიმშილითა მაკარკარებ,
მათ ღვინოსა ყინულიანს ასმევ, კულით აკარკარებ.
156. მონასტერს შეკრბენ აღდგომას კეკლუცად მოკაზმულობით,
ფერ-ფერად შეხამდებოდენ ერთმანეთისა ცილობით,
მე კაბის ძველში ვეხვიო, რაზომ ვარ კარგი ზრდილობით;
რად გამხდი ასრე, სოფელო, ვერვინ მჯობს გვარიშვილობით?

157. შემოვლიდენ ლიტანიას, ახლოს არვინ მიმიშვებდეს,
 დამცინოდენ ქიშპნი ჩემნი; მე ვწუხდე და ის იშვებდეს.
 ჭარშიდ ვიყო ამ ყოფასა, შინ ბატონი არ მიშვებდეს,
 დიდი რამე ცოდნა უნდა, ვინც შენს მუხრუქს მოიშვებდეს.
158. მეფე ლაშქრობდეს სარაზმოდ არ ცუდსა მოსარბიელსა,
 საპირდაპიროს მტერზედან ომი მოლამდეს ძლიერსა,
 ერთმანერთისა ზრმლის კრვასა, არ შორიდალმა ბრიელსა,
 ემზადებოდენ საომრად, მზერდენ შემოყრა-ყრიელსა.
159. რა მოეკაზმნენ წასავლად, დედოფალს ესალმებოდეს,
 შორიდამ მადლსა იხდიდეს, ქალები შიშით ბნდებოდეს;
 ერლოდამ სკვრეტდენ წასულთა, ვირე თვალს მოაშორეედეს;
 მე უკან მივსჩანჩაღევედე, ნაბადი მეაბჯრებოდეს.
160. კიდევ მეფე დიდსა რასმე ეკაზმოდეს ნადირობას,
 წარვიდენ და ინადირონ ქოჩობას და მყვირალობას,
 შემოიქცენ მხიარულნი, აპირებდენ აქ პურობას,
 გვერც ვიახლო, ის არა სჯობს სადგომს შიმშილს, უპურობას?
161. ასრეთს ჰყვანდეს კარგი ცხენი შენეული ტყვის ვაქრობით,
 წაუბორჯდეს, ფაფარს წასწვდეს ჩამოვარდნის მოიჭობით;
 ბიჭ-ბუჭებიც კარგზედ ისხდენ ცერ-ნაცვეთი კოჭაობით.
 მე მყოლოდეს და აღარ მყვეს, ასრე ცრუ ხარ, რას ვიბჭობით?
162. მე ულაცსა ზურგ-დამპალსა ფორთხილს ვზივარ, მუხლად
 მოკლეს;
 ვინც არ იცის შშვილდ-ისარი, ცხენი ძალით მათ კი მოკლეს.
 დაძხოცეს და დაჰპატიჯეს, მათგან ერთი არ მოაკლეს;
 დაუირიგეს საბოძვარი, სხვათ მისცეს და მე დამაკლეს.
163. შემოიყარნენ დარბაზსა, დღე წართონ სმა და მღერითა;
 მეც კაცს მოველი, კარზედან თვალი მეტკინა მზერითა,
 არ დამპატიუეს, შინ დავრჩი უჭმელი მე მის სერითა.
 რა ასე გამზდი, სიმუხთლე, მაშ, ნუ გიძრახო მე რითა?

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

164. რა იხილო ამხანაგი ეგე რომელს დიდებასა,
 ერთეულობით ნაშოვარსა, არ ცოდვისა კიდებასა,

შენც მას სთხოვე, ვინც მას მისცა, ეს სჯობს სხვის
წაჭიდებასა,
მოგცეს შენცა, ვინცა იცის, გაცემა სჯობს კიდებასა.

165. ნუ მისთვისა გშურს, მიეცა რომელსა სიმართლისადა,
შენცა მან მოგცეს, თუ გნახოს ერთგულად მონებისადა;
როს ნახო მეფე სჯულ-მტკიცე შინაგან ჯონებისადა,
გინდოდეს მისგლა სიახლეს, თავმდაბლად იყოს ისა, და.
166. მეფე თუ ერჩდეს ცუდს სიტყვას, ნუ გინდა მისგლა სიახლეს,
რამეთუ ყველა ცრუ იყოს მის ქვეშნი, ვინ მას იახლეს;
მართალს არ ხედვენ არც ერთნი, ძველი საცთური იახლეს,
გული განიგდეს მსაჯულით, უსამართლობას მიახლეს.
167. მასთან ეს სჯობს, არ მიხვიდე. მგზავსი მგზავსთან მივიდესა;
ესევე სჯობს, მოიცადო, ვირემდის მზე დავიდესა,
გლახაკი სჯობს სიმართლისა სხვის სიცრუის სიმდიდრესა.
მამული სჯობს მამეული ნაძალადევს უმკვიდრესა.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა კ ლ :

168. ეგ კარგადა სთქვი, სოფელო, თუ შენვე არ მალორებდე,
ცოტას ხანს ღარიბობისად არ მწერტდე, არ მაჭმუნებდე,
არ თავშიდ გამზიდვარობდე, მომყვე, მორჩილად ჰუნებდე.
პატას რამ მეც რას მომცემდე, დიად, არ დამალონებდე.

პ ა ს უ ხ ი . ზ ო ფ ლ ი ს ა :

169. ვინა არ იცი, მტყუანთა მოყვარეთაგან უფრორე
მტერთ მართლის მთქმელთგან გერგება? თუ უცები ხარ, მაშ,
მო-რე!
დაგაახლოვე ჭკუასა და წარხველ კიდევ შენ შორე,
ამად ეგ ავი გუნება ააყროლე და აშშორე.
170. რად არ იცი, ესე სიტყვა ბრძენსა უთქვამს ვისმე ძველსა:
მოყვარესა მატყუარსა ვნება მოაქვს, არ — პირ-მთქმელსა;
მართლის მთქმელის მტერისაგან უფრო ნახავ ჯარგებელსა.
ჭკუის ახლო მოყვანილი გამივარდი კიდევ ველსა.
171. ვიცი, რაგინდ კარგადა გწვრთნა, მაშინცა მძებრ ისრევ
მტერად,
არ დავიშლი, კიდევ გეტყვი, თუცა გხედავ განაშტერად.

კარგად ვანბობ, არ მიჯერებ, რად შექმნილხარ ვით ტერტერად?
მიტქვამს და ვთქვა: ჩემი ყოვლი განქარდება ავლად, მტვერად.

172. გინდოდეს ჩემი დიდება, სიმართლით — საჩინო-ყოფა,
ნუ ძალით რბევა-ტყვენეთა — სხვის მონახვევის გაყოფა!
ულფთო საქმისა ყოვლისა ძნელია ხელის მიყოფა.
ნურვის მოსტაცებ, თავისას დასჯერდი, ჯერ ეგ გეყოფა!
173. ნუ გრცხვენის სხვათა მოკაზმა და შენი ყოფა ჩოხითა,
ნურც ვინ ზეით ჯდეს პატრონთან და შენ ქვეით ჯდე ნოხითა,
ნურც მაზედ, თუ ვინ კარზედან წინ გარდაგიდგეს ჯოხითა,
ნურცა რას სჭმუნავ მაგითა, ნუ სულთქვამ გულის ოხითა!
174. არა ცუდათ ნათქვამია, ბრძნისაა მის მოსაწონის:
სირცხვილია წარწყმედელი და სირცხვილი — მადლი მონის.
ესე მაშინც დაიჯერე, სიტყვა არის სოლომონის,
თუცა დიდი ბრძენი იყო, ზრახვა ღვთისა არც მან წონის.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა კ ე :

175. ეს რაღა მსგავსი შენისა სიცრუისა გვირს, ბეჩაო?
ბევრს ასეთს მისცემ სიმდიდრეს, ვირობს და იკამბეჩაო,
დანის ხმარებაც არ იცის, თუ არ კბილებით კბეჩაო;
ვინ იცის შენი ხელისყრა, ღარიბობს, მატყლი ჩეჩაო.
176. სმევა და ჭმევა არ იცის სხვისა, ვერც თვითონ შეიბგებს,
ვერც ლაშქრობს, ვერცა ნადირობს, ველარც რას შინათ არიგებს:
კარგი ჩაიცვას, გაჭკიცხავს, აგრევე, თუ ქვეშ რას დაიგებს;
არა იცის რა საბრალომ, კარგსა და ავს ვერ შეიგებს.
177. არ იცის ზმა და ხუმრობა, არც ესმის, ვერ აიტანსა,
აზნაურშვილად არ ვარგა, ჯარში ნუზღოს არ მოიტანსა,
გარ რასმე შემოიჩაჩლავს, ვერას გაიწყობს კი ტანსა;
არა გრცხვენია მან მან ეგზომის კაის მიმტანსა?
178. გლახაკს არ მისცემს; უცბოსა რა ნახავს, თვალს ხელს იფარსა;
ამხანაგი სძულს, ყმაზედან ძვირია, არ იეფ არსა;
ცხენსა და ქორს ვერ ეწყობა, მწევარსა ვერცა მყეფარსა,
რად მისცემ ესრეთს, წყეულო, უნდილსა და უმწიფარსა?

179. კარგო კაცო, რად არ იცი, რომელ ეგე ადვილია? ამადა ვიქ, დამიჯერე, დასაჯერი ნანდვილია: ოდეს ვნახო ეგე ვინმე, კაცი აგრე გაზდილია, ავიგლო და გავიციხო, ეს ჩემი დაქადილია.
180. რად არ იცის უგუნურმან, არა მაგად მიეცემის სიმდიდრე და საქონელი? თუცა რითმე მიეცემის? უხამს, მისცეს უქონელთა, მაგრამ ზედა დაეცემის, დააჯდება კრუტსა ვითა, არავიზედ გაეცემის.
181. კაცო, იცოდის: სიმართლით ცოტა რამ საქმარ ესია, უსამართლოთა საქმითა ვინ ვისა რა წაესია, ის გაუწყრება უთუოდ, რომელსა ჰქვიან მესია. არ იცი, სხვისგან მოლებას მიცემა უკეთესია?!
182. მიენიჭების უმცირესთ დიდება ეგევითარი, უმრავლესთ — სიღარიბენი, ვით ჰხედავ, ეგე ვით არი. ერთით მრავალნი კეთილსა იყოფდენ, ეგე ვით არი? ვინც ჰქვიანია, ნუ უნდა ეგ სახე, ეგევითარი.
183. ყოველთ თუ სწორად მოგეცესთ დიდება ეგ საპატიო, აღარცა ღმერთსა უმადლდეთ და არც-ა ის საპატიო. უმცროსთ ბევრი აქვსთ, მრავალნი რჩებიან პატ-პატათით, ზოგთ აქვთ შემკული სასერო და სხვათა — არც კუპატიო.
184. ერთსა თუ რამდენს სიმდიდრის ნიჭი აქვსთ, გულსხმა ყონო. ამაღ მიეცა ღვთისაგან ამ სახედ, ასრე გაჰყონო; ამ ერთით გამოიზარდენ ღარიბნი, ყველას აყონო; ღმერთს მადლი მისცენ, ის ლოცონ, ავის მთქმელთ პირი დაჰყონო.
185. ვინც მოიხმაროს ქონება ასრე და ამა წესითა, რაც ჰქონდეს, არვის უჭერდეს, ზოგთა აძლევდეს სესხითა, ყველამ აქეთ და შენატრეთ, თავს ნურვინ ნუ დაესხმითა, შეატყობინეთ, გზას დაგხვდეს, თორემ გიშოვოს მალ სითა?
186. ვინ ამას არ ჰყოფს, აგროვებს, იცოდეთ, გასაზნეველად; იპარავს, მაგრამ შევაჩნევ შვიდწილად მას საზნეველად.

მეკობრეს რა კარს მიადგენ მძებნელნი შესაცნეველად,
თუცა დაინანს, სად წავა? მე ვპყვეარ მისასხეველად.

187. ერთსა რასმე შესდიოდეს, გასავალი აღარ ჰქონდეს,
არ ძლებოდეს თითოს ლიტრით, სხვათ მუხუდოთ მიუწონდეს.
მისი მსგავსი ჯოჯოხეთი არის, ტოლი, სხვა არ ჰყონდეს,
ასეთი რომ დაეინახო, აბა, მითხარ: რით მომწონდეს?
188. განვხეთქო იგი უძღვები და მისი ნაგროვებია —
ძრახვა, გინება, სირცხვილი, წყევა და საყვედრებია;
უკანასკნელი წარწყმედა თავს აძეს, არ ჰკორებია.
დავქალდი შეიღსა ზღვევასა, ჰე, მივცე ნაქადებია.
189. მე ამად ვიქ, აწ შენ გკითხო: საქმესა იქ ამას რადა?
მრავალფერთა ხანოვაგეთ მოიმზადებ ზომის გარდა,
შემოუწოდ მეგობართა, სად სახლს ჰკიდავს გაშლით ფარდა;
ზოგი გაძლა, ზოგი დათერა, ზოგს კიდევც კი გამოჰქარდა.
190. გული უთქვამს აღარავის ბეჭის ქამად, არცა მალად,
კიდევ მოაქვთ მოსამატი ზედი-ზედა, მალე-მალად;
აღარც ღვინის დაღვევა სთნავთ, მეღვინენი უსხმენ ძალად,
თასს ამრუდებს, სუფრაზუდან აქცევს, ჩქერენ კიდევ კვალად.
191. მშიერ-მწყურვალი კარს გადგა, გიძახის: მოგვეც, ღვთისათვის!
მაჰამე რამე, ან მასვი! სულ რად გიძს უფროსისათვის?“
ყურსა არ უგდებ, არ უსმენ, გარდაგიბიჯავს ჰკვისათვის,
ეს მადლს, სახელს და ნამუსსა, ბრძანე, რათ ერთვის, რისათვის?

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ტ ი ს ა კ ვ:

192. ჰოა, უბადრუტო სოფელო, აროდეს მართლის არ-მთქმელო,
რამდენთა სიღარიბისათ-სიმწუხარეთა დამნთქმელო,
შალალთა დიდთა ხელმწიფეთ პატარა ჩჩვილებრ ამქმელო,
მტერთა და მოყვარეთაგან ორთავე მუხთლად სათქმელო!
193. ვით მოგიომინო ყოველთა ჩემთა სწორთა და უმცროსთა,
სიმღიღრითა და შევებითა სავსება მოსახმაროსთა?
წამეტნავისგან უფროსსა მისცემ ზოგთ მათ საკმაროსთა,
ვის სჭირს ესეთი სიბრიყვე, თუ მიზორელთა არ ოსთა?

194. მე თვით პატრონთან ვერ წარვდეგ, თუ ვინ ვარ, უნდა ვიკვნესო;
თუ მივიდოდე, ამიგდონ: ნეტარ შენ ვინ და ვინ ესო?
ძველი საყულო მინახონ, თქვან: შენ კარგა ხარ, გიკბენსო.
მათ რომ ხუმრობა დამიწყონ, პერანგთ შიგნითც რამ დამკბენსო.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

195. თვითან უბადოდ მეტყველო და ცუდად მქცეო, შენ კაცო,
ვეპე, ჩემი ვალი შენ გაძეს, თორე მე შენი რა მაცო?
აწყა დადეგ და ვიტყოდე: ეგ წინ რომ გვიდგა, მომაცო!
მიყურე, კარგად გასინჯე, არ-ზრდალო, ღია მამაცო!

196. აჰა, ღმერთო, შემიწყალე, დამხსენ ამათ საყვედურსა!
მე ერთი ვარ, ვით გაუალ ამდენს პირსა უმადურსა?
ვერვის ვნახავ მადლიერსა, ასე ყველა ერთად მდურსა;
რას მწყევლიან, რასა მძრახვენ სადაურნი სადაურსა?!

197. კაცო, თვით ჰხედავ, მეც მითქვამს: ჩანს ჩემი წარმავალობა.
ამხანაგთაგან გრცხვენიან ტანსაცმლის შეუხამლობა,
უჩახჩურ-უმეშობა, ფერხს წინდა, მერმე ხამლობა.
რად არ ახსენებ, მერმისას რა არის მომავალობა?

198. აწ მოიგონე დღე იგი მეორედ ქრისტეს მოსვლისა,
დავიწვა ჩემის ნივთითა, ცეცხლი მომედვას აღისა,
მთანნი და ბორცვნი გასწორდეს მსგავს ბრძანებულის ძალისა,
ცა წარიგრაგნოს, ვარსკვლავნი დაცვივნეს დასავალისა.

199. მზე და მთვარე გაუჩინრდეს, ჩარხთა ბრუნვა სრულ უქმობდეს,
მოიშალოს ცისა სფერო და მნათობნი, რაც ამკობდეს;
საყვირი ჰკრას ანგელოზმან, საშიშარად რასმე ჰმობდეს,
ყოვლთა მკვდართა განიღვიძონ, „ქრისტე მოვა“, — ამას
მბობდეს.

200. მოვიდეს, დაჯდეს მსაჯული, თან ახლდეს თვისნი კრებული.
ქალწულისაგან შობილი და მერმე ნათელ-ღებული,
თქვენთვის ნაყვედრი უმსჯავროდ, ჭვარცმული, სისწლით
ღებული,
დაფლული, აღდგინებული, კვლავ ზეცად ამადღებული.

201. გარემოს მისა ეხვიენეს უსხეულოთა დასობა,
 მოციქულთ, წინასწარმეტყველთ, მამათ-მთავართა მშვიდობა,
 მღრღელთ-მოძღვართ, წმინდათ მოწამეთ, რომელთ ჰყვეს მისი
 მინდობა:
 მამათ, ქალწულთა და მარტვილთ იქ შეკრბენ ყოველთა
 წმინდობა.
202. იქ წარგადგინონ ყოველნი, მართალნი ხართ თუ ცოდვილნი,
 საცილობელნი საქმისა, ყოველნი კაცთა შობილნი —
 ხელმწიფე, მეფე, მდიდარნი, მცირნი და ბატონისშვილნი.
 მაშინ შორს დაგრჩესთ, ვისა გყავსთ სიცრუის დობილ-
 ძმობილნი.
203. ქედ-დადრეკით სრულ შიშველნი წინ წარდგებით
 ჯვარცმულისა,
 ღვთაებითა უვნებლისა, კაცებრ თქვენთვინ ვნებულისა.
 მუნ არ იყოს ქედმაღლობა სტავრა-ნახლის ჩაცმულისა,
 აღარც სიტყვა-მჟვერობა და არც ხმარება უსულისა.
204. ცხადად გემხილნეს ყოველთა თქვენი ნაქმარი ავები,
 პირს წამოგიდგნენ თამამად მოცილე და მოდავები.
 ტყუილით ველარ დაჰფართ თავ-თავის დანაშაუვები,
 წასაწყმედლთ ზედ დაგხაროდესთ ეშმაკნი ბილწნი, შავები.
205. მართალთ უბრძანოს უფალმან ხმა-ტკბილი და დიდებული:
 „მოვედით, დაიმკვიდრენით ეს თქვენთვის განმზადებული
 სასუფეველი ზეცათა და იყვნეთ ჩემი ხლებული,
 იფუფუნეთ და იშვებდით მართალი, ნათელ-ლებული!“
206. განიხარონ ანგელოზთა და სულ ერთბამ წმიდათ კრებულთ,
 მათთან შერთვა მოღვაწეთა კაცთ, ოდითგნით მათებრ ქებულთ;
 მართალთ ღარიბთ ანგელოზნი ეხვეოდენ, მაშინ შვებულთ;
 მრუდთ ეშმაკნი დახაროდენ, საბრალოებს, ცრუ-დიდებულთ.
207. უსამართლოთა, ცოდვილთა ესმნეს ხმა საშიშარია,
 უფალმან სიტყვით ამხილოს, ვინც მცნება მისი შარია:
 „წადით, წყეულნო, ჯოჯოხეთს, იქ ჩემს წინადამ მარია!“
 ბნელთა ეშმაკთა შეიპყრან, მიჰყვანდენ ხმა-დამხდარია.
208. იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთსა ანუ საქართლეთ,
 ვინ ჩემი ცრუ-დიდებისად აქ რამე იუსამართლეთ,

ტყვე სტყვენვეთ, ზაკვით იფიცეთ და ამხანაგი მოლაფლეთ, რამე მიუგოთ უფალსა? ბრძანეთ, თუ რითა განმართლეთ?

209. თუ ცა ფიცო, არა გმართებს და ქვეყანა კვარცხლბეკია, თავს იფიცავ, არა ძალ-გიძს შავი თმა განსპეტაკია. ნურას ჰფიცავ, ეს გეყოფა: „ეგ არა და, ჰე, ეს კია!“ ცუდსა სიტყვას იუქმებდი, ნუ გსურს ავი ტაკტაკია.
210. ორივე სირცხვილი გასინჯე, უფროსი იყოს რომელიც, ღეთის წინ გემზილოს, თუ აქა გძრახედე ბრიყვი და ხელიც, იქილამ გამობრუნება და გელის კელავ სამოველიც, თუ მართო ვერ გაარკვიო, ბრძენი მიიხმე რომელიც.
211. ანგელოზთ ყოვლთა წმინდათგან დაკლება, ეშმაკთ მიცემა, საუკუნოთა სატანჯვლით ფსკერთა ძირისკენ დაცემა, სად არის ყინვა უთმინო, უშრეტი ცეცხლი გეცემა, დაუძინართა მატლთ ჭამა, გველთა ზედა-ზე კელა, ცემა.
212. აქ, გინდა, უცხოს ქვეყანას წახვიდე გამოსამჩვენოთ, ან თუ სტუმარი გეწვიოსთ, ძალისგან უფრო ეჩვენოთ; თქვენი არ გქონდეს, სხვისი რამ ინათხოვროთ და უჩვენოთ, რა ხელს ჰყრით ასეთს საქმესა, იესოს თუ შეეჩვენოთ?
213. ყოვლის ქვეყნისა კაცთა ძე იქ მოვა, შემოიყრება; გული გაავლეთ, გასინჯეთ, იქნება დიდი რამ კრება. იქ რად არ გინდათ გამოსჩნდეთ და აქ გსურსთ ეციბ-მაყრება? თქვენისა სიცრუისათვინ ბევრჯელ გულს შემომეყრება.
214. გმართებს, კაცო, კარგი რამ ჰქმნა, ვირემდისი აქ ხარ ოდეს. ეშმაკის წილ სატანასა ანგელოზი დაგზაროდეს, იუდასა უნაწილო, დაძრჩე იქი შენ ჰეროდეს; მოკლე ესე, რად გგონია, საუკუნოს ესწოროდეს?

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა კ გ :

215. სოფელო, კიდევ გიზრახავ: არც გაგვეძლება უშენოთ. არას ვვარგვიართ, შენ არ გვეყვე, ვით სახლის ხე-ტყე უშენოთ. შეურჩომელი მამულიც ცუდია, რად მოვაშენოთ? თუმცა გვადორებ, პასუხად ჩვენ ძრახვა მოგვაქვს საშენოთ.

პასუხი სოფლისა:

216. მართალს გეტყვი: კარგი ვარ და, დიად, ძნელად დასათმობი, პირველ — ტუბილი, საამოვნო, მერმე — ანჩხლი, დაუთმობი. ძნელი არის, სულ მიტყოდეს, ვინ ჩემია ამბვის მბობი. არვინ მინდა მოვარჩინო ბოლოს ჩემი დაუთმობი.

სიტყვა კაცისა კც:

217. საწუთროვ, დაგიჟინია: „ცრუ ვარ და არ შეგერჩებიო, შენ გაქვსო, ვისცა არ ჰქონდეს, მიეც, ნუ ეურჩებიო“. მუქარობ, მაგრამ ჭერ კიდევ მაქვს, მეც რას ვეჩეჩებიო? რაც მიშოვნია, სხვას მივცე, უმისოდ რით დავერჩებიო?
218. რაცა მაქვს, ერთპირ გავფანტო, სალარო, ჩემი ქონება, მე ვინდა მომცემს, პატრონო, ამას გაავლე გონება? წარა-მარაობ, ყოველსა იტყვი, რაც მოგეგონება. არ დამჭერდები, ცოტ-ცოტას ვაძლევ, ვინც დამემონება.

პასუხი სოფლისა:

219. აჰა, კაცო, მე სიცრუეს მძრახავ და შენ გამოსჩნდები, ამბობ: „ჩემი საქონელი სხვათ რომ მივცე, არ წავხდები?“ რასთვის ხელობ, რაზედ იტყვი, რას მიედებ-მოედები? ასეთ რასმე დამანახვებ, საგინებლად მომინდება.
220. თუ ერთს უსჯულოს ვაჭარსა ენდობი, მისცემ მრავალსა, წარგზავნი ასეთს ქვეყანას, ვერ იცნობ შორე სავალსა, ან ნაფში ჩასდებ, ზღვაშია, მღელვარე ძნელ-გასავალსა, ამას არ იტყვი: გლახაკთა ვინ სწყალობს, ღმერთსა ავალსა?
221. გასმია, თვითანც გინახავს მრავალნი ნაენი დანთქმულნი, ხმელზედ ვაჭრები მეკობრეთ დაცრცილნი, შიშვლად დასმულნი. მას ენდობი და მას მისცემ, რომ ნახო ვედარ მოსრულნი. ამას არ ისმენ, რა არის წინასწარმეტყველთგან თქმულნი?
222. ყოველნი დიდად აქებენ გლახაკთა მოწყალებასა, ამხანაგისა გაწყობას, უცხოთა მოყვარებასა.

მას ენდოთ, ვინ რომ მართალს გეწვრთნის, ეს არ სჯობს სხვის
ყურებასა?
ვინ ხართ მოწყალე, შიდაბაღნი ძლივ ღირსეაართ თქვენსა
ხლებასა.

223. რასთვის ქრისტეს არ უჯერებთ, ვინ არს ყოვლის შემძლებელი?
იგტყვისთ: „რასაც მცირეთ უზამთ, ჩემიაო სამებელი;
მე მავალთო მრავალ-წილად, მოგცემთ, ჰპოვოთ საძებნელი“.
იმას ენდევ; კაცო, ნუ ხარ ცრუი სხვის მაცილებელი!

224. რად მცირისა სარგებლისთვის კაცს ავასხებ და ღმერთს—
არა?
ვის აქვს მრავლად საუნჯენი, მოვალედცა, მგონი, კმარა!
ვინც რამ გასტეს მისა სახელზედ, ჰხედავ, ისრევ მას ახმარა:
ღრო გარდასრული შვილის სხმის, ისაკს წარშობს ამაღ სარა.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა კ თ :

225. რა ვქნა, სოფელო, შვილები მყავს, მიყვარს, მებრალეებისა,
მინდა დავუგდო მრავალი სალარო-საუნჯებისა.
მე ძლივს შეგვკრიბე, დაობლდენ, ამათ სად ეშოვებისა?
მოვკვდე, ეს მინდა, მით მიყონ წესები რამ სულებისა.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

226. კაცო, რომელმან არ იცი საქმე ერთის უამისაცა,
რამე არის მომავალი ქვეყნისა და ან ცისაცა,
ეგ ვით იცი, დიდხანს უკან რა იქნება? მაცა, მაცა!
შვილისათვის ნუ ირჯები, ღმერთს მიანდევ, მას დააცა.

227. ეგ როდის იცი, უწინა შენ მოჰკვდები თუ იგია?
შენი ქონება მტერს დარჩეს, თუ შვილებს, რაც მოგიგია?
ამაოდ ამბობ, ყრუულად; რას იტყვი, ვერ გაგიგია.
უცოდინარი ლაყაფი, არ იცი, მწვედ აუგია?

228. თუ შვილისათვის ირჯები, დაუგდე საუნჯედ ესა:
ღვთის წინ სიმართლე წყალობით ნიადაგ მათ მოხედ[ვ]დესა,
ყმა, ამხანაგი, მოყვარე შენს უკან არვინ გყვედრდესა,
მამული მოუღვეარი, საბრალო ნუვინ სწყვედესა.

229. სულის საქმე, რომელიცა შენ ქმნა, გერგოს უფრო სხვისგან; რაც შენ გასცე, შენი შენთეინ წაგიხლება არავისგან, თორ შენს უკან რაც გაგიცენ, ქება გეჰმას არავისგან. დამიჯერე, დამახლოვდი, ნულარ დარბი შორს, განის-გან.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა ლ:

230. სოფელო, სად იშოება აგრე მეფობა, მთავრობა. მამული ანუ სალარო, თუ გინდა, დიდ-ვაჭარობა? აგრე სიმართლით ვინ იპყრობს, ან ერთსა ვინ შეეცწრობა? კიდეც რომ გითხრა, ნუ გიკვირს მაგისი მე უარობა.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

231. უფრო ღვით და სიმართლითა იშოება ეგვები, უიმისოდ კიდეც ჰპოო, ცუდია, ქვეშ ნუ ეგები. ისიც ისრეე წაგერთმევა, ლახვარზედაც აეგები; მართალს ვამბობ, დაიჯერე, ნუ ხარ კაცი შეუგები!

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა ლ:

232. ვინ დაგიეროს, სოფელო, მეფეს ნუ უნდა მეფობა, სახელი, ბრძოლა, ლაშქრობა, კვლავ ლხინი, ვარდთა მკრეფობა. ვაჟკაცს — ცხენი და აბჯარი, ბატონსა — სიიეფობა, ნადირობა და უკუყრა, მყეფრისა ხშირად მყეფრობა?!

233. თავადთ, მთავართა მთავრობა ნუ უნდა, საქმის ხელთ ქონა, აზვავება და სიმდიდრე, ქიშპები, ნუ დაბაქონა; ბერებს — დიდ-დიდი სახელო, სულ უმცროსთ — აგერ, ოქონა? თუ ეს არ იპყრან, მაშ, უთხარ, თუ თავი რითღა იქონა?

234. ვაჭარს — ვაჭრობა, სარგებლის ნუ უნდა ბევრი იშოოს? მაშ, რა ქნას ცოტას. პატრონმან, თუ სხვისგან არ მოიშოოს? მუშამ პარტახი ნუ მოხნას, თუ სადმე ეული პოოს, ხარს არ ლაღევდეს სახრითა, ხან არ უძახდეს „ო-ო-ო“-ს!

235. მაშ, რით დაერჩეთ, ისიც ბრძანეთ, და ან რით გამოვიზარდო შენ ამბობ და დაგემოწმეთ, ჩვენცა სიტყვა სიტყვას დავართო შემოქმედმან ჩვენთეინ შეგქმნა, მოგიხმართ, ლხინი წაერთო ჩვენ არ გვინდე, რა იქნები, რაზომ სიტყვა ავიზართო!

პ ა ს უ ზ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

236. ვაჟო, როდის გეუბნები: „არ ვარგვარ და ნუ გინდივარ?“
ეგ ვის ეთქმის: „ავი ვიყო“, ისომ ასე მწვევ ვარგვივარ?
თქვენ მოხვალთ და მალე წახვალთ, მე სიმაგრით აქ გიდგვივარ,
რიგი მოსდით, რიგი მიზდით, საბრალოვე აქა ვგდვივარ.
237. რომელმან ზომით, სიმართლით მიხმაროს, ღანაღამც ვარგვარ,
ჩემა უსაზღვროდ მოყვარემ, — თქვენ რომ ხართ, ეგე და
მაგვარ, —
კეთილი ვერა იყოთ რა, სიცრუეის საქმისა მომგვარ,
აქ დაისაჯნეთ, იქ წარსწყმდეთ, რას წამგვრით, მევე მალ
მომგვარ.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა ლ ბ :

238. სოფელო, ერთი ესე გჭირს, ყოვლისგან უუარესი,
გულს დასაკლისი, საწყენი, ნადვლისგან უუმწარესი,
კარგის საქმისა შორს მყოფი, სამტეროდ კი საკმარესი
ამის გამოის არა ხარ არვისგან შესაწყენარესი.
239. ერთს ახალსა მოწიფულსა ხელისმყრელსა სიკეთისას,
დლითი-დღე რომ მატულობდეს ყოველს წესსა ზნეობისას,
ვინც ნახევდეს, შეფრფინვიდეს უნახთ ნახვად სანატრისას,
სენსა შეპყრი, და-ცა-უჭკნობ ყვაეილს მისის შევენებისას.
240. მოჰკლავ, დაპყრი მის საყოლსა, ვით ირემს დვიძლ-
დაკოდილსა,
დაამწარებ სიცოცხლესა ყოველთ დღეთა, არ ერთ დილსა,
უჟმოდ მოჰკვეთ ახალ ნორჩსა, მას უებროდ ამოსულსა;
ვით გვპირდები სიცრუეესა, ათაგებცა დაქადილსა.
241. სხვას ერთს ასრე დააბერებ, თვით სიცოცხლეს შეაზარებ,
საყოლს ყველას მოაძულვებ, მასზე არვის არ ახარებ;
უტბო ნახავს, თვალს მოარიდს; ახლოს აღარ მიაკარებ,
უძღურების ცხედარს დასცემ, კარზედ მისვლად არ მოარებ.

პ ა ს უ ზ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

242. რაც მაგ სიტყვისად ჯერა-არს, წმიდათ წერილთგან ისწავე.
აგერ ძეს საღვთო წიგნები. უკან ნუ მიხვალ, წინ წავე!

იკითხე, გული გაავლე, სად არის, იქ შეისწავე,
ეგ ჩემი ბრალი რა არის: მიწა შეიქნას მიწავე!

243. ყოვლი მუშაკი მის-მის დროს მოჰკვეთს მის სამუშაოსა,
ოდეს იხილო ჭაბუკი ჟამს ახალს საასაკოსა,
ჩემ მიერ წარტაცებული, ვით კრავი არ საბაკოსა,
მართალი, ღვთისა მოშიში, შორს-მყოფი საეშმაკოსა.
244. მხედველმან დაფარულთამან სხვისათვის გამოირჩია
ამის წილ სასუფეველისად იგი უნუფრო ნორჩია;
მას ჩემი ცოდვა არ მოსცხო, მით შემომძახა: „მოგრიჩია!“
მე დამიმძიძა, თამამად დამხედა, ვერ ვუთხარ: „დამრჩია“.
245. ან მოწიფული, მადლსა და ცოდვაში მყოფი, განსული,
ცოდვისგან უფრო მადლისას ხარისხსა ზედან ასული,
აღარ მიუშვა სხეას ცოდვას, ამისით იხსნა გან სული?
უფალმან თვისად მიზიდა, ყრმა იყო, გინა ასული.
246. უკეთუ მოკედეს ცოდვაში, მწვე-დიდად გარდარეულსა,
ხედავს, ვინ იცის ფარული, ავისგან მას მორეულსა.
მის ძლით სხვა აღარ აბრკოლა, მყოფს მასზედვე მისეულსა,
აქაც მოკვდა და იქიცა, მივცემ მას მისსაე სეულსა.
247. ეგვეითარი სიბერე სიტყვითა რომ შემოიღე,
ამ ორთ პირთაგან იქნება, გეტყვი და სული დაიღე!
მტრისაგან რგება საქმისა შენა ჰქმენ, შენ შემოიღე,
გითხრა მართალი, თუცაღა ქრთამი არვისზე გაიღე.
248. რომელი სათნოებითა ცხორებდეს სინანულითა,
სიბერის პატივს ღირს იქმნას, უმანკოებდეს გულითა,
ჰნებავს უფალსა, აღვიდეს ზეცას უბიწოს სულითა;
მე, მწიკვლოვანი სოფელი, მოვძულდე იქ მისულითა.
249. ანუ თუ მოუქცეველად მცოდველი დაბერდებოდეს,
ვინათგან ესური, არ ზრუნავს უმჯობესისად შერებოდეს,
არ წავრთმევივარ, მე გუყვარ, მანამდინ გაეძლებოდეს,
აქავ მიიღო ნაწილი მისი, რომ მას ვერ სწრებოდეს.
250. მაგ საქმისათვის მრავალი თქმულა და იძიებიან,
გარნა რომელნი წმინდათა წერით არ გუუწყებიან,
იმისგან კიდე არა ხამს (ამას სხვაც მემოწმებიან),
ღვთის საიდუმლოს ძიება! ვერცავინ მას მისწვდებიან.

251. ეს შეილთა ნათლისდებითა არიან განჩინებულნი,
არ მათთვის, ვისცა არა სწამთ ღვთაება ერთ-არსებული,
პირუტყვებრ ღმერთსა იცნობენ, სხვა სჯული მიღ-მოდებული,
იესო ქრისტე ღვთად არ სწამთ, ღმერთებრ-უვნებ, კაცებრ-
ვნებული

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა ლ გ :

252. მაშ, გვასწავლე, მრავალ-ფერად მბრუნაო და ავად მქცეო,
ვინ აშენებ ოხერსა და ზოგს ქალაქებს მოაქცეო,
ერთს შეაბამ მხნედ, მამაცად, მეორეს კი გააქცეო;
მერმე მეც რამ მოგახსენო და პასუხი მალ მოგცეო,

253. ვით უხამთ შენი ზმარება დიდთ ხელმწიფეთა მეფეთა,
მთავართ, დიდებულთ, სჯულის-თავთ, მღრღელთა, არ სისხლთა
მჩქეფეთა,
მოლაშქრეთ-მონადირეთა, ვაჭართა, ლართა მკრეფეთა,
მდიდართ და გლახაკთ, მუშაკთა — დილით ღამემდინ მყეფეთა.

პ ა ს უ ხ ი ს ო ფ ლ ი ს ა :

254. არა, რა გწვართო, რაზომცა კარგი რამ გითხრა, მმზერ მტრადო!
არას მიმადლი, მაგინებ, მაგისთვის დაუშვრე მე რადო?
ჯერ დაასრულე წყევა და მჯილი უკუმკარ მორადო,
მერმელა გაჯავრებულმან გასწავლო რამე სწორადო.

ს ი ტ ყ ვ ა კ ა ც ი ს ა ლ დ :

255. თუცა შენის მტერობითა არ მიტევე, რომ დაგაცალო,
არ გწყველიდე, ატ გყვედრიდე, სიმუხთლეს არ დაგაცალო;
მაშინც სიტყვა შემინახავს, დასახნავად დაგაცალო.
მაგას ნუ ეჭვ, თუ სიცრუვე წინ მიგდო და დაგაცალო.

წ ვ რ თ ნ ა ს ო ფ ლ ი ს ა გ ა ნ კ ა ც ი თ ა თ ვ ი ს . თ ა ვ ი ა :

256. სწავლა სოფლისაგან კაცისა პირველი თავი ეს არი:
თვეს იანვარსა ყინვისად დრო მოგვეახლა, ეს არი.
ზოგ-ზოგი უზის თბილს სახლსა, ზოგი — სიცივით მკვნესარი,
მეფეთა უწინ ხსენება მანცა თქვა დანაწესარი.

257. გაუწყო რაზომ მართალი, ეგრეთცა არა ისმინოთ:
 ერთხელ ამოსწყდით წყლის-რღვნითა, კვლავ კიდევ ჩემში
 ისმინოთ:
 სხვის წვეთილებასა ჩემი სჯობს, ეს აღმასია, ის — მინოთ.
 თქვენც დამემოწმნეთ ყოველნი, მოგგონდესთ — თითზე იკბინოთ.
258. მეფეთ უხმსთ შიში ყოვლს კაცთა, უფროსი — ღვთისა
 ცხოვლისა,
 მით რომ ის არის მეუფე მაღალ-მდაბლისა ყოვლისა,
 იგია ყოვლგან მხედველი დასაჯალ-აღმოსავლისა,
 თუ მე არ მიჯერ, ისმინე სიტყვა მის პავლე-სავლისა.
259. ამასთან: სჯულის სიმტკიცე, სიფრთხილე სამართალისა,
 მკოდველთა ზომით შერისხვა, ჩვენება მრუდად თვალისა,
 ერთეულთ წყალობა, პატივი ბევრგვარად დანათვალისა.
 სიბრძნე, გონება, ჭკვით ცოდნა საქმისა მომავალისა.
260. ქვრივთა-ობოლთა მოწყალე, თვალის მომვლები შორეთა;
 ყოვლს მძლავრს შიშს უნდა დასდებდეს, გლეხს ძალი
 მოაშორეთა!
 მართლის ყურისა მიმგდები, მოძულე ცრუ-მეჭოროეთა,
 საჩივრის განმგონებელი, მომცდელი მის მეორეთა.
261. ოდეს ნახოს მიმძლავრებით ქვრივი, ძალს ქვეშ ნარებია,
 ასე უნდა იტყვივნებდეს, ვით დედა შესწუხებია;
 კვლავ — ობოლი, ვითამც შვილი თვისი წინ ასტირებია,
 დაადუმოს სამართლითა და სიტკბოთ ნამტირებია.
262. არცავის თვითან მძლავრობდეს, არცავის სხვას ამძლავრებდეს,
 ლაშქრის გაწყობა-ზავითთა ქვეყანას გარე მორებდეს;
 წარმოიტყოდეს ბრძნად სიტყვას, ავს პასუხს არ ამურებდეს;
 ვინ ღმერთი იცის, ესეც სჭირს, მას მტერი რითლა მორივედეს?!
263. მეფე ჰხამს მგზავსი მკურნალის ბრძნისა მის ხელოვანისა,
 ვით მან სნეულს და მრთელზედა არ მაჯა ერთი ჰპოვნისა,
 ყოველს სნეულსა სხვადასხვა წამალი მოუშოვნისა,
 ზოგს კიდევ წყლული გაუჭრა, იმ სხვას კი მოუწოვნისა.
264. ვითა ვთქვი საქმე მკურნალთა, მეფეთზეც აგრევე მეთქმისა;
 ჟამი პატივის სიტკბოთა, ჟამი შერისხვა-წყარობისა,
 ჟამი დუმილის, საქმისა და ჟამი კვლავ განცხრომისა.
 ვით იტყვის ბრძენი სოლომონ, ჟამია ყოვლი საქმისა.

265. არც ყოვლთა სწორი პატივი, არც სწორი რისხვა ზოგადო, პატივის შემწყნარებელთა მის-მის დროს მისა მგზავსადო; მას რისხვა, ამას საწრთნველი, ვინ შფოთობს, არის ბორგადო, ზოგს შეუნდობდეს და ზოგი არ უნდეს დასაზოგადო.
266. მოძღვარი ცოდვის მკურნალ არს, აქიმი — ხორცთა სენისა, თუ ერთმან ხორცს არ დააკლოს, სულს ვერათ განუსვენისა; მეორემ ხორცი განჰკურნა, რომლითა სულსა კბენისა, ბრძენს მეფეს ორთავ წამლობა ძალ-უც და კარგადც შეენისა.
267. მეფეთ წინ ბოდის მოვითხოვ: ავი რამ მეთქვას, შემინდონ; რაც არ ვიცოდე, მისი თქმა არ ბრძანონ, აღარ მომიდონ. თუ არ უნდოდე, გამიტყდენ; თუ მინდონ, კიდევ დამინდონ. სად ცუდი სიტყვა ეწეროს, მიჩვენონ, ხელი დამიდონ.

სწავლა [სოფლისაგან] ძღვრელთ-მოძღვართა. თავი ბ:

268. რანიც არიან მსახურნი წმინდისა საიდუმლოსა, პატრიარქი თუ სხვა ვინმე, მთავრობდეს ან ვინ იმდღოსა, დიდი რამ უხამს სიწმიდე, მსგავსად მის უსხეულოსა, მყუდროებითა ცხოვრება, განკრძალვა საუსულოსა.
269. ნურავინ ქრთამით დაიპყრობს, ნურც დიდგვარობით საყდარსა; ნუ იჩემს თვითან სიწმიდეს, სხვას ჰხედავს მისგან უმდარსა. სიმშვიდისა და სიმდაბლის, ხამს, გარ იხვევდეს სუდარსა, ჩემს შევებას ასრე მოშორდეს, ცოცხალს ჰგონებდენ, ვით მკვდარსა.
270. თუ სამწყსო ვინმე აღიღოს მსგავსად პირუტყვის ცხვარისა, თავის თავითა ან ძალით დაპყრობა ბაქის კარისა, მაშინ დაჰკარგოს, არა აქვს პასუხი მას უარისა, მყის უნდა უზღოს უფალსა მის ნდობით მინაბარისა.
271. ძალად თუ ვინ დაადგინოს, მაშინ უხამს სტვინეა ხშირად, დღე და ღამე მღვიძარება, მხეცთა იყოს სულ საშიშრად, სამწყსო მისცეს სწავლა-ჰამად, არა ჰყვანდეს მისგან მშვიდრად. წერტილება და ქადაგება ზელთა ეპყრას მუდამ სტვირად.
272. მეფემ თუ მწყემსი უღირსი დასვას, რა ესე უქმნია? — თავის სენზედა მკურნალი მიჰყავს უცოდნი, უქნია,

მრთელი რამ ზორცი დამპლის წილ მის ძლითა ამოუქნია,
სიბნელე დაუც ნათელზედ, სულ დაუესია შუქნია.

273. ვედრივარ წმინდათ ამისთვის, არვინ მიწყინოს ესა მე —
პატრიარქ-მიტროპოლიტმან, ეპისკოპოსმან ე სამე:
მოციქულთ განაჩენია, მანდ თუ ივარგებს, ეს ამე.
მაკურთხეთ და-ცა-მლოცევდეთ, შენდობა ბრძანეთ მესამე.

სწავლა სოფლისაგან მხეღართა. თავი ბ:

274. თავადთ, დიდებულთ, მონათა, დიდთა თუ ანუ მცირეთა
პირველად სჯული, მეორედ ყველამ ეს დააპირეთა:
თავის პატრონსა დამონდიო, კარგ-გულად, ნუ ავ-პირეთა;
სჯულის-თავთ, ეპისკოპოსთა თავმდაბლად ემსახურეთა.
275. მონათა უხამს, უფლისა მოწყალეთ, უწყალოთაცა,
სახიერს დამორჩილება, უსახურს უწყალოთ აცა,
ვის რა გაქვსთ, ნურავისთვიი გშურსთ მდიდართა საწყალოთაცა.
ჰხამს დაჯერება ამისი, ვითარ არს უწყალოთ, ა, ცა.
276. ერთმანერთის სიყვარული, ზომისაებრ ცხენ-აბჯარი,
ნუ ტყვას სყიდვით და პარვითა, ეგ არ არს მოსახმარი,
ისე შოვნით და ბატონის ბოძებითა, ესა კმარი.
მუდამ უნდა მის ქვეყანას გაწყობილი იყოს ჭარი.
277. ქვეყნის და თქვენის სჯულისა აღვიჩნდეთ მტერი სამეთა,
სიმხნით შეითქვით მათზედან და ყველამ ეს იწამეთა:
მათი შებმა და სიკვდილი ღბინურად გაიამეთა.
თუ მათგან მოჰკვდეთ, მიიღოთ ნაწილი თქვენ მოწამეთა.
278. მხედარი უყვარს მომჭირნე უფალსა ერთგულობისა,
ცხენ-გაწყობილი, იარაღ-მორთული უკლებლობისა,
მეფეთ ერთგული, ქვეყნისა შემძლე გარ-შემომეგლობისა,
ხელ-გამომავლად მომკრები სიკეთის დარგულობისა.
279. ვახ, ვახ, რა სანატრელია მოყმე ასეთი მქცეველი:
სჯულ-მტკიცე სათნოებითა, ქვეყნისა არ-მაქცეველი,
ცხენ-აბჯარ-დაუკლებელი, მამაცი, არ-გამქცეველი,
მისის სჯულისა მტერისა მებრძოლი, სისხლ-დამქცეველი.

სწავლა სოფლისაგან ვაჟართა. თავი ღ:

280. ვაჟარნი ნუ ნამეტნავით მიიწყავ, მისცემ მცირითა
ნუცა ადლ-გრძელობ ალებას, გასყიდვას შერები მწირითა;
დიდად მოიჩქვამს, ვინც ილებს და მისცემს სწორის პირითა,
ჩვენგან სიცრუით ნაშოვნი წაგერთმის კვლავ სიცრუითა.

სწავლა სოფლისაგან მუშაათა. თავი ე:

281. მუშაკმან თვისი ნაშრომი მოიმკოს მრავალწილადა,
არ-ნაპარევი, სიმართლით რაც ჰქონდეს დათერძილადა;
ნაძალადევი ორნატი შეუშთვეს ეკლუჟლადა,
ცრუ-ფიცით გამოტანილი ვენახი არ მოსთვლილა, და.

სწავლა სათანადო სოფლისაგან ყოველთა კაცთა. თავი მ:

282. ოდეს განმდიდრდე დიდი თუ მცირენი ნიჭით ღეთისადა,
თავით შენითა, ან დაგრჩეს შოვნიდად კვლავ მამისადა,
შეიმოსე და შემოსე, ვინ სწუხდეს სიშიშვლისადა.
უნაყროვანოდ სვი-ჰამე! ლხინი მინახე, ვთქვი სადა?
283. ნუ გააბრუნებ უჭმელსა კარით შენითა მშვიერსა,
ერთი გთხოვდეს თუ რამდენი, რა შეკრბეს ბევრი ჰიერსა
ვინ გინდა იყოს, აჰამე, ნუ დაუჭინებ სულ ბერსა,
მან დაგიმადლოს უზომოდ, ვინ მათიანეს გიწერსა.
284. ამხანაგს წინ მიეგებე თავ-მდაბლად, შორ მომავალსა,
ნურას დაუჭერ გასაცემს, თქვას იმან: „ეს მე მავალსა!“
ეს დაგრჩეს, სხვა არაფერი, ჰე, კაცო, შენ წარმავალსა.
უმჯობეს არის სახელი კეთილი განძსა მრავალსა.
285. უცხოთა მოყვარებითა აბრამ მით ღმერთი ისტუმრა,
მალ შეუშზადა, რაც დახვდა, არ ნამზადისი ისუმრა;
სარრა დაფარვით განიღიმს, მაგრამ შეუტყვევს სასუმრა.
ვის სძულდა, ის დაისაჯა, ავ-პირად ვინ გაისტუმრა.
286. შეირტყთ საჩუყელი სჯულისა, სიმხნისა, გულადობისა,
თქვენის ქვეყნისა სიმავრის, მეფეთა ერთგულობისა;
ცხენი, აბჯარი გაიწყეთ, სალაშქრო, ნადირობისა.
როსცა დასჭირდეს პატრონსა, სჯობს, ვინც მალ მიესწრობისა.

287. სიხარულით წადით ლაშქარს, თუცა სისხლი გენტხეოდეს, ქვეყნისა და პატრონისთვის სასჯელს არვიან შეულონდეს. ვინცა მოკვდეს სჯულისათვის, დაიჯერე, ესე ცხონდეს; რაც გადარჩეს მეწინავე, მას სახელი დიდი ჰქონდეს.
288. კარგია და ღეთის წყალობა, თუ უამია მშვიდობისა, — მეფეთ ზღემა, ამხანაგთან უკუყურა ნადირობისა, შეგებულთან კაცთან ლხინი ნადიმის და პურობისა, ხან შინ ყოფნა, სიხარული და ალერსი და-ძმობისა.
289. თუცა თუ ფერად-ფერადთა ტანსაცმელსაც აქვს ხარება, კარგია მოკაზმულობა, კარგს კაცს მწვე შეეხამება; მაშინც ცხენი და აბჯარი სჯობს, უფრო მოეხმარება; ცუდს კაცს რომ კარგი ჩააცვა, მას კი ვინ მიეკარება?!
290. საკაცო მუდამ საცმელი მგონია ზნე-კეთილობა, სიბრძნე საღეთოსა საქმისა, საეროს კარგა ზრდილობა, სიმშვიდე, სიტყვა-მარჯობა, სიმართლის განკვეთილობა, უამაყობით სასირცხოს საქმისა მოთაკილობა.
291. ვის ეს სჭირს, ეს სჯობს კაბისას ჩაცმასა ახალ-ახლებსა, სტავრასა, ჭარა-ღიბასა, ატლას-ბაბსა და ნახლებსა, მაღალსა, ტურფად დახატულს სარაიას და სახლებსა. მას აქებს კაცი ყოველი, მეფეცა მას იახლებსა.
292. ამით სცან: მეფეს თუ ვინმე ესტუმროს კაცი შორითა, უცნობო მისის სახელით და მერმე გვარის-გვარითა, ამხანაგი და მის ალაგს მყოფნი პატივის სწორითა, ერთი საიად, მეორე მორთული თვალ-გუარითა,
293. უწინ მას უპყრან პატივი, რომელს ემოსნეს სტავრები. ტანისამოსის სიკეთით ვნახე თავს-გარდმონარები, დიდებულთანა დამჯდარი, შინაგან ეკალ-ნარები, რა გაუსინჯეს ზრდილობა, არ იყო მოსახმარები.
294. ჰკითხეს და ვერა ეგეთი თქვა რამ, ვით გარე ემოსა; გაითიხნა რამე, შექამა, აპყვა სულ პირის გემოსა. კვლავ დაჰპატიჯეს, ზნეობა, შეხეთ, თუ არ იჩემოსა! მაგრამ ზედა-ზედ პატიჯმა. მგონია, გააჩემოსა.

295. საიად-მოსილს უმზერენ საქციელ-განკრძალულადა, მერმელა რა თქვა სასიბრძნო, ყური მიუპყრეს სრულადა, დაკკრა ზნე-კეთილობასა სანდომად, კარგ-უსულადა, მორთული ესრეთ გაზრდილა, ეს ასრე ამოსულა, და.
296. რადგან მეფე მათ უცნობთა საქმეს ასე რამ იხილდა, ვნახეთ, შესწრფა, დიალაცა, დაუმძიმდა, შეწუხილდა, წამს უყოფდა მეღვინესა, გაცლის ნდომას არ უმხილდა, აუესეს და ვერ დალია, ადგა, ავად წაფორხილდა.
297. მაშინ მეფემან შეხედა, ეს დაუტევა მას ახლო, დაუწყო იმას ალერსი, ბრძანა, თუ: „ეს-ა საახლო! ეს ისმენს წადიერად და ძლივს საქმელს ხელი დაახლო“. თქვეს: „მისი თესლიმც გაწყდება, აშენდი ამისო სახლო!“
298. კიდევ რამ გითხრა ამისთვის უფრო დაფარვით, იგავით, ორში ერთია უმჯობეს და მეორეა იგ ავით; შემკული გარეთ, შინაგან საუნჯე სხვა აქვს იგა ვით? რომელიც სჯობდეს, დაიგდეთ და უდარესი ი გავით.
299. ერთი მოთეთრო ქალადი და ვარაყ-შეფრქვეულია, კარგ-ხელნაწერი, მაგრამე ამბავი არეულია; სხვა მოყვითანო, ფრჩხილ-ყვავად სასიბრძნოთ დაწერილია. ბრძანეთ: რომელი სიკეთით ამათგან მორეულია?
300. ოქროთ შემკულსა ებანსა სცემს ვინმე, ავად აღდერებს, სხვა ლიტონისა შეშისას ჰკრავს, ტყბილად, ამოდ ამღერებს. ორისაე მცოდინარენი გულს რომელს უფრო აცერებს? რომელი შენდა უმჯობეს, შენ გეტყვი ყელ-მონადერებს.
301. მისიმც დედ-მამა ცხონდების, რა გინდ რომ იყოს ცოდვილი, ვინც შვილი კარგი დააგდოს, ზნე-სრული, კარგა გაზრდილი; ულხინო აღარ გამიშვას, მაჭამოს კარგი სადილი, ის მოკმაზული სადგომს ჯდეს, ავი რამ, ცრუ მოქადული.

სწავლა სოფლისაგან კიდეჲ სამრო. თავი ზ:

302. ეს მეშვიდე წვრთა ისმინეთ, ყოველთაა სათანადო: თავადნო და დიდებულნო, აზნაურნო, მუშავ, ნადო, გიხამსო, სხვათა წვრთილებასა ესე სწავლა მათთან ადო, ნურავინ ნუ გაუმტყუნებთ, ვინ ერთმანერთს მისცეთ სანდო.

303. მშვიდნი იყვენით, რამეთუ მე მშვიდნი დამიმკვიდრებენ; ყოვლი მეშფოთე, გულ-ანჩხლი სიცოცხლეს დაიმწარებენ; ავად შერებიან, საძაგლად, ვერა-რას გაიხარებენ. ვინ მოყვასს მთხრებლი უთხარონ, თვითვე თავს ჩაიკარებენ.
304. კაცო, რას ზომის უფროსად გულს გაიფიცებ საშფოთლად, აღიმღვრევ თვალსა, ციოდეს, პირსა გაიხდი საოფლად. აღმოუტევებ სიტყვასა მწარესა შხამად და გესლად, ამხანავსა და მოყვარეს აღარ ახსენებ არც ფოთლად.
305. რად არ მიჰხედავ ზღვის ღელვას? არ გარდახდება საზღვარსა: თვით ღელვას ზედავ იმუსრავს, ნაპირზე წყალსა არ ღვარსა, ქარსა სასტიკსა ჩრდილოსას და იძულებას სამხარსა, შენ გონიერი ეგ კაცი ემსგავსი წარმდენელსა ღვარსა!
306. კაცნო, რას ზეობთ? არ იცით, რა არის წინამდებარე, ღამე რას მკაობს, დღე რას შობს, ვინა ზართ ამის მძებარე? ვერვინ მიხვდება სრულიად აქა-იქ მიმომდებარე, არავინ არის ღვთის მეტი სრული და დაუკლებარე.
307. თუ არ ძალ-გიძეს გულისა განურისხველად შენახვა, ენა დადუმენ, ნუ გინდა ავის თქმა, სულთქმა, შენ ახვა! მერმელა გულიც დაამდეს, მოგინდეს კაის შე ნახვა. პირველ ქმნისაგან უწინ სჯობს საქმის გასინჯვა, შესახვა.
308. ნუ აღმოანთხევ შენსა და სხვის სწორად მაკვდინებელსა, გესლსა მწარესა, რომ გვანდეს წითელსა სანელებელსა; ნუ აღმოუტევ სიტყვასა, რას გინდა, მავინებელსა; ყოველი კაცი გიძახდეს მოლუშარ-უამებელსა.
309. რადგან მადლობის სიტყვითა გაუმართლდები პატრონსა, ავის თქმითაცა ეგრეთვე გნახვენცა კარ-განარონსა, მიხედვ მოსეს მშვიდსა და დავითს და მათთან არონსა, ის ღმერთს იხილავს, მეორე იცხებს მეფობის მირონსა.
310. ცუდი რამ მეწვრთნას, ნუ გინდათ, თუ — კაი, შეიწყნარეთა; სიჩქარით ნურას გასინჯავთ, აქ გული დაიწყნარეთა; საამებელსა იამდეთ, საწყენზედ დაამტქნარეთა; ნულარ მწყევთ, ნულარ მავინებთ, ხმა სიბრძნით განარნარეთა.

311. თუცა კარგა გეწრთნა სოფელმან, მაშინც უძრახავთ სიმუხთლეს,
ამას ამბობენ: მაშ, რა ვქნათ? სად რას უპოვებთ სიმართლეს?
არვიზე სამუდამოა, ანაზღ დაავსებს სინათლეს,
ყოველთა კარგთა ნაყოფთა დანასა მოსაკვეთად ლესს.
312. ვა, ჭავრი ამის სოფლისა, ცრუსა და დაუდგრომდლისა,
წამ-ერთს ერთ ნირზედ არ-მყოფის, მყოფის და მომავალისა,
სიკეთის ცოტას მიმცემის, დამამხობლისა მრავლისა,
ვერ შეგვიგია, სით მივა კვალი მის მიმავალისა.
313. მყის მოიყვანს, წამს წაიყვანს, ეს ზნედა სჭირს სააუგო;
ერთს თავს სახლი დააქცია, მას მეორეს, ჰე, აუგო;
ამას ღმერთი აცნობინა და იმ სხვითა კერპსა უგო;
ზოგს გზა კარგად გაურკვია, ის დაჰკარგა, არ გაუგო.
314. გუშინ ვინმე განამდიდრა, აღძღა და გაახარა,
დღეს დასცა და დაამდაბლა, საბრალო დაავლახა რა.
შემოსძახა: „ისომ დაგეც, ფერხზედ რადლა მიდგახარა?“
ასრე მქცევს და უაუგოს ვით არ უთხრან „ვაგლახარა“?
315. აქ ახარებს და აცინებს, აგერ ატირებს, ატყებსა;
იგ ვინმე იშვა განცხრომად, მშობელთა აამაყებსა,
სხვათ დედ-მამათა შვილებსა სტაცებს, ვით ჩიტი ბარტყებსა.
მათ ანადირებს, აბურთებს, ღიბებს უკიდებს მაყებსა.
316. მხეცმან მისტაცოს რა კრავი ცხოვართ, ახალი, ჩვილია,
მწყემსნი ყიოდენ ხმა-მადლად და შექმნან სიყვილია,
ვერა არგონ რა, მობრუნდენ, დაიწყონ მწყვე ჩივილია;
ეგრეთ მშობელთა ურგებად აგლოვს, მოუკლა შვილია.
317. ჰოი, სოფლისა მრავალნი საცთურნი ჩვენდა რწყმულია,
დაუჭრის ძმათა გულ-ღვიძლთა, ვინ ვისი მოყვარულია,
მოწყლის მოყვასნი, ვინ ვისგან ხლებითა მოხარულია,
გაყრით და-ძმისგან სამუდამოდ მტირალი, ცრემლთა ცრულია.
318. ბატონს გახდის უყმოდ და ყმას ოხრად დასვამს უპატრონოს,
უმისობა გულს სდაღადეს, მუდამ უნდა სულთქმით რონოს,
გმობდეს მისსა სიცოცხლესა და უბედურს ეტლსა კრონოს,
თუმც სხვა შოვნოს საპატრონოდ, მისებრ ველარ უპატრონოს.

319. ვინა იჩემებ, სოფელო, უმუხტლო-უხანობასა?
 იჩქითი რამ ხარ, ანაზღი, კარგს ავის ზე დასწრობასა.
 ვირე გაუძლო შენს ეგზომს მუდამ ლახვართა სობასა?
 ყოველთა გვათქმევ ამასა: „ვა, ჩვენსა შენ შესწრობასა!“
320. მიჩვენე გუშინდელისა ყვავილის შევნიერება!
 სად არს სიტურფე, სინაზე და მისი ნებიერება?
 ფერი — ყირმიზი ყაყაჩო, თეთრ-ბროლი შეიწერება;
 ეგზომ სიკეთე არ ცუდ-ჰყავ, რომე ძლივს დაიწერება?
321. სადა არს ლაწვთ თეთრ-ყირმიზათ მერთვა, სიწმინდე
ვერცხლისა?
 სადა ვარდობა ბაგისა, თვალთ წყალი მის სიმკვირცხლისა?
 წარბს მშვენიერსა წამწმითა ძალუც დაბერვა ცეცხლისა,
 ცხვირს, მათთა შუა-მღვომელსა, ძალა აქვს მკვდრის
სიცოცხლისა.
322. სადა არს თხემის დალალა, ბეჭთ საშუალთა — კოწოლნი,
 ყელი — მთიებთა უნათლე, ბედაურთ მკლავთა წამწოლნი,
 იგი უებრო მიჯნურნი ერთმანერთთანა არ-მწოლნი?
 ერთბამად დაანთქ ყოველნი და უფრო შენნი ამყოლნი.
323. რა უყავ მეფე სვიანი, ვისაც ქვეყანა დახარდა,
 პალატი სავსე ლხინითა, ან ის სიცილი, ხარხარ და
 კვლავ ნადირობა, შექცევა, იძახდენ: „არის ხარ-ხარ“ და?
 აწ ოხრად სჭვრეტენ ყოველთა, ასე სიმუხტლეს შვა ზარ და.
324. მზერენ მოწყალის მეფისას პორფირს, ტახტს ცარიელადა;
 ქვე-მდებარესა ჯვირგვინსა, სკიპტრას, პერობილსა ხელადა,
 ხრმალს ოქრო-რჩუნვილს, რომელი მტრის სისხლით იყო
სველადა,
 მის წილ სხვა დასვი უშვერი, ვინ თავი ისახელა და.
325. თუ დააჩნდება ზღვას კვალი ზედ მიმავალის ნავისა,
 სიზმრის რამ სარგებელია, კარგისა ანუ ავისა,
 სოფლის სიმდიდრესც ექნება ცრუსა და წარმავალისა,
 ამაღ არა სჩანს სიკეთე წონა ბუ ნატამალისა.
326. რასთვის მგონია სოფლისგან კაცი უცრუე, აწ ვიტყვი;
 თუ სიტყვა კარგად გასინჯო, დამემოწმები, შენც იტყვი:

ჩემთვის შექმნილი დავკარგე და გავისწორე პირუტყვი,
პირველმან მამამ დაგვიგდო, მის გამო ასე დავიტყვი.

327. მას სოფელი რას მძლავრობდა, მისი ყველა არ ხელთ ჰქონდა?
ღვთის ბრძანებას გარდავიდა, მტერს უსმინა, ის მოსწონდა;
ამით სოფელს დაგვამონა, მისთა შეილთა მოგვიწონდა;
ვა, უხრწნელი სამოსელი განსახრწნელად მომიქონდა!
328. მამის ნაშრომი შეილებმან მოვიმკეთ, მოვირეწეთა,
მისით გვეუფლა სიკვდილი ცხოველთა, დამემოწმეთა!
სხვას რას ვაბრალებთ, მის გამო სიმაღლით მიწად დამწეთა,
მაგრამ უფალი პატრონი გვივის მოწყალედ, შემწეთა.
329. გულისხმა ჰყავით მსმენელთა სიბრძნითა, ნუ გარეტებით:
პირველ პატივ-გვცა უფალმან ჩვენ მისის რამე ხატებით,
სული შთაგებერა ცხოველი წყალობის შეტის-შეტებით,
გონება, სიბრძნე მის თანა, ამდენს რას შევემატებით?
330. ეს არის ჩვენი ხატება ღვთისაგან ბოძებულთა,
მოგონება და გონება, ჭკვა ერთად წამებულთა,
უხმართა რადმე სახმარად ჩვენგანცა გაგებულთა,
არ ვემსგავსებით სხვას სახით, იგ არ არს აგებულთა.
331. სადაც არა ვართ, ჩვენცა ვართ ფიქრით თუ მოგონებითა,
სიტყვით ჩვენც რასმე შევმზადებთ, არ ხელით სხვის მონებითა,
ავსა და კარგზედ ფლობა გვაქვს, ორსავ ვიქთ ჩვენის ნებითა;
ხატნი ღვთისანი ცუდს საქმეს ვშვრებით და არ ვეზსნებითა.
332. მზე და მთვარე ჩვენთვინ შექმნა, თორემ მას რას ეხმარება?
იგ ნათელი სამუდამო არსად არ დაიარება;
სხვას მნათობსა ბნელი მისდევს, მას კი ვერ მიეკარება:
ყოვლგან არის, ყოვლგან სწვდება, ეტლთა არ უხმს მოარება.
333. ეა და ცისა შემკულობა ჩვენდა სახმრად მოიგონა,
ქვეყანა და ნივთი მისი მოგვცა, ყველა დაგვამონა,
შიში დასდვა ადამისა, ზე უფლება გააგონა;
ერთი სიტყვა არ უსმინა, იპატრონა მით მამონა.
334. ვხედავთ ცასა და ქვეყანას, შემკულსა სამკაულითა,
რამდენით სხვადასხვა-გვარით ნივთთაგან ნივთებულთა,

მოგვცა, გვიბრძანა: „უფლებდით ჩემ მიერ ბოძებულითა“.

ადამ დაჰქარგა, მოიწყლა, ჩვენც მოგვწყლა მისვე წყლულითა

335. პირუტყვთა, თევზთა, მფრინველთა, მხეცთა, ქვე-მოძრავ ყოველთა, ეშაბთა, ლომთა, ნიანგთა, სულ საშიშართა ცხოველთა. მოვიდეს, ადამს თაყვანი სცეს შიშით, ვით მოკრძალებთა, ყოველთ სახელი უწოდა — მორჩილთა, არ-მოძალებთა.
336. დაემონნეს მას ყოველნი, თვით არვისგან ეშინოდა, უთხრა: „წადით, ქვეყანაზედ ვერავენი ვერ მიწყინო, და“. თვითონ დარჩა ედემადვე მოსვენებით, ვით შინო, და, ჰაი, ადამ, მტრის ქებითა თავს, დიად, ნუ მოიწონ, და!
337. ღმერთმან ოდეს ადამ შექმნა, სიკრუევე არ დაატანა, მტერს შეშურდა მოშურნესა, წყეულს ჰქვიან ვის სატანა, გველს აზრახა ცთომა მისი, ევას სიტყვა მიუტანა: „ჰამე ხილი ცნობადისო, ღმერთ იქმენო, აა, ტანა“.
338. რა ევამ გემო იხილა მწარისა მის ნაყოფისა, ავს ვერ იცნობდა, მითა სცნო, შერცხვენდა შიშვლად ყოფისა; კვლავ ადამს მისცა, აჰამა, საქმე ქმნა განაყოფისა, მანცა იხმევა გაეარდნა, აღრე სცნო კარგ-სამყოფისა.
339. რადგან მცნებას გარდავიდა, მაშ, ბოროტი ეუფლოდა, კარგს მოშორდენ, სცნეს სირცხვილი, ვით მწვირეში
დაეფლო და
მწუხარების სირცხვილითა პირი მათი იოფლოდა;
გამომხვნეს სამოთხითა, მტერმან მალე ასე სძლო და.
340. ოდითგან დავრჩით წყევას ქვეშ მის მამით ჩვენ, შვილებია, მივიქცით მიწა მიწადვე, არა გვევა მეშველებია, პირველ დიდების პატრონი მით სხენან სრულ შიშვლებია; ქრისტეს მოსვლამდინ ჩაგვეყარა მტერთ ხელთა ჩვენ საწყლებია.
341. კვლად იესომ მოგვმადლა ნიჭი ეს უსასყიდლოდა, ცა ჩვენთვის ბრუნავს, ქვეყანა, ნაყოფით გამო მდელი და. სხვა ლარი ანუ საჭურჭლე ამისთვის მოგვემადლოდა, გვიბრძანებს: გლახაკთ მივსცემდეთ, ნეტარ ხარ,
გამომზრდელი, და!

342. ზოგთ მიეცა დიდებანი ასეთს, რომ ვერ შეიტყვიან,
არ იმადლის, არვის მისცემს, ვინ უბოძა, არ იტყვიან;
თვისი დადევს მოუხმარად, სხვათაც იმათ გაიყვიან,
ვაიმე, თუ თვით მე ვიყო, თქვიანო და არა ჰყვიან.
343. სოფელი ესე მგზავსია ადგილსა ერთსა კრებისას,
ჩვენ ვაჭარნი ვართ, განხრწნადით ვიყიდდეთ უხრწნელებისას,
ამ საქიროდან ვისწრაფთო მისვლად მუნ ფართოებისას;
თუ ეს წარხდება, სხვას ეამსა ვერ ვჰპოვებთ კვლა ვაჭრობისას.
344. ვთქვათ: სოფელი რასა სტყუა? გველია თუ ანუ ევა,
ვით რომ შექმნა შემოქმედმან, ისევე ჰგია, არ ისევა.
ჩვენის ავის ნაქმართა არ ესეც კი დაიწყევა?
თუ უფალი გამოგვისევს, რა ქნას? ერჩს და მოგვესევა.
345. სოფელი ჰგია მას ზედვე, მაარსებელმან ვით არსა,
ხან მოგვიღრუბლავს, ცვარს გვიცვრის, ხან ყინავს, ხან კი
გვიდარსა;
ვინ ღმერთსა ესავს, მორჩილობს, ვერაზედ ეტყვის უარსა,
სხვას საქმით ვერვინ დაიჭერს, ვერცავინ შემოუარსა.
346. რაც ნივთია, ღვთის ბრძანებით მის-მის დროსა აგვიჩნდების,
ცათ შევენება გაუცვდების, შთა დიდ-დიდნი გავაკდების;
კვლავ ათასი წელიწადი მის წინ ერთ დღედ გამოჩნდების,
კაცისაგან კიდევ არსი საზღვარს ვერვინ გარდახდების.
347. ეს სოფელიც ჩვენი იყო, მისი ნივთიც, რაც ვთქვი წინარ,
მამა გვიც და დაგვიკარგა შეილთა, მიხვდა ამას ვინ არ?
ოფლით ვიმკით ჩვენ საზრდოსა, კუროსთავთა ხელთა ვინარ,
რა უყოთ, თვარ საქმე დიდი თავს დაგვადგა მწვედ საწყინარ!
348. ზის ნაყოფისა მიზეზი ძირია, აღმოაცენებს,
ეგრეთვე კაცთა მამადა ყოველნი ადამს ახსენებს,
მისით მოგვიდგამს, ის შეგვეყრის სიცრუის-გვარსა ამ სენებს,
მართალს ვანბობ, თუ უზრახავ, ნურავინ ნუ მოახსენებს.
349. ადამ შექმენ ხატად შენდა, ზე აუფლვე ყოვლსა არსსა;
აღზელილმან მიწა-მტვერმან ეს პატივი ვით იღირსა,
არ შერაცხა ეს დიდება, სცთა, მით წყევვა დაგვიარსა;
ჰაი, იქმნა მიშვებითა, ვინ შენ მცნებას იუარსა!

350. ამად ვთქვი საღეთო-სასიბრძნო ლექსად, არ სიამაყითა, ეგება ამით ისმინოთ საწვრთელი, არ ბაყბაყითა; მოგართვი თევზი, ბადესა სავსე გაქვს ვის ბაყაყითა; ვინ ჯერ ხართ, სარგებელი გაქვთ, თუ — არა, წყალი ნაყითა.
351. საღეთოს წიგნების გალექსვას მე არვის მიეცემ დასტურსა, ნურვინ წამბაძავს ამაზედ, სიტყვას ისმენდეს დასტურსა, ჩემსა ნურავინ ნუ იტყვის, მისით მოგვესმა ჩვენ ყურსა, სადა გინდ შემოიღებდენ, თაფლს სწვეთდენ, არ მშრალს ფიტურსა.
352. მე არ მითქვამს საღეთო წიგნი თავ-ბოლომდინ სრულ ერთ პირად, სადა გინდ რამ მოვიყვანე მუნასიბათ, არ ავ-პირად, არ ადვილი მოსაგონი, ვეპვ, თქვენც ხედავთ გასაჭირად. მე იეფად ყოვლთა მოგეც, რ უ ს თ ვ ე ლ ი ჰყიდს თუცა ძვირად.
353. ვინ სრულ ინებოს, ვით შესძლებს, ინს არ აკლებდეს, ან ბანსა? ვინცა დააკლებს, რას ბრძანებს, ცოდვას იდებს თუ ან ბანსა? ნამეტან ნაკლებისასა ის სჯობს, იწვრთიდეს ან-ბან-სა, დაწერას მათსა იმღერდეს, გინა იტყოდეს ან ბანსა.
354. ვსჭერეტი წიგნებს, მონასტრებში უბუდობით სულა ობდეს, სიტყვა მათი სასურველი საუკუნოდ გვიფასობდეს, საღეთოსა და საკაცობოს ორსავ კარგად შეამკობდეს. მას ყურს არვინ ათხოვბდა, ცუდ-მუღებზე ბაასობდეს.
355. საღეთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით; საშაიროს ინახევდენ სტავრის ბუდით, ან ნახლობით. უმჯობესი დაივიწყეს წესის რამე აწ ახლობით, სიმართლესა მრუდზედ სცვლიან სიცრუეისა მომზახლობით.
356. სრულ იქმნა წიგნი — ბაასი ეს კაცისა და სოფლისა, წელს დასაბამით შვიდათას — ასოთხმოც მეთორმეტისა, აშთარხანს კაის ქალაქსა, მაგრამ ჩემს არ-სამყოფლისა, ზამთარს მწვე ცივისა, დიახ, ცხელს ზაფხულს, მდენელსა ოფლისა.

357. ამავე წელიწადს, ოცდათს მარტს, აღდგომა გათენდებოდა, ნაკი მოჰქონდა ფეხებზე და ოცი ზედნადებობდა, ჩემის წელისა ჩამოსვლა ოცშვიდმეტად თავდებოდა, ქრონიკონისა ასონი ტარ, ონი, ბანი ჯდებოდა.
358. თუ არ ვთქვა, ვიცი დარჩება ბოლოყამ გაუგონარად, თუ ვთქვა და არ დაიჭერონ ეს აღვილ მოსაგონარად, სამ თვე გათავდა ეს წიგნი, სულ ჩაიგდება ონარად, იანვრით ოცდათ მარტამდის ზან კიდევ ვიყავ მცონარად.

3. ახნი ორმუხლნი შაირნი

ახნი ორმუხლნი შაირნი ვართ მეფის გამოთქმულია,
არჩილის, ვახტანგ მეფის ძის, ბრძენთა სანუკვრად თქმულია.

1. ჭირსა და ლხინსა მადლობა ღვთისა ჰხამს ყოველის მპყრობლისა, სარწმუნოებით ვადიდოთ, პირი დაიყოს მემობლისა.
2. მეცნიერება ბრძენთანი ღვარისებრ განმდიდრდებიან, ბრძენთ ზრახვა ცხოვრების წყაროდ ისმის და ეღინებიან.
3. კაცი პირს ჰხედავს კაცისას, ღმერთი — მწვლილს გულის-
სიტყვებსა:
ვერ დაიფარავს საქმესა, ვინ იშვებს, ან ვინ იტყვებსა.
4. კაცი ბრძენი სჯულდებულსა საქმეს არას მოიძულებს, უმეტარი ჟსჯულოობს, სხვათაც მასზედ აიძულებს.
5. კაცი სრულ-არსთა მთავარი თავესა რად განინადირებს?
ძვირის-მოქმედთა ძვირივე ბოროტად მოინადირებს.
6. ვინ მრწემსა სწყალობს, ავასხებს უხვად წყალობის მძლეველსა,
შემწუნარებელი ობოლთა მძლე ექმნეს თვისსა მძლეველსა.
7. თქვეს: ძღვენი ბრძენთა. კაცის თვალს უჯეროდ დაარწმუნებსა,
უსამართლონი მსაჯულნი ქრთამს არვის დაამგუნებსა.

8. გრცხვენოდეს გინებისაგან, ევლტოდე სმენად ქებასა; თავი ნუ მოგწონს, ერიდე ცრუ სიტყვა-დაქადებასა.
9. სხვის მომზირალი თავისას ავს ვერას დანახავსა, უცები კაცი ზეაშიადს ვერათ ვერ შეინახავსა.
10. ბრძენს ცოდვას თვისი გონება ამხილებს, შეანანებსა, უგბილი უმეცრებითა ვერ ხედავს, თვის თავს ავნებსა.
11. დაღმართ არს ცოდვა: მოქმედთა სუბუქად ჩაიტანებსა, მაღლი მიძიმეა ამღებთა და ზეცათ აღიტანებსა.
12. სიტყვა უცებთა ზღვა არის, მღელვარე, კლდისა მცემელი, არა-მღუმარე, წვიმისებრ ნაყოფის გამომცემელი.
13. თუ ძნელ არს ფიცი, მართალიც ცრუსი რაღამე იქმნების? აღთქმაც დიდია სათქმელად, გარდასვლა რა შეიქნების.
14. თუ შენ არ მისცე, ნუცა მას ელილა რასმე მოცემას: უჩინარისას მტრისასა ერიდე მულამ დაცემას.
15. გული ნუ გითქვამს მეტს რასმე, რადგან უგუნურთ წესია; იფქლსა ვეროდეს შეიკრებს, ვის ღვარძლი დაუთესია.
16. ეტლთა ბრუნვათა მსგზავსია ამ სოფლის ლხინი და შვება, წამიერთ იცის ორივე — ამაღლება და დაშვება.
17. რაღაა ურჩეულესი მეგობრის საკუთარისა? რა უბოროტეს მოყვისისა ქვე მკბენის, მოკუთარისა?
18. სჯობს აღსასრული კეთილი დიდად დასაბამ კეთილსა; სჯობს ახალ ნორჩი ხე დიდსა, ნაყოფით ქვე-მოკვეთილსა.
19. გატეხილს ჭურჭელს მიპრონი არ ერწმუნების, იცითა. ცრუს კაცსა საიდუმლონი არ ეთქმის, მითქვამს ფიცითა.
20. ხრდილს კაცის ყოლა გატეხილს მშვილდსა ჰგავს, ვინ ვერ ვიდრე მტერს ნახავს, კაცსა ჰგავს. მაშინ წინ ველარ წაიზევს, მოიზევს,
21. მოშიშარს, ამპარტავანს და მოსავს თავისა ძალისა რაემს ხმა ესმის საზარო, ძრწოლით სამ დაემალისა.

22. სასიკვდიენი წყლულია მცირე ნაკბენი გველისა;
დიდს შფოთს აღადგენს ერთიცა სიტყვა ცრუ ენა-გრძელისა.
23. ვინ ენას სძლევს და მუცელსა, დიდი ნიჭი აქვს მადლისა;
ვინ ბოროტსა სძლევს, ხელთა აქვს სრულყოფა მას საწადლისა.
24. მუშაკი, დღეის საქმისა ხვალისა მდები, სცდებისა:
მის-მის დღის საქმე მის დღეს სჯობს, რადგან სოფელი
სცდებისა.
25. ვინ ძრწის სამლოთსა შიშითა, ვერარა შეაშინებსა;
უშიში ღვთისა თვისისა ჩრდილისგანც შეიშინებსა.
26. კაცს უყვარს ღვთის-მოყვარესა ყოველი კაცი სრულებით,
ძმის მოძულარსა ღმერთი სძულს სიბოროტისა კრულებით.
27. სიტყვის სიმრავლე სასმენელს ავნებს და ვერ აამებსა,
მეტი საზრდელი სულსა და ხორცს არც ერთს არ დაამებსა.
28. თუ კაცი თვისად ბოროტს ჰყოფს, სხვას ვისლა უზამს კეთილსა?
ნუ სთხოვ ნაყოფსა საშენოდ ხესა ფესვ-აღმოკვეთილსა.
29. გვიან საქნელ არს ბოროტი, კეთილი — მოსწრაფებითა;
ვინ ვშვრებით ავსა საქმესა, სინანულს შევესწრებითა.
30. ბილწის სიტყვისა სასმენლად დახშვა ჯერა არს ყურისა;
ენით კიცხვა და ბასრობა ნურავისთვიმცა ვსურისა!
31. სჯობს საქმე უხმო სიტყვასა თქმულსა, არ-გათავებულსა;
თქმა და არა-ქმნა სარცხვენელ ჰყოფს კაცსა გათავებულსა.
32. თუ თავს ვინ განიკითხვიდეს, სხვასა აღარას აბრალებს,
თვისის ცოდვისა მხილველი ღმერთს სხვასაც ბევრს შეაბრალებს.
33. ამაღლებულნი დამდაბლდენ, ამაღლდენ დამდაბლებულნი,
მოღვაწე წარწყმდა სილალით, ცხონდეს სიმდაბლით ვნებულნი.
34. რისხვა ბრძნისა სჯობს ცრუთასა ალერსსა, სიტკბოებასა,
უგბილთან ღვინსა დია სჯობს, თუ კაცი ბრძნისას ებასა.

35. დიდი სიბრძნეა კაცისა ცნობა თავისა თვისისა,
სიბოროტეა ძვირის თქმა მეგობრისა და თვისისა.
36. წყლით დაივსება სახმილი, შერისხვა — დაღუმებითა,
შური იძლევის ტკბილისა სიტყვისა დაამებითა.
37. მეგობარს გამოუცდელსა არ უნდა კაცი მიჰყვესა,
ჯერ შეზავებით ვკითხვიდეთ, ჩვენს წინ მეგობრად ვინ ჰყვესა.
38. სარწმუნო მოყვისს შერისხვა სჯობს მტრის პირის-პირ ქებასა;
ბრძენი სხვათათა სწავლიდეს, დიდად სჯობს დაღუმებასა.
39. მოციქულია მქებარი პირად სასმენელ ბნელისა,
შემასმენელი ლიქნითა მკვლელია შემასმენლისა.
40. კითხვა საღვთოთა წერილთა გონებას განანათლებსა;
რისხვას დაიდებს რისხვაზედ, ვინ ცრულ თავს განიმართლებსა.
41. აღთქმას ღვთისასა ნუ ჰყოვნი, მიცემად მისაცემელსა;
სჯობს არ-ქადება არასა, ჭადებულს მიუცემელსა.
42. მამა შვილთ დაკლვის მიზეზსა ნებისით არ მიიწურავსა;
ღმერთი გლახაკთა მონახვექს მსხვერპლს არას შეიწირავსა.
43. უღვთო მწყევარი ეშმაკთა, არ იცი, თავს იწყევლისა?
ზაკვით მეტყველი მსგზავსია გველისა მის პირველისა.
44. უგბილი თვისსა სიცილზედ ხმას დიდად აღიმადლებსა,
ბრძენნი და მეცნიერენი ღიმილსაც დაიმდაბლებსა.
45. უგუნურთ ნიჭი დიდა: ერთის წილ ითხოვს მრავალსა,
მცირედს მისცემს და აყვედრებს დიდად კნინ მისა საველსა.
46. კაცი ბრძენი ღუმს ჟამადმდე, სხვას უსმენს წადიერებით,
მრავლის-მეტყველი საძულველ იქმნეს, მკლე გონიერებით.
47. უცხოთა თანა ნურას იქ საქმესა საიდუმლოსა;
ყოვლს კაცს გულს წინ ნუ დაუდებ, უფროსდა — ცრუ-
უმადლოსა.

48. ურცხვინო არის, ვინ სიტყვა მოყვისისა არ დაიმარხოს,
თვისი აუგი არად სჩნდეს და სხვისა მალ დაინახოს.
49. მსაჯულად ყოფა ცუდია, ვინ ვერ სცნობს ცრუს და მართალსა.
მოიკიცხება საჯაროდ, დააკლებს ვინ სამართალსა.
50. ნუ თვალს არიდებ გლახაკსა, ნუ სცემ ადგილსა წყევლისას,
რიდე შესმენას ღეთისასა, სწრაფით ჰხამს, ისმენ-ყე ვისას.
51. რაბამ დიდ იყოს, მაშინ ჰხამს, კაცი გულითა მდაბლობდეს,
კაცს სათნო ეყოს და ღმერთსა სამარადისოდ მადლობდეს.
52. მხედველი აღსასრულისა მტერობას ჰრიდებს მოყვისისას,
ღლისა ღიდისა მომლოდნე, შურს აღარ ეძებს არვისას.
53. ბზიკი ვის უცემს, ვერ მოჰკლავს და თავსა მოიკვდინებსა;
კაცი მოყვისისა მოშურნე მისგან თავს უფრო ივნებსა.
54. თავვი ჰურს ღვინით სავსესა მცირეცა შეაფინებსა;
ბევრს სიკეთესა კაცთასა სიცრუე მოაყივნებსა.
55. ძე ბრძენი მამის სწავლასა კვალად და კვალად ინებსა;
მონა ერთგული სამსახურს აროდეს მოიწყინებსა.
56. ათას წელთ სოფლის დაბერობა ცუდია სულთა ვნებითა,
ბოლოდვე გავლით შიშველი სასიკვდინესა სნებითა.
57. ჭირშიგან გამოიცილება მეგობარ-ყოფა მოყვისისა;
თუ დასდებს თავსა შენთანა, არა იქმს საქმეს ავს ისა.
58. მეგობარი ბევრი უნდა, თანამზრახი — ერთი ოდენ;
საქმეს კარგად გაიმართვენ, თუ ჰქვა ორთავ სწორად რბოდენ.
59. ბოროტი რამე სენია თვით-სჯულობისა ქადილი,
მავნებელია თვისისა ნების შედგომა, წადილი.
60. უცნობო კეთილს ბოროტად შერაცხს, ბოროტსა — კეთილად,
უნაყოფოს ზრდის სამისოდ, ნაყოფიანს ჰყოფს კვეთილად.
61. ბრძენი არც იშვებს ფრიადა, არც ღია შეწუხდებისა,
უტები ღზინსა და ჭირსა მის-მის ღროს ვერ მიჰხვდებისა.

62. კაცი კაცს საქმით შევჯერდეთ და ნუ ამოსა სიტყვითა:
ადვილად კაცის ცნობასა, სტყუით, თუ ვინმე ეიტყვითა.
63. სჯობს მონა ბრძენი უგუნურს მეფესა მოხუცებულსა.
არ ეთხოვება კეთილი კაცსა ცრუს, ცნობა-ვნებულსა.
64. მტირალთან გლოვა დაგვიდევს, მოხარულთანა — შვებანი:
ნუ აღგიტაცებს დიდება, ნუცა პირის-პირ — ქებანი.
65. ცეცხლს წყალი დაშრეტს და განსწმედს მოწყალებანი ცოდვასა,
ადვილად შეიწყალება, ვის ცოდვა თავს დაედვასა.
66. სხვის სიკვდილს რად განიხარებ, რადგან რომ შენც მოკვდავ:
ხარ?
ცოდვილი ცოდვილს რად ჰკიცხავ. ზრახავ და ან თავს რად იხარ?
67. ბერს კაცს ნუ გიობ, ჰაბუკო, ნუთუ შენც სამე დაბერდე;
დამწვარსა კვალად ნუ დასწვავ, დასაშუშებლად დაბერდე!
68. სძულს ამპარტავანს მდაბალი, მდიდარს ზოგს — გლახა
მთხოველი:
ღმერთი მართალი გვითმობსა, თვარ ცრუ ვართ კაცი ყოველი.
69. კაცი, სიცოფის მფარველი, სჯობს ბრძენსა, სიბრძნის მფარველსა.
ლალს მონას არჩევს პატრონი სამსახურისა მკრძალველსა.
70. მოშიში ღვთისა თუ ძვირსა შთავარდეს, იგივე იხსნისა:
ცოდვილი ტვირთსა მძიმესა უნაწლად ვერ მოიხსნისა.
71. ღრკუთ კაცთა გული ნიადაგ ეძებს მოყვასთა ძვირებსა,
გული მშვიდი და მდაბალი ძრახვას არ გაიკვირებსა.
72. გულსა განმწყრალსა კეთილი განზრახვა არ ეპოება,
უსამართლოსა ვერას იქს, ვინ მეფეს შეეპოება.
73. როგორც არ არის უცოდო კაცი, აგრევე — უმადლო,
დიდად ბოროტის მყოფესაც სჯობს ცოტაც რამ დაუმადლო.
74. ვინ ძმასა სძულობს, სჯულსა და განუშორება მიყნებასა.
ვინ საბრხე უგოს მოყვასსა შთავარდეს დიდსა ვნებასა.

75. გვალვის უამს წვიმა ქვეყანას უშმატს და გაახარებსა,
წყალობა უამსა ჭირისას სჯობს, ვინც ხელთ მიაბარებსა.
76. სიტყვათა შენთა საზომი დაუდევ კეთილის თქმისა;
ეკრძალე ფიცსა სათქმელად, ნუ ხარ მეტყველი აღთქმისა.
77. ბევრი რამ არის სოფლისა უფროსი ამოებანი;
ცუდს კაცსა მწვედ ააზავენს მორჰმა, ტყუილი ქებანი.
78. კაცია, ნათელს ბნელად და ბნელს ხედავს ნათელსავითა,
თვისსა სიკეთეს არ ეძებს, თავს იქებს ნათესავითა.
79. ავი და კარგი მრჩობლივე ჩვეულობასა მოსია,
არ დაეკარგვის უფასოდ, ვის გლახა შეუმოსია.
80. სიცოცხლე, აგრევე სიკვდილი ხელთა უპყრია უნასა;
სისხლს დაღვრის უბრალოთასა, აპყვება ვინ შესმენასა.
81. მართალიც მონადირა მტერმან, ცრუ სადღა განერ, სა?
თავსა ჩემსა ვწევრთნი უფრორე, ბოროტად ვხედავ გან ერსა.
82. თუ მეჭურჭლესა ჭურჭელი ვერ ეტყვის — ავად შემქენო,
კაცმან ვით ჰკადროს შემოქმედს: „ესე რად ესრეთ მიქმენო?“
83. უშვილოთა სჯობს სიკვდილი უკეთურთ შვილთა ყოლასა,
სჯობს მარტოთ ყოფა კაცისა ბოროტთა თან აყოლასა.
84. სჯობს სიგლახავე სიმართლით ცრუს დიდსა გამდიდრებასა;
მტერობავე სჯობს მოყვრისა ცრულ სიტყვით მიფერებასა.
85. სჯობს სნეულობა ბოროტსა სიმრთელით ფეხზედ რებასა.
ცოდვილთ — თავსდება ცოდვისა, სიწმიდის შეფერებასა.
86. უუამოს მწუხარებისა სიბერე არის ნაყოფი,
გაადუხჭირებს კეკლუცთაც ჰმუნვა და ავი სამყოფი.
87. ღვთის-მოყვარება ეს არის: კაცს ყოვლი კაცი უყვარდეს;
მოყვასი უნდა მოყვასსა, ვით თავსა, შემოუარდეს.
88. ცული თვინიერ მცემლისა ვერ მოჰყვეთს ზეთა ძირებასა;
თუ კარგად ვერვინ ვერას იქმს, ღმერთსა მწვედ დაიძვირებასა.

89. კაცი ასეთს კარგს რასა იქმს, ან ავსა, სხვასაც არ ექმნას?
მაშინ გამოჩნდეს ორივე, რა ორთავ ბრტობა შეექნას.
90. უფროსი ერთი კაცთ იჭვი, ვით საზრვენ, არ იქნებიან,
მცირე გულისთქმა ბოროტი ღიდ ცოდვად შეიქნებიან.
91. რაცა არა მაქვს, ის მინდა, რაცა მაქვს, ვერ დამიცავსა,
იმას ვერ ვშობებ და ამას დავკარგავ, წინ ეს მიცავსა.
92. თავს ვაბრალებდე ნუ სხვასა, ნუ ვაკლებთ ღეთის სამართლებსა,
რისხვას შესძინებს რისხვაზედ, ვინ ცრუთ თავს განიმართლებსა.
93. რაზომცა დიდად ბრძენ იყო, ნუ ეჭვობ სიბრძნე-სრულებას,
რაზომ სვამ წყლისგან წყაროსა, შეატყობ ვერ ნაკლულებას.
94. მრავალგზის ნავი დაინთქმის, ნავთსაყუდელად შესრული,
მრავალჯერ ვისმე უნახავს ღელვისგან გაღმა განსრული?
95. შიში არ უნდა ხორციელს, სიკვდილს სად დავემალებით?
ვერვინ ვიკადრებთ გაქცევას, ვინ მეფეს შევეპოვებით.
96. ვინა სთხრის მოხრებლსა, არ იცის, ვისთვინ ამოჰკვეთს.
ვინცა აღმოჰკვეთს, უწყოდეს, შთაიგდებს თვისსა სიყრმესა.
სიღრმესა;
97. შეილისა სიკეთისაგან იხარებს მამა ძლეული;
კაცს უნდა სძულდეს საფასე სხვის, ქრთამად შემოდლეული.
98. სოფელი ესე მსგზავსია სავაჭრო შესაკრებელსა;
აქ თუ არ ვიდწვით, ვერ ვპოვებთ სხვას კეთილთ მოსაკრებელსა.
99. სხვა არა სჯობს რა კაცთათვის სასმენლად ბრძენთა ზრახვასა,
სჯობს მონაგებთა წარგება კარგად-ყუ ქვე შენახვასა.
100. სოფელს ვაგინებ, მაგრა მე მიყვარს და ვერ ვეხსნებია;
ყოფაც მძულს ცრუსთან, ჯერ ზანად გაყრა რა სახსენებია?

4. თქმული ნაზარალიხანაზედ

1. ესე ვარჩივე დუმილსა, ჯავრსა და ავ-პირობასა.
უწყოდით: სივლახაკე სჯობს უსჯულოდ სოფლის პყრობასა,
ავრევე — კარგთ კაცთა მტერობა აეთასა ავს მოყვრობასა
უყურეთ ცრუსა სოფელსა და მისგან ჩემს მოპყრობასა!
2. ვაი სრულ ცუდად ყოფასა, ვაი სრულ შაირობასა!
ვა სოფლის ადრე გავლასა, ვაი დღეთ ავთ შესწრობასა!
3. ვაი სიმდიდრეს უჯეროს, ვაი გრძლად ღარიბობასა!
ვა ავის მოყვრის ყოლასა, ვა სულა უმოყვრობასა!
4. ვა ავს ბატონის ყოლასა, ვაი სრულ უყოლობასა!
ვა კაცსა უმეგობროსა, ვა ცრუსა თანა-ყოლასა!
5. ვაი დღე უზმოდ ყოფასა, ვაი ავს მასპინძლობასა!
ვა გულს-ფიცხელს და უწყალოს და მისსა უღმობლობასა!
6. კარგსავ დროსა სჯობს სიკვდილი ავთ დროთა შემოსწრებასა,
ომის ღლისავ სჯობს შესწრება ცრუთ კაცთა ღხინთ შესწრებასა.
7. სჯობს მეგობართა ამათ კარგთ კაცთა შორით დანახვა,
სჯობს მავნებელის ხელისა მოკვეთა; არათ შენახვა.
8. ვინ ერთს ჩოხაშიდ ჰხვევია, სჯობს გასცეს ავად შენახვას;
მაშ, რამე იყოს მომხვეჭთა უბრალოდ უნჯთა მონახვას!
9. ცხელს მზეშიდ ვიჯდე, რა მგამა; თუ კაცსა ვახლდე კეთილსა?
ჩრდილში გვერდს ვუჯდე, რა იუყო; სიკეთის ფესვ-მოკვეთილსა?
10. დათმობავე სჯობს მარბიელთ უმსჯავროდ წინ წადგომასა;
კლდეზედ წოლა სჯობს სამუდამოდ უსჯულოთ კვალს შედგომასა.
11. თუ ცა ნეფხვიდეს ძლით რითმე, გავუძლებ მისსა ყინელსა,
ძვილ დაეთმობს საქმესა საძრახის-მოსაყვენელსა.

12. ლობთ საყოფელსა დაადგერ და ნუ სახლს მოლაღისასა,
თორ ვით განუძლო, გასმენდეს სიტყვას სრულ ვალაღისასა.
13. კაცს შეაწუხებს გულისა სიტყვათა უთქმელობანი,
მაგრა სჯობს ცრუს კაცს არ უთხრა, მიგჭირდეს ვით ობლობანი.
14. ვით ცივი ოფლი დიდს სიცხეს დააცბრობს, დაანელებსა,
აგრევ ჭირთა თქმა ბრძენთანა დაუხსნის მის სიძნელებსა.
15. უადვილეა დაკვლევა ყინულზედ ბერის მელისა,
ვირე მართლისა შეჩნევა მზაკვრისა ენა-გრძელისა.
16. თუ ცოდვა მოძღვარს არ უთხრა, სხვით არრით მოინელება.
სიტყვა სულთ საკურნებელი სათქმელად ნუ გეძნელება.
17. შეუხანებლად ცოდვასა ვერავინ მოინელებსა.
სანთლისა აუნთებელად განსდევნის ვინ სიბნელესა?!
18. ბერო, თუ სოფელს ვერა სთმობ, კუნკულით რად იბერები?
თუ რამ იცოდე, გვიბრძანე, თორ ცუდად ნუ იბერები.
19. ზღვაც დაწყნარდება ლელვისგან, ქარა რა აიძულებდეს,
იქნება კაცი ასეთი, ჩხუბს ვერათ მოიძულებდეს.
20. ჩარხთ ავად ბრუნვა სოფლისა კეთილად კვლა მოიქცევის,
ენა-მჭარტლავი მზაკვარი სულთ დგამზღის მას შეექცევის.
21. ვაი წარმდებსა სიცრუეს, ვაი სიმართლის თმობასა!
ვაი ავს ცხენზედ ჯდომასა, ვაი სრულ ქვეითობასა!

* * *

22. ვეჭვ, მელექსენო, ლექსისას ვერ ბრძანებთ უგვარობასა,
მის-მის ადგილთა სიტყვათა მუნასობთ მოძვირობასა.
თუ არ დამლოცოთ, ნურც დამწყევთ, ჰრიდეთცა ავპირობასა.
ამიერითგან ვდუჟენი ლექსთა-თქმა-შაირობასა.

5. ლექსნი ასეულნი

1. პირველ ვთქვი: „მოწყინებითა ვლუმენინ შაირობასა!“
ნუ ვერწმუნებით ჰაერსა, დარი სძლევს ავდარობასა.
სიწრფობა სჯობს გონების გულისა გურიობასა.
მე ლარიბობა ვარჩიე ქვეყნისა ცულ-დაპყრობასა.
2. ითქმის, ვეჰვ, ლექსი ასეთი, სხვამან ვერავენ იოცნოს;
მაგრა რა სიამოვნე აქვს, რა კაცმან ვერ გამოიცინოს?
ესე მასა ჰგავს, ვინ მოყვსად არავენ არ შეიმეცნოს,
რა თუ მზე სურვილით ვისმე აქადგან იქ აიკოცნოს.
3. ლექსად უნდა ყოვლი სიტყვა, ერთი-ერთზედ გაწყობილი,
სულა ტანით საძებარი, ერთმანერთზედ მიწყობილი.
უმეცართა უარშიო, ბრძენთა დია შეწყობილი,
ძნელოვანიც მისვე სიტყვით საამოვნოდ შეტყობილი.
4. არც გულსა აქვს თავი ხელთა, არცა თავსა — იგივე გული;
რა კარგსა იქს სიკვდილისა ალით ასე დადაგული?
ვის ეძებდეს საძებარსა მიწყვი თავით დაკარგული?
სწორად ვითარ აღიზარდოს ნერგი, მრუდად ძირ-დარგული?
5. ერთუამ დაკარგულს ჰკუასა გრძლად ძებნა მოუნდებისა;
მცირითა ნაბერწყალითა სახმილი აღევნებისა.
გუშინ სხვა იყო, დღეს სხვაა, უამი უამს არ ეთნებისა.
მრავალწელ საქმე წამხდარი ღვთით წამ-ერთ გაკეთდებისა.
6. თუ უამი უამს ჰმორჩილებდეს, ერთ საქმეზედ ვიქნებითა.
კარგს ვინ ვყოფთ, თუ ანუ ავსა, არ მძლავრებით, ვიქთ ნებითა.
რასაც ვთესავთ, მას შევიკრებთ თვისისავ ხელის ნებითა.
ვერავენ ჰპოებს სამკვიდროს სულ-ხორცთა ჭანსვენებითა.
7. გარდასრულთა დღეთ მოქცევა ველარავინ ხელიწიფოს;
კუხი, წმახი ხან-გამოსვლით სიტკობებდ აღვიწიფოს.
სირეგენე, სჯობს, გარდაუშვას, რა ყმაწვილი მოიწიფოს,
მონება ხამს პატრონისა, ვინცა ვინ გაიხელმწიფოს.
8. ვინ ღირსა ღვთის სიყვარულსა? ვინ ძნიად საძებნელია,
ნათელ არს თვით და გზა მისიც, გარნა ცოდვილთა ბნელია.
ყოვლს კაცთა სწორად სიყვარულს გვიბრძანებს, თუცა ძნელია,
მაგრამ გვიხმს კარგად განრჩევა საქნართ და რა უქნელია.

9. დასაბამ-დასასრულამდე შენთანა ღმერთი სრულ იყავ. გესმის, გასწავებს უფალი, ვით იგი, შენცა სრულ იყავი მისის შიშისა საწერტი სამუდმოდ გულსა სრულ იყავ, სიტყვა სწავლისა გაჰფინე, უქმი სრულიად დაიყავ.
10. აღსასრულამდე კაცისა არავინ სანატრელია; კაცთა ბუნება კინკლოსებრ ნანდვილვე მარად ტრელია; ვინ ქვენას ხედავს, სხვა — ზენას, სწორებით შემეჭვრეტელია. ჰე, ერთი იწღევს სიტკბოსა, იგ ნაღველთ შემეჭვრეტელია.
11. თუ ცას ვინ ხელსა ახებდეს, მაშინც დაცემას ეკრძალოს; შთახდეს რა ვინმე უფსკრულად, აღმოსლვასავე შესძალოს. რა კაცს კეთილი ორისაგ სოფლისქდა არ შეეკრძალოს, ნეტარძი ქალსა ვისა მას, ვინ უკვდავს სიძეს ესძალოს.
12. ბრძენს თუ სცემ, სიბრძენს შესძინებ, უგუნურს—სიმძულვარესა; ხელოვანთ მუშაკთ ყამირიც კარგად რამ მოიბარესა; თესლი უგბილთა ნაბნევი გონიერთ მოიბარესა. ვინც ეს სცნა, კარგად ჩაიგდო, ვინ არა, გაიკმარესა.
13. დღეს შენ გაქვს, ხვალე, ჰე, — იმას და სხვისაც არვისი არი. ვის მტერობს, ან ვის მეგობრობს, ხედავთა, არ ვისი არი! ვის გვინდა ხანგრძლივ შერჩენა, მყის გვიხმობს: „დროსა იარი!“ თუ არ ვერჩით, წყრომით გვიბრძანებს: „არაა დრო საუარი!“
14. რომელი წრფელ არს, ვეროდეს ავს ვერას მოიგონებსა; მწვლილთადა გულის-სიტყვათა, ვით საყვირს, გაიგონებსა; ჩვენა გვწრთენის ტკბილად, თორ იგი არვისგან შეიგონებსა. ვინ რა იცოდა ფარულად, მუნ ცხადად მოიგონებსა.
15. მოყვასთა შორის ვინმე თქვა: „კრებულნო, ორი ღმერთია“? ვინ ეს ჭადაგა, წყეულ არს, ვითარმედ: ღმერთი ერთია! უცებ ხარ მისებრ, ვინც ამას თუ თავი შეიერთია. ნუ ვართ მიმდონი სოფლისა, ვინათგან წამი-ერთია.
16. ბოროტის კაცის გონება ბოროტსაგ განიზრახავსა, თვის ავს კეთილად, სხვის კარგსა საწუნლად დაინახავსა. სიმხნეს მოყვასთას ჯაბანი ცილს რასმე მოუნახავსა, ძმას და საყვარელს მეგობარს სიტყვას არ შეუნახავსა.

17. ნუ ერწმუნები გონებას; თუ მოყვასს განგიკითხვიდეს; სცან, არის ბოროტისაგან, ვინ მარად ამას ზრახვიდეს. რას ეშურებინ, ანუ სჩხრეკ, სწერდეს რა, ან იკითხვიდეს, ვის სწყევდეს, გინა ლოცვიდეს, ამკობდეს, ან თუ ჰკიცხვიდეს?
18. შურმან დააბრმნა გონება, ესევეთარად იხილეთ! რაზომ ნათელ არს მნათობი, ქვენათგან ზე აიხილეთ! იმათი დამბადებელი შურითა არც თუ იხილეთ, ვა, პურიათა მედგართა! მე მითქვამს, თქვენ განუმხილეთ.
19. ყოვლთ საკვირველთ სასწაულზე თვალნი მათნი დაიწუხნეს, ხედვიდეს და არ ხედვიდეს, ამაღ ღმერთი შეაწუხნეს; აღარ-სადათ აღიხილნეს, შური თვალთ მოიმარწუხნეს, ვიდრე ჯვარსა არ შემსჭვალეს მათ წყეულთა, არც წამ უხნეს.
20. ვერიდნეთ შურსა! ვეკრძალნეთ ცოდვასა მაკვდინებელსა, პატრონთა ორგულებასა, სიკვდილის შემძინებელსა, გესლოვანს ენას, უბრალთ სისხლისა მადინებელსა! ვამე სხვათ მწვრთნელსა კეთილად, თავისა შემგინებელსა!
21. უმეცართ შორის სჯულისა არა ჰყავს დასადარი ოს, ყოვლთ მწვალებელთა წინ უძღვის წყეული დასად არიოს. ლუტრანი იღვწის, სიმართლეს საღ უბრკმას და საღ არიოს. მათი მძლეობა ასე მჩანს, ვით მხნემან დასა დარიოს.
22. მწვალებელთა თანა-ზრახვას აღვირჩიე უქმად ყოფა; მართალს არას გაიგონებს, არცა პირი დაეყოფა, ამაღ რომე ეშმაკთ შეუდგს, ანგელოზთა განეყოფა, სიმართლე სძულს, სიწმიდე სძაგს, მეძაეთ დია შეეყოფა.
23. თუ ზღვას ვინმე აღმოავსებს დღე ერთ რითმე ჩაგდებითა, მაშინ მათსა პირს დაუყოფ მართლის სიტყვის შეგდებითა; რასაც წიგნით გაამტყუვნებ, სიტყვას გიგებს აგდებითა. ნურავინ ნუ ვეზრახებთ, წყეულმცაა ძმა-დებითა!
24. ამ სიტყვასა სწორად გეტყვის, ბოლდანს ჰკითხავ ანუ თუ ვლახს. ნუ დაუფენ ღორს მარგალიტს, თორ, უწყოდე, ფერხით დალახს. ვინ ბრძენს სიტყვას დაუწუნებს, შეურაცხჰყოფს, დია გალახს, ნუ ხარ ცრუ და ცუდ-მეტყველი, ნუ დაიხსამ თავზედ ტალახს.

25. კაცი, სიცოფის მფარველი, სჯობს კაცსა, სიბრძნის მძალავსა.
რა საუნჯისა მფარავსა, რა სიბრძნის ქვე-შემკრძალავსა!
რა უსამართლოს მსაჯულსა, ცრუსა, უბრალოთ მძალავსა!
კარგს ნიჭი უხამს, ბოროტსა პასუხისგება მძალავსა.
26. მომხვექსა ხელსა გაშლილი უფრორე საქებელია
ამად, ვის მისცემ, გაქებს და მის წილ სხვა მომხვებელია.
ვინცა მიმძლავრებ, შეგასმენს, ვინ ყოვლთა განმგებელია.
ძუნწი საფუძველს აღიფხვრის და უხვი ამგებელია.
27. ბრძენმან ვინმე განგვიკვეთა წყალ, მარილი, რკინა, ცეცხლი
ჩვენდა საზრდოდ, კმა-საყოფლად, არ-ქრთამითა ბევრი ვეცხლი.
ვინა ზიან ჰუნეთა ზე, ან თუ არის ვინმე მკვირცხლი,
ზომით უნდა ყოვლი საქმე, თორ ნამეტანს თავს დაიხლი.
28. ოქროსა ცეცხლი გამოსცდის, კაცსა — სიმდაბლის ალია;
მდიდარი თუ ვინ დავარდეს, გლახაკთგან უფრო ბრალია.
შეწყალება სჯობს, ნუ ვეტყვით: „ჩვენდა რა შენი ბრალია?“
პატიოსანთა შერაცხვა უშვერად დიდი ბრალია.
29. ვინცა იტყვით: „ვარ რამეო“, რა ხარ, თუ შენს თავს ვერ იცნობ?
შენ რა თავის უმეტარი იყო, სხვასლა ვის გაიცნობ?
განიკითხე თავი შენი, სხვათა ზედა ნუ ვის მისნობ.
იყავ ყოვლთა სახიერი, ნუ გულძვირობ, ნურას მჭიშნობ.
30. ვინ ამსა ჰყოფს, კაია და სხვაცა უკეთესად-რე.
ნუ ეშურები, რეგვენო, ვერ მოერევი მხნესად-რე;
ვის ექენები თავ-დახრით, შეფრდომით სიტყვა შეჰკადრე!
ნუ თავ-მალლოი, ვის ლალობ, მის გამო შენც შეიკადრე.
31. არიან არას მქონენი და მდიდრად გამოჩნდებიან;
ტრფიალი გონჯთაც იქნება, გარნა სურვილით ბნდებიან.
მდიდარი, საქმით გლახაკი, ბრძენთ ავად აღუჩნდებიან.
ვინც წვალებითა იღვწიან, უწყოდენ, ავად შვრებიან.
32. სხვათა ბრძენთა ბოროტთაგან განგვიშორეს მოყვსობანი,
ამად რომე არ იქნების მათი ერთგულ-დაპყრობანი;
ლახვარი აქვთ დაფარული, მყის იქნება მოსობანი.
მრავალთ ჭირთა წამალია კარგთა კაცთა შესწრობანი.

33. ტვირთია მძიმე აღმართსა გვერდს ხლება კაცთა ცოფისა, არ ძალუც სიტყვის მოგება გულისა გულ-შეყოფისა, მათსა ძლივ ვლირსვართ შესწრობას კაცთა ბრძენთანა მყოფისა, ძალუცთ მოცემა სიტყვეთაც საზრდოსა სულთ საყოფისა.
34. მელოტი ორჯერ არ მივა ერთ წელსა მექუდისასა. ვის ელმინ მწარედ, საკვდავად ზე-ქვერე ბარკალისასა, მოკრძალვით ითხოვს წამალსა ბრძნისა მის აქიმისასა. ქყურტი აროდეს შეიკდემს ავად სმას სხვის ღვინისასა.
35. თქვა ბრძენმან: „ცრუთა მართალთა საქმენი შეეშთხვევისო, ღვთის მოშიშთაცა უღვთოთა სასჯელი დაემთხვევისო; ნაყოფით სავსე და ბიცი რტო ერთად შეირხვევისო. ამ სოფლის ფუფუნებითა მიეცა სამოთხე ვისო?“
36. მე არა ვზრახავ ჩემს საქმეს, რადგან სამართლად ვისჯები, მაგრა ეს მინდა, უცებთა არ უბრკმეს მათი ბიჯები, არ იქმნენ ცუდის-მეტყველნი, ვით კალბინი და თრინჯები, არა თქვან: „ცუღათ დაკარგა ესეოდენი ბრინჯები“.
37. კაცნი მდიდარნი ქვე ჩასხდენ, ქვეითნი, უნუზლონია, ამხედრდენ ცხენთა რაინდთა მონანი უაზნონია; სიბრძნის საქმეთა შეესწრნენ თავხედნი, უმეცნონია. ეს რითმე მსჯავრით უფლისათ იქნება, ასე მგონია.
38. ვინ მადლს ელოდეს, მასმია, შეესწრას დიდსა ცოდვასა. ვის ცოდვის ტვირთი გვამძიმებს, შეენატრით ხეთა მკოდავსა. თუ ესე უწყით, რას ვგავართ კაცსა, მძინარსა მპოდავსა. რად ვიტყვი, ანუ რასა ვაწერთ სიტყვასა საამბოდ ავსა?
39. თუ მწვირეში სურნელისა სული რამე იპოება, მაშინ ძვირის-მომხსენეთა სიყვარულიც ეპოება. აგრევ არ აქვთ უმეცართა ბრძენთა სიტყვის შეპოება, თორე უჯობსთ მონაზონთა სიმდიდრესა უპოვრება.
40. სიბრძნე უშიში მტილია, შეუღობავი, უსარო; ვინ თანა წარხდეს, განიკრებს, დაატანებენ „თუს“ არო. თუ სიყვარული არა გვაქვს, გვამია მკედარი, უსარო. მყის დაეცემა, უფესვოდ, აღიზრდებოდეს თუ სარო.

41. მეგობარი დაცემისდა არა-სადა დაიგდება.
 თუ მდიდარი არა გძულდა, არც გლახაკი გარდიგდება,
 არცა მციორის შეცთოქისთვის საძმართალს ქვეშ შეიგდება.
 რა ცოდვა ვის შეემთხვიოს, ბრძენთაგან არ აიგდება.
42. თუ სიმდიდრე გაიხარე, სიგლახაკეც დაითმინე.
 რადგან ქება გიამება, მხილებაც რამ შეისმინე.
 ვის რა სიტყვა შენი უთხრა, მაგიერიც მოისმინე.
 სცოდებ უფალს ცრუს ენითა, თუ მართალი შეისმინე.
43. რა მეფობა, რა გლეხობა, რა სიმდიდრე-გლახაკობა,
 რა შვება და სიხარული, რა ტირილი-ვაგლახობა!
 განირჩევა მის-მის ალაგს დედოფლობა, მოახლობა.
 ერთს დღეს სწორად შეიყრება სულ ამათი მოსახლობა.
44. აგრეც ბრძენთა და სულელთა დღე იგივე შეესწრობისა,
 ერთს დღეს სიკვდილი. განკითხვა სწორებით ყოვლის მპყრობლისა,
 თავ-თავის ნამეშააკევი საზომით მიეპყრობისა.
 ზოგთ გვირგვინს მისცემს საქმე და ზოგთ ავად მიეპყრობისა.
45. ღმერთსა სოფელი, სულს ზორცი თუ ვინმე აღირჩიოსა,
 სხვათ მინახოქი მძლავრებით თავისდა გარდირჩიოსა,
 მაშინ რამე ჰრქვან მსაჯულსა, რა სიტყვა შეუტრჩიოსა?
 უმანკო კრავნი თიკანთგან მარჯვენით გარდირჩიოსა.
46. ნუ ჰყოვნი საქმეს კეთილსა და ავსა დია დროს სცემდი.
 ვინ გთხოვდეს თვისსა სახმარსა, მხიარულებით მისცემდი.
 დაეგენ მტერსა საყვარლად და ძოდან ვისცა მისცემდი,
 ყოვლთ ხილულთ კეთილს უყოფდი და უხილავსა დასცემდი.
47. დაბადებულთა მთავარნი კაცნი ვართ, უნდა ვიცოდეთ,
 და უმდაბლესნი ყოველთა, უფალს წინ ვინცა ვიცოდეთ.
 უპატიოსნეს დედათა, არ ვიცით, თუმც ავი ცოდეთ.
 კეთილნი ღირსად გვიღვეწიან, ავთაგან ვით დავიცოდეთ?
48. სიმძღრე, კვერთხი და ტვირთი — სამივე წესია ვირისა,
 პური, სწავლა და საქმენი — მონისა არ ერთ კვირისა;
 შერისხვა ურჩთა, წყალობა — ვინ კარგად გაიკვირისა.
 რას კარგს იქს ხელ-ქვეშ მყოფელნი პატრონის გულად ძვირისა?

49. უფრო და ახერხი კარგად მოხდრეკს მაღალს ქედსა,
 აგრეც წონას — გვემა გვეჩრდსა, უჩრჩისა სსქმით, ენა-ყბედსა.
 კარგს წყალობას ნუ მოაკლებ, ავს — საბეგრის დსადებსა.
 სასწიერნი იხრებდენ, უსასურნი სწყევდენ ბედსა.
50. გიყვარდეს სული და გულსა ნუგეშინის-ეც ამოდა,
 განაგდე მწუხარებანა, დაცემას ვინ გილამოდა.
 მრავალნი მოსრნა ნავდელმან — ერთი არ, ორი, სამო, და.
 გიძახდენ ქვენათ ზე სადმე შეგების ხმას: მალე ამო, და.
51. მწუხარებას შეუდგების გულისწყრომა, მცონარება,
 შური კაცთა, უღებება, სამუდამო დამქნარება.
 უემოდ მოვა მწუხარეთა სიკვდილისა მკსინვარება.
 აღარც ხელსა მეწიფება, ვისაც უხამს შეწყნარება.
52. ღვინო საშვებლად გულისა კაცთათვის ბრძნად დადებულა,
 არა წარმრღენელად გონების და შფოთად დაბადებულა;
 სვით ზომიერად, სალხინოდ, ვინ თქვენთვის გარდადებულა.
 კარგა გასინჯეთ, ნუ ბრძანებთ: „რას მისდებ, ან მოდებულა?“
53. დადევ საუნჯე მცნებისა, მალლისა მის-მის მინდისა,
 უფროს საუნჯედ გექნების ოქროსა სულა წმიდისა,
 ფართა უფროსათ გფარვიდეს და შუბის მძიმეს ჰინდისა
 ბრძოდეს შენ წილად შენს მტერსა, ჟამი არ შეგხვდეს ბინდისა.
54. რასთვის იქ ასეთს საქმესა, უსამართლოს, ვით ფაშაო:
 შენ იწანდე, სხვა გძრახვიდეს, მესამე ქვე დააშაო?
 არ შეიკდემ მეზობელთას, უსტუმროო, პურად შაო.
 ნუ გყვედრიან? მაშა, რა ქნან, თუ ვიზედ რამ დააშაო?
55. არიან სადიდებელნი, ვინ ესე ასე იციან.
 ასე ყვეს კაცთა მართალთა, ვინ ქვენათ ზე აიციან:
 იქმოდეს საქმეს მართალსა; რაც თქვიან, დაამტკიციან,
 არცა ფუცვიდეს თავით და არცა ვინ დააფიციან.
56. არ მომწონს ბრძენი ძლიერი, მორჩილი უგუნურისა,
 არც უვიცი და უღონო, ურჩი ბრძნის შინაურისა.
 ორივე უშვერად აღმიჩნდა, ვით ცხება წვეკრსა ნურისა.
 სხვა ქვეყნის კაცთაც უცხოლ უჩნსთ, წესია ჩვენ თემურისა.
57. თქუ მართალმან: სხვა მართალი წინა მიყავ! ვინ აფიცა?
 არ თუ ცრუმან, მარგალიტად ვინ იყიდა სადაფიცა?

იყავ კაცი პირად მტკიცე. მაღლად გიზმობს სა დაფიცა.
თუ ხარ კარგა, მოგიხდება სიმართლესთან იაფიცა.

58. ვხედავთა, ჟამნი ყოველნი დლითი-დღე იცვალეზიან:
ვინ იწვებს, ვინმე იხარებს, მეფენიც გარდიცვლებიან,
ამ საწუთროსა დღისაგან სხვის დღისად მიიცვლებიან.
სრულ ყოვლთა წელთა სიმრავლე ერთ დიდ დღედ შეიცვლებიან.
59. ის დღეა ყოვლთა განმრჩევი, კარგისა გინა ავისა.
მუნ წარგვადგინენ ყოველნი, ზვაად მთხოვარნი დავისა;
არ იყოს რგება მლიქნელთა ენისა კარგ სადავისა,
ვერავის შეგვწევს ძმანი და ეძებდენ სადა და ვისა.
60. სოფელი ნივით სავსეა და წმინდად არდაგვილია;
ესოდენ მწუხარებანი აროდეს არ დაგვილია,
მიმილო ლხინთა საწდევი, აღარსად არ დაგვილია;
სახმართა არსად გვპირდება, რაც გვქონდა, გამოგვილია.
61. გარდახდეს ჟამნი პირველნი, შევბისა დღე და ის არი,
ლაშეთა ლხინთა, დილისა, დავშორდით მე და ი სარი
ჟამთა სიმუხთლემ ესე ქმნა — გარდავხდით მე და ისარი.
რალასა ვიყო მომლოდე? ამ დროსა დღეც დაის არი.
62. განუწმედელსა ცოდვისგან კვლავ ჩვეულება მერევის,
ბიწთა, მწვირეთა ლტოლვილსა სულ-მყარალობავე მერევის.
რად აღუდგომლად დავეცი, თუ მეტომე ვარ მე რევის?
ბოლოდ გამოჩნდა მკვიდრივე, ჩვენ ჟამად ჰქონდა მერე ვის?
63. ნივთთა სიმრავლე ყოველი არასგან არსად ეგების.
ნივთნია ქვემდებარენი, კვლავ ნივთი არსად ეგების.
ვინ უბრავია, სხვა მსარბოლი, ხედავთა, არსად ეგების;
ლექსად შეთხზნვისა საძრახი, ვეპე, ბრძანოთ, არსად ეგების.
64. დასაბამ ყოვლთა იქმნების სიტყვა ყოვლისა საქმისა,
მის უპირველეს განზრახვა ყოვლთა მართალთა აღთქმისა;
განრჩევა ბრძენთა წინ გვიძეს უცთურად სხვათაცა თქმისა.
ცოტა რამ ლექსად აღმოსთქუ სიტყვები მე შეესაქმნისა.
65. პირველ წარვწერენ ლექსნი და თავ-ბოლოდ იამბიკონი,
აწ ეს დავწერე ამ წელსა ლექსნი და სხვა ლექსიკონი;
მოვირთე შემწედ ამისდა წმიდათა კაცთა „იკონი“.
იყო ამ ჟამად ტარ-ჟანი და ანი ქორონიკონი.

ეს ოცდათხუთმეტი ლექსი, იამბიკოდ ნათქვამი მეფის არჩილ-სანი. თავი თვითო ასო ერთ ლექსად და ბოლოს თვითო ლექსისა თვითო წითლული ერთს სტრიქონს ლექსად მოგითხრობსთ.

[თავნი იტყვიან: „მოიგონე, წამკითხველო, თუ ეს პირველ ეთქვას ვისმე. გასაგონი ამისთანა დაგიწერო აწ თქვენ ვის მე? არა ცუდი, ასაგლები, საკიცხავი კერძი რისმე, ამას იქით შეიგონო, გამგონეო, რა შეისმე“.

ლოლო ბოლონი იტყვიან: „ამას ავ-ამბად არ ვგონებ, იცნათა ვინმე სააოდ“].

66. მხილველნო, ნახეთ ეს ლექსი! აბა, გენახოსთ თუ სადა? ოდიდგან ნახოთ, ქებასა ნუ ზე მოუერთავთ თუსა და. იმღერდით ტკბილად! რას აქნევთ სიტყვასა ჰაი-ჰუსა და? გიჯობსთ, ცოტა ჰსვათ სალხინოთ, არ დაისხემდეთ ბრუსა, და.
67. ოდეს ვინმე ცოცხალ იყოს, გიჯობს, რასაც ზომით იამ. ნამეტნავი ნუვის გინდა, თუმც გიჩვენოს კარმა ლიამ. ეს ადვილად ირწმუნება, ვერ უღაროს ვარდსა იამ. წამი დასდევ, თუ მოყვასი შეგაძულოს რა ბაიამ.
68. არ ვარგა, ერთის გამცემი თვით მიიღებდეს ასადა. მხედავთ, სოფელი რასა იქს, სადაური ვარ ა სადა! კმარა, ოქროს წილ იღებდეთ ქება-დიდებას ფასადა. იტყვი შენც, ძმაო, ასე თუ: „ჰე, მაგას უთხრა ასა და“.
69. თქმა სჯობს სიტყვისა ტკბილისა, თუ კაცსა ვინმე იაჯდეს. ზედავ მიზეზსა, თავ-დახრით რა კაბანთ შორის ია ჯდეს, ვერ მიეახლნენ საყნოსლად, ვინ ქაბობდეს და იაჯდეს. ეს მდიდარს რად ეკადრება, კარზედაც ვერვინ მიაჯდეს?
70. ლამის სიტყვამ სრულყოს ლექსი, მოგონილი ახალია. ოდეს ვისმე პატივის სცემდეს, ვის ეწოდოს ა ხალია? თუ თქვენ ბრძანებთ, ეს იგია, ვაგლახ იმას, ახ, ალია. უბადარუკის სიძე არის, სამოელს მზახალია.
71. ესე სიტყვა, ეგებ, ვინ თქვას: რად უთქვამსო იმას ეს ავ? სადა ზჯობდა მწვილდოსანად ანუ სიმხნით, ამას ესავ? პირს მითქვამს, რომ მე არა მრწამს, არა მშურის, თუ შენ ესავ, იცოდი, რომ მის ძლით იფქლსა ვერ მოიძვი, ღვარძლსა სთესავ.

72. რამაც პირმან კადნიერი პატრონს სიტყვა შეჰკადროსა, ვერა სცნობდეს შესატყვისსა სიტყვა-მჭევრსა მას მის დროსა, ერთ წამს მიხვდეს შურის-გება, რისხვით მასზედ იავდროსა, ლალად ველარ წადგებოდეს, თავს ხედვიდეს საყვედროსა.
73. ერიდე სიტყვა-უცებსა! ამად ავსა, ხედავ, ისომ. თუ სთქვა სიტყვა კადნიერი, ისე თქვია, ვით თქვა ისომ. ქენებისდა ორ-ენასა კაცსა ახლო ნუ მოისომ. ვაგლახ მეო! — იტყვიოთ მაშინ, რა ცხვირს მურსა ჩამოისომ.
74. აღარ გასინჯავ სიტყვასა: რად იტყვი? ვისთან აბარებ? სად მიხვალ, თუ გზა არ იცი? აბა, მიბრძანე: რას არებ? ვისსა სთხოვ, არ თუ იმასა, ვის შეჰვედრ, ან ვის აბარებ? იცოდი, ფრთხილად იტყოდი, თორ დია თავს დაიბარებ.
75. სადაა კაცი ასეთი, ყოვლთა ეტყოდეს მას მისსა მოსწრებულს სიტყვას, მართალსა, არ-საწყინოსა და მქისსა, ეტყოდეს ყველას უცდელურად შემყრელსა მიის-მოისა? გასმია, წვიმა სადაფში რას შეიქმს შვილსა მაისსა?
76. არა-სადა კარგი არის მოუბარი სრულ პირ-მქისად, სადაც ვინ რას გაუგონებს, უღირსად ჰყოფს იმაჲ თქმისად, ასაგდებად მოუნდების კაცსა მისის გულის-თქმისად. გაბჭე გულით, ასეა, თუ სადაური სად ითქმისად.
77. ოდენ თქმას და უთქმელობას ბრძენნი სდებენ სადმე დროსა. ნუმც ვინ სიტყვა საიდუმლო გასამხელად იკადროსა, იგი ვედრი შეინახოს, ვინც რამ ვის რა შევედროსა. ავად არვის ჩამოერთმის, ვინ სახიერს ვევედროსა.
78. მავედრებელი ვისიმე რად ქენებასა განიშორ? იამებოდეს, რაცა მას აამე, არ გრქვას: „წადი შორი“ სურნელად უბყრენ ამონი, სიტყვას პირისას ნუ იშმორ. თქმა სჯობსვე შესავარდომელი, არ გახდეს საქმე საიშორ.
79. არას ვარგხარ, დაიჯერე, ვინცა სიტყვით სულად იავ, ნარგისად არ დაინახვი, თვალ-მოცინრად, ზამთრის იავ. ავის მთქმელო, ყიამყრალო, ცრუს-სიტყვასა, ასაბიავ; დასდევ კარი ბაგეთ შენტა ძნელოვანი, პირად ლიავ!

80. ავის სიტყვის აღმოშვებად ენას შენსა კბილი დაადგ!
გიჯობს, იწვრთნა, დაადუმო, გარედამეც ბაგე მიადგ!
იცი, არის უმეცრება, გამოსაცდათ ვისცა შეადგ.
წუნწუბა ვით მოედება, მის მსმენელსა ასე დასდაგ.
81. ეროდე რა ქნა, გასმიათ, რა ფიცით იმან აღმოთქო,
რამამ უჯობდა დუმილი, სრულიად „ჰეცა“ არ ეთქო.
ოდღეგან ფიცთა სიმტყიცეს დიდი ბოროტი დაეთქო.
აწ შენ რა ენა-მოსწრაფობ, ჰპატიუბ: „მალე არე“-ვთქო?
82. წესი დაუდევ საზღვარსა სიტყვისა თქმისა სულ გვიან,
თქუ მისდა სრული კეთილი უცდურად, ვინ შეგიტყვიან.
ქროდეს რა ქარი სასტიკი, მის ქებას არსად იტყვიან.
ვინ არ ეკრძალოს ენსა, სახლსაცა მიწყი იგვიან.
83. ენოვანსა არა-სადა წარემართოს, ეს იცოდე.
ნამეტნავად ცრუ-მეტყველი, ბრძანე, ვისგან დაიცოდე?
ვისთან ყბედავ შენს სიტყვასა ძალით, თუ შენ არ იცოდე?
იყავ მშვიდ და სიტყვა-ფრთხილი, თუმცა ცადმდეც აიცოდე!
84. სადა სიტყვა არა გიღირს, რას ზღაპროი, რას არაკობ?
მოელია ცრუ სიტყვითა, ნუთუ ჰგონებ, თავს შეიმკობ?
ერეოდი ცრუს სიტყვასა, სიტყვა-მჭევრად თუმც მუსიკობ.
არსად წაგცდეს ცუდი სიტყვა, ლექსობ, ვინ თუ იამბიკობ.
85. რაა სიტყვისა ამისა უფრორე განვრცელებანი,
ან ენა-მჭარტლავთ სწავლისა სიტყვითა ცეცხლთა დებანი,
ცრუთ და ორენათ კაცთაგან მართალთ შორ განკიდებანი?
უნამს ტვირთვაცა ერთგულად, ვინ სხვათ ყოს მოკიდებანი.
86. დროს სცემს კაცსა ენოვანი, ვინა არის მამაც, მამაც;
იღრჭინება მართალთ ზედა, ძმა ჰყვანდესა ანუ მამაც;
არას ვარგა სამეგობროდ, თუ ახლო მყვეს, მოდი, მომაც,
საუკუნოდ განმამორე მოყვსობა და მისი ნდომაც.
87. არ ითქმის საუკუნითგან, სად რა ავი ყო, რაცა მან?
გამგონეთ ისრე სად აწყენს, იქექოს რისხვით რა ცამან.
დუმილსა სად მოაგონებს, შეხვეწნა ვის იმ, რაც ამან.
ეს რაც მასმია, მისთვის ვთქუ, უყურეთ, რა თქვას რაც ა მან!

88. ბრალი არის, წარწელი ვინმე ვინცა იმას შეესწრობა.
იმ წყეულის სამართლებლად ძნელია სიტყვის დასწრობა.
სადა გინდა, სიტყვას ჰკაზმავს, მაღლა მას ვინ აესწრობა?
არ გაუშვებს ტყავ-გაუხდელს, ვირ მოწამე მიესწრობა.
89. კბილს ნუ იღრკენთ, ორ-ენანო, შეიკდიმეთ, ცრუდ არ ითქმით!
იცნობთაა სატანჯველსა, ტარტაროზსა, სად დაინთქმით?
ცხორების წილ საუკუნოდ სასიკვდინედ ნუ შეითქმით!
ხელს ვერას ჰყრით იქ სასჯელს და არცა ვისგან აქ მოითქმით.
90. ადამისითგან აქამდე ენანი გესლოვანებსა,
ვითარ ვნებულობს სხვათათვის, თვისსავ თავს უფრო ავნებსა,
ისვრის ფიცხელსა ისარსა, სულთა და ხორცთა სავენებსა.
კრულმცაა მწვალებელთ ენა, ეშმაკსა განუსვენებსა!
91. ედემს სხვა რა დაგვიბშევდა, გაიგონე, ყური მოყავ!
რაც რა ნიეთი, სიტყვის მეტი, შენ გასაზღვრე, კარგა გაყავ!
ძნიად იყო ხელსაყოფი, რასაც ენით ხელი მიგყავ.
იცი თ ვინმე, ღვთისგან კიდე, კვალად მასვე სადათ მიგყავ?
92. რას ვინ იქმს ავსა ასეთსა, გესლი არ იყოს იმისი.
იპარვიდენ თუ კაცს ჰკლვიდენ, საქმე არ იყოს სამისი.
სარჩოსა გარდააგებენ, მეფეთ ჰკადრებენ: მიმისი!
მითხარით, შემასმენელნო, უარი ვინ სთქვათ ამისი?
93. ერნი ბევრნი მყის სამ მოსრნა კაცმან ერთმან ენოვანმან;
არსად იცის მოწყალეობა ენამ დია გესლოვანმან;
მართალთ სისხლი ესრეთ მიაჩნს, ვით იტვირთოს ჩიტი სვანმან;
აგრევე საზრდო არ იკმაროს მუცელ-ლორმან, ნაყროვანმან.
94. სად დაშვრება ტყუილის თქმად, დაახელოს ყური თუ სამ,
ის ჰსურინ, რომ მართლის წილად იპოოს რამ, ორი თუ სამ;
ჭურდული და საღალატო მოიგონოს ძემ ცრუისამ;
იგ მლიქნელი, სატუხელი სად დაითმოს გულმან ჰვისამ?
95. თქუთ, რაც ორპირი მახვილი იმისგან იყოს უმკვეთე,
შურსა აღლესავს კაცთასა, თუმც ვინმე არ შეუკვეთე.
ერიდებოდე მცბიერსა, ნუ მოყვსობ, ნუ შეიკვეთე;
ის რა ბორგიდეს, გძულდეს და სრულ შენგან გარდაიკვეთე.

96. გონება ვისი მისწვთება სიბოროტესა ენისას?
 ორად განაპობს სისმენელს კაცისა მართლის მსმენისას,
 ნაწილსამც ნუ მიემთხვევა მართალი სისხლთა მდენისას.
 ორღანოდ ისმენ სიტყვასა წრფელისა ღვთის მოქენისას.
97. განვერო ცრუსა ენასა, ხელი ვყო საამებელთა,
 აღუპყრნე ბაგე სამკობლად ენითურთ კაცთ საქებელთა,
 მოციქულთ, წინასწარმეტყველთ, მღვდელთ-მოდღვართ,
 ღვთის-მაქებელთა,
 გუნდთა მარტვილთას, მამათა, ქალწულთა საწამებელთა.
98. ოდიდგან იწყეს წინასწარ-მთქმელთა ქრისტესა მოსლვისა.
 ნივთთა თაყვანის-მცემელთა შარავანდელთა დასლვისა,
 ემხილებიან უღვთოთა, ღონე სადა აქვსთ წარსლვისა?
 ოხერ-ყვენეს მცბიერთ ენანი, აღარც ჩირად სამ განსლვისა.
99. რა ვთქვა? მოციქულთ სიბრძნენი ვინათგან ძალუც არვისო,
 არ დარჩათ კიდე ქვეყნისა, სად უარი თქვეს წასლვისო.
 შეცთომილ იყვნეს ცხოვარნი ბაკისა ქრისტეს არვისო.
 ესეა ენა-კეთილი, მაშ, მტვერი მათი არვისო.
100. იწყეს მარტვილთ წამებითა სასუმლისა ქრისტეს შესმად,
 სატანჯველად ლახვროვანთა არა პრიდეს გულთა შესმად,
 მწვალებელთა შურიტ რითმე წარსაწყმედელს უწყეს შესხმად,
 ერთპირ დავეგმოთ ესენი და მათ ვევედრნეთ ცადმდე ახმად.

6. ლექსნი ასღაათნი

1. თუმც უცებ ვარ, ვაძჯობინე უქმად ყოფას ისევ შრომა,
 ამ სოფლისგან შეპყრობასა — მისის ხელით გამოძრომა.
 თურე იცის მოლაფლება კარგთა კაცთა ავმან დრომა,
 გულ-ფიცხელთა მომღოვრება — სიტყვა-ტკბილმა საკადრომა.
2. ვერ ხედავ საქმეს სოფლისას, მკვირცხო, თვალთა გრემანო?
 ჯაბანი ვერსად გაამხნო აბჯრისა სიმაგრემანო.
 მართალი არსად გვიამბო ცრუსა მოსაგრემანო.
 ხანი სად შემოიყვანა წამისად წასაგვრემანო?

3. ვინ გძულდეს, მისგან სიყვარულს, მაშა, ნუცალა შენ ელი.
მწარე თუ გესმას სხვისაგან, შენ სიტკბოებით შენელი.
ნუ ბრძანებ უქმსა სიტყვასა, ნუ ხარ ცუდისა მსმენელი.
ნათლისა შემოღებითა განიდევნების მყის ბნელი.
4. მეფეს გვირგვინი ვერ ბრძენ ჰყოფს, ბუნებით თუ არ ჰქონდესა.
ძირ-გავარდნილი საძრწუელი წყლით სავსე ვის მოქონდესა?!
თუ ფესვი ხესა არ ებას, ნაყოფს რით მოიქონდესა?!
ცრუს კაცსა სიტყვა მართალი, არ თქმულა, სად მიქონდესა.
5. შენსა ვერ ხელავე, სხვისასა ადვილად დაინახავა?
სიმართლეს ჩემობ, დასტურ-ა, სიცრუეს განიზრახავა;
ვეზირობაში თავს ჯღები, სიტყვას არ შეინახავა,
თვისსა სრულ კარგა ხელავე და სხვისას — მკლედ, ეს გინახავა?
6. ანგაარი შემოქმედსა შემწყნარებლად ვერსად იყოფს,
რაზომ მიხვეჭს, არ გაძღება, არას ნივთსა არსად იყოფს.
მოწყალენი თვის საზრდოთაც მშოერთაგან არ განიყოფს.
ძვირთა მძრახი მეგობრისა პირს აროდეს არ დაიყოფს.
7. სახიერი კაცი, ბრძენი, მტერსა თვისსაც ავს არ უყოფს,
იწროების დღეს საჭიროს განსვენებად ადგილს უყოფს;
ცუნდრუქნი და მემრუშენი ფარვით ძმათაც ლახვარს უყოფს;
მთხრებლს უთხრიან უჩინარსა, გარნა თავსავე თვით ჩაიყოფს.
8. საბრხე ფრთხილთაც მრავალგზისი ვერასადა განიცადეს,
მასვე შთახდენ, სანადიროს რით თავი გამოიციადეს.
ვინ უცებ არს ყოვლის საქმის, ბრძანე, ახდეს ვითარ ცად ეს?
ვინ-ა, სიყრმით ბრძენთ-წვრთილება სიბერედმდე გარდიციადეს?
9. მაგრა უჯობს დახშვა ყურსა, კარი ძნელი — შესხმად ბაგებს.
მეშფოთენი ვერ ედრება კაცსა მშვიდსა, ბრძოლთა დამგებს.
თუმც ვირჯები ამ სოფელსა, ვესავე უფალს, ნაცვალს მაგებს,
ვინ ქერაბინთ ტახტზე მჯდომი შიიწვინა პირუტყვთ ბაგებს.
10. მეგობრის ბრძნის და სარწმუნოს არ იპოება ნაცვალი,
არ შეაწუხებს მოყვასსა, თუმცა არ ქონდეს საცვალი,
ახარებს თვალსა და გულსა, ვით მარგალიტის მარცვალი,
ლხინად შეგიცვლის ჳმუნვასა, გემართოს ვისმე რაც ვალი.

11. ვინ მეცნიერ ხართ, გვასწავეთ და უმეცართა ისწავლეთ!
უღებ-ყოფასა ინანდეთ, რაც წინარ ხანი გარდავლეთ;
თუ ვინ რა კაი იცოდეთ, შვილებს სხვათაცა ასწავლეთ.
ასე არ სჯობდეს, ნუ ვინ იქთ, გასინჯეთ, გული გაავლეთ.
12. განვიდევნოთ გულის-წყრომა, ცრუი რისმე ენოვნება;
დავიშრიტნეთ გულის-თქმანი, რომელს ძალუც დიდი ვნება;
მოვიძაგოთ ნაყროვნება, ცუდი, უქმი მოსვენება;
ბექთ ვიტვირთოთ მუშაკობა, ვით ცხედრისა განსვენება.
13. მიედრკით მეფენი თანად და ერნი და მღღელნიც — ჩვენთანა;
რაზომ განმსტოვრენ პირველნი, სხვა ვერ ვიპოვენ ჩვენთანა;
გვამხილენ ჩვენნი საქმენი, ვით დავითს — მაშინ ნათანა.
ვის რასაც ავგლეჯთ, დაგვრჩება აქავ, წარგვეყება არ თანა.
14. ნუ ვართ მუცლითა მოზღაპრე, ვით მწვალებელნი არიან;
ნურც ვიქებთ მამა-პაპათა, ბრიყვნი ვიყვნეთ თუ გვარიან.
ვის არა შესწევს გონება, მხნენიც ცუდ ვინმე არიან.
რადმე იჩემებ შევენებას, მღელო ზამთრისა არიან!
15. რად ვართ მიმდონი ჟამისა? ჟამიერს ჟამნივ დახსნიან,
ანუ სიმდიდრის მონანი უჯეროდ მუნ ვერ გვიხსნიან.
სად არს მკვიდრობა მართალთა, ვერცავინ ვის შერისხიან.
მშვიდთა, მდაბალთა, მოწყალეთ დახშულთა კართა გვიხსნიან.
16. მე ვარ ცოდვილთა პირველი, არ-ნაკლებ — შემდგომთა ჩემთა,
უფროს ლალი და უკადრი, ბოროტთ კეთილად შემჩემთა.
გამოგიცხადენ საქმენი, კეთილთა ვინა მიჩემთა?
ვინა მე, ასე სხვანილა სიმართლეს რათ დაიჩემთა?
17. შემოქმედმან ყოვლი ნივთი არასაგან არსად იყო,
ანგაარმან მინახოჭი არავისი არსად იყო;
მიხედვითგან მიხედვამდე, ვნახე, კვალიც არსად იყო.
გულით წრფელმან მორკინალის საწერტელი არსად იყო.
18. არა სახმარ არს ენა-ცრუ, აგრევე ქცევა-უწესო.
დრკუსა, ორ-ენათ, მცბიერსა, მიბრძანეთ, სადათ უწესო?
თუ არ ორგულთას სასჯელსა, აბა, სხვა რა განუწესო?
მაშა, თუ არ ეს, ის უყო, სხვადა რა შენ განმიწესო?

19. ნუ განრისხდები, უფალო, მსგავსად საქმეთა ჩვენთასა!
ვინა შენ შეგვედრებით, ვაბრალებთ ჩვენვე ჩვენს თავსა.
ნუ სწევრთი გვემითა ჩვენითა უცხოთა ნათესავთასა,
შერისხენ აგარიანთა, შენს სჯულსა რად არ ეთავსა?
20. უაზნონი განგვილადდეს, უმეცარნი პატივს იცნენ,
უგულსხმოდ შეირაცხნენ, არა-სადა პატივი ცნეს:
უღვთობით დიდებანი გულსა მათსა დაიმტკიცნენ,
ძირ-ჯერკვალთა სიმათლისა ვერ ნაყოფნი გამოიცნეს.
21. ცოტას მჭამელი ბევრსა სჭამს, ბევრისა — უფრო ცოტასა.
ვინ მარგალიტსა შეიკრებს და ზოგი ვერც იოტასა.
ვის გეშინოდეს ორთაგან, ნუ ეძებ, ვერ იოტასა.
ძნიად მოიქცეს მშვიდობით, გზას შედგეს თუ ბოროტთასა.
22. ჯერ ეს იყავნ, მეგობარო: თუ შეისმენ, სხვაც რამ ვიცი;
ღია მაქვან სასინანლოდ, სადათ ცრუ რამ დავიფიცი.
ჰეი, იყოს შენდა საკმოდ, გარდაუშვი სხვა საფიცი.
ნუ ყურ-მიმობ, გაიგონე, დაიმწყსების ურა კვიცი.
23. ნუ მომიწყენ, კვალად გეტყვი სიტყვას ღია დასამგებლოს;
ნუ მიმძლავრებ, ნუგეშის-ეც, გექვრიოს ან ვინ გეობლოს;
ეცდებოდი მართლის გულით შეკირვებულთ სასარგებლოს,
მოიღვაწდე გულს-მოდგინედ შენსა სამნოს, გასამგებლოს.
24. ნუ ვართ თვით-სჯულნი, თვითნება და მუცლითა მოზღაპრენი,
ნუცა მლიქნელნი, მცბიერნი, სიცრუის მოასპარეზნი,
ნუ ცალიერნი, კეთილთა წინ ნუ გვითქს ცოდვის ზღვა-ბრპენი,
ვიყვნეთ მშვიდნი და მოწყალე, ნუ შურის მომპოვარენი.
25. მაგრამ, ვიცი, ზოგიერთი იტყვის ვინმე ამასაცა:
ჯერ, მკურნალო, თავი თვისი განიკურნე, ამას აცა!
თუ საბრხისგან თავი იხსენ, წყალზედ გიბამს ა მასაცა,
შთა-თუ-არ-ხდე შენ უფსკრულსა, მაშ, ექნება ამასა ცა.
26. სიკვდილამდის არა კაცი არვინ არის სანატრელი,
ამად რომე დღე-დღეზედან არიან რამ ღია ტრელი,
კვლა ბოროტი, კეთილისა დაუცადად შემქვრეტელი.
ვერა ხედავ, ანდამატის ბრპენი არის გამხვრეტელი?

27. ნუ ვიქადით სიბრძნეს ვინმე, თუ სადათაც მოიწიოს,
 ნუ სიმდიდრის ძლიერებას, თუმც ცათამდეც აიწიოს,
 ნუ შევინებას, სიჭაბუკეს, მყის არ-სადათ გაიწიოს;
 ვინა უამბან, მსწრაფლ-ქცევადმან, შენ წილ სხვა არ დაიწიოს?
28. აჩრდილ რამ არს წარმავალი ყოვლი კაცი მზვანობარი,
 მოქალღული დიდებისა, მჩემებელი, ცუდ-მზმობარი,
 თავის საქმის თვით მქებარი, სხვათა კაის დამგმობარი,
 მსწრაფლ განქარდეს, ვითა კვამლი, არვინ დარჩეს შემმკობარი.
- 29 ვის ძალ-უც, კაცსა უმაღლეს თავის-თავისა სხვის ასოს,
 ან წინა-სწრობა აჩრდილის, გინ იგივე მტერსა ვის ასოს?
 მაგრამ კაია, მწყურვალთად თვისი არ ჰქონდეს, სხვისა სოს.
 ვინ სავაჭროსა ვერ სცნობდეს, სხვა მისგან რა დაიფასოს?!
30. კაცი უნდა. ვით თავისა, სხვათაც აგრევე მოყვარე.
 ჰე, უბედო ბედო ჩემო, ესე არსად შემომყარე!
 მაგრა არ ვთქვა სამღურავი, რადგან ასე დამამყარე;
 მხოლოდ მივის მეგობარი, ვინა შექმნა ცათ სამყარე.
31. სადაური სადმე ტყვე მყავ, ვით ემულა შემიყარე,
 მტერნი ჩემნი აღმიზვავენ, ჯავრი არსად ამომყარე,
 ყველა ხელში გამომართვი, პირველ წინ რაც მომიყარე.
 ამ ყოფითა მარონინე, აწ სიბერეთაც მომყარე.
32. ეს მაშინ ყავ, ბედო ჩემო, ვინ ტყვედ მყვანან, მათ შემყარე.
 სულა მძიმეს აღვირითა რად მხედნი და არ წამყარე?
 თუ არას იქ საკეთილოს, ბარე, მო აწ, სულს გამყარე,
 ზრქელს და უნდოს მორფსა ჩემსა დამხსენ, მიწა მომყარე!
33. ლიჭ-გიყოფს მოყვასთა ჩემთა არ უნდოს სიტყვას, ამოსა;
 არა დაგმართებ უხამს გზას, ვითა კალბინთა ამათსა,
 წინა დავიგებ სანუკვარს, არ-ნივრით შემწვარს ქამასა,
 თაყვანის-ცემდეთ სულს-წმინდას და ძეს, სამებით მამასა.
34. სარწმუნოება უძლეური წესია ჰკვა-მსუბუქისა,
 ცრუთა ნივთია შესხმა და უმეტართ — ხობტა უქისა,
 მდებრთა აჩრდილთაც შიში და გინა თუ თვისის შუქისა.
 ნუვის შეაშთობ რისდამე უჭეროდ, მსგავსად ბუქისა.

35. არა ადვილ არს რიტორთა და მელექსეთა განჩევეა,
ძალთა და ლექსთა სიტკბოთა მის-მის ალაგსა შერჩევეა,
ვით წალკოტს შორის ყვავილთას ერთის სხვათასა აღჩევეა,
ვა, თუ ვერც ერთი ისუნო, სულთ უყნოსელი დარჩე, ვა!
36. თვითოეულთ ყვავილთ ფერი თვალთ სხვადასხვად მიიზიდვენ,
საყნოსლად და შესაკონად ვინ რომელზედ წაიზიდვენ,
ერთს ყველა არ გამოირჩევეს, თუცა ყველას გარ გაზიდვენ.
უგბილთა და უმეცართა სიბრძნე მძიმობს, ვერ აზიდვენ.
37. სად ედრება ლანძილი და კოჩივარდა ყარამფილსა?!
ვინ შეყოფდეს, სიბრძნე არის, საქმეს ორად გაყოფილსა.
ღია რამ სჯობს აწინდელი კარგი პირველ სამ ყოფილსა.
გული მითქვამს, დამიდებდეს ვ ს ე ს ე წ კ ა ზ ე ლ ვინმე ფილსა.
38. ვერას ვიტყვით, ვერცა რას ვიქმთ, პირველ ჩვენსა არ ქნილობდეს;
ერთის ზმითა მეც მინახავს უმარავნი შეყრილობდეს.
ხელთა შინა მქედელთასა ფოლადიცა მორბილობდეს,
პაერთ-შეცვლით მომკინვარე იანვარი აპრილობდეს.
39. მეც ვიყავ ერთხელ, მოყვასნო, თავმოთნე, ვითარ ეგე თქვენ.
აწ წინა გიყოფ ნაქმართა ამად, რა სახედ, ჰე, გეტქვენ,
მონარულთ სიხარულითა, მოტირალთ ასე მოგეთქვენ.
ვინ შემოუდგეთ ჩემს კვალსა, ჩემი სახელი დაითქვენ.
40. ნუვინ ვიტყვით: „დიდ ვიცოდე“, უბადრუკმან აწ რალა ვყო?
თუ სინანულს შევეცადო, ვა, თუ ხანი ველარ დავეყო!
მაშინც რალა მეშველება, საბნელოშიც თავი შევეყო,
ანუ ჩემი მონაგარი სალხინებლად ჩემდა გავყო?
41. ნუ ხარ უსასო იმისი, ვისაც აქვს უხვად წყალობა!
თუ სენი დიდი მკურნალთგან განიკურნება სალმობა.
სად ჯაბანს სადმე გაამხნობს კარგის კაცისა სარდლობა,
არ უადვილეს გვილხინნეს, მას თუ შევსწირეთ ნადლობა?
42. მაშ, სრულ ჯაბანი იქნება, დაეცეს, ვინ ვერ აღდგესა.
ნუ ელმინ შობადს, სალმობა არ მუხლად ყრმაზე მიდგესა,
უსასო მოწყალებისა ვისალა კარზე იდგესა?
სიტყვა დაატკობს სასმენელს, კეთილთა ყურის-მიმგდესა.

43. გვივის უფალი მარადის, ვინ წყალობასა გვიძიებს;
ჩვენ, შეცთომილთა ღრღოვანთა ცხოვართა, მსწრაფელ მოგვიძიებს,
გვიტვირთავს ბექთა უვნებლად, მხეტაცა გაგვიბიძიებს,
ძვირით-მომქცევი მის მიერ დიდ რამეც ინეტარძიებს.
44. სოფლის ნივთსა ეს არა სჯობს, ვეტრფილნეთ გულვებადსა,
ვის ესრეთ ესურთ თვისნი ქმნილნი, მეორედცა დაგვიბადსა,
საბრხისაგან გამოგვიხსნის, არ თუ წინ რასმ დაგვიბადსა,
სულ უღვაწთ და უპოვართა სათნოებას მოგვიბადსა.
45. ნუ მიბრძანებ უმეტრულად: ესე ასრე არ არიო;
არ გარდახდე სრულად საზღვარს, შეუმრღვევი არ არიო,
დააჯერე გული ამას, თუ არ იქმნე სულ არიო.
მემც ვიქნები საუკუნოდ მიწყვი ამის სამარიო.
46. მოიხსენენით ვნებანი უზომოს ჭამა და სმისა,
კვლა ქედმაღალთა სილადე, უჭეროთ ადგილთ დასმისა,
დამზრალთა ზედა მხურვალის სალბუნთა რასმე დასმისა,
უბატივება პირისა, ვინ აგინებდეს დას მისა.
47. აგრევე კაცთა უშვერთა საძაგელთ სიტყვათა თქმისა,
გინ დადება და გარდასვლა საშინელისა აღთქმისა;
ან სიხლდე, პურად შაეება სადათგან სად განითქმისა!
ოთხივ საქმეა საძრახი და უფსკრულთამდე დანთქმისა.
48. სულა ერთპირ ვით წარმოვთქვა, სხვაცა ვიცი რაცა მეა?
თუ ეს არად მოიწონო, სხვით, მიბრძანე, რათ ამეა?
იმას კაცად რად ჩაიგდებ, ვინ სამართალთ მოქრთამეა?!
ერთპირზედა უდგომლობა კაცს არ მართებს, ქართამე-ა.
49. სიხარულის წილ იჩქითად ჟამიც სამ მოვა გლოვისა,
მშვიდობის ჟამს და შევებისა შეხვდება დროცა ბრძოლისა,
გლახაკთა ამაღლება და დაცემა ტახტზედ მჭდომლისა;
ფუფუნეულთაც მრავალგზის წილ უც დია რამ ძრწოლისა.
50. ამად არა ვთქვი, რაცა ვთქვი, ყველა სწორებით ისმენდეს;
ვინ იყოს არცა ქოცო და ტკბილთ დამტევენელი, ის მენდეს;
ვრცელნი გონებით მიხვდენ და ვერვინ თუ სიბრძნით
მკიშნობდეს;
მეცნიერთ შვებად იხმიონ, უგბილნი კვალად ივნებდეს.

51. ცოდვილთ გვხადიან მოქცევად, ნუ წარკვეთთ სასოებასა, ფრიად ტვირთ-მძიმეთ თუმც ყელსა დიდი დოლაბი გვებბასა; ყველა ცრუნი ვართ, რად ავყვეთ მატუნებელთა ქებასა? აქავ ვიტანჯეთ, ეს გვიჯობს ულხენსა მუნ ვაებბასა.
52. მოღვაწება სჯობს სულისა უღებებითა გდებბასა. რა ძალუც უქმად ყოფასა, კაცობის სულ დადებბასა, უსარგებლოსა ტირილსა, მოთქმასა ან გოდებბასა? ესევე უკეთესია ცუდ სიტყვის მიდ-მოდებბასა.
53. უვნებლობა არა ჩენნი, არამედ მხოლოსა მისა. არვინ ვართ კაცი უცოდო, ვის წილ გვიც მის აღამისა. თუ ვინ სულ წმიდაც იტყოდეს, სტებბის და ცუდად დამისა. ეს არის ერთ-ღვთაებისა და გვამოვნებით სამისა.
54. ვინა ცოდვათა ქვეშე ვართ, მივენდნეთ სასოებასა, ვინანდეთ შიშელის გულითა, დავეხსნათ უქმად დებბასა, ვეკმნეთ გველთ გესლოვანებთა და მწვალებელთა კრებბასა. აღსარებბითა წმინდითა წარვხდებბით ცეცხლთა ღებბასა.
55. არ არის ცოდვა ასეთი, წყალობას სძლევედეს უფლისას, გოლეულისებრ დაიტკობს მონანულთ წუთხსა ოფლისას, შეიტკობს ძესა უძღებბას, მოციქულთ ბილწთ სამყოფლისას. წყალობას უზამს უზომოს განვრდომილთ პირ-დაყოფისას.
56. არ გველმის ჩვენ ჩვენთა წყლულთა, ვითარ უფალსა ელმისა; ვის შობის ბრმათაც ახილვა ძალუც, მაშ, არ თუ ელმისა; ვინათგან მოწყალეებაა მოუკლებელი ხელ მისა, ურცხვნი მეძავნი, სიტკბოთა მომქცევნი, მოიმხეველისა.
57. სხვაც რა ვიცი მე ამბავი, კაცო, ამას გარდაისო, თუ გიამბო, ჩემგან პირველ მთქმელი, არ ვეჭვ, გარ დაისო. მსაჯულობდა ისრაელთა შემდგომ მოსეს გარდა ისო; ვინ-ა ოფლი მოციქულთა სამკურნალოდ გარდაისო?
58. ოდეს ყრმა ვიყავ, მიკითხავს ამბავი მე საამისო; უმჯობეს არვინ მსწავლიდა, მეგონა რამ საამისო. ჩემნი პირველნი ნაქმარნი იყოლა რა საამისო? არიან თანად სწორებით დიდება ერთად სამისო.

59. მუნ ბნელი აღარ დარჩების, სადა მზე მიეფინების,
მის ძლითვე მცირე, ნორჩიცა რტო მრავლად გარდეფინების,
ყოვლი. შიშველი მცივანი მისგანვე იფუფუნების.
მაშ, სჯობს უხვობა სიხარბეს, ძლით მიმცემს იფე ინებს.
60. დიდ რამ არს სოფლის დაგდება, ვინ კვალად აღარ მოიქცეს,
ტკბილი უღელი დაიდვას, მის მწყემსისაყე გაიქცეს;
რა ხელი ერქვანს დაიდვას, არ უკუნ-ხედვად მოიქცეს.
ამათ უმჯობეს იგი თქვეს, ვინ სისხლი მისთვის დაიქცეს.
61. დიდადვე შემირაცხია მხედრობის კარგ-გაგებისა,
შიში უფლისა, პატრონის ერთგულად განსაგებლისა,
სისხლთა დათხევად მზა-ყოფა, სულ წოლა არ საგებლისა.
ყოვლთა სწორებით მიგვაჩანს დღე ერთი სიტყვის-გებისა.
62. მხედართა დიდი ღვაწლია სიქველე შემსგავსებულნი,
მეფეთა ქვეყნის შემოვლა და მსჯავრნი პირ-განვსებულნი,
უღონოთ მოწყალებანი, აღმართნეს სახლ-დავსებულნი;
დრკუთ სწორთნიდეს, მისით ხარობდენ სიმხნესა ზედა გებულნი.
63. მხედართაგან რა წესია სრულ ჩოგური, ვარადაო?
მთილამ გბრძვიან, რა ხელი გაქვს შენ სასმელად ბარადაო?
სარდალი ხარ, არა ნაღობ, დაგაყენეს, მაშ, რადაო?
თუ ჯაბნობდე, ვით გახსენონ მეგობართა კარგადაო?
64. დიდი ძეს საქმე მათ შორის ამ სოფლითა მოწესეთ:
მეფეთ, მხედართა, მღდელთმთავართ და მონაზონთა მოწესეთ,
ვაჭართ, მუშაკთა, გლახაკთა, თვით თვისით თქვენ განიწესეთ.
ვინ არ იცოდეთ, ამიერ მითქვამს და ეს დაიწესეთ:
65. რა მეფეთ შესაფერია, თვით ხნევდეს და ან ბარევდეს.
საქმეს რასმე ამოსა ხელ-ჰყოფდეს და გარდარევდეს,
თვისსა ავად განაგებდეს, მძლავრებითა გარდარევდეს?
მაშინ ყველა მალლა ხმობდეს, რა დრო აღარ უდარევდეს.
66. მთავარნი მღდელთა ხორც-წმინდა შესატყვისია ქებისა,
სამწყსოთა მწყსელი, მოწყალე, უმანკო რა იქნებისა,
მართალი წრფელი, მოღვაწე ღვთის მიერ შეიქნებისა.
სასყიდლით დადგინებული ღირსია განქიქებისა.

67. მოშიში ღეთისა იქნების მკერავიც მაშიებისა;
 მდიდარი ცოდვის მოყვარე სიკვდილმე მაში ებისა;
 ძვირთაგან მოუქცევართა სჯულ აქვან მა შიებისა.
 საყნოსელთ დანშულთ სად ძალუცთ სუნება, მაშ, იებისა?!
68. სრულიად უცოდველობა უზენაეს არ კაცთასა;
 ბოროტთა ზედა დადგრომა ლტოლვილთა ცათა-ცათასა,
 უმეტრებაა დიდი რამ შედგომა კვალთა მათთასა.
 დაცემათაგან აღდგომა საქმეა მხნედ უცთურთასა.
69. ვის ელმინ, უღებ იქმნების, დიდ თურე უღმობელია,
 ბრძენთგან უგბილნი საწვრთელად გვედს სადმე მოსაბმელია,
 მართალნი მართლმადიდებელთ არიოზ, არ საბელია.
 ვინ ხელ-იწიფოს სუფევა, თუ ემბაზთ უბანელია?
70. ვითარ მაღალ გვეყენა უფალმან, ჩვენ უფროს დავიმდაბლენით,
 ცათა მათ ბრწყინვალეების წილ სულ აღვივსენით სიბნელით;
 ანგელოზთ თანა მოდასე სატანათ მოვისაბლენით,
 უვნებლის ხორცთა ვნებითა ძვილ გამოვედით საბნელით.
71. მოვიხსენნეთ უწინდელნი გინა ჩვენი პაპა-პანი,
 სად არიან, სად წარვიდენ, თუ აქ ვეჭვობთ, აბა, პანი?
 არა ყველა ჩვენს წინ წარხდენ, პო, ვაიმე, ჩვენიანი?
 რად არ ვხედავთ ჩვენ ამასა, რაბამ დავკვნდით ჩვენ, იანი?
72. არა ყველა ერთ-წამია, რაზომ იყოს ვინ სეიანი —
 დიდი მეფე, ბრძენი სრული, მოწყალე და სულ-გვიანი,
 მთავარნი და დიდ-შემძლენი, ვინ გლახაკი უსავანი,
 ხელოვანნი უცთურ-მწერნი, ვინ ღონზუნა დასვა ანი.
73. ვიცით, ნივთები სოფლისა სხეადასხეად იცნობებიან,
 ფერი, სული და გემონი თვის-თვისად გვემეცნებიან,
 სიზმრებრი ჩვენი ცხოვრება არცდათუ გვეოცნებიან,
 ამისად უადვილესად, ვიფიცავთ, რაც იქმნებიან.
74. ცხორება ჩვენი კვალსა ჰგავს ზღვაზედა ნავთ-მავლისასა,
 გინა — სიზმარსა ამაოს, წუთი-ერთ ძილ-მოკლისასა,
 ღრუბელს — ქართ მიმოკვეთებულს, ანაზღსა, დასავლისასა,
 ზღაპარსა — დაუჯერებელს, მემუცლედ გამომთქმლისასა.

75. სოფელიცა კაი იყო, ვინა ღმერთმან კეთილად ქმნა, ყოველის ნივთით განაშენენა, საპატრონოდ კაცი შექმნა. ამ კეთილსა ჩემის ცთომით აწლა ვხედავ, ბოროტ მექმნა, რა გველისა მაცთურისა ზრახვა გარე შემომექმნა.
76. გველმან მაცთუნა უკვდავი, სიკვდილსა დამამონაო, სახე გველისა შემექმნა, სატანა და მამონაო; ჩემდა სარგოდლა მიშო რა, ძმადა და დამა მონაო, გამოვიძენით სამოთხით. სადა მე, სად ამონაო?
77. რა არის ნივთი ასეთი, ჩემი სახმარი არ იყოს? იგიც სამ ოდეს მერგება, რა წყალმან ქვანი არიყოს. ესეოდენი დიდება რა არის, კაცმან არ იყოს? ეს ლექსი კეთილ-საქმენი ვინ ბრძენმან გულსა არ იყოს?!
78. რადგან ჩვენია სოფელი, მაშ, გვიხამს კარგა ხმარება! ყოველი ნივთი მის-მის დროს კაცთაგან მოიხმარება. ნაყოფიანთა მოსთლვადა და ნერგთა არ გამხმარება. კაი ზნე არის კაცისა სიბრძნესთან კარგ სახმარება.
79. არვის მართებს, საქონელი სულ თავისთვის კაცს უნდოდეს; უშურველად უნდა გასცეს, მსგავსიერად ვის მოუნდეს, მხიარულის გონებითა ვაცემაზედ არ დაჰქმუნდეს, სიმართლისა მოღვაწებით შემოჰქონდეს და გაჰქონდეს.
80. ამ წესით უნდა უნდოდეს, ვინცა ვინ რას მოიქონდეს, მისცემდეს თვისსა მონაღვაწს სახმარსა, ვისცა არ ქონდეს, ვინ სახლს ეწიოს იმას და სხვათათვისც გარე გაჰქონდეს, ტანსაცმელს გაუცვეთელსა, ვიდრემდის სულ არ გაჰქონდეს.
81. სიძუნწე კაცსა უშვერ-ჰყოფს, ღია რამ ზნეობიანსა. რასთვის იკადრებს ქონებად ქვე დამპალს, ზე ობიანსა? არსადათ უხამს, ვის სჭირდეს, ბრძენსა და გონეობიანსა. ვინცა კეთილად იხმარებს, საქმეს იქს ზინობიანსა.
82. სხვას რასა იქს კაცი უფროს სახელს და სულთ მოსაგებსა, ვინ მშვიერსა პურს აჰმევედეს, მუდამ სტუმართ დასაგებსა, მწყურვალთ სასმელს მიადღევედეს, ყოველთ კეთილად გასაგებსა, შეყინებულთ თბილს სახლსა და მერმე ქვეშ რასმ დასაგებსა?

83. რას გვიბრძანებს სახარება, გავიგონოთ, ყური უგდოთ!
 ნუ ვართ სტუმართ-მოძულენი, უცხოთ კარი არ მოუგდოთ.
 ვინ ჩვენ მოგვცნა ესოდენი, მაშ, მას პურიც არ მიუგდოთ?
 გავიკითხნეთ თავნი თვისნი, უკეთესსა ვის დაუგდოთ?
84. არას კაცსა ეს არ გვეთქმის, ზიანი გვაქვს გაცემითა,
 რად ვინა მთხოვს, არვის მივცემ, გავისტუმრებ გარ ცემითა,
 მიცემითა შევწუხდები, გავიხარებ მოცემითა.
 ნუმც ვინაა, მტერიც იყოს, ამ სენისა დაცემითა.
85. ღვთის წინაშე ვინ რასა ვიქთ ამის უფრო მოსაგებსა?
 რად უშურვებთ მოწყალესა მისსა მისთვის წასაგებსა?
 რად არ მივსცემთ მრავლის მქონნი შიშველთ თავის გასაგებსა,
 განრღვეულთა, ხმელად მწოლთა სალხინებლად ქვეშ საგებსა?
86. მოვიძულებთ მეგობარსა, ვინ სნეულებს, ავად არი,
 ვიტყვი: მემცა კარგადა ვარ, სხვაც მისხენან, ა ვადარი.
 ნუ ქვენათგან ნისლი წარხდეს, მთაზედაცა ავა დარი.
 თუ მიხვდნეთ სენოვანთა, ამას სხვა რა შევადარი?
87. არსად მასმია ქებანი, ვინ ლარი დაიუნჯესა;
 ვინცა არ მისცემს მოქენეს, უმატებს სულ საუნჯესა,
 მისდა საძრახად გლახაენიც ავარდნენ, ვინ იმუნჯესა.
 აქ მიხვდეს წყევლა-გინებას და მერმე იქ იქენჯნესა.
88. არ მისცემს და იწყევლება, იგინება, იბაქიქებს,
 თვით უძღებად მონადიმობს, სვამს, ხელთ იგდებს კიქა-ჭიქებს;
 სიმდიდრეს და გარიგებას ზედა-ზედრე იქებს, იქებს.
 უსაწყლვა ყოვლთ საბრალოთ, ვინ ასე თავს გაიქიქებს.
89. არ ვარგა არას საქმისა საზომის გარდაცილება,
 უმეცართაგან ბრძენთასა სიტყვისა რასმ დაცილება,
 ვით შოღინცალმან უწესომ სიცილით სასაც ილება.
 სიხარბე მამაკაცისა დიდია სასაცილება.
90. ნუ მიმძლავრებ ქერივს და ობოლს, დაუტყვე; მო გონება!
 კარგი არის შეჭირვებულთ მეზობელთა მოგონება,
 ღარიბთა და ყოვლთ უღონოთ სათხოვრისა გაგონება.
 ვინც არ იცის, დამიჯეროს, უჯობს ამის შეგონება.

91. სოფლისა შებორკილებულს შენდა ემუდას რას უყრი?
 წყლულ--დაწუთხვილსა ბედთაგან მარილსა კვალად რას უყრა?
 ათასის მყოლე გლეხისა ერთის პატრონსა რას უყრი?
 ვის უხამს, გთხოვს და არ მისცემ, სხვასა უხამსად რას უყრა?
92. ეგება კაცმან კაი ქნას, ზოგთ ავად დაინახონო,
 ქებულს არ შეიწუნარებდენ, უქები შეინახონო;
 ვინ განუსვენოს დარბაზსა, საბძელი მოინახონო,
 ყვავის ყრანტალი თუმც გესმის, არ მოგცეს, მოინახონო.
93. ოქროპირმან თქვა პირველ ღვწა თვის ქვეშ მყოფ სხვათა
 მთხოვართა,
 უზრუნველ-ყოფა ჩვენს მტერთა, დავისა გამომთხოვართა.
 უცხოთ-მოყვარე თუ ვინ ვართ, თვისთათვის ნუ უცხო ვართა;
 თუ გაროვანთა დავმწყსილდეთ, ვმწყსილდეთცა ჩვენთა ცხოვართა.
94. მაგრამ რა ვქნა, თუ არა ეთქვა? ვა, თუ ვერვინ დაინახოს,
 ვწვრთნა ვინმე და არ იწვართოს, არც წყალობა შეინახოს,
 იწყინოს და გამეტალოს, ჩემ წილ სხვა ვინ მოინახოს?
 მსგავსნი მისნი უმეტარნი გარეშემო მოინახოს.
95. ღმერთს ბუნებითა შერისხვა არვისი მოეგონების,
 მაგრამ ჩვენ აღვძრავთ, წყალობა ვისცა არ მოგვეგონების;
 შეინანს ჩვენსა შექმნასა, ჩვენთ საქმეთ შეეგონების.
 ოდეს შერისხნეს ცოდვილსა, მაშინც ძვილ დაემონების.
96. აგრევე ხორციელთ უფალსა ესევე საქმე უწესებს,
 ვის უნდა თვისთა მონათა არა ქმნა, რას განუწესებს?
 ვით ყოს წყალობა მსახურთა სამსახურისა უწესებს?
 ტკბილის სიტყვით და წყალობით თუ უწეს, არ განიწესებს.
97. ვით უწყალო არს უფალი უწესოთ თანა აღმრევთა,
 უმადლოთ, მოუქცევართა, შეცთომილთ მიმო-გამრევთა,
 მუდამ გულ-ძვირთაც, მართალთაც ცუდის ენითა შემრევთა,
 ნუცალა ჩვენ გვეწყალებიან, რას ხელს ვყრით ყმათა მომრევთა?
98. არ გაეძლება მონასა, ურჩსა და შეუპოვარსა,
 უმადლოს თვისის უფლისას, მის მიერ ბევრის მშოვარსა,
 უძღებსა, სულით იწროსა, პირუტყვისაებრ მძოვარსა,
 გარ მქონიერსა, მდრტვინავსა, თვის სახლში სულ უპოვარსა.

99. ღმერთმან ნუ ყოს მოწყალემან ჩვენთ საქმეთებრ მოგვაგებდეს, თორე კაცსა ხორციელსა, ვეჰვ. ერთპირად გარდგვაგებდეს, მამას შეილთაც მტერად შეგვიქმს, არ თუ მტერსა დაგვაგებდეს, ნაშენებთაც მოგვიოხრებს, თორ უშენთა აგვაგებდეს.
100. მაგრამ დვირე დავინახოთ, ვის ვუძებნით თვალში მწველსა? როს სპილოს რძით ვერა ვძლებით, რად დიდ მიგვიჩანს, ვინ თხას წველსა? დავერიდნეთ გენიასა, საუკუნოდ დასაწველსა, დავითმენდეთ უფლისათვის, ვინ გვაგინებს ან ვინ გეწყევლსა!
101. სად იპოვებინ მსახურნი, ყოველყამ მამებელნი? არათა თავს შეგვაწყენდეს, საქმე ქმნან საამებელნი; უქმნი უქმნელთა მათისა ხელისა კარგ-გამგებელნი, შენთა დამცველნი, უშენთა ხელოვნებითა მგებელნი.
102. „ვისრამიანსა“ დავსწერე ლექსების დადუმებალა, მიზეზი პირველს ასეულს თქმისა, სხვა რა გამება-ლა? კვლა რიტორობის სურვილი, ვით ახალ ნორჩსა მებალა. ბოლოდ შემექმნა ბოროტი, თორ პირველ არ მომებალა.
103. ვითა ძვირისა მოქმედი ბოროტს ძვილ მოიკვეთებსა, თურ ესეე წარეკიდება რიტორთა სიტყვა-მკვეთებსა, გაყრაც ძნიადობს, რასაც ვის ვინ რასამ შეიკვეთებსა. ცეცხლთა მოქენე შეშასა ზედა-ზედ შეუკეთებსა.
104. ვესავ უფალსა, დროსა მცემს უდარეს უმჯობესისად, თუ მივიწიო, მუნც სამლა მიხილოთ მხნეთ უმხნესისად; სად მელმის, თქვენ მას ვერ ხედავთ, ვისი ვარ მე შემეკენესი სად. ვინცა ვეშვივით უფალსა, არ მივიწევით ბესისად.
105. თუ ღმერთსა უნდეს, ამისგან უკეთესს ზედა მომაცლის, ჩემს ქვეყანასაც ხელთ მიგდებს, აგარიანთაც გამაცლის, მტერთა და მეუნებელთა ანაზდა გარ შემომაცლის; სნეულ რამ ვიყო, მაშინცა ხანს რასმე კიდევ დამაცლის.
106. სად მოცალე ხარ ამისდა, არა თუ შენს გარემოსა? ვითა ნათლის წილ ფურცელი ლელვისა ვის გარ ემოსა. არ ვეჰვობ, სანოვაგენი კაცს სასას გარე ემოსა. რა მადლი ეყოს მას მწყემსსა, ბაკისგან ვინ გარე მოსა?

107. რა არის კაცი უსჯულო, მცნებისა გარდამავალი, შეუსვლელ ეკლესიასა, წარმდებად გარდამავალი? გზა კაპნოვანი დასტოვე, შეიტკბე ცად აღმავალი! რაცა გებოძა, მოვილე, ამისაც გარდა მავალი?
108. ხელოვნებით ხელოვანთა რვალი ოქროდ შეიქნება, რაც მე მინდა, თუ ის მოხდა, მაშინ ოღონ შეიქნება; უმძლავრესთგან ძლიერიცა ღბილს ტყავსავით მოიქნება. კაცი ცლას ქვე-ნუ დააგდებს, ღმერთს თუ უნდა, ის იქნება.
109. მაშინ სხვას ვიტყვი, ამიერ რა არვენი გამოზავდეს. თუ აღმხედრდეს ჯვართ-მტვირთველი, მოქენეთა არ დაზავდეს, დაამხვენს მტერნი სასტიკად, ლალადრე მათზე აღზავდეს, ჩვენი ჰაერნიც მაშინდა ოთხითავ ნივითთ შეზავდეს.
110. ჩამოიგემენ, ასეულს ქვემორ რაც ათში სწერიან. თუ შეიძლება აღრიცხვა მუმლი, ან კოლო, მწერი ან, ესეცა მანვე აღრაცხნეს, ურიცხვად ანაწერიან, ჩემს გულსა ვიეთ მეგობართ ვით ხატად გამოწერიან.

7. კაცს უთხარ

1. კაცს უთხარ: „შენი წალკოტი მიჩვენე, კარ-გადებული!“ მან დამიმაღლა, წამიძღვა: მეც მივჰყევ მისი ზღებული; შევედით, ვნახეთ ხილნართ: არც ერთით არ დაკლებული; ზოგი ყვაოდა, ზოგს ესხა, ზოგი ქვე-ჩამოგდებული.
2. განიხარა მან მოყვასმან, მეც მიძულა სიხარულად; ვუსათნოე, აყევ მეცა, რადგან ვსჰკრეტლი მხიარულად. თვით ჯერ იყო მუნ მკვიდრობას, მე ვხედვედი გარდასრულად; მე რომ მტილი მწაღდა, მისი კარნი ებნეს სრულ დახშულად.
3. მას დღეს მას ვახლდი. რაც ბრძანის, მივჰყვი და უსათნობდი; რაც არ იამის, ვაამი, ბრძანებას გაუგონებდი; თავმდაბლა, ამხანაგურად თვის გამოც მოვანსენებდი; არ თუ სწორ მეგობარებრი, მართ ყმის ოღნადაც ვმონებდი.

4. ხვალის დღე ვკადრე: „მეცა მაქვს ბალი ასეთი ნაშენი, ძველ დანერგული ხილნარი, არ ჩემი ახლა საშენი. ვეჭვ, განიხარო, რა ნახო სალხინო მტილი საშენი, გულდასადები, საამო, შვება შვებაზედ საშენი,
5. ზოგათვინ ახალ საშენი და ზოგთა აყვავებული, სხვათათვის მკვახე და სხვისდა მოსთვლადი, დამწიფებული, საამოდ მყოფი მომკრეფთა, აროდეს არ მოკლებული. ვინც მათ ისერებს, იქმნება მარადის განათლებული“.
6. დამართო მანც ნება, ვითა-მე; წარვედით ჩემსა წალკოტსა. შეეუძებ, ზე თავს დავუდგი სელი საჯდომად მარტოსა. მერმელა ვკადრე: „მოზიე, რომელიც გინდეს, მა რტოსა ნაყოფიანსა“. აწ ნახეთ, იმან ვით განმომარტოსა:
7. „პირველსა ხილად ეს ესხა: თუ მომკრებს, მოენდომების; ვინც სქამდის, ერთს ღმერთს იცნობდა, რით მას წინ წაედგომების. თვით მიუხდომი სამება ჩვენგან ვით მიიხდომების? რაბამად მიუწდომელ არს, ანუ ვით მიიწდომების?
8. ანგელოზს სცნობდენ მთავრითურთ, ვინც მეორესა ისერდეს; სერაბინ-ქერაბინებთა, უფლებად სხვანი ისერდეს, ძალთ, ხელმწიფებთა, საყდართა, მთავრობათ ცხრა დას იბევრდეს; ჩვენთ მცველთა, კვალად სულთ-მხდელთა, ვინ მატინეს გვიწერდეს.
9. მესამეს — თვით არსისაგან არა-არსისა არსებად, ცათა და ქვეყნის შექმნადა, ზღვის, ხმელთა ცხოვლით ავსებად, დიდთა ქვეყანის მნათობთა ეშამდინ არ დასავსებად, შემოქმედისა მათისა სადიდებლად და საქებად.
10. მეოთხე ოთხთა ნივთთასა ხელთ მკერთ მისცემდა ცნობასა, ვით ამათ გამო მივეცი უოველნი მოძრაობასა; ან შეზავებით ქონება მათი რით მოგვეცემს ბრძნობასა? მეტ-ნაკლებისა ზედ დართვა — რა დიდსა სნეულობასა.
11. მეხუთესა ხვსა ხილი უგემური რამე ესხეს. ვინ მოჰკრეფდა, ეშმაკს სცნობდა, მზო სხვისგან არ ესესხეს; ვით ნათელი ბნელად იქმნეს, ან ღმერთი რით გაირისხეს? ანგელოზთა მოდასენი რად უფსკრულად გარდმოისხეს?

12. მეექვსის ყნოსა — ღეთის ხელით ადამის შექმნილობასა, სულ არსთა ზედა დადგენას უფლად მის მიერ ფლობასა; აქ გულისხმავოთ, მოძმენო, შევხედოთ ჩვენს წყალობასა, შემდგომად ამ პატივისთვის ეგზომსა უმაღლობასა.
13. მეშვიდეს — ხელთა ქონება, ან მუდმად წინ დაკიდება, მის გემოს ხილვა ამცნებდა, განა თუ ცუდი კიდ ება? რამან მოგვატყვა უთმინო, ყინელი, ცეცხლად კიდება? რისგან დავკარგეთ ეზომი წყალობა, ჩვენი დიდება?
14. მერვე — გემობდა რვაათას წელთ შინა აღსრულებასა, ამ ნივთთა განქარებებასა, ჟამისა შემოკლებასა, უმჯობესისად შეცვლადა, სხვად რადმე გაახლებასა. მან მხოლომ უწყის, რა იქმნას, ჩვენ ვერ ვპყოფთ მიახლებასა“.
15. ვერც მდაბალს დასწვდა, ვერც მაღალს ასწვდა, რაც ესხა იქ ხესა. ტბილი ჰკადრეს რა ქენებით, თუ მწარე შე-ცა-რისხესა. ვერც ერთი მან ვერ ისერა. ვეკვ, ჩემზეც გაარისხეა. მისვე წალკოტსა იქნება ზღუდით სასახლეს, ციხესა.
16. თუ ბრძენი მოხვდეს სამოყვსოდ უბრძნოსა, შეუღებელსა, არ უნდა, სიტყვას ეტყოდეს მის სმენად შეუძლებელსა; ვერ მიგიხვდება შენსა მას, ნუ უგმობ თვის საქებელსა, მიჰყევ ცოტას ხანს, გეძახდეს კარგს კაცსა, მაამებელსა.
17. თუ ცხენთ მხედარი იგია საქები, მოსაწონარი, რა ჰუნეს მოხვდეს უხედნსა კარგ ცხენოსნობის მგონარი, უარშიოს და კისრულის მცოდნეს არ-მოსაწონარი, მით მოჰკლას მხეცი, იბურთოს, კარგად მას უქონ ონარი.
18. ბრძენს უფრო უხამს. უგბილს კაცს მაშა თუ მოიხმარებდეს, არ სიბრძნისმეტყველებითა რა ეყოს, მას აკმარებდეს; რაც ესმას, იმას ასმენდეს, მას მისით გაახარებდეს, მარგალიტს ღორთა სალახად არ ფრქვევდეს, სხვაგნით არებდეს.
19. რა შეეყარო კაცს ასეთს, გაზრდილსა, სიბრძნე-კლებულსა, უწერთნელსა, შეუსმინარსა, პირუტყვებერ მიმორებულსა; ის ვერ შეგაქცევს. აამე ცოტას ხანს შენსა ხლებულსა, ეცადე, მორჩე უწყინრად, გასცილდე მალ აგდებულსა.

20. თუ ემტერები, სცოდავ და, თუ ემოყვები, გვენების.
არ მიგყოლებს, მიჰყვები; მოზევ, არ მოგედევნების;
ნუ მტერ-მოყვარე ექმნები, ვისთან არ განისვენების.
პირველ სოლომონ გიბრძანებს, აწ ჩემგან მოგეხსენების.
21. ვეროდეს კაცი ამო კეთილსმყოფლად იხილო,
ვით ხილის ძირად მწარისა ძვირად სამ სიტკბო იხილო;
სჯობს, შორად ექცე, სამოყვსოდ აროდეს არ მიიხილო;
მის მტერ-მოყვრობას დაეხსენ, არც ერთი არ გაიმხილო.
22. ვის ძალუძს მწვირის შეხება და ყნოსა სურნელებისა?
ან მდელს ნივთთა ურგების რგება სამ მოისთვლებისა?
სახმის უმწველად ვისგანმე თუ ხელი მიეხლებისა,
მეგობრის ბოროტისაგან კარგიც რამ მოისთვლებისა.
23. წყალმავ წაგილოს, ისივ სჯობს, ცრუთ კაცთა ხილთა განსლვასა,
სიტყვა მართალი — მის ალავს ტყუელის ძვირად განსლვასა,
სიმართლით ჯდომა იატაკს — უღვთოთა ტახტსა აღსლვასა,
ჰაერს ქვეშ დგომა ბრძენთ თანა — უგუნურთ სახლსა შესლვასა.
24. გონიერთაგან პირს ქება გინებად შეირაცხება,
ამად, რა არად მიაჩანს ძლევა თუ გინ დამარცხება,
არცა სიმალლედ აღწევნა, არცაღა ქვედ დანარცხება.
უგუნურთაგან ადვილად ვარსკვლავიც აღირაცხება.

* * *

25. ლექსი გახლავარ ნათქვამი მეფისა ა რ ჩ ი ლ ის ა ო,
ვით გულზელთ მოუწონარი, მართ აგრე გულჩვილისაო,
უგბილთაც არა-საფასი, არც წონა მარჩილისაო,
საამოდ გასაგონარი ბრძნისა ყურ-მორჩილისაო.

8. იცის ბრძენმან

[თავნი იტყვიან: „ირეკე, კაცო, გულითა ირწმუნე, გაგედებისა;
კაია ოხა, დუმილი, მირონად შეიძღვნებისა;
ფარსეველი მალლოს, პირი არ შეველებისა.
ყურსა არარა იამოს, ამბავი რამე ვნებისა“].

1. იცის ბრძენმან სიტყვა ტკბილი, სხვათაც კარგა გაგონება,
რიტორთა და ღრამატიკთა უცხოთ თქმათა მოგონება,

ერთა-ბერთა უმეცართა ხელოვნებით შეგონება.

კვლავ უგბილთა სიტყვის თქმასა ძალუც გამგონთ შელონება.

2. ეც ნაწილი სიბრძნე-სრულსა, წარუალსა, მარად მდგომსა, კატილორებრ წმასნილებას, ნუ მიბაძავ მის მიმდგომსა; არსსა ქებად შემოქმედის გაიცდიდი და შემდგომსა; ცოდვა გძაგდეს, გარდაუშვი, ნუ ერჩ თვალთა დასადგომსა.
3. ოდეს დიაცო, სიწმიდით გული ნუ აღვიზვავდების! გონებით ამპარტავანი წმიდაცა მალ დავარდების; უღმობელი და ღმობილი აროდეს არ შეზავდების; ლალი და ცუდის-მეტყველი ბოლოჟამ სულ გაავდების.
4. ითქმოდეს ვინმე მართლიად და ქვე-ქვე ზაკვას ცდილობდეს, თვით უსუსური ძალითა სხვათ ძლევას მოქადულობდეს, არად შესწონდეს ფოლადი, თავად ცვილებრი რბილობდეს, იმწუხრებოდეს კეთილთად, მართალზე სადღა დილობდეს?
5. რანი ვართ კაცნი? — ცუნდრუქნი, არა თუ საწყალობელნი, წუწქნი, მიმღონი სოფლისნი, თვისის სჯულისა მგმობელნი, მოთნენი, თავთა ვერ მხედნი, მეგობართ მაგიობელნი. უნდოთა ყოვლთა ბრძენთასა ან ქვე რას გვშობენ მშობელნი?
6. ნახვა მრავლისა საქმისა კაცთა უცებთაც გამოსცდის, ერთით მეორეს მომავალს სცნობს, თუ დრო არის, შემოცდის; გონება ბნელი ადვილსაც გზასა, ვით კაპანსა, შესცდის; ადგილს კეთილსა, სარწყავსა, მინახავს, ყანაც სამ მოსცდის.
7. გარდასრულთა ყურს არ უგდებს, მის წინ-მყოფთა ბრძენთა სიტყვებს ერიდება; ვითა ბნელი, ნათელს ევლტის, არ შეიტყვებს, ღმერთს არ ეშიშვს, უძღებობით მუცელს ჰმონებს, იპირუტყვებს; ეღემითგან განვარდება, ჯოჯოხეთში თავს დაიტყვებს.
8. ბედს მონებ და ვარსკვლავთ რიცხავ, შობას იმათ მიაჩემებ, ისიბრძნეები, რიცხვთ-მეტყველებ, ქვეყნის ზომას შეიჩემებ, სულ მოზღაპრობ, შემცვალებლობ, სხვისას შენდა დაიჩემებ, არ შესდგები მართალს გზასა, მრუდსა კარგა ვის უჩვენებ?

9. კიბედ მოიგე სიმართლე ყოვლისა კარგაკობისა, აღხედ მის მიერ მწვერვალსა, ქვე დაგრჩეს უცებობისა! იცოდი, ძალუც ამასა ცად აღსლვად, შემტყიცებისა. არავინ ქება მიიღოს უქმობა-გაბუცებისა.
10. ორია კაცთა საქმენი: ხედვა და განრჩეულება, ხილვა კარგის და ავისა, სიცრუვის არ ჩემულება; არყოფა ავად კეთილთა, სულისა დასნეულება, დროდ გარდაუშვას ამო გონების სულ ეულება.
11. უდარებს მართ სიმართლესა ერთპირობა ენისა, მცბიერობისა განგდებით, სიტყვათა სწორთა სმენისა, ილიკ-ბალიკებრთ ჩურჩენათა არ-სმენა მის შესმენისა, ლიქნთა განრჩევა, ურჩება, საქმისა არ-საქნელისა.
12. იმხილებიან ყოველნი მის-მის დროს თვისის საქმითა, მირიდნენ სამე ვერ ცრუნი მათის ტყუილის აღთქმითა, იგოდებოდეს შესხმითა დედაწულითა მათითა; როს განეშორნენ გვამთაგან, დაივიწყებდინ დანთქმითა.
13. ორღანოდ ითქმის ტკბილ-ენა, თუ სიმართლესა ხმობდესა, ნარდად სურნელად, რა თქმულსა მირონად შეიმკობდესა, ახალს სჯულსა და ძველს სჯულსა პავლესებრ შეიხმობდესა, დღედ კეთილისად იღვწიდეს, სამსოდ მუსიკობდესა.
14. შვენის ყოვლს კაცსა ამ სოფლით განვლა კარისა იწროსა, ერიდებოდეს, ცოდვაში სიკვდილსა არ შეესწროსა, იღვწიდეს მისთვის, უბრალოდ წამხდართა სად დაესწროსა, ძლევას ცდილობდეს მტერთასა, შესმენად ვერ მიასწროსა.
15. ღვარ საშვებლისად ჯერ გვიღირს თქმისა და გაგონებისა, ვნებაა დიდი ბოროტი მონება ავ-გონებისა; ნება უშვერი არ გვიხამს, დრო არის შეგონებისა, ერთ-არსებითა მონება ჯერ-არს სამ-გვამოვნებისა.
16. ბოროტ არს მეტი განზრახვა, უგუნურთ შეუდგებისა; ისაა კაცი, გულისთქმა ვინ უფალს მიუდგებისა, სრულისა სიყვარულითა არც ერთჟამ გაუდგებისა, არ დაუშვრება მონებას, ჟამად წინ წაუდგებისა.

17. ფრთად ვიხმარებდეთ მცნებათა, ვინა ცად აგვიყვანებსა, არსადათ მიგვდრეკს უხამსად, სუფევას შეგვიყვანებსა, რისხვასა დაგვხსნის უფლისას და მისდა მიგვიყვანებსა, იწროსა ხილსა სოფლისას თამამად გაგვიყვანებსა.
18. სიბრძნის ტრფიალნი მტერსა და მოყვარეს სწორად ჰყვარობენ, ესვენ უფალსა, მის ფამო განსაცდელშიგან ხარობენ; ვერ დააბრკოლებსთ ხორცთ ქენჯნა, არცა თუ დიდ რამ ზარობენ, ელიან სისხლთა დაღვრადცა, სატანჯველს არ უარობენ.
19. ლომთა ბრდღვინვასა შუათა შიშველნი არა რიდებდეს, იკბინებოდენ გველთაგან, მაგრა სხვას იმედს იდებდეს, მადლობით მიითვალვიდენ, რაზომ სახმილსა იდებდეს, აღარ ახსოვდათ მოყვანნი, ძმანი და ან ვის იდებდეს.
20. ღვთის სიყვარულსა შეეპყრათ, სხვასა აღარას ხედევდეს, ღალად წარდგიან მეფეთ წინ, სატანჯველს ვინ უბედევდეს, ორპირ ლახვრითა განგემერას ვინ მათსა მალღალ ყბედევდეს, იხვეტებოდეს ფრჩხილებით, ხორცითა სხვათაც ბედევდეს.
21. სპარსთა მეფეთა ზახებაჲ და მათსა მლიქვნელობასა, პირს დაუყოფდეს სიმართლით კერპთა მათ შექმნილობასა, იტანჯებოდეს მრავალფრად მანქანათ არ რბილობასა, რუდ მისდიოდათ ნაკადი, შეჰგვანდა ვით ნილობასა.
22. იქენჯნებოდენ უწყალოდ, კვლავ შოლტით იცემებოდეს, არად შერაცხეს საღმობა, უფრორე იამებოდეს; რათ თუ ხორცსა მოგვწყვეტდეთ, ჩვენს სულსა რა ევენებოდეს? შემწე გვეყოსო ეს ღვაწლი, იესოს შეგვაწყნარებდეს.
23. ელოდეს პირად-პირადსა სატანჯველსა თუ გვემასა, ევედრებოდეს უფალსა, გაუძლონ მათსა ცემასა; ღამეს ლოცვითა ათევდენ, იღვიდენ მტერთ დაცემასა, ეღირსნენ სასუფეველსა, რიდებდენ გარდაცემასა.
24. ბუნება კაცთა ვით შესძლებს, რაც მათზე მოიწეოდეს? ისრის განგვრემით ცეცხლზედა რამდენგზის დაიწეოდეს, სასას უვსებდეს ბრპენითა მდულრით, ქვე ჩაიწეოდეს; აღიდებდიან უფალსა, მაშა, არ შეეწეოდეს?!

25. ყრმანიც ჩვილნი ჰასაკითა გაბედვედეს სატანჯველსა, უარს არსა ეტყოდიან სანატრელნი მათ მქენჯნელსა. რიღებდიან სატანასა, საუჯუნოს ცეცხლსა ბნელსა, სამართლითა მე არ მიხამს: ვაგლახ, მეო, ავის მქმნელსა!
26. არ დაურჩათ სატანჯველი, მოგონილი ეშმაკისა, არსად თქმული პირველითგან, ვითარ გოჭი ეშვ-მაკისა, რაძი იყო მოგონილი სიბოროტის მუშაკისა, ადამისა მომღერლისა, მის მტრობისა გუშაკისა.
27. რაბამ მწარეა სახმილი, ხორცსა რა სწვევდეს, ძვალებსა, აყრიდენ ნაძენძს ფისზედა, მალლად უშვებდეს ალებსა; იხილეთ ქალთა ბუნება, მუნ ხედავთ ვითა სალებსა! ამის გამოსი რა გვეყოს ჩვენ, მღედრებრ ენა-მალებსა?
28. მღედრი ბუნება განაგდეს, შემართეს ცეცხლსა და წყალსა, ოდეს სახმილსა შესთხვედეს, შერაცხდეს ვით ნაბერწყალსა, სრულიად არ ახსენებდეს შვილთ ჩვილთა მათსა საწყალსა, აღიარებდეს უფალსა, ვინ ღვთაებრ მათ შეიწყალსა.
29. მხნედა ღგეს სატადიონსა ახოვანითა გულითა, ბასრობდეს კერპთა მონებას ენითა დადაგულითა, არად შერაცხდენ მეფეთა უფლისა სიერთაგულითა. ვმადლობ, მიოხონ, მარგონ რა მწეობით წმიდის სულითა.
30. იარებოდეს მანჭვლებზედ, ვითა მწვანესა მოლებსა, რბოდესცა იძულებითა ადგილსა ჩასაქოლებსა, არ აბრალებდეს ურთიერთს: „ხორცსა გვგვემენო მოლებსა“. მაჰამდსა სწყევდეს კერპითურთ და მათსა ბილწსა მოლებსა.
31. ევნებოდეს ხორცთა მათთა, სულით დია ფუფუნებდეს, ვაებით არ ლაღადებდეს, იგი სთნდათ და ისუნებდეს, ნებსით სიკვდილს მრავალფრითა სატანჯვლითა თავს იღებდეს, ერთს ეძებდეს სასურველსა, ვისცა მიწყი აღიდებდეს.
32. ბნელი მეწიფა, თქვენს კვალსა სიჯაბნით ვერ შეუღდეგო; ილოცეთ ჩემთვის ამისდა, ბოლომდი არ მოუღდეგო, სადმე დავაგდე ნიჭები, პატივით ვის წინ უღდეგო. არჩილს მარგეთ რა, წმიდანო, ვინ მცნებას გარდაუღდეგო.

33. ბევრნი ვსწვართენ ამოს სიტყვით, მაგრამ არვინ არ დამლოცა; ამოებად შემირაცხეს გინდ დღე უქმად გარდმეველოცა; კარგადა ქმნეს, ის მიჯობდა, სხვის საქმითა აღმეველო ცა. კიდევ ბევრი უნდა რამ ეთქვა, ვიდრემდისი ასე ელოცა.

ფ. სიტყვა სანათლისღებო

1. სიბრძნე მსურს. მწერთნელი არა მყავს. მაშ, რა ვქნა, როგორ მრავლის ცოდვისა მოქმედი აწ წმინდათ ვითლა ვიშოო? ვიშოო? მისი საკვრელი მიჭირებს, მჭიშნედა რითლა ვიშოო? მიხმს, სინანული ვიძიო, თვალთ ცრემლი მიწყვი ვიშოო.
2. ანგელოზთ ხილვა არ ძალ-უცთ, ვინ თანა-არსობს მამასა; კაცთაც მცხვენიან. შეხედვად, პირს ვით მივხედო მამასა? უგბილმან გულმან ბოროტი უანგარიშოდ მამასა, ცოდვა შეუფლა, შემბიყრა, მყის დამიბა და მამასა.
3. ქრისტე, თუ შენ არ მოგხედო, სხვადა ღმერთი სადლა ვიცი? აღმოვხდე თუ ცად კამარად, შენც მანდა ხარ და ეგ იცი. ჯოჯოხეთსაც ახლოვე ხარ, თუ თავი სამ იქ ჩაიცი, დავემკვიდრო ზღვის დასასრულს, იქიც მწველება ხელი მტკიცი.
4. თუ შორა გთქვა, ყოვლგანა ხარ და, თუ ახლოცა, და იცი. ვინ იტყუა ერთმანერთზედ და სახერხოდ ცა დაიცი, ვინ შთავარდა ვეშპის მუცელს უვნებელადცა დაიცი, მორჩილნი და შენი ნება ქვემეთრევენი ცად აიცი.
5. სად გარდვიხვეწო? მაშ, რა ვქნა? შენ სწვდები არსთა ყოველთა, შენ აცოცხლებ და შენვე ზრდი, რაც რა არს, სულს და ცხოველთა. უტვირთავს ყოვლი მაღალს მკლავს, ხელს მტკიცეს — არსთა მსახველთა, შენივ გვიხმს ხეწნა, უშენოდ სხვას ვერ ადგილის მშოველთა.
6. ნათლისღება შევაგინე, სჯულს გარდავხედ სიჭაბუკებს, დავემონე სატანასა, ჩემს მომღერალს და მებუკებს.

აწ ვსცან ტვირთი მისი მძიმე, ზურგსა მწერტს და დამწყვეტს
სუკებს,
უარი ვთქვა — გამამტყუენებს, ხელის-წერილს მომცემს რუკებს.

7. გრიგოლი იტყვის მეტყველი ღვთის, განბრძნობილის გულითა:
მოსემ ნათელსცა წყლითა და ამის პირველად ღრუბლითა.
ზღვა ამ წყალს მოასწავებდა იესოს ნათლისღებითა,
ღრუბელი — სახედ სულისა, მამის, ძის სრულის წილითა.
8. ზრახავს ცხოვრების პურისას წინასწარ სახედ მანანას,
მის სასუმელსა ამისსა, საღვთოსა აწ ამისთანას.
ვინ სჯამდეს, სმიდეს სიწმიდით, იქმოდეს ცოდვის დანანას,
ნათლისღება, ვით ესეცო, განსწმედს, იმოწმებს ან ანას.
9. ვიცია სხვაცა სახეო, მჯობი სხვათ ნათლისღებისა,
შეუემწიკვლარი ცოდვისგან, ბიწთ ბოლოს სულმოღებისა:
რაზომ ძნელს ცოდვას შეეპყრას, მყის ამით წარირღვენებისა,
ქრისტეს წამების სისხლითა, ვით გვაში, შეიღებისა.
10. ბრძანებს: უწყვი მეხუთეცო, საჭირო და საწუხარი,
თვალთა ცრემლი სამუდამო, გულთა გლოვა გაუხარი,
სულთქმა, ქმუნვა აღტეხილი, კვამლს უშვებდეს ვით ბუხარი;
ამით გახმეს ცოდვის ფესვი სინანულს ნორჩს გაუხარი.
11. მე არცა სისხლით წამება და არცა ცრემლი ძალ-მიძეს;
განწმედა ამა ცოდვისა მამშობლეს, მცთომელთ გამიძეს.
ვხედავ კაპანსა უვალსა, წინ გასავალად გზად მიძეს.
ქრისტე, შენ უსასყიდლოდა წყალობით შენით გამიძეს!
12. სად არის სულთქმა ან კვნესა და ოხრა ანუ უშები,
დაფარვით ქველის-საქმედა ცოდვისა გარდმოსაშეები?
ესრეთ ძნელთ საქმეთ შეკრულთა წყალობით შენ ხარ მომშეები,
ქრისტე, დამალმე წამალი, მრჩობლთ წყლულთა დასაშუშები!
13. აწ მეც ეს მტკიცე წამალი ვიცი ცოდვისა ბიწისა.
შენს მოწყალეებას ვქადაგებ, ამან სინანულს მიმწისა,
ნანდილ შეინდოს, ვინ ინანს, შიშითა ვინ იწიწვისა,
ადვილად ძალ-გიძს სიახლე დაძველებულის მიწისა.
9. არჩილი

14. შენ ქვეს უძრავსა ძალითა აბრამის შვილად აღადგენ, ბრმათ თვალს აღუხვამ, საპყართა ასრბოლებ, მალეთ აღადგენ, განრღვეულს ცხედრის აღებას უბრძანებ, სხვათ წინ წალადგენ. ჩემ ცოდვილისაც თუ გნებავს, მის მართლის წიაღს დამადგენ.
15. შენ ხელმწიფებ ესევითარ: ქვესა კაცად გარდაქცევ, წარმართთა და კერპთმსახურთა შენს საცნობლად სჯულს მოაქცევ, ცოდვის გოდლებს აგებულსა ერთის სიტყვით სულ მოაქცევ. მეც თუ მიწყვიტ მტერი მებრძვის, მხნედ შემაბამ, არ დამაქცევ.
16. უძლური თუ ვარ მე შენი, განმამხნვე, ბრძენ მყავ სულელი; ვერავინ ვერ დამადუმოს, ქარი ქრის, ხმობენ: „სუ ლელი!“ ყველა შენ გმონებს, შენ გაქებს, არ მარტო მღრღელი სულელი. ჩემებრ ცოდვილსა თუ ჰპოვებ, სასინანულოდ სულ ელი.
17. შენ შენის სავენახისა მშრომელთა ოფლში მცურავთა, დილითგან დადგინებულთა მზის დასვლად მართ მიმწურავთა, კვლავ ათერთმეტის ეამისას სწორს მისცემ, არ უშურავთა, სასყიდელს პირველისასა განუგდებ ჭმუნვა-ურავთა.
18. მე ვერ ვიკადრებ, ვერც ერთის რომ ვიყო სულ მოწილეთა; მრავლის საუნჯის პატრონო, პატა რამ მინაწილეთა! ჩემს მოდავესა ბელიარს დამხსენით, გამიწბილეთა, მონად მიახელ უმცროსად შენს სასძლოდ მექორწილეთა.
19. მინდა გაგიტყდე, მოძღვარო, სახიერ სხვაც რამ მინდაო: ძმანი მიჩვენე მშვიდობით და მათთან ჩემი გინ დაო! რა მათ მოვშორდი, სიბნელემ თვალები დამიბინდაო, ყირმიზად აყვავებული გული ნავლელმან ბინდაო.
20. სხვანი რამდენნი საყოლნი და ყრმანი ჩემთან შეზრდილნი! ზოგ-ზოგნი ჩემნი გამზრდელნი და სხვანი ჩემნი დაზრდილნი, კაამყოლ მუსაიფები, მოლხინე, თან მოლიმილნი, იმერნი, კახნი, ქართველნი, ვისითაც მქონდა ქადილნი.
21. მახსოვს ლხინი და თამაშა, დღე და ღამე წართმით მღერა, მხეცთა სრვა და ნადირობა, თავი ლალად მომეღერა; ბურთობა და მინდორობა, კვლავ ნადიმი, ჭადრაკთ-მღერა. უხეობა და გასაცემი, სრულ ვითა გქქვა, მომეღე რა?

22. აწ იგინი უჩემობით არა სწუხან, ისრევ ზმიან:
ვინ ასპარეზს ასპარეზობს, მერმე სმენ და მღერენ, ზმიან.
მე აღარვინ მომიგონებს, არ ვიცი, თუ რად მიზმიან.
ბუტბუტობენ ზოგიერთი, მგონი, იქ ხანს ბევრს დაზმიან.
23. სოფელო, მუდამ ტრელობით, მიკვირს, არ სცხრები რად არა?
არ მოვსთვლი შენსა სიმუხთლეს, რაეზი მიყავ, რა და რა.
ვერვინ მოგირჩა უენები, ცუდად ისრბოლა, რა დარა!
თუ არ უცებმა, წარმავალს ვინ წარუალი რა დარა?
24. სხვათ მელექსეთგან მინახავს: შესავალს სწერდენ სულ თავსა.
ეს იმასა ჰგავს: ეზოსას მალალს იბემდეს ბჰის კარსა,
შიგან ჩალისა ქოხებსა იდგემდეს, ზრდიდეს ფუტკარსა;
რა შიგ შეხვიდე, ვერ სქვრეტლე სიბრძნისა მას მინაყარსა.
25. თუ ეს გამეყო, თავსა და ბოლოსაც, მგონიე, კმაოდა.
არ მოიხდინა აქ ამად, რაგინდ რომ საქმე დაოდა.
მოგართვი ჩემად სახსოვრად, ძმანო და ჩემნო დაო, და
მომიგონებდით ამ წიგნით ტკბილად-რე, ნუ სააოდა.
26. სიბრძნეს თუ ვინ თავს უღებდეს, ბოლოც იმაზე მოუღოს.
თუ კარგს სასამელზედ დასვემდეს, სულ ისევე კაი მოუღოს,
უფრო და უფრო დაუტკბოს, შემსმელთა ცნობა წაუღოს,
დახშულთა გულთა უგბილთას სასმენლად კარი გაუღოს.
27. ყოველი საქმე ბოლოსი, სჯობს, რასაც უკეთესდება,
თორ ერთ წამ კაი რამ არი და მას უკან კი წახდება,
იტყვიან: „ცუდი რამ იყო“, სასაცილოდაც გახდება.
სადა გინდ წავა ამბავი და ეს ხმა ყველგან გახდება.
28. კაციც აგრე სჯობს: საცნობლად პირველად იყოს ძნელადა,
დიდის საქმისა შემართვად აღვილად უნდა მქნელადა.
კარგისა ავი არ მითქვამს, არც შინაგანა ჭრელადა;
ეგზომი სიბრძნე იცოდეს, თითქმის გაჰკვირდეს ელადა.
29. კაცი უნდა პირველ იყოს მართალი და ღვთის მოშიში,
სჯულ-მტკიცე და მოსამართლე, ნათლისღების ეღვას ნიში,
მამაცი და თავმდაბალი, ამხანაგის არ მოიში,
პურადი და კაცის გამწყო, ნუ მართო ზის, ვითა ქვიში.

30. ეს კმარა, მაგრამ სხვაც არის მრავალი ზნეობანია:
მშვილდოსნობა და ბურთობა, სიმღერა, ტკბილი ბანია,
ზმა, სიცილი და ლალობა, ესეც რამ კაის [მ]გვანია.
ვინ ყველას უქმობს, რა არის? მაშ, თუ არ ბრიყვი სვანია?
31. თვითეულად ვით გასწავლო, რაც ზნეობა არი სულა?!
კაცი ვნახე, შემიჯერა, არ ფიცა და არ ისულა;
დიად, თავი შემაყვარა, რა ის სიტყვა აღასრულა;
ცოტა სხვაც რამ მათქმევეინა, ჯერ აღარა დამასულა.
32. სიტყვა-მარჯობა კარგია; ცოტას თქმა, ბევრის გაგონა,
საქმის შეტყობა, მიხვედრა, გასინჯვა, კარგა გაგონა;
ვინ-ვინ ნამუსზედ შეაგდოს, ეცადონ, რითაც არ გონა;
ვინც კაცი არის, სიკეთეს იჩემებს, ეს გააგონა.
33. მაგად არ მოთქვამს: მეჩემოს, რაცა ვთქვი საქმე ესენი.
სოფელმან ავს ღროს მიმუხთლა, ცრუმ შემომყარა ე სენი;
მაგრამ მე მისად საზრუნლად ვერ მნახოს სხვისებრ მკენესენი.
თქვენ ასრე გმართებს, ვინცა ხართ ცნობილნი, სიბრძნის
მთესენი.
34. მე არ დამცალდა, რაც მნებდა, საღვთო და არცა საკაცო.
მექმნა რამ მოსაწონარი ჯერ ღვთის წინ, კვლავ სამამაცო;
საქმე მომირთო სოფელმან, თავს საცემი და სატკაცო.
მო, მომეხმარეთ, დამხსენით, ახლო თულა მყავს მამაცო.
35. მაგრამ მე ღვთისა იმედი ამაღ არ გადმივარდება,
ამად რომ არის მოწყალე, ეს ცოდნა მინარნარდება;
მისი წყალობა, მოხედვა ერთხელ სამ ზედ მომვარდება,
აწ მოქუფრვილი ყვაილი, მგონია, გამივარდდება.
36. ავლთ მგზავსობა, წარმავლობა ამ სოფლისა უეჭუა.
ეს გვიქსელავს სიცრუესა, სატანა ჰყავს მებეჭუა.
კოჭებრ არის საქმე მათი, შაქისაგან უფრო ჭუა.
არ მოვსტყუვდეთ ამათ გამო, ღვთით ვინმაროთ კაი ჭკუა.
37. ნუმცა გინახავ, სოფელო, ვით სიჭაბუკეს. შენს მდომსა,
ისევე შენდა მოყვარეს, ამ ჟამის იქით შემდგომსა.
ჯვარ-ტვირთულსამცა მიხილავ ქრისტეს ჩემისა შემდგომსა,
მონანულს მრავლის ცოდვისას, შენდობის თხოვნის შემგვრდომსა.

38. რა საზღვარი ძეს, გასინჯეთ, კაცს კაცად აგებულისა?
 შეუგებლისა მოყვრობას ომი სჯობს შეგებულისა;
 ამად არ ძალ-უძს პასუხი ბრძნად სიტყვა-მიგებულისა.
 ის ავსა კარგად შეგიცვლის, სიკეთე უთქვამს გულისა.
39. აგრევე სიბრძნე ბრძნის წიალს მივალს და მიეყრდნობისა;
 იგი რა ისმენს დაღრმობილს, კითხვავე მოუნდებისა.
 რაზომ ღრმად ძნელად იტყოდის, მიჰყვების, დამონდებისა;
 უგბილს თუ ნახავ პატრონად, სიკეთე სულ წახდებისა.
40. ბრძენმან გულმან ოდეს მგზავსი სხვისაჲც კპოოს, განისვენებს;
 იგ დაჯდება სამუსიკოდ, მას სასმენლად განისვენებს;
 განუზრახავს საიდუმლოს, ხშირად ხან-ხან გან ისვენებს.
 თუ დასულდეს, მცირედ დუმნეს, სიბრძნევე სურს, განისვენებს.

* * *

41. იქმნებშიც, ჩემო ნაშრომო, მოსთვლილი ბრძენთ მუშაკთაგან!
 ნუმც დაითრგუნვი უგბილთა და სიცრუისა მაკთაგან!
 ცნობილთ სურვილით საკითხო, არ პყრობილთ მათ ეშმაკთაგან,
 მგონია, წიალს მიგიხვამს, ვინ არის ქრისტეს ბაკთაგან.
42. ნაშრომი კარგი მოვიდეს, დარჩების მოუმკალია;
 თუ მუშაკს ველარ იშოვნის, ჭამას დაუწყებს მკალია.
 მით ნაღვაწს ნურვინ წამიხდენ, თუ არვინ არ მომკალია;
 საღვთოსაჲც გეტყვისთ, საკაცოსც, ორითავ ნაკამკალია.

10. იამბიკონი შვიდნი

იამბიკო პირველი

[თავნი და ბოლონი იტყვიან: „სამეზით ღმერთო, ბუნებით ერთო,
 დამხსენ სახმილსა უშრეტლ მწველსა
 მიშველე რაჲე, შენ მნახო რა მე,
 სათნოებითა რომ ვგვეარ მწველსა“].

1. სარწმუნო არს ესრეთ ცნობა ყოველთა შემოქმედისა:
 ერთი-ღვთაება და გვაში — სამ.
 ანგელოზთა წესნი შესწირვენ გალობასა,
 დიდების მეტყველნი მისნი.

2. მთავარ-ანგელოზი ეწიწვის ძლიერებასა მისსა
და მე, ცოფი, ვითარ არა ვიშიშ?
ესრეთ ძალთაცა მონებრიობისა სახითა აქვს
მორჩილება და ნება მისივ,
3. ბევრეულობა საბაოთისა, რომელ არს მხედრობათა,
გინა მთავრობათა წესი ესე.
იუფლებიან უფლებანი უფლისა მიერ
არა-რას ურჩებით, არამედ — განწყობილ,
თვითეულსა აქვს განწესება, რამეთუ
ხელმწიფებასა იმონებს ყოველთა ხელმწიფე.

* * *

4. ღმერთო, ჰზი საყდართა ზედა და
არა-სადა ადგილსა გარე-შემოიწერ.
ოდესმე ქერობინი გიგალობენ „სამწმიდაარსობასა“
და სერაბინი იწიწვის შემდგომად თვალთა.
5. ბრძანებს ცხრა დასად განწყობასა
ანგელოზთასა დიონოსის არიოპაგიდამ.
უფალო უფლებათაო, ხელმწიფეო ხელმწიფეთაო,
სამებაო წმინდაო, ვედრება შეიწირე!
6. ნათელო მიუაჩრდილებელო, განმანათლე ბნელი ესე,
რამეთუ ვარ უშიშ.
ესრეთ აღგიარებ, მამავ უშობელო, ძეო შობილო,
სულო გამოსრულო, საუკუნეთა უწინარე!
7. ბუნებითა ღვთაებისათა ერთო, ხოლო შეუტრევნელად
პირებით სამგვამოვან,
იამბიკო, პირველ ესრეთ უთქმელი, სრულ მაყოფინე
დაუღევნელის სიბრძნიდამ.
8. თვითოეულისა საქმეთაებრ მიმგებელო,
ფრიად დამსაჯა ჩემმან საქმემან.
ერიდე, ქრისტე, შენისა თვალ-უხეავის წყალობითა
მოსაგებელსა ჩემსა,
9. რამეთუ მოწყალებასა მართლ-მსაჯულობა
არა აყენებს, მალლად გიზახ.
თმენა გაქვს ცოდვილთა, ვევედრები
შენსა მოწყალებასა, რამეთუ დამთმო
10. ორთავე შინა ჭირთა და შვებათა.
მეცა გმადლობ შენ ამიერ.

დიდ არს ხელმწიფებისა ძალი და საშინელ —

რისხვანი ჩემებრთა.

11. არავინ ვიცი დამაყენებელ შენდა,
ჯვარცმულო, და მიხსენი ამ წამ;
მარიამისა საშოსა დატევნილო, რომელსა
ვერ გიტევს ცათა სივრცე,
12. ხარ ესრეთ მშვიდი, რამეთუ ჯვარს ეცვი
და გვიჩვენებ სიყვარულს.
სვამ ძმარსა ნავლთითურთ, მომცემელი
ულაბნოსა მანანასა.
13. ესე არს ნიში კაცთა ძვირ-უხსენებლობისა,
რამეთუ ჰყავ ნებსით
ნათელმან ნათლისაგან მამისა და
ქეშმარიტებისაგან ქეშმარიტმან.
14. საღმობასა და ჭირთა სულთა და ხორცთასა
მიგითხრობ მყის, მკურნალო;
ა რ ჩ ი ლ გევედრები, მამაო და ძეო და
სულო წმიდაო. უღირსი მეფე.
15. ხართა ლალვად, სკორეთა ზიდვდაც,
ღირსებად დამიმოვიკობ
მარად უდებებისა ცხედარსა მდებარე,
აღზილვად თვალთა მცონარი.
16. იცნი წვლილნი ყოველნი გულის-სიტყვანი,
ამისდამი ვერარასა ვმალავთ.
ღამის ცხორება ჩემი სასოწარკვეთილებისა
მთხრებლად შთაგდებასა.
17. სასოწარკვეთილება. უწყი. უბოროტეს სხვათა
ცოდვათა, განმაშორე შენ მიერ;
ადგილ მეც სინანულისა, სამოთხედ
ადამის კუალად მგებელო,
18. უფსკრულო მოწყალებისავ, მეც განმარინე
ბოროტსა, ვითარცა ადამ.
შეიწირე ვედრება და შორს ჰყავ ქედი ჩემი
ულელსა ბელიარისასა, რომელსა სთრგუნავ,
19. რომელსა გაქვს ტვირთი მსუბუქი
და ულელი ტკბილი შენი დამადგ.
ერთი შენთა მუშაკთაგანი მყავ, ანუ მეცხრე,
გინა მეათე და მეთერთმეტე.
20. ტარიგო ღვთისა, აღილე ჩემგან სახივი
მძიმე ცოდვისა, ამხმელო ბრალთა სოფლისავ;

- არა მაქვს კადნიერება ზე ახილვად და თხოვად რასამე საწადელისა.
21. დახშულ არს სასძლო ჩემი ამიერ და ვიქმენ ბარბაროზთა სწორ. მოიხილე მოწყალებით და ნურარას ეძიებ ჩემ შორის კეთილსა, რამეთუ ვერას იამ.
22. წიღოენი სისხლთა იშიშვის შეხებად და მე ცოდვილი წიღოვნებული არა ვიწიწ. ვიცი, გცოდე უფროს ძველთა და ახალთა, რამეთუ ვიქმენ ყოველთა ავთა ავ.
23. ერთილა ესე დამირჩა სასოება, რამეთუ მართალთა და ცოდვილთათვის სწორად დაისაჯე. ღმობიერ მყავ განფიცხებული, რამეთუ გმონებდე ქეშმარიტებით სულ.
24. საწადელი ხმა შენი მასმინე ფრიად ცოდვილსა, ესრეთ გიხმს, ადამის შემოქმედო, კაცთა ხსნისათვის შობილო მისის ასულისაგანა.

იაგბიკო მორე

[თავნი და ბოლონი იტყვიან: „შენს ნებაზედან, შენებაზედან აღარ მიმიშეა ბელიერ მწველსა, ჩამსომს მწვირესა, მის ნამწვირესა, ვი, რა ავია მის დანსველსა!“]

25. შენ დაამყარე ქვეყანა და გარდათხენ ცანი; აწ იქმენ მარიამის ყრმა ნორჩ. ენუქ მისცვალე სათნოებითა ჯერეთცა ცოცხლებით სამოთხესა.
26. ნოეს მიერ აღმოიტაცე სოფელი წყლით-რღვნით, აშენებს სემ, იაფეთ და ქამ. სარა ბრძენი, გარდასრული შვილ-სხმიერობისაჲთ, ისაკს შობს.
27. ამისდამი აღთქმით სიძრავლე ნათესავთა და მეფენი ქვეყანისანი მოაშენო. ნება შენი სრულ-ყო აბრაჰამ, განგიშადა მსხვერპლად ძე პირამშო მონამ.
28. ესე შენსა ვნებად შეკრვასა და მამის მსხვერპლის შეწირვასა მოასწავებს.

- ბაბილოვნურსა სახმილსა არა მისცა ძლევად
აბრაჰამიანი ყრმანი ძალმან ღმრთისამ.
29. ანანია, აზარია, მიხაელ, ნივთთა შემაუღლებელი,
გაკურთხევდეს და გყავს შემქმ.
ზოგად დანიელ ლომთა მძვინვარეთა
ხელგანპყრობილ მსხვერპლ ჰყავ.
30. ესრეთ ძალგიძს, რომელი ინებო,
და ვერვინ დააყენოს განგება შენი.
დიდი მოსე ენაბრგვნილი ისრაელთ გამოიყვანებს
ევგვიტით შორ.
31. აყენებს ისო, ძე ნავესი, შზესა,
ეგრეთვე ვერ ეურჩების მალემსრბოლი მთოვარე.
ნების მყოფელთა შენთა ყონ ესევითარი,
ხოლო მე ნუ დამსჯი ურჩს.
32. შენი არს მოწყალებით მოტეება,
ვითარცა ჩემი სირცხვილი და კდემა ცოდვისა.
ელია გამოზარდა მელეშემან ყორანმან უდაბნოს,
შემდგომად — ქერიემან სარფილომ.
33. ნები შენი, ყოველთა მზრდელი, იყოს მათისა
ნაბიჰევისა, ჩემიცა მომცემი.
ელისე კეთრსა განსწმენდს ასურსა და
მკედარი სამარესა მკედარს აღადგინებს.
34. ბევრგზის სასწაულთ მოქმედო, რაჟე
ყოფა არს სასწაული ჩემთვინ?
არ ძალუძს საქმესა ჩემსა მოწყალე ყოფა შენი,
არამედ ჰქმენ მგზავსი სასწაულისა.
35. ზეცად მიმართ არა ვარ ღირსი ახილვად,
არა ვჰყო უნაყოფომ მიწამა.
ერთ სამებისგან რომელი შეხვედ სახლსა
სიმონ კეთროვნისასა, ჩემთანა მოვედ აწ.
36. და დააყენე აღძრვა ურჩებისა, ხოლო წამყარე
ქიმი მისი, რომელსა შენგან მივჰყავ.
არა დარჩა ჩემთანა ერთიცა კეთილი და
შევაფარილე ნათლისაღებისა ბეჰქელი.
37. ნეტარ, თუმცა მასვე აღმოშობასა წყლისაგან თანა
მიგელ სული ჩემი და არა ვიყო ესრეთ, ვითარცა ვარ!
აწ საბანელთა ცრემლთაჲსა განწმედა
მესამისა ნათლის ღებთა ინებე.

38. ღვარად დიოდეს მრჩობლთავე სახედველთა
და ბანდეს სხეულს.
არა. უფალო ჩემო, ნუ, ღმერთო ჩემო! შენვე
მკურნე და ნუ მიმანდობ ჩემსა ნურარასა.
39. რამეთუ სინანულსა არღა ძალუძს კურნება,
მიპოვე. ადვილ მკურნალი, წამალი შენავ.
მივედ კვალად მასვე საკვირველებასა უფლისასა
და ვახსენ პირველი.
40. იონა დანთქმული ზღვისა უფსკრულსა
სამ დღე გამოიზარდა ვეშპისა ნაწლევთა მიერ.
მონადირებელი მხეტაგან, მხეტაგან კვალად
წარმოინთხევის უენებელობითა.
41. ისაკ შეკრული. მთისა მწვერვალთა კლვად განმზადებული,
იხსენ მონაცვლეობითა ვერძისაჲთა.
შორს გამარინე უმრწემესი ბოროტის ყოფასა,
რომელსა უღმოდა იაკობს ესავ.
42. ვითარ აღაცილე დავით მგალობელსა
ახლო-ტყორცებული საულისა მახვილი.
არსად მასმია, ესრეთ შეპყრობილი ინებო და
არა განთავისუფლდა
43. ბარბაროზთაგან წარტყვენილი ერი
განუტევა კვიროზ მეფემ.
ეზეკიელ, მოკლებული დღეთა, აცოცხლე ათორმეტ წელ,
ოდეს მოგახსენა სიმართლე თვისი.
44. ლოცვა შეიწირე კანნიერი, იხილე სულთქმა
და ცრემლი არა მართლის.
იყო რამე ჩემად ყოფადი, რომელმან გცოდე უფროს
ყოველთა და ვერა მოველ სიმართლედ.
45. ესოდენ ვიკადრო, რამეთუ მოწყალე ხარ და კაცთ-მოყვარე
და არა მაგებ ნაცვალსა.
რომელნიმე ძველნი ესე ახლისა ერისანი
შეპყრობილნი ახსენ.
46. მორწმუნენი სარწმუნოებით კვალად მოღვაწენი მოღვაწებითა
წარწყმედულნი მოიძიე და უპყარ ხელი შეტომილს.
47. ვხედავ რომელთამე ნიშად შენისა საკვირველებისა,
ვითა საქმისა მისავ
ეხილვების შობით ბრმასა, ყრუთა ესმის,
განრღვეული შემტკიცენების, ცოდვილთა მიუტევე.

48. ლამის სიტყვა თქმად, იხსენ ვიეთნი კანდიერად,
 უფროს სასწაულ.
 სამებაო წმინდაო, მეშინის უქველის-მოქმედოსა,
 რათა გაკურობხედე მოწყალეს.
49. არარა მაქვს, რამე შეგწირო. მოწყალე იგი არს,
 შეიწყალოს არა ღირსი წყალობისა!.

ნამბიკო მისამი

[თავნი და ბოლონი იტყვიან: „ქალწულად მშობო, ქებით სამკობო
 და საღმობისა არარს მგრძნობო,
 გამოუთქმელად, მიუწოდომელად
 დამბადებლისა სულ არსთათ მშობო“].

50. ქებად მოხმობა ჩვენგან სხვა არა ჯერ-არს,
 ისიე არს, თქვეს რა ქადაგ.
 ათასთა უბევრესითა წლით მოგვასწაევბს
 რა ყოფად, იყავ წინასწარმეტყველთა.
51. ლამპარი მყეველსა აღედება შეუწველად,
 შენ ცეცხლსა ღეთაებისას ჰლამ.
 წინათ მოსწავებული ყოველი
 შენთვინ თქმული აღასრულო.
52. უბიწოო, ყრმისა მაწონებელი, ჩვენცა მათითა
 სიტყვითა ქება გკადრო არა ცრუ.
 ლოდი, რომელ შეურაცხევეს, ესე
 იქმნა შენგან თავსაკიდეთ.
53. ადამის ოთხთა ნიეთთაგან დამბადებელი
 შენ მიერ იშვა ცათა, არა დამაცარიელებელი აქ.
 დედოფალო ხილულთა და უხილავთა,
 ყოველთა დაბადებულთა, ღირსო ქალწულო მარიამ,
54. მყავ მორჩილ ძისა შენისა და შენის
 ცათა უერცელესისა საფარველითა დამიფარე.
 შიშველი ვარ მე კეთილთაგან და
 შემხედთა ჩემთა ყოველთა საკიცხველ.
55. ოდეს მიხილო საწყალი ობლად,
 ნუ დააცადებ შენსა ურცხვენელსა შეწვენასა.
 ბოროტისა მოქმედისა მონისა ამის შენისა
 უფლისა შენისა მეოხებად.
56. ოქროსა სპასანთლეო, რომელსა ზედან დანთებითა
 გამოგვიბრწყინა თავი მეუფემ.

- ქებად შენდა ვინ შემძლებელ არს ჯეროვნად,
 ვითარ მაწოვნებლობ ქალწული.
57. ენაცვალე კარავსა აბრაჰამისასა, დაიტივე
 ღმერთი, ვერავინ მრქვას ამის „სუ“.
 ბეთილო, რომელი ითარგმანების „სახლ ღმრთისად“,
 რომელსა ვერ შეგეხო ვერარა ბიწ.
58. იაკობ გიხილა კიბედ, ცად აღწვევენულად,
 ანგელოზნი გარდამოძვალ კვალად აღმომავლად.
 თავსა კიბისასა უფალი დამკვიდრებული,
 ჰოი, მიუწვდომელად ყოვლად ქებულო.
59. სასაკმევლედ სურნელებისად მოსწავებულო,
 რომელი მყნოსელთა ძალსა მისცემ.
 ამბაკომ, სახმილავსა თავსა ზედა მდგომელმან,
 იხილა ღმერთი განხორციელებული შენგან ძე.
60. მობერილმან სულისაგან წმინდისა ჰქმენ
 ღმერთი უხილავი კაცთა მიერ ხილულ.
 კამართა ცისათა ეზეშთაები და იქმნები
 საყდარ ღვთისა ნაშობი იოაკიმისა.
61. ორი ბუნება გვაჩვენე შეურწყმელად
 ღვთაებისა და კაცებისა ერთ გვაჰად.
 ბევრეულობა ქებათა და მკობა
 პირად-პირადად ვერ გამოგთქვამს სრულად.
62. ოდესმე მოსე მეწამულსა განაპობდა და
 კაცთა სავალად დასდებდა უვალსა
 და ესეცა ისახა შენმან გამოუკვლეველმან და
 გამოუთქმელმან შობამ.
63. აპრონის კვერთხი გემაგალითების,
 განედლდა რა ნაყოფი გამონაღებ.
 სახე ექმნების შენსა საკვირველსა ქალწულებით
 შობასა.
64. აღთქმული ზაკვით გველისაგან განღმრთობა,
 მარიამ, შენგან იქმნა აღსრულებად
 ლოდი შებრკოლებისა განგვიკრიბე ამადთა მომართ,
 რამეთუ მაცხოვარი შობე.
65. მარადის გაქებ, გადიდებ, გევედრები და
 თაყვანის-გცემ მოსავი შენი, ნუ მე აქაბ.
 ოი, საწმისი გედეონისა სიხმესა ყოვლისა
 ქვეყანისა იქმნა დაცვარულ.
66. ბქე-დახშული ეზეკიელის ხილული
 შენ მიგიწოდოს ახლო წინასწარი.

- ისაია ხმაშაღლისა სიტყვა ეგმანოელისა
 ქალწულად მშობლად მოგასწავენებს.
67. სრულ-მყოფელ წინასწარმეტყველთა თქმულისაჲ,
 დიდი ქება გიხმსა.
 აჩრდილნი და იგავნი განქარღებიან,
 ოდეს ცვარსა სვამ ღმრთიულს.
68. ადამ განერების ხრწნილებასა და ევა — ცრემლსა,
 რაჟამს ძის სისხლი თხემსა ასუ.
 რომელმან დაარღვია შუა კედელი მტერობისა და
 შემიერთა ესრეთ სულ
69. ადგილი მცა პირველსავე საშვებელსა
 შობითა შენ მიერთია.
 სამება ერთ ღმრთაება სამგვაგონად გვეცნობა,
 რაჟამს განხორციელდა ძე შენ მიერ.
70. არსება უნივთო ნივთიერსა ბუნებასა
 სისხლთაგან შენთა შეიმოსს.
 მამისა თანა ძე უჟამო და შობილი ღმერთი
 ესრეთ სცელის ბუნებათ.
71. გამოუთქმელად ბუნებათა და მოუგონებლად
 გონებათა იშვების შენგანა.
72. რა არს განზრახვა ესე თვინიერ მისა,
 რათა განარინოს კაცნი საბრხით.
 ძველი ღღეთა მამისა თანა მომზავებელი
 არსთა, აჰა, ახალი მზესა ქვეშე შენიდამ.
73. ნეტარ ხარ, მარიამ, და კურთხეულ არს
 ნაყოფი შენი, რამეთუ ხრწნილებასა დაამაშ.
 ოხა ჩემი შეიწირე, ვითარცა მართლისა!
 გვედრები განმარინო!
74. ბრალი ჩემი დამიფარე მეოხებითა
 ძისა შენისა მიერ! უღირსი გაქებ.
 ორთავე სოფელთა სასაჩელი[თ] ნუმცა დავისაჩები
 შენი მვედრებელი, ქალწულო.

იაგვიკო მეთხე

[თავნი და ბოლონი იტყვიან: „ვისცა ვერ იტევს, ისიმე მომიტევს;
 შენ მეოხ მეყავ, ქებას ვიმკობთ!
 და თუც დავები, თუცა და ვები,
 განსადღელშიგან მებრ მექმენ, იობო“].

75. ვამე საქმეთა ჩემთა! თვით ნეტარ მე, რა
 მიპოვნინხარ წამლად;
 იცი ურვა ჩემი, მეცნიერ ხარ უწესოებათა,
 რამეთუ ულონო ვიქმენ, კეთილი მაქვს არა.
76. სამოსელი ნათლისა განვიძარცვე,
 დავბნედი, მე ვიქმენ საწყალ ესრეთ;
 ცოდვილთა სალხინებელო, კუალად შემმოსე
 პირველვე, რომელსა უხვად გაქუ.
77. არა მიაქცევს ძე შენი ვედრებასა შენსა
 და შუამდგომლობა კაცთა თანა გიც.
 ვიცი, არა ვარ ღირსი შენისა შუამდგომლობისა,
 შენ ხარ ღირსი შუამდგომლობისა.
78. ედემის განმღებელო, განმიღე მეცა კარი
 მოწყალებისა, ნუ ჰყოფნი მეოხებად!
 რომელი ექმნენ მიზეზ კაცთა ხსნისა, ნუცა მე
 დამაკლებ მოწყალებდ მოხედვასა.
79. იესომ გყო ღვთაებისა და კაცებისა
 შემაერთებლად, მე განვეყავ, აწ მყავ მისივ.
 ტარიგი ღმრთისა, ამხმელი ცოდვისა, გამოჩნდა
 შენგან ხსნად ჩვენდა ქრისტე.
80. ესრეთ სიმდაბლით მიეცა ჯვარცმად უხმობელად,
 მდუმრიად მე შუამდგომლობ.
 ვედრება უნდო და დახსნილი შენდამი
 სასოებით შეიწირე შეწირული.
81. სამართლად ვარ დასასჯელი, რამეთუ
 ვარ ფრიად ცოდვილ და არა სწორ მართალთა კაცთ.
 იესოს გაფუცებ, ძესა შენსა, რომელი იხილე
 ჯვარსა ზედა! ძვირის მოქმედთა თანა დამსჯი ნუ,
82. სამსჯავროსა ჩემისაგან რამეთუ სამართლად
 დასჯა თანა მაც.
 იქმენ მკურნალი წყლულებისა ჩემისა,
 შეუკროლებულისა ორნაკეცისა.
83. მამისა შენისა ღვთის გალობა,
 რომელსა გიმკობს პირად-პირადად,
 ცხედარო სოლომონისო, რომელი გარე მოუცავ
 სამეოცდაათთა ძლიერთა წიგნთა,
84. მარჩებად შობ მრჩობელსა ბუნებასა,
 ერთსა გვამსა შინა დაუტევენელსა დაიტევ,
 ოდეს მთად ჩრდილოდ, ოდეს პოხილად ღმერთი
 მოგყავს სამხრით თემანე..

85. მომეც შეწევნა, მომეც მოტეება ცოდვისა,
რომელი ცისა კიბეთა ანათობ.
იხილე ჭული ჩემი, დაიდუმებ სულთქმასა
ჩემსა. ავი მაქვს აღნაგი.
86. ტარტაროზი განვიმზადე, ცეცხლი აღვაგზენ,
ესრეთ ვბორგ.
ესრეთ განვაშორე თავი ჩემი ძესა შენსა
და შეუდეგ ეშმაქსა.
87. ვილარქნები ცოდვისა მწვირესა
მსგავსად მატლისა, რომელსა ვპორ
სასასა აგემებს პირველ და შემდგომ,
უმწარეს ნავლისა აღმიჩნდების.
88. შემიწყალე, ქალწულო, რამეთუ
გევედრები სულთქმითა მწუხარითა.
ესე არს მაცხოვარებისა მიზეზი, რამეთუ
ცოდვისა ფრიად მძიმე უღელი მაც.
89. ნეტარ ვიქმნები შენი მვედრებელი მოწყალედ,
თუ ინებო მოხედვად.
მომაცილე უხილავი მბრძოლი,
სიბოროტესა ჩემსა სძლიე.
90. ერი ხილული უკან აქციე, განლაღებული,
ამაოდ გარმოდგომილ.
ოხრიან სიცრუესა და ბოროტსა განიზრახვენ,
რამეთუ არიან უშიშ,
91. ხელობენ მეტყუელნი ცუდისანი, სოფლისა
საწდევთად მთრვალნი.
მყავ განზრახვასა მათსა შორ, ნუ შემიყვან
საინახესა მათსა, არა ვარგ,
92. ერთი სამებისაგანი, რომელმან ჰშევ —
ღეღამ ქრისტესმა უზრწუნლმა.
ყორნებრ დავშავდი ცოდვითა და
სინანულისა სპეტაკი არა მეპოებთან.
93. არა საძიებელ არს კნინცა სინანული,
მართალი თქვა აღსარებამ.
ფერგინ შემძლებელ არს შენებრ კურნებასა,
გევედრები, განმკურნე!
94. ქვეყანისა ნაშობთა სასოო,
სირცხვილსა ნუ მაკდიმებ.
ერთითა შენითა ტკბილად მოხედვითა
ყოველსა ავსა მომაშორ.

95. ბნელი ცოდვისა განმძარცვე

ნათელმან მაგან უბინდომ.

არა ვარ ღირსი თხოვისა ამათ,

ცათა უმაღლესო, ნუ დამბაქ!

96. სიმწარესა ტკივილითურთ, ინებო რა,

მყის დაამ.

გიხაროდენ, რომელმან აღმოაყვავივლე

დაუჭნობადი, დაუთესველო, ღელე.

97. მიმიწოდე შეცთომილი ძისა შენისაგან

შორს მყოფი მე შენ.

კადნიერება არა მაქვს,

არამედ მოწყალედ შენ გიცო.

98. ოდეს მიხილო მწუხარე აქა, ნუგეშინის მეც

და საუკუნოდ ნუ წარმწყმედ, სალხინებელო,

ბრგვნილად მეტყველებასა და უშვერად ვედრებასა

შენ შეასრულებ.

ოთხმეოცდა ათრვაამეტ მუხლად შეგიმკევ

მეფემ უღირსმან არჩილ იამბიკო.

იაგვიკო მახუთი

[თავნი და ბოლონი იტყვიან: „მოციქულთ ათორ ვევედრები ათორთ, თორე მიზმენა საქმეს ძნელ ავსა, წინასწარმეტყველთ, მით გამომეტყველთ, ღმერთმან იგინი სულით აავსა“].

99. მოციქულთა მწვერვალო, ხელმწიფება გაქვს შეკრვად

და განხსნად. მომხედე კრულსა, მო, აწ.

ოდეს შენმცა მიმნდომან თავისა

მიდრიკე მტკიცე, სარწმუნოება შენო,

100. ცრემლმან მწარემან სიტყვა უარის-ყოფისა,

დაფარა თანად სიყვარულმან.

იცევ სული ჩემი და მიხსენ კრულებისაგან,

რომელსა ხელმწიფება გაქვს მოტევებისა.

101. ქადაგო ხმამაღალო, რიტორო ტკბილო, რომელი

მონინადირებ წარმართთა სახარებისა ბადითა გუნდს,

უფლისა და ეკლესიისა მდევარო, შენ და სამ ცამდე

აღწევნულო პავლე, ჰოი, ვა მე აწ!

102. ლომებრ განძვინებულსა ცოდვისა აღვირ მასხ,

ბრძენო, ტკბილითა წვრთითა.

თიატრონსა სოფლისასა უაღვიროდ მორბედი,

ვაიმე, ამაოდ ვარ.

103. აწ იაკობ, ძმაო უფლისაო, რომელი გიმწყემსა
პირველ იერუსალიმ,
თესლი დასთესე გონებასა უნაყოფოსა ჩემსა,

მეოხებითა შენითა ანაყოფიერე.

104. ორგულება და ურჩება უფლისა განდევნე!
ვითხოო შენგან არა სხვა ამის მეტ.

რომელმან აღმოიქმე სიბრძნისა უფსკრულით

მიყრდნობითა მკურნალსათა და არა ინან.

105. ვიცი, როვანე. ძე ქუხილისა, შეყვარებულ
ქრისტესი, მეოხებასა მისსა ვესაგ,
ესრეთ გიცნობ, გონებით უბიწო.

ძალგიც ყოველთა შველა, შიშველ!

106. ვედრივარ, ანდრია, შენსა შემწეობასა,
გამომიჩინე, ნუ მიმალ!
ეტადე მტრისა განრინებასა ჩემსა
და შემუსრვასა საბრნეთ.

107. დამიხსენ ჩემთა ცოდვათაგან და
მყავ მოსწრაფე მონანულსა სამ.
რა არს შენი და ჩემი, მათე, რომელი ხარ

უფლისა ნათესავთა მეტყველი.

108. ოფლითა და კვნესითა არა ძალ მიც ვედრება,
თუ არ შემიწყალო ამით.
არს ვედრება ჩემი მცირე. უნდო, დახსნილო,

მცონარ, ცუდ და სადაგ.

109. თომა მარჩბივი, განგებულებით დააკლდი
მრჩობლსა ხილვასა,
ორსა ამას აღდგომისა პურის-მტეობასა.

ეგრეთ ყოვლად წმიდის მიცვალებამ,

110. რამეთუ ამას უხილო განღებული და
ადგილი სამსჭვალთა და საფლავი ცალიერიო,
თვარა რა არა ნაკლულევენებამ

ხილვა დაგაკლო რამ?

111. თითნი ადგილსა სამსჭვალთა, ხელი გვერდსა
განღებულსა! ჰე, უფალი ჩემი და ღმერთი ვიხილე.
ოხრი, ვითარცა ებანი, სულისა სიტყვასა შვენიერსა,

ლუკა, მეტის-მეტ.

112. რამე მოგიოხრა უმეტარმან, რომელი ესა
დაღონებულ ვარ, ვითარცა უტბო ბაყაყ.

- ედემი მითხოვე, რომელმან დაასხა კაცთა საშვებლად,
 თუცა უშვერად ვითხოვ!
113. მარკოზ მახარებელო, ნუცა შენ განმამორებ მეოხებითა
 ლეთისაგან. აწ გევედრე.
 იცი უშვერება, ხედავ ბოროტსა ზედა მიდრეკასა,
 რამეთუ ვარ მშურდნელ და მოლალ.
114. ზეზი საქორწინე განვიძარცვე, ლამპარი დავშრიტე
 და ვიმოსვი ცოდვისა ძაძით.
 მიგეახლო, ბართლომე, გამიგრილე გაალებული
 გონება და ნუ მდად,
115. ექმენ ულონოებასა და მწუხარებასა ჩემსა
 მეოხებითა წამლათ.
 ნეტარებულო და ქებულო, დამიფარე შეწევნითა
 შენითა სირცხვილი უფალთან.
116. არა, იუდავ განმსყიდველო, არამედ იუდავ
 კეთილის-მოშურნევ, შენ გევედრები,
 სამებისა ქადაგო, რომელმან წარსწერე
 კათოლიკე შეწვენა შენი, დამადგ.
117. არს დიდი ღონისძიება ჩემი და
 ძლიერი ძალი შეწვენა თქვენი.
 ქებულო ფილიპე, ვითარ მოგიძღვანო
 ღირსი ვედრება არა უწყებულმან?
118. მომეც შენ, რათა შენ მიერ მოცემული
 შეწირო შეწირული.
 ებანო სულიერო, აქა მფარევედ და
 მერმესა საუკუნესა ულხინე სულს.
119. სამების ქადაგნო, ათორმეტნო მოციქულნო,
 სამართლად დასასჯელსა დამსჯით ნუ!
 ძალი გაქვსთ ძლიერი კურნებისა და
 ხარ ტკბილ, ვითარცა რა გოლეულ.
120. ნათობთ ცის კიდეთა მზისაგან უბრწყინვალეს
 და განმანათლეთ მორწმუნე თქვენი.
 ერთარსება სამგვამოვნად გვასწავეთ
 განუყოფელად და შეურევნელათ.
121. ღოცვითა კურნება, ოფლითა ღვინება
 ბევრეულთა სენთა აჩრდილთა.
 არა რა არს შეუძლებელი თქვენი და
 ჩემზედაცა ყავით ღვინება.

122. ვარ ღირსი გლოვისა საუკუნოსა და
 სასოებასა წარვიკვეთ საქმეთა ჩემთასა,
 ყოველი საქმე მისი ვყავ.
 ჩვენ ნუ წარმოიკვეთო თქვენ!
123. არა ღირსი კეთილისა არ ჩილ
 ვითხოვ თქვენ მიერ კეთილსა.

იამბიკო მემავსა

[თავნი და ბოლონი იტყვიან: „მღდელთა მოძღვრითა, ცრემლისა ცვრითა,
 ამით უფალმა ალი დაავსა;
 მოწამებითა, ქალწულ-ყრმებითა
 მტერთა განგერო და ვთხოვ დაესა“].

124. შამისა ხმა გესმა, სული წმიდა იხილე,
 იორდანესა ძესა ნათელ-სცემ,
 ღირსო ქებისავ, წინასწარმეტყველო,
 წინამორბედო, უდაბნოსა სასთელო.
125. დედათა ნაშობთა უმეტესო ყოველთა იოვანე
 უმეხები ხელისა უფლისა, ვითარ არა შეიწ.
 ეპა, დიდო მოსე, ღვთისა მხილველო,
 ვითარ გაგინა შენ შენმან ცოფმან დამა.
126. ლოცვა გიღირს, არა თუ გინება სასწაულ,
 დიდო, მხურვალედ წამ-წამ.
 თეზბიტელო ელია, ეტლსა ცეცხლისასა
 აღმხედრებულო, შეუწველი ადრე.
127. ა ელისეს დაუტევებ ხალენსა,
 შენ წილ მადლიერთ დაამოწაფებ;
 მცემელი სამგზის იორდანისა
 განიწიალებს განმკვეთელი.
128. ოხრით გევედრები, ესაია, ეზეკიელ, მიქია,
 იოველ, მალაქია და სხვათა კიდე აბდია,
 ძრწის სული ჩემი თქვედამო და ითხოვს
 დიდსა მეოხებასა.
129. დალადის შემწყწინარებელო იობ, დანიელ, ზაქარია,
 სამთა ყრმათა ხოლო ნათანს მოუწოდო აქ,
 ვარ თქვენის შეწვენისა და მეოხების
 უღირსი, იცით ვითარცა.
130. რად დამივიწყო, დავით, მამად ხმობილო უფლისავ,
 სოლომონ ბრძენო, სამოველ

- იღვაწეთ ლხინება, ხსენებულნო და
 ნეშტებულნო, მონა ვიწიწ.
131. თრთის ხორცი, ელმის სულსა, ვერ
 აღვასრულე, რომელი აღუთქუ.
 აპრონ მღდლო, აღგიარებ, რომელსა
 გექმნა კვერთხი ნელდ.
132. ცრემლსა სიხარულისასა არა ღირს ვარ,
 ვერცა მკერდსა ვინაყ,
 რამეთუ არა მაქვს შესაწირავი
 მართალთაებრ.
133. ესე მღრღელთ-მოძღვართა მიუთხრა
 ჩემმიერ მათ ერთობჲ.
 მიღვაწე, კლიმენტოს პაპა, რომელი ზღვასა
 შთაიგდე, პელეგონმან შეგიმზადა ლუსკუშე.
134. ლოცვად შენდა მოსრულთა ყრმა მცირე გამოუზარდე,
 ერთ წელ ზღვად არას აწოებ.
 იხილეს მშობელთა მეორესა მოქცევასა წლისასა
 სასოებით მოსრულთა ძე თვისი უვნები.
135. სილიბისტრო პაპა და მიტროფანე, თანად მაკარი
 მებრ იერუსალიმელი ევსტათ,
 არიოზის დამარღვეველთა და პირველისა კრებისა
 დამამტკიცებელთა
136. ცეცხლი აღუდევით მწვალებელთა კვირილე, ტიმოთე,
 მელეტი, ნეკტარ და ათანასემ,
 ვითარცა ხართ სვეტნი ეკლესიისანი,
 მოძღვარნი — ჭეშმარიტ და უმანკო — გვრიტ,
137. რომელი იოვანე ოქრო-ბაგე, ბასილი ქადაგო,
 გრიგოლ ღმრთისმეტყველი — პატრიკ სწორ სამიგვე.
 იხილა ვინმე ჩვენებით მეგობარნი წმინდანი,
 სვეტ ნათლისანი, ბრწყინვალე სწორ.
138. თვალთა აღვახვამ თქვენდამო, სულთქმას შეგწირავ,
 მიოხეთ მალე მე თქვენით.
 აკრაკანტელო გრიგოლ და საკვირველთ-მოქმედო ნიკოლოზ —
 სიკვდილისა დამხსნელო უბრალოთა,
139. აკრობთ ნათელსა, მღრღელთ-მოძღვარნო,
 შეწევნა თქვენი მტკიცედ დამადგ.
 მიოხეთ, წმინდანი, მიხსენით,
 ღვთისათვის, ძალ-გიძსთ ვითარცა.
140. იყავ, სტეფანე მთავარ-დიაკონო,
 და იქმენ მოწამე უწინ.

თვალთა ამხმელი ზეცად ქესა იხილავ,
მკდომარესა მამოსა მარჯვნივ.

141. უბრწყინვალესო ცისკარო, გიორგი ახოვანო,
უძლეველო მხედარო, შემეწიე!
ფიცხელი შემწე ხარ შენდა მვედრებელთა ახლო და შორ.

142. აჰა, თევდორე ქველო, ევსტათი მსრველო,
დიმიტრი მხსნელო,
ლახვარი განმიწონეთ, ცეცხლი დაშრიტეთ,
იქმენით ღვაწლ ბევრად.

143. მარადის სამებისა წინა იხარებთ
და მეოხ ხართ ცოდვილთა;
არა დამაგდოთ, ღვთისათვის, მხოლოდ,
რომელი ქებასა თქვენსა ვერ შე[ვ]ეწიევ.

144. ანტონი დიდო, ეფთვიმე ღირსო, საბა ნეტარო, ბევრ წილათ
ლოცვითა და ცრემლითა უდაბნოთა
ქალაქ ჰყოფთ ყოველთა სანახ.

145. ილოცეთ ჩემთვისცა, ონოფრე, თეოქთისტე,
ხარიტონ, კირიაკოზ და სისო,
დედათა ქალწულთასა პირველ მოწამევე,
მშვენიერო სულითა თეკლავ,

146. ათხუთორ ენათა მზრახველო ბრძენო,
სახელწოდებულო ეკატერინედ,
ანასტასია, მარინა და ირინე, რომელნი
ითმენთ სიმრავლესა ღვაწლთასა,

147. ვარ თქვენი მვედრებელი, ყოველნო წმინდანო,
და ღონედ თქვენ მყავ,
სიჭაბუკისა და უმეცრებისა დაფარეთ და
მეწიენით მხცოვანებას.

148. არა სადა იპოვების ჩემებრ ცოდვილი,
ვითარცა არა ესრეთ იამბიკოა.

იაგვიკო გეგვიდი

[თავნი და ბოლონი იტყვიან: „კაცთ საფრხედ ოქრო ექნების, ვითა ფრინველთა
მახეა,
ადამის მიერ ცთუნებით ბევრიგ რამ მით მოსჩამახეა.
კმარა, დასწყნარდი, ეშმაკო, რაცა მკარ ან და მახია,
არ მცირე წუბლად, მაჩვენე, აწ განადიდე მა ხია“].

149. კმარა დასწყნარდი, ეშმაკო, რაცა მკარ ანუ მახია!
არს საბრხე დაგებულ კაცთა ოქრო,
ვითარცა მახე მფრინველთად.

150. ცთომა ექმნების ბრძენთაცა მის მიერ მსაჯულთა
 მისთა სიყვარულითა.
 თვალი დააბრმო, გული განაღალა
 და აღმოუშვა დრკუ სიტყვა ენამ.
151. საწუთრო დაატებო წარმავალი და დაჰკარვა
 წარუვალნი საუკუნენი.
 აცადეთ, მოყვასნო მისნო, და ნუ მიაშურებთ,
 უმჯობეს არს ეს.
152. ფურცელთა ბგერა განსდევნის
 ყურდღელსა თვისისა ბუნაგიდამ,
 რამეთუ ეგრეთ კაცთაცა უმანკოთა —
 საქმისა აჩრდილი.
153. ხმობასა უშვერსა მეფისასა სჯობს
 სიბრძნის გაგონება საბრალოდამე.
 ესე წამალი წყლულისა იქმნა და
 ურგებ ხმა-მალალ მეფისა მიერ.
154. დამორჩილება ჯერ არს უფლისა, არა თუ ოდენ
 სახიერისა, არამედ უსახურისაც.
 ორთა უფალთა მონება არა ჯერ არს, —
 ესრეთ თქვეს მახარებელთა და მოციქულთ.
155. ქება ნუ აღგამადლებს და მაშინ შერაცხე
 თავი ცუდად, ბრძენი ხარ თუ.
 როდეს იგინებოდე და იკიცხოდე,
 ნუთუ კეთილ იქმნა მაშინ.
156. ობოლი განარინე, ქვრივი შეიწყალე
 და განამართლე.
 ესრეთ გიბრძანებს სჯული და გასწავებს
 მცნება, მეც მოგიოხრობ.
157. ქვრივთა ჰგიობენ მდიდარნი, რამეთუ
 შეჰკამეს სახლი და თანა ობოლი.
 ნაცვალი მოიგეს მოქმედთა ამისთა
 უძვირესი საუკუნეთ.
158. ერიდო თუ ბოროტსა, ცრუსა და ამაოსა
 კაცთა თანა ნუ ზრახავ და ნუცა მოყვსობ.
 ბოროტთა თანა მტკეო, უწყოდი ნანდვილ,
 რამეთუ ბოროტცა იქმნე.
159. ისმინე სოლომონისი: ბოროტმან კაცმან არაოდეს
 კეთილი გიყოს, ნუ ესავ.

- საყოფელსა ლომთასა დაემკვიდრე და
 იქმენ მოლალისა თანა შორ.
160. ვერ განისვენო. დამარხო ჩემი ეს კეთილი
 ივრთა, თუ არ
 იკითხე საღმრთო წერილი და გულისხმაყავ
 გონიერად ყოველი სულიერი წიგნები.
161. თვალთა დასდევ სირცხვილი, ცუდმეტყველსა
 ენასა კბილი მაგრად დაადგ.
 აცადე ავს საქმესა და საღვთოსა და კეთილსა
 საქმესა მიაშურე მალე და სწორ.
162. ფიცსა განეკრძალე მართალსა და
 უფროსლა ცრუსა.
 რისხვა იპყარ განუზრახველი და უწყოდე,
 მწუხარე არს შერისხული რაბამ.
163. ისწავე, გონიერო, რამეთუ გასწავე,
 ვითარცა მშობელმან მამამ.
 ნეტარ იქმენ, უკეთუ პატივსცე მშობელთა
 და პატივითა იპყრნა მღდელნი.
164. ვნატრი და ვაქებ წვრთილებისა გონიერად
 და მოუწყინებელად მსმენელთ.
 ევლტოდე სიმთრვალესა და ნაყროვანებასა,
 რამეთუ ვერ მოიგოს სიწმიდე ნაყროვნებაშ.
165. ლოცვა შესწირე მართალი უფალსა, ერთგულ
 მისო მონაო.
 თხრობა ესე არს ჩემი: საუკუნო მამული
 ამისმა მსმენელმა იზრუნოს.
166. არს ესე განქარვებადი დღითი-დღე,
 ვითარცა აჩრდილი იქმენ სამოთხის მორჩ.
 მოქადული თავისა ბოროტად უწყოდი უეჭველად,
 სიავედ მისდრკები საშ.
167. არს ესეც ნაღვაწი ჩემ, ცოდვილისა
 მეფისა არჩილისა.
 ხედევდე მცირეს სიბრძნესა, მკითხველო და
 მსმენელო, უკეთუ ესრეთ დასახ.
168. ერთი არს. უშვილოებისა სიმწუხარე.
 ხოლო ბოროტისა ყოლა უმრავლე.
 არ მცირე წკებლად მაჩვენე, აწ განადიდე მა ხია.

11. გვამისა რვათა ასოთა

1. კიდეც ესეც ვთქვა: თვალსა და ცხვირსა და ორსავე ყურებსა, ენა-პირს, ხელსა და ფერხსა რა ზნე სჭირს, რას უყურებსა, გული, ხელმწიფე გვამისა, ვის როგორ იმსახურებსა? მოკლედ ვთქვა, არ გავაგრძელო, ვაამო ნაბახურებსა.
2. თვალი რა ნახავს საყვარელს, მოხედვას აღარ ინებსა; მის გამო წყალსა მოიციემს, სიხარულს მოიგუნებსა; ცხვირსა მისი ფშვა სწადიან, იყნოსებს, მას უსუნებსა; თუ წამს მოსცილდეს, მრჩობლთავე ხშირ-ხშირად არუდუნებსა.
3. თვალს ესე სჭირს ზნედა, მაგრამ აწ ჩვენ საქმე გაუსინჯოთ: ცუდსა რასმე შემხვედვარობს, ტრფიალია, თუ უსინჯოთ; შევიტყოთ და მას ნუ ვეტყვიოთ, დაკიდუმოთ, დავიმუნჯოთ, ამაღ, რომე არ დაიჯერს, რაზომ სიტყვით გაუგონჯოთ.
4. ყური კარია სიტყვისა შესვლისა, განსვენებისა; ზოგი სიბრძნისად ღიაა, ცუდზედან არ იხსნებისა; მეორე კარგზედ დახშულა და ავზედ მალ იხსნებისა; სადაც ამბობენ სიტყუვეს, მას მისდევს, არ ეხსნებისა.
5. რა ქნას სიტყვამ, მკვერმან სრულმან, თუ კარი შინ არ გარ დარჩება, შესცივდება, ათრთოლდება, წუხს და უშევებს. ^{შეუშევებს?} ძალ-უძს მისი შესაფერიც, მისებრ ნამუსს თუ გაუშევებს, მაგრამ როგორ შევადარო, ვინ კარგს ისმენს, ავს გარდუშევებს?
6. მამ, უნდა სიტყვა უპოვნო, მათ-მათი შესაგვანეო; ბრძენს — საბრძნო, უცებს — საუცბო, მის-მის დროს მოუპოვნეო; სრულს სრული საზრდო და ჩჩვილთა, ვითა სძე, მოაწოვნეო. ვინც დაგიწუნოს ეს სიტყვა, შენ პავლე მოაგონეო.
7. ერთი ბრძენი ასრეც იტყვის: მრჩობლს ყურსა და ერთს ენასა. ეს შეიქნა სამი კარი, — ნუ მოჭიწვენ მოსმენასა, — ორით ბევრი გაიგონო და არ აჰყვე შესმენასა, ენას ცოტა ათქმევინო, მოუხდენდე წახდენასა.
8. ენა კარგი წამალი ბრძნისა მის ხელოვანისა, მის ალაგს კაცმან იცოდეს, უთხრას მგზავს-შესაგვანისა, სხვა — ბერის, სხვა — ჭაბუკისა, ვით ყმაწვილს სააკვანისა, ვერ გააგონო ყოველთა ერთი „ხი“ ბრიყვი სვანისა.

9. ყოველს სენს ერთი წამალი ვერ ჰკურნებს, ვერ უშველისა: ამას შაქარი ულხენს და, ჰე, იმას — შხამი გველისა, სხვასა — ჰაერის სიხმელე და სხვასა — მწვე სისველისა, ბერთ — იაგუნდის მაჭუნი. ჰაბუკთ — კაჰაჰი ველისა.
10. ენას. არ უხამს. სიმწარე ბუნებით ჰქონდეს შერთულად, ბევრი სხვაც უნდა იცოდეს, სრულ არ უზნობდეს ქართულად, თუ სხვისად გვიხმდეს სარგებლად სიმქისეზედან დართულად, მსწრაფლ უნდა მოუშოვოთცა, ასრე სჯობს, იყოს მორთულად.
11. ბრძენმან ენამ მაშინ რა ქნას, კაცი შეჰხედეს რა ასეთი? ტკბილი უთხარ შაქრის უფრო, მერმე — ლახვრებ[რ] მოსაკვეთი; ვერც ერთი ვერ შეაგონო, ვერც სთქვა, თუ ეს შევიკვეთი. იმას რალა გაეწყობა, საზრდოთ თუა ანაკვეთი?
12. პირია გემოს შემტყობი, სანოვავისა კაისა: ტკბილისა, მწარის, მუავისა, ცხარისა, დია მწვევისა; ვის რა ნებს, იმას მიიღებს და არვინ შეაგინისა. ნუ დაუწუნებთ, ნუ ეტყვით: „ეგ ავია და კა — ისა!“
13. ფერხნი არ ვარგა ასეთნი: სადა გინდ წაეკვეთოდეს; ასეთს რაზედმე წავიდეს, იმ საქმით მოეკვეთოდეს, ან სად გინდ ჩაჰკრას ავს ალაგს, მერმე „ფუი, მე“ ფინთობდეს. სწორად, ხამს, მიაბიჯებდეს, მრუდად საეალზედ უთრთოდეს.
14. ფერხთა დიდება ეს არი: ფიცხობდეს, მერმე მალობდეს, მალ მიაშუროს კარგს საქმეს და ავსა დაემალოდეს, ღვთის სამსახურზედ მტკიცედ დგეს, მოშიშრად მოეკრძალოდეს, არ იწიხლოდეს ჭორულად, უბრალოდ არ იძალოდეს.
15. ხელს ძალ-უტც ბევრი სიკეთე ზნეობისა თუ საქმისა, ხელოვნებისა კაისა, კალმითა — ტკბილადა თქმისა, მშრომელი მოღვაწეებისა, ზეცად ამპყრობი აღთქმისა, დაფარვით ქველის საქმისა, მიმცემი ცოდვის დანთქმისა.
16. ის ხელი სანატრელია, ვინ სხვის მოცემას კრძალობდეს, თვით მიცემასა მრავალთას ისწრაფდეს, მაზედ მალობდეს, კეთილს გონებას ამონოს, ფსალმუნებდეს თუ გალობდეს, ღმერთს აღუპყრობდეს დღე და ღამ, სიმართლით ცოდვას სწამლობდეს.

17. გულია მეფე მთავარი გვამისა ყოვლითა ასოთა,
უმისოდ ყველა ცუდია მრავალ ნაწერად ასოთა;
ვის რა აამოთ. თუ არ მას, რაზომც რამ ტკბილი ასოთა?
ის უნდა ღმერთსა მიუპყრათ, შემსჭვალთ, მაგრა ასოთა.
18. დადაცათუ გულსა ასო, დააკლდება ყველა რამე;
ხელსა ფერხად ვერ მოიხმარს, უთვალ-ყუროდ მას რა ამე?
თუცა რამე მოიგვაროს უამათოთ, უ, არამე!
ვეპე, ასრეა, დაიჭეროთ, მოგახსენო ყველა რამე.
19. ყოველი ასო გულისა მსახურია და მონა და, /
გარე მოისხა საშრომლად, ამუშავებს და მონადა.
რა ის არ მიპყვეს სიმართლით, ღმერთს ვინ რა მოაწონა და?
ვინ შექმნა პირველ სიბრძნითა, მან ასრე მოიგონა და.
20. თუ თვალი ხატსა შემსჭვალოს და ფერხი უდგეს სულ ზეზე,
ენა არ დაშვრეს ლოცვითა, სხვა რამე არ იმიზეზე,
ხელი სამუდამოდ განიპყარ არ ხანდახანა, სულ ზეზე,
უმისოდ ყველა ცუდია, ჭუთ-მუთი ვერ გაიზეზე.

12. სამიჯნურონი ლექსნი, აჰა-იჰ ნათჰვამნი

1. სამიჯნურო ლექსებიც სამ, აგერ, ქვემო ჩამიგდია!
ზოგთ მიჯნურთა საქმე კარგი მამწონს, ზოგი ამიგდია.
ცოტა რამ ვთქვა, სრულ უთქმელი ვითამ არც ეს დამიგდია;
ჰე, მიჯნურნო, სამიჯნურო ყური ამას მოუგდია!
2. სამიჯნუროსა ლექსებსა კარგად მოგვეთხრობს „მაჯამა“.
ენახე მიჯნური ფარული, შემატყობინა მაჯამა;
მეც ამიყოლა ტირილმან, ეგზომმან მათმან გარჯამა,
შეწყალება და გვერდთ ხლება ვერ პოვა ჩემმა აჯამა.
3. მკითხველ-მთარგმნელნო, „მაჯამას“ წილ მეც ეს მამირთმეგია,
ჩემი და ჩემმაგიერად, არვისთუნი წამირთმეგია;
მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურეგია.
ვიცი, შეიტყობთ უცდურად, თუ სიტყვა ამირეგია.

4. მას მიჯნური ნუ ედრება, ვინ სოფლისგან წმინდაჲ გადგეს,
ველად რბოდეს მარტო საჲ, ტახტიდამე მალე ადგეს,
ნივთ-შექცევით მოიცალოს, ხელ-მოქდობით მის წინ წადგეს,
ვერ გააგდოს ვერამ კაცმან, ვის ეს საქმე ზედ მოადგეს.
5. მიჯნურობა საქებარი მუსიკთა და რიტორთაგან,
არ ჯარით და ძალის საქმით საქებარი მარტოთაგან,
რბოდეს ველად გულმოწყლული, მშვილდ-ტყორცილი ვითა საგან;
ზოგნი ნადირს დაამოყესა, მანდ რომე ზის, შეხე, მაგან.
6. ველარ გასძლოს უიმისოდ, მიჯნურობა ვინ ისაგროს,
ცნობა მასთან გარდებევწოს, ველარა რით დაიმაგროს;
სატრფიალომ არ მიუშვას. ვირე სრულად არ დასჩაგროს.
თუ არ მანვე, სხვამ წამალმან მასზედ ვერამ ვერ ივარგოს.
7. ერთმან ვინმე თქვა: „რას ჰქვიან მიჯნურობა და სურვილი?
გაჭრა, ხელობა მინდორად, სხვათათვის გულისტკივილი?
თუ არ მინდომებს, რად მინდა, მქონდეს სრულ მისი ჩივილი?
მაშ, რას იქს, ტურფა წალკოტს ჯდეს, ბულბულსა ჰქონდეს
ყივილი?“
8. სხვამან იქი გაიღიმა: „ჯერ, ვაჟო, არ გსტუმრებია!
თუ გეწვიოს, ვერ დაითხოვ, მალე აემარებია,
გარბენინოს დღე და ღამე გარეშემო არებია.
ვინც განახევდეს, არ გკითხევდეს: რაზედ დაიარებია?“
9. ვის უნდა მიჯნურობისა სურვილის ბადით შეპყრობა?
მაგრამ ანაზღად შეიპყრობს, ძნელია ხელის-აპყრობა;
აქებს ყოველი რიტორი, ავად არაეინ ეპყრობა.
ნეტაი იმას, ვის ჰქონდეს ეს სიძე-სძლობა, მაყრობა!
10. მიჯნურსა თვისი აშიყი ეგონებოდეს წამ-წამის,
შავის მშვილდისგან ტყორცილი ისარი ესვას წამწამის.
მისნი ტრფიალნი მან მზემან არ-ერთხელ; ბევრჯელ აწამის.
ამად მეწყალის თვის გამო, ჭორად მეც ვინმე შემწამის.
11. ეშმან იპყრას გული ასე, ველარ სადით გარდებევწოს,
თვალთა ცრემლი მუდამ სჩქედდეს, მკერდი ცემით დაელეწოს;
ვისგან სიტყვა ვერ იმოენოს, უნდა კიდევ მას ეხვეწოს.
იქნება, რომ მხნე ძლიერი ერთს ნაზს ვისმე დაეხვეწოს.

12. ვნახე ედემს ალვა რგული, რომე მზებერ შუქსა შუქდა,
 აძვირებდა სხივსა მისსა, არ იეფად არვის სჩუქდა;
 არ მიმიშვა ახლოს შეყრად, გული ამად ამიჩუქდა;
 წამოველ და ყოვლი ღონე იქავ დამრჩა, ჩამიქუქდა.
13. დილის ნიავმა მახარა ამოსვლა მუნ მთიებისა,
 ვუთხარ მუხლ-დაყრით: „მიჩვენე, სად ნათობს, სად ენთებისა?“
 მან მითხრა: „ვყო, ძნელია ნახვა მის სათუთებისა,
 სხვანი მნათობნი მონად ჰყავს, მას ჰყმობენ. მას ეთნები სა?“
14. თუ ნახავ, ვიცი, უცილოდ გული მსწრაფლ დაგიბნდებისა,
 შენსა საწადსა ვერ შოებ, სიკვდილი მოგიბნდებისა;
 გასწყრების, გამოგაძებენ, არ ხელში დაგიბნდებისა.
 არ დამიჯერებ? მეჯნუნებრ საქმე სამ გაგიბნდებისა.“
15. წარბ-მონახევი წამწამი მიჯნურსა გულსა ესობა;
 სულა კეკლუცთა შვენება, მას დარჩა უკეთესობა;
 უხამს, მთვარესა უნდოდეს იმისი უზეშთესობა.
 მზე ღრუბლით ველარ გამოჩნდა, მას აქვსო ზესთა-ზესობა.
16. ზილფს ფანჯავს წამწმის ნიავი, წამ-წამად წამონაქროლი;
 ღაწუს, იქით-აქათ ბრწყინვალეს, ხან მინა სკვირობს, ხან ბროლი.
 კეკლუცთა, შეიბრალენით თქვენნი მჰკვრეტელნი, შემწრწოლი,
 აღმართეთ, მზემან ვით მდელი, თოვლისგან წამონაწოლი!
17. მთვარე იჯდა ბაკსა შუა, პირი ბადრი მოევანა,
 ქვეყნიერსა სიტურფესა სულა მასთან დაევანა;
 წარბ-შენასკვით გამწყრალიყო, — წყეულმც არის, ვინცა ავანა! —
 ჰპატოობდეს შინ შესვლასა, მაგრამ ვერვის შეეევანა.
18. მოახსენეს: „მზეო, შუქი მხიარულმან მოაფინე!
 ვინ გაწყინა, წამწამთაგან სტყორცე, გულსა დააჩინე!
 ან სიცოცხლე, ან სიკვდილი ერთის განით გაგვიჩინე,
 ერთხელ აქეთ მოიხედე, სულ-მობრძავი მოგვარჩინე!“
19. ლხინად ეიჯე, სევდა რამე შემომვარდა გულსა მურად;
 ვნახე ალვა მთარული უცხოდ რამ, არ-შინაურად;
 თქვეს, თუ: „არის ზეციერი, ნუ გგონია მანდაურად“.
 ამიყოლა ველად გაქრად. ვით გიამბო: აბა, თუ რად?

20. მოკეკლუცა პარი და ტანო, ლერწამი სარო ვით;
 მზეო, გჯობს; ვფიცავ შენს მზესა, მთვარეო, დაედაო ვით?
 დაჩაგვრით გაუგზავნიხარ, ეტლები დაიარო ვით?
 ვინ სანდომია ყოველთათვის უკვდავებისა წყარო ვით?
21. მე მარტო ამად არ ვაქებ, ყოვლნი ამბობენ „მზეაო“.
 თუ შენ არ გჭკრეტდე, წამსაცა თვალნიმცა დამდგომიაო!
 უშენოდ ჩემს სიცოცხლესა ნუ ეჭობ, ნუ გგონიაო.
 რად არ გეწყალვი? კვირობენ, ვის ესე გაგონიაო.
22. ლომი შამბნარსა სურვილით შენითა გამელდებისა,
 მე შენის ტრფილუბითა სახმილი მომედებისა.
 თვალთა ჳვირობა მთიების შენებრ სად მოუნდებისა?
 უმართლე არის მიჯნური, ხელობენ, ვინ გიზნდებისა.
23. თეთრის ცრემლისა ნამითა სასროლად წამწამ იწება;
 ესერის მიჯნურთა უცდურად, გულსა ჳკრავს, არ იმეწება;
 გულძან ვის უთხრას ბოროტმან იმასთან სიძვა-ლირწება?
 ვერვინ ეწევა ნებასა, ცული დარჩება ბილწება.
24. კაცი თუ ეწყმან შეიპყრას, მიჰოწმეო, არის წამება;
 მას დააჯერებს გუნებას, არ ცრუობს, არ იწამება;
 სურის, რამ პოოს ნიშანი, მაგრამ მზე არ იწამება,
 მისის ეშხისა თოკებსა შავს ვხედავ, არ ი წამ ება?
25. ბალს საშუალს კვიპაროზი ლალად იდგა, ამაკობდა,
 წაყრილიყო სხვაგან წასვლად, ბაგე-ვარდი უბუტკობდა;
 ზედ ბულბული დასძახოდეს, თვითან უკეთ მესიკობდა.
 მოშორებით ბრძენი ისხდენ, ყველა ვინმე მას ამაკობდა.
26. დევანოსიმ თქვა ენოსით: „დავშეერი მისის ქებითა!
 ვერ შესატყვისად შევამკეთ, მისთვის გვლევს სხივ-შუქებითა.
 ჩვენ კი დავვალა ქებაჲ, სხვაც ბევრი დაუშვრებითა,
 ვერ ვიტყვით სრულად, უქლებად, რა ცუდად არ ვეხსნებითა“.
27. ვერ მიუველ სასაუბროდ, ზღუდეთ სხივი მოემაგრა;
 მას მთიები განთიადის დაენასა, დაეჩაგრა.
 სრულ მნათობნი მტრად შეჳქნოდეს, ამად რომე არ ესაგრა.
 შეწყალება არ მაღირსა, მისივე ვარ მაშინც მაგრა.

28. დილის მთიებსა უღრუბლოდ პირსა ნათელი მოესო,
განცვიფრდეს მისნი მკვრეტელნი, თქვეს: „ვიცნათ, ვინ ამო ესო?“
მის სწორს ვარსკვლავსა ეძებდეს ცად, მაგრა ვერ უპოესო,
მთვარესა ლები აჩნია მისგან, მის შეუპოესო.
29. ვარსკვლავთა ჯართა შუაზედ სხვა ზევი ამოსულიყო,
მისებრი ნაკეთი ზრო-ტანი ედემშიც არსად რგულიყო;
ხენეშსა არას ნდომობდა, ტურფები მისად სულ იყო,
მიჯნურმან შავი ლახვარი საკვდავად გულსა სულ იყო.
30. მარგალიტთა მეპატრონეს კარად ლალი დაეყარა;
მიველ, მინდა მოეყიდა; მიწყინა, არ შემეყარა.
გამოვბრუნდი ნალვლიანი, თითქმის სული გამეყარა,
გულს დამაკლდა; მინატრია: ნეტამც ჯავრი ამომყარა!
31. გაღიმდა და გამოუჩინდა უსასყიდლო, უფასობდა;
კბილთ ჯავარი გასჭვირობდა, ელვარება უასობდა;
კვლავ სტყორცნიდა სხივსა მისსა; ვისცა ჰკრევდა, დაასობდა.
მზემან შეუქი მას მიართო, მთვარე ბაკსა მას შესძინობდა.
32. რაზომ ნაზობს იასამან, ვარდს მაგით რა დააკლდება?
რასაც ყვავილს გვერდს მოურგავ, საყვედური დაედება;
რა აკობდეს, გაიშალოს. მასთან სხვა რა გამოსჩნდება?
მართალს გეტყვი: მის აშიყსა სხვა არავინ მოუნდება!
33. ბავემან ვარდსა აჯობა, თვალმან — ნარგისსა მცინარსა;
წარბი ესროდა წაშწამსა, მიჯნურთა გულ-საგრგინალსა.
ხმა ისმა საფირონისა. წყაროს თავსა ჯდა, მდინარსა.
განკრთეს, განცვიფრდეს მკვრეტელნი, ამბობდენ: „ნეტარ, ვინ
არსა?“
34. გაღიმდა, პირი გაიბო ძოწმა, გამოჩნდეს კბილები,
მარგალიტსა და სადაფსა უმჯობეს, არ ნაკლულები.
მაგას ნუ ექობ, ხმა ჰქონდეს ბულბულსა უფრო ტკბილები:
სად უსწავლია, არ ვიცი, ეგზომი მას უსულები?
35. მობუტკო ბავე ვარდისა ვით ნამით დაცვარულია,
ბროლ-მინა ერთად შეთხზული, საჩინო, არ-ფარულია.
თვალთა უშვენის ციმციმი, ხანდისხან — სამე რულია.
ნეტაი ვნახო ზე მდგომი, მიჩვენა სიარულია.

36. ზილფად ია ჩამოშლოდეს, კვლავ სუმბულსა ატანებდეს, იკრძალოდეს იგი ლაღად, ხელს არვისგან იტანებდეს, ირხეოდეს სანდომად-რე, ნაკვთად საროს ატანებდეს, სიარულსა შვენიერსა ფერხნი უსულს ატანებდეს.
37. ვნახე წალკოტი, ყვავილით სავსე, და ფშოდეს სულითა, ხეზედ მსხმო, ანუ ბალახზედ, გარ მოცულიყო სულითა; ერთი ჩნდა მათში შვენებით უმჯობეს სხვათ უსულითა. იგ შემიყვარდა თვალითა, ცნობითა გულწასულითა.
38. თავს, უებროდ დახატულსა, თმანი გრძელნი ჩამოშლოდეს; გავს, რომ ამას შეეყაროს. სხვათ სიტურფე სრულ მოშლოდეს; არას მიკვირს, თუ მიჯნური გაეხელოს ან შეშლოდეს. მაშ, რა ექმნათ საბრალოთა, ვერ-შეყრისა მათ მომლოდეს?
39. მკლავს, უცხოლ-რე ჩამოსხმულსა, თითნი ბროლნი ზედ მოესხა; მკლავს მე ნაკვთის კვიპაროზი, ზედ ყარყუმი წამოესხა; სრულ მიჯნურნი გახელებით სრბით წინაშე მას მოესხა, მზე და მთვარე დაჩაგრული იქით-აქათ გვერდს მოესხა.
40. ბროლის ფიქალს მარგალიტნი ორნი ასხდეს ობლად ზედა, თავზედ ძოწი ჩამოსცმოდა, მარგალიტებს დარჩეს ქვე და; არ აჩენდა, დაემალა პერანგს, ზანგსა არა მზედა; ძალ-წასულნი ეყარნიან მოყმე-გმირნი, ან ვინ მხნედა-ა.
41. ყელსა მთიებსა ყურითურთ უტურფე რამცაღა იყოს? ერთპირად პირის შვენება შეყრია, არ თუ გაიყოს; აქ ამას ვერვინ ედრება, ნუ ცდილობს, მზემან ცა იყოს; თუმცა ბევრი ჰყავს მიჯნური, ხელი არვისი წაიყოს.
42. ეკალ-მუხის შავი მშვილდი ბროლის ველზედ მოეხარა, კვლავ გოზები უკუშლოდა, ნახვა მისი გამეხარა; მელნის ტბასა გარეშემო გიშრის სარებს გაეხარა. ეტლი ამას დაუპყრია, შენ რითა სრბი, ვინ მზე ხარა?
43. ერთს სანახავად კარგია: ღვინო დგეს თეთრსა მინებსა, ბაგები უჩნდეს თეთრ-ყირმიზ, — ნეტარ მას, ვინ არ ინებსა? — რა თასზედ გარდმოესხმოდეს, კაშკაშით გაიცინებდა; ვირემ ცნობა აქვსთ, შემსმელთა, არავინ დაიძინებსა.

44. რა დანაკლულდეს, გამოჩნდეს ვარდისა მგზავსი ბაგები,
 შუქი დადგეს და დაშვენდეს ქვეშ მისი რამე საგები;
 სხვაგან ჯდეს ლალი განკრძალვით, მიჯნურთა ლახვარ-საგები,
 ვინ მიხვალ მისაყურებლად. უცილოდ დაიდაგები.
45. ისმინეთ ჩემი ლექსები ტკბილად-რე, ნუ დამბაქეთა;
 ბრძენთ მომიწონეთ ნათქვამი, უგბილთა განმიქიქეთა;
 ჩემ წინ წასრულთა შენდობა იქით თქვით, ჩემი — აქეთა.
 ეს არ ვარგ იყოს, მანდ სამე, აბა, რ უ ს თ ვ ე ლ ი აქეთა!
46. სასაქმო და სასამართლო სადღა მაქვს, თორ ვინ მიწყინა?
 ველარ ვებურთობ, ვერ ვნადირობ, ველარ ვლხინობ ვით უწინა.
 ამის მეტი სხვა ზნეობა ჯერხან ყველა გამიყინა,
 ამად მივჰყავ შაირს ხელი, აშთარხანმან მომაწყინა.

13. მეფეთა საპეგელნი და სამხილეგელნი

- ჩახრუხაძე ბრძენთ ვაბაძეთ, მაგრამ სახელს გვიმალავსა;
 იარება, შებრკოლება არ ეტყობა დრკუდ რამ სლევასა;
 მაგრამ გვარი — მოსაგვარი, სახელს ვის გვდებს დასავალსა?
 დია ამკობს, ვით იაკობს, თამარს მაშრიყს-დასავალსა.
- ვისმე ხევეთა, საროს ხე ვითა,
 უთქვამს ლექსები რტო-გარდაფენით.
 ყვავილთ მრავალფერთ, ფერად შესაფერთ,
 ვარდი უყრია ბაგეთ მოფენით.
 ვინ ვაფრქვევთ ლალთა, ცუდებრ მოლალთა,
 მისთა თქმულთანა გავიაფენით.
 ქალნი თუ ყრმანი, არსად უხმარნი,
 მკვევრად უქია, ერნიც მეფენით
- ჩახრუხაული, ვით რეხაული,
 ძეგლად უწესა თავისა ლექსსა.

სიტყვის სიმტკიცით, ვინცა ვინ ვიცით,
იგი მთიული უცხოად რამ ლექსსა.
ქვეყნის მპყრობელთა, სვეთ შემსწრობელთა,
ნარნარად აქებს მის ღროს მოსრულსა.
შაირთ მოჯრობით, ლექსთა დაჯრობით
სწორად შეამკობს ფინიკს და ლელსა.

4. მო, ნახე: ესური მონა ხევსური!
სიყვარულითა მის ხმით ვთქვი მეცა,
ვითა აჩრდილად, ართუ სადილად,
გარნა იქნების დღესთან ღამეცა.
მე, ქვემეთრევესა, იგ ესრეთ მრევსა,
დაბალს იატაკს, თუ სთქვა. აღმეცა.
მოშაირენი ბრძენ-გონიერნი
თურ გამოსულან ხევიდამ-ყე-ცა!

5. მოხვევლისამ, ჩახრუხელისამ
ლექსთა სიტკბომა ამიყოლია;
მიწებრ მთიული. სიბრძნით ღვთიული
თამარის კიდე ვისმცა ჰყოლია?!
ან სხვას მდივანი გულ-შემტკივანი,
გინა შინაყმა კაამყოლია?
მაგრა რიტორთა, ვით რამ მარტოთა,
დასჯის ლექსობა, ვინ მიჰყოლია.

6. ცუდად ვიარე, ვერ მოვიარე
ჩემდა გუნებად ქვეყნის არენი.
მე, ნებიერმან, გონებიერმან,
დია რამ ყოფა გავიმწარენი.
უგულეებელს-ყვავ, რაც ხანი დავყავ,
ყოველნი ჩემნი მოსახმარენი.
ვიმწირე ასე, ვითა მანასე,
სხვათა დიდება მივაბარენი.

* * *

7. ხელეჰყო, მცნობელო და უცდომელო,
ქვეყნიერთ მეფეთ სახელდებულთა,
ჩვენ წინ მოსულთა, აწ გარდასულთა,
ახლად მზრახველთად დადუმებულთა,

მხნეთ და ძლიერთა საძებნიერთა,
ახონად, ქველად გმირებრ გებულთა;
ღრმად აღმოვიწყო, გარ შემოვიწყო
ქება ღვთის მიერ დაბადებულთა.

8. ბრძენი — ენა-გრძლად, შესმენა
უხამს მეფეთ მაქებართა,
ვინ პატრონობს ვრცელს ქვეყანას,
მის შორისთა — მთა და ბართა;
ვითარ იპყრობს ერთ სიმრავლეს
მოურავი ვით მღებართა?
მივაჩემოთ შემოქმედსა
ჩვენი საქმე მის მიერთა.
9. პირველად იწყეს, ვინ დაივიწყეს,
მეფობის პყრობა კერპთა მგებელთა;
ღმერთს არ იცნობდეს. რით დაიცოდეს?
ვერ გულისხმა-ყვეს ღვთის აგებულთა.
არ იცნეს ერთი, ყოველთა ღმერთი,
ვინ მართებს მისვე გარიგებულთა;
არ აღიხილეს, ვერცლა იხილეს
ეშმაკის მიერ დარიგებულთა.
10. იყვნეს მრავალნი, ძვირად სავალნი,
წარმართ მეფენი, საქმით კეთილნი, —
არა ხელია, კარგ-სახელია, —
კაც-სრულებისა მხნედ შეკვეთილნი,
სიტყვა-უქმისა, პირ-შეუთქმისა
ჰქონდა ძირითურთ აღმოკვეთილნი.
ავი ეს სჭირდათ: არას შესჭირდათ,
რა ღვთისა იყვნენ გარდაკეთილნი.
11. მათ უსახურთა კერპთა მსახურთა
საქმენი ჰმნიან მართლმორწმუნეთა,
არც აფუცებდეს, ნუთუ ფუცევდეს,
ვით მართებს ყოველთა ღვთის მოსურნეთა?
განიკრძალოდეს, არვის მძლავრობდეს,
შეიკრებდიან ყოვლთ კეთილთ ზნეთა.
მდაბლის გულითა, საქმით სრულითა
ხარობდეს მათსა გმირებრ სიმხნეთა.

12. მ ა კ ე დ ო ნ ე ლ მ ა, არ ამ დონელმა,
 ქვეყნისა იპყრნა ვრცელნი კიდენი.
 რაც მან დაიპყრა, ან ვინც შეიპყრა,
 ძნელია ლექსად თქმაღა იმდენი;
 ვინ დასცა ღია, ვითა მიღია,
 კვლავ — ინდოთ მეფე, სხვანი რამდენი!
 მხნე ახოვანად, თვით სახოვანად
 ყვნა გოლიათნი სისხლთ რუდ მიმდენი.
13. ა მანდ არია: ამან დარია,
 დასცა, დაპყვეთა მძლედ რამ დარია.
 მო, ის არია მოისარია,
 უცთური რამე, ქამანდარია.
 არ თუ საპყრობით, ქვეყნისა პყრობით
 სხვალა მის თანა არსად არია.
 მან ჰკუა-ქცევა, ქვეყნის შექცევა,
 ვირ ცოცხალ იყო, არსად არია.
14. რაბამ იარა, ვერ მოიარა
 სიმრგვლე ქვეყნისა ვერც ნაათალი. —
 მე უღიადე, შენ მოდი, ადე,
 თუ არ გესმოდეს ჩემი ქართული. —
 წარხდა საზღვარსა, მრავალთ სისხლთ ღვარსა;
 უგულებელს-ყო ღვთის სამართალი.
 სჯობს ზომიერი, მორჩილი ერი:
 საქმე თუ გინდა, ეს-ა მართალი.
15. ვთქვალა რა ვანით, ნუ შარავანით:
 მეფეთა შესხმა მუნ დატკებვისა.
 მის სიმართლისა, ქმნა სამართლისა,
 მოწყალების და სიმდაბლებისა,
 კვლა სიუხვისა მის ურიცხვისა,
 ვისგანც მასშია მოამბებისა.
 მის საქებარად მთად და ქვე-ბარად,
 მგონი, ქვის გულიც მყის მოლბებისა.
16. იმათ არ ესა, ი მათ არესა
 საძრახი საქმე არ ეყოფოდა.
 ამად იქმოდეს, არ დაინთქმოდეს,
 მოშურნეთ პირი დაეყოფოდა.

მათი ქონება ვით აქონება,
ყოველთ სახელისად დაეყოფოდა.
რას მიიწყევდეს, სხვათ მოუწყევდეს,
ვით მცხველი წვიმა მათც ეყოფოდა.

17. აჰა, იწყება: აღმოიწყება
ღვთისმსახურთ მეფეთ ქებულებანი,
მადიდებელთა, სჯულისმდებელთა,
მათ, ვინ ყვეს ღვთისა მიახლებანი;
არ აბო მონის, არა ბომონის, —
ვინ ტაძართ უწყეს განახლებანი,
მალლად-მეტყველთა გამომეტყველთა,
მათთა შემსხმელთა მივახლე ბანი.
18. რა და ვით ა ვთქვა, რა და ვითა ვთქვა?
თუ ღირს ქებისად, ენა შემწევდეს.
არ ვეძებ სხვასა, შევმართ რისხვასა,
გონების სიფრცე თუ მიმაწევდეს.
მისდა საქებრად რიტორთაებრად
გვერდს მოუჯდები, ვინ დამიწვევდეს.
სადათ ვიარე, ეს აღვიარე:
ფიცი ქებისა, არ ვეჭვ, მიწევდეს.
19. ემღერდა ლომსა, ვითა თიკანსა,
ბრანგთა მძვინვარეთ, ვითა ბატკანსა.
კბილთ აღმოფხვრიდა, სრულად მოსარვიდა,
შოლტად იხევდა იმათსა კანსა.
მან გოლიათი, ვით გოლი ათი,
დასცა სიყრმესა, შოებს ღრაკანსა.
თავს განაშორებს, ერს მოაშორებს
ყვედრებას მისსა, არ სვამს საკანსა.
20. არსად ავითა, არსა დავითა
არვისგან ითქმის მისი ხსენება.
მისი სიმშვიდე, ბევრთ დასამშვიდე,
ყოველთა კარგა მოგეხსენება.
მე მისი ქება, არ განქიქება
სათქმელად სხვათდა არ მომეხსენება;
მაგრამ ვით უძლოს, ან სად გაუძლოს
ენამ, სადათ სად გაიხსენება?

21. სოლომონს ხოტბა არ ეყოს, ხოტბა,
თუ არ უფსკრული აღმოიწყოდეს.
მისთა ქმნულებთა გამოთქმულებთა
ახლად სხვა ბრძენი ველარ იტუოდეს.
მისის ენითა, ბრძენთ სასმენითა,
ყოვლი ქვეყანა მცხვედად ირწყოდეს.
მეცნიერება, ბედნიერება
მას მიენიჭოს, ვინ შეიტყობდეს.

22. მოიგონება: მოიგონება,
მისმა სიბრძნემა დიდებულება.
არ გარდაურჩა, არ გარ დაურჩა
მეუწებლენი მტრითურთ, სულ ება.
მოიგონების, შეიგონების
მისთა იგავთა არ დასრულება.
ვით დღესაც იყოს, პირი დაიყოს,
ვინცა თქვას მისი გარდასრულება.

23. სიბრძნე, სიმდიდრე შენ დაიმკვიდრე,
კვლაცა — მშვიდობა უფროს ყოვლისა.
ცათა სივრცენი გამოიციენი,
კინკლოსსა მისსა მზე ვით მოვლისა.
იგ ავნი შენნი, იგავნი შენნი
მთათა და ბართა მოითოვლისა.
მოხარკეთ შენთა, ქვეყანათ შენთა
რიცხვი ვინმცა თქო შემოსავლისა?

24. განა ოსია? დიდ ოსია
მეფეთა შორის უმეტესად-ა
პირველისადა, შემდგომისადა
სიმართლისა და სიმშვიდისადა.
მისებრი სხვადა ვერ შეიბაღა,
ვერც ვინ აღყვანა, ვინ მეთქვა სადა.
დარჩა სახელი, სხვათა სამხელი,
უკუნიამდე დიდებისადა.

25. ღვთისა მცნობელნი მისივ მგმობელნი
ვით შეიქმნიან, ჰო, საკვირველი!
ცათა მპყრობელი, შეუფლობელი,
ვითარ უარყვეს ღმერთი ცხოველი?

თვით დაუარსი, არსთა მხარსი
უგულეზელს-ყვეს, ვინ არს რომელი.
მათივე ქმნილი, ხელით შექმნილი,
ღეთად აღიარეს ნივთი ყოველი.

26. არა, შენ, ვირსა, რად არ გიკვირსა:
ღვთის მცნობელთ კაცთა კერპთ უზორესა?
იწყეს ოცნება, უარყვეს მცნება,
სჯული მოსესი განიშორესა;
ბებლთა ქურუმთა, ვითა ურუმთა,
საძაგელობით მოაღორესა;
ავად არებით, ავადა რებით
სურნელთა წილად ჩასხდენ მწვირესა.
27. იერობაძის ბილწთ შეპყრობა მის
სახედ დაედვა ყოვლს ავის მქმნელსა.
მან ისრა ელნი, მან ისრაელნი
ნათლისა წილად შთაყარა ბნელსა.
ვინმცა იტყოდეს, გამოიტყოდეს
მისსა ნაქმარსა, სათქმელად ძნელსა!
ვინ ისი შობა, ეთქმის ბუშობა,
ცეცხლი მოედვა მისსა შემქნელსა.
28. რა ქნა მან ასე, გმო რა მანასე,
ყოვლის მპყრობლის წილ კერპსა არ უგო.
ყოვლის ბიწითა, სულთ სიბილწითა
თავი იწოდა სულ-სააუგო.
კვლავ სინანული, ბრძენთაგან ქმნული,
მხურვლის გულითა სულსა მოუგო.
მით შეინანა, ვითა მანანა
ცოდვილთ სანუკვრად წინა დაუგო.
- 29 ა გ ა რ აკი აგარაკი
ვერ მოიგო ს ა რ ა ს სწორად!
იგ ავია, იგავია,
ვერვინა თქვას: „უთქვამსო რად?“
ისაჟ იძო, ის გაიძო,
ნათესავე იქმნა ორად.
აიძულოს, მოიძულოს
ბრძენმან ავი მისგან შორად.

30. დიდს კოსტანტინეს ნუ დავივიწყებთ,
მეფედ მთიებად დამტკიცებულსა,
ელინობასაც, კერპთ მონებასაც,
ყოვლის სიკეთით დიდად ქებულსა,
სულის მობერვით განახლებულსა,
ცათა მწვერვალთა დადგინებულსა.
ამას პატივს-ვცემ და თაყვანის-ვცემ,
თვით მოციქულებრ განათლებულსა.

31. რომ იარო სა, რომი აროსა
მართლმადიდებლად არ იყოფოდა,
ღვთაება მათი, არად სამათი,
მრავალ სახებად განიყოფოდა,
ბილწნი ბილწებას, სულთა ლირწებას
იმათ გამოი შეეყოფოდა,
მართლმორწმუნეთა ეს ირწმუნეთა:
ეს იყო იქი და იყოფოდა.

32. მოღალა დია, მოღალა დია
დიდმა სავლემ სიბრძნე დიდითა,
ყოვლი კიდენი, გამომკიდენი
ღმერთ უცნაურთა, თარშეთ-მიდითა,
სიტყვის-გებითა, გამოგებითა,
ცნობა სამების სულამინდითა.
თუ არ მიჯერებთ, იქ დაიჯერებთ;
კათოლიკენი საღ ძე, მიდითა.

33. შენდა ინებე, შენ დაინებე
ქრისტეს სჯულისა მტკიცედ პყრობითა;
საჩინო დია, ვინ გამოსჩინდია
მძლევალი მტერთა ჭვართ-აპყრობითა.
მნათობად დიდად, არ ახლდი ბინდად
მეფეთ ქცევასა ერთ-პირობითა;
არა იტრელე, ისანატრელე.
მოციქულთ სწორად მადლთ-შესწრობითა.

34. ისავლებდი, ვინ ავლებდი
ზღუდეს მტკიცეს ქრისტეს სჯულსაც,
საოცართა უმეცართა
აცნობებდი მართლმსაჯულსაც;

შეუმღვრევედი, დაურღვევედი
ურწმუნოთა ლიქნთ ბურჯულსაც,
ურიცხვთ ერთა, მრავალთ ბევრთა,
იმონებდი, ვეპვ, კლარჯულსაც.

35. გულად ტალია, სულ იტალია
შენ დაიმწყსენი და განანათლე.
მოპკვეთე ცულით, ნათელს ეც სულით,
ურწმუნოთ ძირი სულა მონათლე.
წყველიადად ქმნილთა, ეშმაკ-შექმნილთა,
მეფეთ შარავანდ-ლამპარ-ესანთლე.
მრავალი კიდე, ტვირთ მონაკიდე
უმეცრებითა მყის განამართლე.
36. ი ვ ბ ი შ ი ა ნ ე მხედრად იამნე
იელიანესა თანა-მზრახველად;
სცან მისი სიბრძნე, შენცა ისიბრძნე,
რა საქმის იქმნა თვით დამსახველად.
განდგა მის თანა სხვა არ მისთანა
სპარსთა საზღვარსა ახარა ველად.
ვერავენ იცანთ, ვერც გამოიცანთ
მისის ცხოვრების მოუნახველად.
37. შენ, ი ვ ლ ი ა ნ ე, გარდივლიანე,
მორწმუნე ხარ და კერპს თაყვანის-ცემ;
მართლმადიდებელთ გასადიდებელთ
სტანჯავ უწყალოდ და მხეცთა მისცემ;
კერპთა საგებლად, ბომონთ საგებლად
იქადაგებ და საყვირსა დასცემ.
ქვეყანათ შენთა, მეგობართ შენთა
მოსრვა-მოწყვეტად ბრძანებას გასცემ.
38. არე, უარე, ვერ დაუარე
ამის სიბრძნესა კარის-კარისად.
ვითარ ინება, ან დაინება
მძვინვარე მხეცი ცოცხლივ მკვდარისად.
ბნელი და მქნელი სულ ბოროტისა
იმან მას ზედა იცისკარისა-დ.
ვსცანთ საქმით მათით, ჩალმართ-აღმართით.
სადა ესაა, სად ის არისა?

39. როს ივლიანე, ვითა იანე.
 ბრძანებდა ტანჯვას მორწმუნეთასა,
 მიენებისა და ენებისა,
 გარნა სინჯევდა ძალსა მხნეთასა.
 ვინ შეუძლებდა, ან ვერ უძლებდა,
 ის განარჩევდა ქრისტეს მნეთასა;
 იგ შემწე ეყვის, ვისცა არ ეყვის,
 ვითა მკურნალი ძნელთა სენთასა.
40. ვინ მდედრი იყვის და ვერ დაიყვის
 სატანჯველთ ნიში უსუსურებით —
 გარნა სუროდათ, თუ სთქვა, სწყუროდათ
 თავთა წარკვეთა ბევრის-ბევრებით, —
 მათდა ურჩევდა, გამოურჩევდა
 უტანჯველს სიკვდილს სულ მათის კრებით.
 ჩვენ უმეცარნი, ვითა მეცარნი,
 ამაოდ მქცევნი ვერ მისებრ ვშვრებით.
41. სხვანი მოზარე სიკვდილისაცა,
 ვინცა იცოდა, ამას ეტყოდა:
 „მო, დააცადე, მით გამოსცადე,
 საქმენი მათნი ვირ შეიტყო, და
 ნუ სტანჯავ მწარედ, სხვათა უღარედ;
 ასე სჯობს, მეფევე, რომ დაიტყო, და!“
 იგიც უსმენდა, ვის სჭვრეტდა მხნელა,
 ივბიმიანე რასაც ეტყოდა.
42. რომელთ ხედვიდა, გამოსახვიდა,
 ხორცი მიაჩნდათ ვითა თიხადა;
 ვინა იდგვიან, არ განუდგვიან
 მტკიცედ ფესვ-გართხმით სარო-მუხადა.
 ეტყოდა: „ტანჯვას ნუ პრიდებ, გარჯას
 ნუ დააცადებ, ნუცა უხან და“.
 პირად-პირადთა სატანჯველებთა
 თავს იღებდიან არად მწუხარ და.
43. იგი ბოროტი სატანას როტი
 მუნვე სპარსეთსა მოისრა ისრით.
 ის განდგომილი, თვალ-დადგომილი
 ყველას გასმია, თუ მოკვდა ის რით:

უხილავითა, იხილა ვითა,
ტყორცნით ძლიერით დიდ მერკვირისით
შთავარდა ბნელსა, ქვე-გარესკნელსა;
მისებრი სისხლით ნულარ ვინ ვისვრით.

44. განატრე დია, — განა ტრედია? —
ყორანი შენთა მძორთა ჭამებად,
შენთა საქმეთა, არ შესაქმეთა,
საწყაულისა მყისცა მოგებად,
უჩინოს რისხვით, ღეთისა შერისხვით
შენებრ უგბილთა ვერ შესაგებად.
თუცა ინანდე, ვერ შეინანდე,
ვერცა შეუძლო კვალად დაგებად.
45. ივბიმიანე, ივარდ-იანე,
მეფობის სკაპტრა იპყარ ხელადა,
სასწყაულითა მოწყუელითა
დაიდგ გვირგვინი, არა ხელადა.
ჯვარისა მიერ გარდმოცემითა
შენებრ მორწმუნეთ, სხვათ სამხელადა
სუფევილი კეთილ, წმინდათ შეკეთილ,
დაგრჩა სიკვდილიც კარგ სახელადა.

* * *

46. მო, სადა ვითა, მე სადავითა
მეფენი ვთქვაცა ჩვენ გვარეულნი:
სახელოვანნი, კვლავ გულოვანნი,
აე საქმეშიდა არ გარეულნი,
მკვიდრნი მრავალხნის; ვინმცა ვინ ნახის
ქვეყანა მათი მათგან ეულნი?
პირი შევითქვა, ორი-სამი ვთქვა,
თუცა ზეობდენ სხვაც ბევრეულნი.
47. ა ღ მ შ ე ნ ე ბ ე ლ ო, დამშვენებელო,
სრულ საქართველოს ოხრის შენადა!
გმირებრ რებითა შენს საზღვრებითა
ხელი განგუპყრა მტერთა შენადა.
და ვ ი თ, დავითის ძედ წოდებულო,
სოლომონ გიძმოს თვის-ტომ შენა და.

მეფედ ხმობილო, ბრძენთ შენმობილო.
დიდის ქებისა მოსაშენადა.

48. შენი სადარი შენი სად არი,
ქვეყანაზედა არ იბოოსა!
მტერი რა ვის ჰყვეს, იმას თუ მიჰყვეს,
შენებრ ხამს კაცმა შეიბოოსა.
ოხერი შენად, სულ ასაშენად
მცირე უამს აგრე მოაშენოსა.
ღვთის მიღევნებით თავს იღვე ნებით
შრომა მრავალი კლარჯეთ-ტაოსა.
49. შენა მა რტოსა, შენ ამარტოსა,
გამსგავსებ დავითს, თვით დავით, მშვიდსა.
სულის წმინდისა, ვით მოგინდისა,
აღასრულებდი საქმესა შვიდსა.
ა რეულისა, არ ეულისა,
მამულთა შენთა ყვინ დასამშვიდსა.
მტერთ განაძებდი, მკვიდრთ მოიძებდი,
თურქთა, წარმართთა, სპარსთა და მიდსა.
50. ი ცის კარების იცისკარების
ცათა ანაქვსთა მომგრგვლობანი.
ის ამოთ ხისა ვთქვა, სამ-ოთხისა
უწყის ეღემის ნერგთ მრგველობანი,
ატატიკებრთა ღრამატიკებრთა
ადვილი აღრე მთარგმნელობანი,
მატურებანი, ავ-ხმაებანი
სატანასი, თუ რა გველობანი.
51. შენი სამ არი, შენი სამარი
სანატრელია, რა მივაბარა;
ხორცით უმანკო, სულით სპეტაკო,
შენ მწიკლოვნება ვინ დაგაბარა?
ქცევა-ზნესრული, ზეშთ კეისრული,
უმეტესი ვთქვა ქება, აბა, რა?
შენებრი არვინ, ითქვა არავინ,
ქვეყანა კაცით რა დაიბარა.
52. ეპა, გ ი ო რ გ ი, სიკეთე მორგი
შენს ქვეყანასა, მკვიდრს, არ ეულსა.

შენ შენს მეზობლთა, მყვირვალე ლომთა,
მარადის სძლევედი ბევრასეულსა.
წინ უდგებოდი, აღუდგებოდი
უმძლავრეს შენდა გამოსეულსა.
სჯულისმდებლობით, შემამკობლობით
საქმესა ჰყოფდი მას მოსეულსა.

53. მე თ ა მ ა რ ი ს ა — ღმერთ ამარისა
სხვაცა ვთქვენ ქება ვერ კმასაყოფი.
იგი კმა ვიყოთ, ვიდრემდის ვიყოთ,
ვიქმნეთ უფროსის პირთა დამყოფი.
არვის ჰყოლია, გინ სად ჰყოლია
ადამის ტომსა მსებრ ნაყოფი?
სხვათ თანა მკვიდრად, თვით დასამკვიდრად
იძია ფრიად მართალთ-სამყოფი.

54. მეფეთა შორის მთიებო,
დიდო დიდებავ დედათა,
სულით ხორცამდე ბრწყინვალეც,
წარჩინებულო შეებათა, —
სიწმინდით, ქვეყნის მფლობლობით
ვინა შესხმა თქვა ქებათა! —
ფუფუნეულო სამოთხეს,
განშორებულო ვნებათა!

• • •

55. აქა წინწილად ვირგო, წინ წილად
ვინანი, ვნახე მე ჩემსა დროსა.
ტახტოსნობითა მათებრობითა
ამათთან სხვა ვინ დაისაყდროსა?
ერთი უფოთშია, მეორეს შია
მშვიდობის დროსა, ეამსა მყუდროსა.
პირველი სიყრმეს, მეორე სიღრმეს
მხცოვანებისას, ვეჭვი შემსუდროსა.

56. ვნახე შაჰ-აბას; მას ვინ შეაბას
მოყვასი მისი ზნე-სრულობითა?
ღერად რამ უცხო, მას რა შეუცხო
ხოტბის შესხმანი სურნელობითა!

ვინცა მას ეპყრა, ვისმცა მიეპყრა
უპატიოდა თვითმპყრობლობითა?
ღია უხამსო არ თუ უხამსო
ქება რამ დიდი ხმა-მკობლობითა.

57. გარეობითა, გარეობითა
სპარსეთი ეპყრა დამშვიდებულად.
მას სამართალი, ვითა ფართალი,
სწორებით ჰქონდის ყოვლთ დიდებულად.
მისნი მოყმენი არ ყენეს მოყმენი
ტკბილთა აღერსთა გარ მიგდებულად.
მე მისი მსგავსი ვერსად ვიმსგავსი,
ეგეთი იყო ზრო-აგებულად.
58. ამ სოფლის შვება ვის ეშობა
სწორი იმისი ყოვლისა ზნითა?
მიკვირს რამ, ღია: მე აქამდია
სხვა ვერვინ ვნახე მისებრ სიმხნითა —
გინა თუ მკდომი, ანუ თუ მდგომი,
სიტყვით საქმემდი ბრძენებრ დამზნითა;
მხედრობა სრული, თვით კეისრული
სახელმწიფოსა საქმეთა ქმნითა.
59. მე ვინცა ვნახე კაცი ჩემ დროსი,
არვინ მინახავს მისებრ აროსა.
ნუვინ იჩემებს ზესთაობასა!
მისი სწორება, სჯობს, იკმაროსა.
საამსოფლო, სამეფო წესი
სხვამ ისე ველარ მოიხმაროსა.
ვინცა იცნობდეს მას ჩემებურად,
ხოტბა ვერავინ გამიკმაროსა.
60. ვაი, მას დღესა, მე რომ მედღესა
მასთან გაგზავნა ჩემდა გზა-ძნელსა!
ნათლისა წილად უფროს ასწილად
უმეცრებითა ჩავიჭერ ბნელსა.
რა მიხამს? რა ვთქვა, ანუ რა ავთქვა
მე მშობელთაგან არ-შესაქნელსა?
ვეძიებ ღმერთს, ვით წყალსა ხე ნას,
ვერა ვსწევივარ ჩემს საძებნელსა.

61. ჩემებრ ვინანი, სადა ვინანი
 ჩემთა მაშინდელთ სჯულთ გარდასვლასა?
 რად მოვილორე? ვერ დავიღვარე
 სიხსლი ქრისტესთვის. ვა, ჩემს სწავლასა!
 ოდიდგან ვიქმენ, ვისგან შევიქმენ
 მოშიშ ამ სოფლის ურცხვად მოსვლასა.
 მოველი სულა, ვინ დამასულა
 ქვე უფსკრულამდის მიწყივ შთასვლასა.
62. თვით პეტრე ცარი ვნახე, რაც არი
 დიდის რუსეთის მტკიცედ მპყრობელი.
 სიყრმესა შინა ვიახელ შინა
 მალალი მდაბალთ ხელთ-ამპყრობელი,
 თვისთა სალდათთა როჭიკთა მათთა
 ყოვლის ჟამისად მთლად მიმპყრობელი.
 მცემს რასმ იმედსა, სიტკბოთ იმედსა,
 იქმნების მრავალთ კარგ-შემსწრობელი.
63. ამისი ტანი, სხვათ ნამეტანი,
 რა გაიცადო გმირებრ გებულად,
 აგრევე ქცევა, თუ გარდაქცევა
 ვინ ნახოთ, თქვათ სამ ხელთა ხლებულად.
 მე არიარედ, მე არიარედ
 ვთქვა რამ ნაწილი მისი ქებულად.
 ქება-დიდება არ მერიდება,
 ყოვლთა გიჩვენო წარჩინებულად.
64. საროს გავს ტანად, შემოსატანად
 უნდა სხვათ მზღვარი თვისის არისად.
 სძლო და წარუხვნა, კარი განუხვნა
 ზღვათა და ხმელთა კმა საკმარისად.
 ა ზავი ამან, აზავი ამან
 მისტაცა ხონთქარს გზად სახმარისად.
 მუნითგან თრთიან, ვერ შემართიან
 ამის სიმხნისა და სისამხრისად.
65. ვისცა იტყვიან, მართ დაუტყვიან
 მეფის წილ კორლად სახელდებულად;
 ვინა სვეთია, სიტყვით მკვეთია
 კნინდა და მიაჩნს განქიქებულად.

მოწყლა ვით ისრით, განაძო ი სრით
სხვათა არესა მართ აგდებულად.
ციხენი მისნი, ზღვათ აქათისნი,
ყველა ხელთ იღვა სულ აგებულად.

66. ფარად სახმარად აქვ მოსახმარად
მას თავი თვისი სამარადისოდ.
ვთქვა: მხნეობითა, თუ ზნეობითა,
მგონია, კმარა ნავეს ძედ ისოდ.
საზარლად მტერთა მსგავსია შტერთა,
ეკმეებიან დასაბაქისოდ.
მეგობართ, თვისთა — არა სხვათ ვისთა —
მოალერსეა არ პირ-მომქისოდ.
67. ჩემსა რგებასა, გარიგებასა
ბრძანებს. მე სადღა შევესწრებია?
სხვადა მასშია, ვით ამას შია,
უგბილთა სიტყვა გარეწრებია.
სთველი გაზაფხულს, ზამთარი ზაფხულს,
მიბრძანოს ვინმე, როს შესწრებია?
ასეთს დროს შევხვდი, ველარვის გავხვდი,
ყოფა ამისთვის დამმწარებია.
68. მიამის „ხლება“, მე ამის ხლება,
ოდეს ვისერი წინამდებარე.
რასაც მეტყოდა, ვით შემეტყოდა
მტერთა ცეცხლებრი მყის მომდებარე.
გვიანობს საქმე, ვითა შესაქმე,
წინ გვიძევს გარე მოსადებარე.
რადას შევესწრა ან თუ დავესწრა
სიჭაბუკისა ქვე-დამდებარე?
69. არსადა გებდა, სადაც აგებდა
ლიტონად ციხეთ მომზლუდებარე.
ადვილადრეა, ვინ მოსაყდრეა
მეფეთა ტახტსა ზედა მდებარე.
განუწესებდა, დაუწესებდა
სახელსა თვისსა განმლაღებარე.
არ თუ წარმართის, მყის წარმართის
ყოველი საქმე წინამდებარე.

70. გონიერი, მეცნიერი,
 ბედნიერი, კადნიერი,
შვენიერი, ნიეთიერი,
 არმცბიერი, სახნიერი,
 მქონიერი, ცნობიერი,
 მძნობიერი, მგრძნობიერი!
 ამდონი ერი ამქვეყნიერი
 მონებრი არი, გამგონიერი.
71. მე საამისო, მე საამისო
 ვერ ვპოვე ქება შესწორებულად.
 თუ დასხდენ ბრძენნი, სიბრძნეთა მნენი,
 შესხმად ამისდა ერთად კრებულად,
 მათც გაუძნელდეს, გზა დაუბნელდეს
 ღირსად ქებისად ვერ-შოებულად.
 თუ რასმე გასწვდენ, მხეცთაებრ მისწვდენ;
 ნასამალს რასა იქმენ შვეებულად?

• • •

72. აქ ეს ვიკმართ. სხვაგან ვიხმართ
 სამხილებელი კარგ-ავებისა,
 სიბრძნით სრულისა, მის მისრულისა
 ერთმანეთისა მოდავებისა.
 რომელი სადა, რომელი სადა
 ხმარება მათის სადავებისა.
 შორი-შორ არი ყოვლთა სახმარი,
 ხმა განცხრომისა და გოდებისა.
73. ცუდთა ქებასა, კარგთ ბაქებასა
 ყოვლთა არა აქეს ადგილ თქმისადა.
 რასცა იქმოდეს, თუცა ითქმოდეს,
 სულა შვრებოდეს თავთ დანთქმისადა.
 ენა მოერთოთ, მისთვის წაერთოთ
 სალაპარაკოდ სულ უქმისადა;
 სიცრუისადა, ტყუილისადა,
 პირი აელოთ მათ ღიქნისადა.
74. ვიეთთა ხელ-ყვეს, ცუდ საქმეს მოჰყვეს,
 რჩეულთ მეფეთა არად საქნარსა:
 იმღერდეს ცოფად, ცოდვილთ საყოფად,
 საგიობელად ებანსა, ქნარსა.

ვერ ანათობდეს, ავად შფოთობდეს,
მიბაძეს დათანს, მიწად დამთქნარსა;
ცოფად ისრბოლეს, ცეცხლი იბოლეს,
არსად შეგვიდეს მღინარე მთქნარსა.

75. ვითა იწადა, იქმნა მიწადა
ბრწყინვალე სარო, ქვეყნის საჩრდილი.
იბინდიადრა, რათა იკადრა,
შეიქმნა სადათ მწუხრი სადილი.
კაი უარყო, მიძინს რად რა ყო,
რით აღირჩია ცუდი წადილი?
დამტკიცებულა, არ ბიცებულა,
მყის განქარდება ზვაეი ქადილი.
76. რათ აურია, ვითა ურია,
ქრისტიანეთა ქცევა და ყოფა?
ვითამც ესია უამესია
მართლმორწმუნეთა სულა განყოფა?
რად მოინდომა, ვითა ინდომა,
ნათლად-მეტყველთა პირთა დაყოფა?
ვისგან ირჩია, ან აღირჩია
წმინდათ საწოლთ წილ ბილწთა შეყოფა?
77. ვერ მოსეს ხემა, ვით მოსესხემა,
ნიში მიჩვენოს სასწაულისა.
აგრევე უშვერთა რას მიუშვერთა,
გემო ვერ ნახონ ბროწეულისა!
მართ სხვაცა ვინმე რა ვნახე, ვინ მე
სამეფოზედა აღწეულისა?
ვინც სულ თავს აქნევს, ბრძანოს: რას აქნევს? —
მოზერის ყოფაა სამწლეულისა!
78. ვინცა შემოსა, მასცა ემოსა
ყოველთა კაცთა კეთილთა ქცევა.
უშვერი დია გასარიდია
ბრძენთა თვალთა წინ ცუდი შექცევა.
სადაურია, უგემურია
მცივანთა კაცთა ცივთ წყალთ შექცევა.
ვინ შვრები ასე, ნუ გაიასე;
შენ კარგა მყავხარ, გიჯობს მოქცევა!

79. რა არია, გარდარია: ძის სწორება მამის არ-ოს,
მისი მცნება, შემეცნება კარგა ვერვინ მოიხმაროს.
ვლიდეს გზასა არა-მზასა, ვერ ნათელსა მიეკაროს.
კაცი თუ სცოტეს ბოროტისდა, უმჯობეა ის იქმაროს.

80. ვით ღიდარია, ეგზომ არია
ბრწყინვალე წესი, ბინდი ადე რა.
რა იყოს ცოდვა, გინა თუ მკოდვა,
სხვა კიდე ამის უღიადე რა?
წერილთ წერაში, სადამე რაში,
მგონია, თავი ვერ იადერა.
ვთქუ და გამოვთქუ, რაცალა ავ-ვთქუ,
არცა ცუდადრე დავიქადე რა!

81. სულ იქ არისა, სული ქარისა
პირუტყვისაა, არად ამისა:
იყო და იყოს ეს განწესება
ჩვენს წინანდელთა სულ აქამდისა.
მშვიინვიერისა, ვინ აღწერისა
სადათ შემოხდა, რად აამისა?
ავი რამ თვისი, არ შესათვისი,
თავისი სხვასა ვის დაამისა?

82. ბრძენთ აღუჩნდება, გამოუჩნდება
შიშვლის გულითა ვითა ხელია.
ცუდ რამე შვრება, არ დაუშვრება
მასთან ყოველი სულ სახელია.
უშვერი ყოფა, უშ, ვერ იყოფა,
სულად ალალო სულსა ხელია.
არვისგან ითქმის, თორე დაინთქმის:
ვინ ერთგული ჰყავ, მართ სამხელია.

83. იმათ აუგებს მაღალს აუგებს
კიცხვის გოდოლსა, ბრძენი ვინ იყოს.
უარ და უარ, ვერ შემოუარ,
ასე ქვეყანა ვინმცა იბრიყოს?
თუცა შემეძლოს, გულიც შემეძლოს,
მეცა ვიტყოდე, რაცა კმა იყოს.
ავთ მაქებარმა, კარგთა მგმობარმა
უკუნისამდე პირი დაიყოს.

84. ავს ავი აროს, ავსავ იაროს,
 თუ არ მოიქცეს, განეშოროსა.
 იწვრთიდეს ცილსა, ბრძენთ სასაცილსა,
 ზედ დაურთევდეს სულ „აშოროსა“.
 ვინ ამხილებდეს, ვერ იხელებდეს,
 მან მისი სული სულ აშმოროსა;
 პირს არ შეიღვას, თავსა დაიდვას,
 ვინ გინდა სიტყვა დაუმოროსა.
85. ჯაცთა ყოველთა, ვითა ცხოველთა
 სხვა და სხვა უნდა ქცევა და ყოფა.
 აგრევე მეფეთა მოიადფეთა
 პატივისა და რისხვის განყოფა.
 შემასამენელთა, არ სასამენელთა
 განსმა უფროსლა, პირთა დაყოფა
 ცუდად რებისად, ანგარებისად
 ხელი იმათი არ მიეყოფა.
86. ტირილსა ბრგენილსა, მძლავრთაგან ქმნილსა,
 ობოლთას არვინ დაუდუმებთა.
 ქვრივთა სახლებთა ხელთ შეახებთა,
 უპოხთაც შესჭამთ, ვითა ღუმებთა.
 გლეხთა მიმძლავრებთ, ვერ გაიმრავლებთ
 მონახოქს მათსა. ვის აამებთა?
 გლახაკთ არ უსმენთ, მსგავსად მათ უსმენთ,
 სიტყვისა თქმადცა დაადუმებთა.
87. ლექსით მწიროთა, სიტყვა-მცირითა
 მეფენი ითქვენეს არა-მცირენიც,
 ბრძენნი და ხელნი, პირად სამხელნი,
 უბედურნი და სვე-ბედნიერნიც.
 ვისცა აქებდენ, ან აძაგებდენ
 მეცნიერებით პირველ დამწერნიც,
 მიითვალეთცა, განიცადეთცა
 მათზე ნათქვამნი ჩემაგიერნიც.
88. ჰოი, ჩემს სვესა, სად გარდამსვესა,
 მე სადაური სადათ არესა!
 ბნელსა ჩამსვესა, სისხლი მომსვესა,
 მგონია, ესეც არ მაკმარესა.

მათი ნაქნარი, ავად საქნარი
სულა მე ღია დამბარესა,
სიცოცხლე ჩემი, არ ასაჩემი,
რომ მხედავთ, ასე დამამწარესა.

89. მე ტიტა-პიტნა და პური სიტნა
უფროს ვირჩივე ცრუთა საზრდელსა.
სიტკბო დამწარდა, მექმნა ბაწრადა
სადეკლად სულა არ-გასაზრდელსა.
სულთა განყოფას, ჩემს ასე ყოფას
აღვირჩევე გემოდ ველისა ყრდელსა;
ვიყავ მხედარი, კარგ-სახედარი,
აწ, ვეკობ, შევგავ კაცს არადელსა.
90. ღმერთო ძლიერო, გულთ-მეცნიერო,
მომხედ წყალობით შენ-მიერთა!
ვიდრე მიტევებ, არ მომიტევებ,
სრულიად განმლევე ეშმაკთ მღერითა;
არ მოიხილავე, ვის შენ მიხილავე
მცირეს ცრემლითა, ვერ სიმღერითა.
საარებული, უცებ რებული
თავს განვიკურნებ, მაშა, მე რითა?
91. ვაი, ჩემს დროსა! სადღა მედროსა
სულ მოღრუბლული დღედ ნათლისადა?
მწუხრ-შესწრობილსა, ბნელთ-შეპყრობილსა
სადათ ვეწიო ჟამს დილისადა?
სად შევისწაო, ანღა ვისწაო,
მე სადაური სადმე ვლი სადა?
არა ვიდუმნე, ლაზოდ ვიდუმნე,
მალლობა არსთა შემქნელისადა.
92. მეფედ ვიწოდე, ვერ გავიწოდე
ფურხი ჩემისად გუნებისადა.
დავიდევე თავი, არ-ავად ავი,
საარაკოდა ქვეყნებისადა.
ბუკთა საყვირად, ვინ თქვას, თუ ვყვი რად
სამუსიკელად მე ებნისადა?
ჩემს გარდა სხვათა ჩემთა მნახავთა
მამხილონ, ავი ვიზე ვყვი სადა.

93. ერთი კვერციხი სჯობს ახალი
მრავალს ლაყს, სულ-დაღებულსა;
უქმი სიტყვისად ვაყენებ,
ვის გინდა, პირ-დაღებულსა.
სიბრძნის მოყვარემ აჯობოს
კაცს უგბილს, სულ-დაღებულსა.
ვინ სულსა იღვწის, დაიდებს
აღაპსა კარ-განღებულსა.
94. ფრანგნი განგვეყენეს, ავად რასმეც ყენეს
სჯულის განყოფა მერვეს კრებითა;
სულ გარდირივნეს, მით შეირივნეს
ლოტრან-კალბინით დრკუდ სამ რებითა.
ემხილებიან, — ხე ხილებიან, —
ღვთისმეტყველთაგან მართლ-ყვედრებითა.
თუ ვინ აღვირჩევთ, ან გამოვირჩევთ
მათსა ქცევასა, ავად ვშვრებითა.
95. რა განაქარვა, რა განაქარვა
ღმერთმა ზრახვანი აქიტობლისა,
აქ ნახე ძალი, ნუთუ ორძალი
ხმა-მოუშლელი ყოვლის მპყრობლისა!
მან შიშთვილ იბა, სული შთაიბა
საუკუნის და საპყრობილისა.
რააბ მეძაგმა, ჭკვათ მობაძაგმა,
მსტოვართა გზა სცა განმსტოვრობისა.
96. იყო არ აქა მათი ბარაქა,
თუ არ ასეცა მიმსგავსებოდით.
უწესურებსა ვინ ისურვებსა,
ჩვენ სადათ გვიხმდა, დავმონებოდით?
მართლმორწმუნენი, უფლისა მნენი,
მაცხოვარს ასე განვხსენებოდით,
წვერ-ულვაშ-პარსვით, თურქთა და სპარს ვით,
საიციხველებად გაფსჩვენებოდით!
97. რაცა აქამდი, სიტკბოდ ბაქამდი
არ იყო, ანლა ვითლა იქნება?
კარგი და ავი, არვის სადავი,
სხვალა ახალი არ შეიქნება.

კარგი მოვიგოთ, ავი გავიგოთ,
ორი საზღვარი მოიქონება.
ვინ გარდავხდებით, მეზრ კი წავეხდებით,
სულა არაა, ღვთისა იქნება.

98. ადამისითგან მოაქამომდე
იქმნა დიდ-დიდი საკვირველება:
საზღვრის სწორისა, შეუსწორისა
უღებებითა თავს გარდავლება;
გოდლის შენება, არ იყო ნება,
ზღუდე ვრცელისა გარე მოვლება.
თვინიერ უფლის ვერცნე შეუძლო
თავის თვისისა მტკიცედ მცველება.
99. უფლისა ნება იქ არ იქნება,
მართალი მრუდსა გზასა ვლიდესა,
ტაძარს სძულობდეს, ტახტს ეულობდეს,
სახლითი-სახლად გარ მოვლიდესა,
კაის საქმისად, მართლისა თქმისად
საკიცხველებსა მოიცვლიდესა,
დადვას არაკად, არ თუ ბარაკად,
ვერ იფეთეს, ხიდს განვლიდესა.
100. რად ამართოსა, სულა მა რტოსა
ვინ მოიზიდავს უნაყოფოსა?
რასაც იხრიდე, მცნებით იხრიდე,
სიმართლის მორჩმა ინაყოფოსა.
რაც იყოს, იყოს, ბოროტი კაცმა
მყის მოქცევეითა ხამს იყოფოსა.
სულა უველსა გარ ნუ უველსა
არა დაადგრეს, არ იმყოფოსა.
101. სულა ბაქება, რაა ბაქება,
კაცსა არავის შეეტყვებოსა.
სარბა იქი-აქად, მართოდ, იაქად
გარე სირბილი ველ-ტყეებისა,
კეთილგონებას, კარგთ მოგონებას
ლტოლვილიც ადრე დაეტყვებოსა.
შემასმენელთა, საქმითა ბნელთა,
მლიქნელთა სიტყვათ ნუ მიპყვებოსა.

102. სად ვიარე, მოვიარე,
 ავირჩიე მე სამარე;
 ვინ ვიკადრე, ესვე ვკადრე,
 ყოველივე მისკე ვარე;
 ვერ უარე მისვე არე,
 იგ ჩემდავე მოვიხმარე.
 ყოვლისავე აღსასრულად
 ესე ვპოვე მოსაკმარე.
103. არიანია, არ იანია
 ეკალ-კუროთებრ ყოვლთა მგვრემელი,
 აღმშფოთებელი, ცუდთა მქებელი,
 თვისის ქვეყნისა რყევით შემძვრელი;
 სიციუდის ლართა, არვის სალართა,
 სამუდამისოდ მოსწრაფედ მკვრელი,
 წყალობის მკვრელის ცისა მწთოლვარის
 საბიჯოდ ქვეყნის დია შემკვრელი.
104. რა გაზია, სად გაზია
 მოტყინარე მიიზევდეს,
 ვერ შეიტყოს, მაში იტყოს
 და მას ზედვე წაიზევდეს,
 ქვე აწვევდენ, დაიწვევდენ,
 ის სულ ზევე აიწვევდეს.
 და წყვდიადი, ბნელიადი
 ვერ ნათობდეს, ვერ იზევდეს.
105. მე, შავი მოსე, რა შევიმოსე
 მცნება იმისი არა-წყვდიადრე,
 არსად იხილვის, თუ განიხილვის
 მზის შარვანდისაც უბინდიადრე,
 სჯულის მღებლობით, მეგვებტულთ ფლობით
 არს ყოველთამებრ [კვლა] უდიადრე.
 კაღნიერ იყვის, ვინ მართლა იტყვის
 ფარაოს მეფის სიტყვის შემკადრე.
106. რაზომ განვცვიფრდი, არათ მოვიფრდი
 მეფეთ წესისა გარდაქცევასა.
 ვინ ზნე-სრულია, კეისრულია;
 შეენატრი მათსა ყოფა-ქცევასა!

მოგონებასა, მო გონებასა!
პოი, ნუ სდევნი ცუდ-შექცევასა!
უმჯობესია, უამესია
მსჯავრი კეთილი ცუდ სისხლთ-ქცევასა.

107. აღიხილეთა, მოიხილეთა:
ლექსი ვისია, ან ვის მქებარე?
ვისი ვის ვისდა, რასა საქმისდა
ვიყავ და აწე სად მივიბარე?
რალას ველოდე, ან ველეოდე?
გარდუშვებ იმედს სულა მე ბარე.
ვხედავ ნიშებსა, საქმეს მჭიშნებსა;
მგონც, მომეახლა აქა მებარე.
108. ზოგთა იღვაწეს და მოიღვაწეს
სადეთონი საქმე სუფევისადრე;
ლაზოდ იხმარეს, ქვეც მოიხმარეს
ცვილთა სილბონი ქვისაც უადრე.
ალიწეოდეს, მიიწეოდეს
მართალთ სავანეს მტერთ შეუჟადრე.
ესევითართა, არ თუ თათართა
შესხმა ფრიადი ვინმე შევჰკადრე.
109. განვვლე მე ჩემი ცხოვრება
მოწყენით, არა შვებითა;
ვყავ არ ცოდვასა შეკრული
მარადის არ აშვებითა;
საქმე შემოხდა ასეთი,
აქათ არ გავიშვებითა;
მივანდოთ თავი უფალსა,
ამაოდ ნულარ ვშერებითა.
110. სიფასალარსა, სპარსთა სალარსა
მოგენიჭნეს რამ ჩემ შორს მყოფისა.
ძმასა ზიარსა ნეტარძი არსა,
საქმე არ იყო განაყოფისა.
რამე ხელეყარო, ან მოვიყარო
მე, აქა მყოფმან, შენ მანდ მყოფისა?
ნუთუ ქმნას ღმერთმან, სამებით ერთმან,
ჯავრთა ამოყრა ბილწთ სამყოფისა.

111. ესცა მიკითხავ, არ მოგიკითხავ,
ვიდრე დრო არ მცეს, რაცა მე მინდა;
გინდა, მო ბადეს, ვინ მოგიბადეს,
წყურა საფერხთა აწლა მოგინდა.
ქირმან ქირმანიო, სადათ საძოვრით,
ძლით დაინახე, აწლა გაგვინდა;
შენთა მრჩეველთა. ცუდ მაკვლეველთა
წყევლა-გინება დია მოძინდა.
112. მითვე რიცხვითა, არ ურიცხვითა
მოგძღვენ რამე აგრევ ჭრელ-ჭრული,
თითო-ოროლი, არა ოროლი,
გრძელი და ვრცელი, ართუ ნაჭრული;
არ ერთი ორად, საფაჟე შორად,
ნივთი არ იყოს, ქცევა — ვაჭრული.
ღმერთმან შეგვეყარნეს, ერთად მიგვეყარნეს,
საქმე არა ქმნას მისებრ რაჭული.
113. ოდეს ვსჭვრეტდი ურთიერთას
მამაჩვენსა მხიარულსა,
სად წარგვიხდეს იგი ჟამნი?
ვინა ვხედავთ აწ რამ რულსა;
ვითა ორბსა ცასა ქვეშე,
ჩვენც აგრევ ქვე მოარულსა?
ნუცა მტირი, ნუცა მიგლოვ,
ჩემო, ჩემსა სიყვარულსა!
114. გიჭინას არუთინასგან
მოკითხვა სიცოცხლისანი!
მოკლე რამ იყო მოყვსობა,
განზრახვა მის შამხლისანი,
ჟამი ითხოვე მაღლისგან
ჩვენის სიბერის ხნისანი,
დროცავე მასლა წინ უყოთ
ორთავე გამოხსნისანი.

* * *

115. თანა წარჰხედ წარმავალსა, წარუვალი მოიგონენ,
უტრფალე უხილავსა იერუსალემის, მომძაგებელი სოდომისა,
შეინანე, ვითარცა პეტრე, ჰოი, გიორგი!

ეც ნაწილი აწ ზენასა უფროს უქვენაესისა,
ნივთი ესენი — აელ და აჩრდილთა უფროს — მიმრდომ,
ალიჩჩიე გულვებადი, რჩეულისა გონებისაო,
რამეთუ წარხდენ პირველნი და ეგრეთვე

გარდახდენ მძაფრად ცანიც,

არამედ იყავ მონანულ ჭეშმარიტ და სცხონდე შემდგომად.

ვივლტოდი მეცა არა უმეცრებით, არამედ მაგისდაძი,

იხილე, ისწავების სხვათა მიმართ არა თვით გამოუცდელ¹.

14. ა სულ ასულა

1. ა სულ ასულა, მკვრეტნი დასულა;
ესე ვინაა ჩემი ასულა?
ბროლ-მინა რევით. მზისა მორევით,
თვალნი მორევით მელნისა სულა-ა.
გიმკობ ქებასა, შენ, სამებასა,
ხელთა შეგვედრებ ხვეწნითა სულა.
დებორა ქველსა შენ სდგამ სარქველსა
თავს, ხნარცეში მჭდომსა, კი დანასულა.
2. ეცილებია, ე ცილებია,
მთვარეს, აჩნია, ეცი ლებია,
ვითა ებანი, ვითა ე ბანი
საფირონს ხმითა სთქვი რაებია.
ზმირინოსა ფში! ზმირინო, სა ფში?
ქება არ გიხამს საალებია.
მეთ ექმენ შვიდთა მნათობთა, მშვიდთა
მიჯნურთა მწველობ საალებია.
3. თუ სულ ვერა გთქვა, არც ქება ავ ვთქვა,
ნუ გეწყინება გონება-ბრძენოს;
იელვა რები? იელვარები,
თვალთა მინათებ, ვით მიგცე შენ ოს[ს]?

¹ „მეფეთა“ დასასრული მიმართულია არჩილის ძმის—მეფე გიორგი XI-ისადმი, რომელიც იმხანად ავღანეთში იმყოფებოდა და იბრძოდა მირვეისის წინააღმდეგ. ტექსტი აკროსტიქულია და მისი კიდური ასოებით იკითხება: „თუ შენ არა, ვინა გამოცდილ?“.

კმა-საყოფელთა, სულ-საყოფელთა
გიხამს გიმკობდეს შენ ქებას ენოს!
ლალს გარეშემო, ლალს გარ ეჩემო,
ენა დამიბი, არ დამეყენოს.

4. შინარეგია, შინა რეგია,
ბროლისა პირსა ბაკობა ყბითა,
ნარნარობს ზმითა, ბრძენი იხმითა
მისად საქებრად, ვით ენა-ხმითა.
ო, ი მნათია! ოი, მნათია
მარად ლოცვიდეს, იხსენ ამითა.
პირ-ბროლ-ბადახშობს, ბაგეთა დახშობს
მუნ მარგალიტებს გარ-მოდგომითა.
5. უამი ქებისა მზის შუქებისა,
აჰა, მოვიდა, ისმინეთ ახლა:
რაები უქო? მას სასალუქო
ლერწამ ტანს უხამს ჩაცმად არ ახლა.
სულ ედემისა ეს დაემისა,
ზარიფი ნაკვთი მას მოენახლა.
ტირიან სალებრ და ცორვენ სალებრ,
თუმცა გიხილონ, თვარ ვინ მეძახლა?
6. ურიდად გფერობს ყური და ფერობს
მის განაყარსა ქვე ყელი ბროლი;
ფიცად მაქვს შენი წამწამ-ნაშენი,
ჯარი ინდისა, ამბრებრ ნაყროლი.
ქამანდ-გაზევით გაქვს, მონაზე ვით,
მუდამ სურნელთა სულ-მონაქროლი.
ღრმად ვიწყო ქება, არ დადუმება,
სიტყვა არა ვთქვა ერთზედ ორ-ოლი.
7. ყმად გფერობს მნათნი, ვერ მოკამათნი,
ვარსკვლავთა ჯარი, მოწმედით მსხლომი;
შიში მაქვს გულსა, შენგან დაგულსა,
თუ ვერა ვთქვა რა შენ წილ სახლომი.
ჩინით მხატვარნი, მოსვლად მსტოვარნი,
ვერ გამოგსახვენ ვერას მიმხლომნი.
ცრემლსა მოაფრქვევს და სხვას მოაწვევს,
აწ შენ ეცადე! მე — ცუდად მცდლომი.
8. ძრწის, ვინცა გნახავს, ესრეთ მოგნახავს,
მაგრამ ვერ გპოებს, ცუდად რას ახავს?

წამალ-ძვირობით, წამ ალ-წილობით
წა მალ, თუ შენს სხივს, ნეტარ, ვინ ნახავს!
კმუნვენ უნახნი, თუ მოუნახნი,
ლონევ, შენ, თორე თვით ვერ დასახავს.
ხარ საძებარი, შენი მქებარი
ვერ გიტყვის სწორად.. მაშა, რად სჩმახავს?

9. კელოსნობითა, მის ოდნობითა
თუმც გქონდეს სიბრძნე, რაც არს გრძნობითა,
ჭარად დგენ ცნობით, ან მონაცვლობით
ერთმანეთს ექმნან მაშერალთ ნობითა,
ჰე, ხმობენ ტკბილად შენად საძილად
ებან-ქნართა, წინწილ-ნობითა,
ჰი, საწყალთა! არ აფრქვევ წყალთა,
უწყალოდ ექმენ მიჯნურთ დნობითა.

15. საძებელნი და სავედრებელნი ღვთისმშობლისანი

1. აღვალო ბაგე და გული წმიდის ღვთისმშობლის საქებლად;
არ ძალმიც, ვიშიშვ-ვიწიწვი, რას ვიტყვი მე მის სამებლად?
არს ყოვლთა არსთა უწმინდე, ღვთისმშობლად მწვე-საწამებლად.
აჰა, დედავ და ქალწულო, შენ მექმენ ცოდვის განმძებლად!
2. ბუნებათა უაღრესად გექმნა შობა-ქალწულება,
ბერი დღეთა შენგან ჩვილად ყრმა ახალი იხილვება,
ბილწი ვნებას ხორციელებს, შენს სიახლეს არ ევლება;
ბრძანე ჩემი შემწეობა, რომელ ძალგიძს შეწყალება!
3. გიგალობს დავით, მთაწმინდა ღვთისა პოხილად ჩრდილოდა,
გიმზერდა თვალთ წინასწარ, როკავს მწუხრი და დილოდა,
გამოეკვეთა უფალი უხელოდ თავ-საყიდლოდა,
განმიღე კარი წყალობის, უხრწნელო, მე შენ გილოდა!
4. დედოფლად დაბადებულთა შენ ხარ წინასწარ მკობილი,
დედად გქადაგეს ღვთისადა, ხოროდ დგენ სულ განწყობილი.

დგახარ მარჯვენით უფლისა, ვინ არის შენი შობილი.
დამიხსენ წარწყმედისაგან სატანას ლახვარ-სობილი!

5. ეზეკიელის თქმულისებრ ბჭე ხარ დახშული, კრძალული, ერთისგან კიდე სიტყვისა არვისგან შიგან შესული, ეგრეთ შესლვით და გამოსლვით კრძალული მისგან ხილული; ემბაზის შეშგინებელი წმინდა მყავ მტრისგან ძლეული!
6. ვნებამან გულისთქმათამან ჩამაგდო ცოდვის უფსკრულსა, ვარ მცონარებით ლოცვაზედ, ბოროტზე მხედავ უძილსა, ვერ ვშოებ ნამსა ცრემლისას, არ თუ ვადენდე სამილსა. ვესავ ღვთისმშობელს, დამიხსნის, არ შერაცხს ჩემსა ღუმილსა.
7. ზრდა მაქვს ცოდვისა სამუდმოდ, ვით მევენახეს ვაზისა, ზარი მტეხს თვისთა საქმეთა, მყოფს უშმაგესად ბრაზისა; ზედა მოგიწოდს მარიამს შენ ნათლის საბაზმაკისა. ზე ძოწეულის შემოსა ძალგიძს, ჰე, მოუეაზმისა.
8. ჭერად მიმართ თვალთ ახმად არა მაქვს კადნიერება: შარ დაშვრა ჩემი მებრძოლი, უჩინრად ვინ მემტერება, შერევა ჩემსა ნაღვაწსა, წყეული არ მეფერება, შე, ღვთისმშობელო, გვედრივარ, მეწიოს შენ-მიერება.
9. თიატრონს შინა ცოდვისას ვმორბედობ, ვინ დამავალა, თრთის მიწა ჩემი ნალახი, ანუ დღეს დამნთქამს, ან ხვალა: თითსა მიღერებს ბელიერ, მიძახის: „ველარ წახვალა!“ თვალნი სულისა, მარიამ, შენ გიმზერს, მწედ თუ მოხვალა.
10. იერემიას ნათქვამი აღთქმა ახალი შენ გიწეს, იცნეს შენ მიერ უფალი, ვინ კერპს ესევდეს, დამიწეს. იონასებრი ჩანთქმული მოგელის შველად, მსწრაფლ შემწეს, იხილე, გესავ მეოხად, თვით უწყი, რასაც გამიწეს.
11. კიღობანო სჯულისაო და ტაკუეო მანანასა, კარავო საწამებელო, შენებრ სხვალა არ იქმნასა, კიბეო, ცად აღწევილო, იოკიმის შენ ანასა, კარს განმიღებ წყალობისას, თუ ვიქ ცოდვის შენანასა.
12. ღეკვისგან ლომის იუდას ძირთაგან აღევაგებულსა, ღევის თესლთ გამორჩეულსა, დავითის ტომთა ქებულსა, ლოცვას შევსწირავ მარიამს, თუმც მხედავ დადუმებულსა, ღმობიერ მექმნას მოწყალედ, ცოდვაზედ მიწყავ-დებულსა.

13. მოსეს ხილულო, წინასწარ-მოსწავებულო ამ სახედ, მაყვალსა ცეცხლი ეღების და შესაწავად ვერ შემხედ, მტვირთველობ ცეცხლსა ღვთისასა და გვივი მისა მეოხედ. მარიამ, ღვთისა დედაო, დრო არის, შემწედ თუ მომხედ.
14. ნარდო სურნელო, შრომანთა შორის უფრჩქენელად მყოფარო, ნერგო, ეღემის ყვავილთა ქრისტესა მომნაყოფარო, ნომით წინასწარმეტყველთ შენს ქებად არ გამყოფარო, ნანდვილ მვედრებელთ შემწეო, მგმობართა პირდამყოფარო.
15. ოსე, ნომით მიქია, ამოს, ამბაკომ ქებული, ოხრიან შენს დიდებასა, სული-წმინდითა შვეებული, ორი ბუნება შენს მიერ იშვების არ-დაკლებული, ოხერ-ქმნილი ვარ მეუფლე, ცოდვისგან განქიქებული.
16. პალატ გიწოდეს ცად უერცედ, ცხედრად ღვთის განსასვენებლად, პორფირად სამეუფოდა, მწიკვლთაგან შენ ჟენებელად, პირმეტყველ ცადა ახალად, იგავად მოსაძებელად. პასუხი ჩემთა ნაქმართა შემიქმენ გასაძებელად.
17. უამმან მიიღო შენ ძლითა ყოვლთ სასწაულთა ნიშობა, უამს ოდეს უკანასკნელსა შენ მიერ იქმნა ღვთის შობა, უამთ ქვეშ უმყოფი აწ მზეს ქვეშ ვიხილეთ, ახლა იშობა, უეშთა მბრძოლთ ჩემთა შერისხდი, ვის აქვს ჩემზედა იშობა?
18. როკავს დავით სულის წმიდით, რა გიხილავს მისა სულად, როს დედოფლად სახელ გიწესს და გიჩემებს. მის ასულად, რეკს გაბრიელ ხარებასა, მოსვლას გეტყვის ღვთისა სულად.
 • რომელმანცა ქრისტე გვიშვე, ღირს-მყავ, წმიდავ, მის-ა სულად.
19. სრულ იქმნა სიტყვა შენს მიერ, წინასწარმეტყველთ თქმულია; სულის-წმიდისა მობერვით გიხილეს შენ ქალწულია, სულ წმიდა, ბიწ-შეუხები, უმწიკვლოდ აღმოსულია; საღხინებულო ცოდვილთავ, აღმოსვი მე დანთქმულია!
20. ტრედო, სოლომონის ქებით უმანჯოო სიწმინდისად, ტიბერიოს კეისრის ზე აღიწერე დიდ დრაქმისად, ტომისაგან დავითისა მითხოვილი ქალი ქმრისად, ტკბილო, შენთა მვედრებელთა აღმომეშვი მე დანთქმისად!

21. უარსო შენით არსებას მიიღებს კაცებისასა,
უსაზღვრო შეისაზღვრება, შენ უვრცელეს გყოფს ცისასა,
უპირატესო არსთასა და ყოვლთა ბუნებისასა,
უშველე არჩილს, მარიამ, ლექსს გიმკობს ვედრებისასა!
22. ფერი ცეცხლებრნი მნათობნი, ვის თვალთა შედგმად ზარობენ,
ფრთითა იფარვენ პირებსა, სამწმინდა არსსა გალობენ,
ფესვედით ოქროვანითა მის მარჯვნივ შენცა გამკობენ;
ფრიად ცოდვილსა, მარიამ, მილხინე, მტრები მხარობენ!
23. ქალწულთა შორის ქებულო, ყოვლთ ტომთა გამორჩეულო,
ქერობინ-სერობინებთა სიწმინდით შენ მორეულო,
ქარტავ გრაგნილო, უხელოდ ღვთის სიტყვით გამოწერულო,
ქმენ მეოხება ჩემზედაც, სხვათ ცოდვილთ ზედა ჩვეულო!
24. დელო, დაუთესველად ხვავისა გამომღებელო,
ღრმად საქებელო ქალწულო და ძისა მაწოვნებელო,
დეღვა-გვემულთა შემწეო, უფსკრულით აღმომღებელო,
ღირს-მყავ წყალობას მე შენსა, მარიამ საგალობელო!
25. ყვავილო იაკობისო, შროშანთა უსურნელესო,
ყოლე ბიწ-შეუხებელო, მზის შარვანდთ უნათლეღესო,
ყრმის მწოვნებელო ქალწულო, შენ წყლული გამიმთელ ესო!
ყოფნი ნუ შემწედ, ღვთისათვის, მტერთა გზა დამიბნელესო.
26. შენ, სულ მცირეო ღრუბელო, ვინ იტვირთ ყოვლთა მტვირთველსა,
შემცველსა გარე არსთასა, სიტყვასა ღვთისა სულ მთელსა,
შეიწყნარ საშოს ცისაგან დაუტევენლსა ნათელსა,
შემცოდეს ცოდვის საპირეს გინდ გამძრკვი შიგნით მითელსა.
27. ჩრდილოვანო მთაო წმინდავ, ღმერთი მოგყავს რომელ სამხრით,
ჩემსა ცოდვას აღგიარებ ღამე, დილით, დღე და სამხრით,
ჩადრკა კაჩა, აღარ ძალუც ზიდვა ზურგით, აღარც სამხრით,
ჩავარდნილ ვარ, აღმომემსვი, ცოდვის უფსკრულს, მისკენ
სამ მხრით.
- 28: ცხადობს აწ ყოვლი იგავით, რაც წინ არ იქადაგება,
ცილობა წარმართებრივი და მათი ტული გაგება,
ცოდვილთა შენ ხარ მეოხი, განდგომილთ კვალად დაგება,
ცილობს ბელიერ დამანთქას; შეპრისხენ, ნუ მექადება!

29. ძალი წინასწარ წერილთა შენ გმკობენ, შენ გქადაგებენ,
ძლევას პირველის მამისას შენ მიერ გარდააგებენ,
ძმაცვაჲს გუნდითურთ ბელიერ და ისევ ველარ აგებენ,
ძალგიძს, ყოვლს ცოდვილს ულხინე და მეცა ნუ დამაგდებენ.
30. წარსწერდა დავით პირველვე ფსალმუნად საგალობელად,
წინაშე შენსა მოვიდა გაბრიელ მახარობელად,
წინდებულ იოსებისა აწ იქმენ ღვთისა მშობელად,
წამლად შენ უხვი წყალობა მეც, მხედავ ვის სალმობელად.
31. ჰირმრავალი, ცოდვა-უფსკრულ გვედრები მე საწყალე,
ჰმუნვა ჩემი სიხარულად შემიცვალე, შემიწყალე,
ჰკუა მომეც სასინანლო, რომელმან შეე, შენ მოწყალე,
ჰანგსა დამხსენ მტერისასა, მერმე შიშით გამიწყალე!
32. ხილმან მოწყულა პირველ ადამ, ერთის მცნების გარდასლვამა,
ხოლო მეთნად სამუდამოდ სრულ ვიცოდე ავ-გულამა,
ხემ მწარისად ნაყოფისა გამოღებად დარგულამა,
ხედავ და მსწრაფლ შემეწივე, თორ დამფარა ცოდვის ლამმა.
33. ჯორცსა ბრძოლა მოერია, სულსა — ზრახვა უმეცრული,
ჯიდი გავდევე, გასვლად წინ მიც, ქვეშ ცოდვა მიდგს ზღვებრ,
ჯივილი და სიტყვა ცუდი არ ვიუქმე სულა ცრული;
ჯამს, რომ შენვე მომიძიო სამწყსო შენი დაქარგული.
არ რული,
34. ჭერკვალნი, დრკუნნი საქმენი ვარჩიე ღვთისა ნებასა,
ჭერეც არ მიძიმს, არ ვინან, სად მოვდრეკ ლალს გონებასა,
ჭეროვანს საქმეს უშენოდ ვერათ ვიქ გაგონებასა.
ჭერ-ვიყო ასრე, მაშინცა შენ გვედრი მოგონებასა.
35. ჭაღვხედ ცოდვისა მწვერვალსა მე, დაუცხრომლად მოქმედი,
ჭაღვაგზენ ყოვლი გულისთქმა, აღვლადენ, ვა, მალლა ქედი,
ჭაღვირ-უხსმელად ვისრბოლე, მგზავსად ვის სჭირდა თავქედი.
ჭალსარება ვთქვი, მილხინე შენ, გვიშვე ვინ შემოქმედი.
36. ში, არა მაქვს ღირსება ვედრებად მოტევებისა,
ში, ღირსი ვარ სამართლით ორსავ სოფლისა ვნებისა,
ში, მარიამ, თუ წმიდა წყალობა მოგინდებისა,
ში, მე ცოდვილს მომხედე, საქები ეს იქნებისა!

27. თუ მხოლოდ ოდენ მართალთას ისმენ ჭუვილს და ვედრებას, არ იქმნას საოცრება რამ, მკვიდრივე იქმნას მკვიდრებას, მე უღირსი ვარ წყალობის, მიზამ — ჰყოფ საკვირველებას, იტყვიან: „უყო უღირსად, შეხედე, მის მოწყალებას!“

16. ანბანთქება ახალი შემოღებული

1. არ ადვილია აღრქალა ამოებისა, ამოსა,
არ ასაგდებად აღმოვთქვა, ამოვიმოწმებ ამოსა;
ადრიდგან არსად არაკად ასმოდეს, აჰა, ამოსა,
არის ასეთი ამბავი, არავის არ ამოსა.
2. ბაგე ბრძანებდეს ბატონის ბასრობას ბოროტებისა;
ბორგდეს, ბუნებით ბრდღვინვიდეს ბარნაბე ბართლომებისა;
ბელი ბელითი ბორბალი ბრუნევედეს ბილწ ბებლებსა;
ბიცი ბჭობანი ბაღეა ბელიერ ბრანგვ ბერებისა.
3. გულვებადი გულისხმა-ვყოთ, განვიხილოთ გულდებულად,
გვეგულება გაგონება გენია-გახელებულად,
გონიერად გავიცადოთ, გან გონებით გულკლებულად?
გარ განგდებას განეშორნეთ, გონჯს გარჯას გაიქებულად.
4. დიდება დიდებულთანი დაშთება დასაგმობელად,
დამპლად, დახსნილთა დრაჰკანნი დაუნჯებ-დასადებელად,
დღითი-დღე დასაკარგავად, დაფანტვად, დასაძებნელად.
დარიც დარობდეს დროიან დილად-რე, დღეინდელ-დელად.
5. ერთ ეტყოდეს ებრაელთას ეზეკია, ესაია:
ერიდენით ეგეთს ეკალს, ენოვანო, ესაია.
ერთი ერთსა ემოწმება: ესე ესრეთ ესაია.
ეცვა ერთსა ეღიშასა ელოვანად ესაია.
6. ვიარე ვრცელნი ვაკენი, ვეცადე, ვერსად ვინანი,
ვითარებითა ვნებულნი ვიხილენ ვინმე ვინანი,
ვნებად ვიცოდე ვნებულმა, ვა, ვაებითა ვინანი,
ვალი ვალზედა ვივალე, ვალალობითა ვინანი.

7. ზარა ზრდის ზორაბაბელსა, ზომისებრ ზნეობიანსა,
 ზატიკობასა ზენასა ზრუნვიან ზინობიანსა.
 ზამბერ ზმნობს ზენაართა ზამთარსა ზამბახიანსა.
 ზოროსტრე ზაულს ზელა ზის, ზრახავს ზეციერს ზიანსა.
8. ამათ სიმრავლე სიტყვათა: არ აქენ ჰე, ჰე-ჰესა;
 მცირედ ითქმიან ამათით, პირველთ მთქმელთ ასე ჰპოვსა;
 ამისთვის დარჩა, სხვათაებრ ქართული ვერ მიშოვსა.
 გვემა ხამს პატრონისაგან ყმისა მის შეუპოვსა.
9. თრიალეთსა თვეებს თვლიან თებერვლითა, თოვლიანსა,
 თხის თიკანსა თოხლიანად, თამაშობა თელოვასა.
 თაქსა თავზე თვალნი თლილნი თომარს თანა თელოვანსა.
 თათარს თმობა თამბაქოსა თრთოლითა თრიაქიანსა.
10. ის იცანით, იქილამე იხილვების, ისვრის ისარს,
 იხილეთა იმისებრი იტყორცება ისე ისარს;
 იმის-მიერ იმხილება, იხელმწიფებს, იკეისარს;
 იგავითა იოსებცა ითქმის, იგი იობის არს.
11. კრიტელთა, კოლასეელთა კარგია კაი კრებანი,
 კავკასთა, კახთა, კლარჯელთა კორტული კისკასობანი,
 კუმუხელთ, კამბეზოვანთა კალობას კორკოტობანი.
 კოჟრის კლდეებმც კარგაა, კმარიან კატუნკობანი.
12. ლალია ლეონ, ლახვრითა ლამის ლახვრიდეს ლომებსა.
 ლერჰუტაეცა ლაფოვანებთა ლორნი ლოკევედენ ლამებსა.
 ლახნი ლამახნი ლოდებთ ლეწევედენ ლურჯსა ლელებსა.
 ლოცა ლამპრითა ლმობიერ ლაზარეთ ლუბიელებსა.
13. მე მახსოვს მრავლად მართალი მონათა მოხსენებელი,
 მზაკვართა, მუცლით მოზღაპრეთ მამონას მოგონებული;
 მალლად მეტყველთა, მგმობართა მართალიც მართ მავნებელი,
 მალლიად მსრბოლთა მოლაღეთ მეფეა მომმონებელი.
14. ნელსაცხებლისებრ ნარდისა ნეტარ-არს ნეტარებანი.
 ნესტვი ნარნარი ნემიას, ნოდარსა ნეტარ-ებანი.
 ნებროთ, ნარიმან, ნუგზარსა ნაცვამთა ნაემნობანი,
 ნაზარ-ალის ნადიმი, ნულლითა ნავროზობანი.

15. ორღანოთ ოქსინოსათა ოსანას ოხრის ოსია.
 ორბანოს ოქროვანები ოროლი ოც-ორასია.
 ოხერსა ონსა ოდესმე ომობდენ ოდენ ოსია.
 ორაგულები, ოთარო, ორბელის ოსაროსია.
16. პატროსნისა პატრონის პატვის-ვსცემ პურადობასა,
 პართთა, პენძელთა, პონტოსა პაპურებრივი პყრობასა,
 პეტრე-პავლესა პორფირთა პირადად-პირადობასა,
 პანკრატოანთა პანკრატის პირობას პატარობასა.
17. უანსა უინად სჭირვებია, ბევრი სიტყვა არ ეთქმისა,
 უანგად გულსა დამაჩნია უთქმელობა მე თითქმისა.
 უამი მოვა შეცოდების, იქნებაცა კვლა აღთქმისა.
 უეშთა ხორცთა უმორჩილო არა-სადა დაინთქმისა.
18. რასალასაცა როტვიან რიტორნი რომელობასა,
 რაბამ რიდობენ რეცადა რაოდენ რომელობასა.
 რაძი რომლისა რკინისას რითამე რად რვალობასა.
 რბიან რეგენულად, რათამცა რისხვიდენ რაინდობასა.
19. სარას სავანეს სრულყოფენ სახესა სამებისასა;
 სამნიც სავსენი სიბრძნითა სოდომელთ საღმობისასა
 სწვიმს საოცრებას სოფლისას, საწვევად სულლებისასა.
 სულლებულს სცნობენ სიცილსა, საცილსა სრულებისასა.
20. ტაბახმელას ტაგნაგელი ტერტერაი ტერტერაობს.
 ტარიელთან ტლაშაძეცა ტორიანად ტურტურაობს.
 ტოლ-ტოლებით ტარივისა ტომარაჟი ტომარაობს.
 ტევრსა ტყესა ტილისმითა ტუნტით ტიტა ტყიურაობს.
21. უსაცილოდ უსულები უხდებოდა უმიროსა.
 ურიათა უმგბარები უჭამია უმი-როსა?
 უცხომ უცხოს უდაბნოსა ულაგოდ უშზიროსა.
 უღირსმანცა უგუნურმან ულახვროდაც უგმიროსა.
22. ფირან, ფარემუხ ფუცვიდეს: ფონთხელა ფონოვანია;
 ფერად-ფერადსა ფართლობას ფრინველთას ფრთით ფრთოვანია:
 ფიცხელი ფრთხილი ფოცხვერი, ფარსადან ფაროვანია.
 ფსი ფოფინებს ფრიადცა, ფინთად-რე ფოფნოვანია.

23. ქურდობაა ქება-რამე ქართველთაგან ქალაქობას,
ქრთამთ ქადება ქართულითა ქალებიან ქულბაქობას,
ქარქაშობა ქოჩობასა, ქოსებისა ქულაობას,
ქიშპებთაგან ქიშპებისა ქართა ქროლით ქოთ-ქოთაბას.
24. ღაღანიძე ღონენაი ღარიბი ღონიერობდეს,
ღოღაბერიძე ღმილით ღორებით ღომს ღაღაობდეს;
ღაზნელი ღალატინი ღამითაც ღობესა ღობდეს,
ღოიშბარია ღინცილით ღაზოდ-რე ღაზლებსა ღებდეს.
25. ყეენურად ყოლა ყმათა ყოვლიად-რე, ყოვლთვინ ყმურად,
ყვირილის-და ყაყანისა ყორული ყოლ ყაფიჩურად,
ყოვლთვინ ყიყინს, ყმაწვილებო, ყიდულობთა ყელ-საყურად.
ყირმიზია ყარამფილი, ყვოდეს-რა ყაყაჩურად.
26. შარვაშიძე შევიფიცე, შირვანისა შარიარი:
შემცდარო, შფოთიანო, შემცოდეო, შორ-იარი.
შინოვანი შინდისიან შეეშეთიღამ შორი-არი.
შეინახვის შროშნებიან შავი შაშვი შეენიარი.
27. ჩამომავალთა ჩვენთაგან ჩანს ჩვენი ჩვეულობანი:
ჩაბალახისა ჩამოცმა, ჩოგნობა, ჩალიჩობანი,
ჩემობა, ჩხუბი, ჩივილი, ჩინჩობა, ჩურჩულობანი,
ჩქარად ჩიტობა ჩექმითა, ჩოხითა ჩაუქობანი.
28. ცუნდრუკო, ცრუო, ცოდვილო, ცოდვია ცოლის ცილება.
ცოფთაგან ცხენოსანისა ცემაა ცდით-რამ ცილება.
ცარიელია, ცუდია ცეცხლითა ცხელთა ცივება.
ცილია ცათა ცვეთანი, ციცისა ცმელთა ცვილება.
29. ძმობილი ძმობილს ძრახვედა, ძელი — ძელს, ძირსა ძერასო.
ძალსა ძალზედა ძლიერებს, ძამიას, ძილსა მბერასო.
ძონძი ძაძისა ძალს-უზამს, ძიძის ძუძუს ძე რასო.
ძულია ძალღი ძილშიაც ძახილობს „ძერა-ძერასო“.
30. წარხდენ წინათ წარწერილნი, წელიწადად წოდებულნი,
წმინდა წინასწარმეტყველნი, წოდებით წარჩინებულნი,

წყლტუნი, წერილნი, წოენის წესით, წილშიდა წამებულნი,
წუწკნი. წოლის წადიერნი, წვალეებისა წილდებულნი.

31. ჳირი ჳირზედა ჳამადთა ჳორადაც ჳეშმარითია;
ჳიბთა, ჳაჳათა ჳირვება ჳმუნვა, ჳრტინვანი, ჳინტია.
ჳარი, ჳილურტი, ჳიტები ჳართალიანად ჳერიტია.
ჳარშაგოსანი ჳილაძე ჳაბუკად ჳერეტად ჳყირტია.
32. ხუროები ხმელსა ხესა ხერხენ ხერხისა ხმარებით.
ხადილობით ხონთჳარიცა ხომალდს ხადის ხან ხარებით,
ხეავს ხორბალსა ხანდაკელნი ხრიდობენა ხომ ხარებით.
ხუმრობაზე ხმიანობენ ხელებიცა ხარხარებით.
33. გმელეთზედა გელთაპურობით გელმწიფეთ გმალი გმალობენ.
გიდ გვირებსა გორციელნი გელოვანნი გელოვნობდენ.
გისიგელნი გეოვანთა გვენენ, გორგითა გმიანობენ.
გოგობი გმობს, გვივილობას, გარი გარობს, გბო გბობენ.
34. გაჯანა გოროსანია, გაყელი — გალაბიანი,
გარში გდომაში გოჯონი, გუბიან-გორაბიანი.
გორჯაძიანი გამასპი გერ-მიჩანს გაჳეებთანნი.
გერნის გერგობას გაერობდა გიმშიტა გაგლაგვიანი.

* * *

35. ანბანთჳებასა ახალსა ნუ შეურაცხყოფთ სიტყვითა;
უშვერსა, უამებელსა ნუ ვინმე აღმოიტყვითა!
ოღონ უწინ ვთჳკვი, თორე-და აწყა თჳკვენ უკეთ იტყვითა.
რალამე სანახავია, რა ყანა წახდეს სეტყვითა?
36. ამ ანბანთჳებას აჯობებს, ვინ თავსაც ბოლოდ მოიყვანს,
ეს ეზოს გარეთ დარჩება, იმას დარბაზსა შეიყვანს;
ღრამატიკასა ამსგავსებს, რიტორობასა აიყვანს.
ვინ ვერ მიხვდება, სად იტყვის, თხლადაა დია, რამც იყვანს.
37. მრავალთ მეფეთ დაუგდიათ უმიზეზოდ მეფობანი,
სვე-დოვლათი, დიდი თემი, ჳალაჳი ან დიდებანი.
ჩემი რად გკვირსთ იძულებით სამყოფთა გარიდებანი?
მაგრამე მაჳკვს შეუჳდემათ ერთის წადიერებანი.

17. ამიტანად სთარგმანებელნი

1. არსი ყოვლთა დამაარსი, სხვა უარსო არსად არი, არასი ხამს შედარება, არს ყოვლს ნივთთა არ-სადარი, არ არიან უიმისოდ არ ღრუბელი, არ სა დარი. ა, ნებაა მის-მიერი, განგვეშოროს არსად არი.
2. არს ერთი რამე ასეთი, ვინ ახსნით, არის სახელი, არა ვარგა რა უმისოდ ქალაქ, სოფლები, სახელი, არ მეფე, არა გლახაკი, არ ბრძენი, არა სახელი. ამას ვინ ახსნის, იცოდეთ, ეს არის ყოვლთა სახელი.
3. ბუნებითა ვინ კაც იყო. სრული ცოდვა არ იცოდა, ბიწოვნება ვერ შეეხო, არას ცოდვით არ იცოდა. ბატონი თუ მოყმე ვინმე, თუ ვერ ვიცნობთ, არი ცოდვა. ბიჭურად ვან ვერ მიხვდება, უმეცრებით შემეცოდვა.
4. ბრძანეთ, ცხენით ცად ვინ ახდა, ქვეყანასა სულ ელია, ბევრი მღვდლობდა ღვთივ-შვენიერ, არა მღრდლობდა სულ ელია, ბრძენთა ადვილ მისახდომი, ეს უნდ იყოს სულელი-ა? ბრიყვი, ვეჭვობ, ვერ მიჰხვდება, ან ვინ არის სულელია.
5. განმიცხადეთ, მეცნიერნო: ცად პირმეტყველად ვინ იწოდეს? განციფრებით სურვილითა უცხოსათვის ვინ იწოდეს? გაიტანჯენ ორსავ სოფელს, ხრმალნი მათზედ ვინ იწოდეს. განმიმარტეთ ეს ამბავი, ვირ წამი წამს დაეწოდეს.
6. გესლ-მკბენელი ერსა დიდსა სასიკვდიინედ ჰკბენდა მწარეთ; გველის სახე, რვალით ქმნილი, ძელს დამსჭვაალეს მოსახმარეთ; განიკურნის, ვინც შეხედის, ან ვინ წარვლის შორით გარეთ. გულს გაავლებთ, უნდა ახსნათ, თორ სხვა ვინმე მოიხმარეთ.
7. დღე ორს ერსა ერთს დღედ უჩნდა და მეორეს — ღამედ, ბინდათ, და მდინარეს სისხლად ხედვენ, მეორე სეამს წყლადვე წმიდათ, დარიგება ნურვის გინდათ, ნურვინ ჰგონებთ ერად პინდათ, დაეხსენით, ვინ ვერ ახსნათ, გასაგონლად რადლა გინდათ?
8. დღეს მოვალს ერთი საცნობლად, ძნელია, ხმა კი გვესმისა; დაგვებრავს, გულსა გვეცემა, პირსა მტვერულად გვესმისა; დგა, სადათ მოვა, სად მივა, არ ვიცით, არ თუ გვესმისა, დაგვეცემს ხანდახან პირდაღმა, მაგრა ზურგს ვერ დაგვესმისა.

9. ეს მიბრძანეთ: ვინ მწირობდა? მამბრეს სამს კაცს ვინ ისტუმრებს? ერთი მართო ცოლ-ქმარანი თუ ვით დახვედნ მყის ი სტუმრებს? ერთი მიბრბის ზვარაკისდა. ერთი პირს ხსნის მაღის ტუმრებს, ერთად ქამეს. აწ მიბრძანეთ: ერთი ორთა სად ისტუმრებს?
10. ერთმან უფროთმან მცურავმან ქვეყანა ააშენაო, ეს იქმნა მიზენ მაშინ, რაც სიკედლის გადაჩა შენაო. ერთხელ არ გეტყვი ნეტარძა, მრავალჯერ გოხვობ შენ. აო. ერმან გამოსცნოთ, თუ ბერმან, აღარვის გინდა შენაო.
11. ვინ სამ ბეწვითა ძლიერებს, მრავალს მებრძოლსა ერია, ვირისა ყბითა ხმელითა ათასი მოკლა ერია, ვის ენდო საქმეს დაფარულს, ვის მცნება გარდაერია, ვთქვათ უზენაოდ არ-ქმნილად, თურე განგება ერია.
12. ვინ ნახა ღვინო. წნესილი ტევანი ეგოს რა ტევნად? ვინმცა ან ცათა შექცეული კეცისა ჭურსა დატევნად? ვისცა ეს სრულად არა სწამს, ცოდვა ვის ექმნას მიტევნად? ვილრე რომნი და ჩინელნი არ მოიყარნენ რა ტევნად
13. ვიტყვი რასმე ამიცანას, ვინცა ახსნით, მად ა გორი: ვინ ვერა სცნობთ, აქ მიბოძეთ, თუ ვისმე გაქვს მანდა გორი. ვით შეგიძნდესთ შესატყობრად, ვაჟო, არის მანდაგორი. ვის ხელთ ჰქონდეს, გამოართვი, სათამაშოდ მანდ აგორი.
14. ზომას გარდახდა, თორე და თორმეტ არვეთა ხო ება? ზომისებრ მოთქვამს: ოდითგან სიწმიდე არ ეთხოება. ზენარით ვიტყვი: მას ჩვენგან სიკეთე არ ეთხოება; ზაკვით განაძო სამოთხის მხედველი, არ ეთხოება.
15. ზრდის ანაგებად სხვადასხვა მართვეთა ვისას ვინაო? ზე ჰაერს ფრინავს, თუ ცურავს, ქვემძრომია თუ მფშვინაო; ზედა მიწევნით ვინ აღზრდის, ველარ წაიყვანს შინაო. ზეპირ მიბრძანე, მთარგმნელო: რას ხველი, რასა ქშინაო?
16. შე, ძველი, ყოვლთა უძველე, მზეს ქვეშ ახლად იხილებს; მადრისა, თუ სხვათ ნივთთა მცენარედ თუ იხილებს, მადრისთა ყოვლთა მიზეზია, არვინ მაზედ იცილებს. შე. მე ვიცი, ის ვერ თარგმნის, ვინ მყუღროს ზის, იხილებს.

17. მე, გვიყვარს, გვინდა ყოველს კაცსა, მაგრამ განქარდეს მტვრად ავლებ,
 მეცადოთ, ვერათ დაიჭერთ. მაღალს ზღუდებსა რად ავლებ?
 მებრ-ბრწყინვალედ მხედველობ, ვირე ხარ, თვალს ზე აავლებ.
 მერთ-წამ ყოველი განქარდეს, მსწრაფლ მიხვდე, თუ გულს
 გაავლებ.
18. თვით სოდომით გომორამდინ თავსა ლტოლვით ვინ ახარებს?
 თქვან სხვათ: ცეცხლით დამწვარს შეშებს სინანულით ვინ ახარებს?
 თვით უზიდავს ზურგიით წყალსა, არ მოინმარს ვინა ხარებს.
 თქმულსა ამას ის გამოსცნობს. სამოელსა ვინ ახარებს.
19. თქმას ლექსისას ეს ზნედა სჭირს: სიტყვას უცხოს შემოიყვანს,
 თვალის მზერით კვერცხს გამოსტეხს, მართვეს ასრე გამოიყვანს.
 თქმულა ფრინვლად, ვერა ფრინავს, თავსა ნავარდა, ვერ აიყვანს.
 თქმულსა ამას ვინ ვერ ახსნი, გიჩუჩუნებს, კაცო, გიყვანს.
20. იტყვით კაცსა უდედ-მამოს, ნათესავიც ვერ ეუხსენეთ!
 ილოცევედა, პირველ მღრდლობდა, თქვით, ვინ იყო, აწ ახსენეთ!
 იერუსალიმს მეფედ იქდა, ესე ჩემგან მოიხსენეთ.
 იცით ვინცა, უმცროსთ ამცნეთ და უფროსებს მოახსენეთ.
21. იყო კაცი ქვაბსა შინა დამალული, არ თუ დავით,
 იგი ვინმე მას სდევნიდა სასიკვდილედ ავსადა ვით,
 ისიც მასვე ქვაბს შევიდა მოსვენებად ვითა და ვით.
 იცნა, მაგრამ არას ავნებს ცხებულობით მშვიდი დავით.
22. კაცით ერთით ყოველს კაცს ზედა, თქვით, სიკვდილი რით შემოხდა?
 კეთილ-ყოფა ბოროტის წილ ან ცხოვრება ვისგან მოხდა?
 კვლავ კაცთაგან უხილავი ზენათ ხილვად ვინ გარდმოხდა?
 კარგ-კაცურად ვინ ვერ სთარგმნით, შეკდემა გიხმსთ, ქუდის მოხდა.
23. კაცი ერთი ორის კაცის ძე, მიბრძანეთ, ვით იქნება?
 კმა არს ცნობად, ვით დაირთო სჯულისაგან, ვით იქ ნება?
 კაცო, ეგ რით დავიჯერო, ორთაგან რით შეიქნება?
 კარგად სცანით, ვის სიბრძნე გაქვსთ; თუ არ იტყვით, არ იქნება.
24. ლტოლვილი მთასა უდაბნოს სად ჰპოებს მუნ სამზადოსა?
 ლოცვა ამას ჰყოფს მართლისა, მფრინველიც მისცემს საზრდოსა.
 ლუკმის პურისა მთხოვარმან, ნახეთ, ვინ გამოზარდოსა!
 ლაყავს ესე სჯობს, ეს ბრძანოთ, ძე თქვენი გაიზარდოსა.

25. ლეკვს დასვამს ერთი მხეცი რამ. სამ ღლე უსულო იდება, ლოკას დაუწყებს მშობელი, ხმა მისი არ იდიდება; ლომი რა ყურსა ჩაპყვირებს, მყის აღდგეს. ღვთისა დიდება! ლმობიერად გიხმსთ თარგმანი, ამისი გამოკიდება.
26. ლოდბარები უხუთ-ასოთ წიგნში ხმას ვერ ამოიღებს, ლაპარაკი არ იქნება, ვერც ვინ სიტყვას შემოიღებს. ლალ-მეტყველნი მსაჯულისგან პასუხს ვერვინ გამოიღებს. ლხინად მჯდომი ვერას იტყვის, მოსამატსა რით მოიღებს?
27. მე უთხარ: გზა მიც საგძელო, მზეს ნუ დაიყვან მოისო. მან მრქვა: გკითხავ რას, მითარგმნე და დაგიყენო, მო, ისო. შითხრა: ვინ ფრდილობს სოფელსა სისხლით და პირს ვინ მოისო? მეგობრად ვის ყვა მზაკვარი, პური-მტედ გვერდს ვინ მოისო?
28. მანს ვიტყვი ძნელ-სათარგმნოსა, შემდგომი ასო იონებს, მამულად არა თარშე აქვს, იოპედ წარსვლად იონებს: მდელი სჯის თავსა, ვინათგან ხელსა ვერ მიპყოფი ი იონებს. მაღლით უფსკრულად შთასრული კვალად აღმოსლვად იონებს.
29. მართვეთა თვისნი მშობელნი არას აკმევენ არასა, მისთვის ყივიან, ჩივიან, სამუდმოდ ხმობენ არ ასა. მეძიებელნი ამისნი თარგმანსა ჰყოვნით ა რასა? მე მითქვამს, აწ თქვენ ახსენით, დაღუმება სჯობს არასა.
30. ნებიერ შვილი გაზრდილი მამას ვინ წაეკიდება? ნებავს დაპყრობა მეფობის, სიმდიდრის გამოკიდება. ნახავს ლაშქარსა მამისას, მყის ლტოლვას მოეკიდება. ნაძვისა ხესა თუ სხვა ხეს ქოჩრით ვინ დაეკიდება?
31. ნათელს რა ველტის უგვამო, ვთქვათ, ან ჩვენ რით მოგვიახლოს? ნანდვილვე არსად უგვამო, ვით ვთქვა, მონათაც გვიახლოს. ნეტარ უმისოდ კაცთ საზრდო რით იქმნას, ვინ განგვიახლოს? ნდომა აქვს ნათლის ხლებისა, იქვი მაქვს, მან არ იახლოს.
32. ოთხ-ხატელთა კიდის-კიდეს ხმა გაისმა საწადელი, ოდითგანით აჩრდილებრთა წარხდა სახე უწინდელი, ოხრა მათი სასურველი ტკბილად გვესმას მაშინდელი. ოქროპირებრ თუ ვერ სთარგმნით, რას გარგიათ სხვა ვინ
მღრღელი?

33. ოდენ აქვთ კაცთა, იტყვიან; გავძლებით მათით არაო.
 ოდეს არა აქვთ, სრულ სდრტვინვენ: რად მეც არა მაქვს, არაო?
 ორთაგან ერთი ყირმიზი, ერთი სპეტაკი არაო.
 ოხრად დაურჩესთ, სხვათ დარჩეს, ვინ ავად მოიმაპარაო.
34. ორფერხი ვინმე ოთხფერხსა დაუძახებს დაედოსა.
 ოდეს დადგეს, ჩამონიღავს. ოთხს ასოს რაც დაედოსა,
 ორთავ სწორად შეუმზადებს, ძმა ეძმოს თუ და ედოსა,
 ობლებს ეტყვის: „სხვას მოგართმევ“, დედიას მზეს დაედოსა.
35. პირველ ჯვარი დაისახვის. როს ყურს მანა გაეცემის,
 პირმზე სიბრძნით კეთილად ჰყოფს, ხრმლით არავის გაეცემის.
 პატივი და სასძლო წმიდა ქალს ავად არ გაეცემის,
 პარვით გავლის კარვის კარსა, ხმა არვისი გაეცემის.
36. პირტყვია, ცეცხლსა განვლის. ვით გრილს წყალსა, დაუწვევლად,
 პოვნა მიწი ძნელი არის, კლდეთ იყოფის თუ აწ ველად;
 პირში ხელსა ვერ ჩაუყოფ. მაშ, დაგრჩება მოუწვევლად.
 პირმეტყველად არ ჩაგაგდებ. ვინცა ახსნი ამას ძნელად.
37. პატროსნად დადებულა განძად, ყოვლთ ნივთთ უმაგრესად;
 პატივითა მას მიართმენ მეფეთ, ჰყვანდეს მოსაგრე სად?
 პრპენსა რბილსა ხელოსნები მოგვითხრობენ მისად მრე სად?
 პირით მისსა გაცემასა ამოიტყვის მოანგრე სად?
38. უამადა გვაქვს თორმეტი რამ, ოთხი კეცი, მე თქმა მაცა,
 უინადა სჭირს სამას სამოცს ხუთი ახლავს, მაცა, მაცა,
 უამი თითოს ათორმეტი ყოვლდღე არ აქვს, ვინცა მაცა?
 უეშთა გექმნეს სათარგმანოდ, მე ხელთა მაქვს; ვინ ამაცა?
39. უანი. მწაღდა, სხვად რამ მეთქვა. მაგრამ სიტყვა დაიზარა,
 უამსა იმას ეს არ იყო, თამარმა შვა ოდეს ზარა?
 უღერს ხმა-მალლა შესატყობრად, დაგვიძახის მის დროს ზარა:
 უორჟოლაძემ თუ ვერ ახსნას, დაუძახეთ „ზარა-ზარა“.
40. რომელმან ცოდვა არა იცოდა, ის ვისმე უთქვამს, ჩვენთვის იცოდა,
 რა არის არსი ან დანაარსი, რომელი ამან არა იცოდა?
 რაბამ ვარ რა მე, მიაშბო რამე, უმისოდ თავი ვინ დაიცო და?
 რამეა ესე, მიბრძანეთ ეს მე: ძმას ვინ ინახავს ან და იცოდა?

41. რა არის გვარი. არა შობს, არც ოდენ გარდაშენდება?
რა სხვა სხვას გვარსა მიუდგეს, მით იშვას, მით მოშენდება;
როს დაიბადოს. მაშინცა მამა არ დაუშვენდება,
რაზომ პატივი მივაპყრათ, ზურგი არ შეუსვენდება.
42. საკმელი მკამელიდან გამოხდა, რა არს ახსენით!
სიტკობებსა ძლიერი გვიწეთის. სახელი ახს ენით.
სერს მსხდომთა. ვეკობ, ავად ჰყოფს; ვინა მის მთქმელი, ახსენით.
სახლსა დაიკვეთთ თავზედა, არ ამოსწყდებით, ახ, სენით.
43. სამს ათეულს ეტლოსანი სრულ ცას ქვეშეთს გარ უარსა,
სოფლებსა და ქალაქებსა არ დაარჩენს დაუარსა;
საცილებლად თუ არვის გაქვსთ, მ.შ. ნუ ბრძანებთ სრულ უარსა,
სახილველად ძნელი არის, ვინ მას ასრე დაუარსა.
44. ტირილი და ლღადება პარმათ ისა მოის როდეს,
ტყება იყო მუნ დედათა, ოდეს ჩვილნი მოისროდეს.
ტოლ-ტოლებსა მახვილით სრვენ, არ ისარსა მოისროდეს,
ტვინთხელსა და გულფიცხელსა რად შეგვანდა ეს ეროდეს?
45. ტალახში რომ იწუმებება განბანილი სანაგროეს,
ტივითმძიმეთა დასასჯელი საქმე რამცა მოიგროეს?
ტირილითა განწმდებრან, ყამი მისი მოიდროეს,
ტბადვე შთავლენ მწვირისასა, სიწმიდე სრულ გაიდროეს.
46. უშობნი ვართ, თუ მეორედ არა ვიშენეთ სუფევისად,
უფლებულ ვართ სატანასგან, მაშ, შექმნილ ვართ სუფევისად;
უფალნი ვართ თავთა ჩვენთა, ნუ ბაძი ვართ სხვის ავისად,
უფროს ბრძენთა ამიხსენით, თქვენთვის მოთქვამს, სხვის არვისად.
47. უსუსურნი რამ ფრინველნი ფრთეთ არათი შეიღებენ,
უბრძანებლად სიბრძნით მრავალს სურნელს თვისად შეიღებენ,
უტკბოს ყოვლთა სანოვაგეთ შემზადებენ, მოგვიღებენ,
უფალნი და ხელმწიფენი მას სიცოცხლედ მიიღებენ.
48. ფიცი და აღთქმა ძნელია, ვით სჯულიც მემოწმებისა,
ფილოსოფოსთა გასინჯეთ სიტყვისა აწ ამებისა:
ფიცს ვერ სტეხს, მამა ასულსა ჰკლავს, ქალიც ეწამებისა.
ფრთხილად თქვით: ცუდათ თავს იკლავს თუ ნებით ეწამებისა?

49. ფრთხილი, პატრონის ერთგული რა არის, ყველა გინახავს, ფიცხი და მრავალ-სახელი გარემოს ყველას გინ ახავს; ფინთი, ბუნებით მოძულე სტუმრისა, რა დაინახავს. ფასიც ღიღი ამს ზოგიერთს, ცუდებსაც ბევრი ინახავს.
50. ქალი მივა, ძელსა ზედა დასაჯდომლად არ დაისომს, ქვეით სითმე გაეცლება, თუმც უპირებს არ და ის ომს. ქვე ჩაიშთო ჭავრიანმან, თუცა ლახვარს არ დაისომს. ქება გიხმსთა, ვინც შეიტყობთ, ამის ნაღველს არ დაისომს.
51. ქალაქს გარეთ ვინ გავიდა ტაბლას მჯდომი ან საღ იყო? ქვე მჩუტრჩნავმან შესაპყრობლად, ბრძანეთ, ხელი ვისმე მიყო? ქათმის ხმობა ვის ატირებს, ვინ მოძღვარი უარიყო? ქება გვიღირს, ვინ შეუნდო, სხვათაგან არ უარი ყო.
52. ქედს ზეითი სულ წყლტუ არის, მას ქვეითი — ფაჩვნიერი, ქალაქს ბიჭებს ერიდება, რა გინდ იყოს შევნიერი; ქება მისი ესევ არის, უნდა იყოს გონიერი. ქაჩიანიც მალ შეიტყობს, ვინ ვერ მიხვდა მეცნიერი.
53. ღამე რამ სენი მომსრველი პირმშოთა სრვიდა უწყალოდ, ღებენ წყრთილებსა სანიშნოდ ოდენ სისხლითა უწყალოდ; ღარიბნი მჭირნი. მუნ მყოფნი, დაიცვენენ, მზობენ საძალოდ. ღვთის რისხვით სრულნი ქალაქნი, ბრძანეთ, ვინ ტირან საბრალოდ?
54. ღრმად რამ მინდა ამოვიწყო, შესატყობრად შეუტყვია, ღალადებს და ვერას იტყვის ჩვენ სასმენლად, შეუტყვია; ღვთის განგებას ვინ მიხვდება, რად სასმენი შეუტყვია? ღარიბსა და თუ მდიდარსა ეს ვისმცა არ შეუტყვია?
55. უდა არა აქვს, ქსელს თვითონ სთავს, ბადესა ჰქსოვს სახანდიროს, ყოვლდღე ამას შეექცევა, უნდა რამ მონადიროს; ყმა არა ჰყავს, ამას სჯერა, შეეყრება მას ნადი როს. ყრმებრ ჩვილებრივ ვინ ვერ ახსნას, თავი მან გაინადიროს.
56. ყოლე სამთა მეფის შიშით ვინ ოქროს ხატს არა უგეს, ყრიდეს ნასხლევს ნაძეძითურთ, მძღავრი ცეცხლს ქვე დაუგეს. ყოფა მათი მოიძაგეს, კერპს ბომონი არ აუგეს, ყოოდეს, ღმერთს აღიღებდეს, სხვა პასუხი გააუგეს.

57. შობას პირველსა ვინ ოსპზედ სცელის, საქმესა იქმს ეს ავსა,
შესცელის კურთხევას კიცხევად, სხვა უკეთეს რას ესავესა?
შემგებრიო მუცელსა გაიძლებს, მამის კურთხევით ესავესა.
შეპავს არ-წყლტუსა, ვინ ახსნით, მონადირესა ეს ავსა.
58. შვიდთად იწყება ყოველი არსი და დასაბამია,
შეჯდომა ეტლთა მნათობთგან სიმალლედ დასაბამია;
შენვე გიხმს, ბრძენო, თუ მეთქვას კარგად რამ დასაბამია.
შემტყობი სასურველია, ვერ-მცნობი დასაბამია.
59. ჩვილს ყმაწვილებს ერთს ქვეყანას ასე წყალში ჩააგდებენ,
ჩასმენ რასმე მდინარესა. ცუდათ არსად გააგდებენ;
ჩახედვენ, თუ ძირს წავიდა, ან თუ ზეით მოიგდებენ.
ჩქარად ბრძანებთ, ვერ მიპხედებით, რომელს რაზედ აიგდებენ.
60. ჩემია ესე ნათქვამი, თქვენცა თქვით ამის სადარი,
ჩაიწვრთნეთ, სცანით, მცნობელნო, სად ქარია და სა დარი?
ჩვენც რამ გვაქვს ფერად, ვერ ვიცნობთ, არ ვიცით, გვიდგა,
სად არი.
ჩვენი ყოფა და სიცოცხლე, ჩვენი მზე, ჩვენი სადარი.
61. ჩალის წონად, მთათ უმძიმედ ბრძენთ რა უთქვამთ, ეს შევიტყოთ,
ჩრდილო-ბღვრით და აღმოსავლით დასავლამდინ თუმცა ვიყოთ,
ჩვენს ხელად ვერ შემოვივდოთ, ვერ ვიმონოთ, ვერც დავიტყოთ.
ჩარხთა ბრუნვა, იგავთ ახსნა ვინ შეიტყოთ, მან დაიტყოთ.
62. ცით ბრძანებულის არა-ქმნად ხელნი ვინ სად განიწოდეს?
ცნობიერად ვერ იქმონენ საქმეს, ვინ რომ მღრღლად იწოდეს.
ცეცხლი უცხო საქმეველად მიაქვთ, ამაღ დაიწოდეს.
ცდით მიბრძანეთ, ესე საქმე ვიზე იქმნა უწინ ოდეს?
63. ცრუ რამეა, დაუდგრომი, ერთი ჩვენი თანამყოლი,
ცდილობს, რომ არ გაგვეყაროს, ვით მუსაიბ-კაამყოლი,
ცარიელი, უსარგებლო, ყოვლის რასმე მიმოყოლი.
ცუდ-მაშვრალად დადებულა კაცი ამისი ამყოლი.
64. ძვალმან, ველად მიგდებულმან, ნომარს ვის წყალი ასო?
ძალისსა თუ ვირისა, გაარჩიეთ, რომლის ასო?
ძალ უზომოდ შეჭურვილმან პირველ ესევე მტერთა ასო.
ძლით ოთხმოც და, თუ ვერა სთქვათ, აწ თქვენ ბრძანეთ.
ბრძენო, ასო.

65. ძალად სჯობს მთრვალსა სპილოსა, კვლავ ასე დადედლებიას:
ძალ-უსუსურსა ქალს-ქალწულს მივა და დამონდებისა,
ძუძუთა ცხვირსა ჩაუდებს, ძალთაგან დასუსტდებისა.
ძმანი ახსნიან თუ დანი საქებრად დაიდებისა.
66. წიგნს ვკითხოთ: იუსჯულოვა უფროს ყოვლთ კაცთა მან ასე,
წინ დაისვენა კერპები, ტყუილი მეტქეას, მანასე,
წაიგდეთ წინა კუროსა, ჩასვით კარს მისა მანა სე,
წილი ხვდა სინანულისა, მით თავი იხსნა მანასე.
67. წყალს იტყვიან ტბად მდგომარედ ყვითლოსანს კაცის მტერად,
წავლენ ნახვად, მოეგებვის წყალი წყნარა ნებიერად.
წარივლტიან მნახავეები, უკან მისდევს ვერ მიმწევრად.
წინ ორმოებს ჩაუთხრიან დასაწყვეტლად, დასაჭერად.
68. ჭრელის კაბისა ცმისათვის ვინანი შურსა მალევედეს?
ჭას ვინ ჩააგდეს, მიბრძანეთ, საჩინოს რასთვინ მალევედეს?
ჭაბუკსა, მშეებრ გავსილსა, სიღრმედ ჩაშვებით მალევედეს.
ჭირსა ჩააგდეს მართალი, უსისხლოდ სისხლსა მალევედეს.
69. ჭრელია უანგარიშოდ, მრავალფრად აგვიჩნდებისა,
ჭაბუკობს, ხან დაბერდება, ხან ვარდებრ გაგვეშლებიას;
ჭირსა და ღზინსა ორსავე სამუდმოდ არ შერჩებისა,
ჭორად არ თქმულა, ვის მოყვრობს, მასცა მალ აეშლებიას.
70. ხედავს წინასწარ თვალითა, თეთრი არ ჰქონდა, შეხე ბა,
ხილვით სულისა თვალითა თქვა შეუხებლის შეხება;
ხმობდა: ქალწულმან ქალწულად შვას ძეო, არ იხერხება.
ხმა მისი კიღის-კიღემდინ გაისმა, ვინ იხერხება.
71. ხედავს სახეს უსულოსა, შენს საქციელს სრულ გიჩვენებს
ხარხარით რა გაიცინო, გაგიცინებს, არ ისვენებს,
ხმას ვეროდეს ამოიღებს და ვერცავის შეგიჩვენებს,
ხატ-კეთილს თავს მოაწონებს, გონჯს თავს ავად შეუჩვენებს.
72. გელი ერთბარ წვიმა ცის ქვეშ კალოს მდებარს არ დაეცა,
გმელი იყო სრულ ქვეყანა, მასზედ ცვარი გარდმოცა,
გელოვნებით ამად სცადა, თუმცა მტერი მას დაეცა.
გელს ვერ ჰყრიდე, ვერ ახსნიდე, მანდ ნუ მიზი, წა, ამეცა!

73. წელით ქმნილი უსულო რამ მინახავს, რომ ფიცხლად იძვრის, გამს, ეს პოოთ, რად არ ძალუძს მისებრ სრბოლა, არას იძვრის. წმელს ვინა ჭდეს, აგრევე მაზედ ზედ ვინ აჭდეს, არ დაიძვრის. წელს ვერა ვპყროთ. რა გაყინოს, მაგრამ ის კი არ დაიზვრის.
74. ჭორმან ნახა ზეციერი კაცი, მაგრამ ხმას ვერ გასცემს, ჭაბნად დადგა. ა-ცა-თართოლდა, ყროყინით სწყევს, ვინ მას გასცემს; ჭდა ვინ ზედა. გაუკვირდა, არგანითა მედგრად მას სცემს. ჭავრმან იპყრა ურჩებისმან, თუ შინ მივა, სხვას კაცს მისცემს.
75. ჭაბანსა ჰგავს თვალად რამე, მის ტოლს ყველას უძლიერე; ჭარად ვლენან. ილაშქრებენ, ამიერით იმიერე; ჭეჯილებიც შემოსვლამდინ საზრდო შინ აქვს მიწიერე. ჭორის შავის მოფერენი თვით სახელი დამიწერე.
76. ჭაი, თუ დაჰკლავს მართალი მამა ძეს, სისხლსა ვის ასომს? ჭაი, არ რიდებს სიკვდილსა, მაგრამ ლახვარსა ვერ ასომს, ჭაი, ვირს ჰკიდებს შეშასა, საყვარელს შვილსა არა სომს. ჭაი, მამისგან ძის დაკლვა უძნელესია მართ ას ომს.
77. ჭაერში ფრინავს, იტყვიან, არაზედ დაჭდების არა, ჭაქვს მაპლის ზურგი დედალსა ბუდედა, ან გაისარა, ჭამბობენ: აქესთო ზოვიერთს მისის ფრთებისა ისარა. ჭე, მეც მინახავს სრულ მთელი მეფესა თავზედ ესევა რა.
78. ში, ებრძვიან ურთიერთს ჩვენი სამუდმოდ სახლები, შო, ერთსა მიჰყავთ აქ მყოფი, სხვას მოჰყავს აქა სახლები, შორთაგან ერთი გვაოხრებს, ერთით მოშენობს სახლები, შო, მის დღეს ერთი კარგია, ერთი არ არი სახლები.

18. სულხანის პასუხად *

აღვძრა ბაგე. გული დავდვა. ეს ვის ზე. მე. თამაშობდეს.
 იცოდი, კალომ მონაკვთე; ნებ ორ პრტყელი ჟამად რბოდეს.

* პასუხია სულხან-საბა ორბელიანის „ანბანთქებისა“:
 აღმას ბასრი ვალესული დაჰკვეთს ენათ, ვამით ზმნათა!
 მე თვით იტყვის: კმარის ღმობა მის ნათქვამთა, ორპირ-თქმათა.
 ჟამად რას სთხოვთ, ტვირთს უმძიმებთ ფუცვით ქმნილთა ღირსთა ყრმათა.
 შლის ჩითს ცა ძლივ წვიმით, ჭეხით, ზე წმელ ჭირკათა ჭაი-ში-სხმათა.

სად ტომ უფროს ფრიად ქმნილა, ღრმა ყოფს შაირს,
ჩურჩენილობდეს.
ცნობით ძალით, წმიდათ ჳკრეტიტ ხელ-გრმლით, ჳვარით, ჳაი,
მომობდეს.

19. ლემსი ჩარხებრ მბრუნავი

1. რა ექმნა? შაირი მით ვიწყე, საქმე დაძვირდა საქმნელად.
კარგი რამ მინდა დავსწერო, ავი არ მინდა სათქმელად.
ეგებ შენდობა ეინმე თქვას, თუ რამ ვარგიყოს აასმენლად!
არ ვიცი, საით მივყავარ სოფელსა მე დასანთქმელად?
2. არ გიკვირსთ ჩემთა მნახველთა, ვით მოვიცადე ამდენად?
ეს ლექსი ჩარხებ მბრუნავი აწ მოვიგონე უსმენლად.
ერთს სტრიქონს სიტყვა რამდენი აქვს, ლექსიც იქმნა იმდენად.
ნაძლევი ვარ, თუ ჩემს წინათ ეთქვას ვის, იყოთ მოსმენად.

I

3. ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო,
ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო,
ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო,
ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო.
4. მოესო ამოებასა იგავით ასოთა შენობს,
მოესო ამოებასა იგავით ასოთა შენობს,
მოესო ამოებასა იგავით ასოთა შენობს,
მოესო ამოებასა იგავით ასოთა შენობს.
5. იგავით ასოთა შენობს მოესო ამოებასა,
იგავით ასოთა შენობს მოესო ამოებასა,
იგავით ასოთა შენობს მოესო ამოებასა,
იგავით ასოთა შენობს მოესო ამოებასა.
6. შენობს იგავით მოესო ამოებასა ასოთა,
შენობს იგავით მოესო ამოებასა ასოთა,
შენობს იგავით მოესო ამოებასა ასოთა,
შენობს იგავით მოესო ამოებასა ასოთა.
7. ასოთა შენობს მოესო ამოებასა იგავით,
ასოთა შენობს მოესო ამოებასა იგავით,

ასოთა შენობს მოესო ამოებასა იგავით,
ასოთა შენობს მოესო ამოებასა იგავით.

II

8. შენობს ასოთა მოესო ამოებასა იგავით,
ასოთა ამოებასა მოესო შენობს იგავით,
მოესო შენობს ასოთა ამოებასა იგავით,
ამოებასა ასოთა შენობს მოესო იგავით.
9. ასოთა ამოებასა მოესო იგავით შენობს,
იგავით ამოებასა მოესო ასოთა შენობს,
ამოებასა იგავით მოესო [ასოთა] შენობს,
მოესო ამოებასა იგავით ასოთა შენობს.
10. ამოებასა იგავით ასოთა შენობს მოესო,
შენობს ასოთა იგავით ამოებასა მოესო,
ასოთა შენობს იგავით ამოებასა მოესო,
იგავით ასოთა შენობს ამოებასა მოესო.
11. მოესო ამოებასა იგავით შენობს ასოთა,
ამოებასა მოესო იგავით შენობს ასოთა,
იგავით შენობს მოესო ამოებასა ასოთა,
შენობს მოესო იგავით ამოებასა ასოთა.
12. იგავით შენობს მოესო ასოთა ამოებასა,
ასოთა შენობს იგავით მოესო ამოებასა,
შენობს მოესო ასოთა იგავით ამოებასა,
მოესო იგავით შენობს ასოთა ამოებასა.


III

13. აბარებ უარს უკეთეს მოეცო მოისარისა,
აბარებ უარს უკეთეს მოეცო მოისარისა,
აბარებ უარს უკეთეს მოეცო მოისარისა,
აბარებ უარს უკეთეს მოეცო მოისარისა *.

20. * * *

იმატა, ასვათ ასეთი:
ითესა თავსა ატამი.

* ესეც ათ სტროფიანია და სიტყვების დალაგების პრინციპი მსგავსია წინა ჩაბეჭდვით მბრუნავი ლექსისა.



გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა

შენსავალი

1. სამგვამოვანო ღვთაებავ, ერთმანერთს არ შემდგომისო, მამავ, მშობელო ძისაო, გამომელენელო სულისო, ერთხელმწიფებავ, ერთნებავ, სამხატო ერთ-ღმრთაებისო, ყოველთ მოწყალევე სიუხვით, უფრო — შენთ მონდობილისო.
2. შენ, სიტყვა-დაუსაბამო, რომელ აღმოთქვა მამამა, ძეო, როს ეშევ ქალწულსა, იღუმა წმასნილობამა, სულო, მესამე გაგვამა ღვთისაგან გამოვლენამა, გამიხვენ თვალნი გონების, დამიბრმო ჩემმა ცოდვამა.
3. კლნიერება არა მაქვს მე თხოვად საწადელისა. „აფფო“ ვიზახდე და ვპკრევედე ელისე ვით ხალუნისა. ჩემთა ცოდვათებრ ნუ დამსჯი მრჩობლთავე მე მოსენისა, სულთა და ხორცთა კურნება, შენ წყალობა ყავ ჩემისა.
4. აღვახვენ ბავე, მწიკვლითა სავეს, არ-მქონე წმიდებით. შენ გიაჯ: მომცე სიბრძნენი, თორ ვიქმნე გარ განკიდებით. ცოდვის მოყვასნი მადლისას, მიკვირს, რად წავეკიდებით! ის სასუფეველს იშოებს, ჩვენ ცეცხლსა წავეკიდებით.
5. ღმერთო, შენ შეჰქმენ სიბრძნითა კაცი ხატებად შენადა, ადამისითგან ყოველთა ძმა შეათვისე, შენა და, განამრავლე და განსთესე, ქვეყანა მით ჰქმენ შენადა, ზოგთ მიეც ყოველი საწადი, ზოგთა — ლახვარი შენადა.
6. შენ ხარ, რომელსა ვერ მიგწვდა ანგელოზთ დასიო კაცებით, ქვეყანა, ზღვა და უფსკრული, ვით შეჰქმენ არსიო ოცებით.

ზოგთ ვისმე რამე უჩვენე, ცხადი იყო თუ ოცნებით,
მაშინც არ იქმნა, სრულ ვერ გთქვეს, ვის სიბრძნე ჰქონდა
ო ცებით.

7. კურთხეულმცა ხარ შენ, ქრისტე, მამის სწორო და სულისა,
ვის ანგელოზი ვერ გაქებს სრულ-ყოფით ცხრად ასულისა!
შენ, მზეო სიმართლისაო, აროდეს არ-დასულისა,
მომეც მე, შენის ნებისა-ყოფა ხელთ მქონდეს სულისა.
8. უქმის სიტყვისა მიცემად თანა-გვაც მაგიერისა,
არ შერაცხს უქმად, დაჰფარავს წყალობა შენმიერისა.
ნუგეშინის-მეც, იმედი მომეც სიმართლის მზერისა.
შენ ხარ მოწყალე ერთბამად ყრმათ, ჭაბუკის და ბერისა.
9. ხამს, სიბრძნესა ოუნჯებდეს, ვინ არ მიჰყვეს ამოებას.
საღვთო სრული, საკაცობო ერთმანერთზედა მოებას,
ყოვლი ავი განიშოროს, კარგს საქმეს ზედა, მო, ებას!
განარჩევდეს დაღრმობილსა, ვინ ერთმანერთს ამოებას.
10. პირველ უნდა ღვთის შიშზედა კაცმან გული დაამყაროს,
სიყვარული მისი ჰქონდეს, სასოება არ გაჰყაროს.
სასოება უეჭველი, ყოლა ეჭვი არ შეჰყაროს,
სიძლიდრესა არ დამონდეს, გლახაკთ მისცეს ან საჰყაროს.
11. სიბრძნესა ვითხოვ, მან მომცეს დაუშრომელი ენა და
გულსა ლახვარი მარიდოს, თვალთ — ცუდი ცრემლთა დენა და
მნებავს ამ ამბის დატკობა, ყურნი მიმიპყრნან სმენადა!
კვლავ მძლეველი მყოს მას ზედა, თუ ვინ გამომყვეს დგენადა.
12. შენ არ გებოძა სადგურად, ვინ მომიყვანდა ამ ოსა?
მონა უხმარი, უღები ვერ მივებაძო ამოსა.
მით შემიწყალე, ვერას ვიქმ საქმესა შენს საამოსა.
შეჰრისხდი, ქრისტე, ვინ შენი ღვთაება არ იწამოსა!
13. არ ძალ-მიც, რაზომ ვირჩები, სიბრძნისა კართა გაღება,
არც არას აქა ქონება, არცა რას სხვაგან წაღება,
შეთხზვნა სულნელთა ყვავილთა, წალკოტ-ქმნა ანუ ბაღება,
სანოვავეთა შეკაზმა, საგებად ვისმე დაგება.
14. რადგან მარწმუნე, ტალანტი, არ მიხმდა, დამემალა მე,
მაგრამ დავჰფარე ბოროტმან, სიმედგრე დამემალა მე.

აწ სინანული მომბადლე, ცრემლს ქვეშე დამე მალამე,
შენ, უსასყიდლოვ გკურნალო, მეწამლე და მემალამე!

15. ვეკვ, ესე ჩემი ნათქვამი — კარგი რამ მოსაგონარი:
არ-საკიცხავი ამბავი, ამო და მოსაწონარი,
არც სხვათ ზღაპრულთა შაირთა ტყუვილად გასაგონარი,
ესევე ვარჩივე დუმილსა, — წაწყმდაო ყოელი მცონარი.
16. სწორად უნდა, ლექსი ვინ თქვას, მართლად სცემდეს, განა
გაპკრას?
თავი კარგად მან აუღოს, ბოლო, უხამს, ზედ მოაკრას;
ვით ხუთძალსა გამართულსა, ქვეიდამე ხელი აპკრას,
ტკბილად იყოს გასაგონი, განა თავსა ვისმე დაპკრას?!
17. ზოგჯერ უნდა წასავლელად, ვით კაბანმა, კაცი აბას,
გული ასრე დაუყენოს, ეგონოს, თუ თოკი აბას;
ერთი რამე სალალობო, ზედ ხუმრობა წამოაბას,
მერმე კიდევ ძნელსა რასმე შეიქმოდენ მასზე, ა ბას.
18. კიდე ვისმე დიდებასა მისცემდეს და აამაღლოს,
კვლავ სოფლისგან ნაღვლიანი მიწამდისინ დაამდაბლოს,
დედ-მამასა აყოლებდეს, უქმოდ მათგან დააბლოს,
ლხინი ჳირად შეუცვალოს, ემდურვიდენ მას საგომბლოს.
19. თვალად ტურფას სანახავსა მდარეც ვინმე შეუერიო,
შვენიერთა შეამკობდეს, დუბჭირთ სახე შეუერიო,
ლამაზებში შენ რასა იქ? არა გრცხვენის შე, უერიო?
იმათ ფასსა ვინ იშოვნის, შენი არის შაუერიო.
20. სალხინოს და სათამაშოს თუცა ჳირი ზედ აბია,
ხილნარი და ბაღ-წალკოტი, ლეინო, ვაშლი, მაზედ ბია,
ნათესავნი შემოაპაროს, მოყვასნი და ასაბია;
ბრძენნი სხედან სიბრძნის ქებად. ყმაწვილებო, რას დარბია?
21. სხვაგან იყოს ვით მორევი, არ ადვილად გასავლელი,
ქვეით ბაგეს შემოადგეს არ ქოჩრამდის დასასველი;
ბევრი ადვილ, ვით თოხარიკს, შარა ედევას წასასვლელი,
ვინ ამ სიტყვას არ შემგერდეს, სასიკვდილოდ დანას ველი.
22. მინახავს მელექსებისა შედრაზედ დიდი ცილება:
ზოგს მართლა დაიწუნებდენ, ზოგისა იყო ცილება.

მოდის, ყველანი ვახსენოთ, ვპყოთ მათი შემოყრილება;
ვის კარგად ეთქვას, ვაქებდეთ, ზოგს ჯაჭვს ვით ჰქონდეს
ყრილება.

23. ვით სიბრძნით ხელყოს ფუტყარმან დატყობა გოლეულსა,
ყვაევილთ ნაყოფი შაქარსა ამსგავსა გარეულსა,
მის გამო მეც რამ დავატყობ, მოდგმა შაქვს გვარეულსა,
ბრძენთაგან მოსაწონარი, არ-ცნობად არეულსა.

ქველთ და ახალთ საქართველოს მელეჩსეთა

24. სხვას ლექსით ჩახრუხაძემა შეამყო მეფე თამარი.
არ მეზრალეზის საქებრად თამარი, მისი ამარი.
ვა, ამით, რომე სრულ ვერ პყო, ადრე უთხარეს სამარი.
მულამ სხვას წიგნებს ვიკითხავთ, მაგრა ისიცა სამ არი.
25. „როსტომიანი“ უთქვამსო თურმანიძესა ხოსროსა.
სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა.
დიდის საქმისა უცოდნი სჯერდება საქმეს მომცროსა,
ახლა ცულად ძეს, მაგრამე მოიხმარების ზოგს დროსა.
26. ნანუჩას რუსთელის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყევია, წმინდა რამ აუმღერევია.
მასთან რას სწერდა მის ლექსსა? სირეგვენე მით მორევია!
რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორევია.
27. ჯაგლაგსა ფავნელიშვილსა არვინ ათხოვებს ყურსაო.
მას ვერცხლი დაუმსხვრევია და ველარ დაუყურსაო.
სულ მელექსენი შევპყარე, მაგრამ ამ ორთა მშურსაო;
რა დავაბრალო ჯაგლაგსა, ვერ მიპყვეს ბედაურსაო?!
28. ქიხოსრომან შიგჩართვით ლექსად თქვა „ომიანი“ —
ომანის სიმხნე-სიქველე, ჯაჭვისცმა მავმნიანი.
კარგად რამ უთქვამს, მის გამო არა ვსთქვი მისი ზიანი,
ყვაევილშიც გამოერევა სულითა ქუფრი რიანი.
29. ფარსადანის-ძემ ნოდარ თქვა ქება კარგა ბარამ-გურის,
შვიდ იყლიმთა ხელმწიფეთა ხობტა სრული, არა გურის,
თვალნი თლილნი მოაფრქვივნა, გარევა ყო არ აგურის.
მის ლექსისა სასმენელად მიპყრობა ხამს კარგა ყურის.

30. ჩოლაყაშვილსა გარსევანს უთქვამს რამე-რაებიო:
 კიტრი ხილად რაღას ვარგა, ვაშლი მოვა, რა ე ბია?
 ესევე სჯობს, რაც მასშია, მისგან მონახსენებია:
 „გული კვდება ნარგისთათვის, თვალნი გაუშტერებია“ *.
31. სულხან ვინ თანიშვილი, მეც მახსოვს, იყო ჩემობას;
 ცოდნა მას ჰქონდა ბევრი რამ, მაგრამ სწამობდენ ჩემობას;
 ამირან დარეჯანის ძეს უქებდა გამოჩვენობას.
 კარგა თქვა, მაგრამ ვერ გვიზამს რუსთვლის თქმულთანა
 ჩვენობას.
32. ბარძიმ ვაჩნადემ „საამის წიგნი“ გალექსა ოდიშსა;
 სხვას მელექსესთან ჯდომაში, უხამს, იხდიდეს ბოდრშსა!
 თუ არ შეეძლო, რისთვის თქვა? რად შეიქმნს საამბოდ იშსა?
 ვეჭვ, თუ არ ეთქვა, მით უთქვამს, საქმეს უზემდენ საშიშსა.
33. აწ სამებელი იაკობ ვახსენო ბრძნად მოუბარო.
 ამყამად მას მეცნიერნი არსად არა ჰყავს უბარო.
 ხუცურის ენით მელექსობს, არის საეროს მგომბარო.
 სრულად ამისთვის არ ვაქე, რომ იყო ჩემი მკობარო.
34. ფეშანგი ფაშვი-ბერტყას ძემ ახლა თქვა „ფირმალიანი“.
 სომხისგან კარგად ჩააგდეთ, სიმძიმით ვით ლიტრიანი;
 გებრალეზოდეთ საბრალო, ცხვირ-მოჭრით თვალ-ცრემლიანი.
 მე ვათქმევინე, მაგრამე ვერა თქვა მარილიანი.
35. სხვათ მელექსეთ არ ვახსენებ: არც ბააკა დვალიძესა,
 არც დათუნა ქვარიანსა, შოთას რად ვერ წაბაძესა?!
 რუსთველმა თქვა: „კაცის-კაცად საქმე რამე დიდი ძესა“.
 ხედავთ ვარსკვლავთ სიმრავლესა, ვერ ედრება შუქით მზესა!
36. ვისცა ეთქვას კარგად რამე, ნუ წაუხდენთ, თქვენცა აქეთ;
 კარგი კარგად მოუწონეთ, ცუდის მთქმელი, მო, დაბაქეთ!
 ვინ ვერ მიპყვეს რუსთვლის თქმულსა, გარდმობდძანდეს ასე აქეთ!
 მელექსობა არ შეშვენის, დააყენეთ მოსაბაქეთ!

* B-ში წითურით შენიშნულია: „ეს ბოლო ერთი სტრიქონი გარსევანის ნათქვა-
 ნია. არ მამიპარავს, მაგრამ სიტყვამ მოახდინა“.

37. ქართველთ ენითა მელექსე ვერ ედარების ამ ორსა:
რუსთველსა ენა-რიტორსა, მეფეს — ალვისა ნამორსა.
ერთმანერთს რად ვაბასეთ? უხამს, უყოფდენ ამბორსა!
სრულად იტყვიან უკლებად ამბავა სპარსთა ნაქორსა.
38. ბევრჯელ მასშია ცილება, ამბობდენ: სჯობსო ეს მასო!
შედარებასა ნუ მოვშლით, უნდა თუ მათცა ესმასო.
ლხინსა გვიჩვენებს ამოსა და გაგვიკეთებს ე სმასო,
ჭირთა უქუგვყრის, სევდასა, გულთა ლახვართა ეს მასო.
39. ვინ ლალთან დადვა აყიყი, მის წყალ-ფერ-გამომცემელი,
ან ტკბილ-მეტყველსა ენასა უდრის გესლ-გამომცემელი?
ეგრეთ ვერ მივპყვეთ რიტორთა უცები, ბრძენთ-საცემელი.
ბრძენო, გენუკავ: ტარიგსა არა ხამს გამომცემელი.
40. რად ხამდა, ეგზომ მუსიკთა მელექსეთ თავსა შევრევდე,
მათ მარგალიტთა ნაფრქვეეთა ღორებრ ვსთარგუნვიდე, შევრევდე,
ან ვარდის ბაღსა ბულბულის ნაყეფსა გავატევერევდე?
მაგრამ ამად ვჰქმენ, სევდასა დავსცემდე, მიწყვი მოვრევდე.
41. მელექსენი ასე ითქვა, ბოლოც მმართვეს შეუთავო,
ბატონი კი შეუღარო, სხვათ რუსთველი გაუთავო.
კარგადა ვთქვა ყველაკი, არ მგონია ვნანუჩაო.
კიდევ რამ ვთქვა, რასა ბრძანებთ, თუ ამაზე გაუთავო?
42. სიბრძნის მცდელნო, ხელის-მყრელნო, გაიგონეთ, განაგ ეს მით?
ორთა ბრძენთა მუსიკობა გულს გაამებთ, განა გესმით.
ტკბილად არის შესახვრეტი, სამსალეზბრივ განა გესმით?
სიტყვა-შაქართ იაღონთა მელექსობა განაგეს მით.
43. იცით: სიბრძნეს არა მალავს მეფე, არცა დიდებული;
გულსა შინა დაფარული ამოიღეს მიდებული;
მიჯნურობა მრავალგვარად თქვეს სახშილებრ კიდებული.
ზოგნი მსიძავთ შეუღარეს, ზოგნიო კი დებული.
44. ყური მიპყართ წადიერად, ნურსად წახვალთ, აქა ებით:
მას უბრძანა თამარ მეფემ, ბატონმა თქვა თავის ნებით.
ბევრი რამ თქვეს მათ ამბავი, გარდალექსეს თარგმანებით;
ამას უკან თქვენც მოგინდესთ, მაგრა მევე დამანებით.

45. შეფე ბევრს რასმე შემოჰკრებს — მიჯნურთა ერთად მკობასა, არ დასწყევტს სიბრძნის წყაროსა, ენისა მუსიკობასა, აქებს შევენება-სიტურფეს, სიფიცხე-კისკასობასა. თუმცა ეწყალების, მაშინცა არ აკლებს ლახვარ-სობასა.
46. რუსთველი მოკლის სიტყვითა მზესა ვით ათინათინებს, მეფე თეთრს ცრემლსა დაწვზედა ფერად რად ათინათინებს; შოთა ზის სიბრძნის ეტლზედა, თავსა მით ათინათ ინებს, ბატონი სჩარხავს სიტყვასა, ავს კარგ თქმად ათ-ინათ-ინებს.
47. თვალს, მიჯნურობით დაბმულსა, უნატრის ახლად ჩენასა, უმზერდეს მიუცილებლად, უწყვეტლად ცრემლთა დენასა; ენას ხმარულობს, მუსიკობს, შეუძნდენ ყურნი სმენასა. მეც მათებრ მაქონ მსმენელთა, ვიტყოდე მათ ოდენასა.
48. ორი არის სიტყვის ცოდნა: სამღდელო და საერო. სამღდელოსა მცოდნინარე საეროსა მოერიო. ამათ ორიც სცოდნებიათ, დაუჩაგრავს მით სწორიო. თქვენც მოგსურდესთ მათი სიბრძნე, თუ ვინ ორშიც გაერიო.
49. აწ თქვენ გასინჯეთ, რომელსა რომელი უკეთ სცოდნოდეს: სამღდელო ანუ საერო, მის-ძის დროს რომელს მოჰქონდეს, ენას მსუბუქად ტკბილად-რე, არ მობრტყოდ, მძიმედ მოსწონდეს, ამის შეტყობა მინდოდეს. ნუ მზრახავთ, ეს მომნდომოდეს.
50. ენათა სწვეთენ გოლეულს, ბაგეთა აშაქარებენ; ხელქმნილსა ხელქმნილისადა საძებრად საღმე არებენ; მიჯნურთა მოტრფიალეთა მხეცებრ აგარეგარებენ, კვლაცა მებრძოლთა ძლიერთა დევთა სრვად ალაშქარებენ.
51. ვინა ვიწყო მათი შედრა, უდარებდე კარგსად ავით, თუცა ვიჯდე სიბრძნის ეტლსა, ვინმარებდე კარგ-სადავით. რად ხამს ბრძენთა არ ხსენება, ვინ აჯობა ქიშპსა დავით? მნათობთ შეუქი არ მოაკლდეს, დუხჭირთ ექმნას ტურფადა ვით.
52. მათ დაურჩათ ბევრი რამე, სიბრძნეს ბოლო არ მოედოს. გეც რამე ვიცი, არ დაეფარავ, ცოდნას კარგი არ მოედოს. აწ გასინჯეთ: თქვენს წინაშე ლექსი ტკბილი რა მომედოს, მაგრამ მაშინც ამას ბრძანებთ: მათგან რამე გარღმომედოს.

53. გასინჯეთ, სობრძნის ტრფიალნო: კარგად მიტყეამს თუ არ-აჲად, მინდა თქვენ გამო გაჩვენო, არ მინდა დასაფარაჲად. ერთხელ ყოვლისა საქმისა ქარი მიქროდა არაჲად, ბოლომდის არვის გაუშეებს სოფელი გაუმწარაჲად.
54. მე ეს ბაასი მასმოდა, შემრჩა ერთს გულის ყურესა. ვინ ბაასობდეს, ღვინოს სმენ და მე კი მამაწყურესა. ოდენ შემოვრჩი ოსეთსა, მათ აღარ მომიყურესა. მარტო ლექსის თქმას დავსჯერდი, მე მისთვის მომასურესა.
55. ამას ის სჯობს: ღვთის შიშზედა საფუძველი კაცმა აგოს, სიწმიდითა შეიყვაროს, სასოება არ გარდაგოს, მტკიცედ ჰქონდეს სარწმუნება, ამ სამსავე ზედ დააგოს, მერმე საქმე მისის ნებით წარემართოს, რაც გააგოს.

გაბაასება მეფის — კატრონის თეიმურაზისა და მელექსით დასაბამის — რიტორის რუსთველისა ამ მიზეზით, რამეთუ მათ მელექსით შედარება მრავალჯერ მასმოდა მე — მეფის

ა რ ჩ ი ლ ს

მეფის თეიმურაზის, ამ ქვემოს ხსენებულთ სახელთა და სარჯელთ ამბავი თეიმანახეთა და თან-ნაახლთ მის ყმათ ქართველთა და კახთა-გან მსმენოდა, არა ხოტბა, არამედ მართალი, რამეთუ: ათორმეტ წელს კახეთს ვმეფობდი. მისნი დაზრდილნი და ნაშასხურნი დარბაისელნი გვერდს მახლდენ, ვკვირბხავდი ნაქმარსა მეფისასა და მიამბობდეს. და როდეს კახეთით იმერეთის დასაქერად წამოველ. სამ წელ არა-მცირე სარჯელი ვნახე და მეოთხეს წელს დავიჭირე, ენკენისთვეს; და თიბათვეს ხეანთქარმა სუაზს აქეთი ლაშქარი გამომისია და მეფე და გურიელი წინ მიეგებნეს და ზოგნი იმერელნი დარბაისელნი. და ყაენმა ადრიბეჯანის ლაშქარი ქართლსა და კახეთს პირს მოუყენა. რომელიც იმერელნი მე მახლდენ, ზოგთ იმათაც იქით ირჩიეს. და დვალეთს გარდმოველ, დედოფალი იქ დავაყენე და მე ექავე იმერეთს ჩაველ და რვას თვეს ჩხერს ვიყავ და ისევ დვალეთს წამოველ. და იქიდან ოსეთს, ფაიქომში გარდმოველ და ერთს წელიწადს იქ ვიდექ.

ვითაც მოწყენილის კაცის წესია რაგინდარას მოგონება და ჭავრის დაუმორჩილებლობა, სხვას ზღაპრულს ამბავს ესევ მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსაჲად. და არცა ამაში ტყუილი სწერია ერთის — მეფისა და რუსთველის პირდაპირ გაბაასების — მეტი. საქართველოს ან-

ბავსაც კარგად და მართლად მოგახსენებს, ბატონებისა და დარბაი-სელთასა; ვითაც ამჟამად ასე სახელის მძებნელი კაცი არ გამოხულა, რომ მეფე თეიმურაზ და მისი სახელი და სარჩელი არ დავჰკარგე და ზევრისაგან უმცირესი ვთქვი. მიზეზად ბატონი და რუსთველი გავა-ბაასე და ორისაც ვსთქვი, რომელს უფრო მართებდა მელექსობის გამოჩენა. და თქვენ გააჩიეთ უმჯობესი. აწ ამაში ბევრი დასახედავი და ავისა და კარგის გასარჩევი სიტყვები, ვეჭობ, შემოხდა საქართვე-ლოს ბატონებზედ და დარბაისელ[თა] ზე[და] და ვინ რომელი აირ-ჩიოს, ის ქნას!

56. ბაასი შოთა რუსთველისა მეფისგან თემურაზისა. —
მათა ენათა სიტყბონი ვსცან მამმშვიდებლად ბრაზისა —
არ-მოკლე, სასაბრძნობელი უგრძეა ბეერ მარაზისა,
მათებრ მეფე და ან მონა, ბრძანეთ, თუ სადლა რა ზისა?
57. მე მოვახსენებ მეფეს და რუსთველს, წინაშე მჯდომარსა,
ცელიღვართ და სრულ ვერ მიმხვდარვართ თქვენ სიბრძნით
მოსაგონარსა,
ლარიბთა ლექსთა შეწყობას, ბრძენთაგან მოსაწონარსა.
ვინ სიბრძნეს ვეძებთ, გადარებთ, დავჰგომობთ უღებს და მცონარსა.
58. ბევრი რამ გითქვამს: სამზღვარი თქვენს შუა რამდენი რამ ძეს,
ვინ ერთი ერთსა მოგიდგეს, დაემღურება მამა ძეს;
დიდი იქნება ცილება, ზოგ-ზოგი კარსაც განაძეს,
გიაჯ, თქვენ გარდაიწყვიტოთ, მე სათხოვარი მიბოძეს.
59. თვით შეექმნათ მათ ცილება, სხვათ მელექსეთ არ ირევენ;
სიტყვას ღრმასა, ბრძნად სასმენსა, შეაწყობენ, არ ირევენ;
სწორს ასახმენ მარგალიტსა, არ თუ მრუდსა გაურევენ.
მათსა პირსა ტბილი წყარო წმიდათ მოსდის, არ ამღვრევენ.
60. ჩახეთ, რუსთველი მეფესა რა ტბილად გასიტყვებოდეს:
ესათნოება, ეკრძალვის, მას უნდა ეს ეტყობოდეს,
არა ჰყრის თავსა სამონოდ, თუმცა თუ დაეტყვებოდეს.
ასრე სწადს: მუდამ გვერც ახლდეს, არც წაშს არ გაეყრებოდეს.

¹ ამის ქორონიკონს ქვემორ ლექსად მოვახსენებ, როდის ითქვა. კიდე ქვემორ ერთი ლექსი სხვა არის, ის გაუწყებლთ. იმ ლექსს ზემოთ ორი გალექსული იამბიკო რომ თავბოლო ლექსად არის, ერთის ანბანთქებით რომ ცხრა ლექსია, ოსეთს და დვალეთს მითქვამს ორს თვესა. და ამას ქვემოთს აწ აშთარხანს ვამბობ. ეგება, ქიცილით ყოფას მიჩემოთ, მაგრამ არ ვიყავ უსაქმოდ, ოღონ[დ] ნამუშავევი ეს გამოჩნდა, სხვა არა რამე.

პასუხი პირველი მეფისა:

61. რუსთველო, ყური მამიპყარ: „გვადრიან მე და შენაო.
ზოგი შენ გაქებს, მე მეტყვის: შოთამ გაჯობა შენაო!
ხან კიდეც გამაგულისეს, მათი მომინდა შენაო,
საკვდავად გამოვიმეტო, ან ამოვართვა ენაო“.

პასუხი პირველი რუსთველისა

62. „მე რას ღირს ვარ თქვენს დარებას, ამხანაგი შემადარონ.
ჩემისთანა ვერსად ჰპოონ, სრულ ხმელეთი მოიარონ;
გრძნებაც რამ ქნან; ცა, ღრუბლითა შეპყრობილი, მოადარონ,
სრულ მეღუქსეთ მიუფროსონ, ვით ისრაელთ მღდელი არონ.“

პასუხი მეორე მეფისა:

63. სრულ მღელქსეთ უფროსობა რასთვის ბრძანე? არ გმართებდა;
არ მეც მათთან დამატანე, ეგ მე ჭავრით ამანთებდა,
ვით ჩამოგყვე, გითავმდაბლო, ჩემ კერძ მყოფთა ვერ ვავებ და,
სხეას ვის გინდ რომ ეუფროსო, ბოლოს მოსულს არ ეძებ და.
64. არც მე მწადდა აწ ბაასი, ვთქვი: აქებდეთ თქვენ რუსთველსა,
ენა ხარბად მოუბარსა, ვითა ტყბილი მოსდის სთველსა.
მაგრამ ავსებს თიატრონსა, ასპარეზსა, კვლაცა ველსა,
ბაასობენ. შეგვადრიან, ზოგჯერ ვხედავ თვალით სეელსა.

პასუხი რუსთველისა:

65. თქვენ ნუ აპყვებით, იუბნან, ვინც უნდა თქვას რა გინდა რა.
ზოგთ თქვენი თქვან და ზოგთ ჩემი, მაგით ვინ დაგვიბინდა რა?
თუ კიდეც ბაასს მიბრძანებთ, მე აღარ მოვალ მანდ, არა.
ჩემსა დამეხსენ, მეფეო, და თქვენი არა მინდა რა.
66. ცუდად ლაყბობენ, შენმა მზემ. ვინ შეადარა ბატონს ყმა?
თქვენ ყურს ნუ უგდებთ, რაზომცა იძახოს ტბაში ბაყაყმა.
სიტყვა-მცდარმან და უცებმან ცუდი თქვას, სიტყვა-ამაყმა,
მათ რომ იუბნან, ჩვენ რა გერჯის, ვინცა დაათროს არაყმა?!

პასუხი მეფისა მესამე:

67. რაღას უშველის, — ამბობენ, — სიტყვასა ამისთანასა?
ზოგი ხმამაღლა ბაასობს და ზოგი იტყვის ბანასა.
ზოგთ ჭავრი ამოატირებს, ლაწვთა შეიქმენ ბანასა.
აწ შენი მკებთ უფროა, ბოლოს ღროს ჰყოფენ ნანასა.

პასუხი რუსთელისა:

68. სანამდის გავსძლებ პასუხის შენახვა-უთქმელობასა?
ვიდრე დარევედეს სიფიციხე გულსა მი-და-მო ლმობასა,
მანამდის პასუხს არ ვიტყვი, შევეპყრა დიდს სალმობასა,
მერმე მეც ვიტყვი პასუხსა, შევსწირავ ლმერთს მადლობასა.

პასუხი მეფისა მეოთხე:

69. რუსთველო, სხვათ მელექსეთა თუცა შენ გაგითავესა,
მე არც გისწორებ, არ იცი, კარგა მჭირს ან თუ ავ ესა.
მე ჩემი ჯობნა მგონია, თუ სხვათ ვერ გამოგდავესა.
ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავესა.
70. ჩემოდნად შენ ვინ ჩაგაგდებს, რაცა სთქვი, — იძულებით-ა.
თამარ მეფემან გიბრძანა, ძალი გიყო თუ ნებითა.
მე ჩემის ნებით გამოვსთქვი, სხვის ვისით შეთქვა თნებითა?
შენ არ გასტყდები, მე გჯობდე, თვარ შემოგფიცავ ყმებითა.

პასუხი რუსთელისა:

71. ჯობნა, მგონი, არვინა თქვას, თქვენ რომ თქვენით თავს იმკობდე,
ჩემი გმართებს სათნობა, სხვათ მელექსეთ ამაყობდე.
მაშინც ისრეე მე მაქებენ, რაზომც გინდა მუსიკობდე;
თავსა არათ არ დაგიღებ, გასწყრე გულით ან სჯავრობდე.
72. მეფევე, სამართლით ბრძანებდე, ხარ რაზომც შეუპოვარი.
შეც რამ ცოდნა მაქვს, თქვენც იცით, არ პირუტყვი ვარ მძოვარი;
ვთქვი ჩემგან უწინ ართქმული, არც შემდგომთ მოსაპოვარი,
თქვენ რა იშოვნეთ თქვენის თქმით? ბევრი ვქმენ მე საშოვარი!

პასუხი მეფისა მეხუთე:

73. ვერ გედარო, რით იქნება? — როგორ იტყვი, ჰაი, ამას?!
ერთის ამბის გარდალექსვა, არ მოხდება, სჯობდეს ამ ასს.
სჯობს, გამიტყდე, ჩამომეხსნა, თვარემ მოგგვრი თვალთა ნამას.
არ თუ მჯობდე, ვერც მედრები, დავიფიცავ ჩემსა მამას.
74. ერთი კაცი ძალის საქმით კარგს იქმოდეს ანუ ავსა,
მას იმდენად ვინ ჩაუგდებს, ვინ მისცემდეს ნებით თავსა?
რა გასინჯავ ჩემს საქმესა, ველარ ითხოვ აგრე დავსა.
რა შარვანდი მზისა მოვა, სხვა მნათობი ყველა დავსა.

75. ასრუ არ გარდაგიწყდება, რაზომ გაგრძელდეს ბაასი, შინაგან მგელ-მტაცებელი, გარ ცხვრის გმოსია დაბასი. ნაძლევი დავდვით, გაჯობო, მომცემი იყო დაბასი, ვერ გაგიტეხო, ტვირთითა ფლური გიბოძო აბასი.

პ ა ს უ ხ ი რ უ ს თ ვ ლ ი ს ა :

76. მეფევ მოწყალევ, თქვენს წიგნში, მგონ, ჩემი ქება სწერია; ხელმწიფევ, სიბრძნით სავსეო, შეც რამ ვსტქვა მოსაფერია; თქვენ ბატონობა შეგშენის, მე ყმა ვარ შესაფერია. არ დაიმადლებ, ამ სიტყვას, მაშ, ძალი გამოყერია!
77. საქართველო სავსე არის. ჩემი წიგნი ყველგან ვაპქუხს; ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ გული ვისცა უწუხს; მხიარულად წაიკითხვენ, მასზედ თვალნი არვის უწუხს; ნუ გასწყრები, ხელმწიფევო, მოგახსენებ კიდევ პააუხს:
78. მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზე შენობს. ამას ზედან რასთვის სწუხხნარ, პირად მზეო, იკრავ შენ ობს? ლექსი ჩემი საამოა, გან საწყინოდ მონაშენობს? ნუ ეპვი, მჯობდე, სიხარულით ცუდად იკრავ დაბდაბ, შენ ობს.

პ ა ს უ ხ ი მ ე ფ ი ს ა მ ე ე ქ ვ ს ე :

79. ჩახრუხაძემ უწინ არ თქვა? რად იპარავ პირველ თქმასა? რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა?! ვეპვი, მას დარჩეს პირველობა, დაგიხიოს შენი მასა, თორემ ვპკითხოთ ქორანიკონს, გაგიჩნდების შენი ბასა.
80. ერთი ვინმე ერთს საქმეზედ მოიცილიდეს, იყოს მაზე; რად დაღონდეს მისსა ქნასა, ოდენ იყოს მონახაზე. კაცს რომ საქმე დაბლა ჰქონდეს, ვინ დააგდო, მონახა ზე? ვერ გაგტეხო, სისხლი ჩემი ხვრიტე, ხორცი გაიმაზე.
81. თუცა შენ იყავ აქამდის უმჯობეს მელექსეთასა, მთიები, ცისკრის ვარსკვლავი, შუქს მიპყვეს ვითა მზეთასა, მებუთძლეს ვინ შეადარებს, ვინ მასთან ჰკრევდეს სეთასა? მე ნუ შედრები, მიყვარხარ უფრორე ჩემთა ყმათასა.
82. სჯობს, გამიტყდე, მართალი სტქვა ის, რომ გჯობვარ, რას უარობ? მე შენ გჯობდე, რა იქნება? სხვათ შენ სჯობხარ, არ უარობ. გული ამას დააჯერე, ნულარ სტმუნავ, ნუ მწუხარობ. ვეპობ, ეპვი შეგივიდა, პირველყმურად ველარ ხარობ.

პასუხი რუსთველისა:

83. მადლი რა გკადრო, თუცაღა გარსევანს ვსჯობდე, ან ბარძიშს, ჩოლაყასშვილს და ვაჩნაძეს რადგან მადარებ, არ მიმძიშს, ერთს კოჩივარდას მქებარსა, მეორე აქებს, მაშ თუ ღიშს, ნუ ბრძანებ, გაგეშარჯება, თორემ მსმენელსა გააღიშს.
84. სწყლიანობ, მეფევე, ჯობნასა არ ჰბრძანებ მართლის გულითა, ერთი მე შეგრჩი არიფი, სხვა ყველა ა ნაბულითა.
თუ ვინ მაქებდეს, რა გაგვა? არ ვიყო დაკარგულითა.
მძიმედ გჩანს ენა ქართველთა, მაშ, ბრძანე არაბულითა!
85. ხელოსანი იმას ჰქვიან, უნახავად შექნას რამე.
ჩემგან უწინ ვის რამ გეთქვათ, ქართველთ ენით ვიწყე რა მე?
ჩემი თქმული სახედ გქონდა, მით რამ იტკბე, მით რამ ამე;
სხვათ მელექსეთ უმჯობესო, თუ არ სწყურები, მე კი დამე.
86. პირველ ხელყოფა საქმისა თქმულა შემდგომთა უძნელად,
სად არ ნათობდეს მზის შუქი, ყოველნი იქმნეს მუნ ბნელად.
შოთამ დაგასწარ მელექსეთ, თქვენცა მობრძანდით თუ ნელად;
მე ვთქვი სრული და უკლები, თქვენ მოგეც შესაძინელად.
87. რაც კარგია მის ქვეყნისა, ვიცი, მეფეს მიერთმისა,
მაგრამ ამას ვერ მოგართმევ, არც საშართლით წამერთმისა.
არ მანებებ, პი, გლახ, რა ვქმნა? აღმოფხვრა არს წამწამ-თმისა.
შემარჩინეთ, თუცა თქვენგან ჯავრი სხვას არ დაეთმისა.

პასუხი მეფისა მეშვიდე:

88. ვერ წაგართმევ, გაგიჩნდება, რა ჩემს საქმეს ვიტყვი ყველას;
არა გდიო შესაპყრობლად, შევარდენმან ვითა ძერას.
რა სიტყვაა, ან ვინ იტყვის: „დაუჩაგრავს ღომი მელას?“
ფეხზე ხელი არ მოგკიდო შენ, სოროში შემძრომელას².
89. ერთსა უმეფოს ქალაქსა რა მოურავი დაჯდესა,
მას აქებდენ და მონებდენ, ყოველნი მას ეაჯდესა,

² B ხელნაწერში ამის შემდეგ იკითხება ასეთი სტროფი (იგი A და C ხელნაწერს არ მოეპოვება):

ერთ ქვეყანას არ იყო და ვირს დაარქვეს მთვარისახარ,
თუ სცოდნოდათ მოახლობა და ენახათ ან ისახარ,
ვირსა რალად დაარქმევდენ, აგრე ბრიყვი რასთვისა ხარ?
სხვა არ იყოს, შენ გაქებდენ, რაზე პირვეარს დასახარ?

დარბოდეს მისგან წარგზავნით, გზირი თავს გაიქაჯდესა, პატრონი მივა, დასჩაგრავს, ტახტიდამ ვირსა გაჯდესა.

პ ა ს უ ხ ი რ უ ს თ ე ლ ი ს ა :

90. მეფე, დიად, ამიჩქარდა, თოფი მკარით ან გამისრეთ, შემომკარით ხმალი თქვენი, ფრანგული და ან გამისრეთ. რასთვის ჩავყვევ ბაასშიგან? არ ვპგონებდი იმას ისრეთ, რამან კაცმან შემობრალოთ, მტერთაგანმცა თქვენ მოისრეთ.
91. გავს, შედრახა არ სჯერდება, ასე რიგად ამიჩემა, მტერი ამას ვერ მიზემდა, მე რომ საქმე მიყო ჩემმა. სხვათ მელექსეთ არ შეხედავს, ასრე სულ მე დამეჩემა. ან მე რალას მოვანსენებ? მიყვირს, რა სთქვი და მეჩემა?
92. უთქვამს ვისმე: „ძველს შარას და ძველს მოყვარეს ნუ დააგდებთ“. ძველთაგანვე მელექსეთა მამობილებთ და მე მადებთ. რაც კარგი სთქვათ თქვენის ნებით, ისრე თქვენვე მე დამადებთ, უწინ ყველამ მე მითავეთ, ახლა როგორ გარდამაგდებთ?
93. სხვა ჩემებრივ არ ნახულა, თუცა ბევრჯელ მონახულა, წყალობითა შენახულა, არ თუ რისხვით დამარხულა. ხმალი შენც გაქვს სისხლის მღვრელი, მაგრამ ჩემზედ არ მახულა, ბევრს დიდს დარბაზს აჯობინეს, მონახაზეთ მონახულა.
94. შემძლე ცხენი იმას ჰქვიან, მალ მივიდეს მანძილამდის, თვარამ ზანტმაც წყნარა-წყნარა მიაწიოს მან ძილამდის. აქა-იქი შეპკრებ რასმე ყვავილებსა ენძელამდის, იოსების ქებაშია ბებიასა გაზრდილამდის.

პ ა ს უ ხ ი მ ე ფ ი ს ა მ ე რ ვ ე :

95. ღმერთმან იგი შენ დაგმართოს, რასაც ჩემთვის განიგულავ. შენ ანჩხლობ და სჯავრიანობ, მე მიძახა: „განი გულავ!“ გულის კარი საორგულოდ გაგოლია, გან იგულავ; თუმცა უწინ შენ გაქებდენ, აწყა ჩემგან დაკარგულავ.
96. გაიგონე, შენც გასინჯე, მე ამათგან არ მეცალა; ბევრგნით საქმე, გარდმეკიდა, ერთგნივ სიბრძნე ამეცალა. არას საქმით არ მომშორდა, არც ცოტად-რე გამეცალა. ჩემმა მზემა, მთვარეს ლები დააჩნია, ა მეც ალა.

97. სად მეცალა ლექსისათვის, ჳირსა შინა გული იობს, სხვა ჩემდენი განსაცდელი ვის გარდაჰხდა, არ თუ იობს? ის მოიცილის საშაიროდ, ვინ არ ჳმუნავს, ვინ არიობს. ჩემს ჳობნასა, ვეჳვ, რუსთველი გულს აჳერებს, განა გიობს?
98. ვინ მოსთვლის ჩემსა სარჳელსა ანუ ეგზომსა ჳირებსა, ხან ადვილ გამარჳვებასა, ხან ძნელად გასაჳირებსა, განსაცდელისა საჳრველთა იგ ძნელად მონაჳირებსა, ჩემთა საყოლთა დახოცას, ბროლ-მინა განამჳვირებსა.
99. მე და შენ ვინ შეგვადარებს? სად ჩემი საქმე, სად შენი? თუ ჳობნა შენი ვინმე თჳქვას, სიტყვაა არ-მოსასმენი! სიყმაწვილითგან სიკვდილმე საქმე მჳირს თავსა საშენი: ამოსწყდა ჩემი ჳვეყანა, ოხერი ვერ ავაშენი³.

პ ა ს უ ხ ი რ უ ს თ ვ ლ ი ს ა :

100. მეფევე, დასწყნარდი, ნუ სჳავრობ, ყური მომიგდე, გონია: რა ხელმწიფობით მაჳობო, სხვითა ნურათი გგონია. ნიადაგ ჩემის ლექსისა ჳება თჳვენც გაგიგონია. მე ათინას ვარ გაზრდილი, შენ სამ წელ გჳონდა გონია.
101. ათინას თჳმულა სიბრძნისა მოპოვნა-მოშოებანი. ჩემი ნათჳვამი წინწილად, ტბილ-გასაგონად ებანი — მალლა მოგძახისთ მელეჳსეთ, ეს კმარა, თუცა ებანი. მაგ საქმით თუ მედარები, სხვას გიჳობს ლონისძებანი.
102. თჳვენს წიგნში დაგიწერია, ჳგულისობ ჩემსა ჳებასა. სხვა მელეჳსენი, მეფეო, თჳვენს მეტი ვერვინ მებასა. არ ჩამოგივალ მაშინცა, ყელსა საბელი მებასა; თუ ვინ სთჳვას შენი მჳობნება, ნუ დამხსნი ცრემლთა დებასა.
103. მო, ასრე ვთჳვათ: თჳვენი თჳმული ჩემისთანა ვითამ არის, შევინახოთ საუნჯეში მობარებით ვით ამარის. მგონი, წყრომა აღარ გმართებს, მიბრძანებლდე ვით თამარ ის, უშვერი და უეუფერი სად რა მითჳვამს, ვითამ არის?

³ ეს სტროფი A ხელნაწერში იკითხება ამგვარად:
 ვინ შეგვადრის მე და შენა? სად ჳმნილს ჩემსა სადა შენსა?
 თუ ვინ ჳობნას შენსა იტყვის, სიტყვას ამბობს არ სასმენსა.
 სიყმაწვილით სიბერემდის საქმეს ვსჳკრეტლი თავსაშენსა.
 ამომიწყდა სახელმწიფო, ოხერს ვმზერდი ახაშენსა.

პასუხი მეფისა მეცხრე:

104. მე მიზრანე ქვეყნის მოვლა, არ გმართებდა გეთქვა შენით; მართალია, ბევრი ვნახე ოხერი და მერმე შენით, სოფლის საქმით შექცეულნი სიბრთელით და ზოგნი სენით, ერთი ამბის გარდალექსვა რა ძნელია ბევრის ენით?
105. ქრისტე ბრძანებს, შენც ვასმია, დევნულთათვის ნეტარებას. სხვა თუ რამე დავაშავე, მისთვისა ვიქმ მე ტარებას. თუმცა შექონდეს, არას ვირცხვი ცრემლთა მილია კარკარებას. მისთვის მიყვეს, რასთვის მიგმობ სიარულსა, კარ-კარ რებას?
106. რაც ენაა; ყველა გითქვამს, სომხური და მეგრულიცა; ყოვლი არსი შეგიყრია, დაბალი და მაღალიცა; რა გინდ ბევრი ცოდნა გქონდეს, ვერ აყვები, ვინცა იცა. არ დასდგები, დაგარისხებ, ვინ ეგვიპტე გააბიცი.
107. მე ოდენ ქართულს ენასა მარილად ვურთე სპარსული, თათრულიც გამირევი, მიქია მათი არსული. ამ სამის მეტი თუ ნახო, გინახესც ყბა-გაპარსული. ბაასის ხთველი წაგიხდა და დაგისეტყვა მასული.

პასუხი რუსთველისა:

108. ჯბანია იგი მოყმე, ვინ ქიშპისგან ადრე იძლევეს; ხარბი კაცის წესი არის: თვით არ მისცემს, სხვისგან იძლევეს. ნუ გამიწყრეს მეფე ჩემი, ვერ იშოვნი მაგით ნაძლევეს. ჩემს ლექსს თავი გასწყობია, ბოლოს თარგმანს ტანი აძლევეს.
109. დავითის ნათესავი ხარ, წართმა გასწავლა სხვისა მან, ვის ერთი ჰყვანდა, წაპგვარა პატრონმან ბევრის სხვისამან, მაგრამ მან შეანანია, უჩვენა ცა რისხვისა მან. რას მერჩი? რას გარღმეკიდე? სამართალი ქმნას ისამან.
110. ვერცხლი არ არის, ტრფიალი ვერცხლისა გაძლა არაო, რას მეცილები? შენ ღმერთმა მეფობა მოგაბარაო. უსამართლოსა მოცილეს, კარგა ქნა, მან წაგვარაო. მე დამეხსენ და შეგამკობ, ვიტყვი: „მელექსედ კმარაო“.
111. თამარ მეფით აქანამდის ვიმატე და... დავიკარგე. რა მომხდარა მაგისთანა? ახლა როგორ დავიკარგე?

ტანი ზროდ ვსტქვი, ვის ვაქებდი, პირი მათი გაუმანგე.
თუ გამაგდო მელექსეთგან, შენ სამკვიდრო ლელვი დარგე.

პ ა ს უ ხ ი მ ე ფ ი ს ა მ ე ა თ ე :

112. რას მიზრახავ უსამართლოს? მითხარ, ვის რა გამოვართვი?
ვინც დამმონდა, დამმორჩილდა, მათ ბევრი რამ არ მოვართვი?
ძალად მივსცემ არვის არას, გაიგონე, არ ხარ დათვი.
ბირთველმაც თქვა ჩემი ძვირი, ენა ძირში ამოვართვი.
113. მე რუსთველი ველარ მომყვა, სჯობს, სხვა ღონე მოინახოს,
თვითონ მარტო ველარ ჰბედავს, სრულ მელექსე მო ინახოს.
თუ ტყუილად შემეჩემოს, მობრძანდეს და მოინახოს;
ლექსის ყანა, მგონ, წაუხნდა, აწ მოჰკაფდეს მთაში ახოს⁴.
114. ნუ მოჰკვდები, ამას იქით ვერ დავშველდეთ შუამავლით,
შენ დაშავდე შენი ენით, ვით მიმინო მხარზე მავლით.
გარდმეხვეწო ვერსად ვერა სიარულით აგრე მავლით,
კიდევ გული მომიბრუნდა. შოდი, თავსა შემომავლით.
115. ამ სიტყვასა ტკბილად გითხრობ, გაგეხარდეს, არ გეტყვი ზარს.
თუ შენ მჯობხარ, გრემს მოგცემ და ზედ დაგიღებ მერმე ბაზარს;
თავსა ჯილით აღგიმალლებ, წამოგასხამ განა მაზარს;
ბერი ხარ და ლიტრით მოგცემ სიჭაბუკის შენა ფაზარს.

პ ა ს უ ხ ი რ უ ს თ ვ ლ ი ს ა :

116. შენ არა გაქვს, მე რას მომცემ, მაგ ნაძლევით არ იქნება.
მერმე ორიგ ოხერია, ძნელი არის აშენება.
მე ეს მინდა: მიჯობინო და ჩამომყვე, დამართო ნება.
სხვამც რა მინდეს მოსაცემი, გული ჩემი მისთვის დნება.
117. აღარ მინდა საშოვარი. გული ასრე შემიწუხნდა,
ერთხელ მქონდა დარი მზითა, ცა რისხვითა არ მიქუხნდა,
მომამძლევე ჩემი ყოფა, თვალნი მზერად დამიწუხნდა,
შენამდისი სხვა მელექსე რუსთველს ბრძოლად ვინ მოუხნდა?

⁴ ამის შემდეგ S — ხელნაწერში მოთავსებულია 205-ე სტროფის პირველი ორი ტაეპი:

ორთავ უხამს დიდი ქება, მსმენელს დიდსა სიბრძნეს მოსცემს,
მათი ტკბილი მეტყველება მიჯნურთ გულსა ლახვარს ვასცემს.

118. აქანამდის არვის უთქვამს: „მოთას ლექსსა შეეუდარებ“. ეს არა სჯობს ცილებასა, მე ვიტყვი და თქვენ გაბარებ: თუ რას ვიტყვი საგულისოს, მომკლავ, ვიცი, მასუდარებ, აქ აღარსად დამაყენებ, გარ გამაძებ, ცუდად მარებ.
119. ვიცი, ავად ჩამომართმენ, რადგან სწორი სიტყვა გაადრე, მაგრამ რაღას გამოვჩნდები, თუ მელექსეთ დაუვარდე? ვაუკაცები ვასახელე, ქალებს ლაწვი გაუვარდე, მაშინ სტნობენ ჩემს ბაქებსა, თუ სხვას ვისმე გაუვარდე.

პ ა ს უ ზ ი მ ე ფ ი ს ა მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე :

120. შენ ასეთი სად რა ვითქვამს, მე არ მეთქვას უკეთესად? ომი მისთვის არ გავლექსე, მე თვით ვექმენ მტერთა კვენსად. უცხოდ გიჩნდა, შენ მისთვის სთქვი მოუშკალი დანათესად. ჩემთვის კვენხნად არ ჩაგეგლო, მაჯობებდი მაგით მე სად?
121. გამისინჯე, სად მმართებდა გუნებისა შემოკრება; თუცა მინდა გასაძებლად, მაგრამ სიბრძნე არ მეყრება. მომაგონდეს ჩემი საქმე, ბევრჯელ გულს შემომეყრება. არც სულ ჯავრსა დავმორჩილდი, ლექსადა ვთქვი შვილი კრება.

პ ა ს უ ზ ი რ უ ს თ ვ ლ ი ს ა :

122. ველარ გავსძლებ მუქარასა, არ ვიყურებ ამბობ, ტო, რას, მარჯანი ვარ, მამიტიო და მადეენო ჩიტსა ტორას, სხვაგნით სითმე გარდგივარდე, ველარ დამკრავ თავსა ტორას. ყმანი ყველა გაგეცლებით, გაგიჩნდების იქ მარტო რას?
123. რაც არ გონია; ის იქნას, ძვირ იქნას მოგონებული. სიჩქარესა სჯობს სიწყნარე, უსმენსა — გაგონებული, პატრონის ყმისგან ურჩობას — უკეთეს დამონებული. მაშა, სოფელმან დამაგლო მოწყლული, საარებული.

პ ა ს უ ზ ი მ ე ფ ი ს ა მ ე თ ო რ მ ე ტ ე :

124. ლაზოდა სთქვი, შემოილე ჯავახური ენა მძიმე. ქისიყურად პასუხს მოგცემ, ამიხვიდე შენ ვინძი მე. ძოღან, დიად, მაწყენინე, მხიარულსა დამიძიმე, სიტყვის უქმსა რადგან ცუდი სიტყვა წაგცდა, ნეტარძი მე!

125. უყურებ ბრიყვსა მესხსა და ამავსა, შეუპოვარსა!
 რაღას გელაყბო ჯავახსა; ღარიბსა, შე, უპოვარსა;
 ტურას; მძორისა მკამელსა; ზროხას, ბაღახის მძოვარსა;
 ყბელსა, გულ-დიღსა; მტერობა აქლემისებრსა მხსოვარსა.

პ ა ს უ ხ ი რ უ ს თ ვ ლ ი ს ა :

126. რასთვის ჩამოგყევ ბაასში? რად შევსციდი? რა დამტყუთა?
 ხმალიც მოგეკრა საკვდავად, გლახ, ხორცი ჩემი გეფტობ.
 სხვა მონა ვინ შეეღარა ჭკვიანი თვისთა მეფეთა?!
 ყვაემა, ყორანმა დამძახა, მო, ძალღონო, თქვენც დამყევთა!

127. მეფეო, გინამს დიდება, მუდამ ქვეშ ფენა წახლისა,
 შენმან მტერმან და ორგულმან თავი მიწასა ახლისა!
 საღვთოს სწავლისა მოსურნე ყველანი შენ გინახლისა,
 თვით უწყი, სადა სწერია: „მველი უმჯობეს ახლისა-ა“.

პ ა ს უ ხ ი მ ე ფ ე ის ა მ ე ც ა მ ე ტ ე :

128. მართალია, შენი წიგნი ყარგი იყო საქამდისა,
 ახლა ჩემმა დააჭარბა, ამაღ ცრემლი ჩამოგდისა.
 მთვარე დამეს გაანათლებს, მერმე ჰფარავს შუქი მზისა,
 ჩემმა წიგნმა დააჭარბა შენს წიგნს, ვინც სწერს, ცუდად ზისა.

129. ჰე, რუსთველო, მობიტანტე; დადევ, სიტყვა შეხნახტე!
 საღვთო სწავლით ვერ ამიხვალ, სატროვე მოინახტე;
 შაღალს საროს ვერ შესწვდები, გლახ, დაშალო მოი, ნახტე!
 ქრისტე არის მართლმსაჯული; მოციქულნი მოინახტე.

პ ა ს უ ხ ი რ უ ს თ ვ ლ ი ს ა :

130. მეფეე, არ იყო სათქმელი წიგნის წახდენა თქვენგანა.
 ჯავრითა ბრძანებ მაგ სიტყვას, თვარა არ იცი შენ განა?
 მე ეს მერჩივა მაგ სიტყვას, თავს გარდმოგეკრა დავანა.
 თქვენგან არ იყო სათქმელი, არ მიევირს უკოთავანა.

131. შენ უკეთ იცი, მეფეო, პტოლემეთისის ნაქნარი.
 ვეზირთ უბრძანა: „მირჩიეთ საქმე რა ჩემგან საქნარი.
 ყველა წახდეს და იგი არ, ვით დავითს ებან ან ქნარი.
 ერთი რამ მინდა დავავდო, სოფლისგან არ-დასანთქნარი“.

132. ვეჭირთ ჰკადრეს: „ხელმწიფეო, ერთობ ძნელი საქმე გვეითხე. ერთს რჩევასა მოგახსენებთ, თქვენცა გული გაიკითხე: ისრაელთა წიგნებისა ბერძულ ბრძანე წასაიკითხე. თუ ვინ უკეთ მოგახსენოს, ის ლომ ქმენ და ჩვენ კი გვეიფხე.“
133. არ დარჩეს დაურღვეველი ნაშენი ქვა-ქვაზედაო“. მადლი უბრძანა მეფემან: „მეც აგრე დამეხედაო. მე თქვენი კითხვა კარგად ვქმენ, არ-ცუდად დამეყებდაო“. დასჯერდა მეფე რჩევასა, დაასკენეს ამაზედაო.
- 134 მოიხვნეს ყოვლი წიგნები წინასწარ-თქმულნი შესაქმით, გამოსლვით, მეორეს რჯულთა, მსაჯულთა, ნეშტთა, ეზრაქით. წარმავალს ცოდნას რას მისდევით, წარუვალთა ეს აქით. დიდი საუნჯე დაუგდეს, ბერძენთა დარჩა მას აქით.
135. დაუყვეს ყოვლი წიგნები მწიგნობრებს, სიბრძნით ქებულსა, მისცემდეს თვითონ ყველასა მუნ მდგომთა ჩარიგებულსა, გამოაჩინენ განმარტვით აქამდის ცუდად დებულსა. წილად ჰხედა ესაიასი სვიმიონ მოხუცებულსა.
136. იკითხა, პოვა ეს სიტყვა, შეიქნა განცვიფრებული: „აჰა, მიუღდეს ქალწული, შვას ძეო“ — განკვირვებული გაყუჩდა, ჩხრეკა დაუწყო: არ იყოს ასო კლებული, თვარე ვინ ნახა, ვინა თქვა უნივთო განივთებული?
137. ამ სიტყვასა ვერ ვირწმუნებ, წავიკითხო ათასჯერა. ვით ქალწულმან ქალწულებით ძე შობოსო? — არა მჯერა. „იევმანოელ“ თარგმანებით ღმერთი არის, — ვით მაჯერა? ხმამალამან ესაიამ რად დაწერა, გამაჯერა?
138. მას მოუხდა ანგელოზი: „რად არა გრწამს? რად მიზეზე? დაწერე და ვირ არ ნახო, შენ არ მოჰყვდე, იყო ზეზე. ქვაბსა იშვას ბეთლემისას, სად მიუშვან ხარი ბზეზე, შემოქმედი ხორციით ნახო, აღარ ჰქონდეს თვალი მზეზე“.
139. ირწმუნა, გარდმოსთარგმნიდა, დაეხსნა ამ დავებასა. იშვა ძე დვთისა ცხოველი, სოფელი დახსნა ვებასა. სამოთხით გამოძებულნი ამად ვიქმთ იქვე შვებასა, უძღურმან მკლავთა მიირქვა, ვვედრა განტევებასა.

140. თუ წიგნები წახდებოდეს, მაშ, პტოლემოს ცუდად შერება.
ერთობ ასრე შემაწუხე, მომინდება სხვაგან რება.
ერთხელ კიდევ გამაგონებ, ხორცსა სული გაეყრება.
ნულარ ბრძანებ მაგ სიტყვასა, შენი ჭირი შემეყრება.
141. ამასაც ვიტყვი, მეფეო, თუ თქვენი ყური ინებსა:
მონანი, შენნი ერთგულნი, რად გამოგართმენ სივლებსა?
თხელს ქალაღს დაიწუნებენ, ეტრატზე სწერენ წიგნებსა.
თუ კიდევ ბრძანებ წახდენას, საქმეს იქ დასაყინებსა,
142. თქვი, რაც გინდეს საბრძანებლად, გარდამიწყდეს ერთხელ რამცა,
მას ვჰმადლობდე, ვინ ქვეყანა დაამყარა, შექმნა რამ ცა.
თუ ავად ვთქვი, თამარ მეფემ საჯილდოო რასთვის მამცა?
ვინ შენ თავსა მბაასებს, მილალატა, დანა დამცა.

პ ა ს უ ხ ი მ ე ფ ე ის ა მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე :

143. ბოლოს საღმრთო შემოიღე, არ გიჯობდა მაგისი თქმა.
პასუხს მოგცემ ბაასისას, გაქნევირო, ვეჭობ, აღთქმა,
საღვთოდ მაშინც უეჭველად შემიძლია შენი დანთქმა.
შენ ტალანტი დაგიმაღავს, მოვობოვო ჩემი დრაქმა.
144. მართალია, არ წახდება ეგ წიგნები არაოდეს,
წყეულია იგი კაცი, არა სწამდეს, მაგას ჰგმობდეს,
ანუ მართლა არ ესმოდეს და მუცლითა მოზღაპრობდეს,
არ ემთხვიოს სასოებით, ავად ხელსა მიაპყრობდეს.
145. ზოგი ახლავ აღასრულებს მაგ წიგნებმა თვისი თქმული,
სხვანი არის აღსასრულად, თუმც ჯერ არის დაკარგული.
რქა დონისაც არ წახდების, არც იოტა არს დანთქმული;
მთქმელთ იშოვნეს ცხოვრებისა წარუვალი მუნ მამული.
146. კვალად მოვიდეს იესო მუნ აღსასრულსა ჟამისა;
ანგელოზთ დასი მოპყვება, ვნახოთ დიდება მიმისა,
მისთა დამსჯელთა წყეულთა ნიში ეჩვენოს ჯვარისა,
მაშინ ტიროდენ ურგებად, დადენა იყოს ღვარისა.
147. სახარებას ხელთ დაიჭერს, ჯვარსა წინა მოიძღვანებს;
საყვირსა ჰკრავს ანგელოზი, შემოქმედი რა უბრძანებს;
ყოვლნი მკვდარნი აღდგებიან, ვინ იგლოვს და ვინ იხარებს,
ცეცხლის ალი საშინელი ცოდვილთ მწარედ ამწუხარებს.

148. მაშინ დასხდენ მოციქულნი ათორმეტსა საყდარზედა, ორ-ექვს ტომთა ისრაელთა მუნ განკითხვად მართალზედა, მუნ ცოდვილთა თვალუხვავად ემხილება ზედი-ზედა. სხვათაც ჰკოთხე, ვინც იცოდეს, თუ გავმტყუენდე ამასზედა.
149. წინასწარმეტყველთ ექნება წიგნები მათი ხელთაო. ეს ამისთვის ვსთქვიეთ, გერწმუნათ; რად არ ირწმუნეთ, ხელთაო? სხვა რამ სიბრძნისა წიგნები არ გამოჩნდების ხელთაო.
• ცოდვილთ რაღა სთქვან მის მეტი: ვაი დამწვარო ხელ-თაო!
150. ზოგთ გონია, ცა-ქვეყანა ორივ წახდეს, განქარდესცა; ორივ იქნას ახალიო, ესაიამ თქვა ესეცა. დავითც ამას ემოწმების, ესრეთ სწერენ და მოსეცა: ცეცხლისაგან გამოხურდეს, შეიცვალოს უმჯობესცა.
151. შენ მარტო ეგ გისწავლია, მე გიამბობ თითო-თითოს, უკეთა ვსთქვა: ყოვლა კაცმა შენმან მკვერეტმან მოითითოს; ასრე ჯობნა დაგაჩნიო, შეგანატრო ცოდნით თვით ოს, გამოგაძო სამყოფთაგან, სხვამ აღარვინ შეგითვისოს.
152. ათ-ათს გეტყვი მოსეს თქმულსა მცნებასა და წყლულებასა; ძველთ წიგნთა და აწ ახალთა ერთადა ვიქ კრულებასა, შეიღს მადლს სულის წმიდისასა, გათავებით უკლებასა, ოთხთა ნივთთა სოფლისასა იგ არსამდის დგმულებასა.
153. პირველი წიგნი „შე სა ქ მ ე“ იტყვის არსთ დაბადებასა, ცისას, მზისა და მთვარისას, ვარსკვლავთა ცეცხლებრ ღებასა, ზე სამყაროსა, წყალს — ქვეშე, ზღვებს — ქვიშით გარ-მოღებასა, მიწისგან შექმნას კაცისას, სამოთხეს შიგან ღებასა.
154. მეორე „გ ა მ ო ს ლ ე ა თ ა ა“ ძეთაგან ისრაილისათ, მაშინ ქმნილს საქმეს მოგიოხრობს მისელამდე მთისა სინისათ, ვითარ წიაღხდენ მეწამულს ფარაოს დასანთქამისათ, ანუ თუ პირველ რა იქმნა შემდგომით-შემდგომისისათ.
155. კვალად მესამე „რ ი ც ხ ვ თ ა“-ა, მუნ დათვლა ისრაილისა; მათ ტომთა იტყვის თვის-თვისად, ვინ ვიზედ მთავრებულისა, სიმშვიდეს, ხოლო სიცოფეს, ან ვინ-ვინ გააგულისა. სახელის თქმაცა მწადიან არც მეტად, არც ნაკლულისა.

156. მეოთხე არის სახელით, წოდებით „ლ ე ვ ი ტ ე ლ ი“-ა. ლევითგან ჩამოვიდოდეს ყოველი მაშინ მღვდელია, ვით უხმდა მათ მსახურება სიწმინდით, მისი მთქმელია; ზოგნი სავსენი მადლითა, ზოგნი განმრყენელი მელია.
157. მეხუთე არის სხვა კიდევ წიგნი „მ ე ო რ ე ს ს ჯ უ ლ ი ს ა“, გამოსვლით ვიდრე მთით სინით შეტყვევლი მოკლედ თქმულსა. მაგრამ სჯულს ვრცელად მოგვითხრობს, მთქმელია
არ-ნაკლულსა.
ამ ხუთთავ წიგნთა უწყოდე მოსესად რწმუნებულსა.
158. მეექვსედ აწ ეს ჩააგდე, მუნ თქმული „ი ს ო ნ ა ვ ი ს“-ად, ისრაელთ ვითარ შეიყვანს მთით სინით ქვეყნად აღთქმისად. მოწაფე არის მოსესი და სწორი მისვე ძალისად. ვინ მზე აყენებს გაბაონს, მთვარეს — ველს იალონისად.
159. კიდევ სხვა არის მეშვიდე, „მ ს ა ჯ უ ლ“-ად სახელდებულნი, ვით დაემკვიდრნეს ქვეყანად აღთქმისად გამოძებულნი, ვინ დააყენეს მსაჯულნი, სჯად მათდა გარიგებულნი. ამათ მოგითხრობს განმარტვით, არ არის მიღ-მოდებულნი.
160. ამის შემდგომად მერვეა წიგნი მოთხრობა რ უ თ ი ს ა, ხილვადაც კმარა, სიბრძნედაც, მდინარედ იყოს, რუთ ისა, დედაკაცობად ეყოფის, არ არის ხედვად ბრუთისა, დედა არს იობედისა, მეფსალმუნისა პაპისა.
161. რ უ თ ა თ მით ითქმის, მოვიდა ისრაელთ შიგა მოაბით, თუ ვით მოვიდა ეს ქალი, ან რა ქნა-თქვა რამ მოაბით. მე ეს მოთქვამს და აწ შენ თქვი, ცხენით მოვა თუ მოაბით. კიდევ სხვას გეტყვი წიგნებსა და თქვენ ამაზედ მოაბით.
162. ორნი არიან „მ ე ფ ე თ ა“, ათს ჰყოფენ შესრულებულად, ე ზ რ ა ს ი უკანასკნელად, შემდგომად ნ ე შ ტ თ-წოდებულად ნ ე შ ტ ი ნარჩომათა აღწერა, მიზეზი არ-დაკლებულად, რამეთუ ხუთი სხვა არის, სახელით ეს მოდებულად.
163. პირველ ღვაწლი იობისა და მეორე — დავითისა, შენც გასმია: გოლიათსა ვით მძლე ექმნა დავითს ისა, ან ვით ამკობს ვალობასა, ან ახსენა დავით ისა. მამად ექმნა შემოქმედსა, იტომა და დაითვისა.

164. სამია სოლომონისა „ეკლესიასტე“, „იგავი“,
 „ქება-ქებათა“, მაღალ არს ხედვითა, არ თუ იგ ავი,
 წვრთილება სიბრძნის ტრფიალთა და სწავლა განაზრგავი,
 ამოებს ამოებათა სოფელში ცუდად მბორგავი.
165. წინასწარმეტყველთ სხვა ხუთი თვით სახელებსაც გაიბზობ:
 ესაია და დანიელ, შე თუ არ გეტყვი, შენ ვერ მბობ;
 მო, ეზეკიელს ვაქებდე, იერემიას შეგომკობ;
 ოთხი ეს არის თვის-თვისად; შენ რასაც ამბობ, არაკობ.
166. კვლავ ერთ წიგნად ჩადებულა, ათერთმეტთა რაც თქმულია:
 ოსე, ამოს და აბდია იოველებრ ქებულთა,
 იონა, ნაომ, სიქია, ამბაკო ხმა-მაღალია,
 ბალაქია და ანგია, ზაქარია ვით ვმალთა?
167. ძველი წიგნი ოცდარ არს, ვით ებრაელთ ანბანთ ასო;
 წინასწარ თქვეს სული წმიდით, ხილვის ერთით არ გაასო;
 მუცლად ლება, შობა, ნათლვა, ჯვარცმა, ძმრის სმა. ვინ ჯვარს ასო,
 სერობასა მოციქულთა ხორცს აკმევედა, სისხლი ასო.
168. მოციქულთ ეს შეიწყნარეს, მღვდელთ-მოძღვართა დაამტკიცეს;
 სხვა რაც ძველი წიგნი იყო, ეკლესიას არა მისცეს.
 სიკვდილს არ ჰრიდეს ქრისტესთვის და ლახვარი ხორცს გაიცეს,
 ქვე-მეთრევეთა მიწის ნაშობთ სუფევანი მათ გაიცეს.
169. სხვა არის ახლის რჯულისა, იმასაც გეტყვი, მაცალე.
 წვრილად მოგიტხრობ წიგნებსა, თუ თავი არ გამაცალე.
 მე სხვაც რამ ვიცი ბევრი რამ, რაც გქონდა, შენ კი დასცალე,
 მოდი ეგ შენი ნათქვამი ჩემს თქმულზედ სართით გაცვალე⁵.
170. პირველად მათემ საღეთთმა აღწერა ჰურთასტანსა;
 სცან: იტალიას მარკოზ სწერს, ვიტყვი იმასთან მომტანსა;
 ლუკამ აქიას დაიწყო, სიბრძნესა სულ შიგ ატანსა;
 იოვანემა პატმოს თქვა, ნეტავი იმის მიმტანსა.

⁵ 169-ის შემდეგ S ხელნაწერი უმატებს:

ოთხი თავი სახარება სად დაწერეს, თუ იკითხავ?

მე არ ვითხრობ, შენ არ იცი, ანუ სხვასდა ვისდა კითხავ?

ფეიოთ საქმესაც მოციქულთას კათოლიკეთ წავიკითხავ:

ძნელ საქმესა შემაპირე უმეცრულად, წალოლო, ვით ფხავ.

171. ერთი კიდევვე ესე ვსთქვა — საქმე ბრძენთ მოციქულთანი, მათ შვიდთა კათოლიკეთა არ უზის ბოლოს სულთანი; განუყოთ პეტრეს, იაკობს, იონას იუდასთანი, შემდგომ რიტორის პავლესი ეპისტოლ ათოთხმეტთანი;
172. ერთთა იაკობისა, ქრისტეს ძმად წოდებულისა, ორა პეტრესი თხემისა, მოციქულთ უმწვერვალისა; სამია მისი ნათქვამი, ვინ არის ძე ქუხილისა, მხოლოდ იუდა მოშურნის, ყოვლთათვის მიწოდომილისა.
173. ეს არის ახლოს აღთქმისა წიგნები დამტკიცებული, იონას გამოცხადებით ერთად გაცამეტებული, მთქმელი და აღმსრულებელი, არ კმუნვით მყოფი, ვებული. ახლა შენ ბრძანე. რუსთველო: რად ჰყოფნი გაოცებული?

წაუღლებანი ეგვიპტისანი

174. მეგვიპტელთა რად ვერა ცნეს შემოქმედის რისხვა დიდი? წყალი სისხლად გარდაექცათ, დღე შეიქნა მათთვის ბინდი; მათ გულ-ზრქელთა უცნობოთა არ შეუშვეს მისი რიდი. შენც თუ მათებრ არ გეშინის, მო, წაბრძანდი, მათთან მიდი.
175. ბურნაკთა მიერ მოიცვა ჰაერი, მიწა და ველი; მათ მყვარი აღმოეცენათ, ბოროტი მუნ მოსასრველი; ანაზდათ მწერი ძაღლისა გამოჩნდა ფრენით ფიცხელი. ფანქალი კაცთ სხეულზედა სიმძიმე ჰქონდა მებრ ძნელი.
176. ოთხფერხთა ზედან ეწოა სრულ ერთად მოსასრველია, წვიმას და სეტყვას საშუალ ცეცხლი აეგზო მწველია, მკალთაგან წარწყმდა მწვანელი, მოიმკო მუნ ყოველია, კვლაცა პირმშოთა სიკვდილი მეათე სატანჯველია.
177. წყალი სისხლად გარდაექცათ, ისრაელნი წყლადვე სმიდენ, ველარც ახლოს გაუვლიდენ და ვერცა ვის შიგ ჩასმიდენ, ლამედ ექმნათ მათ შვის შუქი, ისრაელნი დღედ ზედვიდენ. შეანანა მოწყალემან, ველარ ისრე ხელს დასხმიდენ.

ათი მცნება მოსისი

178. პირველ, ღმერთი სხვა არ იცნა, იმას პატივ-ეც მხოლოდა; არა აღმართო მსგავსება ცუდი, უსულო ძელო, და

ამოდ არ ჰყო ხსენება, სახელი ღვთისა ძნელოდა,
შაბათთა დაიმარხვედე, მღღენლი გყვეს სანატრელოდა.

179. მშობელთ პატრე-ეც, ევლტოდი საქმესა კაცის კლვისასა;
უცხოს საწოლსა ერიდე, გული ნუ გითქვამს სხვისასა;
რაც შენი გქონდეს დასჯერდი, ნუ ზელ-ჰყოფ მოპარვისასა,
ცილისწამებას დაეხსენ, ნაბერწყალს სიკვდილისასა.
180. ოდეს დასხმიდა ამ მცნებას უფალი ქვის ფიცარზედა,
ის არის, სხვა არ სცოდნოდათ, ვინ რომ ზის ქერობიწზედა.
მიყვირს, შემოქმედს რად სცელიან მომცროსა ხბოსა თავზედა!
ჩვენ. დავიწეროთ გულებსა, თვალნი გვექიროს მასზედა.

შვიდი სული-წვილის მაღლი

181. შვიდს მაღლსაც აგერ მოგითბრობ, სხვაგან ნულარ ჰყოფ ძებასა:
მაღლი სიბრძნისა ოტებს კაცთა უგუნურებასა,
მაღლი გულისხმრყოფისა განსდევს უგულისხმებასა,
მაღლი ზრახვისა დაძვარავს გულის განმკითხველებასა.
182. ძლიერებისას მხნედა ჰყოფს და ძალს მისცემს უძლურებას,
მეცნიერთა მაღლი ვის აქვს, უჩინო ჰყოფს უმეცრებას.
მაღლი ღვთისმსახურებისა განაქარვებს საცთურებას,
შიში ღვთისა ცოდვას დაჰხსნის, მართლის გზისკენ აქმნევს რებას.
183. რუსთველო, სიტყვით დაგაბი და შემოპყრიხარ გაქრამდი;
შემედარე და ვერა ჰქმენ შენ შემოწვდომა ბეჭამდი.
ლომი მკვდარს ნადირს არა სქამს დიდითგან მცირეს გოჭამდი,
აწ მკვდარს რა გიყო? თვარემ და, თუ ცოცხალ იყო, შეგჭამდი.
184. ათინას გაზრდა იჩემე სთქვი რამე ათინურია:
რა ენით ლაპარაკობენ, სხვა აქვთ თუ ლათინურია?
ეს შენ მითხარ და მე გეტყვი ბერძენთა ელინურია,
ან სიბრძნე მათი რა არის საჩინო, უჩინურია.
185. ელენთა სიბრძნის წიგნები ესე და სიცბილიასი,
ბირგვილიონი, ღალინოს, უმიროს, სიბილიასი,
არისტოტელის, პლატონის, ასკოლბოს მკვდართ მისნობასი,
იანესა და იამბრეს, ევსების კვლავ სავსებასი.
186. ესე არის სიბრძნე ბერძენთ: პირველ, ფილასოფოსობა,
მკურნალობა, რიტორება, მერამე — ღრამატიკოსობა,

ქვეყნის-ზომა, ვარსკვლავთ-რიცხვა, სიტყვის შეთხზუნად
მუსიკობა,
ბრძოლის წესი, ხელოვნება, ძნელია ნივთ-მეტყველობა.

187. ეს გარდარჩა ოთხს სტრიქონსა, თორმეტისგან, მგონ, ორი ეს:
ბუნებათამეტყველებას სიბრძნე არ დაუშორიეს;
აგრე რიცხვთმეტყველებამან თავი სხვათ ბრძენთა შორიეს.
ვინც ეს თორმეტი შეკრიბოს, სრულ სიბრძნე დაუშორიეს.
188. ათინელთ სიბრძნე ბევრი აქეთ, ზღაპრული, შეტმასნილია;
ბერძენთ აქვს თორმეტი სიბრძნე, მუნ ერთად წენათხზნილია,
არ მათებრ საგონებელი, საღვთო აქეთ განბრძნობილია.
ეს უნდა კაცმან მოიმკოს, იმათგან დათერძილია.
189. რაც რამ კაცს დაემართება, ავი თუ უკეთესი რამ,
ვარსკვლავს და ეტლს აჩემებენ. ვინ თქვა ესე, თუ არ ვირამ?
სულსა კარგი ვერეინ უყოს, თუ არ ღმრთისა შენამზირამ,
რადგან სულსა ვერ იცნობენ, მაშ, გაუშვან ვითა სირამ.
190. ცული არს მათი სიცოფე, ყოვლი არს ღვთის ბრძანებითა;
მრავალი სული იშვების ერთჟამ და ერთწამებითა;
ზოგ-ზოგნი დიდად იშვებენ, ზოგნია — გამწარებითა;
ერთი დაჯდება ხელმწიფედ, სხვა ბევრი — მის მონებითა.
191. ესრეთ მწამს: უფალი აგებს საქმეთებრს კაცად-კაცადსა;
თუ შორჩილნი ვართ, ნუ ვიტყვით საქმესა ავ-დასაცადსა;
ვინ ჭირს დაეებათ, ვიქმოდეთ მისვე წყალობის მოცდასა;
მხნედ მოვითმენდეთ, უღრტვინვლად განსაცდელთაგან განცდასა.
192. იტყვიან ვისმე სახელით პასიფს, ასულსა მინოსა;
ეს ქალი იქმნა საცოფით ზროხის ტრფიალი კუროსა;
გამოუცხადა ბრძენს ვისმე, ხელოსანს დედლოზუროსა,
მან ასეთი რამ შეჰმზადა, ვით კურომ ფურსა დედლოსა.
193. შეშინაგან ფური შექმნა, გარედამე არ მოყავროს,
დახატაო ზროხის სახედ, განა გარ არ შემოსტავროს.
შიგ შევიდა პასიბიო, კურო გაეა და შეშაროს.
მათგან იქმნაო, იტყვიან, სახელით მინაუტავროს.

194. ორფევი ჰერაკლს ებანსა, სიტკბოთ ჰყო ქვა შენაძრავი.
რით ირწმუნება ეს სიტყვა, ნივთი აქვს ქვასა უძრავი.
ყველა ზღაპრული ცოდნა აქვთ, მართალთან არ-შესართავი,
მუდამად ხელთა უჭირავს ტყუვილის მათ მოსართავი⁶.

პ ა ს უ ხ ი რ უ ს თ ე ლ ი ს ა :

195. სხვისგან ჩემს ქებას წყინულობ, მე ვითლა გაგაგულისო?
თქვენს უკეთ ლექსი ვის უთქვამს მიჯნურთ ან ბარგე სულსო?
შვიდის სარწმუნოს კრებისა, ნიშები სასწაულისო;
მაგრამ ნაყოფი მოგისთვლავს მის ჩემგან დანერგულისო.

196. თუცა სჩხრევენ ჩემს ლექსებსა, ვერ ჰპოვებენ ვერსად ნაყის,
სადმე ჰპოონ ავად თქმული ანუ წყალი ვინ დანაყის?
ბრძენი მიქებს ენის სიტკბოს, ხორხისა და მერმე ამ ყის,
აელვარებს მიჯნურთ ქებას, ვით მელანსა შერთვა სამყის.

197. მოაბასითა, მო, აბა, სითა? მო, ესო მითხარ, ვით მოე კიდე,
მოაბასითა, მოაბასითა მოესო ტვირთად, ვით მოეკიდე?
მოაბასითა, მოაბასითა, მოესო ცეცხლი, და მოეკიდე,
მოაბასითა; მოაბასითა, მოესო იფრადე ან მო, ეკიდე.

198. ჩემს მოსწრებაში აროდეს კვლავ მე ეს არ დაემართა,
სპარსთ შეტმასნილი ამბავი მე ლექსად არ დაემართა?
ასრე ვით დაამომიმეტე, ჯობნას მიპირებ მე მართ-ა?
ნულარ მიბრძანებ ჯობნასა, შუამავლად მყავს მე მართა.

199. ორსავე, შეფევე, ნუ წამართმევ, შეჭირებულს ლხინ მიბოძე.
შენ ფაქებდე, შენ გნატრიდე, ხობტა გკადრო, შეგიმყო ძე,
მეომართა შეთხზვნა ლექსთა ჩემთვის დასვი მაგრა ბოძე,
საღმართო შენთვის დაიჭირე და საერო მე მიბოძე.

პ ა ს უ ხ ი მ ე ფ ი ს ა მ ე თ ხ უ თ მ ე ტ ე :

200. ჩემი ლექსი ყველაჲ ვსთქვა, კვენაშიგან ჩამეგდება,
მაგრამ შენი დაღუმება სხვის საქმითა არ იქნება.
რა გასინჯო, შენც ჩამომყვე, პასუხის თქმად არ ეგება,
თვარ ხმალს ხეტარმოტეხილსა სხვა პირიმცა ნუ ეგება.

⁶ ამის შემდეგ S ხელნაწერი უმატებს:

რუსთელის ნათქვამი ზანდუქს ჰგავს, მორთულსა ოქრო-თვალთა,
იაგუნდით და აღმასით სავესსა ჩანათვალთა;
კახის ბატონის — მორთულსა ტკბილად რამ, მაგრამ ვალითა,
არასფერითა სავესსა, არც ქვითა, არცა სალითა.

201. ბრძენთა ჯობნა ვათქმევინო; სხვა მის მეტი რამცა გიყო?
გაწყენინო ასე, ვით მე გულს ლახვარი ვითამ გიყო.
მე ვარდს ვჰკრეფდე გაუფრჩენელსა, შენ ზამბახი გაგიდიყო,
სულ-მობრძავსა დაგამსგავსო, რა გინდ რომე კარგად იყო.

პ ა ს უ ზ ი რ უ ს თ ვ ლ ი ს ა :

202. ხლართავ ლექსსა ასულს რათმე, მე რომ ვჰხედავ კიდევ დამას,
არ უშურვებ, ა სულს დასდეგ, მისგანც ელი ნაცვალს და მას.
აჰა, ვუჰკვრეტ ასულს ნორჩად, შენ საყვარლად, აჰა, დამას,
ესრეთ გიღირს: ასულს არჩევ და დააცლი, მისცემ დამას.

203. ჩემს ზამბახსა რა დააჰკნობს? არ გავუწყვეტ მულამ ნამსა.
მიჯნური ვარ, ვის მნათობნი ვერ ურჩ-ექმნენეს ვერცა წამსა;
დაუჰრია გული ლახვარს შავთა რაზმთა წარბ-წამწამსა;
ვით შემიქმნა მე ზამბახი დიყად, ვირ რომ სულს მიღვამსა?

204. თქვი, რაც გინდა საბრძანებლად, გარდამიწყდეს ერთხელ
რითმე.

ისიც ავად ჩამომართვეს, რომ აქამდის არ დაგიტმე.

ასრე მმართებს: ფერხთა გზანდე გარმორტყმული არდაგით მე.
ერთხელ ფხად სთქვი ჩემი ცოდნა, ახლა ბრძანე გინდა სითმე.

* * *

205. ორთავ უხამს დიდი ქება, შესმენელთ დიდსა სიბრძნეს მოსცემს;
მათი ტკბილი მეტყველება მიჯნურთ გულსა ლახვარს გასცემს.
თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს,
ერკინება რუსთველს მედგრად; შეიტყუებით, თუ ვინ დასცემს!

ამბავი მოწყალისა და მოსამართლისა, სახელოვანისა და მრავალჭერ
სახელოვნად გამარჯვებულისა, ბრძნისა რიტორისა და ფილოსოფო-
სისა მეფისა თეიმურაზისა, რომელი სიყმაწვილით, გაზრდილთ, ვაჟკა-
ცობით, სიბერით სიკვდილამდის ეშრომა ჯდა გარდაჰხლოდა.

პ ა ს უ ზ ი მ ე ფ ი ს ა მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე :

206. ისმინე ჩემი ამბავი, სიყრმიტგან ვით ვზი გოდებად,
სიბერით სიკვდილამდისი სამულმოდ ცეცხლთა მოდებად —
მართალი, არ თუ ტყუილი, არ მიზეზისა მოდებად.
რაც მახსოვს, ყველას გაამბობ, არ მინდა სხვაგან მოძებად.

207. პაპაჩემი ჯდა ხელმწიფედ კახეთს ღეთისაგან წყალობით,
მშვიდი, მოწყალე, მდაბალი, რკულზხედან ერთობ მკრძალობით;
ქვრივთა, ობოლთა შემბრალე, არ იყო მათზედ ძალობით,
კვლავ მშვიდღოსანი უსახო, ცხენ-მალე მშვილდ-ფიცხელობით.
208. პაპის ჩემისა ქებასა ვერ ვიტყვი მე ერთხელადა,
ღეთის მოშიში და მორწმუნე, იგ არ თუ იყო ხელადა;
მტერთა მძღველი, ძლიერი. ლომი მიაჩნდა მელადა,
მუდამ მას ჟინად ნადირთ-სრვა აელო ერთობ ხელადა.
209. ოთხი შვილი ჰყვა, იმათი აწ მოგახსენო სახელი:
დავით, ერეკლე. გიორგი, იყვნეს სიკეთის მსახველი;
მეოთხე კოსტანტინეა, სხვებრ კარგი, ქეუა-ნათხელი,
გულჯავრიანი, ამაყი, შეუპოვარი და ხელი.
210. მამაჩემსა საპატრონოდ ქვეას უქებდეს, მერმე ბაქეს.
ერეკლესა სიუხვესა უწონებდეს, დიად, აქეს;
გიორგისას მას უბნობდეს: „იქ ტარიელ იყო, აქ — ეს“.
როსცა არის, მასცა გეტყვი — კოსტანტინეს ბოლოს საქმეს.
211. იგიმც დღე დაიწყევლება, როს მამამ მისცა ყაენსა;
იგ მან ეშმაკმან გაზარდა, მით დაამსგავსა კაენსა.
ბოლოს გაიმბობ, თუ ღეთისას საქმეს იქს როგორ საწყენსა,
მთქმელთა და გამგონთ ორთავე სანაღვლოს, ცრემლთა სადენსა.
212. ერეკლე სტამბოლს წავიდა, მამას შემოსწყრა თუ ძმასა;
დიად, ეწყინა მეფესა, დიდსა ჩავარდა კმუნვასა,
თეთრს წვერს იგლეჯდა, გაპყრიდა, იტყოდა სოფლის მღურვასა;
დედოფალს ვინ შეჰკადრებდა ამბავსა მის საკრულავსა?!
213. ამ ხანშიგან ჟამთა წაელით ალექსანდრე მო-ცა-ბერდა;
მას წინანდელს მისის ჟმისას სიკეთესა ვინმც აღწერდა?!
ბერნი, მღვდელნი პატივით ჰყვეს. სრულად ჯარი — შეყრით,
ერ და,
მაშინ მისის ხელმწიფობით მხიარული ყველა მღერდა.
214. რა შვილებმან მამა ნახეს სიბერისგან დანავარდნი,
ბეჭწყაყრილი მოყვითანოდ, იქით-აქათ განავარდნი,
დრო მოუხდათ ავი რამე, ერთმანეთზედ შენავარდნი,
სოფლის ქარმან აღიტაცნეს, მათ შეექმნათ განა ვარდნი?

215. ორნივე ძმანი წამოვიდეს ქართველთ მეფის შესაყარად,
თან იახლნეს დიდებულნი, დაკაზმულნი ვით მაყარად,
წამოილეს ორთავ ბევრი, მრავალი რამ იქ საყარად,
ბორკილი აქვს თან უმცროსსა უფროსისთვის შესაყარად.
216. მივიდენ, გაესალამნეს ძმისწული მამიდაშვილსა,
მოიკითხვედენ ერთმანერთს, ღიმილით იჩენდეს კბილსა.
კარავს ჩამოხდეს ნადიმად, ლხინსა ნახევდეს მუნ ტკბილსა,
გათენებამდინ ზედწართვით მოინდოშებდენ არ ძილსა.
217. ახლა მეფე გამოვიდა, ბიძაშვილებს უღარბაზა.
ხილზედ დასხდეს, მოიტანეს უცხოები ბევრი მაზა,
ღვინოს სძიდეს მანავურსა, უკეთეს რომ ეგავაზა.
ასრე დახვდენ ორივე ძმანი, ვით მამისგან ეანდაზა.
218. ცოტა ხანი ამათ წაველეს, ზედ მოაბეს ლხინი და ზმა,
დაღამდა და მოიტანეს სანთლები და მერე ბაზმა;
ლხინი ნახეს, დიად, კარგი, არ მოსწყინდათ ხანთა დაზმა,
დილაზედა ძღვენი უძღვენეს, რაც მათ მისთვის მოეკაზმა.
219. მათ ისაქმეს მათი საქმე ფარული თუ ანუ ცხადი.
კვლავ მეფემან დაჰპატიჟა: „ლხინი მაქვსო დასაქადი“.
გიორგიმ თქვა: „აწ არა მცალს. კვლავ მე წავალ, აწ შენ წადი!“
ჰაი, ძმაო, ძმის ღალატზედ შემოქმედსა რასთვის ხადი?
220. მას ჰქონდა ესე თათბირი აღრითგან გამორჩეულად;
საქმე ერჩივა ბოროტი ეშმაკსა მას მისეულად:
ყმათ განდობოდა, ბევრი ჰყვა ბარამით მას მისეულად.
ბარამ დავითთან ამხილა: „თავს ვერ ვიქ შენგან ეულად“.
221. რა მამაჩემს ესე ესმა: „მიზმენ მაგას ვით ვითაო?
მტერი მოუკვდეს დავითსა, გიორგი იპურას ყმითაო?
აგრე ჯაბანი ვგონივარ, უმცროსი მე გავითაო?
რასა იქ, კარგო გიორგი? რას ვეთსავთ, მოვიმკითაო!
222. ლხინით ადგა, წამოვიდა ჯავრიანი, გულით ბრაზი,
მოვიდა და შეუზახა: „ჩემო ძმაო, მანდა რად ზი?
შენ მე როგორ დამიქერდი, ბიჭი ვიყავ თუ ხაბაზი? —
თვით შეიპყრა პატრონ-ყმიან, არ წაირთვა ტაზტ-ღარბაზი.

223. წამოვიდა მასვე წამსა, თუცა ბარგიც არ დაყარა.
მათ რომ მისთვის შესაყრობლად მშვილდს ჩაეგდო, გარდუყარა,
ძმა ციხეში დაატყვევა, ყმანი კლდესა გარდმოყარა,
მამას ტახტი გამოართვა, მაგრამ დღხანს ვერ ემყარა.
224. საქმე ეს ქნა ღვთის საწყენი, ეშმაკისგან ის იძლია,
მამას, ბერსა ხელმწიფესა, ბატონობა ვამოსძლია;
გიორგისა სამართლით ქნა, არ მეფობა შეაძლია,
მამაზედ არს დამნაშავე, თვარე ძმაზედ უმართლეთა.
225. ექვსს თვეს კარგად ბატონობდა, ნადირობდის მოისრითა,
მერმე მოკვდა; მისნო მტერნო, მისგან აღარ მოისრითა! —
ის სოფელმან გაისტუმრა. მოვალა როს მო ის რითა?
ისრევე ბერმან ხელმწიფემან დააშვენა ტახტი სრითა.
226. ცოტა დავრჩი მე ობოლი, თუმც არ ვყვენდი ისრევე ძიძას.
პაპამ მასთან დამაყენა, დამანება მე არ ბიძას.
მახათიფა ნებიერად, ჩამაცმევედა ხამს, არ ძაძას;
ჩემნი სწორნი ყმაწვილები ვერ შვრებოდენ ჩემსა ბაძას.

ამბავი საზარელი და სათქმელად საძნელო და სასმენელად საძაგელი
მეორეს კაენისა და ლამეჭის, შეიღჯვის გამოვრდომილის კონსტან-
ტინესი, რომელმან ესევეთარი განზრახვა გულს იღვა და მოკლა
ღვთისმოყვარე ხელმწიფე — მამა ალექსანდრე და ძმა თვისი გიორგი.
უყურეთ მანქანებასა ბელიარისასა!

227. ეს ამბავი ყაენს ესმა, კარგა წვრილად გაიგონა,
ამას ზედა ეშმაკისა საქმე იმან მოიგონა.
კოსტანტინეს დაუძახა ამით თურე წაიგონა:
„აწლა დავრჩა კახეთიო, მეც შენ მოგცე მგონი, მგონა“.
228. გამოგზავნა მან კახეთსა, ბოროტს საქმეს აბარებდა —
მამისა და ძმის სიკვდილსა უეჭველად აბარებდა:
ალექსანდრეს ლალა-ფაშის ძველს საქმესა აბარებდა.
რად იამა ულურსიძისა? ჩქარად მოვა, აბა, რებდა!
229. მან ხალათი გამოგზავნა საქმისათვის არ სააზროთ:
„მას სიბერე მორევია, გიორგია მართლა საზროთ;
ორთავ ხიშტით დაუშინეთ, შიგავ დარჩეს, არ დააზროთ.
თუ გიყვარვარ, მაგას ნუ იქთ, ვარდი აღრე არ დააზროთ!“

230. წამოვიდა მოახლოვდა, მეფეს ესმა შვილის მოსვლა,
ერთი მკვდარი მოაგონდა და მეორის — სხვაგან წასვლა.
დაუჯანმეს ბედაურნი, მარქაფები რახტით ასლა.
გაზაფხულის უამი იყო, მაგრამ ჯერ ვარდს არ ეფასლა.
231. რა გრემიღამე წაბრძანდა და ჩაეგება ბაზარსა,
გულმხიარული, შვებული, თან არ იახლებს მოზარსა:
„შვილს ვჰპოებ მე დაკარგულსა, უკვდავებისა მაზარსა,
გამოვბრუნდები ალავერდს და წამოვისხამ მაზარსა!“
232. მივიდა და შეიყარნეს, მხიარულად, უცხოდ რამე.
მეფე იტყვის: „სახარების მომაგონდა ბრძანება მე.
აწ უძღები შვილი ვპოვე, ამეხილა თვალთა ბამე;
ზვარაკს დაეკლავ ჭამებულსა, მეგობარნო, თქვენცა ამე“.
233. პაპაჩემი ბედნიერი სიბერისგან უძღურობდა,
მხეტთა მსრველი მონადირე ველთა ისრე ველარ რბოდა.
ვინ ბიძად შყვა, მხნე, ძლიერი, იგ, პირად მზე ტანად ზრობდა.
შვილისაგან მამა და ძმა სიკვდილს ვითმცა იაზრობდა?
234. მეფემ ჩაიცვა ხალათი. ცხენს შეჯდა მისაესეულსა,
ვერას დააზრდა საქმესა, შვილს მაზედ გამოსეულსა.
მოვიდენ, დარბაზს, გარდახდეს ქვეშაფენ ოქროქსეულსა.
არა ჰკვირ, მოჰკლავს მამასა და კახეთს გაჰხდის ეულსა!
235. მოიგონა, დასუბავდენ: „საქმე შაქვსო არ-საჯარო“.
მისი ჯარი გარეთ იდგნენ, ერთმანეთზედ დასაჯარო,
ნიშნად თურე ესე მძცა: „მისნი ყმანი გამოვყარო,
შემოდით და დაუშინეთ თქვენ ხლმები და მე ვზანჯარო“.
236. მეფეს შერჩა რუსთველი და იმისი ძმა ყორჩიბაში.
სხვანი სადგომს წამოვიდენ, კახნი იყვნეს თუ აბაში.
შევიდნენ და დაუშინეს, შიგ დაჩხეს მის კაბაში.
მამა და ძმა ორივ მოკლა, ერთად ჩადვეს მოაბაში.
237. რუსთველი და აბელ-ძმანი, ორნივ თავსა დააჩხეს.
ვის უქნია ამისთანა? ცა რისხვითა მოაქუნეს.
მას ანგელოზს ზელმწიფესა ასრე ხელი ვით შეახეს?
მაგრამ იგი ეშმაკისას გაათავებს ღანამკვახეს.

238. რა ესე ქმნა, ადვილად სჩნდა მას ურწმუნოს ყოვლი ავი.
 მოინდომა დედაჩემი, უცხო რამე შესართავი,
 მოციქული გაუგზავნა, შეაძლია თურე თავი.
 შეუთვალა: „არ შემირთავ, ძალად გმოებ, მიტყვამს დავი!“
239. რა მივიდენ მოციქულნი, მოახსენეს შიშით, ძრწოლით:
 „უშართლე ხარ, თუ დაგვზოცო. რასთვის იქ არ დავიქოლით?
 მაგრამ რა ვქნათ, მან ურწმუნომ გამოგვგზავნა დიდის ძალით.
 ქრისტიანეთ არ საქმნელი ნასწავლი აქვს იმას მოლით“.
240. გაგონა დედაჩემმა, ბრძანა: „ესე ვით დავითმე?
 ვინმცა მკადრა უკადრისი? დავივიწყო ან დავით მე?
 ვინ ჩიქილა შემირცხვინოს, ან სუმბული რომ დავითმე.
 ღმერთმან მისის რისხვით მკითხოს, შემოუშვა იქვი სითმე“.
241. შეუთვალა: „ღვთის მგმობარო, მამის მკვლელო და ძმისაო,
 ავის მქნელო, ავის მთქმელო, შენ უღირსო სულთდგმისაო,
 ყოვლის კაცის საძაგელო, სულ მოქმედო ავისაო,
 ღვთით აღრე, ვექვე, შეგანანო ჩემი თხოვნა დავისაო“
242. მოციქულთა მიუტანეს, მას ეს საქმე დააჯერეს.
 კიდეც ცდასა აპირებდა, მაგრამ სიტყვით შეიჯერეს.
 მწვედ გაჯავრდა, თათრებიან ჯავრით გული გაიჯერეს.
 სხვას ამბავსა ჩამოვეხსნათ, გავათაოთ, მოდი, ჯერ ეს.
243. ამ საქმეებს წინას ხნითვე დედამ ყაენს შემახვეწა.
 აქ გიორგის შეუშინდა, ამაღ მისკენ გარდამხვეწა.
 მან შემიტკბო ვითა შვილი, არ თუ შიშით მე დამხვეწა.
 გამეხარნეს მასთან მისვლა ღაწვი ცრემლმან არ მიხვეწა.
244. მე შერმაზან თან გამომყვა ზნეობისა სასწავლებლად;
 მწერთნიდის საღვთო-საკაცობოს, თავი ჰქონდის თავსავლებად;
 ჭირსა შინა გამამაგრის, გული ჰქონდის ვით სალებად,
 მამის და მსახურებდის, ღაწვთა მწკებდის არ სალებად.
245. კოსტანტინეს თან ხლებოდეს შირვანელნი და ყაჯარი.
 ბაზარს იღგა, წამოვიდა ეშმაკისგან დასაჯარი;
 აქათ იმას შეეყარა თვისნი ყმანი, კახთა ჯარი,
 შებმულ იყვნენ, მო-ცა-ეკლათ, თუმც ეხმარა ხმალ-ხანჯარი.

246. ჩვენცა გვესმა ეს ამბავი, რაც ქმნილიყო და რაც არა. ყაენს ვეხმე, მიმიყვანეს, მიმატანეს დანაც არა. შერმაზან თქვა სახლთხუცესმან: „გითქვამს ცოდნა არამც არა, შენ ამათი დაგრეხილი საბელიო დაგეცა რა“.
247. შემომზახა: მირზავ, იცი, კახეთს ქმნილა დიდი ძალა! შებმულან და კოსტანტინე მათ მოუკლავს, მგონი, მალა. მეც მიამა, კარგა ქმნილა, მოინდომა რასთუის რძალა? ავის მქნელსა გარდაჰხდია, რა იქმნება ჩემი ნალა.
248. მიბრძანა, თუ: აქამდისცა მე მინდოდა შერთვის კარგი. მოდი, მადლი გარდინხადე, ეს წყალობა მტკიცედ დარგი; რადგან შენი სამკვიდროა, ან მე რასთუის დაგიკარგი? ჩქარად წადი, მალ მიბრძანდი, თუნდა კიდეც დაგრჩეს ბარგი“.

ბარი პირველი

ბატონის თეიმურაზისა ყაენისაგან ჯგბილად საუბარი, წყალობის ნიჭისა და კრავლის იმედის დაპირება და ქადება, გამოსტუმრება და გრძელისა გზისა მოსწრაფებით სიარული და შემოკლება ჯდა მათგან უგრძნობლად ქისიყს მოსვლა

249. გამომისტუმრა, წამოველ, მიბოძა ბედაურები — ცხენები თქროთკაზმული, არ იყვენენ უსუსურები; შესამოსელი სალუქი, მნახველთგან მოსასურები, სუფრისა გაწყობილობა, მურასა თასებ-სურები.
250. წამოვედით მადრთელნი, მხიარულნი დიდად მისგან. სიარულსა არ ვითმენდით, რა განათლდის ღამე მზისგან. შევამოკლეთ გრძლად სავლელი ისრე ფიცხლად ჩვენის სვლისგან. უქვევლად პატრონობა დავიჭირე მალლის ღვთისგან.
251. ქისიყს მოველ ერთს სოფელსა უმეტრულად, შეუტყობრათ; ერთი კაცი მოგვეგება, მართ ვეგონეთ ჩვენ მეკობრათ; რა გამიცნა, თაყვანის-მცა, ენა იწყო შესამკობრათ, მადლი ჰკადრა შემოქმედსა: „ნეტარძი ჩემს ამ ღრთ მოყრათ!“
252. დაიზახა: „მე საბრალო არას ღირსვარ პატრონისას! მოვახსენო, მობრძანდების ჩემსა ვითა სართულისას. ჩამოხდებით, არას დაეჰკლავ, თავსა ვფიცავ შენის მზისას, მეფევ, უწყვი, ისერებლა ქრისტე სიმონ კეთროვნისას!“

253. მან შერმაზანს სახლბუცესსა უთხრა: „შენ ხარ ჩემი ღონე. მოახსენე ერთი სიტყვა, უფრო ნულარ დამაღონე; თავი, სახლი, საქონელი ყველა თქვენს წინ მოვიძღონე. ერთი ღვინო დამილოვეთ, ხვალ წინ მევე წამიძღონე“.
254. ვსთქვი, თუ: „რაღა გაეწყობა ასრე გულით მოპატიჯეს. მოვეწვივნეთ მხიარულსა, ნურას უზამთ საპატიჯეს“. გარდავჰხე და კარს შევედით, ღობეს ვერვინ გარდაბოჯეს. დავჯე, გარე შემომისხდეს. ვგვანდი, მთვარე ბაკით იჯდეს.
255. ღმერთს თურე წყალობა ექმნა, აღარ იღებდა ვახშს მითა. ბევრი რამ ჰქონდა მზას თურე, არ გვიკეთებდა ხაშმითა; უცხოდ დავვიხვდა მებეგრე მცირეს თავისის ვახშმითა, მან ადრე აღარ გაგვიშვა ღვინითა ერთ სახაშმითა.
256. მოიყვანა ცხრა ყმაწვილი აყენებითა, შიგ ჩაკრული: „ვიცი, არას არ შეიძღვნი, ძღვენი გიძღვნა თუცა სრული. სრულაც თქვენა გენაცვლების დედ-მამიან თქვენთვის სრული, შენის ჭირის ჩვენ სანაცვლოდ სული გვქონდეს ამოსრული“
257. დილა გათენდა. ხმა გაჰხდა ყოველგან მოსულის ჩემისა. მუნ სიხარული შეიქმნა გულით არ შესაჩემისა. ვინცა მნახვედა შვერეტელნი, ნახვამან გააჩემისა, სხვანი ნახულნი ჩემთანა უკვირდის, არ ეჩემისა.
258. პირველ, კაცი გამოვგზავნე დედაჩემთან მახარობლად: „ღმერთსა დიდი მადლი მიეც, აღარა ხარ საწყალობლად; შეგვიბრალა, ვით გვხედვიდა, შენ — ქვრივად და მე — გლახ ობლად. ჩემი აქეთ გამოვგზავნა არ შეგექნა საბრალობლად!“
259. მახარობელი მისვლოდა, ბევრი რამ მას ებოძა და — მამული ანუ სასახლე, ქვიტკირი, არე ბოძადა, კვლავ ტურთა შესამოსელი, ცუდ-მუდი არ ეძონდა და, მას სოუხვითა სხვა ქალი ვერსად ვერ შეებოდა და.
260. თუმც ვაცნობე, ჩემი მოსვლა ასრე ადრე არ ეგონათ; წყნარად მოვა, შექცევიითა, — სხვის ვისგანმე გაეგონათ. სრულად კახნი გრემს მიეხმო. დიდებულად ჰყვა ან მონათ. თვარ აქ უნდა დამხდომოდა გამჩვენებით, მოსაწონათ.

261. დედაჩემსა მოახსენეს ჩემი მოსლვა ისრე სწრაფად,
 მას ენაღვლა: ვერ დავხვდიო, ვით მინდოდა, კარგად აფად;
 კახნი ამაღ მოვაწვივე; მიბეგება, გამყვა სეთად.
 მოურავი მომაგება სხვად დიღად და თუმც არ გეთად.
- აქა სრულ ერთპირად კახთ სიხარული და ზედისა და კეტლისა ნატრა
 თავისის მემკვიდრის ხელმწიფის შვილისათვის, ცხენკეთილ იარაღ-
 მარჯვეს კაცით წინ მიგებება, მეფისაგანაც მსგავსიერად გახარება,
 ღვინი და მოუწყენელი უჭირველად მხიარულება.
262. მასვე წამს თვით მოურავი თამაზ სრულ მოსის დროშითა,
 სხვა მოხელენი შინაყმით მოვიდენ კრძალვით, შიშითა;
 თქვეს: „ვეწუხთო აქ არ დამხდომნი, სხვაფერ არა ვართ იშითა“.
 მე უაღერსო მათშიგან კაცი დავაგდე იშ ვითა!
263. მოვიდენ და ხელს მაკოცეს, ზოგნი თავსა მევლებოდეს:
 „შენი მტერი ამას იქით შენის ხმლითო მძევლებლობდეს.
 თავს ათაჯერ განაცვლითო, დაჩაგრულსა ვინმე გგონებდეს“.
 შენ გასინჯე, ამას იქით თუ გრემს არ მიმესვლებოდეს.
264. ხუთს დღეს იქიგ მოვისვენე შორის გზითა დაღალულმა.
 თავი კარგად მომაწონეს ჩემს წინაშე მათ მოსულმა.
 მასურალობა განგვაშორვა ზედიზედმან თვალთა რულმა,
 დიღად კარგნი ყმანი დამხვდეს მეტის-მეტად, ჩემა სულმა.
265. გაღმა გაველ, ენისელთა იქ დამიხვდა მოურავი
 სრულ თავისის დროშის კაცით, სიმრავლითა უამრავი.
 კაცი თვალს ვერ გარდაწვდენდა, იღგნენ ვით ტბა საცურავი.
 რა მოვიდენ, ტკბილად დავხვდი, მათ არ უთხარ სამღურავი.
266. ასე ვსთქვი, თუ: „ერთს ბატონსა ამის უფრო რაღა უნდა?“
 თავადნი და დიდებულნი მოვიდიან ბუნდა-ბუნდა;
 ანგარიში ძნელი იყო, დამთვლელს გული დაუჭმუნდა.
 ისინიცა თან ვიახელ, ვინც გვერც მახლდა, არ დაბრუნდა.
267. დილას ავდექით წასავლად, ცოტადრე წავიარენით,
 აღავერდელი დიდებით მობრძანდა, ითქმის არ ენით,
 მშვიდად ამბორი უყავით, შეყრა არ გავიმწარენით.
 მერმე სხვათ უთხრა: „მობრძანდით, აწე თქვენ შეეყარენით“.
268. მომიკითხა: „აჰა, ბრძენო, თქვენ ამბავი თქვენი გვითხარ.
 შორის გზისგან დაღალულსა შემოგხედავ, ლომივით ხარ,

ღვთის შიშსა და სიყვარულსა უეჭველად, ვიცი, მზა ხარ.
ის აკურთხა, შენ რომელი მოხველ და კვალად მოსვლად ხარ“.

269. კიაურითგან წარსულნი იმ ღამეს არბუხს დავდექით,
წმინდის თევდორენს საყდარსა ვილოცეთ, ცისკრად ავდექით;
ღმერთსა ვმადლობდით წყალობას, ხვეწნითა ცუდად არ ვდექით,
ავიყარებით, მიხზარობთ, იქილამ წინარ წავდექით.
270. მუნით წავედით გრემისკენ. აწყა რუსთველი მოვიდა
სრულ ნაპირისა ლაშქრითა, წითელი ეცვათ მოვი და
მათს ანგარიშსა დამთვლელი დათვლითა ვინ აუვიდა?
თუ მტერს მიადგენ ესენი, ვთქვი, ამათ სად წაუვიდა?
271. მოვიდეს და მესალამნეს, თაყვანის-მცეს დას-დასებით;
ღიად, ბევრნი შეყრილიყენეს, სიმრავლითა ათასებით.
მხიარული სიტყვა ვუთხარ. შევიქმოდნი ღზინთა ვსებით,
სიხარულით ენთებოდეს სიმწუხარე დანავსებით.
272. რუსთველმან თქვა: „ვით ბრძანდები, ღვთის წყალობით შინ
მოსრულო?
სახლთა შენთა სიმაგრეო, სამირკველო არ-დაძრულო,
ვარდო ახლად გაფურჩენილო, თრთვილისაგან არ-დაზრულო,
თვალად მზეო, ძალად ლომო, ნორჩო, ედემს ამოსრულო!“
273. დედის ნახვა მწვედ მინდოდა, თუმც გავფრინდე ვით გავაზი.
მომახსენეს: „რად დავაგდოთ ჩვენ უღზინოდ აქ გავაზი?“
დავუჩერე, გარდავხედით, მოუწონეთ, უქეთ ვაზი.
მათ ბევრი სვეს, მე წვრილად ვსვი, ვაშლი ზედა გავამაზი.
274. მეორეს დღეს გრემს მივედით, ჯარი დამხვდა ქალაქისა;
ჩვენი ყოფა, ერთგულთ ღზინი ორგულმანცა მალ აქისა.
ფიანდაზსა მიფენდიან, ხორა იდგის ნაქსოვისა.
თქვეს: „მზე არის ქვეყნიერი, ნეტარ გაესო ესე ვისა?“
275. ზრას მივიახელ, გარდავჰხე. დედოფალი დგა ქალებით;
მუნ ბანოვანთა სიტურფე ჯარად დგეს ბროლ-ფიქალებით;
ლაწვი — ბრწყინვალე ვარდები, არ ჰქონდა ცემა ნალებით,
ტან-ალვა, ნაზნი, ზარიფნი, მდედრნი არ გულად სალებით.
276. დედა წინ წამომეგება, ღმილს ცრემლსა ატანებდა.
მომეხვია, გარდამკოცნა პირ-ყელ-მკერდსა, ა ტანებ-და.

მერმე მითხრა: „წავიდეთო“, ხელ-ხელს წამომატანებდა.
შინ შევედით ქალებიან, სხვას ჯარს არ შემატანებდა.

277. მიბრძანა, თუ: „შვილო, მადლი, ვის შენ მაგ დროთ მოუყრიხარ;
ლვით, მგონია, არა გჭირს რა, მე რომ გატყობ, აგრე ვით ხარ?
შენიმც ჭირი შემეყრება, შემოგხედავ, დიდად ვიხარ.
სხვა სარჯელი არ გაჩნია, ცოტად პირზე შეუხრიხარ“.

278. გრძლად არ ვიტყვი მაშინდელსა შეებასა და გახარებას,
დიდთაგან თუ მცირეთაგან შეჭირვების ცეცხლთა ვსებას,
დედისაგან ხელის წყობას, ნებიერად მოსვენებას.
მაღ ადარვინ მოელოდა სოფლისაგან შეჩვენებას.

279. ორს კვირაა დედოფალი ყოველს დღესა მასპინძლობდა,
მაშინ ჭირს და მწუხარებას ათას წილად ღვინი სჯობდა;
მას ჩემგ მეტი არვინ შეჩჩა — ძე, ასული, არც ვინ

რძლობდა,
მაგრამ ბედს არ ემდუროდა, რა მე მიველ, ღმერთს მადლობდა.

აქა მეფის თეიმურაზისაგან სრულ ერთპირად კახთა ალავერდით
ფეისკოპოზ-საღვთოთ კაცთ და დარბაზის ერის შემოყრა, მცხე-
თას მოხვლა, კათალიკოზ, მთავარ-ეფეკოპოზ და სულ ქართველთ
შეყრა, მეფედ სურთხევა, წირვა, ღვინი და მრავლის გაცემა

280. ამაგ ხანში მცხეთას მიველ და მეფედა დავეკურთხე,
გამოველ და პალატს დავჯე; ვინ მალირსა, ის ვაკურთხე;
მამა-პაპათ დანარჩომი დავიჭირე ოთხივ კუთხე,
უსამართლო არვის უყავ, ქვრივნი ობლით გავიკითხე.

281. წამოდგენ, მომილოცედე, თავი მანაცვლეს, სულეზი.
მოყარეს ოქროს ნალბაქნი და ზოგნი მოყვითლულეზი,
სხვა სურა, თასი, ჯამები, ყოვლფერი ვერცხლეულეზი,
ათი გოდორი აიღეს, მას დღესა იქ დადგმულეზი.

282. ამით გარ გამოზიდვოდეს, ივსებენ ფლურით ხელებსა.
მესამედს კათალიკოზსა მისცემდეს, არ-მოხელებსა;
ორს წილს სუფრაჩსა, ერთპირად — სულ ერთად ჩემს
მოხელებსა.

იქ ცუდ-მუდ ვერას ჰპოვებდი იარაღს განათხელებსა.

283. წამოველ გვირგვინოსანი, პორფირცმულ, ხელ-სიკბტრიანი, გამდიდრებული, სვიანი, მაშინ არ ვიყავ მტრიანი; შეუპოვარი, ღმერთს გარდა არვისგან მქონდა ზიანი, მოველ და დავექე ტახტზედა ნათელმოაილი. მზიანი.

284. ცამეტის წლისა შევიქეუნ, რა ეტეები იყო, და ვნადირობდი და ვიშვებდი, სხვა საქმე არ შევიტყო და; საპატრონოსა საქმესა სრულ დედოფალი იტყოდა. სრულად გააგის სამეფო და ურჩი მალ დიიტყოდა.

აქა დედოფლისაგან გურიელთან მოციქულების გაგზავნა და მეფის თეიმურაზისათვის ქალის თხოვნა, მათგან დიდად გახარება. დიდის სიმდიდრითა და მზითვით გაჰოსტუმრება, მოყვანა, გვირგვინის კურთხევა, ქოლოცვა, ქორწილი და მხიარულება, სიმღერა, ბურთობა და სროლა ყაბახისა

285. ამ ხანშიგა მოვიწიფე, სხვას ქებასა ვიტყვი არა, მაგრა სხვანი მას უბნობდეს: „მზემ ღრუბელი მოადარა. მისმან მზემან, ხმელეთზედა ვერვინ ჰპოოს ამის დარა, თუ ეს არის ამისთანა, იქნებოსო ამის და რა?“

286. დედაჩემი თვისად სასძლოდ დაემძახლა გურიელსა. მალ მომგვარეს შექართავად, არ უხანეს მას ნათელსა. შემომყარეს ყამიერად, მხიარულსა, ლხინთა მზმელსა. ეს ზოფელი ველარ შეიქს სხვას მისებრივ სულეირსა.

287. ენა ვით იტყვის მაშინდელს ჩემსა ლხინსა და შვებასა? — ორმოცს დღეს ქორწილობასა. სიხარულ, არ თუ ვებასა? სრულ გათავებით არ ითქმის, ზოგთა ვიქ გარდაშვებასა, მაგრა სოფელი მიპირებს ჩემთ სისხლთმსმელთ ზედ მოშვებასა.

288. თორღას ვიდექით, ოდეს ვქენ ქორწილი, გამოჩვენება; ცხადათ არ დაიჭერება, თუ იყო ძილ-მოჩვენება! მუნ ორმოც დღემდის ზედა-ზედ სმა, ლხინი, არ მოსვენება, ბურთობა, ყაბახის სროლა. ვის რა ასპარეზს ენება.

289. დილას შევსხდით, ვინადირით, შუადღისას შემოვიქცით, აწ ბურთობას ხელი მივპყვით, მუნ საძილოდ არ გავიქცით; მერმე დავსხდით ერთა ქამად, ლხინი ლხინზედ ზედ დავიციით. ვზემდით. ვმღერდით, ღვინოს ვსვამდით, ვირემდისი

გარდავიქცით.

290. ძლივ ითქმის მაშინდელთ კაცთა სიკეთე, სიბევრენია, სიმდიდრე, დიდებულობა, სიმძიმით ვითა ბრპენია, ქება არ ითქმის ადვილად, არც მსუბუქ მოსასმენია, აწ ვაი მათსა მგონესა, რა ბევრჯელ ცრემლი მდენია!
291. სიმრავლით იყვნენ იმრავალნი თავადნი, დიდებულნი, კვლავ აზნაურნი, მათ მსგავსად მასზედან მოკიდულნი, შინაყმანი და მონანი ბევრ-ბევრად, დას-დასულნი, სხვათ ვინ აუვა სათქმელათ, გარეშეთ ვინ მოსულნი?
292. ბანოვანთა სიტუარფესა ვით შეუძლოს ენა მქებად? ღეთის-მოშიშნი, რჯულ-მტკიცენი. იესოსა ქრისტეს ნებად იქმოდინ ერთად შეურას, ღუხჭირთ გარე. გამოძებად, ჩარიგდინან მის-მის ალაგს, მთვარეს ჰქმნიან განქიქებად.
293. ზეითა ვთქვი რიცხვი დღეთა, ვირე იყო ქორწილობა; აწ ვათავდა მისი საქმე, გაიყარა შეყრილობა; მაყრებიცა გავისტუმრე, ბევრსა მიძხვდა ლართწილობა, დატვირთულნი საბოძვრითა, არ შეექმნათ მათ წბილობა.
294. ვინ მამგვარა დედაჩემმა, ის — რებეკა, თვითონ — სარა, ტბა მელნისა უცხოდ რამე გარ გიშრითა მოესარა; ბალთა შიგან ვემაწვილობდით, სად რომ გვედგა ტურფა სარა. ვა, გაარმდა ეს სოფელი, ჩემთვის, შემრჩა დიდხანს არა.
295. სხვა ქება ვით ვთქვა, თუ არა აუგი ჩემგან სათქმელად? არა ვთქვა, მთვარე ვით შევექმნა ვეშპისა გლახ ჩასანთქმელად? ვთქვა და სარცხვილად დამადვან, არ იყო მისგან საქმნელად, ვითა დავმალო მთიები, უამი დილისა ვყო ბნელად?
296. არას ვიტყვი, თქვენც გასმია ქება, არ თუ ცუდი ხობტა: პირად — ბროლი, ბაგე — ძოწი, თვალებია გიშრის, ხო, ტბა, ხმა-ბულბული, საფირონი, შაქრისაგან უფრო მოტკბა; მე არ მიტყვამს ნათალი, ბრძენთა უხამს ის შემკობა.
297. სოფელს კარგად დაუწყნარდი, სამეფოსა გავაგებდი, ერსა ვსჯიდი სიპართლითა, საბოძვარს ზედ წავაგებდი; ეკლესიას დარღვეულსა საძირკვლითგან აწ ვაგებდი, ვიშვებდი და ვიხარებდი, ცუდ-მუდს არას შევიგებდი.

298. ამის მეტი სხვა რა არის წლის ბრუნვა და ანუ თარი?
ოთხი არის, ვით ნივთია — მიწა, ცეცხლი, წყალი, ქარი,
გაზაფხული და ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.
ამათ გაშო იხარებენ მიწის არსნი, რაც რამ არი.
299. პირველ, გაზაფხულს გიამბობ, სხვის დროსგანც უკეთესია:
ამით იხარებს ყოველი დანერგულ-დანათესია;
ნადირობა და ბურთობა, ლხინიც აქ უკეთესია.
ვარღზედან დაჰყვას ბულბული, აღარვის ახსოვს ეს ია?
300. რა მარტი დადგის, მოვიდის, შეიქნის ირაობანი,
ჩიტებმან შექმნის გალობა, სიმღერა, ჭიკჭიკობანი.
შეაწყვის მალალ-დაბალი მობანემ მობა, ო, ბანი.
ალონი დაშეენდებოდა, მჭერეტთ ვიწყით მისი მკობანი.
301. იქ მოვა ყოველი მფრინველი, ხმელს მჭდომი, წყალში მცურავი:
სონღული, ბარი, გავაზი, შევარდნით მოსასურავი.
ვადევენდით და ვხარობდით საწუთრო-მოუმღურავი,
ბაზიერთხუცესს უმცროსით ვუბობდი დასაურავი.
302. ფიცითა მითქვამს: არ „ვიცი მე რიცხვი ბაზიერისა“,
ბაზიერთ შიგა მდგომელი ოთხმოცი ანაწერისა,
თავადნი, აზნაურშვილნი, არ ჩოხა ამოწერისა.
ერთი — ბაზიერთხუცესი, სიდიდის მქონე ბევრისა.
303. ასრე ჰყვანდათ დამართული მათ მფრინველები კააყოლი,
ზოგს იქივე დაიჭერდეს, მალლა ამსკლელს თან აყოლი,
კვლავ მხვეველს და მოთამამეს იქით-აქათ მიმოყოლი,
ხონბისა და ღურაჯისა ზოგთ გაშბმელი, ზოგთ მიმოყოლი.
304. ბედაურთ ქორთა სიმრავლე იყვის თულუნი მალეები,
წითლები, მედიღურები, გამძლე, ხან შემოაწყურალები.
ახალს მწყაზრებსა შეენოდეს გვარი და ყვითელ თვალეები.
მიმინო, ფილო, მარჯნები, ვადევენთ ხან ალალები.

305. პაპის ჩემის ბაზიერთა, ვეკობ, ქება თქვენც გასმოდეს: მისგან იყენეს დანაზარდნი, იმას აქათ აწ მე მყომობდეს, ფხიზელნი და უმთვრალონი, სამსახურს ვერ ამყობდეს; იტყოდნან ირაობას, ფარშაჰანგიც მას მოსვლოდეს.
306. ასრე მითხრეს: მინდერის მცველმან ნახა უცხო სანახავი. მიიბრინა შეფეს თანა, მოახსენა უნახავი:
„ამ ფრინველმან შექმნა ასე ბევრნახული უნახავი.
რაც თქვენც ნახოთ, არ გაპკვირდეთ, იყვნეთ ჩემი ღამზრახავი“.
307. თქვეს, თუ: მეფე მასვე წამსა შეჯდა, ბრძანა იყოს რამცა, დაგვიზახეს ბაზიერებს; «თან გამოწყვეს ყველაჟამცა, სრულ მფრინვლები წამოასხით მედიდურნი, მერმე მალმცა, დაბლის მპყრობნი და ამყოლნი მალა უნდა მიიქამცა».
308. მიბრძანდა მეფე, რა ნახა, გაპკვირდა მეტად. იო-და, ზოგს ბოლო წამოებურა, ზოგი ხმამალა ყიოდა.
ბრძანა: «ვის გაუგონია ან ამბად აქამდიო და?»
მეყოლუმან იკადრა: «გეგონათ ტყუილიო და?»
309. ბრძანა: «მინახავს სადაღაც სახე ამისი ნახატად, თვარ ვის ასმია ალონში კვლავ მოსვლა აქ ამის მეტად? თვალნი დამიბა მშვენებამ, ველარ მოვსხლიტე მე, ჭვრეტად».
გვიბრძანა: «თუ არ დამიჭერთ, ცემით გაგზადო თქვენ რეტად».
310. მაგრა ვა, თუ ვერ შეიპყრან ბოლოდიდი იგ მამლები, მოვუტოოთ გავაზებო, შავარდნითა — სონღულები».
მოვახსენეთ: «დედალს ადრე დაიჭერენ ეს მფრინვლები, ზევით იმათ არ აუშვან, დავახვედროთ ძირს ძალღებო».
311. მეფემ ბრძანა: «მე ეს მინდა — სულ ცოცხალი დავიჭიროთ, შევიწახოთ, მოვაშენოთ, ლხინად გვეყავდეს, არ საჭიროთ. მო, ასე ვქნათ: გარეშემო შემოვერტყნეთ, მოუჭიროთ, აწ მფრინვლები მივუტოოთ, ვეჭვ, ეს გვპართებს, დავაპიროთ».
312. დავემოწმეთ ამ თათბირსა, ჯარი გარე შემოართყა; უბრძანა, თუ: «სასიკვდილოდ ჯოხი დრვინ არ დაართყა». მინდორს ისხდეს გამოჩენით, არ უნდოდა ტყითა ბერტყა, იპეპლვიდეს მათს დედღებსა, თან არ ახლდათ წვრილი ბარტყა.

313. გავაზები და ბარები გავჰყარეთ, მალსა აუშვით;
მეფე შავარდნით ცხენფიცხად მიუხნდა, ჩვენცა მიეუშვით.
მიბრძანა: «ზოგთა მიჰყევით და ზოგი ტბაში შეუშვით».
გაფრინდეს, მიუტრიაცა, შესძახა: «ვა, თუ გაუშვით».
314. შავარდნი მასვე წამსა დედალს მოხვდა, შე-ცა-იპყრა,
სხვა მფრინველებიც დედლებს იჰერს, მამლებს უწყეს ძირს
ჩამოყრა
მეფე მისდევს სიცილითა, მისაშველად იწყო წაყრა.
წაეხვივნეს, დაიჰერდეს, ჯარმანც იწყო იქ შემოყრა.
315. განლამც გამხიარულდა, მეფეს შეექმნა შეებო.
იციინს, ლალობს: «კარგად ვჰქმენ ამათი არ გაშვებო».
ბაზიერთხუცესს უბრძანა: «დღეს ბევრი გეშოვებო.
ამისგან უკეთ შექცევა არ ოდეს არ ეგებო».
316. მას აქეთ კახეთს მომრავლდა, ოდიშსაც აქათ მოშენდა,
ქალს გაატანა მზითუვად: „მოგართმევ, იყო, მო, შენდა“.
არა აკლდა რა მას მეფეს, ესეც წყალობით მოშენდა,
ძმანო, იყურეთ, გიამბობთ, ისმინეთ, მოდით, მო, შენ და.

კარი გაჯაფხულის ნადირობისა და
შეჯცევა-მხიარულობისა

317. იცოა, ირაობასა ქოჩობაც თანა მოჰყვება?
მაშინდელს ნადირობასა სულ წვრილად ვინდა მოჰყვება?
ზოგი რამე ვთქვა, უფროსი დამრჩება, გარდამეშვება.
თუცა არ მინდა სათქმელად, მელექსე არ მომეშვება:
318. ქოჩობის სიხარულითა ყველამ ბოძლები მოლესა,
მშვილდსა უგდებენ ფიცხელსა და ცხენი მოიმალესა,
ქვეყანას გახარებულსა ვსჰკრეტდეთ, ახალსა მოლესა,
ბერნიცა გაჰბატუკდიან, არ თავი მოიპოლესა.
319. ალონს ვიწყით ნადირობა და ქვემოთ-რე ჩავჰყვებოდით,
უკეთ სროლის ბაასითა ერთმანერთსა ავჰყვებოდით;
მუნ ნადირი ვინც ვერ დაესციო, შორს აღარეინ გავჰყვებოდით,
მოვიდით და ლხინად დავსხდით, ვინ ვის რასმე ვლაყებოდით.

320. რა აქედამე წავიდით, კარამდის მოვინადირით.
 მუნ განსვენება სად იყო, იმუშაებდა ნადი რით?
 ტყეებსა ვრეკდით ყოველ დღე შამურით, ბედიყრის თითრით.
 გაზაფხულისა აერი შვენოლა კარგა მუნ ნირით.
321. მცირე ხანს ბაზარს ვდგებოდით სალხინოდ, სათამაშოთა.
 ჩვენს ბაასის ჯობნაზედ, ნუ ჰგონებთ, მალ დამაშოთა!
 სად მომეცალა სალუქსოდ? — მიბრძანე, ბრძენო ფაშოთა!
 კრდეგ ბევრს რასმე უჯამბობ, ხელიდან არსად უშოთა
322. მაისი დადგის — ტურფა თვე, ვარდი აყვავდის ბაღებსა,
 ველნი ყვავილით შეიშკვის, ჰგვანდის წითლითა ნაღებსა;
 ბულბულთა ყეფა ისმოდის, ვერ ვსჭკვრეტდით სულდანაღებსა.
 მე ვინ მნახევდის იმ დროსა ულხინოდ, სუფრა-ნაღებსა?
323. იქ მოვიდიან ლეკები, მებატონენი კაცები,
 მოკრძალებით, გულს-ხელმოკლებით, მშიშრად, ვით ცხვართა
 ვაცები;
 ფეშქაშსა მო-ცა-ზიდვიდეს, ვერ რბევით რას მომტაცებო
 აწ ნახე, სოფლის სიმუხთლე ჩემზედა კვლა და კვლაცები.
324. მინდორს ბალახი მომალდის, ხბოს დამალევდის, ნადირთა,
 იმ წამს მიმართის ირემმა შამბს მალვით მუნ დანაპირთა;
 ჩვენც თანა გავპყვით სიმრავლით, გაწყობით, არ მებოძირთა,
 ალაზანს გავხდით ნავითა, სასროლად ზედ მინაშურთა.
325. ერთი თამაშა არ სჯობდა ჩვენს მაშინ ნავით გასვლასა,
 ბაზრიდამ აყრას დიდებით, სამინდოროსა წასვლასა.
 კაცი ვერ იტყვის ენითა, ვერცა იქს თავის ასვლასა.
 დილით მწუნხრამდის მხეცს სრვიდეს, ვინ ელის მზისა დასლვასა!
326. ოთხმოცს ყათარსა აქლემსა, ცხენს, ჯორსა, აზავერს გარდა,
 კარგებს მის მოფენილობით ჰკიდებენ, იღვის მუნ გორ და,
 ტყუილი ნურვის ჰგონია, მართალი არის, არ ჭორ და.
 ნუზლიც მრავალი ვიახლით, მინდვრები სოფლებს გამოარდა.
327. შეიღს-რვას დღესთუ ნავს გავიდით, რაზომ მალე ვისწრაფდითა,
 გამოღმართსა ჯერგას გარეთ, ოდენ ისრეე ვალმა მხრითა,
 აქათურიც ნავზედ დამხედის, ნაპირელნი კვერნაქითა.
 გვიან ვერვინ მივიღოდა შისთვის, რომე დავბაქითა.

328. ჯარის სიმრავლე რა ვითხრა, დიდებულთა თუ მცირეთა:
ახალ-ვაჟკაცთა სიმრავლე ვარსკვლავთა გვანდა ციერთა.
ვინ იგ მოშალა უწყალოდ, მან ღმერთი აღარ იღმერთა!
ვაი, რაზომი სხვა კარგი სოფელჰან გაწამიერთა!
329. მუნ იყვის ბედაურთ ცხენთა შეკაზმა, გამოჩვენობა,
შესამოსელთა კეკლუცთა შემოსა, ტურფად ჩვენობა,
ქარქაშის გაწყობილობა, ისარს ორბის ფრთით შეენობა,
ვაჟკაცობისა ხუმრობა, მუნ ჩვენს ხელთ იყო ჩვენობა.
330. ასე დადგიან კარვები, კაცი თვალს ვერ გარდაწედენდა,
იყენიან შვებით, მშვიდობით, ვერვინ ვერავის აწყენდა.
მესისხლე ჰყვანდა ვინ ვისჰე, მუნ სისხლთა ვით დაადენდა?
ღვთის წყრომით მოჰხნდა, თვარემ და მათ ეგრე რა წაახდენდა?!
331. თორმეტი არის მინდორი სხვებისგან უკეთესების —
ირმის, ჯერნისა, დათვისა, ღორის, ტურის და მგელების,
აფთრისა, შვლისა, ფოცხვრისა, კურდღლის; მაჩვისა, მელების.
ბევრს ჯარს რომ მონდომებდა, მათ სახელები ეს ების:
332. წინა მინდორი — შირაქი და ორიე — ტარბანაები,
ორი — ელიდრის მინდორი, ჯერან-ჩულურში დაები.
ყაჯირლუხ, ბაიდიგოლი, სამგორი, ჩადივარები,
ყარაიაზე დაშვრიან მესროლნი კარგ-სადავები⁷.
333. მივიდით, მინდვრებს მივადგით, დაეუწყით ჯერგას რიგება,
შუალამისგან უწინვე ნადირთ ვერ ექნა შეგება;
ასრე, შეკრიან სამგნითვე, მხეცნი მათ ვერ გარდებება,
დაიწყის მოსვლა კარზედა, პირს ვერვინ ვერ შეეგება.
334. დილა გათენდის, შეიქნის დაწერით დაკარებანი.
ვინ არ ვიახლი ჩემთანა, ვერა ქმნის მოკარებანი.
შეიქმნის სროლა უცდური, დანაცდენთ ძვირად ძებანი.
კარგ-სადავენნი ამომხრედ ვყვი, ავისა — შორს გაძებანი.

⁷ ამის შემდეგ B ხელნაწერი უმატებს (მიწერილია არშიაზე, მარცხენა კიდეზე):
ბაგრატიონთ მეფეებსა რა აუჩნდათ მტერი მძლეო,
დავით კახთა გამათავრეს, მათგან უფრო გვართ მძლეო,
არვინ იცის მამამისი, მკვდართთვის ესეც გაუძლეო,
ის არ კმარა, ვალს, ჰე, ჰქონდეს, ყარაიას რად აძლეო?

335. ასრე უნდა შეილდოსანი, არა ჰკრევედეს ყოვლსა ასოს:
მართალს მხარსა შეუსა ჰკრას, წინ გარდამხტალს — თეთრს^{დაასოს,}
მხეცი სადგომს წამოიღოს, მწყურვალს მინდორს სისხლი ასოს.
ერთს გაზაფხულს თიბათვემდის ორმოცისგან უფრო ასოს.
336. ნადირზე ასე მივიდეს, ეგონოს, შეეძგერაო,
მერმე სადევეს გამოჰკრას, რას ჰქვიან გულის ძგერაო?
ხარსა და კაცსა მოჰკლევდეს, ცუდია მელა-ძგერაო,
მოუწონებდეს ღიფიცხეს, ინატრონ მისი მზერაო.
337. რა ნადირობა გათავდის, გრემისკენ წავეყრებოდით,
მუნ მოყვარულნი ქალ-ყმანი ერთმანერთს შევეყრებოდით;
ვარდი დაგვიხედის გაშლილი, ვჰკრეფდით და შიგ ვეყრებოდით,
ასე გვიამის იქ მისვლა, მალ აღარ ვავეყრებოდით.
338. გრემსა იყო ბევრის ქვეყნის უცხოები. იქ მოსული,
ბაღებშიგან კვიპაროზი, ალვის ხითა ამოსული,
ფშოდა სული სულნელისა, ყვავილთაგან ამო სული,
მისის ნახვით გაყმდებოდა სიჭაბუკის ძალწასული.
339. ერთი ბალი და სასახლე გრემს იდგა ლევან მეფისა,
მას შენობაზედ ეტყობის გაცემა სიიეფისა;
ყოვლი ყვავილი, ხეხილი გარმოცულ იყო სეფისა.
განკვიფრდებოდა მნახავი, იქმნის სიბრძნისა მკრეფისა.

კარი საჯახულოს ალაგებისა და
შეკცხვა-სიამოვნისა აგავი

340. ბალობა იქავ მოვისთვლით, მერამე მივმართით ზეგანსა,
ბარშიგან დაცხის ამა დრომ, მზე წამოვიდის ზე განსა.
ჰოედ ჩააგდე ეს ლექსი და მოგახსენებ ზეგ ა-ნსა,
არას დაეაგდებ უთქმელად, ბ-ანზედ მოგვაბამ ზე, გ-ანსა.
341. უწინ შუამთას მივედით, ცოტას ჩანს იქ დაედგებოდით;
რა დაცხის, უფრო და უფრო ზედა-რე შეუდგებოდით;
ორ კვირას ვომბორს ნამყოფი საერწოდ ავიყრებოდით,
ვმწყურაობდით და და ვკურდღლობდით, სტუშარს წინ
მივეგებოდით.

342. ერწოა კარსაკურდღლე, მწყერიცა ბევრი დაჯდება,
ჩალებში წერო ბევრი სხედს. საკვერცხედ უნდა დადება.
წვრიმალს ტყეებში ნადირი -- ბევრს ჯარს არ უხდა მოდება.
მერმე თიანეთს ვინც მივა, კალმახით იქ გაჯერდება.
343. თიანეთს სხვა მთის ალაგი ვერ შეადარონ მას შურით,
სალხინოთა და საბურთლად ერწოდამ იქ მივაშურით,
კალმახი დაუღევენელ ბადებითა თუ წყალწურით,
ლხინებს ვნახევდით ასეთსა, შორს მყოფთა იქ მოსვლა ვასურით.
344. ლეკს ზევით სხვა მთის კაცები იქ მოვიდიან, ვინც მყმობდა --
დიდონი, თუმნი, ხევსურნი, ფშაველნი, ვერ მეკობრობდა:
ქისტი, ღლიღვი და ძურძუკი, ერთპირად ღვენს შემამძღნობდა,
ჩრხა-ნაბადასა დალისას ფეშქაში არ უნახლობდა.
345. თიანეთს ეს სჭირს სიკეთე: დიდია, მერმე გაშლილი.
მოედანს, მწვანით მოსილსა, მობურთალი ჰყავს შემულილი.
მწყერობაში რას ვარგა უსეფქო კაცი მოშლილი?
ქალები მკიან ტან-წვრილნი, პირ-თეთრი, შავ-თმა ჩაშლილი.
346. ერთი წყალი საკალმახეთ იორს არსად შეედრება,
სხვა არა სჯობს იმ დროს რამე, იმის წურვას გახარება;
მოწყენილმან კაცმან ნახოს, ჯავრი სხვაგან გაეყრება,
მთილამ ნადირს მოიტანენ, გორა ხორად დაეყრება.

კარი შემოღგომისა და მჰვირლოგის, ნადროგისა
და შამცევის აგაპი

347. აგვისტოსი იქ გათავდის ლხინითა და უკუყრითა,
მერმე კახეთს წავიდოდით, გარიგებით მუნ აყრითა,
მხიარულად ჩავიდოდით, მექორწილე ვთ მაყრითა.
აწ მზადება დაიწყიან სამყვირალოს შემოყრითა.
348. ლეთისმშობლობასა შუამთს მივიდით, იქ გარდავიხადით,
შევეხვეწით სასოებით, ძის მეოხად იმას ვხადით,
მოძღვართ-მოძღვარს მასპინძლობა ამ დღესა აცქვევრთა ახდით,
„ჩენა ვართო ამ ყოფასა, მტერნო, აბა, თქვენ კი წახდით!“
349. ჯვართამაღლებას ალავერდს ჩავიდით, იქ ავამაღლით,
ფილიპე ალავერდელი ლხინით ვერავინ მოვალით,

მან საჩუქროთა აავსის მუნ მყოფნი მდაბალ-მაღალით.
ნაზარხოშევენი ვაყვენით არ მთრვალნი, ღვინო-მაჰბალით.

350. ერთს სიტყვასა ის იტყოდა, არ ვარ სხვისგან განავონად,
ასრე იტყვი: „საქონლითა ვერ გავძლებით, ვჰყავართ მონად,
ამდენი შაქეს, აღარ მინდა, ოქრო მიჩანს ჩალის წონად“.
ბევრი გასცის უცხო ფერად, იყვის ყოვლთა მოსაწონად.
351. მაგას ნუ ექვ, რასაც კაცსა ძალად რაზე გამოართვის,
ასრე მე ის საშენდობოდ არ მინახავს, არ მომართვის;
მან მომცის და, მე რაც მივსცი, კიდევ სხვა რამ ზედ დაუართვის.
ლოცვა მქონდის წესისაებრ, მერმე ჯარის ღვინის წართვის.
352. მოკლედა ვსთქვა: მყვირალობა ალონს ვიწყით მიწვე წესით.
უპირველად ვნადირობდით, სენით ვიყვით არა-კენესით.
ქაკს ცხენს ზიხარ ჯავახურად, წოტს ხარზედა მოაწევ სით?
ეს თვეც წავა კაის ყოფით, აწ ზამთარო მოაწევ სით.
353. მოვიართ ტყეები და რაც მინდვრები გითხარ პირველ.
ვირ დრო მქონდა, სიხარულსა ხელი ვჰყარე, მწვერვალს აველ,
მყვირალობა გავათავე, აწ საჯერანედ მინდვრად წაველ,
ყარაიას შივადეგით, გარეჯილამ მტკვრის პირს დაველ.
354. იქ ჯერგას არ წავეიტანდი ქვეითს, თუ არ ცხენოსანსა,
ქისიყით წამოიყვანდენ თორმეტჯერ ათას ოსანსა,
სრულ კარგს ულაყზედ მჯდომელსა. ვინ ნახავს მათ ჰაკოსანსა?
მარტო იმ სოფლით იტყოდეს შვიდასსა ჰარმაგოსანსა.
355. ერთის სოფლით ეს მოვიდის, ნახე, თუ სხვა რამდენია.
შვიდს წელიწადს ასრე ვიყავ, სათქმელი რამ არ მწყენია,
უტკივრად და უპირველად, ცხვირთა სისხლიც არ მდენია,
ბოლოს საქმე გამისინჯე, რაზომნი აენი მსმენია.
356. პირველს დამესა დადს ვარცლას მივიდით სრულად ჯართა,
დაეუწყით ჯერგას რიგება ერთმანერთს დასაჯართა.
მაშინ იქ მყოფმან ჯერგამან თავი არ გასაჯა რითა?
გათენებისა მომლოდნემ იქ ძილი იაჯა რითა?

357. ალიონმა აიზიის, შვესხლით ცხენსა, დაუჯარლით,
წყნარ-წყნარა მივეყებოდით, ცუდ-მუდს არას გაუჯარლით,

ვისაც ჯოგი მოგვივიდის, კარგ სადავედ ზედ მივეარდით.
სროლითა და სიკვდილითა დავილალით და დავეარდით.

358. ისულ დიდი ჯოგი მოვიდ-ს. ანგარიშს ვერ ავილებდით.
ვირ არ მოვიდით ნადირზედ, მშვილდს იქ არ ამოვილებდით;
მივესროლით და მივსოკდით, მინდორს სისხლითა მივლებდით,
ამდენი მოკვდის ნადირი, სრულ თან ვერ წამოვილებდით.
359. მაშინდელთ კარგ მშვილდოსანთა ამაღ არ ვამბობ სახელებს.
საბატიოთა კაცთა და ვაჟკაცთა ბევრს ასახელებს,
ვაცთა შიგ რჩევით მოკვლევდის, ვერ მომკვლელთ მგონ ეს
ახელებს,
ზოგს უქებ მშვილდოსნობასა, უტოდნსა დასდებს სახელებს.
360. სხვა მინდვრები ირპით სავსე, ყარაიას ჯერანია,
კარგს მშვილდოსანს გაახარებს, გულის გასაჯერანია;
ვერვინ სრულყოს ჯოგთა რიცხვი, ესე დასაჯერანია.
თუ იმდონს ჯოგს შეწყაროს, მოვლე კახი, ჯერ რანია.
361. ზოგნი იტყოდეს: „აქა ვჰკრავ, მიუჟრეთ, უსაცილოდა“.
სხვამ თქვის, თუ: „იმ კაცს მე მოვჰკლავ, შევეღებო ისრის კილო
და
კვლავ ამ დიდ ჯოგში ზუთს მოვჰკლავ, სროლა არ ვითაჯილო და,
ძალიანს მშვილდსა მოზევდე, მკლავო, არ ისარ-წვრილოდა!“
362. მალალს აკრევდენ ფრთეებსა გრძელს ისრებს მათთა მკლავთასა,
იტყოდეს: „ახლოს ესე სჯობს, უკეთ იქს ხორცთა ფეთასა;
შორს სროლა რა სადავეა, ახლო სჯობს, ეს უკეთასა!“
ბევრჯელ მინახავს, იქმოდეს მსხვილ-ბარკლის სულ მოკვეთასა.
363. ყმაწვილები არ არჩევდეს არც კვრასა და არც ნადირსა;
თუ სადგომსა ბევრს მოვიტანთ, ოსტატობას ჩვენ რა გვრჯისა?
დასულელებულს ვინ ნახავდა სიცილითა იმათ პირსა?
ის დრო იყო, რომ წავიდა, სხვა ვერავინ ვერ ეღირსა.
364. მინახავს ბევრჯელ მინდვრებში მოკლული უფრო ათასი;
ჩემს მოკლულს სხვანი გეტყვიან, მე მოგახსენო სხვათასი;
ერთს ზაფხულს ზამთრის პირამდის ჩემი თქვან, ვეჰვობ, სხვათ
ასი,
ლხინსა ვნახევდით ამოსა, ზოგთ ჯამითა სვეს, სხვათ — თასით.

365. ერთს დიდმარხვაში ნაგებს ვლევ, რომელ არს ბოსტან-ქალაქი, აღდგომაც იქ გარდვიხადენ, ჩვენი ახალი პასაქი. რას აქნევ ინდსა, არაბსა? ესე სჯობს, შენცა ეს აქი! ველარ თამამად ბაასობ, დაყუჩდა ცილების ბაქი.
366. ამ აღდგომის დღის ლხინები ძნელია გამოსათქმელად; საღეთო წესი და რიგები ნათელ არს, არ დასაბნელად. ბურთობა, ყაბახის სროლა, გაცემა მქონდა არ-ძნელად. თუმც კიდევ ბევრჯერ მინდოდა, აღარ დამცალდა საქნელად.
367. კურმუხელთ კახთა სიმრავლე ამათ გასინჯე კუხოსი, ყაბახს ესროდეს ოთხმოცი მარტო ჩერჩქეზი და ოსი. მე არ გაუშვი იმ დღესა ჩემი ყმა მუნ შეუმოსი. ხილზედა ვსვემდი გავაჯურს, ხვრეტა არ იყო იქ დოსი.
368. ამ დღეს გავეც სხვა გარდაის ასი ჯილა, ასი ტყავი, კვლავ — ცხენები ბედაურო, არ თუ ზურგზედ განატყავი, ამას გარდა — აბრეშუმში, სამოცს აქლემს ნატვირთავი. არ დაუაგდე უბოძვარი, ღარიბები მოურთავი.
369. მანაძღის არ ჩამომეხსენ, არ მათქმევინე მე ვირ ეს. მიქებდეს მეტად სიუხვეს, არ მიზრახვედეს სიძვირეს. კაცი ამ ყოფის პატრონი რად შეგედარო მევირეს? ჩამოგიყარე ყურები ჯობნისა შენ დანაპირეს.
370. თუმც არის წელიწადშიგან ესე დღეც გასახარონი: აივსებიან ყოველნი ჭურნი და ბეღელ-ხარონი, შიმშილისა და წყურალის არვის აქეს თავის ხარონი, სიმსუქნე სჭარბობს, სიმჟლითა არეინ არს შენაზარონი.
371. სულ გაძღებიან ღარიბნი, გლახა და მუნ მდიდარია, თავს საყრელად აქვსთ მთხოვართა მათ მათი სამუდარია, ანგაართაგანც მიიღონ წყალობა-სათხოვარია. ამ სიკეთესა მოუსწრო, მერმე ზამთარმა დარია.
372. ვით წესია ამ თვეების, მის-მის ღროსა ხელსა ვპყრიდით. მყვირალობა რა წავიდის, ქორებს ზარში გამოვპყრიდით. ვირემ წყალი არ გაყინოს, ვერ მოგვეყვანდა სიცხის რიდით. რა აცივდის, მოვიყვანით, ფრინველზედა ხელს წავპყრიდით.

373. აწ ზამთარი შემოვისწრით თოლასა და ბოეთანსა,
შამურსა და ღარნეხშიგა სხეას ვინ ნახავს იმისთანსა?
ყოვლნი რამე სანადირო ასრე ახლავს, — ი-ნი თ-ანსა.
მაშინ მე რას ვახსენებდი ხანებსა და ან სულტანსა?
374. სრულ წვრილად ვთქვა, ვერ გაუვალ, არც ვინ მართლა
დაიჭერებს,
თვარემ ვიტყვი ბევრს ასეთსა კაცისაგან გასაჭერებს:
ცრუი არის ეს ლოფელი, ბოლოზდისი არ მაჭერებს.
ფიცით მითქვამს, დამიჭერე, მცილეს, ვიცი, დააჭერებს.
375. რაც მონდოდა, ყველა მქონდა, მე ნაკლები გულს არ მაძე,
მუნ სიმრავლე სპა-ლაშქართა, ჩემნი მტერნი ყოვლგნით ვაძე;
ჩემის სახლის მეფეებსა წარვემატე, არ წაუბაძე.
ეს კი მაკლდა, მართლად გოთხრობ, ძმა არა მყვა და არცა ძე.
376. ჩემის სახლისა ჩემს მეტი კახეთს არ მოიძეოდა.
მოწყალემ მომცა ორს წელსა ყმა-შვილი ორი ძეო და,
შეშექმნა ლხინ-სიხარული, ვთქვი: „დავდეგ ახლა მეო და“.
მათის იმედის ქონება, ვა, აღრე დამეღეოდა!
377. მაშინდელს მახარობლობას, სრულ კახთა იქ შემოყრასა,
მათ გახარება-ლხინებსა, იმათს იმდროშდი მოყრასა,
მოსალოცავთა ტურფათა, თვალ-გუართა თაეს გარმოყრასა,
ძეობა-ღამის-თევასა, ძილად არვისგან მოყრასა!
378. მოიზარდნეს ორნივე შვილნი — ხუთი წლის და შერთხისა,
ტურფანი და ჰოყ-ჰიკანი, ორნივე ნორჩნი სამოთხისა;
ძლივ ვდირსვიყავ, გამეზარდნეს ტანად ნაკვთნი სამოთ ხისა,
ცხენს სხდებოდეს ყინჩიყურით, ცრემლი ღაწვს არ დაენთხისა.
379. ვით წესია ლოფლისაგან, ლხინს არავის გაუთავებს:
ჭერეთ მომყვა, მწვეთ მაამა, აწ საქმესა მიზამს ავებს,
ლხინთა ნაცულად გლოვასა და სიმღერისა მუქტად მავებს,
ლხინს შემოცვლის გლოვა-ფლასად, წითელ-ყვითელს
გამიშავებს.

მეფის თეიმურაზისაგან დაღოვლის
მგლოვიარობა და მწუხარება

380. უამი გარდანდა შევებისა, მოვიდა გლოვა-წუხილი,
ლხინმა მიმრიდა, შექექმნა გულს ურვა, თვალთა წუხილი,
ღვარა მდიოდა სისხლისა, ცრემლთა ისმოდა ქუხილი,
ნაღიმი აღკრბა, სერობა, ველარ მაქამეს წუ, ხილი.
381. მოვსაქვემდი: „მზეო, დაჰაგდე, ცეცხლი მომიდე, წამ ალი;
მე, გლახ, უშენოდ ოხერმან შენი ვერ ვჰპოვე წამალი.
ბროლი და ლალი შეთხზულნი მიწათა შიგან წა მალი,
სუფევა ჰპოვე უკვდავი, წმიდათა თანა წა მალი.
382. წამწამთა რაზმმან დაფარა თვალნი გიშრისა, დალულა,
მშვილდი შავისა კეღუხტით, შემოსით ვით მოხეულა?
თმა ამბრისფერი შეწმასნით მიწამდის ჩამოწეულა,
ვითარ ვსაქვე საქმე საზარო? ჩემზედა რა მოწეულა?
383. ბაგეს, ვით ვარდის ფურცელსა, აწ ვხედავ გაყვითლებულად,
მას შიგან თეთრსა კბილებსა სადაფ-მარგალიტებულად,
ენასა შაქრის უტკბოსსა ვხედავ უძრავად დებულად,
ჰაი, ვაიმე, რაღა ვქმნა? აქა ვზი ცეცხლ-მოდებულად.
384. ცხვირს, ზომიერად ჩამოწვდილს, სული ფშვის სურნელებისა,
პირი ერთპირად შექმნილი, უალოდ გამთავრებისა,
რომელმან იენამ აღმოგაქვას სინაზე მკლავ-ხელებისა?
ვითა დაასკვენ გაწირვა შენ ჩემი გულ-ნალებისა?
385. ვაიმე! წახდა, ვის ჰქონდა ყელი ბროლისა სურათა!
ვერ გამოხატოს მხატვარმან ჩინელმან მისი სურათა.
მკვრეტელთა სატრფიალოა, უნახთა მოსასურათა.
ვა, რად გამხადე უბრალო სისხლის ცრემლ-გასაცურათა?
386. ვა, რად მიეც შავს მიწასა პირი-ვარდი, ბროლ-ფიქალი,
ბრწყინვალე და შუქთა მფენი, აწ ერთერი ფერ-გამქრალი?
შენს საქციელს ვერ აიღებს ბევრის ცდითა სხვალა ქალი,
შენ გამხადე დასაწვავად, გარ მომეგზნა მე აქ ალი.
387. რად დააგდე ეს სოფელი, რამცა გაკლდა მისი ნიეთი?
სახელმწიფო, ქმარი, შვილნი რად გაჰხადე ოხრად ვითი?
სამუდამო ლოცვა-წირვა, ფსალმუნება ან დავითი?
პირსა შენსა შუქი ჰკრთოდა, ეგრე ადრე რად წაირთვი?

388. მე გამწირე, საყვარელო, ლევან რად ჰყავ საბრალობლად?
 ალექსანდრე ნებოერო, ვით დამიგდე მე ეს ობლად?
 შენ უდროოდ ტახტს აოხრებ, თავსა შეიქ საბრალობლად,
 მე გამსადე მტერთ გულისად ბედისა და სოფლის მემობლად.
389. გვირგვინის ნაცვლად ჩაჩს მბურავ, სკიპტრად მე მაძლევ შავს
 ჯოხსა,
 პორფირად მაცმევ ძაძასა, ტახტზედ დამიდგამ ბნელს ქოხსა:
 გამაბელით, დამაგდე, ვკვირვარ მე გუშინ დამნახსა.
 უდროოდ ამ ყოფისათვის უბნობენ სოფლის საძრახსა“.
390. ვით წესია, გარდვიხადე გლოვა დიდი, სულთ წესები,
 სულთქმა, ახი სამუდამო და ტყვილი საყენესები.
 ვიჯექ ბნელსა ცეცხლ-ნადები, ნათელ-შრეტით დანავსები,
 ნაღველს ვსვემდი სამსალითურთ, გული მქონდა შენავსები.
391. ორმოცამდისი ბნელს ვიჯექ, სინათლეს ძვილ სად ვნახევდი,
 თავსა ვაცემდო, ვ-ტიროდი, ცრემლითა ლაწვთა ვიხევდი.
 შენც შეზიბრალე, არიფო, მოდი და ჩემთან ახევდი,
 ნუგეშინის-მეც სიტყვითა, ღონეს რას მომიხახევდი!

**მეფის თეიმურაზის შაენისაგან დააბატიყება
 და მგლოვიაროზიდაჲ ბამოსვლა**

392. მე, მგლოვიარე, ყაენმა მიმიხმო, მიმიპატიყა,
 თუ გლოვით გამოსასვლელად კვლავ უფრო გამიპატიყა,
 აზდა მიბრძანა შავისა, ხორციცა მან დამპატიყა,
 უარი არ მათქმევინა, არ-ხანი დამიღარიყა.
393. ვით მართებდა მასთან მისვლა მე და ჩემსა სიდიდესა,
 ყოვლიფერი თან ვიახელ, ვინ იცის, რა მამინდესა!
 მას ვმეტობდი ჯარიგებით, ვით რომ დავარ მამიდ ეს-ა,
 მე რაჟულმტყიცედ შეზღუდვილი, იმათ თავი გაინდესა.
394. წაველ, მიველ, მომაგება ომარები კარისკაცნი
 ბედაურის ცხენებითა, არ იახლა მათ საყაცნი.
 სიმრავლესა ჯარისასა წინ უძლოდეს, ვითა ვაცნი.
 გაეკვირუნეს სიკეთესა, ხელთა ჰქონდა მალ-მალ ტყაცნი.

395. მიველ, ენახე, მიაღერსა ხელმწიფემან ვითა შვილსა, მიბრძანა, თუ: „მწოვედ მიმძამს, გხედავ აგრე შემოსილსა. მაგრამ რა ექნა? რა გავაწყო? ლეთის ბრძანებას ვინ მოშლისა? გლოვაზედა რად წაბაძე: შენ ჰკვიანმან სხვათ შემოილსა?“
396. დაჯდა ნადიმად უცხოდ რამ, მის ლხინს რა გაეწყობოდა?! მუნ რამდენდერი საყრავი ერთმანერთს შეეწყობოდა. გაყრას ვინ შოინდომებდა, გული იქ დაეტყვებოდა. მას დაფარული მტერობა მაშინ არც შეეტყობოდა.
397. გათენებამდი ნადიმად იჯდა და არც მე გამიშო, მიბრძანა: „გამხიარულდი, ჩემგან არა ხარ საშიშო; ბევრს კარგსა გიზამ, იცოდი, საქმე არ გყო საიშო, გულსა სევდა და ნაღველი უკუიყარე, მოიშო!“
398. პირველი ნახვა გათავდა, მერმე მიმხმომ ხალვათად, მითხრა: „ლუარსაბ მეფესა გამოყვრებ მალე ამლათად, ორნივ მეფენი გაერთლით, ის შენთვის იყოს, შენ — მათად; ჩემიცა ჰქისლი იქნებო, საქმე არ დარჩეს სახლათად“...
399. მოვახსენე: „ხელმწიფეო, ეგ ჩვენს რჯულში არ მოჰხდება! ახლო არის ნათესავი, საკანონო დამედება; თუ შევიერთო ნათესავი, საბოლოო წამიხდება“, უარი არ გამიგონა: „ცუდიო მიდ-მოღება!“
400. არ იქნება, დამიჯერე, ქართველთ მეფის უმოყვრება. სხვას უკეთესს ვერ შეირთავ, მეც მასშია, დიად, ქება. ზურგად მე გყვე, — ის მოყვარედ, ვისდა ძალუც შენი ვნება? მე მწადს! მერმე თქვენ მოგხვდებით ლხინით შეყრა, ერთად ხლება“.
401. კიდევ რამე მოვახსენე: „მე ეგ საქმე არ შექნება“. არაფერი არ გავიდა უარისა მოხსენება. კვლავ მიბრძანა: „ნულარ იტყვი, თუ არა იქ, არ იქნება“. რადგან ისრე შოინდომა, რაღა მექნა? დავრთვი ნება.

შაჰ-აბაზ ხანისაგან აბაღის-შვილის აღაგის თხოვნა და არაგის მგობა

402. მერმე მითხრა: „აბა, მამეც აბელის ძე კარგი აღამ. თუ არ მამეც, არ იქნება, ვერ დაახსნას მაგისმა დამ“. გამიჭირდა მისაცემლად იქ მისვლით და მერმე, ხადა. ჩემს სიტყვასა დააკარბა ხელმწიფისა მოსაწადამ.

403. მოვასხენე: „ვერ მოგართვამ, ნუ მიბრძანებ, ცრემლს ნუ მძღენ!
ნამსახური კაცი არის მამოთ, ბიძოთ, თავით რაჟღენ!
გამორთმასა ნულარ ბრძანებ, წყალობა ქვენი შენი ამდენ.
მამამისი პაპაჩემსა ძვიან ორნივ თავს დააკედენ“.
404. — „პასუხს გეტყვი მაგისასო. დაჯექ მანდა. მამიცადეს!
კარგიაო, არ იმოგეცემო, მართლა სიქეი თუ გამოცადედ?
თუ გიყვარვარ, ვიცი, ვიცი, მამცემ. წა, მომგვარე, გა, მომც, ადე!“
მაგრამ კიდევ არ წამოველ, კიდევ ხანი დაუცადე.
405. არაკი მითხრა მართალი, სიტყვა რამ დასაამიო:
„ერთს ხელმწიფესა ვეზირნი მუდამ გვერც უსხლეს სამიო,
ერთი გვართ და თვითანცა და ორი არ საამიო,
უფროსი ყოვლის სიკეთით გულ-ქველი, ვით საამიო.
406. ერთმან მონამან შეჰკადრა ხელმწიფეს ღარიბობითა:
ათასი მომეც თუმანი, არ მოქვამს სათნოებითა,
ასეთი რამე შეგვიკო, შენ იყო არ ქონებითა:
რა ის მოგართვა, გაჰკვირდე, ბევრი სხვა მაჰცე ნებითა.
407. ხელმწიფეს ღიდად იამა, უბოძა დაუყოვნელად.
ხანმა რა წაწლო, მოჰგონდა, რაც ჰქონდა საიმედებლად,
ბრძანა: «მომგვარეთ იმითურ, რბილს აკეთებს თუ სალებლად».
მივიდეს, წამოიყვანეს, პირი შეექმნა ნალებლად.
408. მივიდა მონა, უბრძანა: «რა ჰქენ? რა გამოიკეთო?»
მან მოახსენა: «ხელმწიფევ: გწადს, თავი მე მამკვეთო,
ღარიბობამ და შიმშილმა მიჩივია ეს უკეთო:
ყველა დაეხარჯე, შევსკამე, გინდა ცეცხლს შემოიკეთო.
409. სანამდი მქონდა, ამ სოფელს ყველა რამ მე ვიამეო,
თუ ის არ მექმნა, აქამდი ვერ მოვაწევდი სამეო.
ამისთვის ვქმენი, მეფეო, თუ ღმერთი გიყვარს და მეო,
თვარე, რაც გინდა, იგი ქმენ, შენ მანდ ზიხარ და ა მეო».
410. ერთხანს დაფიქრდა, ვეზირთა უბრძანა: «ხედავთ ამასა?
რას არჩევთ? რისხვა რა უყო ერთსა თვალისა წამასა:
ეს მონამ ვით შემომბედოს? შვილმაც ვერ უყოს მამასა!
შიშით არა ძრწის, თავს იღებს მისის ტყუილით ჰამასა.

411. ხაბაზის შვილმან შეჰკადრა: «თორნეში გამოაცხეო». შხარეულისამ ესე თქვა: «შეწვი, ზედ ნავთი წასცხეო». კვლა გვარიანმა ურჩივა: «მწვეთ კარგად შეინახეო». მას მიეპოწმა ხელმწიფე: «ეს უკეთ დავინახეო!»
412. მეც მაგისტრის გთხოვ ამ აღამს, გვარად ვარგა და თავადა. უგვარო კაცი ასე იქმს, თუ ძირად არ ითავადა. იმ ვეზირთ სიტყვა გასინჯე; რომელმან რა თქვა ავადა? ჩამოშავლობით სიკეთე კარგია, ბევრად გავა და.
413. კაცი უნდა ან გვარად და ან სწავლაში გაიზარდოს, თუ სიბრძნეში გაიწვრთნების, უგვარომანც გაივარდოს! თვარ უგვარო გვარიანსა ცუდათ ვინმე შეუფარდოს, უგვარო თუ არას იწრთენის, სიკეთე ვით გაიმარდოს?“
414. რაზომ ვიტყოდი უარსა, მან უფრო დაეინაო, ტკბილის სიტყვითა წამართვა, არ ბაქით შემაშინაო, აღარ მაცალა პასუხი, სულ იმან დამიშინაო. მივეცი, რა შექნა? ვიტყოდო: „ნეტამც დამეგლო შინაო!“
415. გამომისტუმრა, წამოველ, კაცი თან გაშობატანა; მეც ნება დავრთე, დავასკვენ მე მისი აქ წამოტანა. კიდევ მას მახარებდა, სათუო არ დამატანა, მოველ ვემოყვრე მეფესა; პირად მზემ ალვა მატანა.
416. რა მოველ, მეფეს ლუარსაბს ვემოყვრე მისის ბრძანებით. მან თურე სხვაფრივ არჩივა და საქმით კიდევანებით, ჩვენ სულ მართალი გვეგონა, ვიყვენით სხვისი არ მგვანებით. ვინ რას მიუხვდა? ლიქნით იქს, ან რასმე მონაგვანებით!
417. ავეწინადე საქორწილოდ, მას ქალს ჩემად მოსაგვარად, პირველისგან უკეთესზე. თავითაც და მერმე გვარად. ქორწილიცა ეგრეთი ვქმენ, შესადფერი მის-მისგვარად: ყოვლი ნივთი მრავლად იყო, არა მქონდა მოსაგვარად.
418. მას თურე მაშინ უნდოდა, რაც ბოლოსა ქმონდა საქნელად გუნებაშიგან ნარჩევი, პირად არ გამოსათქმელად, მაგრამ ორნივე მეფენი ჩვენ ვუნდით მას დასანთქმელად, არ სიყვარულით შეგვიტკბობს, ჩვენზედა გული ათქს ნელად.

419. ყაზახის ხანსა მოსწერა: „მეფე ლუარსაბ მოკალა,
თავი აქ გამოჰიგნავენე, ქართლი გაღეწე ვით კალო!“
მეფეს სხვა წიგნი მოსწერა: „ეგ ხანი მალვით დაკალო,
შიშით დახეთქე ყაზახნი, შეაქმენ თრთოლა-კანკალო!“
420. მას ეგონა, თუ ყაზახი ხერხით ამას აჯობებდა,
ზოგონის უცხო რაჲმე, ლიქნით ამას გააგებდა,
მაგრა მეფე არ გაება, ის რომ საფრხეს დაუგებდა.
მეფემ მოკლა, გაუგზავნა, თავსა შუბზედ აუტებდა.
421. თუ მე მაბრალებს პაპისას ძველს რასმე დანაშაულებსა,
ლუარსაბ მეფეს რადლა ჰკლავს, პრად მხეს, არ თუ შეგებსა?
სვიმონ მეფემან ჰმსახურა, ურუმებს სთხოვდა დავებსა.
ქართლი სულ ურუმთ ეჭირა, გაუყრის მათ ფაშაუებსა.
422. ურუმთ ეჭირა ქართლი და ადრიბეჟანი, შირვანი,
ასრე მათ ეპყრა ციხენი, ვით შიგნით ბასრა, იქ ვანი;
უცილებლად და უოჰრად არვისგან ჰქონდათ მით ვანი;
არიგებდიან მათს წესზედ, მათი აქ სწერდა მდივანი.
423. ვინ არ მივიდეს მათთანა, ყაენთან ზივლენ მჩივანი:
დაიპყრეს არდაველს აქეთ ერანელთ მოსაყივანი;
აქა-იქ დაიმალოდეს ამყად ველარ მყივანნი,
ზოგნი განერეს, ივლტოდეს, შორს მყოფნი იყენეს სვიანი.
424. ეს როდის იყო, დედასა მცირე ყრმა ჰყვანდა შააბაზს.
სვიმონ მეფესა უბრძანა: „ტყვეს ხმალი უნდა შააბას“.
ქართლს გამოგზავნა საოჰრად, ურუმთა უნდა შააბას.
არას ნაღვლობდენ სვიმონის, თუ ბოლოს ვინმე დააბას.
425. ბეგუმა თქვა: „მეფეს სვიმონს შეუძლია გაძებანი,
ამის მეტსა არვის ძალ-უც გურგასლანის ბაძებანი“.
კაციოთ ჰკადრა: „შინ გავიშვებ, იქმენ ჩემი ძმა-ძებანი,
მრავალს მოგცემ, რა იქ მიხვალ, აღარ გინდა ჯართ ძებანი“.
426. სვიმონ მეფემან შესთვალა: „საქმე ვქმნა არ უკადრია;
რაცა გმსახურო, მოგესმას, ზოწმად მყვეს თქვენი სადრია;
ღვთის ძალით ქართლში ურუმნი მოვსრე, განეძო ადრია.
გმსახურო, არ დამისწავლით, ეს თქვენი რა საკადრია?

427. ძველი რამ ვიცი ამბავი მე ვახტანგ გორგასლისაო, სპარსთ მეფის ლაშქრად წაყოლა და სინდეთს მის მისვლასაო, მისგან გოლიათთ დახოცა და — მერმე ვინ მოშლისაო? — მასავით მიზამთ, მე ვიცი, მოდგმა გაქვთ თქვენ ასლისაო.
428. დიდმან ვახტანგ სინდთ მეფისა გოლიათნი ამოსწყვიდა, ციხე ხელში გამოუღო, მეფობისგანც გამოსწყვიდა. მერმე უთხრა სინდთ მეფემან: «ვახტანგ, შენთვის ავად ჰყვი და მისი ხელი დაგეშართა, საქმესა იქს რას ყვავი და.
429. ერთმან ყვავმა ქორის ქულა ნახა სადმე დავარდნილი, მიიყვანა თავის ბუდეს. რად შემცდარა ავარდნილი? მოიზარდა, ყვავმა ნახა ბახალეზედ მივარდნილი, დაუჭამა, ახლა დარჩა ყვავზედ დრო შემოვარდნილი.
430. რა ბახალეზი დაქამა, გაშალა ბოლო მწვერვალი, ახლა ყვავს გამოუვარდა, მან თავსა დასვა ეს ვალი. რად მოჰყევ ჩემზე ამასა, გრძლად გქონდა აქეთ სავალი. იმე გამათავა, აწ შენზედ მოიცილოს, არ აქვს ზავალი».
431. მისი არ იყო, იმე ვიცი: ჯერ სამსახურსა დამაცლი. დვითთ, მე მგონია, ურუმთა ქართლიდამ ადრე გაგაცლი; ჩემზედ მოიცილით მას უკან, მათგან ციხეთა რა დავსცლი, გამომჩქეტებ ადვილად, წყალობა-პატივს ამაცილი“...
432. მათ უთხრეს ფიცი საშიში და გამოგზავნეს ხმლიანი, გამოისტუმრეს მებრძოლი ყაირათ-ნაჰუსიანი; მოვიდა, ბევრჯელ შეება და ურუმთ უყო ზიანი, მუდამ მას გაემარჯოდა, ბოლოდ ვერ არის სვიანი.
433. რაც ციხე ჰქონდათ, აიღო, არცერთი არ დაანება, ურუმნი ქართლით განდევნა, ყაენისა ქნა მან ნება, ქართლი იპათვე უმოვნა, თავის თავს უყო სავნება. მისი არაკი ლუარსაბს მეფეს არ მოეგონება.
434. გორი, ქალაქი, სამშვილდე, აღჯაყალა და დმანისი ურუმთ ეჭირა ერთ-პირად, ვით კარი, ანუ ანისი; სულ სვიმონ მეფემ აიღო. რას გარდეკიდა ან ისი? მალე ჩაივლის მათ წინა ნაქნარი ეს სვიმონისი.

435. მერმე ურუმთ დაიჭირეს მფფე სე-მონ ალგეთს, ფარცხის, ბევრჯელ ომი კარგად მოხნის. ხან დარჩის, რაი ვერ დფარცხის; სისხლი იცხის მტერთა მრსთა და თავრი მას გარდაცხის, ბოლო ამით გარდაუწყდა: ჩაიყვანეს სტამბოლს მარცხ ის.

436. ასრე, იყო ნამსახური პაპითა და თერთან თავით:
. მსახურებდის, აწებდა, არვის ახსოვს მახუდ დავით,
არასფერსა არ აწყენდა, მიჰყვებოდა ვთ სადავით,
მათ რომ ბევრი კარგიც გიყონ, ბოლო მოაქვს ისრევე ავით,

437. ამას ნუ ბრძანებთ ნურავინ: „მე მისთვის რამე მეწყინოს,
უარი მტოქვას რისამე, ან წყენა მე დამეჩინოს.“
მაგრამ ესე სწადს: საკუთრად კახეთი მან დარჩინოს,
ბაგრატიონნი გასწყვიტოს და არსად არ მოარჩინოს.

438. პირველ მიველ, მძა მიეპართვი და მერმე დაც იქ ჩაეკვარე:
რაც უმა მთხოვა, ყველა მივეცი, იმას რამცა წამოვკვარე?
არ შემეჭერდა არას საქმით, ვერაფერი მოვუგვარე,
რაც უფროსი ავი მიყო, მაგრამ მეც სამ გაუჯავრე.

**ამბავი პირველი — შაბაზ ყაენისა კახეთსა და ქართლს მოსვლა და
ორთავ მეფეთა იმერეთს წასვლა — ქართველთ მეფის — ბატონის ლუ-
არსაბისა და კახთ მეფის — ბატონის თეიმურაზისა. ბატონებისა და
ქვეყნის წყრომა, რბევა, ტყვეება და აოხრება მოუკლებელი და
დაუღვენელი**

439. ოდეს შაბაზ ჩემზედა საქმე ქმნა ეს მისეული,
აიწყო ჩემი მტერობა, ბოლომდის არ დაღეული,
ქვეყანა ამომიწყვიდა, თავადნი მუნ ბევრეული,
არ გაძღა ჩემის სისხლითა, ვარემ არ მოკვდა წყეული.

440. განჯას მოვიდა მოპარვით, ამბავი ვერ ვსცანთ მოსვლისა,
სიტყვა რამ შემოეთვალნა იქილამ სხვაგან წასვლისა.
გამწარდა საქმე სოფლისა, მზე მიდრკა ქედად დასვლისა,
გვიპირებს ბნელი დაფარვას, ეამი ჩანს ნათლის ჩასვლისა.

441. დაიწყო თხოვა შვილების, უფროსი ერთს. დედის ერთსა;
მივეცი ყველა, რაცა მთხოვა, არა ვპირიდუ ცოდვას მათსა.
დედა-შვილთა გაყრისათვის მარისხებდეს ცათა ღმერთსა.
ჰგვანდა მაშინ კახეთშიგან მეგვიპტურსა რ-სხვას ათსა.

442. მაშინც არ იქმნა, არ დასცხრა ზღვა, ქარით იძულებული,
პირცეცხლიანი, უწყალო, ვეშაპი განძენებული,
მრავალჯერ გაპარჯებული. მტერზედან ალაღებული,
მომსრველი, ამომწყვედელი, დამწველი, ცეცხლ-მოდებული.
443. აწ ესელა ვთქვა ამბავო, ვაი იმ დღისა მხსენესა!
რა დიდი მტერი ამკოდე, ბოლომდი არ მომხსენ ესა,
რაცა დანასკვე ჩემზედა, აროდეს არ გამხსენ ესა.
რომელიც დავრჩეს, ჰკითხვედღო ამისსა თქვენ მომხსენესა.
444. დედამისმა ჩემთვის შობა იგი ასრე ჩანასხამი,
მუდამ ჩემის სისხლის მსწელი, გესლიანი ჩანასხამი;
ტანტზედ იჯდა სამეისისხლოდ, არ ეხვია ჩან ას-ხამი,
ტანს იცვემდა სასალუქოს, სხვაგან ეღვა ჩანას-ხამი.
445. სულ მოვიდა ერანითა, თურქ-ლორით და არაბითა,
ზახირა თან მოიტანა ურმებით და არაბითა;
ღვინოს სვემდა სისხლად ჩემდა, თრიაქს სჭამდა არ აბითა,
ჩემშიც ცოდვა თქვენ გვიღია, ვინც მოუშვით, არ აბითა!
446. სპანი ბევრი უამრავი ერანიდან მან მოასხა;
ჩვილნი მოსრნა, ვით ჰეროდემ, მოწიფულნი თან წაასხა;
მან ძველითგან ჩათხელი გესლი იმაშინ წამოასხა,
ერთგულები დამიხოცა, ორგულთ ტყავი წამოასხა.
447. მოვიდა მძლავრი, უწყალო, არად არ შემობრალებდა,
დამიწვა სრულად კახეთი, სახმილსა გამიღებდა;
ვერსად დაუღვა ციხეშა, სიმაგრით თუმცა სალებდა.
მას ქურთმთაგან ნასწავლსა საქმესა მე მამბრალებდა.
448. შვილი ეთხოვნა: „მამეცო, გაეზრდიო შენებრ სათუთად,
სიტყბით და სიყვარულითა, არ შეავედ, ვითა ხართუთად,
მოიწიფოს და მალ მოგცემ ასპარეზს შიგან საბურთად“.
მესროდა მწარედ სიტყვასა, წინ უჭე სრულად, ვით ბუთად“.
449. ვიცოდი არასფერითა დაშლიდა აღარ მოსვლასა,
რაც ქნა, ეს სწადდა საქმნელად, ტყუოდა სხვაგან წასვლასა.
მირჩევენ შვილის მიცემას, ჩემთვის მზის შუქსა დასვლასა,
შეხვეწნას, დედის გაგზავნას, უთუოდ მის წინ მისვლასა.

450. მივაგებე დედაჩემო, ალექსანდრე თან წაგვარა.
„ეს ცოტაა, არ მინდაო“, — დაიწუნა, რა მიგვარა.
აწ უფროსი უნდა მივსცე, საქმე ასრე მომიგვარა.
ეს სწადიან, ამომწყვდითოს თავ-შვილიან, გვარის-გვარა.
451. ეთქვა, თუ: „ასე ცოტასა რას ვაქნევ, არ ვარ ძიძაო,
რა გავათ მე გაგიზარდო, ვითამ ეყოფილვარ ძიძაო“.
გულში სხვა უბევს. ენათა მან კლაკვი გააქანძაო.
მწარესაც ტკბილად იტყოდა, ბადენი დამიხინძაო.
452. მეორე კაცი მოვიდა მათის საფიცრის მტკიცითა:
„ერთი ღმერთი და მეორე ჩვენ ფელამბარი ვიცითა,
აქაც მყოფი და ყოველგან ქვეყნად და კვალად ვიცითა.
თუ ლევან ზამცე, ეს მოგცე, ეს დამიჭერე ფიცოთა“.
453. დედაჩემს შემოეთვალა: „კვლავცა მინახავს ესეო,
წამოსვლა ავად ვარჩივე, მოვიქვე დანათესეო,
უწინ რომ მაბატრეებდა, არ არის მის მოწესეო.
რას ჰქვიან, ეგეც არ მოსტე? თვით არის უკეთეს ეო!“
454. ვიცოდი უსაცილობით, რაც იმას სწადდა საქნელად,
მასრულეებს ამოსაწყვეტლად ამოდ, წყნარად და ნელ-ნელად;
მაშინ თამამად წახდენა მას ჰქონდა გულ-გასაძნელად,
ორთავე თვალთა სინათლე უნდა შემოქნას მე-ბნელად.
455. ვუთხარ: „კახნო, დამეხსენით, თქვენი რჩევა არ ივარგსა!
რა ამასაც გამომართმევს, ჩვენ გავასწრებთ ვედარ ბარგსა,
შემოგვიტევენ მასვე, წამსა, სრულ წამოსცლის მისსა დარგსა.
ლევანსა და ალექსანდრეს რად მოკარგავთ ორსავე კარგსა?“
456. გარდაიცვეს თავს საბელი, კახთ სულ ასრე დაიყინეს:
„ქვეყნისა და თავისათვის რად არ დასთმო. თქვა ეს, ვინ ეს?“
მერმე, კიდევ უარი ვსთქვი, გამოჩენით მათ იწყინეს.
გამომართვის, გაუზახენეს, გაზაფხული შამიყინეს.
457. ორივე შვილი გამომართვა, მერმე მეცა დამიბარა.
თუ მეც მასთან მივსულიყავ, ჩემ წილ აქლა დამიბა რა?
რა არ მიველ, შემოვიდა, ბარი მთად ყო, მთა მიბარა.
სულ კახეთი ამიოხრა, საძირკველოც დამიბარა.

458. დამოყინეს მეც ზოგ-ზოგმა: „თუ არ მიხვალ, თენი წახდა“. შიში ათქმევს უქნელს საქმეს, თვარ გუნებას ვინ ვერ ჩახდა? თუ მეც მასთან მივსულყავ, კიდევ უფრო არ გაოხრდა? აგვერია შიგნით საქმე, ღვთის რისხვითა ასრე მოჰხდა.
459. მაშინდელი საქმეები არ იშობის სრულა წვრილად, ასრე ვამბობ სრულ ნაკლულად, ვითამ იყოს რამე ჩრდილად. წყნარა-წყნარა მოგვიახლა იგი საქმე სიტყვა-რბილად. ვიდრე მართლა არ მოვ-და, მოსვლა ჰქონდათ ზოგთ საცოლად.
460. აწ ეგების ეს გეგონის: მაშინ ვერას ვერ შევსძლებდი? თავს გავრჩიდი სასიკედილოდ, ზოგს მასაც რას დავაქლებდი, ქვეყანასა დანდობილსა არც სრულ ისრე ავაქლებდი. დავგამშვიდა ტბილის სიტყვით, ჯებირს არსად არ ვავლებდი.
461. რა შეეიტყვე მართლა მოსვლა, სხვა ველარა გავაწყევით: მუკუნინიდან გაღმა მთამდი სრულ ჯებირი წავავლევით, გავჯებირეთ ორ მთას შუა, უკან რაზმი დავაწყევით. რა შეიგნა, მოგვაშურა, ვითა შმაგი მოვა წყევით.
462. ზოგი კიდევ მისვლას მირჩევს და ზოგ-ზოგნი არჩევს შებმას, რჯულისათვის სისხლთა დაღვრას, კვლავ საომრად ხმლისა
შებმას.
ასე მოაქვს რჩევაშიგა ერთმანერთის სიტყვის აბმას. ომი ველარ გაუშართეთ, რა ლამოდეს ჩემს იქ დაბმას:
463. ვინც აქ ლმერთი შეიყვარა და ანუ მე მიერთგულა, წამოპყვეს და წამოვედით, ჯებირს კარი დავგულა; ვინც იქ დარჩა, სიფეკაცით ზოგნი ავად განეგულა. ამოსწყდეს და და-ცა-ტყვევდეს, დარჩეს დამწვარ-დადაგულა.

აქა უაღეთს ჯარი გაუხივა, წინ დახვდენ მეფესა და მეფეს
გაემარჯვა

464. რა შეიტყო ჩემი წასვლა, ჯარი უაღეთს გარდგვაგება; მივედით და წინ დაგვიხვდეს, რაც მათ უნდა, არ ეგება. მივახლოვდით, შემოგვებნეს, ჩვენიც წინა მიეგება. დავამხსნერიეთ ზედ შუბები, მერმე მათაც მათ ეგება.
465. გავგემარჯვა უზიანოდ, შევანანეთ წინ დახლომა, წავიქციეთ წინ მეოტნი, შევაქნენით კლდეთა ხლომა.

თუ კაცი მხნედ დაუხედებთ, აგრე იცის მათჲან ტობა;
პირველ ესრე გაგვემარჯვა, მახალისა ამა ომა.

აქა მეფე ლუარსაბ და ქართველნი დარბაისელნი და მეფე თეიმურაზ
და კახნი დარბაისელნი შეიყარნეს მუხრანს და არჩიეს თავისი და
ქვეუნის საქმე. ზოგმან ზოგი თქვა და ზოგმან — ზოგი

466. გაველთ ერწო და არაგვი, შევეყარეთ მუხრანს მეფეს,
იმომილოცა გამარჯვება და მუნ მათსა სისხლთა მჩქეფეს.
მერმე მითხრა სიცილითა: „არ უჯობდა შენსა სეფეს,
კარგს დროს დრო რამ ავი შეგვხვდა ჩვენ, ორთავე ვარდთა
მკრეფეს“.
467. მიბრძანა, თუ: „როგორ დახვდი მცირეს სტუმარს, უცებ
მოსულს?
პურადობას იჩემებდი, არ უქერდი სტუმარსა სულს,
მხიარულად დახვდებოდი, აწ გეტებენ სადღაც წასულს,
პურად კარგს და გულად უხესა ახლა გხედავ შენ დანასულს“.
468. მოვახსენე: „შენც გეწვევა, გაგიჩნდება, ვით დახვდები.
თუ შენ მაშინაც ლხინს აჩვენებ, ჩემგან უფრო გაუხვდები,
ან გაიციდი თვალთა წინა, ანუ ხელში მოუხვდები. .
ნუ დამცინი, შენმა მზემან, ჰგავს, რომ მარტომე, არ ვხდები“.
469. შეგვექნა იქაც რჩევა და ერთად რამ შეყრილობანი,
გაგრძელდა რჩევა ქართული, სიტყვა და ვაზირობანი,
ჩვენს ყმათა მასთან ყოფა და ჩვენ შეფეთ მით შემცრობანი.
უცოდნი გვაბრალებდიან, გვიზრახეს მართ შემცდრობანი.
470. ქართველთა დიდებულთაგან უფროსი იმას ჰყოლოდა,
არაგვისა და თვით ქსნისა ერისთავებ კამყოლოდა,
ანდუყაფარ და ფეშანგი, ალათანგც მას აჰყოლოდა,
ნოდარ და დავით კახი ჰყვა, მე ვინლა წამამყოლოდა?!
471. მო-რა-ვიდოდა, ესენი უწინვე მასთან წავიდენ,
ჩემნი ყმანი რომ ვახსენე, ჩემგან გაგზავნით ჩავიდენ.
ესთქვი: „სიკვილილს ვერ ავსცილდები, სისხლს ვადენ, ანუ
დავიდენ
ხორცი აქ მიწად გარდიქცეს, სულელები ზეცად ავიდენ“.
472. ვერცა რა ერთად გავაწყეთ, რადგან ეს სწადდა ღმერთსაო,
სხვაზედ რაზედამც ვიქადო, ვაბრალებთ ერთი ერთსაო.

ველარცხად ქართლშიგ დაედგით და ველარც ქვე ერეთსაო.
ავიყარენით, ვიარეთ, მივმართეთ იმერეთსაო.

473. გარდაველეთ ლიხი, მივედით ადგილსა იმერელთასა.
გიორგი მეფე მობრძანდა სამყოფსა წერეთელთასა,
წინ მოგვეგება, გვესალმა საჩხერეს, ადგილს ველთასა.
დავივანენით სამყოფსა მუნ სახლსა კარგთა ქველთასა:
474. მიგვიბატია ქუთაისს, მუნ ტახტსა, მეფეთ დგმულებსა,
გვიალერსებდა ვით შვილთა, გვანაცვალებდა გულეზსა,
მეჭირვებისა სეფდასა უკუგვეყრის მუნ მოსულეზსა.
მასთანა მყოფნი იმეფენი ვგვანდით შართ უფლისწულებსა.

**აქა შაბაზ უანისაგან გორს მოსვლა და მეფის გიორგის
მოციქულობა**

475. მაშინ შაბაზც თან მოგვეყვა, მოვიდა, დადგა ში გორსა.
მეფეს დაუწყო ელჩის-გზაენა: „ნუ შეიხიზნავ შენს გორსა,
რაც გინდა, ფიცით ადგათქვამ, თუ ხელთა მომცემ მაგ ორსა,
თვალ-მარგალიტსაც უსეთსა, მოედანს ბურთებრ იგორსა.“
476. თუ არ მამცემ, უსაცილოდ მთის ძირს მოვალ, სომანეთსა.
კარგი თურმე არ გნდომია, მაშ, შევებნეთ ერთმანერთსა;
სხვა რაზმი რომ აქავ იდგეს, წინა მოვა სავანეთსა.
მანდ კი ველარ დამიდგები, წაბრძანდები თუ სევანეთსა“
477. მეფეს ასპოდა მუნ მჯდომსა, ჭადარს ქვეშ სდგმოდა სელია,
ვაჰკვირვებოდა: „ამაზედ ელჩი რა მოსასვლელია?“
კაცი გაგზავნა, მობრძანდენ დადიან-გურიელია:
„უმათოდ ელჩს არ შევიყრი, მათცა ცნან, რა ყრიელია“.
478. მოვიდენ გუგუთს, სახმნოვე მეფენიც მუნვე ჩავედით.
გიორგი მეფე მაშინდა მდიდარი იყო სვე-ბედით.
სხვას მისებრ მჯდომსა ხელმწიფეს, ტყუის, ვინ აქებს გაბედით.
ჯავრი კაჟს ჰკრევედა, ცეცხლს ჰყრიდა, ჩვენ მოგვიდებდა აბედით.
479. მერმე ელჩი მოიყვანეს, ჩვენ რამ საქმე ეს მოგვიხნდა.
მოახსენა, რაც იცოდა, მას სიტყვის თქმა არ მოუხნდა.
უბრძანა თუ: „ვაჟო, რა სთქვი? მეფეს აგრე ვინ მოუხნდა?
ნულარ იტყვი მაგ სიტყვასა, ჯავრით გული შემიწუხდა.“

480. ვით მოჰხდება ეგე აგრე, ძმა და შეილო ადვილ გავსცე,
 ლიხს იქითი საქართველო ავილო და პირქვე დავსცე?
 ხელდაკრული არათ უნდა. ამათ ყმასა მე ვითა ვსცე?
 სმა, ლხინი და გახარება უამათოდ შე თავსა ვსცე?“
481. არჩიევს, მეფემ დასკვნა თავისის ელჩის გაგზავნა —
 აფხაზთა კათალიკოზი, ვინ ანგელოზსა ეგვანა,
 სხვა აბაშიძე ლევანცა, თვით სიტყვით მას შეეგვანა.
 დილა გათუნდა. ელჩიცა იმოიხმეს. სად დაეგანა.
482. აბარებდა: „მოახსენე ხელმწიფესა მას მალალა:
 სამართალი მეფეთ ეს არს: შენახვეწს კაცს შეიწყალსა.
 თუ რამ ამათ დააშავეს, ვხედავთ თავსა დანაბრალსა,
 რისხვა დიდი გარდაჰხდია, გეხვეწები აწ წამალსა.
483. თვით იცით, დიღო ხელმწიფეც, ჩვენცა კაცნი ვართ სეფენი,
 გვარი გვაქვს დავითიანი, მას მონდა ყოვლი მეფენი.
 აწ უპატრონოდ ნუ გავგვხვდი, ხვეწნით ვართ შემომყეფენი:
 უბოძე ორთავ თვის-თვისო, უცხო ჰქენ სიიფენი.
484. აწ ეს შეიძღვენ ფეშქაშად ხვეწნა და მუდარებანი,
 შენ, ბრძენო, კარგად ისმინე ეს ჩემი უმეცრებანი:
 უხვად წყალობა მოჰვინე ხმა-ტყბილი, ვითა ებანი,
 პატივი დამდეგ, წაბრძანდი, ამათ ქნან მანდეთ რებანი“.
485. დააბარა ესე სიტყვა, ფეშქაშიცა გაუგზავნა:
 „ესე არის ჩემი ხვეწნა, ნუღარ არის ძალით თხოვნა“.
 სულ არც რბილი შეუთვალა, ნება ძალსა დააგვანა.
 „ესეც ჰკადრეთ ბოლო სიტყვა: არ იქნების ძალად შოვნა“.
486. მერმე უთხრა კათალიკოზს, ვის ეწოდა მალაქია:
 „მიდი, სიტყვა გაუსინჯე! ბრძენი ხარ და მალ აქია.
 ამათს ბალსა ვარდი დარვე, მოგესწრობის მალ აქია,
 ჰკადრე, თუ: კი არ უბოძებ. ოხრად დაგვრჩეს ქალაქია“.
487. რა მოვიდა, კარგად დახვდა კათალიკოზს და ელჩებსა.
 აწ უყუტრე მას გრძნეულსა, ვით მოიხმარს მის ხლართებსა:
 უალერსებამ ტყბილად რამე, სიტყვას ეტყვიოს საამებსა.
 ძალის საქმე გარდასწყვიდა, ხელს მიიყოფს ილათებსა.

488. მოახსენეს ელჩთ მათი და თვითან არის ამის მოქმელი:
„ლუარსაბის სამდურავსა, კათალიკოზო, ნუ შელი,
ჩემი არის თეიმურაზ, ძველითგანვე სისხლის მსმელი.
ბაპამისმა ქალი მამცა, რად წამართვა? რად მყო მელი?
489. რადგან ორნივ აღარ მამცა, მაშ, ლუარსაბ შემარიგოს.
თეიმურაზს ნუ აპყვები, მეფემ ასრე დაარიგოს.
ფიცი მოვსცე საშინელი, გრძლად რაც სიტყვა წაარიგოს,
ქართლიც მივცე, სხვა წყალობაც, შეენატრო აწ არ იგ ოს“.
490. აავსო საჩუქართა ბერი და ერი ორივე.
ჰოი, ბოროტო, მაცდურო, სიმართლე ვითა, ო, რივე?
გული დამგვრიბე, საკვდავად. ლახვარი ესრეთ, ო, რივე.
ამხანავსა და მოყვარეს რადა მყრი? ხნით ვარ სწორივე?
491. ესენი გამოოსტუმრა და აწ მიიხმო შადიმან
ბარათაშვილი, სუფრაჩი, უბრძანა: „მიგნით შადი“-მან.
მეფე სახელით ახსენა, ცრემლად აღინა შადი მან:
„ეს რა ქნა ჩემმა ლუარსაბ? აღარ მახსენა, შადიმან?“
492. უბრძანა: „მისო გამზრდელი, რა უყავ, ლუარსაბ ხანო?
რად აყოლეთ კახთ მეფეს, პირუტყვნო დასაძრახანო!
ჩემი სეე გული, მისი და ჩემი გულისა საფხანო,
უბესა მივსებ: ცრემლითა სამუდმოდ, იარ ხან და ხანო.
493. წა, ამათ წაპყვე, ამ ფიცით მაჰმადმცა მომიოხრილო,
ლორიმც მის საფლავს ჩამიკლავს და მის წილ ჩამიყრილო,
ის სახელმწიფოს წამართომს და ჰკვაზედ გარდამრილო“.
სიტყვით ეს უთხრა, დაწერა, რაყამში განამრილო.
494. მალ მისვლასა აბარებდა: „სხვასაც მივსცემ. ქართლს ვინ
უპყრს?
ბაპის მისის შვილისშვილი აპყოლია რად ის ჩემს მტერს?
მას არ ახლოეს, სვიმონ მეფემ თუ რა უყო ურუმთა ერს?
არა სჯერა ამ საფიცვარს, იმას მივსცემ, რას ის დასწერს“.
495. ერთი ხოჯა მუსაიბო, შანად ხვალი მურასობდა,
ამათთანვე გამოგზავნა, ერთმანერთთან ამგზავრობდა.
არა გვანდა გათავებას, ბოლოდა ჩანს, რას იობდა.
დამაც წიგნი მიუწერა, ვინ ყაენსა ბაასობდა.

496. რა ეგონა შადრვანსა, კაცი ცრემლს თუ ტყუილად ღვრის.
წამოვიდნენ მხიარულნი, თან სვლა იწყეს მათ წინა მძღვრის.
გარდმოვიდნენ იპერეთსა დაძვდებულნი ქართლს სამძღვრის.
ბოლოდა ცნა, ცრემლის წვეთა ჯავრით თურე მან ამძღვრის.
497. რა მოვიდენ, ეს ბრძანება ჩვენ და მეფეს მოგვიტანეს.
ლუარსაბის შეწყნარებას სათუო არ დაატანეს.
მალ დაჰპირდა ესეუ წასვლას, სხვა სიტყვა არ გაატანეს.
მეფე უშლის ასე ძალზედ მართ ხელებიც წაატანეს.
498. არ დაშალა იმან წასვლა მეფის თქმით და ჩემის ქვეითა:
„ამ საფიცარს ვით ვერ ვენდო? შევუშინდე ნეტარ ვითა?
ანუ ქართლი ავაოხრო დახოციო და მერამე წვითა?“.
გვითხრა: წავალ უსაცილოდ. აბა, თქვენ კი აქა სვითა!“
499. ლუარსაბ მეფეს ადამის ერთი არ სჯობდა ნაყოფი,
თვალად და ტანად უცხო რაჰ, მართ მზისა გამონაყოფი,
უხვი, ზნე-სრული, მამაცი, ლახვრულეზრ მტერთა ნაყოფი.
მაგრამ მას დაჟინებაზედ დაედგა მისი სამყოფი.
500. მეფე უშლიდა, უცხოდ რამ შვილებსა იმას არჩევდა,
მტერაზედა ეხმარებოდა, მის წილად თავსა უსევდა.
თვით ლევან დადიანიცა წაუსვლელობას ურჩევდა,
და აძლია და მოყვრობა, მაგრამ ის კიდევ ურჩევდა.
501. რადას უშველის ამ ამბის ცრეცელად თქმა-გამოკიდება?
გული განფიცხა, მაშინ ყო ნავთმა ცეცხლ გამოკიდება;
არ დაიშალა, ავად ქმნა ჩვენგან მან გამოკიდება.
ვუთხარა: „ჩემს ხრეშალსა უმისოდ აწ ვით გაამო კიდება?“
502. რა ბრალია, ბევრს კარგ შიგან მცირე ავი გაერიოს,
ანუ რაჟულის სიმტკიცესა წვალება რამ შეერიოს,
ან რიტორად ლექსის მთქმელსა ზოგან სიტყვა აერიოს,
ზგაობა და ამყობა სხვას სიკეთეს მოერიოს?!
503. სიჩქარით კარგად ნაქმარი საქმე არ მოვა ბოლოსა;
ვინც აუჩქარდეს სოფელსა, აკომლდეს, აებოლოსა;
დაჟინებოსა მოყვასი დაემხოს, დაებოლოსა.
სჯობს, ავის საქმის შემოცდა კარგსა არ დაებრკოლოსა.

504. ზოგი სხვა რამ იმწვინა, მისგან იყო არ საწყენი; მეფე გვირგვინი უღამიან, არ ზეზედ წამონაყენი; ერთხანს ქული მოიხადა, იქმნა ამით მოწაწყენი, თქვა: „თუ არის ამხანაგო, რად შექმენა ეს ყენი?“
505. მოვახსენე: „თავის წინა არ სჯობს ეგრე გაიზილო. თუ სოფელი შენ არ მოგყვეს, შენ გიხმს, მისკენ მიიზილო. აქნამდი თუ მალლოდი, ახლა ცოტა დაიზილო, გულიც გქონდეს ფოლადისა, ზოგჯერ მშვილდებზე მოიზილო.“
506. რა მომხდარა მაგისტანა, სათუოშიგ თავი იგდო, შენ წახდე და საბოლოოდ საძრახისი რამ დაიგდო? დამიჩერე, აგრე გიჯობს, გულიდალმე გარდაიგდო, ეგზომ მტერნი შენნი მოსწყედეს, აღრე შენ დრო შემოიგდო.
507. შიხი-შვილთ და ყიზილბაშთა ამბავი თუ შენ არ იცი, მამისმინე, ყველას გითხრობ, თუ როგორ სწამს იმათ ფიცი; ძველად უთქვამთ მათ ანდერძად, სიტყვა ესე დანამტკიცი: რითაც მტერი მოატყუო, ნუ უზოგავ და მე ვიცი.
508. ამას ბრძანებ: «თუ არა მივალ, ქართლს კახეთებზე წახდენენ». შენი მისვლით რომ წახდების, თუ არ მიხვალ, არ მაგდენენ. რა წამს მიხვალ, თან წაგიყვანს, თვალთა ცრემლთა დაგადენენ, ქრისტიანთ მეფეთა წილ კვლა ხანებსა დაადგენენ.
509. თუ შენს მეტი სხვა პატრონი ქართლს რამ უჩნდეს შენიანი, ანუ ძმა გყვეს, ანუ შვილი, გიყვადდეს შენ იანი, არ დაგიშლო, იმაშინ წადი სიტყვა-მქვერი, ენიანი; არა გყავს რა თავის მეტი, სოფელია სენიანი.
510. მართ ეგრევე მე გამხადა: რაცა მყვანდა, ხელთა მივე, მავრამ არათ შემოწყნარა, რაზომი მისკენ მივიზივე. დავრჩომილვართ ორნივე მარტო, აწ შენც მისკენ გაიწივე, თუ ეგ კარგად მოგივიდეს, მემც მოგჰკვდე და შენც კი მივე!»
511. აწ მეფემან დადიანი, გურიელიც თან იახლა, მოვიდეს და დაუშალეს, მის წინ იწყეს თავის დახლა: „ბევრჯელ უწინც მოგახსენეთ, დაგვიჩერე, მოდი, ახლა: ნუ წახვალ და მოგვექმარე!“ მან ძველივე განაახლა.

512. მან მადლი ჰკადრა მეფესა, წესისაებრ მართებული:
„ღვერთმან აღიდოს, ვინ ღიდ არს. სვე თქვენი დოვლათებული!
ვით შენს სიკეთეს შეჰფერობს, ვერე ხარ ძმაზედ ძეებული.
მაგრა რალა ვქნა, მას უკან ქართლი ყონ ცეცხლმოდებული?“
513. კვლაც უთხრეს: „ცუდი მიზეზი აიწყე დაჟინებული!
შენს იქით ქართლს რას ხელსა ჰყრი, რა დარჩე სახლ-
დასვებული?
მიხვიდე, მოგვლას, ან ტყვე-გყოს, შენ იქმნე დანაღვლებული.
ნუ წახვალ. ეს სჯობს, ნაალ- ეპკრათ, გავაძოთ ვავლახ-ეებული“.
514. რას უშველის გრძლად სიტყვის თქმა, თუ კაცი არ გაიგონებს?
კაცი ბრძენი, გონიერი ერთის წვრთნითაც შეიგონებს.
დაჟინების ეტლზე მჯდომი, მისვე მისსა წაიგონებს,
დასჯერდება მის რჩევასა, სხვას აღარას მოიგონებს.
515. დაშლის სიტყვა არ ისმინა, ვერ დაჰყარეს დგომის ღონე.
წამოვიდა, თან გამოჰყვა მღფე, მისი წინამძღონე.
კვლავდა ჰკადრეს: „არ გვისმინე, შენის წასვლით დაგვადონე.
რადგან წახველ, გაემჩვენე, თავი კარგად მოაწონე“.
516. გამოგვესალმა, წაეიდა, დაგვყარნა ღვიძლ-დაკოდლინი;
ვირცა გვიჭვრეტდეს, იტყოდეს: «ერთად ყოფილან
დაზრდილნი!»
მზე, გარდეთარა გორს საჰე, ქვეყანა იქმნეს აჩრდილნი,
ეგრეთ დაბნელდა ჩემთვის ღლე, ბინდად მჩნდა დილა-სადილნი.
517. მივიდა, გორს დგა ყაენი, შექნეს თურ შეყრის ცილება:
„არ მივეგებო ცხენითა, ვით შეექნათ ციეთა თბილება?
მივეგებო და არ ხამდეს, მით საქმე დაიჩრდილება“.
ეს თურე გამოარჩიეს, იქეს მათ მათი ზრდილება.
518. „დილას შევსხდეთ სამინდოროდ და მიზეზით ნადირობის
ისრე ცხენზე შევიყაროთ, ჯარი შესხდეს ერთ-პირობის,
განით სითმე მოვიყვანოთ, ვითამ ზედა მოგვესწრობის,
მივეგებად ჩამოგვართმევს და სხვათა თქვან არაობის“.
519. შეიყარა ამ წესითა, მიიჩნია თავის სწორათ.
პირველ ყველა გაუგონა, სიტყვა მისი არ ყო ორათ,
მუსაიბად ღზინობდიან, არ დაისვის მისეან შორათ.
თურმე უნდა საჩიკვდილოდ დასტურობით, არ თუ ჰორათ.

520. დაყვეს ხანი გორს მცირედი ლხინითა და დიდის შვებით, მგოსნებით და მუშაითით, მწუხრი ქნიან გათენებით, ალერსით და ტკბილის სიტყვით, ფერობით და მისის თნებით. რაც იაპის, აამებდის, ხელს უწყობდის მოსვენებით.
521. ვა, თუ თავი შეგაწყინე გრძლად სიტყვისა მოხსენებით! აიყარა გორიღამე, მეფეც მძიყავს ვითამ ნებით. აწ შეიქნა მწუხარება, ბევრ-გზის ჭირი, ცხრო და სნებით. უთხრა: „ქალაქს დაგაგდებო მტერთა შენთა მოყივნებით“.
522. ქალაქიღამეც წაიტანა ყარაიის სანადიროთ, უთხრა: „არ მით ვინადიროთ, მნათობთ წინა თავი ვეშიროთ; რაც ვისროლოთ ჩვენ ორთავე, კარგ სადავეთ მხეტთა ვეშიროთ, ნულარ მოვშლით ამ რჩევასა, ესე ასრე დავაპიროთ“.
523. აიყარნეს და წავიდნენ, მათ შექნეს მონღორობანი; გარ შემოეკრატუნეს ველებსა, ნადირთა უყვეს სწრობანი. თვითან შუაზედ დაკარდეს, სროლით ქნეს მკლავთა შრობანი, ქალნი ჩიხიღამ აჰვრიტნეს, ვინც ქნის ისრისა სობანი.
524. მათ მოსლოდა ჯოგი მრავლად და ესროლათ ქალთა ქვრეტით. უცხოდ თურმე მოიწონეს, შექნილიყვენენ ცნობა-რეტით. მიემსჯავსა: როსტენ მეფეს ენადირა როს სპასკეტით: იმ ერთის დღის მეფის მოკლულს დასთვლიდიან ოცზედ კენტით.
525. უბრძანა, თუ: „მეფე, ზხედავ ნანადირევს კარგ დამალით. ამ მინდვრისა შენ შექცევა დაგავიწყო ყარაბალით. იქამდითა თან მიახელ, იქ ვისროლოთ კვლავ ნასალით“. რა ეს ესმა, ჩემი სიტყვა მოაფონდა გულსა-დალით.
526. წაიყვანა. დაბრუნება აღარ მოჰხვდა გამოშვებით, აწ აშრაფი, მაზანდარა უქო, ლხინზედ ისხდესა შვებით: „ისიც ნახე, ვინადიროთ, იქ ვისროლოთ კვლავ დავებით“. ამანი ისულთქვნა: „მე არ მინდა, მაგრამ, ვიცო, არ მეშვებით“.
527. ყარაბალით ჩვენ წატანა გავიგონეთ დასტურობით. ეთქვა: „მიკვირს, იმერეთსა რა მიმჭირდა მე სტუმრობით? ღმერთმან იცის, კარგად მითხრეს ზოგთ ჰკუთით და ზოგთ მოყვრობით, მაგრამ რა ვქნა? წასულს საქმეს ახლა რითღა მივესწრობით?“

528. მიიყვანა შაზანდარას, მუნ შეიტყო მან სიკვდილი:
„მომიტრეთ ცოცხალევე, ვირე გიჩნდეს ჩემი ჩრდილი», —
უთხრა თურე მისთა ყმათა: „სიკეთისა ვით ვარ ზრდილო,
გამიტუდდა ყოვლი კარგი და ძალისა მვე ქადილი“.
529. დაჭდა. ყმათა მიუტირეს, გამზრდელთა და ვინ ჰყვა ზრდილი:
ყოვლი ხელმწიფეთ უმჯობესო, აღვისრულე ჩვენ წადილი,
უბინდოვ და მოწმენდილო, ვით ლამდები ძოლან დილი?
ოდეს მოჰსრენ თათარხანი, ხელთ მახვილი გქონდა წედილი“.
530. ეტირათ, ვითა მართებდათ, უქეს საქებას საქები:
„მშვიდო, მდაბლო, მოწყალევე, კვლავ ურჩს გალევდა ბაქები.
ვინ შენი მქვერეთი ეტყოდა მქვერეთთა: «ნუ მიხვალ. აქ ები!»
ყოვლის სიკეთის უკლებო, რალა ვსთქვა იქით-აქები?“.
531. ეზიარა. გარდასწყვიტა სიციხლოს მან იმედი,
ემდურადა დაჟინებას, დაიწყევლა ჰყვა და ბედი:
„ვინ მირჩიეთ აქ წაჰოსვლა, რა მწვედ ავად დაიყბედი?“
ყმათ გაჰყარეს, მზეც ჩავ-და, დაანრდილა აქეთ ქედო.
532. რაცა სწადდა, გაათავა, მტერობისა მანა დასო,
ხორცი ჩვენი მადლოვ ჰემა და სისხლიცა ხარბად ასო,
მაგრამ ქართლს და კახეთშიგა საპატრონოდ ვერვინ დასო.
ემდურვოდეს მას ქალები, ვით ნესტანჩარ მამიდასო.

**აქა ნოდარ ჯორჯაძისაგან და დავით ასლანის —
შვილისაგან ბატონის თეიმურაზის კახეთსავე ჩაყვანა**

533. კახეთი ნოდარს და დავითს მან მიიბარა სულობით,
მაგრამ მათ მისი ბრძანება მალ გაუცუდეს წბილობით;
მესამეს თვესა ორთავე მოგზავნეს კაცი ყრილობით:
„მობრძანდით შენსავ ტახტზედა, მონა ვართ გეარიშვილობით“.
534. რა მოვიდნენ მოციქულნი და ეს სიტყვა გაგვაგონეს,
ზოგთა შეჰქნეს სიხარული, ზოგთ იქვი რამ მოიგონეს,
მაგრამ მე ვსთქვი: „ყმათა ჩემთა რად არ თავი დამამონეს?“
აჲ შეფესაც მოახსენეს, მათნი თქმულნი მიაწონეს.
535. მეფემ ბრძანა: „კარგად ქნილა ამ ამბისა ასრე მოქვლა,
მეტა თანა წამოგყვები, ადრე გემართება იქთა სვლა,

დადიანს და გუროელსა მალ ვაცნობოთ ჩვენი წასვლა“.
ორთავ კაცი გაუეგზავნე, არ ვაცალე მზისა დასვლა.

536. იგინიცა მალ მობრძანდნენ მათის ჯარით დაკაზმულნი,
თავს შეედევთ ჩვენი სიტყვა, ვერა ვნახეთ ხანდაზმულნი.
შეიყარნეს მუნ სიმრავლე, დიდებულნი ცხენთა სმულნი.
ალარ ვჰყოვნეთ, წაშოვედით, ველარც გვნახეს მუნლა ზმულნი.

537. გარდმოვიარეთ ლიხის მთა, ქართლისა სიგრძე ჩაქლევით,
მოვისწრაფოდით მალ მისვლას, არ-ხან-ყოვნებით, მალევიით.
ყოვლგნით გაისჰის მისვლის ხმა. მე მაშინ დავიმაღლე ვით?
დიდხანს ყოველი ქართველი შიშითა მყევანდა გალევით.

538. თვით არაგვამდის თან მომყვეს მეფე და სხვა ბატონები,
იგინიც იქით გაბრუნდეს, მათიც ჯარ-მონატანები.
არაგვს გამოველ, გამომყვა მამია საროტანები,
მითხრა, თუ: „მათზე მეტი ვჰქენ მე, არაგვს გამომყვანები“.

539. რა კახეთს ჩაველ, დაჰიხვდა დამწვარი, გამტვერებული.
ვჰკვირობდი გუნებაშიგა: რად მექმნა ამტერებული?
რაც ნორჩომოდეს, მოვიდეს მტირალნი, დაშტერებული;
ვერას ვარგებდით, თვარემ და ვიყვენით ვაგლახებული.

540. რაც ხამდა მაშინ რიგება ჩვენგან ქვეყნისა ჩვენისა,
გავარიგეთ და გათავდა მუნ სომიმილი წყენისა.
აწ არაგვისა ომზედა ხმარება გვიხამს ენისა,
მრავალთ ყიზილბაშთ გაწყვეტა, სისხლი რულდ მინადენისა.

აქა ერანის ხელმწიფემა ყაენმა გაიგონა შეფის თეიმურაზის
იმერეთიდან გარდმოსვლა და კახეთს ჩასვლა, და ალიყულიხან და
სრულ ყიზილბაშნი გამოგზავნა და არაგვზედ წინ გარდუყენა,
შეიბნეს და ბოლოს ბატონს თეიმურაზს გაემარჯვა

541. ესმა შაბაზს მუნ ჩასვლა, გარისხდა უსამართლობით,
ალიყულიხან მიიხშო დილას, არ თურე მთვრალობით:
„კვლა თეიმურაზ მოსულა, უყურე, თავის ძალობით!
სრულ ყიზილბაშთა გაახლებ; იარე მუხლად-მალობით.

542. მიდი და წინ გარდაუდეგ, შეუყარ კარგად გზებია,
იმერეთს არ ვარდაგასწრას, დაცევ ტყე ანუ გზებია;

მეც მოვალ, ადრე შევიპყრობთ. ცეცხლით ვყოთ ანაგზებია,
მის ყმას მას უკან სათქმელი რაღა აქვს მიზეზებია?

543. გამოგზავნა ერანითა, არ დააკლო ყულის მტერ,
თოფხანა და ჯაბახანა მოემზადა მტრის-მტერი;
სხვას საომარს იარაღსა მოუმატა რკინის კეტი,
მაგრამ ღმერთი გაურისხდათ, არ ჰფარევდა ნათლის სვეტი.
544. ალიყულიხან არაგვზე ზოვიდა, დაივანებდა,
კარავს და ოთალს იღვევდა, სხვასა წინ მოივანებდა;
ვისი ეგონა „შევიპყრობ“, ის უფრო დიდად ავნებდა.
ცოტა მაცალე, გიამბობ, მოსვლას ვით დაინანებდა!
545. რა შევიგნეთ მისი მოსვლა, ავემზადეთ ჩვენც საომრათ,
შეყრილთ მუნვე მივაშურეთ, არ გავყავით ჭარი ორათ;
ყარაული დაეყენათ მათ ახლორე, არ თუ შორათ.
მაშინდელი ჩვენი სიძხნე თუ ყველა ვსთქვით, შენ თქვა ჭორათ.
546. შუადღისას მიეუხედით მათ ცხენდამ გარდამხდართა.
მაგრამ მაშინც ადრე იგრძნეს და გაეწყვენეს მარცხნივ მხართა,
ჩვენ მივედით, მეწინავე ზედან შეჰხდა დიდთა ჭართა.
ქისიყელთა გაუჭირდათ, მიკვირს, ან კი ვით შეჰპართა?
547. მიეშველნენ მემარცხნენი, ენისელთა დროშა მალე,
კვლავ შეიქმნა ცემა დიდი, ველარ ჰოვეს მათ წამალე;
ასწავლიდეს ერთმანერთსა: „მკვდარშიგ თავი, მო, წამალე!“
გულნი მათნი გაფაცვილუ, ჩემთა ყმათა გავასალე.
548. შეუზახე: „ჩემნო ყმანო, თავნი თქვენნი ისაამეთ,
მიოგონეთ მოწამენი, თქვენც ეწამეთ, ისა ამეთ,
არ ისმინოთ ესე სიტყვა, მიყამშიგან მელა დამეთ,
მათ რომ შუბი ჩვენთვის სწადის, ბარემ თქვენნი თქვენვე
დაბეთ“.
549. მათ მიყიფლეს: „ჰე, მეფეო, ნუ ექვ, თავნი დავიზოგოთ!
ამოვსწყვიტოთ უპრავლესნი, არ წვრილად გამოვიზოგოთ;
თუ სრულ თავს ვერ აუვიდეთ, ღვითთ, მგონი, რამ განვაზოგოთ,
მკვდართა მათთა მხეცნი სჰამდეს, არ საფლავი განუგოზოთ“.
550. პირველ შუბი მოვაქნივე, მერამ მიეპყავ ხმალსა ხელი,
ხმალმოწვდილი გავერივე, ვაქნევიანე ომ-სახელი;

კვლაცა ლახტი დავამსხვრივე, ვინ ახლო მყვა მონახელი,
სრულ ლაშქარნი გა-ცა-ჰკვირდეს, თქვეს: „არისო ესე ხელი!“

551. მომესივნეს ერთპირობით, ვითა ვეფხი კანჯრის ჯოგსა,
დახოცეს და ამოსწყვიტნეს, არათ გვანდეს დანაზოგსა;
მოღუბსაცა უწყლად ჰხოცდეს, თილისმიან მათსა მოგვსა.
ამის მთქმელი მართალს უბნობს, ნურვინ ჰგონებთ ცუდად
ბორგსა.

552. რაც გარდაგვრჩა, მალ გავგუქცნეს, ვინ ვის წინა წაუსწრობდა.
ჩვენ შეგვექმნა ცა უღრუბლო, მათზედ მეხით ავდარობდა.
გაქეულნი წიწამურის ღელეს ღრმასა აავსებდა,
ცხენით ზედან გარდვიარეთ, ვით ვაკეზედ ეგრეთ რბოდა.

553. ბინდამდისი არ მოვეშვით, ვჰხოცდით მეტად ჩვენ უწყალოდ,
არ შეგვეწყალდათ ნაჯავრებთა, რაზომ ვსჭრიდით მათ
საბრალოდ.
ცხენნი მათნი მუხლად-მალე დაუზანტდეს მათ სამალოდ,
იარალსა გადმოჰყრიდეს. გვითხრეს: „სიკვდილს აღარ მალოდ!“

554. ნაომართა და ნადევნთა გვეტყობის მაშვრალობანი,
ვის რა ენების, იშოვნის, ვის განძთა ჰქონდის ცნობანი.
შური იძიეს მტერზედა, ქმნეს მრავლად ლახვარ-სობანი.
გამარჯვებულთა გვიხარის, რადგან არ გვიყვეს ნდობანი.

555. მომილოცვიდეს, მასხმიდეს ქებასა, არ გინებასა:
„მგონი, მეფეო, ინანდეს ყაენი შენს გაძებასა.
აწ ამას იქით მებრძოლი ნეტარ, ვსთქვათ, ვინ შეგებასა?
ნადაგმც უაგმარჯვებია ასე, ნუ შეიქ ვებასა!“

556. მას დღესა მოყმე. მართალი დამაკლდა არცერთი არა;
კახთ შეანანეს მათ ლაშქართ მოსვლა, თუ ადრე იარა,
დამწვართა ამოწყვეტილთა მათ ჭირნი გაეზიარა.
ამოსწყვიტეს და დახოცეს, ვინ ზეცით გამოჰიარა.

557. „უწინ მოსვლას ყაენისას,—ვსთქვი—თუ ომსა შეუძლებდით.
აქ გასინჯეთ, თუ ვიკვებდით ან სიტყვასა ცუდად ვდებდით!
გალახულთ და ამოწყვეტილთ მარტო კახთ ქნეს, ვინ სხვა
ჰკვდებით?
ყველა განვლით ამ სოფელსა, თქვენც სახელსა ეძიებდით!“

558. აივსნენს სრულად ლაშქარნი საჭურჭლე-ცხენ-აქლემითა,
მეტყოდეს: „შებმა კარგად ჰქენ ჯაფრითა შენ აქ ლემითა“.
სხვა არ ვინდომე, მის მეტი, სარდლის კარავი ქემითა,
სრულ მისის გაწყობილობით ვერავინ დაეჩემითა.
559. მიუვიდა ეს აშბავი, საცა იყო, ყაენს მყოფსა:
„ამოსწყვიტა სრულ ლაშქარნი, თეიმურაზ შუა ჰყოფსა,
ხმალი ბასრი, მძიმე, ლახტი, უფროს მახვილს შუბსა ჰყოფსა.
თუ გაგზავნი სხვას ლაშქარსა, კიდევ ხმალსა ხელს მიჰყოფსა“.
560. გაგულისდა, წამოვიდა მასვე წაჰსა გულ-მენისხლე,
თქვა, თუ: „ჩემთვის, მისო ხორცი, ივამლე და გინა იმსხლე,
თეიმურაზ, თეიმურაზ, კახთა ჯარი აწ გაისხლე!
ჰე, შაბაზ გაგიჩნდება, ყოზილბაშნი, ვით ისისხლე“.
561. რა მოვიდა განჯას აქეთ, გამოსცილდა, დაგვახლოვდა;
ვინ შეიძლო, აიყარა, წამოვიდა მუხლმალოვდა.
ვინც იქ დარჩეს საბრალონი, თავთა შვილთა მათთა გლოვდა.
ამოსწყვიტნა სამეხისხლოდ, აჰყარა და დაბოლოვდა.
562. კიდევ ბევრი ვადაურჩათ, ფეიქარხანს მიაბარა.
კვლავ ქართლზედა დაუთხანის-შვილი ბაგრატ, ვსთქვა, ა ბარა.
ორთავ ჩემის მტერობისა საქმე იმან დაუბარა,
თვით გაბრუნდა თავის გზასა, ჩემი იყო ვით უბარა.

მეორედ მეფის თეიმურაზისაგან იმერეთს გადასვლა

563. წამოვედით იმერეთსა, ისრევ ჩვენსა სახიზარსა;
ჩვენად ღონედ იგივე გვექონდა, ვით ჰურს ქონი სახიზარსა.
მეფეც წინა მოგვეგებოს, ჩვენს მისელასა არ იზარსა.
რა მივიდით, მოვინებნით, ვით ქორი ჯდის სახიზარსა.
564. რა დავჰყავით ხანი რამე, სასყიდელა დავვიძვირდა,
ვერ ვიშოვნით დიდის ფასით, ნახევრად რომ არა ღირდა.
ხვანთქარს ელჩი გავუგზავნე და ფეშქაში, მნახავთ ჰკვირდა.
მას ებოძა სანჯახები, კიდევ სხვასაც ბევრს დავგვირდა.
565. აქ გასინჯეთ იმერეთსა სასყიდლისა დაძვირება!
ველარ გავსძლეთ უღომობა, გურიისკენ ვიწყეთ რება.
რა მივედით, მუნ მამია გურიელი იფერება,
რაცა ჰქონდა, არა ჰშურდა, ხელს გვიწყობდა, იფერება.

აქა გურიილამ საათაბაგოს მისვლა და იქილამ ხვანთქართან წასვლა. ოლთისს ამირ-გუნახანისაგან დედოფლის თავს დასხმა და ჭორჭადის, დედოფლის სახლთუხუცესისაგან, გამარჯვება მათ ზედა. უყურეთ განგებას მოსამართლისას, თუ რას მცირედის კაცით გაიმარჯვა!

566. მივედით ოლთისს, დავეყარეთ მუნ დედოფალი ქალებით, დიდროვანთ კაცთა ჯალაბნი დედამთილ-პატარძალებით, წყნარნი, მშვიდნი და ტურფანი საქციელ-განაკრძალებით. ნოდარ დაეგდეთ სახლისა გამგებლად გულით სალებით.

567. დედოფალი ოლთისს იდგა და ვინც ახლდეს ბანოვანნი, თუმც ღარიბად ვის ვეგონეთ, მაგრამ არ გვეყვეს უმცნობანნი, ტურფანი და დარჩეულნი, ლამაზნი და არ სადავნი, მლოცველნი და ღვთის მოშიშინი, ცუდის საქმით არსად ავნი.

568. ესე ყველაი შაბაზს მიესმს მართ დასტურობით, ერევანს ამირ-გუნახანს მოსწერა მანა შურობით: „იქ თეიმურაზ არ არის, მიუსწარ მტრად, არ-სტუმრობით, ქალები ვერ შეგებმიან, ვერც დაგხედენ კაის პურობით“.

569. ესე უამი ზამთრის იყო, ჩვენ იმედი თოვლის გვექონდა, „ერევანს და ოლთისს შუა მთებს შეჰკრავსო“, — ვთქვიით, — ოლონდა“. ჩვენ ამისსა მოიმედეს არც სრულ გული შეგვიღონდა, მაგრამ თოვლის გასათხარად ნიჩბები თურ თან მოჰქონდა.

570. გარდმოთხარა, სადაც დაჰხვდა თოვლი ცხენთა დასაყენად, მაგრამ ღმერთი მათვე შეიქს მხიარულთა მოსაწყენად. უყურეთ, თუ ვითარ ჰხვდება მათ ჩემი ყმა სისხლთა მდენად! მოგახსენებ ამ ამბავთა, ყური უგდე შენ მოსმენად.

571. დედოფალს სიზმარ-ჩვენებით ენახა, რაც იქნებოდა: დაბლა ქალაქით ციხეში მას ასვლა მონებებოდა. ვინც ახლდა, თან აეტანა, არვასთვის დაეწებოდა. ვაი, რომ იქ არ ვიყვენით, სცნობდით, თუ რა ევენებოდა.

572. ნოდარ იყო სახლთუხუცეს დედოფლისა, განა ჩემი? მისანდო და გულითადი, არ თუ ცუდი განაჩემი. მართალია ეს ამბავი, ნუ გგონია განაჩემი. იმასა მწვეთ გაემარჯვა, იგინი ქნა განაჩემი.

573. გამარჯვებოდა მას ასრე: მათ მიჰყოლოდა კარამდი,
ურიათ ჭარიც მშველობდეს იგ რაბანანი კარამდი;
კვლა ზოგნი წონ გარდაუდგეს, გზა უყვეს განაკარამდი.
შუბი ვინ ნახოს, გარდევრდის მისვლამდის, მინაკარამდი.
574. შეიდასი მოყმე ჯილითა და მარქაფებით თან ჩამყვა.
რა მიველ, იბრაიმ სულთან ყიზილბაშთ ბრძოლად არ ამყვა,
სხვის ქვეყნისაკე ლაშქრობდა, შალალი დაბლა არ დამყვა.
გამოვბრუნდო და წამოველ, რაც ჩამყვა, თანაც გაქაშყვა.
575. ზიბოძა, საათაბაგოს რაც მაშინ მისთვის ხასობდა:
გონა, ყარაისარ, სხვა სანჯახები ასობდა;
სხვა საბოძვარი ხალათი, თქვეს, თუ ძლივ დაიფასობდა.
მაგრამ კახთ კახეთის გაყრა გულსა ლახვარსა ასობდა
576. წამოველ, გზაზედ ჯალალი შეიდჯერ შემებნეს ერთს დღესა,
შეიდჯერვე მე გამემარჯვა, ვამსგავსე ცუდ მებეგრესა,
ვერც ყმა დანაკლუს და ოდენ ვერცავინ დამიკოლესა.
თუმცა მრეგდოთ კარება, იმათვე შალ გააღესა.
577. მივედით ოლთისს, დაგვიხვდენ უჭირველად ყოვლი საყოლი,
იქიც უნებლივ მოვიდეს სულ ჭარი, ჩემი თანყოლი,
გახარებულნი მადლობდეს, თქვეს: „მოგვევა აქეთ წამყოლი“.
ადიდეს ქარისტე მოქენეთ. მსქენელთა შალ ჩამომყოლი.
578. რა მოვედით, კახთა გული არ დასჯერდა სანჯახებსა,
ემდუროდეს ამ სოფელსა: „აქა-იქი გვაჯახებსა,
ჩვენ კახეთს ვართ ლხინ-ნაჩევენი, რა ხელსა ვკყრით
ჯავახებსა?
გულდილობა ძირად მოუთქს. ეს ასრე სჭირს ჩემს კახებსა.
579. წამოვედით ოლთისიდან, ჩამოვედით გონიასა.
კიდევ ბევრი ყმა მიახლა, ნუ ეჭვ ოთხმოცს, მგონი ასა,
რუსეთისკენ გავემზადე, ეს რა მოსავონია, სა?
შავ ზღვაშიგან ნავში ჯდომა დიდად დასალონიასა.
580. ამ ხანშიგან ბაგრატ მეფე სომხითს მოკვდა, გარდიცვალა,
ვით თავს ვინმე შემომავლო, ასრე ვითა მენაცვალა,
მოუტრავმან ქართველთ კითხვით ჩემო ჯობნა შან გაცვალა,
მემსახურა უსაზომოდ, ვა, სოფელმან არ გვაცალა.

აქა ყაენმა მოურავს [და ზურაბ ერისთავს] ბაგრატიის შვილი სვიმონ, და ყარჩიხან და უსუფხან გამოატანა: კახთ ყათლანი უყავო და ქართველნი აჰყარე და აქ ჩამომისხიო, — და განგებამა და უსამართლოდ ქვეყნის ამოწყვეტის ნდომებამ რა მოახდინა, ისიც ისმინეთ და ყური მიუბყართ, სიტყვის მსმენელნო!

581. ყაენმა პრქვა მოურავსა: „გული მართლა მე დამყარე, წადი, კახნი ამოსწყვიტე და ქართველნი ამიყარე; კახთა ცოცხალს ნუ დაარჩინ და ქართველნი აქ მოყარე; მე ამისი აღვირი მიც. შენ გეხუკავ, ეს წამყარე!“
582. პატარას სვიმონს გაგატან, ვითამ ქართლოსა დაიპყრობდეს, ჩემს შვილისშვილს ყორჩიბაშის ქალს მივსცემ და მე მმოყვრობდეს; ყარჩიხან და უსუფხანცა თან გაახლო; ვინ აზრობდეს? ამ მიზეზით ვერას მიხედენ, თქვან: „ესენი მათ მაყრობდეს“.
583. დაასკენეს და გამოგზავნეს ამ მიზეზით სულ ესენი. აწ უყურეთ მოურავსა, ვით შეჰყაროს მძიმე სენი! ზურაბს თურე იქიე უთხრა: „ვერ სჰვრეტ, არის რას მთესენი? მე სხვა რამე გამიგია, ხრმალი აქავ მოლესენი“.
584. რა მოვიდნენ ამ ჯართა, თქვეს, თუ: „ბევრი მაყარია!“ მაგრამ სიტყვით დაამაშეს: „ეს საწყენი არ არია“. კახნი მუხრანს შეიყარნეს, ქართველებში არ არია, ულაღატეს, ამოსწყვიტეს, არ უთხარეს სამარია.
585. უთხრა თურე მოურავსა: „ზურაბ, კარგა ყური მიგდე: მტერობა და ამოწყვეტა მე ბოლომდის ვით დავიგდე? კახთა უყავ ყათლავიო, ქართველთ ზედა ცხენი იგდე, რა ესენიც იქ ჩავგვარო, მაშინ ვისლა შევეურიგდე?“
586. ზურაბს ეთქვა: „რას აპირებ, მითხარ, ბრძანე, გაამხილე! საქმნელია, თუ არა ვქმნა, ჩემი საქმე მუნ იხილე, მაშინ ჩემი სისხლი შესვო, ხორცი ზედან გაიხილე. ხრმალი ჩემი ბასრი არის, გაატყვიე, გამირბილე!“
587. — „რასაც ვაპირებთ, ეს საქმე არ არის ჩვენგან საქმნელი. ამ სოფლის შეპარცხვენელი და საუკუნოს დამნაჰმელი. მან დავვატყუა. რად შეგვქმნა ჩვენ ჩვენის ხორცის ამქმნელი? დამაჰნობელი ქვეყნისა, ჩვენის ბოლოსა დაჰქნელი?“

588. კახეთი ხომ ამოვსწყვეტეთ, კვლა ქართველნიც იქ ჩავგვაროთ, მონასტერნი ავაოხრნეთ, შერაცხვენილთა ვგვარის-ვგვაროთ? მაგას ნუ ვიქმთ ნურასა საქმით, სხვაფერ რაზე მოვაგვაროთ: ჯერ ამ ლაშქარს ვუღალატოთ, მერამე შეფე აქ მოვგვაროთ“.

589. ზურაბ უთხრა: „მართალია, მაგრამ რასთვის იქ არ მითხარ, ცოლიც თანა მომეყვანა? ავმჩრეველი შენ ამით ხარ! აწ რალა ვქქნა? ცოლის სირცხვილს თავს მადებ და საპარს მითხარ, თვარემ ქართველთ სისხლს დავიდებ, არ ვიქმნები გასაიციხარ“.

590. — „მუნ ამისთვის არ გაცნობე, ცოლს თან არ გამოგატანდენ. ვთქვი: თუ ვუთხრა და არა ქმნას, ბოლოს რასთვის დავინანდენ? იქ მივიყვან, საქართველოს წახდენაზედ ცრემლს დავადენ; მე შევილს დავსთმობ ქვეყნისათვის, ამან ეს ყოს, იყოს აზდენ!“

591. ტკბილის სიტყვითა ეხვეწა, თავს მას ადებდა ყველასა: „საქართველოსთვის და-ცა-სთმე, დამხსენ ღამესა ბნელასა. ცოლს უკეთესსა გიშოვნი, ბატონიშვილსა ლელასა. აქ მოვკვლავ დარჩილა-ხანსა, კახეთს — ფეიქარ მელასა“.

592. ზურაბ უთხრა: „შენ შევილს დასთმობ, მეც მოვითმენ ქართლისათვინ, მაგრამ როგორ გაარიგებ? თქვი მართალი შენ, ღმრთისათვინ!“
უთხრა: „ზურაბ, შენგან მიიკვირს, ეგ ბობრძანე: მე რისათვინ? ვამიგონე, ყური მიგდე, ტკბილი გითხრა მწარისათვინ“.

აქა მოურავისა და ზურაბისგან ყარჩიხანისა და უსუფხანის ღალატის გამორჩევა, ქართველთ განდობა, ანდუყაფარ ამილახორის დაჭერა. ნახეთ, თუ როგორი გამარჯვება მოჰხდების და რას ძნელს განსაცდელს მორჩებიან კახნი და ქართველნი მოწყალის ძალითა და შეწევნითა!

593. „ასრე ვქმნათ: ვუთხრათ ქართველთა, რაცა ჩვენ დაგვბარებია; ვაფიცოთ ღმრთით, რომ არა ქნან საქმენი საზარებთა. ანდუყაფარ კი შევიპყრათ, ვუთხრათ: შენ რა შას ებია? ქართველთ რისხვისა ღრუბელი შეუქმნათ ღვთით დარებია.“

594. მე ლაშქარშიგან ვიქმნები მარტო ოთხისა მოყმითა, ვერას იაზრებს საქმითა, რა სუბათ მნახავს ამითა.

602. ხრმალს ქვეშ დაავლეს, ლაშქარნი აივსნეს საშოვარითა,
უკან მისძახდეს მეოტთა: „თუ აქით გაიარითა,
კიდევ უარესს დაგმართებთ სიცოცხლე გასამწარითა
მიღით. შაბაზს შესჩოვლეთ, მალ ყაზმინს ჩაუსწარითა“.

აქა ეს ომი რომ გარდასწყვიტეს, ფეიქარხანზედ წავიდნენ; ბატონი-
შვილი ლელა უნდოდათ ეშოვნათ, მეფის ლუარსაბის და ზურაბი-
სათვი შეერთოთ, ველარ მიუსწრეს და ბარდამდის სდივეს და მრავალი
ქვეყანა მოარბიეს და დიდად გამარჯვებულნი და ნაშოვარიოთ სავსენი
შემოიქცეს ქართლად

603. რა ეს ომი გაათავეს, გარბრუნდეს ლომნი მხნედა.
ფეიქარხანს, კახეთს მჯდომსა, მსწრაფლ მოუხდეს იმას ზედა;
ადრე ეგრძნათ, გასწრობოდეს, ვერ მიუსწრეს, დარჩეს ქვედ-ა;
ზურაბს იგი ვერ უშოვნეს, ფეიქარხანს ვინ ჰყვა მზედა.

604. ვერ მიუსწრეს ფეიქარხანს, უკან სდივეს ბარდამდისა,
მოარბიეს არაზს აქათ, მოსრეს, თქვიან: „სისხლი გვდისა!“
მათ მტერობა ყაენისა თავს დაიდევს მარადისა,
თავი კარგად მოიხმარეს, ვერ სცოცხლებდენ აქამდისა.

605. ესე საქმე მოურავმა უცხო ქმნა და საკვირვალი;
ვით შემართა ამ საქმესა, არის თუცა გულად რვალი!
ეს ყველასგან უძნელეა, სხვა სახელიც ქმნა მრავალი,
უსაცილოდ მართალა, არ ტყუილი, არ საკრძალი!

606. სახელისთვის მათ ცოლ-შვილი ორთავ დასთმეს, ეს იცოდეთ!
ვინ არ მიჰყვეთ მათ საქმესა, არ იცით, რომ დიდად სცოდეთ?
რუჯლისა და ქვეყნისათვის რა იქმნების, რასაც ჰყოფდეთ?
აწუც ეს ქმენით, ქართველებო, ანდერძსავით შვილს ეტყოდეთ!

აქ მოურავმა და ზურაბ ქართველთ მეფე თეიმურაზ ჩამოიყვანეს
გონიილამე და ქართლი და კახეთი ორივე დაჰქერინეს, გააბატონეს და
დაემორჩილნეს, და მოურავმა მრავალი სახელმწიფო იარალი ოქროსა
და ვერცხლისა, და კარავ-ორხოვანი და ბედაურნი ცხენნი უძღვნა

607. გარდასწყვიტეს რა ეს საქმე, გამოგზავნეს ჩემთან კაცი:
„მობრძანდითო, გვიპატრონე ჩვენ ლომებსა, არ ვართ ვაცი;
ჩვენ მოგართვათ სალარო და საჭურჭლენი, თქვენ კი გასცი.
მოგვივიდა ღვთის წყალობა, განარება ხელ-სატკაცი“.

608. წამოვედით მხიარულნი, რუსეთს წასვლა მოიშალა,
 დედოფლიან ქალებითა თმა გიშერი ჩაიშალა,
 დაკაზმულნი განჩენებით ტანსაცმელი არ იშალა,
 ჩვენ ვიმღერდით ბულბულთაებრ, მაისს ვარდი გაეშალა.
609. მივეულ მცხეთას, მომილოცეს. ღმერთს ვმადლობდი, მან
 მადირსა.
 მათ მომართვეს ბევრი რამე, თქვიან: „ქართლად ესეც ღირსა!“
 მერაზე მითხრეს: „მიგვისივე, ვინ სამტეიროდ ხმალს გაღირსა“.
 არ იქადდენ ცუდკაცურად, ათავებენ დანაპირსა.
610. შემოამფიცეს დიდებულთა, თავადთა და გინდ მომცროთა:
 „შენის მეტი, ხელმწიფეო, არ გვინდოდეს ჩვენს: შენს დროთა,
 ვირე გვკრეტდეთ შენ ცოცხალსა, პირად მზესა, ტანად
 ზროთა,
 ჩვენი თავი მტერთა ზედა ვამსახუროთ დასაზროთა“.
611. დავიქირე ორივე ტახტი, საძეფო და ქვეყნის გარე,
 ხან სიმაღლე, ხან სიმდაბლე! ეს ზნედა გვირს მოსაგვარე.
 ახლა ყველა დამაფიწყე, რაც წამართვი, რაც წამგვარე!“
 ვუთხარ სოფელს: „მუხანათო, გამითავე, მოდი ბარე!“
612. ვაპოვიდა ხანი რამე სიმდიდრეს და სიხარულში,
 ლხინს, ნადიმს და გახარებას, მოსუენებას ძილს რამ რულში,
 ბურთობას და ნადრობას, აქა-იქ სიარულში.
 ჩვენ კაცისა შეპოება, რასა ჰქვიან, გვქონდა გულში?
- აქა შაბაზ ყენისაგან ისახან ყორჩიბაშის გამოგზავნა სულ ყიზილ-
 ბაშის ლაშქრითა და ბევრის ხანებით. აღგეთზედ მარაბდის თავს
 შეებნეს ქართველნი თვესა ივნისსა და ორგნითვე მრავალი ქარი
 დაიხოცა და ამოსწყდა და ბოლოს ყიზილბაშთ გაემარჯვა.
613. მაგრამ კიდე ჩვენ შაბაზ არ დავიშვრა მტერობითა;
 ამ ყოფაზედ ყორჩიბაში ჩვენ მოგვიხდა მოსწრობითა;
 სრულ ერანი შეეყარა სოფლებიან მას ობითა.
 გაუჩნდების აწ შუბებსა, თუ არ გატყდეს დასობითა.
614. ის მოვიდა აღგეთზედა, ჩვენ ავედით ტაბახმელას.
 მე გიამბობ, თუ მომისმენთ, ომის საქმეს საქებელას.
 მოდი, დაჯექ, გაიგონე, ახლო გიდგამ მაღალ სეულას,
 რაც არჩივა ათაბაგმა, ქართველთ და კახთ გეტყვი ყველას.

აქა დავით ასლანისშვილისა და ალათანგის ზერხეულიძის ყარაულად დაყენება, რომელნი იყვნეს კაცნი მერმარნი; ორთავ თვითო თვალი აკლდა, მაგრამ გულსრულად და მხნეკაცად იბრძოდეს, და ორნიც ამ ომში დაიხოცნენ მეწინავეში მისვლითა

615. დავითსა და ალათანგის ორთავ აკლდა თვითო თვალი. ყარაულად იგონი გვეყუეს. რა ქება იყო? თქვი მართალი! შემოსთვალეს: „თუ არ მოხვალთ, ჩვენ შევებმით. არ ვართ მთვრალი“. არ გიკვირსთ, რომ დავიჭერეთ ნახევარზედ დანათვალი?

616. ალათანგის — ყორნელთა და დავითს ეთქვა გლდანელებით: „შევებნეთო. რა გგონიათ? სიმრავლე აქვთ აქლემებით“. დაუხოცათ მათ თათრები, გამოგზავნეს მკვდარ დილებით: „წამოდითო თქვენ ამათგან დაყოლილთა სადილებით!“

617. შეიქმნა რჩევა ომისა, იქ შებმისა და მოცდისა. კაცსა მხნესა და ჯაბანსა დღე ამისთანა დასცდისა. ზოგთა უცდურად არჩიეს და ზოგისა კი დასცდისა. ზენა არს გამმარჯვებელი, თვარემ კაცთ რჩევა მოსცდისა.

რჩევა მოურავის გიორგისა, სააბამ შიოშის შვილისა

618. მოურავმა თქვა: „დრო არის მართლის თქმა ხანდახანისა. გეტყვი, კახნო და ქართველნო, ხან ესა ვაქვით და ხან ისა, მაგრამ იცით ხომ, ყაენთან ვართ დამყოფელი ხანისა: სრულ ერანს გამოგზავნიდა იქ არ დამჭერი ხანისა. ამოსწყდება.“
619. ქვეითობა იქ არ ვარგა, სიცხეა და მისკირდება. დმერთმან ნუ ქნას, დაგვიმარცხდეს. სრულ ურთობირად მართლის თქმა სჯობს ტყუილისას, ცუდი არის მიდ-მოდება. ეს არ სჯობდეს, დაისწავლეთ, რჩევა ნურვის დაგვიწყდება.
620. მე ამას ვარჩევ: მინდორად ნუ ჩავალთ, ნუ შევებმითა. ჩვენს აქ დგომასა ვერ სცნობენ, თუ აწვე არ წავებმითა. ქალაქს შემოვლენ თავწვრილად, აქ დავხედეთ, შევიქმთ ვნებითა. მე ეს მითქვამს და აწ თქვენ თქვეთ. თუ იქ ომს არ ეშვებითა.

რჩევა ზურაბ არაბვის ერისთვიისა, ნუზარის შვილისა

621. ზურაბ უთხრა: „კარგად ბრძანე, თუ იქ ხანი არ დაჰყოვნოს, მაგრამ იცით მათი საქმე. ხანგრძლივ დგომამ ვერ აღონოს, არ მოვიდენ სიმაგრეთა, ჰკუთ მათი მოგვეწონოს. ეგ არ მინდა, თულუნითა მინდვრად უკან არ შედვენოს“.

რჩევა ბარათასი, ბარათაშვილისა, რომელი იყო
ბარათიანთ სარდალი

622. ბარათა ბარათაშვილი მეწინავეთა სარდალი,
„კარგ სარდლად იმას აქებდეს, მტერს მალ შეაქმნის ბანდალი:
შეყრილის საქართველოსა ყოვნა არს არ სამართალი!
აქა-იქ დაგვეფანტვიან“. უქეს: „აჰან თქვა მართალი“.

რჩევა მუხრანის ბატონის თეიმურაზისა და მისის ძმის
ქაიხოსროსი და იესე ძენის ერისთვიისა

623. თეიმურაზ, ქაიხოსრომ — ორთავ ძმებმა, მუხრანს მჯდომთა,
კვლა იესე: ერისთავმან, სხვათ ქართველთა ომის მნდომთა:
„თუ შეგვაბამთ, შეგვაბითო. რა ხელსა გვხდის აქა მდგომთა?
დროა დასდგეთ ერთს რჩევაზედ, თვარემ წავალთ ჩვენ

სადგომთა!“

რჩევა ბააღურ ციციშვილისა და იმ ბულოვნად შიგა
და მთვე შიაკვდა

624. ბააღურ თქვა ციციშვილმან, ამ რჩევაზედ არ დაჰმუნდა:
„უამი არის მუნ სიცხისა, მზემ ჰაერი დააბუნდა,
დაგვიმარცხდეს ჭევეითობა, სადლა მორჩეს? თქმა არ უნდა.
თუ ამოსწყდა გლეხი კაცი, საქართველო დააბუნდა!“

რჩევა ძახთ საბატიოს ძახთა და ღარბანიელთა

625. ძახნი მუნ თმსა ისწრაფდეს, უფროსი ჯაერიც ანსონდა,
თქვეს: „მათ იქილამ რა დასძრავს, ვნახეთ, ზახირი მოჰქონდა;
ორჯელ გალახულს თათრებსა საომრად ვინ შეულონდა?
დილას შევებნეთ სიგრილით, ამას სხვა რჩევა არ უნდა“.

626. ძახთა არჩივეს ერთპირად შებმა და მათი ომია,
თქვეს: „არსად წავლენ მუნითგან, ეს აღვილ მისახვდომია;
ორჯელ გალახულთ შევებნეთ, ვინცა ხართ ომის მნდომია.
ზოგთა ვწადს ომი ახალი, ზოგს ბევრი გარდაგვხდომია“.

რჩევა მანუჩარ ათაბაგისა და მისთ ღარბანიელთა

627. თვით ათაბაგი მანუჩარ, ურუმთა გამოძებული,
ჩემთან მობრძანდა იმ ხანად ომ-ნახულ, სახელდებულა

ამ დღეებზედა ნაქები, მრავალჯერ გამარჯვებული,
სამსახის მოყმით, არ-ბევრით, რაც ახლდა, — მისებრ ქებული.

628. მოახსენეს ათაბაგსა: „რად არ ბრძანებ უმჯობესსა?
თქვენგან უფრო ნაომარი არვინ არის ჩვენში დღესა!“
მან უბრძანა: „კარგად არჩევთ, მე რას ვიტყვი უკეთესსა?
მაგრამ ძველად ნათქვამია: «ომი საშლევარს მესამზღვრესა».
629. მერმე არის ორი რაზმი, დაახლოვდეს ერთმანერთზედ.
ვინც მოუხდეს მეორესა არ ყოვნებით იმე დღეზედ,
მისი ჯარი გათამამდეს, მდგომთა დადგეს ძლივსღა ფეხზედ.
ხანგრძლივ რჩევა ცუდი არის, გამარჯვება არის ღმერთზედ⁸.

რჩევა კახთა და კართველთ ვაჟაყვირთა და ომისა წაღილი

630. ვაჟაყვირთა ისწრაფოდეს, თითქმის კბილთა იმსხვრევიდან:
„ჰე, რად ჰყოფნით მათზედ მისვლას? ისინი აქ არ მოდიან.
მეფის მზემა, უსაცილოდ ჩვენგან იმათ სისხლნი სდიან.
მინდვრადა სჯობს ომი ცხენზედ. სიმაგრეში რასა ჰქვიან?“.
631. ამ რჩევაზედ ბარათაანთ წასვლის ეჭვი შეგვივიდა.
არ-ჭორად თქვეს ეს ამბავი, მედასტურე მოგვივიდა.
თქვეს თუ: „ღმერთის მადლს, ამ ჯარშიგა არამც ეს ხმა
გავვივიდა.
ამად გვიჯობს ადრე შებმა, თუ ესენი წავვივიდა“.
632. დავასკვნეთ ომი ალგეთზედ მიემართეთ გულით მაგართა,
კაცთა სამებრის უცნობთა, მაჰმადიანთა აგართა;
ჩვენ ვეზიარეთ ქრისტესა ხორც-სისხლსა, მისთა ამართა,
რისხვით მოგვხედნა მოწყალემ, იგი დაცემულნი აღმართა.
633. ავიყარენით, რა მზემა მწუხრად ქმნა დანასულობა.
დავდევით ქრისტეს რჯულზედა ჩვენი ხორცი და სულობა
მხიარულად და თამამად. რას ჰქვიან დანასულობა?
აწ გამოჩნდების მოყმეთა სიმხნისა მათ ლომ-გულობა.
634. დღისით ჩავლევით ავი გზა, ღამე ჩავედით ვაკესა,
ცოტას ხანს შემოვიცადეთ, არ თუ ყანები დამქესა.
კახნი ამბობდეს: „ვიაროთ, მოუხდეთ ფურებს მაქესა!“
რაზმი დავაწყეთ, ვიარეთ, მეთოფემ ტალი დავკესა.

⁸ ეს სტროფი B ხელნაწერს არ მოეპოვება.

635. რა ღამეს ბნელსა ნათელმა მომართა, ამან დარიდა,
მზე რა უღრუბლოდ აღმოჰხდა, ქვეყნად მოჰფინა დარი და
ამ დღეს მოყმესა მამაცსა სხვას ზნით ვინ შევადარი და?
არ სხვას ზნეობის დრო არის, ყაჰი არს საომარი და.
636. გათენდა და დავინახეთ, ერთმანერთო მუნ შორილამ,
დავაწყევით ორთავ რაზმი: ჩვენ — აქათ და მათ — იქილამ.
მათი იღვა თვალუწვდომი, სიმრავლე სკირს მათ გვარილამ,
მაგრამ ვერც სულ დაგვალონა სიბეგრისა ჩვენ არილამ.
637. მან თურე ასრე გააწყო მეთოფე-თოფხანიანად,
ჯერ ზარბაზნები ვარშემო მომართა არაბიანად,
მას ქვეშ მსულ-მგდომი მეთოფე, მეორე ზეზე. დგიანად,
მესამე ცხენოსანია, მეოთხე — აქლემიანად.
638. მივხლოვდით, კომლისაგან მზე დაბნელდა, ჰაერიცა;
ჰგვანდა, თუცა ჩამოვარდა ცა ქვეყანად ან დაიქცა;
მოწმენდილი მზისა შუქი ჩვეინს წინ ღამედ ვარდაიქცა,
ვირემ კვამლი არ განქარდა, მათვე ვერვინ ვერ გაიქცა.
639. რა განქარდა თოფის კვამლი, შევეუტივეთ ერთპირობით,
გულსრულად და ჯავრიანად ვინ ვის წინა წაგუსწრობდით,
ვპხოვდით, ვლეწდით, ჩამოვყრიდით, არ ცოცხალთა,
შევიპყრობდით.
არ მოსწროდა შაბანდახან, სულ გაწყვეტას ვუპირობდით.
640. გავაქცივეთ დიდი რაზმი, ის მოგვიხდა აწ მოგანეთ,
მათს ურდოსა გვაცოლვეთ, მოსვლა ერთად შევანანეთ;
უკან ჩვენს რაზმს თაერიზელთა უწყეს ცემა დიდად მანეთ,
გავგიქციეს უკან ჯარი, დაიზახნეს: „გათათენეთ!“
641. ამსზედა: „თეიმურაზ“, — ვინ მსუხრანსა პატრონობდა, —
„მოკლეს“, — თურე დაიზახნეს. ზოგი კაცი ჩემსა სცნობდა,
გამობრუნდეს, უფრო ამით გულსა სალსა დამიდნობდა,
გამარჯვების სიხარული აღარ ჩვენთვის დაბადა-ნობდა.
642. ორისავე პატასი თქვეს, თუ მოვა მოციქულად.
ასრე ჯარსა წინ მიგვიძღვენენ, დაიჯერე უსაცილად.
გათათავს თვისი თქმული, სადგომსვე თქვეს დაქადილად,
ორნივ თოფით ჩამოყარეს, სიცოცხლე აქვს არ-საკვდილად.

643. ქვეითობა ურდოშიგა ალაფობდეს. იტვირთოდეს,
მათ გლახ თურე ის ეგონათ. მარტყოფს შოვეს ლარნი ოდეს.
დაგვიმარცხდა, გამარჯვებულთ მართ სრულ ვითმე იმოსროდეს,
სიცხისაგან ძალწართმულნი ისაჩს ველარ მოისროდეს.
644. კვლავ მოისრნეს დიდებულნი ქართველნი და კახნი ბევრნი,
აღათანგის სახლის კაცი შვიდი მოკვდა კარგი ევრი,
სხვა ბაადურ ციციშვილი, კახი დავით გულად სვერი,
კოდევ ბევრი კარგი მოყმე დამაკაფუნეს ვითა ტევრი.
645. ჩოლყაშვილი შვიდი და ცხრა კარგი მახაბელია,
სულ ვინ სთვლოს აზნაურშვილთა. რაც მოკლეს, საქებელია;
სხვა ბევრი იყრეს ცოცხალი, მოაბეს ყელს საბელოა,
ძლივ მორჩა ალავერდელი, გარდაგდეს ხარკაშნელია.
646. ათაბაგი ამირ-გუნხაშს, იმ დღეს შეხვდა, ერევენასა,
შუბი პირველ გასტეხოდა, მინდობოდა ქნევას ხრმლისას,
სამი თურე ზედის-ზედა შემოპკრის და შესძახსას:
„ვარ მანუჩარ ათაბაგი, თავს არ ვფიცავ ყაუნისას!“
647. მოურავმა იმ ომზედა მუზარადი არ დაიდგა.
თქვა: „რა მიცნას ყიზილბაშმა, ბრძოლად ახლოს ვინ მომიდგა?
თუ დავარქვა ანჩხაბერი, ველარ მიცნან, ვინც წინ მიდგა.
არ დამიშვარეს ხელი ცულად, სანამ პირში სული მდგა.“
648. ზურაბ ადრე დაგვიკოდეს, თურე სისხლმა შეაწუხეს:
იმისმა ძმამ დათუნამა და ავთანდილ დაიქუხეს.
რაზმი განვლეს, უკან ღდივეს მუნამდისი, სად დგა მუხეს,
ფრეწდეს მათსა საქურველსა, ყოფილიყვენეს ვითამ უხეს.
649. თუ ჩემიცი რამ მოგახსენო, მგონ, არ ვიყავ უსლუარი,
საკვეხურად თუ ჩამიგდოთ, აჰად თქმისა მაქვს უარი.
არა ვთქვა და ისრე დარჩეს, აღარ იყოს მახსლუარი:
„რა უქმნია თეიმურაზს?“ — თქვან, რად არ თქვა, ვით სა
ვარი?!“
650. ამის მეტსა ვერას ვეტყვი, რაცა მჭონდა საომარო,
თუ ყველა არ დამემტვრიოს, ვიქნებიმცა მე ომარი.
• შუბი, ხმალი, ლახტი გატყდა, მოვიხმარე კვლა ხანჯარი,
სომეხადმცა ჩავიგდვიარ, მათებრ ვიყო მცომარი.

651. მას დღეს მოკვდა ყიზილბაში ათოთხმეტი ათასიო, ცხრაათასი — საქართველოს, ზურაბის ყმა ცხრაასიო; მაშინდელთა დახოცილთა კაცთ ვითა ვთქვა საფასიო? ამოგვწყვიტეს, მაგრამ კიდევ იძინდა ვინმე მივასიო.

652. რას ვაგრძელებ? დავგიჟარცხდა და ღმრთის რა-სხვა მოგვეკვლინა.

არ დაბრუნდეს ღვთის ბრძანება, ერთხელ თუ გაჰოავლინა, მაღლი მასვე, ადრე ხანად კიდევ მათზედ ვაგვეკვლინა. აწ უყურე ქსანზედ მოსულთ, თუცა რაზომ გარდავლინა!

აქა მოურავი გაბრუნდა მესამეს დღეს ნოსტიდამე. ლისს ქალაქისა და ციხის თათრები გამოვიდეს. ლისი რომ დაარბიეს, მოუხდა და მოურავს გაემარჯვა

653. მოურავს ეთქვა: „ციხისა თათრები ლისს დამირბევენ, ტყვეს წაასხმენ და სახლებსა ზოგს დასწვენ, ზოგს დააქცივენ; არ ვუშველი. საბოლოოს თავს და შვილსა დამიწყვევენ. მივალ, ვნახავ, მინბაშები მეთოფეებს რად მოსევენ“.

654. მესამეს დღეს ნოსტიდამე ლისს გაბრუნდა, მიაშურა. არ გიკვირს, რომ ამ დიდს ომსა ბრძოლისაგან არ დაუშვრა? გარდახედა, ლისს არბევენ, ჯაერისაგან სისხლი უშრა. რა გაკვირდეს, სიფიცხე სჯობს სიზანტესა. აჰა, მაშ, რა?

655. დახოცა და გააქცივნა, კვლა მისდია ვერემდისა: „რაც გიქმნათ, ის გეყოფის, მოვიდოდით ვირემდისა. ასრე თქვენ ვით მიძაბუნეთ? კიდევ სული ამომდისა! ყორჩიბაშმა გამაქცია, ციხის კაცნო, თქვენ რა გრჯისა?

აქა ყორჩიბაშმა ანდუყაფარ ამილახვრის ცოლის გამოსაყვანად არშიდამ ზურაბს საფიცარი სთხოვა და მისცა საფიცარი: „ქალი მოგცე და არცა რა ჩემს მამულში ლაშქარს დაუშარცხდესო და მოის ჩემს მამულზედ ნუ წამოვა ლაშქარი, ქსანზედ ჩამოიარონო“. დას-ჯერდა ყორჩიბაში და გაგზავნა თორმეტიათასი კაცი. და როსტომ რომ ქართლს გაბატონდა, დაუთ, სვიმონ მეფის ძმისწული — მაშინ ხოსრო-მირზა ერქვა, — და ის უთავა. და აწ უყურეთ, თუ რას ყოფით ჩამოვიღიან.

656. როს შეიპყრეს ანდუყაფარ, ცოლიც არმას დაუტყოცეს, ყაენისგან მოცემული იყო, ამით შეიტყოცეს.

ეს ლაშქარი ამით უფრო გამოგზავნა, ის იპოეს,
აწ დაუწყეს ლაპარაკი, ზურაბის ძმებს დაუყოეს.

657. შეუთვალა ყორჩიბაშა ზურაბსა და მისსა ძმებსა:
„რად არ იციოთ. შეპყრობილსა ხანუმს ყაენი უძებსა?
თვით შვილისა-შვილი არის, ურჩევნია თავის ძებსა.
ეგ მომეციოთ, გაებრუნდები, თორემ ვერვინ გამაძებსა.“
658. ფიცსა მოგცემ: შენს მამულსა მე ვაწყინო არა რამე.
თქვენც აგრევე შეშომფიცეთ, საფიცარი მოგცე რა მე:
ჩემს ლაშქარსა თქვენს მამულში არა ივენოს თქვენიდამე,
მერმე დიდს ჯარს გამოგზავნი, გამოვიყვან ციხიდაქე“.
659. რა მოსვლოდათ ეს ამბავი, ეთქვათ: „კაი რჩევა არის“.
მოსცეს ამათ საფიცარი, თქვეს, თუ: „ფიცად მგონივ კმარის:
ჩვენს მამულში არა ივენოს, მაგრა მოის გზა არ არის.
მოის ქსანზედ წამოვიდენ, შიში ნუ აქეთ ავის დარის“.
660. გამოგზავნილთა არავეი შეველეს, მხივიდენ არშასა.
ვიორგი არჩევს სხვას თათბირს და ვირდება არ შასა,
ისარს დაუწყებს საროლასა, თოფსა დაუძრავს მამასა,
ხანებს დაუხოცს ყაენსა, ხონთქარს — არც ერთსა ფაშასა.
661. მივიდა არშას ლაშქარი, გამოიყვანეს ხანუმი,
საგძალი არ შეიტანეს, ხან იწვარი ჭამეს, ხან — უში.
ავს დღეს შეასწრო ვიორგიმ ქალი გამდელი, ხადუმი.
რა გავოსცილდეს ლომისას, ხმა არის, მო, დასადუმი.
662. გაკოსცილდენ ლომისასა, უკან მოჰყვა მათ ვიორგი.
გამოიქცნენ, არ უყურეს, რაც მოსდევდა უკან ბარგი;
მოჰხოცდეს და მოსძახოდეს: „წინ წამხდომო, აწ ივარგი!
ეს სახელი მე მიქნია, ნუგზარის შვილს, ჩემთვის დარგი“.
663. ეს ამად ქნეს, თუმიცა ფიცი გასტეხოდათ ამათ არა.
მოსწოდენ სხვის მამულში, დაეზახა რმათ არა,
ყიზილბაშთ ჰკვა დაეცდინათ, არ ჰხლებოდათ ი მათარა,
კარგად სჯობდა გაეჩინება, მოეხაზა, მოეთარა.
664. წინ დაუხვდა მხოურავი და იასე, ქსნის მპყრობელი;
ქაიხოსრო მუხრანისა ბატონია, ხლმის მსობელი,

ზურაბ ქველი მეომარი და დათუნა საქებელი —
წინ დაუხვდენ გამოქცეულთ, აწყვეინეს მათ მშობელი.

665. ჩაიყარეს ორთავე შუა უკან მომყოლოთ, წინ დამხდომთა.
ყორჩიბაშა ამ რჩევასთვის აგინებდეს ვერ მიმხდომთა:
«ცოცხალს რაღა მოგვარჩენდა არშას ციხას ჩვენ მიმხდომთა?»
უფროს ჰზოცდეს მახვილითა, სხვათ აქა-იქ კლდეზედ
მხლტომთა

666. წასვლის ღონე აღარ ჰქონდათ, მათ მოეღოთ სულ ხელ-ფეხი;
გაუარისხდათ შემოქმედო, მოველინათ ზეცით მეხი;
ველარც ხმასა იღებდიან, არ იმოდა მათგან ჭეხი;
ქარქაშიდამ მათს ისრებსა ართმევდიან, ჰქონდისთ ჩეხი.

667. წინ შეუტკრეს ასრე გზეხი, არსით კარი გაელეხა;
იგინი დგეს უჩუმარად, ამათ ხმა არ შეელეხა;
სისხლთა მათთა მონადენთა სამ დღე ქსანი შეელეხა,
ცხენი, მათი საქურველი ამათს სახლში შეილეხა.

**აქა ყორჩიბაში წავიდა და ბაგრატ მეფის [ძე], როსტომ მეფის
ძმისწული პატარა სვიმონ ქალაქს ციხეში დასვა საბატონოდ**

668. ამ საქმეებით გაბრუნდა, სვიმონ-ხან ქალაქს დააგდო,
სხვა ვერა გაარიგა რა, ვერცა ვინ სხვაგან გააგდო,
ქართველთ და კახთა დაჭურა შართ ისრევე ჩემზედ მათგდო.
რსევ დავიპყარ ორივე, სვიმონ ქვა ველარ ჩააგდო.

აქა შააბაზ ყენის სიკვდილი და შასეფის ტახტზედ დაჯდომა

669. აწ გარდიცვალა შააბაზ, ჯოჯოხეთს დაიმკვიდრებდა,
მის მტერობისა ბორიოს სიკვდილი მომძეყდრებდა,
მის შვილისშვილსა შაჰ-სეფის იმის წილ ამიყუდებდა,
პირველ, წყალობით მომხედა, ბოლოს კი გამიყუდებდა.

აქა მოურავისა და ზურაბის დაქიშება და მოურავის უკუდგომა

670. ასრე სჭირს საქართველოსას დიდებულთ, გინა მცირეთა:
აზვადვდებიან, იტყვიან: „უჩემოდ ვინ იმღერეთა?“
დაბალს კაცს არ ახსენებენ, იტყვიან: „დამიჭირეთა!“
კაცი სჯობს საქმე-კეთილი ანგაარ-მოგულძვირეთა.

671. ზურაბ და შიოშის-შვილი იყვნენ სიძე-ცოლისძმანი, გაეზარდა მოურავსა, ყოფილიყვნენ ვით მამანი. აწ დაქვამდეს უსაზომოდ, შუა დასვეს მათ საქმანი, დაემტერნენ ერთმანერთსა, აღარ მოსცეს წამსა მანი.

672. მოურავი უფროსობდა მასზედა და ქართველთაზე, თუ ეტყოდა, დასხდებოდეს, თვარ იდგნიან სულ ყველა ზე, ქე შიკშიგავც უწევებოდეს თავითაც და სხვა შუაზე. ვინც შესცოდის, ყველამ უთხრის: „დაქარგეო გალალა ზე“.

673. მე ზურაბსა მსოურავმა დამამოყვრა, გაპიერთა, თქვა: „უბოძეთ ზურაბს ქალი, გაიგონეთ სრულ ამერთა!“ მოიყვანა, მუხლს მკოცა და გამყარა იმურთა. მაშინდელთა იმათს საქმეს სულ ვერ დავსწერ, ცუდად ვსწერთა.

674. რას უშველა, გარდიკიდნენ. მე ზურაბსა მიმიყენა, სულ ქართველნი შემომძარცვა, ერთიც აღარ მომიყენა. ზურაბს უთხრა: „შინ წაბრძანდი! ამ სიტყვასა ნუ მიწყენა“. პირველ იგი გაისტუმრა და მცე უკან წამიყენა.

675. მე ეს მითხრა: „ღმერთმან იცის, ქართლი მოგეც, ჩემი თავიც, მაგრამ რა ვქმნა? არ განდომეს ჩემი თავი, მით ვარ ავიც. მაგით თავსა ვერ მოვიკლავ, ან გულს დანა როგორ დავიც? თქვენც წაბრძანდი ზურაბთანა, იქიც მოვალ, მიტქვამს და ვეც“.

676. აღარ იყო ივაცლის მეტი ღონე სხვა რა მომეღონა? გავეცალე ჭაერით საესე, მისზე საქმემ დამაღონა. მიველ დუშეთს ზურაბისას, იმანც თავი მოქაწონა. მითხრა: „ნახავ, ხელმწიფეო, მათ ყველაზე არ მოწონა“.

აქა მოურავმა იმერელთ მეფეს გიორგის შვილი სთხოვა ქართლს საბატონოდ, და მეფემ მამუჯა ბოქაულთუხუცესი ამილ-აბარ აბაშიძე და ზემომხრის ლაშქარი მოსცა და ათაბაგმა საფარ-ფაშამაც ლაშქარი აშველა, და ქართველნიც მას ახლდენ ზურაბ ერისთავისა და იოთამ ამილახორის მეტი. მოუხდა მოურავი და რაზმით შეიბნეს ბაზალეთს

677. აწ დაუწყო იმეფეს თხოვნა შვილს ქართლისა საბატონოდ, აპყვა მეფეც, დაიყოლა, ბრძანა არ აქ დასაღონად, ათაბაგსა ჭარი სთხოვა ქრთამით რასმე მოსაწონად. ორთავ მოსცეს მას ლაშქარი ჩემად სამტროდ არ-საყონოდ.

678. მოვიდა, დღეშეთს მოგვიხდა ქართველთ და სხვას ამ ჯარითა,
საკედნად გამოგვიშეტა გულითა საომარითა.
ვუთხარ ზურაბს და ჩემს კახთა: „ერთს ომად თქვენცა
ჰქმარითა,
მე ჩემი ქრისტე შემწულ მყავს, არ ვაბრძვი მე ომარითა“.
679. ზურაბ თქვა და ერთპირ კახთა: „ვიციტ, ღმერთი გვყავს
მფარველად,
ყმას პატრონზედ გაემარჯვოს, არ გვასმია ესე ძველად!
თქვენს წინ თავი სასიკვდილოდ დაგვიტ, იღვას მძორი ველად.
ღმერთმან ქმნას და სამართალმა: გაგემარჯვოს ძოღანდელად!“
680. ეღრშამ თქვა: „ღმერთის მადლს, კახნო, ეცადენით, მას ვინ
მოხვდეთ;
საქართველოს ის როგორ რევს, სხვანი ეგრე როგორ წაეხდეთ?
თუ ვინ მოვხვდეთ მამაცურად, კარგად გვმართებს, რომ მას
დავხვდეთ,
თუ ცოცხალი გარდგვირჩება, კიდევ გავგრჯის, უნდა ვახდეთ.
681. თუმც არიან უპრავლესნი, ეგრე დგინ ვითა ტევრი,
ღვთის წინაშე სწორი არის შავი ზღვა და ისერ ძევრი,
ბევრს ხუვილსა მოერევი, ჟამ ერთ გაღეწს ერთი კევრი.
ერთმან სძლიოს ასეულსა, ორმან მოსრას ბევრის-ბევრი“.
682. რა მოვიდენ ბაზალეთსა, დავუკიდეთ მათ ცეცხლები,
ავი დარი დასცემოდა, დახუთოდათ მათ ხელები.
დავინახეთ, მსწრაფლ მივმართეთ ჩვენ სახლებსა ნათბილები,
შეჭურვილთა მეომართა ცხენნი გვყვანდა ფიცხელები.
683. მე მახლდენ ქართლით ესენი: ზურაბ და ამილახორი;
ხან წამივიდის იოთამ, ხან დამრჩის მწვედ ნამსახური,
ზნე-კეთილი და საჭვრეტლად სრულ კარგი, არ უსახური:
ხან ჯავრით მახლდის, ხან ასრე, თუ შერჩის ორი მსახური.
684. მივედიტ, ორგნით შეიქმნა შეტევა, შემოტრვილი,
ხმის ბაიბური არ იყო, ზახილი, არცა კივილი.
დაუკოდელი ვერ მოვრჩით, იმ წამს არ იყო ტკივილი,
თუმც მამინ ვერ შევიგენით, მერამე შეგვექმნა ჩივილი.
685. მოურავს რა დავინახვე, შეპბრალოდა ჩემნი კახნი:
„ჩემი,—ეთქვა,—ულურსი ძმა, ამოსწყვიტნა მწიფით მკეახნი“.

ღმერთივ ამათვე მუზარადნი დაუმსხვრიეს ვითა კვანძი.
დახოცნეს და ხელთ დაიპყრეს, ის წავიდა ცულ-მოგვეკანნი.

686. გოგორიშვილს დაუთ-ბეგსა მისი კურტაკი ჩააცო,
თვისსავ ლურჯსა ცხენსა შესვა, უთხრა: „აბა, კაი კაცო,
ზოგი შუბით ჩამოაგდე, ზოგს ზუჩხედა ლახტო სტკაცო;
ვინ მოვიხდეს, კარგად დახედი, ვითა გმართებს შენ, მაპაცო“.

687. პირველზედვე შემეყარა ეს დაუთ-ბეგ. შუბ ხელთ-მქონსა.
შუბი ვჰქარით ერთმანერთსა. მაგრამ ვერც ერთს დავემონსა,
მერმე საამ კობის ძე მოგანებით შუბს მოსწონსა,
მოვიდა და გვერდს შემოსცა მას, მორევის ჩემსა მგონსა.

688. ველარც იმან ჩამოაგდო და ცოტად-რე გარდახარა,
მას კვლა ზურაბ შეუზახა: „მოურავო, თქვე. თუ ხარა?“
შიშველს ბარკალს ხმალი დაჰკრა: „ეგრე მაგრად რად
სდგახარა?“
სრულ მოჰკვეთა, გარდააგდო, იცოცხლალა მან, გლახ. არა.

689. მერმე შემხვდა აბაშიძე, იგ ღონენა ქვიშხეთელი;
თავი ფარში ჩამოეყო, მოეხარა ვითა თელი;
ფარის კუბოს შუბი მიკრა, მაგრა ვერ მყო მიწის მთელი,
სამკლავეცა ეჰმიტეხა და დამკოდა მე ნათელი.

690. ედიშას თქმული გათავდა, ეპოვნა მოურავია.
გულსრულად თურმე მოვიდა, მან აღასრულა დავია.
უმუზარადლოდ ომს შესვლა კარგთა კაცთაგან ავია.
ამანც შუბი ჰკრა, მაგრამე მან კი გაუპო თავია.

691. რა ედიშა ჩამოაგდო, ადგა, უნდა მოეწვა და
მან დაასწრო, თავსა დაჰკრა, ხმალი ძლივსდა მოეწვადა,
შუა პირი მოუხვედრა, არ თუ მჭიდი მოეწვადა;
ეს მოკლა და გარდინეწვა, გლახ. გრძლად წყლული არ ეწვა და.

692. ერთ ომს უფრო გასაჭირსა მართ აღარსად დავხდომივარ,
ჩემს ჯარშიგა დაუკოდი ძვირად მორჩა და არც მე ვარ.
გამემარჯვა ღვთის ძალითა, არ მოეჰკვეხდი, სულ ომში ვარ.
ყმანი მყვანდეს ნაომარნი, ვით ამირანს მისი საეარ.

693. მომილოცეს! იმერელნი, ქართველები, მერმე მესხით.
შეეუზახე: „დიდებულნო, რა საქმეზედ თავს დამესხით?“

თქვენგან იყო რა საქმენილო, ჩემზედ იმას თქვენ მოესხით?“
ვბრძანე: „მანდა ნულარ გიდგან, ასრე აქეთ წამოასხით“.

694. ხოსუა მაჭავარიანს, მიყურე, რა მოვაწიო?
ყურებს დავკრი შიგ ძირშიგან, ნუ ეკვ, ახლოს დავიწვიო.
შემეხვეწა: «სულ ნუ დამჭრო, ცოტა იქით მიიწიო“.
როდეს დასკრეს, შემოაშახა: „არ მეგონე გულბილწიო“.
695. მოურავი აღარ დადგა, ახლა ხონთქარს მიაშურა,
ვერ კარგად ქნა ორგულობა, ვერ ომი და ვერა შურა;
ხვანთქარმან სცა მწვედ პატევი და წყალობა არ უშურა,
ერთს თავს ვეზირს გარდაისად მას წინ დგომით სხვად უშურა.
696. ქაიხოსრო და იესე, კვლა სხვა ბევრი ქართველები
თან გადაპყვენ სააკაძეს, თავადები ძირ-ძველები:
იქაც ბევრი სახელი ქნა, მაგრამ თავს გარდავევლები,
იქ დახოცეს ქიშპობითა, ვეზირმა ქნა ეს ნაენები.
- აქა ზურაბ ბატონ წაუვიდა და სვიმონს მოუვიდა, ქართლი დააჭე-
რინა, მერმე მოკლა და თავი კახეთს ბატონს გაუგზავნა და ისევ
მეფეს თემშურაზს დააჭერინა ქართლი სრულიად.
697. რა წაველეთ ხანი, ზურაბთან დამიწყეს ჩხუბს ჩამოგდება.
რად ვერ მოუხდა, ეს მოკვირს, ცრუს კაცს თავისა აგდება?
სიძე იყო და შეილად მჩნდა, მანსოჯს ვალისა დადებდა,
აღრე ამყოლი სიტყვისა მე აღარ შეიმედება.
698. გავეცალე, კახეთს ჩაველ, ის სვიმონ-ხანს მიუვიდა,
ფიცითა და თავდადებით ქალაქს ციხით გამოვიდა,
წამოუძღვნა ზემო ქართლზე, თან მოჰყვა და წამოვიდა.
თუ მე ზურაბ მიორგულა, რად ვერა სცნა, თავს მოსჭრიდა?
699. ცოტას ხანს სვიმონს ქართლი და ზურაბს ხელთ ჰქონდა ამბარად;
ესეც მოსწყინდა, ასრე თქვა: „აწ ეს მაქვს მე საომარად“.
მამას უხმობდა სვიმონ-ხან და ფიცი არ იწამა რად?
მოკლა მან ჩემად უგრძნობლად, მიწა ძლივს მისცა სამარად.
700. თავი უფაღარს მომწივა ყაენთან წასვლის მნდომელსა:
„ვით გაგიშვებდი ხელითა, ვირ გხედავ სულთა მდგომელსა.
ყაენთან წასვლას ესე სჯობს, ქართლითგან შემომწყარომელსა,
ბოლო არ გაუთავდებოც ბატონის სისხლში მჯდომელსა“.

701. აღარ წაველ ყაენთანა, ისრევ ქართლსაც მოვუბრუნდი,
აწ სრულ ერთპირ დავიჭირე სომხითიან, არ დავჭყენდი;
ხან სიმალღეს, ხან სიმდაბლეს მიმცა ვინ მე, ასრე ვუნდი,
ორსავ კარგად ვიტვირთევიდი, არც ერთს არას შევეულონდი.
702. ამ დროს ვთქვი „ლეილ-მაჯნუნი“, „ზილიხან-იოსებისა“,
ქება, შვენიება, ლიტურფე, მიჯნურთა ცეცხლებრ დებისა,
გაქრა მინდორად, ხელობა, გულთა ლახვრულად ჯობისა.
ტკბილად რამ აღმოგვეტყველე ლექსები სხავ-მუქებისა.
703. გაშოვაჩინე ნათქვამი მე ჩემის მუსიკობისა,
არ დაშვრა ენა-მეტყველი ტკბილად მათ ზედა მკობისა,
განმარტვითა ვთქვი ქართულად თქმული სპარსთ არაკობისა,
არ დამორჩილდა შეძავსა იოსებ იაკობისა.
704. აღარა მყვა მტერი მოღმა გეოქარი შემომბმოდა,
დამმორჩილდა ყოვლი ურჩი, ყელსაბელი ვითა ბმოდა.
ყოვლგან ისმა ეს ამბავი და შეიქმნა საამბოდა,
შვება იყო სამუდამო ლხინ-სობათი შეიმკოდა.

**აქა ბატონმა თეიმურაზ ლევის-წახეთის მიხდომა მოინდომა სარუ-
ბაშს და ცხენი წაეჭკა, თვითან ვეღარ წავიდა, და ზურაბ უთავა
ქართველთა და კახთა და მიუხდენ**

705. გამიწყრა ოდეს ყაენი, მას მოჰყვა, წახეთს ვინ ზისა,
აღიბეგ სახელდებული, პატრონი სარუბაშისა;
მისი მომინდა პასუხი, ჩვენება ჩემის რაზმისა,
მალ შევანანე სიკვდილით მოყოლა შაბაზისა.
706. ალონში ცხენი წამეჭკა, თავს მტვერი გარდავიყარე,
ძალიან დამცა მიწასა, მაჭები ამოვიყარე,
ვეღარ შევიძელ ლაშქრობა, ვერ წაველ, ვერ ავიყარე;
ზურაბ, კახნი და ქართველნი მათად სამტეროდ წავეყარე.
707. ევლოთ, მისევლოდეს სარუბაშს, მას შეუტყობრად მყოფარსა,
ასრე შეპარვით მიუვლენ ძალღებსა მათსა მყეფარსა.
ვეღარ გაუსწრეს, წახეთსა გარ ჯებირ შემოიფარსა,
ქვეითად შეუხდებიან, აგლეჯენ ხმალსა და ფარსა.
708. ზურაბ ცხენით გარდაუხდა, შეუზახა სრულ ლაშქართა:
„გარდამოხედით ყველა ცხენით, ვინ ბრძანებთ აქა ხართა“

ვითღა მინვალთ მეფეს თანა, თავს ვერ ნახავთ განახართა?
ვსძღვეთ ომითა, ვერ დავვიღვემენ ხმალ-მოწვედილთა, დანა

ფართა“.

709. ამ სარღლობით მალ აეღოთ ჯებირი და სხვა სიმაგრე.
თავი მოსქრეს ალიბეგსა, შეუზახეს: „იღვე აგრე!
ვით ვმართებღა, შექმნილ იყავ შაბაზის შენ მოსაგრე?
სარუბაშმა ვერ დავვიღღა, წა, ზახუერი გაამაგრე!“

710. მოვიღეს, თავი მომართვეს და საშოვრის ფანჯიაცი,
ექმნათ ბევრი საშოფარი, დაცულათ ცხვართა ბაკი.
მომილოცეს, მივულოცე, თქვეს: „გათავღა თქმული აკი!“
აწ შეიქმნა ნადიმობა, არ თუ ცუდი რამ ტაკ-ტაკი.

აქა ზურაბ ერისთვის სიკვდილი

711. ენის ძალი შენ გითქვამს და ცოტა მეც რამ მოგახსენო:
ტუბილი ასპიტს მოამღოვრებს, მწარე ძირში გარდახსენო.
თუ კარგვევარდ გაგასანჯო, მგონივ, ავად არ მახსენო.
აქმა ენამ საქმე მიყო, ავი, ღვთის მადლს, ჩამომხსენო!

712. ენას აქვს გესლი ბოროტი, უმწარე ასპიტასაგან,
თვით დამიციღია აგრეთვე, ვითა მასმია სხვისაგან.
წინასწარმეტყველთ აქე თქვეს და მტყციედ თვის და თვისაგან.
მათი მესმინა, მიჯობღა, ეწვართა ავს ავისაგან.

713. ენა მლიქნელი გონებას მყუღროსა, მშვიდად დებულსა,
გულსა განმსკვალავს და ღვიღლსა გააპობს, სიბრძნით ქებულსა;
ანაზღად აღსძრავს რისხვასა, შეიქმს ცეცხლ-მოვიღებულსა,
აღღულებს ნაღველს ცეცხლთაებრ, ცნობაზედ ზედ მიწებულაა.

714. ყურსა ლახვრულად ეცემა, უმაგრეს გვრდემლ-ნაკრავისა,
თვალსა აამღვრევს წმიდასა, ხედვიღეს ავს არ ავისა,
თმათ აშღღს, ხელ-ფერხთ ფრჩხილებსა გასწევავს ცეცხლ-
განაკრავისა,
შფოთს ააყოლებს, ვინც ისმენს, უმშვიღეს იყოს კრავისა.

715. თუ ვინ ჩავარდეს წყალსა და აღმოხდეს დაუსველებღად,
წიღღში მკვრელი ცეცხლისა ვით დარჩეს დაუმწვეველად?
ან ბადეს ვინღა განერეს, აცლიღეს გამოსადებღად?
ვინ ისმენს მლიქნელს ენასა, არ უნღა ცუდად სადებღად.

716. ვისცა არ უნდა აყოლა სიტყვა-ავისა, ცუდისა, ვით წაქვერცხალი კალასა დაგეცეს, შეშა უდისა, ანაზღად თუ არ გარდაედებ, ნატისუს ალი უდისა აგრევე, ენას თუ უსმენ, დაგრჩება, დაიბუდისა.
717. რადგან ეს ვიცი, რად ავყევ ენასა ავის მბობელსა, ლბილოსა განსალებელსა, ფოლადის დამადნობელსა, უცებთა შეუტყობარსა, ბრძენთაცა ძლივ-საცნობელსა, ყელშიგან წამჭირებელსა საბელსა დამარჩობელსა?
718. რას მიშვეელა, ვინანი და ღმერთს ვიჯი მოტევებას, მადგამ ძნელად გაეძლების ყმის პატრონზედ აზვავებას. ორივ ერთად შემეყარა, ამაღ ვერ ვიქმ ჯავრთა ვსებას. ავი ენა, იგ ამაყი, ასრე შეწიქმს მე დავსებას.
719. სჯობდა, თუ ორივ დამეთმო ღმრთის წინ და ამ სოფლისადა. ვირე ცოცხალ ვარ, ვინანი, სამუდმოდ ცრემლი მდისა და... რად მოვკალ, ვით შემოვიკალ შვილის უმჯობე, ძმისა და ნამსახური და კვლავ სიძე? სიყეთე აქვს მოდგმისადა.
720. ღვთისა მეშინის, კაცთაგან მრცხვენის ამისსა მყოფელსა; გული ვაშმაგდეს და ხელნი შემხმეს მის ლახვის მყოფელსა! სახელმწიფონი თხრად მიჩნს. რას ვაქმნევ მე სამყოფელსა? იმ სოფელს ნუმც მუკითება, გარდამხდეს ამავე სოფელსა!
721. ამისგან უგრძელ ამის თქმა ავია, ამაღ ვაუუშო. გვერდს მიჯდა, ვბრძანე სიკვდილი, სისხლი მან ჩემს წინ ვაუუშო. დედამ მისთანა თავადსა შვილი ველარ ვისლა უშო? რადგან იმ მოვკალ ამაყი, არ მმართებს სხვადა აუუშო.

* * *

ამას ზეით ლექსები სამისა, ერთგვარი იამბიკოთ რომ თავბოლო ლექსად აქვს, ერთს კიდევ სხვის იამბიკოთ ზეით-ქვეითი სტრიქონი და თავბოლო ლექსი აქვს; ცხრა ლექსი ანბანთ-ქებისა ოსეთს არის ნათქვამი, ქორონიკონის ლექსით ორმოცს დღეს.

722. ამას ზეით ოსეთს მითქვამს, ამას ქვეით ვიტყვი რუსეთს, სოფლისაგან არა მიკვირს, მობალხენიც მივლენ მისრეთს. კარგად ვიყო, არ ვემდურვი, ასრე უნდა საქმეს ისრეთს. კიდევ ღმერთი კარგად შესცვლის, მოწყალეებით ისრევე

ღმერთს.

723. ნაღვლის რასმე, საქარეებლად მე ეს საქმე ვიმეგობრე, ქვეყანაა მჭიდრო რამე, სამესისხლო, საპეკობრე. ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებ ავის საქმის მე. დამეგობრე ასე ამან შემიქცია, აღარა რამ ვისალმობრე.

* * *

აქა მეფის თეიმურაზისაგან ულუკოსორის მიხლომა

724. ამას უკან გავილაშქრე და მიეუხე ულუკოსორს. თუ ამირან ვაბედავდა, არ უქნია ეს არ ნოსორს. სამ დღე შევევლე დაღისტანი, ოთხისაგან უფრო მოშორს. რამ ეჭვ, ამის შემმართველი შევებმოდო დვალს ან ოს ორს?

725. დავსწვი, დავსტეხე კოსორი, უწინ არვისგან ქმნილ იყო; თუ არ ისევე ჩემგანვე, უთუოდ სხვისგან ძნელ იყო. ნატყვენავი და ალაფი შოის მუხრანსა განიყო. ველარ მემეტერნეს მას აქათ, მერმე მშვიდობა დამიწყო.

აქა არეზს აქათის მორბევა მეფის თეიმურაზისაგან

726. აწყა ჩაველ, არეზს აქათ მოვაოხრე, მოვარბივე, ორგული და ურჩი ჩემი ვინც გამოჩნდა, დავაბივე. ამ ორისავე ტახტის მჭურმა მეფეც მოყვრად მოვიბივე. ურჩსა მოვიც არაფერი, ერთგულებსა ბევრი მივე.

727. დაუთ-ხან იჯდა განჯასა უნდილაძე ბეგლარ-ბეგად. წამოვიდა, მომივიდა, თვით ჩემთავე იყო მღეგად; სრულ ყაჯარი თან იახლა, იორზედა დადგეს ბეგად, მერმე კახნი თავს დაასხა მოსასრველად, გარდაგებად.

728. ყაენმა მთხოვა ბევრითა, წყალობა უსაზომითა: „დასწყუნარდი, მომეც დაუთ-ხან, გაძეხ ჩემითა ომითა; წყალობა გიყო მრავალი არ ხერხად შემომდგომითა“. ამად ვერა ვქენ, ვერ მივეც, რომ ზმაღხედ მომენდო მითა.

აქა სააკაძე როსტომ-ხან სპასალარი გამოგზავნა შა-სეფიმ ყაენმა და როსტომ ბატონის, სვიმონის ძმის დავითის შვილი გამოატანა ქართლს გასაბატონებლად და კახეთს — სალიმ-ხან.

729. აქ სააკაძე როსტომ-ხან ერანზედ ასპასალარა, კვლა დაუთ-ხანის შვილს მისცა, მას როსტომი ერქვა სალარა,

ქართლი მისცა და სხეც ბევრი საქურქლე, მას ასალარა.
მოვიდენ, თუმცა გამაგდეს, მოისვენებდა მალ არა.

730. რა მოვიდენ, ბართიანთ ფიცი სტეხეს, მიუვიდენ.
რა დათუნა ეროსთავი მისის ძმებით შეთაბუნდენ,
ხმალი ველარ გავუმართე, ყმათ არ მოყვეს საქმე ესდენ!
მეც წაველ და ჩემნი ყმანი იმერეთსვე გარდმოვიდენ.

731. ქართლი როსტომ დაიჭირა და კახეთსა დასეეს სალიმ,
ჩემი ქრისტე აღრე მომრევეს, გამიმაგროს ის ვერ აღიმ.
რა მივუხე, მოარჩინა ცხენმა მისმა, მუხლად მალიმ.
ისრევე ფეხზედ დამაყენეს გაბედვამ და ჩემმა ძალიმ.

აქა როსტომ მეფისაგან დათუნა ერისთვის სიკვდილი და საერისთ-
ვოს შეხდომა და დამარცხება და ზაალ ერისთვისაგან მეფის თეიმუ-
რაზის ანანურს დვალეთზე მოყვანა

732. როსტომ მოკლა დათუნა და თავი ყანეს გაუგზავნა.
რა შეუხდა საერისთვოს, სხვათ ძმა აღარ დეზავნა;
ზაალ, მისმა უკროსმა ძმამ, გამოქევეით გამოგზავნა,
რომელიც რამ თან რამ ახლდა, ისიც დარჩა, დიდად აენა.

733. გამოგზავნა ჩემთან კაცი ფიცითა და თავდებითა:
„ვირა ვცოცხალვართ, იმუნამდისი ჩვენ ამ პირზედ დავდგებითა:
არ ვიტყუოთ არას საქმით, არას მიზეზ-დადებითა,
არ სიტყვით და არა ტრელით, არ იქი-აქ მოდებითა“.

734. შემოჩერეს ფიცითა და წაველ მთრსკენ ანანურსა,
დვალეთზე გარდავიარე, რა გზა მიქნა სადაურსა,
მომეგებნეს მხარულად, აღარ გვანდეს დანამდურსა.
მერზე წვრილად მიამბოდენ მუნ ამბავსა იქიურსა.

735. სალიმისა თქვეს მოსაბრუნს დგომა, სახლისა აგება,
კვლავე როსტომის ტფილისსა სამულაშოდ სუფრის დაგება:
„გვმართებს როსტომის მტერობა, სალიმის მალ გარდაგება,
მაგრამ სალიმის გაგდება, ზოგთა თქვეს, სჯობდეს ეგება“.

736. თქვეს, თუ: „როსტომ ციხესა ზის, სალიმ არის კახეთშია“.
ესე მესმა გაჯავრებულს, ლომს ნადირზედ მომემშოა.
გარდევუხე და გავისტუმრე ფეხშიშველა, უჩაშოა.
ჩემთა ყმათა წინ მიმასწრეს, პანლური ჰკრეს დუმაშოა.

737. კახეთი იყო უკაცო, კვერნაქიანად გაღმართი.
ახე მოგვეპყრნენ თათრები, ვით ისრაველთა წარმართი.
ანანურს ვიდეგ სამს წელსა, ვიარეთ აღმართ-დაღმართი.
მრავალი მტერი ამიტყდა, მართალი, არ უტკუღმართი.

აქა ოხია ყორჩის, დავით ასლანიშვილისა და გარსევან ჭავჭავაძის,
გულბათის შვილის, ანანურით სათოფით წასვლა და ლეკების
დახლომა

738. ანანურიდამ წავიდენ გარსევან და მამუკაი.
თუმც მამუკა უმჯობედ, მაგრამ არის ისიც კაი,
თვითანც კარგნი მეთოფენი და იმათი სააკაი.
აქათ მივლენ თვით ესენი, მთიულს დახვდა ბაკაკაი.

739. რა მოვიდნენ სანადიროს, ორნივე წავლენ ერთსა მხარეს.
ლეკნი თურე მზირად უსხდეს, ორმოცია არემარეს;
ბუსუნი ქნეს, ჩა-ცა-უსხდენ, არ თუ შორით მოუარეს,
მათ ერთი ლეკი ხეზედ ჰყავს: „ახლოაო, არ თუ შორეს“.

740. ლეკი ნახეს ხეზედ მყოფი, მისმა ნახვამ გააცინა,
ერთმანერთსა დაჰპატივეს სიროლა მისი, სისხლთა მდინა.
ჰგავს. გარსევანს უსროლია. მგონი, კიდევ დაეცდინა.
რად ვერ მიჰხვდენ სხვათაც ყოფნას? კარგნი კაცნი რამ აცდინა?

741. რა თოფის ხმა გაიგონეს, მზირთ ფარული ვააცხადეს.
ორნი დარჩეს მოდაბლებით, ლეკნი ზევით წამოადგეს;
გამორიდეს, უკან მოჰყენეს, ვინც დაეცა, ველარ ადგეს.
აწ უყურეთ მამუკასა: ჰკუა როგორ გამოადგეს!

742. გარსევანს, თოფსა დატლილსა, ფეხი წაუბრკმა, დაეცა.
ერთი უძახის მეორეს: „ჰკა მაგას, დანა დაეცა!“
მამუკა თოფსა აიღებს, არ ესვრის, ჰკუა მოეცა.
გიუნა ნატრობს: „მამუკას ვხლებოდი ნეტაი მეცა!“

743. მამუკასაც თუ ესროლა, მოეცლამცა მას ერთიცა;
მასც მოჰკლავდენ უსაცილოდ, ჩაივლიდა იმათიცა.
კაცქან უნდა იმ დღეს ჰკუა მოიხმაროს და ლმერთიცა.
მოსულთყო სადგომს, ერთქვა დიდი რამე მას ფიცცა.

744. მამუკა ერთათ სიფიცხით და მერქმე ჰკვითაც მოუღრჩა.
ესე სასირცხვოდ დაიდვა: რისთვის გარსევან დაურჩა?

თქვა „მივსდევ დალისტანაში, იმას ვეღარ ვინ დაურჩა.
სად მიიყვანენ, მივყვები, მე თეიმურაზ დამორჩა“.

745. გავიდა გაღმა სოფლებში, დავლო: ფშაველი, ართანა.
ვინც პოვა, არვინ დაავლო, მან არ იახლა არ თანა.
უყან გაუღდა გარსევანს, ამხანავს ნაომართანა.
იმ ტოლი კაცი იმ ღროსა მე აღარ შეყვანდა მისთანა.
746. ლაგოდანად წაეწივნენ, გარსევან ჰყვათ ხელმეკრული.
ნახა წინამ ამხანაგმა, აუფეთქდა მწოვედ გული.
მამუჯამ თქვა: „არ შესძახოთ, დაიღვეთ ასე სული,
თორემ იმას იქაც მოჰკლვენ, მეც დავრჩები დაქარგული“.
747. შეგებარნენ ტყის ბედითა. რა მოვიდენ, შეუზახა.
თვითან მივა ყველას წინა, სხვა არავინ წაუძახა.
ხრპლით დახოცა მან ლეკები, აღარც სულთქვნა, აღარც ახა.
გარსევანც ლეკი შეიპყრო, რა ეტენი დაინახა.
748. ზოგთა თქვეს, თუ: „ესე საქმე მამუჯამა ვერ ქმნა კარგა.
განა თუ არ მოსწეოდა, მას უყან რადლა ეფარგა?“
შენ რას იტყვი? მე კი მომწონს, ჩემს წინ იმან კარგა დარგა.
კაი საქმე, წახდებოდა, თუ ლეკთ აქ არ დაებარგა.

აქა მეფის თეიმურაზისაგან კახეთში ჩასვლა და შენობის დაგდება

749. რამდენჯერ ლეცთა შეეგები, არ მახსოვს მე სათვალავი,
ან რაზმით, ან წინ დახლოებით, ან მღვერად დასაღალავი;
ვერ წაგვივადის ჯარი და ვერცა იქი-აქ მძალავი.
უფროსი ერთხან უჩემოდ ყმანი მყვეს მათი მძალავი.
750. ქიზიყის ნაცვალს ჯიმშიტას, ქიზიყელთ არ მოურავსა,
ორჯელ ლეკთ რაზმის ომზედა უყურე: სისხლში მტურავსა!
დიად, სარდლობდა ჯიმშიტა, ომის ოფლს მოიწურავსა,
ორჯელვე: გაჰარჯებოდა მას სიხარდის არ-მიმწურავსა.
751. კახეთს ჩავედით ბატონ-ყმით მემკვიდრე, არ თუ ახლები;
რასაც ვით გავწვდით, დავსახლდით, დავიდგით ყოველგან
სახლები;
არავისა და ქსანისა ერისთევებთანა ნახლები
იყვნეს კახნი და ისინი — ტრთმანერთს მოყვარ-მძახლები.

752. ერთგნით ყაენის ლაშქარი მეგრძოდა არ ხან დახანდა,
 დაუზადლებდა ჩემს წყენას, ასე სულთნები დახანდა,
 მეორედ — როსტომ ქართველი, ვინ კარგი ან ვინ და ხანდა?
 მესამედ ლეკი მტერობდა, სამუდამოდ ვინც გაშამხანდა.
753. მაგრამ ვერათ შემაწუხეს, ჩემგან იმათ ეწინოდეს,
 ვლაშქრობდი და ვნადარობდი, ლხინს ვნახავდი მე შინ ოდეს.
 „მოვიდაო თეიმურაზ“, — როსტომს კაცი მოუბროდეს.
 ხან გორს იჯდის, ხან — ქალაქსა, ციხეებში მწვედ ლხინობდეს.
754. ქართველთა ჩემი ვერია, მაგრამ ყაენი მას ება,
 არეზს აქეთი ლაშქარი ხან ნაცვლით ექეშეკება.
 ციხეში იჯდა, ფრთხილობდა, გაძნელდა მისი გაძება.
 რა საქმე დაგვიანდება, სხვაც რამე დაეწმასნება.
755. ხანდახან დავზადებოდი, ყაენს შევძღვნიდი ფეშქაშსა,
 გამოგზავნიდა ხალათსა, მის შესაფერსა ზარქაშსა.
 კვლავ რუსეთიდანც მოვიდის, ფლურით ავსებდეს ბარქაშსა.
 როსტომს მეფესაც გავრიგდი, უხარის ჩემსა დამაშსა.

აქა დიდოეთის მოსაქცევად წასვლა მეფის თეიმურაზისაგან

756. დიდოთ ვსჭვრეტდი ყოვლთ წარმართზედ უღვთოთა,
 ღვთისგან შორს და მის უცნობლად კვლავ ეშმაკთა
 არ უსმენდენ ებისკოპოზთ, რაც რომ მათთვის დაეწესა.
 ვთქვი: „აწ წავალ, ძალს ვუჩვენებ სულელთა და ჭკვა-მოკლესა.“
 უღუსწულესა.
 მემსხვერბლესა;
757. ამად წაველ მათ წარმართზედ, მინდოდა რომ მომექცია
 მერამე თუ არ დაუჩერათ, ციხეები მომექცია.
 ვამე, მათგან კარგთა ყმათა სისხლი კლდეთა მიმექცია.
 მათ ასეთი საქმე მიყვეს, დასარჩობლად მომექცია.
758. მიველ, ჩავუღდეგ, ავიღეთ ზოგ-ზოგის კოშკებიანად,
 ვუთხარ: „არ მოხვალ რჯულზედან, ყათლანს არ გიზამ
 გვიანად“.
 მათ დაბალი თქვეს ერთხანად, ვთქვი: „აწ არიან ჭკვიანად“.
 მერე. მონიკლუს მამუკა, სარგებელი ვქმენ ზიანად.

759. მამუკა მოკლეს თოფითა, ისროდეს შხამიანებსა
ისარსა მათებრ უკულმა, უცდურად დასანანებსა.
რუსთველი მირჩიევს წამოსვლას, მე ვეტყუე მას უარებსა,
მან მითხრა: „მეფევე, ესე სჯობს ამისგან უუარებსა“.

760. არ დაუეჭვრე, ავად ვქმენ, მიჯობდა გაბრუნებანი.
მათ იხმეს ლეკი საშველად, მალ მოვლენ, ეჭმნათ რებანი.
შეიქმნა ომი სასტიკი. კარგუა ვინ შესძლოს ქებანი?
საგორავით გამოგვაქციენეს, ხრდალს დაუქარგეს ცნებანი.

761. ალავერდელი, რუსთველი მოკლეს ჩეჰს წინა და ახლო —
ბაჰუა აშრაპიშვილი, კაი ყმა, მუდამ საახლო,
სულბან ბაზიერთ-ხუცესი, ეამ-წარვლილ ვინდა აახლო?
მსთან — ნათანელ მდივანი, მოსთვის ვინ შუკრას ნახლო?

762. რევაზ დასკრეს სახლო-ხუცესი, მე ცხენი ქვეშ გამოიკლეს.
კვლავ — თამაზა ჯანდანიძე; მათ იმატეს, ჩვენთა იკლეს.
მე ცხენსა შემსვა გიორგიმა უკეთესა, არ მუხლ-მოკლეს.
რადუან ბევრი მტერი მყვანდა. რას ვებრძოდი ქუთათ მოკლეს?

763. ებისკოპოზთ, დარბაზის-ერთ ამოწყვეტილი შინ მოველ.
ისინი ღმერთსა ვერ სცნობენ, ვით გაუმარჯვა საპოველ?
ღიად, დავსუსტიდი მას აქეთ. ცოცხალი რადლა წამოველ?
სხვაც ბევრი მოკლეს მსახურ, მგონივ, ერთს ერქვა იოველ.

764. მამუკა ბოქალეთ-ხუცესს ლაღობით ეთქვა „იშიო“,
იმ ძაღლთა ვით შეურჩიეს ლაწეს მცირეს. კანქსა წვრილშიო?
რევაზს ლოყას ჰკრეს ისარი და თამაზასა — წვეფშიო.
ავრე ისპანი ყოფილან, რად არა ჰქონდათ შიშიო?

აქა ამილახორი და ზაალ არაგვის ერისთავი მეფეს თეიმურაზს
ახლდენ და კათალიკოზი დიასამიძე ევდემოზ, გოჩაშვილი გიორგი;
და [სანამ] ნოდარ ციციშვილი წიგნით მოასწრობდა, შიგნით გაუორ-
გულდენ როსტომ მეფესა და, სანამდის ბატონი თეიმურაზ მოასწრებ-
და, ნოდარ უკუუდგა როსტომ მეფესა, მიასწრო ნოდარზედ როსტომ
მეფემა და გაემარჯვა.

765. ამილახორი იოთამ და ზაალ მაშინც მე მახლდენ,
კათალიკოზი ევდემოზ და გოჩაშვილი გაახლდენ,
კვლავ ციციშვილი ნოდარი და სხვა ქართველები ეთქვა რამდენ?
მიმიხმეს. ლაშქრით რა წაველ, ჩემად მისვლამდის გაცუდდენ.

766. ნოდარ ფიცეთს შეიყარა, ჩხეიძენიც მასთან იყვნენ.
როსტომს უთხრეს: „ესე ასრე, ნოდარზედ მალ წაიყვანენ,
ნუ შეეპყრითო, მივაშუროთ, თორემ ბოლოს შეინანენ.
ვინ მუხრანსა კვატრონობდი, ცულ-მადლები მოიხმარნენ“.
767. მივიდენ ფიცეთს ნოდარზედ უეცად, შეუტყობარად.
მას ყარაული არ ჰყვანდა, ნეტაა ზვართა საბარად?
ჩხეიძებმა რა ნახეს ესენი მართ საშუბარად,
მოვიდენ, შოიქნივესცა, ზოგთა ჰკრეს მწვედ გასამწარად.
768. მეც მუხრანს მიველ, მიმასწრო და გაემარჯვა ნოდარზედ.
ბეჟია დარჩა იორამს, მოურავის შვილს, იმ ომზედ;
ოტია თვითან ოტიას რატიშვილს უჯდა გავზზედ;
საციციანო კაცები ცხენს სხედან მათს კვიციანზედ.

აქ მალაროს მისვლა როსტომ მეფისაგან დიდის ლაშქრითა

769. ამ საქმემ გამითამაშა როსტომ, წამოდგა საომრად
ქართველთა მეფე ქართველით, ჰყვანდა ხანებიც თან ლაშქრად.
მე ბაზარს ვიყავ გაზაფხულ სანადიროსა, მათ შორად.
წითხრეს: „მოვაო ლაშქარი“. არ დავიჭერე ნაჭორად.
770. „ქალაქიდან გამოვიდა, მოვიდაო მედასტურე“.
მალ დავაგდე სანადირო კარები და სხვა სატურე,
შვილი ზევით ვამოვგზავნე, მუხრადი არ დავხურე,
ლაშქრისათვის შესაყრელად ვერ მომასწრეს, მათ უყურე.
771. მომაშურეს მათ ქიზიყსა, ეგონათ, თუ მომისწრობდენ,
მაგრამ კიდევ მე მივეუსწარ ცოტას კაცით, ასიოდენ.
რა მე მიველ ივინცა კელმეშურში რაზმს აწყობდენ.
სულ ქიზიყელთ ვერ მომისწრეს, რაზომ კაცი კაცზედ რბოდენ.
772. მოვიდენ რაზმ-დაწყობილნი ქოტორის გზითა მალაროს,
სრულ ერთს გზაზედა მოაწვეს, ჯარი სხვას გზაზედ არ აროს.
სცემდეს ქოლსა და ზურნასა, ჰგონებდეს მათს სანადიროს,
გაბრუნდებიან იმგვარად, ამ გზაზედ მოვლენ აღაროს.
773. შეიქნა სროლა ორგნითვე, უმცროთგან უფრო ფიცხადე,
მოკლეს და დაჭრეს ჩვენგანთა, სისხლი შენ გარდაიხადე;
ყაფლანს ჰკრეს ზუჩის საცხვირეს, ხმა გამოვიდა ჯახადე.
ჩაქვმა დაუდგა სადგომსა, მიჰყავს და მალე აჰხადე.

774. ბოვენელსა ეფისკოპოზსა ჰკითხუ: რად მოჰყვა ჩემზედა?
მე ქრისტიანე მეფე ვარ, იგ არის თათროს რაჟულზედა.
თუ უსამართლო ბერია, ღმერთი გამოვლენს მას ზედა,
თოფი ჰკრეს, ორიე თვალები წააყრევიენს ქვაზედა.
775. ორი ქიზიყელი კაცი, მსახურები რომ იქ იყვნენს,
გონასა მანგოსაშვილი, ერთად მსროლნი არ გაიყვნენს,
გლებნი იყვნენს, მაგრამ იმ დღეს დარბაისლადაც კმარ იყვნეს.
იმ დღეს იმდენს მეოპართა პირი მართ იმ ორთ დაუყვნეს.

776. გაბრუნდენ, ავად გაყარეს ბარგი და მათგარშებია.
იმდენთ ლაშქართა ცოტათი ღმრთითა მე შალ შეგებია;
ქართველნი ახლდენ, სხვა ხანიც, აკლია თუ ფაშებია.
ნეტამც ჯეჭვრიტა, ვინ ნახლდენ, შენ ვისმე იქ დაგებია

777. ველარც ლაშქარმა მომისწრა და ველარც შვილმა, თორემე
თუ მათ მოესწრო, ან აქა შემყროდა გლები მერე მე,
მათ ქალაქამდი მივსდევდი, მაგრა რა მექმნა ბორემე?
აქადამ ვაჯაქციე და ველარ მივსდიე შორე მე.

აქა კვალადცა პასუხი რუსთველისა, რომელი მოახსენა მეფეს
თამარ დედოფლისა და მეფედაც წოდებულის მის უამის ნაქმარნი
ომნი და მის დროთ საქართველოს დიდებულთ ნაქმარნი სრულნი,
რომელნი სწერია ცხოვრებასა შინა საქართველოსასა ვრცელად, აწ
მე შემოკლებით ვთქვა ლექსად. პასუხი იგ [16]:

778. ხელმწიფევე, თქვენი ამბავი ვისმინე, რაც გამიხსენე.
მეც რას დროსა ვარ შემსწრობი, მიყურე, თქვენც მაიხსენე,
შეკირვებისა საკრველი იანებე, აწ მომიხსენე.
თუ ტყუილი რამ ვიამბო, მაგინე, ავად მიხსენე.

779. მეფეო, გვიკვირს, ეგზომი თავს ღვაწლი აწამენითა,
არ თუ ივენახოს ძველადცა, ამბად ვართ ძლიე მოსმენითა.
მაგრამ მეღეჟსეთ ჯობნება არა ვთქვა აწ ამ ენითა.
ვით მოქლა, ამიონარო სახლ-მარან აწა მენითა.

780. არც მეფედ შეგედარები და არცა ომსახელითა,
არც ძალად, გულად, სიფიცხით, რომე გკრა ხელსა ხელითა.
თუ მეღეჟსიდა მედრები, ჩვენა ვართ არ ერთ-ხელითა,
მე რიტორი ვარ, მიჯნურნი შევაქევე ხელი ხელითა.

781. ომნი ძლიერნი ნაქმარნი მიბრძანე სახელოვანი,
 კირნი, სასჯელთა მოთმენა, მართ მსგავსი იობიანი,
 ხან დამდაბლება ბედისა, ხან ამაღლება სვიანი,
 მეც რომ მოგართვა პასუხი, მოსმინე, ვთქვა რამ ჭკვიანი:
782. რომ თამარ დიდი ხელმწიფე, სრულ ხმელთა პირსა ნათობდა,
 სხვათა მნათობთა უმჯობე, მზესა მით ეკამათოდა,
 ბროლ-მინა ერთად შეთხზნალი, გარშემ გიშერი სათოდა,
 მძლეველი მძლავრთა მეფეთა, დამამხობელი მათო და.
783. ამხედრდა ჰუნეს მეფეთას, აღვირი იპყრა ძლიერად,
 მან ტახტი ხელმწიფობისა შეამყო კმა მისმიერად;
 განბრწყინებული განშვეინდა სფერო, უღრუბლო აერად,
 დაიპყრა შვილივ სამეფო ლიხთ ამერიოგან იმერად.
784. თორმეტს წელიწადს სიბრძნითა სამეფოს გაარიგებდა,
 ურჩს შეიპყრობდა, ერთგულთა სვე-ბედით ამაღლებდა,
 ლაშქართა სარდლებს უჩენდა, ერთს ამირ-სპასალარებდა,
 მშვიდი მშვიდთ პატივს უპყრობდა, ამაყთა მოამდაბლებდა.
785. მოესთლო შვება, სამოთხის სურნელთა სახეობანი,
 მას მოეფუტკრა ვარდისა დაცვარულ-მობუტკობანი,
 მცენარეობა ყვაეილთა ასფადელ-ნარგოსობანი,
 ივლიოს ეელის შვენება, სიტურფე-ნამორჩებანი.
786. აჩინა ყოვლი მოხელე, მის-მის პატივსა უპყრობდა;
 წინ-მდგომობისა პატივი ვის ჰქონდა, ვან წაუსწრობდა?
 ამპარტავანთა ღრუბელი განქარდა, ველარ ავდრობდა.
 ახლა ისმინე, საზღვარი საით სადამდის იპყრობდა:
787. პონტოს ზღვით გურგანის ზღვამდის, სპერიდამ
 დარუბანდამდის,
 ყოვლნი კავკასნი, იმერნი, ამერნი ხაზარეთამდის,
 მთით გელაქუნით, ჩრდილოთ-კერძ მპყრობელი სრულ
 ყივჩაყამდის.
 ვაი ვაებას მოშირთე! უმისოდ სული ამომდის.

აქა პირველი ლაშქრობა მეფის თამარისა ქვეყანასა კარისასა

788. პირველ ილაშქრა ქვეყანას კარის და კარნიფორისა,
 სრულ მოარბია ერთპირად საზღვრამდის ბასიანისა,

გამარჯვებულნი, ნაშოვნი მოვიდენ წინაშე მისა —
მაღალის, გულით მდაბლისა, მეფის ღვთიერ-განბრძნობილისა.

აქა ომი კახას ძის გამრეკელისა და გამარჯვება

789. ამის პირველად მოვიდენ ლაშქარნი თურქთა ქვეყნისა,
მუნ ბევრეულნი თათარნი გელაქუნელთა არისა,
ქვეყანას. პალაკაციოს, ძალლის-ხევ-წოდებულისა.
ზედან მიუხდა კახას ძე სვითა მით ძალ-ძლიერისა.

790. იქ გაემარჯვა გამრეკელს. მტკრეთგან დიდნი იძლიენეს,
იოტეს ბანაკი მათი, მომცროთგან ბევრნი იძლიენეს,
მათ არმალანი მოიღეს, შეფეს წინ გამოაჩინეს,
კვლა სატურფალი ტურფასა თვით ნებით შემოაძლიენეს.

**აქა თურქნი მიუხდეს შავშეთს და გუზან აბულის ძემან შეიყარა
ტბელნი, კლარჯელნი. აქათ შეებნეს მესხნი და გაემარჯვათ იმავე უამს**

791. თურქნი მოვიდეს ამ უამად შავშეთს, გამრისნი, შამელნი,
კარელნიც თან მოიტანეს, მთარბიეს სრულ კლარჯელნი.
აქათ გუზან აბულის ძემ შეიყარა ტაოელნი.
კვლა ბოცო და სხვანი მესხნი ზედ მიესწრნენ ომ-შემძლენი.

792. თურქთ მარბიელ გაშვებულთა შეებნენ და გაემარჯვა,
წარიქციეს წინ მეოტნი, რალაც უნდა მოემარჯვა,
დაავიწყეს მათ იმათი მოისურო, გზის დათარჯვა.
მოულოცა თამარ მეფეს, გუზან შავში მოეკლარჯვა.

793. მოიღეს კაცი მრავალი ცხენითურთ მეფეს წინაშე,
მხარ-დაკრულებთა წარმართთა უნახეს მათი თამაშე.
ხმლით, ისრით, შუბით ვიბრძოდით, არა ვთქვიით: „თოფი

დამაშე!“

ჩვენ ხარაჯაცა მოგვცოან, თქვენ მტერიც ვერ დაამაშე.

**აქა მხარგრძელის შვილთაგან — ზაქარია და ივანესაგან ღვინის
ქვეყანას მიხლომა და გამარჯვება**

794. ამის შემდგომად მხარგრძელნი, ძენი საღირ და ვარამის,
ზაქარია და ივანე, და სარგის, მნახი ვარამის,
ილაშქრეს ღვინის ქვეყანას, ქალნი იშოვნეს არამის,
ჯერ ეს მითქვამს და სხვაცა ვთქვა, თქვენ გამხელა სთქვით ბარ

ამის.

795. ალაფ-აღებულთ ეწივნეს უკან ლაშქარი მწვე, ძნელი,
კმა იყო ვედხის სიფიცხედ, რაც მათ ორთ ძმათ ქმნეს საქმნელი:
სძლიეს მხარგრძელთა მომწევთა, მათ ხორცთა ექმნეს ამქნელი.
გამარჯვებულნი მოვიდეს, აქ თამარ დაჰხვდა ნათელი. .

**აქა ზემო საქართველო, შუანი და შუათ ქვემონი იბრძოდენ და
ყოველგან ამათ გამარჯვებოდათ სვითა თამარისათა**

796. გამოსელის ხანსა რამესა ლაშქრობდეს ქვემო-ზემონი,
შუანიც ბევრჯელ იბრძოდეს, არ შეყრის ცუდად მომგონი.
სხვასაც ბევრს ვიტყვი ომებსა, თუცა ვიპოვე გაჰგონი.
მაშინ თუ ბრძანებულოყავ, ვეკვი, რომე, თქვენც დაეჰმონი.

**აქა რუსთა მეფისა ძე, რომელი იყო პირველი ქმარი თამარისი,
ილაშქრა პართის ქვეყანას და მოარბია და ციხე აიღო**

797. კვალად მდებემან რუსის ძემ, სპათა ჯარისა შემყრელმან,
ბრძანებით თამარისათა, ქვეყნისა მოახრებულმან,
მიმართა პართთა ქვეყანას. უყურე, ამის მსმენელმან!
მან ამღებელმან ქალაქის, ვერ უდგნა სიჩავგრემ ძნელმან.

798. მუნ შიგან მყოფთა საუნჯეთ და ტყვეთა მოგვრის თამარსა,
სულსა ნათელსა, ბრწყინვალეს, წინაშე მას მის ამარსა;
მას თაყვანისცეს, ვინ იპყრობს ყველასა მისსა დამარსა,
„ესრეთ სვე-ბედთა უკლები, — თქვიან, თუ: საილამ არსა?“

799. ხანდახან მოისვენებდეს ლაშქრობისაგან საშვებად,
გარდავიდიან იმერეთს გულთა ნაღვლისა საშვებად;
აღჯდის ტახტზედა შუქითა მზე, ლომს მისში აშვებად,
მოვლის ქვეყანა აფხაზთა სიმაღლით დაბლა დაშვებად.

**აქა გელაქუნის მოხორება თამარის ლაშქართაგან, მათგან უკან
მოწევა და ამათგან გამარჯვება**

800. აწ შეიყარა დიდძალი სიმრავლე სპათ მეომართა,
გელაქუნისა ქვეყანათ, მაგართა, ძნელ-საომართა,
თურქქმანთა, მაჰმადიანთა, შიბათა გინა ომართა.
მოსწყვიტეს, მოიალაფეს, მან ძსრე საქმე მომართა.

801. ნატყვენავ-წამოლებულთა გვეწივნეს თურქქმანობანი.
გელაქუნთ წინაძლომითა შეჰყარეს სრულადობანი,

შამელთ დიდებულთ როსტოვ და იალდაზ-სულტანობანი.
უჯობდათ არ მოგწეოდენ, დაეთმოთ სულადობანი.

802. თამარის სპათა ლომგულთა აღიშთვეს, იმათებურეს,
ზედან მოუხდეს კისკასად, ჩაფხუტი იმათ ებურეს;
უსწრობდა ბერი ყრმასა და ყრმა — ბერსა, ვერ ქმნა საბურ ეს,
პატრონი — ყმასა, ყმა — პატრონს, უფროსი — მოსამსახურეს.

803. ამოსწყვიტეს და გაფანტეს მხნეთა, ძლიერთა, ლომებთა;
ცხენთა საფიცხე წაუხდათ თურქმანთა, მუხლად მალეებთა,
სხვა უმრავლესნი შეიპყრეს ზურგით-კერძ ლანტით მალეებთა.
მოვედით ჩღფეს წინაშე, მოყმეთ გვიქებდეს ძალებთა.

აქა გრიგოლის ძე ასათ წავიდა ლაშქრითა განძას მთასა მასისისასა.
და დიდნი ომნი გარადიხანდნეს და გაიმარჯვეს ჰერეტითა თამარისათა

804. კიდევ წავედით წვევითა ასათ გრიგოლის ძისათა
განძას ზემო-კერძ, რახსისა პირსა, მთა მასისისათა;
მუნცა გარდაგვხდა ჩვენ ომი ძლიერი მათ ლაშქროსათა.
იქ ისახელეს ბუმბერაზთ ჰერეტითა თამარისათა.

805. ვარდან და ნამან ორთავე, მათ უხუცესთა მსახურთა,
ორთავ მხარგრძელთა, ძლიერთა, მიფეთა მათ ნამსახურთა,
სხვათ დიდებულთ და აზნაურთ, მოყმეთ კარგთ, არ უსახურთა,
გავაქციეთ და მივჰყვიეთ სახლ-საჯინბო-ახურთა.

აქა რუსთ მეფისა ძე ექსორია ყვეს და სტამბოლს გაგზავნეს

806. მიჰბაძა რუსმან ეფასა, განვარდა სამოთხისაგან,
შესცოდა მზესა მზეთასა სიტყვითა სამ-ოთხისაგან.
ეს სიტყვითა სცდა უცდომსა, ივა — ნაყოფით ხისაგან,
ჭკუით-მყოფელსა, არ-თქმულსა, ნათქვამსა ჰკვა-მოთხისაგან.

807. ექსორია ყვეს პატროარქთ, ქვეყნის ერთ, სულა ქართველთა.
სიტყბო განმწარდა სოფლისა, ლხინთა ზედა-ზედ წამრთველთა.
რალა გვმართებდა მისი მეტი შვებაზედ ღირთა დამრთველთა?
განაძეს რუსი სტამბოლსა შემოდგომისა თვე სთველთა.

აქა ოდეს რუსი განაძეს, თამარს შერთეს ოსთა მეფის ძე, თვით კაცი
სრული სიკეთითა. ამისად შემდგომად იზრახეს გუზან, პატრონმან
შავშეთისამან, სამცხის სპასალარმან ბოცო, მისით მოკიდულით
მესხთ, ყვარყვარემ ციხისჭვარელმა და მოიყოდეს იმერნი, დადიან-
გურიელი, აფხაზი და სვანი. და მოიყვანეს რუსი შემოებნეს დავითს
და ამიერთა

808. აწ იქმნა საქმე ბოროტი, უშვერი, მოუწონარი,
 არ ღვთის-მოყვარეთ საქნელი, მძიმეა, მოუწონარი.
 ამის მოქმედსა ეკალი თვალსა ჰქარ, მოუწო ნარი.
 აწცა თამარის ერთგულთა შეუმკო, მოუწონ არი.
809. გუზან განუდგა, პატრონი შავშეთის, სულა კლარჯისა,
 კვლავ სპასალარი სამცხისა ბოცო. არ გიკვირს? რა რჯისა?
 სხვა მათი მოკიდულობა ყვარყვარე ციხისჯვარისა.
 მსოფთა, ორგულთა, ჯვარი ცხოველი გარჯისა.
810. წაიღეს გეგუთს, შეკრიბეს, ლიხთ იქით ვინ არს მყოფარი —
 აფხაზნი, სვანნი, რაქველნი, სხვათ მთის კაცთ არ-გამყოფარი,
 აფიცეს რუსის სამეფოთ, რა ამის განაყოფარი,
 გაგზავნეს, რუსი მოიხმეს, დაადგეს არ სამყოფარი.
811. მოვიდა რუსი, გარდვიდეს, გეგუთს შეჰყარეს ლაშქარი,
 შემოიყარეს ყოველნი, დადიანიცა შაქარი,
 იგინი იქით წამოდგეს, თამარ ნათელი აქ არი.
 მალ წაუხდებათ რჩევისა მინაქარ-მათ-მონაქარი.
812. მათ გარდმოვლეს მთა ლიხისა, ქართლი მოწვეს, მოარბიეს,
 არვინ დახვდათ მეომარი, ყოვლგან ცხენი მოარბიეს,
 გარდიარეს რკინის ჯვარი, დასადგურდეს ციხისჯვარეს,
 დაწვეს ქალაქი ოზურხე, ურჩისა თქვეს: „დააბი ეს!“
813. დასკვნეს პირველ აღება ჯავახეთისა, თმოგვისა,
 თრიალეთს — ახალქალაქის, სომხითის მიწას მოგვისა.
 ავად მოუვათ ბოლო-ქამ წვა-ონრობისა, დაგვისა.
 მათ არ მართებდათ ღვთის მცნობთა, ეს საქმნელია მოგვისა.
814. გეფუა მშვიდი სიბრძნითა, ძნელის საქმისა შემმართი,
 ორგულთა რისხვით მპყრობელი და დრკუთა წამ-ერთ
დამმართი.
 უბრძანა ერთგულთ ამერთა: „მალ წარვლეთ აღმართ-დაღმართი,
 იქავ ჯავახეთს შეებით, ბედი აქეთ მათ უკუღმართი“.
815. კვლავ უბრძანა გამრეკელსა, მაშინ ამირ-სპასალარსა,
 მისთ ერთგულთა ოთხთავ მხარგრძელთ, საჭურჭლეთა მათა
ლარსა:
 „მამაცობა პატრონთანა, იცით, კი მასალ არსა.
 პატრონისა ერთგულობა ყმისთვის დიდი წამალ არსა“.

816. დადევს თავი პატრონისთვის თამამად და უშიშარად,
 კარგსა კაცსა ერთგულობა წინა უძეს უშიშ შარად.
 მეცა მათი თანმხლებელი ვერ ამოგდო უშიშ არად,
 აღრე დავსთქე თავი ჩემი პატრონისთვის მოსახმარად.
817. აიღეს დროშა სვიანი, მაღალი, გორგასლიანი;
 მის სპათა ღმერთს ავედრებდა თამარ ნათელი, მზიანი:
 „უფალმან ჩემჰმან მიჩვენოს, ყმანო, ნუ თქვენი ზიანი!“
 გავვლეთ, მივედით ჭავეხეთს., თამარ თბილისს დგა სვიანი.
818. ჩვენ იმედი გვაქვს სიმხნითა, შერმე, — თამარის სვისაგან.
 შეიქმნა ომი ფიცხელი იმერთა, ამერისაგან;
 იყო საროლა და ყივილი აფხაზთა, მეგრელისაგან.
 იმ დღეს სილაძემ გავგუყარნა, ევენს მათ ჩვენგანისაგან.
819. ნახეს ლიქველე ჩვენ კერძი, შეკრბეს იმ ღამეს, არჩიეს,
 მუნ ოში ველარ გაბედეს, მთას ასვლა გამოარჩიეს;
 ტორნაძად სახელდებულსა მიმართეს, ჭარი არიეს.
 ძლევის მომჭირნეთ თამარის მონათა ხელი დარიეს.
820. გავედით ხილსა მტკვრისასა, მივპყევით, დღენა ვუყავით,
 ნიალის ველს ვეწიენით, მათ ხორცთა შუბნი ვუყავით;
 ხინგარის წყალზედ მივედით, ჩვენ ჭარი არ გავუყავით.
 ერუშეთსა და თხოგვს შუა ყრიალი იყო მუყა ვით.
821. შეიქმნა ომი კისკასი, ვით მართებთ იმერთ-ამერთას,
 ქვეითნიც მწოვედ იბრძოდეს, საშების მიმდლო ამ ერთას,
 მებხეთქებოდა ჰოროლი, ხრპალი ხორცთ სჭრიდა ამ ერთას.
 ძველთ გოლიათთგანც კმაროდა, რაც ომი იქმნა წამ-ერთას.
822. ომთა სიგრძესა მიეცა ძლევა ჩვენს ბუმბერაზებსა,
 დახოცეს, დაიონრესცა, ტყვე-ჰყოფდეს გულით ბრაზებსა,
 ჩვენს არვის ევნო მის მეტსა, ივანე, ცოტად ივენებსა.
 მოვედით გამარჯვებულნი წინაშე, ვის მზე იმზებსა.

აქა ამბავი — გუზან-კარელნი შეიყარა, თორმეტი დროშა კაცი, და
 მოვიდა კოლას და დახვდა ფანასკერტელი ზაქარია და გაემარჯვა

823. გუზან, წარმწყემდმა თავისა, ავს ავი მოუმატოსა,
 აწ ამტანელმან კაროსამ ვაშლოვნის სახლის ტაოსა,

ქვეყანა შარქმანისა დაწვა, სიბრიყვე აოსა.
რეგვენის კაცის წესია, საქმე ბოლომდის აოსა.

824. შეჰყარა დროშა თორმეტი, მოვიდა მთასა კოლოსას,
ჰუნ დაჰხვდა ფანასკერტელი, სცნობ ზაქარიას ოძისას;
ამან ხძლო ცოტას ლაშქრითა მის ლაშქარს ჰკუა-მოკლისას.
ზოგი ხელთ დარჩათ, იტყოდეს: „უფროსი ერთსა მოკლის ასს!“

825. გამარჯვებაში ლაშქრისას ჰსუფევდა თამარ ნათელი,
უმადლეს ყოვლთა მეთეთა, არვისგან არ განათელი,
არვის უნახავს დავსილი მისის დროშისა საანთელი,
სვიანი, გამდიდრებული, უტკერად მყოფი, კვლავ მთელი.

აქა თამარს ძე მისცა ღმერთმან და მამის სახელი დასდვა — გიორგი
და ლაშა დაურთო ზედა, რომელი გამოითარგმანების ქვეყნის
განმანათებლად

826. ბრეკელთ გამღებმა კარისამ, მომცემმა სათხოვარისა,
მომფენმან წყალობისამან თამარ პირ-ბაკმულ მთვარისა,
ძე მისცა დავითიანი, მსგავსი მისისა გვარისა;
ცა ნათობდა და ქვეყანა იხარებს მოსაგვარისა.

827. სიმრავლე ქველის საქმეთა არ ითქმის ასე ადვილად,
გლახათ სიმღარე, მიეცათ, აეშენეს, ვინ ჰყვა ჰყრობილად,
ქვრივთ შეშრათ ცრემლთა ნაკადი; ობოლნი იქმნეს
დაზრდილად.
ყრმა წული, სახელ გიორგი, ალვისა ნორჩი ჯერ ჩვილად.

828. „ლაშა“ დაერთო გიორგის სახელის მოსამატებლად.
გამოითარგმნა სხვას ენით „ქვეყნისა განმანათებლად“.
საქართველოსად კმარ იყო უფრორე ასამაღლებლად.
სიმტკიცედ, გამმარჯვებლად, სხვათა საზღვართა წამღებლად.

829. მოვიდა მოსალოცავი სულტანთა, ათაბაგთაგან,
დიდთა ბერძენთა მეთეთა და სპარსთა ამირათაგან,
კმა საყოფელი ნიჭი და ტურფანი ძველთა განძთაგან,
ოქრო, მური და გუნდრუკი, ვითა ასმოდათ მოგვთაგან.

აქა ლაშას ბედზედ გალაშქრება და გამარჯვება

830. ლაშას ბედზედან ვალაშქრეთ და მოვარბიეთ ბარდავი,
ციხე-ქალაქი ავიღეთ, გამოგვითხოვეს არ დავი.

ამდენს ლაშქრობას დაეუხვები, მოყმე გგონივარ რად ავი?
გიორგიის თავს შემოაველეს ბევრი ტყვე, ჭავჭავის მდარდავი.

**აქა კარსა და აზრუმელზედ ვალაშქრება და ანადოლის მიშველება
და ომი**

831. ამას შუა არც თვე ერთი გამოსულა. ეს ვილაშქრეთ.
მსწრაფლ წავედით აზრუმზედა, კარისაყენ თავნი ვარეთ;
მოქალაქეთ, ციხის მცველთა ყოფა, დიად, გავუმწარეთ,
მას შიგნითი ანადოლი ჩვენად სამტროდ შემოვყარეთ.
832. პირველ დღის ცისკრისა ომსა ელხინა ჟამ მწუხარისა,
დილას მოვიდა ლაშქარი, ვნახეთ გარდმდგომი კარისა.
ცხენ-ქვეითისა რაზმი ჩნდა, აბჯარი საომარისა.
დაჰკრეს ბუკსა და ღუმბულსა, ხმა არს სახდელი ზარისა.
833. რა ნახა დავით მეფემან, ლაშქართა სპათა მოსთამან,
დასტუხა მსგავსად ქენისა, დაზვლოს მღანარი ვით მთამან.
რაც მორჩა, ციხეს შეგვესწრეს, იკივლეს ცოლთა მათთამან,
ავსო გზა და სახლები ნავლეჯმა მათთა თმათამან.
834. ველარც ციხემან დაგვიდგა, ავიღეთ, ავიალაფეთ,
ხრმალ-შემოკრულნი იზახდეს: „ნუ მომკლავ, ხორცსა ნუ
აფეთ!“
შერცხვენილნი და კდემულნი მათ ცოლთან გავათავლაფეთ,
გამარჯვებულნი მოვბრუნდით თამარის კვლავ სიიაფეთ.

**აქა გელაქუნად განვიდეს, ჩაიარეს ხაჩიანი, ჩავიდეს ვიდრე ქვეყანად
ყვარყვარისათა, ბალაყუნი მოარბიეს, ამოვლეს განძის კარი და
დიდი ომი იხადეს და გაიმარჯვეს**

835. ოდეს ჟამთა ერთსა შინა შეიყარნეს და გავიდეს
გელაქუნად, ჩაიარეს ხაჩიანი და ჩავიდეს
ქვეყანას ყვარყვარისასა, ბალიყუნამდის წავიდეს.
მომარბენი, მოთარეშენი გამარჯვებულნი მოვიდეს.
836. ამოვლეს კარი განძისა, შეიქმნა ომი ძლიერი;
გალანამც გავაქციენით ჩვენ ღვთითა იმათი ვრი,
სამოვრითა და ომითა არავინ დარჩა მშვიერი;
მოვედით მზესა მეფესთან, ვის ჰქვიან სხვა შარერი.

აქა მხარგრძელნი ივანე და ზაქარია, ძენი სარგის მხარგრძელისანი,
წარვიდეს, რახსის პირი მოარბიეს და დვინელნი, ამბერდელნი,
სამეკობროდ წამოსულნი, დახვდენ და გაიმარჯვეს

837. კვალად ლორიდამ წავიდე სარგისა —
ზაქარია და ივანე, არმქონე მძიმის ბარგისა,
მათ ჰქონდათ ყოვლი სიკეთის სისავსე ბევრის დარგისა.
ღვთის წყალობა გაქვს, ომის დღეს რამდენჯერ მათ ივარგისა!

838. რახსის პირი მოარბიეს, წამოსრულნი იყვნეს შინა;
სამეკობრედ წამოსრულთა ქარავენისად დაეშინა,
დვინელნი და ბაჩანელნი, ამბერდელნი მუნ მაშინა.
რა ესენი შემოჰყროდეს, ამათ ნახვას შეეშინა.

839. უგრძნობელად შემოჰყროდეს მუნ ივანი ურთიერთსა.
ვის მოწყალე ძალს უბოძებს, მალე მორევს ათსა ერთ სა?
დოდს საქმესა ადვილად ჰყოფს და ხანგრძელსა წაშსა ერთსა.
ომი დიდი გარდაჰხდოდათ, გაემარჯვა მათთვის ღმერთსა.

აქა ივანე მსახურთხუცესმა დავით მეფე აწვია გელაქუნს,
სპარსის ბოზორის გორალ ქვეყანასა და მოარბიეს, აიღეს სიმრავლე
ტყვისა და პირუტყვისა, შემსგავსებული ქვიშისა

840. ივანე მსახურთხუცესმან დავით სალაშქროდ აწვია
გელაქუნს, სპარსის ბოზორის გორალ ქვეყანას აწვია
მორბევად, წარსატყვეველად, უთხრა: „თუ გინდა, დაწვია!“
წავიდა, სრულ ყო ნათქვამი მუნ, ჩემმან სულმან, რა მწვია?

841. აიღეს ტყვე, ცხენ-აქლეში, ძროხა, სიმრავლე ცხვარისა,
სიმრავლეთ შემსგავსებული მდელითაებრი ქვიშისა,
მათ დედა-წულთა ვერ მშველნი, მოსაგებ იყვნეს იშისა,
ქვეყანას ზარი დასტეხეს მეხებრ მათისა შიშისა.

842. მივიდენ სპარსის ბოზორის მოედანს შიგან სულტანის,
ხელი ჰყვეს ასპარეზობას თავით თავამდის გატანის;
ესე არვისგან ქმნილიყო, ცოცხალთა, არც მკვდართ ჩატანის.
ეს ასრე ქმნეს და სხვა საქმე მას უკან მოამატანის.

აქა იგი ბედკრული რუსი მაშინ, ოდეს ლტოლვილი ხელთა იგდო
და არა ავნო და განუტევა, მივიდა ერანს ათაბაგთან და მან მოსცა

ქვეყანა არანისა, შეიყარა ლაშქარი და მოვიდა ქიხისუ. კამბეჩოვანს შიგნით მინდორი მოარბია, წაეწია მახატელის ძე ხორნაბუჯელი და გაემარჯვა

843. რუსი მაშინ გაქცეული ხელთ იგდო და არა ავნო.
რადღა მოვა კელა საბრძოლად? ან თქვენ მოსდევთ ავ სად ავნო?

ულურსიძო ბედო მისო, სვე-დოვლათო, ერთად ავნო,
არა ხამს, რომ გაეემაჩვეოს ავის საქმის შენ, მოღავენო.

844. მოვიდა ერანს მყოფელთან ათაბაგ-წოდებულისა:
უბოძა არნის ქვეყანა, ხელშწიფედ შემსგავსულსა.
მუნით შცყრელი ლაშქრისა. განძელთა თვით გრძნეულისა,
მოვიდა კამბეჩოვანსა შემარცხეველი სულისა.

845. მის გარეშემო ალაგი მოარბია და აიღო,
სიმრავლე ნაშოვარისა მუნით დიდძალი წაიღო;
ველარ წაბრძანდა მშვე-დობით, ვერც შინ ნაშოვნი მიიღო.
თუ ასრე, გაემაჩვეოდა. ავად ქმნა, ქრთამი გაიღო.

846. წაეწია მახატლის ძე, ხორნაბუჯის მკვერი საღირ,
მციირის ლაშქრით შეუზახა: „შენ ამ საქმეს როგორა ღირ?“
ჩემის მეფის ბაღლის სვისგან ხრბალსა ცუდად არ დაგაღირ!“
რას ვავრძელებ, სასახელოდ გაემარჯვა, დასო დაღირ.

847. სანატრელია თამარის მუდამ ვამარჯვებულობა,
უსინჯო მისი სიტყურფე, შვენება, კელა უსულობა.
მინახავს მისთა მკვერეტელთა შორს ბნედა, შორს უსულობა,
მხეცთაგანც თავის დაღება, ვით მონა, გაერთეულება.

აქა შარვანშასაგან ლომის ბოკვერის მორთმევა თამარ მეფისა

848. შარვანშას ოდეს ბოკვერი გამოეგზავნა ლომისა,
დიდი შეიქმნა ხარება არმაღნად მისანდომისა,
ივლისის თვესა მორართვეს ლომი მზეს, სამისო მისა
ესრეთ დამონდა, ვით ვამბობ, არ ბრდღვინვით მნდომი ომისა.

849. მოაყვანიინის დაბაზსა საქმისა მოკალეზამან,
ჩაუღვის თაგი უბესა არ ბრჭყალოთ დასაღებამან.
ჩვენ ვაგვაკვირვა ესეთმან ლომისა მოღედღებამან.
რა გამოპყრიდეს, ატირის გაყრისა იძულებამან.

850. ძლოვ იპყრობდეს ძალის საქმით იქით-აქათ, ვის ეკირა.
 მყის მოვიდეს მოშიშარად ლოშნად მისდა. ვთქვა მეტი რა?
 რა მოშორდის, ცრემლთა სჩქედდის, უნდოდა, რომ ჩვენც
 გვეტირა.
 ლომიც ასრე დაეშონა, ჩავაგდო ქალაქ პეტი რა?
851. ძველად სასწაულთმოქმედთა ექმნათ, იპათვანც კმარ იყო.
 არ მ-სწვდა მისი სახელი, შველზედ ქვეყანა სად იყო.
 ლაშქრის ლომრავლე, ლიდიდე კმარა, თუ ზღვასა არ იყო.
 ოთხთა კიდეთა იპყრობდა, თუ აღრე არ მომკვდარიყო.
- აქა ერანის მპყრობელი ბუბაქარ მოვიდა შირვანს, შარვანშა
 აღსართან გამოაგდო და თამარ მეფეს შემოეხვეწა, ილაშქრა
 და გაიმარჯვა
852. სრულად ერანის მპყრობელად ჯდა ამირ ბუბაქარია,
 აღსართან შარვანშიანსა უთვალა მან მუქარია.
 მოვიდა შირვანს, წაედო, თან ახლდა სრულ ლაშქარია.
 ვერას ავნებდა შარვანშა, ლტოლული იაწ აქ არია.
853. მოვიდა ხვეწნად თამართან, სახლს მეფის დავითისასა.
 მათ შეიწყალეს, უპყრობენ წყალობას პატარისასა.
 მისცეს ბორჯალი ლაშქრისა, იმედს იღებდეს დვითისასა.
 ილაშქრეს. არვინ დაეძებს კითხვას მუნ საათისასა.
854. სრულ საქართველო აწვიეს, შიკრიკი გაუფრინესა,
 ლაშქარი იხმეს ყოველგნით, სასწრაფოდ მოაწვიენესა.
 რა ხელი ჰქონდა მაცდურსა ბობქარს? ვინ ის და ვინ ესა?
 ვირე შემოკრბა ლაშქარი, არც ერთს დღეს მოაწყინესა.
855. აცნობეს ბობქარს ნახვეწელთ. მანც მოაწვია სპარსეთი,
 ბაღდადელოსა ხალიფას ლაშქარნი დას-და-დასეთი.
 წავა დავით და ქართველნი, ვით ისრაელნი მოსეთი.
 ჯაბანს კაცს შიშით გახეთქდა, ომი მუნ ვნახე ასეთი.
856. შეეკრბეს წინაშე თამარის ყოველნი მისნი ვაზირნი,
 სარდალნი, ერისთავებნი, სპანი ლომ-გულნი და გმირნი,
 ამირ-სპასალრის უწინ თქმის ზაქარისა შემზირნი.
 არჩიეს წასელა; მიმართეს სხვის არას არ დანაპირნი.

857. ითხოვეს სიტყვა, და ლოცვა გამარჯვებუასა, ძლევისა პირისა მისგან ბრძენისა, ტომ დავითისა, ლევოსა, წარმძღვანებელი ჯვარისა, ცხოველსმყოფელის ძელისა, ევლავ დროშა გორგასლიანი, ბაგრატიონთა ძეგლისა.
858. წარსრულთა დაიბანაკეს წყალზედა ელევკეცისას. მუნით ვიარეთ, მივედით სიახლედ სახლ შანქორისას თვესა ივლისსა, ხუთშაბათს, თენებას პარასკევასას, რომელსა შინა ქრისტე ჰყოფს ძლევას ორთავის გველისას.
859. რა ცნა მეფემ და მისთა სპათ მოსვლა ბობქარის ახლოსა, გაჰკვირდენ წინ მოგებებას, სირეგენეს მას საახლოსა, გამხიარულდენ მტერისას მალ ჰოვნას არ მის სახლოსა. სიმრავლემ, ლაშქრის სიდიდემ მტერი მტერს არ აწახლოსა.
860. ერთად თურ ექმნა აქ მოსვლა ლაშქრისა სიმრავლისაგან; მეორედ, ხევის შეზღუდვით ძალისა სიმაგრესაგან. რა დაეშართოს, ისმინე, რეგვენსა აქ მოსვლისაგან მჟეფის დავითის სიმხნით და სპათ მისთა ლომ-გულისაგან.
861. მასინ აღჭურნა მეფემან, შეჯდა ზერდაგსა განთქმულსა, ომი იხადა ძლიერა, მით ბობქარს შეიქმნა დანთქმულსა. გმირთაგან საამიანთა, ძველთაგან კჰბადა თქმულსა. ჩვენ განვაახლებთ, ვიშოებთ საჯილდოოსა მამულსა.
862. შეჰკადრებდენ ურთიერთსა სიმხნეს, გამარჯვებულობას, ძველთა მამათ და პაპათას მეფეთა მათ ერთგულობას, მონაშემთ ღვაწლის თავსდებას, ტანჯვასა დადაგულობას ქრისტესთაგან გვიჯობს სიყვდილი ამოს აქ სულდგმულობას.
863. სპასპეტნი სპათა ეტყოდეს, თავ-თავს თავის დამდებნი: „ამხედრდით ბრძოლის ეტლზედან, მათ ზედა ცეცხლებრ მომდებნი, ისტროს ქებისა შემსხმელთა წარვმატთ ჩვენი საქებნი, ხელი ჩრჩხალს მივსცეთ, სულნი — ომერთს, ვართ სხვის ნულარას მომდებნი“.
864. მასინლა დაჰკრეს სპერი-მურს, შეიქმნა რაზმთ წყობილობა წინ მბრძოლთა ერთმანერთისა შეტევა, მუნ სირბილობა, ომი სასტიკი, ფიცხელი, მოყვსობა, არ ძმობილობა. თავს ლაფი უნდა დაისხას, იმ დღეს ვის ჰქონდეს რბილობა!

865. ვაგრძელდა ომი, მუნ ცხენი ბევრს კარგს მეომარს მოუკლეს,
მაგრა იბრძოდეს თამამად, ქვეითობითა არ უკლეს.
ზაქარაჲ და ივანემ მხარგრძელთა გზა შეიმოკლეს,
მიმართეს ფრთოსანს ეფხთაებრ, ნავარდი არ შემოუვლეს.
866. ცოტალა აკლდა ჩვენს რაზმსა დიდის ვაჭირვებისაგან
გამობრუნვება, სირცხვილსა აგართ ერთ სიბევრისაგან.
ენახეთ იგინი მოსრულნი, იმ ხან დავედევით ლეთისაგან.
ომი იხადეს ძლიერო, ხმა იყო ლომთ ლომისაგან.
867. მეფეც მოვიდა რაზმითა და დროშა გორგასაღისა,
სინდეთს ნაშოენი ვახტანგის, შემკული ძვირ-მასაღისა.
იყივლა ხმითა მალლითა, ვით გული ჰქონდა საღისა.
გაიქცეს მაჰმადიანნი, რა სიცხე მიხვდა აღისა.
868. ისარი სმიდა სისხლსა და ზრმალი შესჭამდა მათს ხორცსა,
მისდევდეს ალაღებულნი, ქართველნი თათრებსა ჰხოცსა.
ერთი იპყრობდა ათსა და ორი — ცხრამეტსა ან ოცსა.
მისებრი გამარჯვებასა სიზრჱადცა ვერვირ იოცსა.
869. წისწვდა ერთის მხრის მღვეარი კერძო ვანძისა შუამდი,
მეორეს რაზმის წინანი მთა-მალალ გელაქუნამდი.
ჰხოცდეს, იპყრობდეს მტეველნი ტანს მათსა სისხლთა ბანამდი.
ამაღლდა მფეფის სახელი ამ ომით სვე-სვიანამდი.
870. დროშა ეშოვნეს ხალიფას ლაზოდრე გამოგზავნილი.
სამი ქალაქი ავიღეთ, სამივ დაგვხვდა კარ-გახსნილი.
ლარ-სალარონი, საჭურჭლე ენახეთ ნაბეჭდი, არ ხსნილი.
ეტლი თამარის ბედისა სიკეთეზედ არს ახსნილი.
871. დაიბანაკეს იმ ღამეს, სად ბუბქარ ლაშქრით მდგარაყო,
იდვა სიბევრე ჭურჭელთა, თუ ვსთქვა, სიმრავლით არ იყო.
ჩვენი შებრძოლი ჩვენზედა თამამად არსად არ იყო.
ისრემც კარგად ხარ, ის ომი ერთ გამარჯვებად კმარ იყო!
872. ვანძას მოვიდა, ქალაქის მუნ მყოფნი მომგებელობდეს,
დიდებულნი და ვაჭარნი ფეშქაშსა მომღებელობდეს,
თაყვანის-სტეს და დალოცეს, თავს ოქროს გარდამყრელობდეს:
„ღმერთმან ვანაგენ მეფობა თქვენი, მრავალ წელს
გრძელობდეს!“

873. ცრემლით მოქენეთ შეპყვედრნეს თავი და მათიანობა,
უფინეს სტავრა ფერხთ ქვეშე. სურნელნი ვარდიანობა.
შევიდა ლალი ქალაქად, შეენოდა პირ-მზიანობა.
ბრძანა: „არ წახდეს ქალაქი, ამათი თეპიანობა!“
874. ავიდა, დაჯდა ტახტზედა, თავს თვალთა გარდასხმიდეს,
ამირ-მირანს და შარვანშას მის-მის ალაგსა დასხმიდეს.
აწ დაბაზობა შეიქმნა. ლხინი და ღვინოსა სმიდეს.
მეფობისა და სულტნობის მუნ ერთად მქონი დაზმიდეს.
875. შარვანშას ყმათა ყოვლისა და ძისა ათბაგისა
შესატყვი ყმათა ლხინთა, ჰშვენის ღიმილ ბაგისა.
მახარობელი გაგზავნა თამარს წინ, მის დამდაგისა.
მანდატურთხუცის ქიაბრის მის წინ წარგზავნად გაგვისა.
876. საქმე გააგო აქეთი, მიმართა ეტლმან მის მზესა,
მეფედ ხმობილსა დედოფალს. მას ხელმწიფესა ზესთ-ზესა.
შეიყარნეს და ბაგენი ერთმანეთს გაუშაზესა.
იმათი მსგავსი ქალ-ყმანი არ მახსოვს, ვეიცავ მათს მზესა!
877. მოპყვა საჭურჭლე ურიცხვი, მრავალი და ბევრჯელ ძი,
დროშა თხუთმეტი ათასი და ერთი — თვით ხალიფასი,
იყო უებრო ნაქმარი, არ ითქმის იმისი ფასი,
მურასა გულქანდულთაგან ფრანგთა ნაქმარი მანასი.
878. ათი ათასი ავაზა, ორმოცი ცხენი ქებული,
არაბთა ჯადბაჯადობით ჩამოსვლით მუხლ-ფიცებული,
შვიდი ათასი ყათარი აქლემი ლარ-კიდებული —
მოართვა თამარს, ვინ არის დავ-თიანი ცხებული.
879. დროშა წარგზავნა ხახულის ღვთისმშობლის სასოებისა:
„ოდეს დორბეზეს ყაისის მანიაჟ ყელ-მოღებისა
ამძრცველი მამა ჩემი გძლნობს ცოდვათა დასავსებისა.
მეც ხალიფასა დროშასა შეგწირავ კართა-გებისა“.

აქა მხარგრძელი ივანე მსახურთ-ხუცესი გელაქუნელთ მიუხდა,
განძელი დაშქარი დახვდა ვანს მიშავალი და გაემარჯვა

880. აწლა ივანე მხარგრძელი წავიდა დაშქრით მციროთა,
მბრძოლი ფიცხელი შუბითა და შერმე ისარ-ხშირითა:

განვიდა გელაქუნელად გულითა მტერთა მზირითა,
ნახა ლაშქარი განძელი ვანს წასვლად განაპირითა.

881. ლაშქარი დახვდა უფროსი, უმცროსისან აღარ დახედნა,
აპად რომ იყო გულ-მხეცი, უმრავლეს მისდა შებედნა,
გააქცია და აწყვიტა, სადგომნი გაუწაიედნა,
სილაღე მათი წაულო, მოამშვიდნა და დახედნა.

აქა ნუქრადინ, საბერძნეთისა და პალესტინისა სულტანმან, ოთხასი
ათასი კაცი შეიყარა და ლაშქრად გამოგზავნა, წინ ელჩი გამოუგზავ-
ნა თამარ დედოფალს და ეს შემოუთვალა:

882. იჭდა სულტანი ნუქრადინ საბერძნეთს, პალესტინესა,
უმადლეს ყოვლთა, ვით მაშინ მონებდენ კონსტანტინესა.
მიესქა სჯექვე თამარის, თქვა: „ვინ ქალი და ვინ ესა?“
ოთხასჯერ ასსა-ათასსა სპათ შეპყროს მოსაყივნესა.

883. წიგნი მოსწერა, ეს იყო შიგან წერილი უშვერი:
„მე ვარ მპყრობელი ქვეყნისა, მაჰმადის თითის მიმშვერი;
ლიცთ სირეგვენ მოგიდგამთ, შენ მორჩიე, მარტო მაშ ვერი.
რად გითქვამთ საქართველოსად: «გაწყვიტონ მუსურმანთ ერი».

884. აწ ვბრძანე ლაშქრ-ს წამოსვლა შენზე და შენს ქვეყანასა;
ვინც მოხვალთ ჩემსა რჯულზედა და მაჰმადს სცემთ თაყვანასა,
ოდენ ის დარჩეს ცოცხალი, სხვანი შეიქმენ ნანასა.
სრულ მოსრვა იბრძანებია, მომკიან ვითა ყანასა“.

885. მწვიდა ელჩი, გვიამბობს ავს ამბავს საკადრებელთა;
უყურე, სიტყვას რას იტყვის ჩვენ ჯავრით ასანთებელთა,
რაზომ უქმნელთა საქმეთა, რა ცუდთა მოსადებელთა!
თქვა: „რჯულს დაადებ, შეგირთავს, თვარ უნდა ახლდე
მხლებელთა!“

886. ამირ-სპასალარს რა ესმა, ზაქარიას, სიტყვა ესე,
წარმოდგა და პირსა ხელით მწვე უხეტქნა დასაყვენსე.
ვითა მკვდარი ქვე დაადლო ავს მთქმელი, ავს მთესე.
რა მობრუნდა მოციქული, სიტყვა უთხრა უკეთესე:

887. „თუ არ იყო მოციქული, გიხმს, რომ ენა ამოგართო,
მერმე თავიც განგამორო, შენ სულტანთან ველარ წართო,

ხორცი შენი დასაწველად ნავთ-მოდებულს ცეცხლსა დავროთ.
ვით იკადრეთ უკადრისი, ძალღებო, და თქვენა — ვირთო?“

888. მერმე: შემოსეს ელჩი და გაგზავნეს სიტყვა-მწვაფითა.
იხმეს ლაშქარი ყოველგნით დარუბან-ანაკოფითა.
შუა-მყოფნი და იმერნი, ამერთ არ-განაყოფითა.
ღმერთმან მტერს სისტეს, ნუქკადინა შევიქმთ რასაცა ყოფითა.
889. შემოკრბა ჯარი ჯაეახეთს. ვარძიას მივლენ მეფენი; —
თვით დავით სოსლან ძლიერი, თამარ ბრწყინვალე,
ლვთისმშობელს ლაშქარს ვედრებდა, იქმნა მოწყალე,
„ღმრთისა დედაო, დამიცევე მე, თამარი, და ესენი!“
შუქ-მეფენი:
მოწამენი:
890. გაისტუმრა ლაშქარი და ესენია მეწინავეთ,
ზაქარია სპასალარი და თორღელნი არ სიავეთ.
ივანე და შალვა ძმანი ახალციხით მესხთ ვუთავეთ
ომზედ დიდსა გასაჭირსა მოსვენებად, არ საავედ.
891. იგინი იდგეს ბასიანს, ბოლოკე წოდებულისა.
ძლივლა იტევედა მინდვრები სიგრძე-გან-გაკიდულისა.
დააწყვეს რაზმი ჩვენგანთა, მივლენ დამდებნი სულსა.
ვიხადეთ ომი ძლიერი ძველთაგან დადებულისა.
892. წინ მბრძოლად იყვნეს იგინი, პირველ ვთქვი მათ სახელები,
იმერნი და აფხაზნი, მარჯვენი, ცხენ-ფიცხელები,
ამერნი დარუბანდამდინ, მარცხნივ-კერძ — თვით კახელები,
შუა დავით დგა ლომ-გული, მებრძოლი ლომ-თათ-ხელები.
893. აწ იგინიცა წაპოდგეს, ბარგ-კარვები დაუტევეს,
მოეგებნეს და საომრად ერთმანერთსა შეუტევეს.
იყო ომი პირველმური, გპირული და მართ უდევეს.
გამოუკლეს ჩვენებურთა ქვეშ ცხენები კარგ სადევეს.
894. მოუკლეს ცხენი ივანეს, მსახურთხუცესსა მხარგრძელსა,
ახალციხელსა ივანეს, შალვას და ბევრსა თორელსა,
დაუდინს თორგველს, მხნეს კაცსა, სხვათ თავადთ მუნ
იმერელსა
ქვეითად დარჩნენ რაზმთ შუა, უყუარე მათს სიქველესა!

895. რა ნახეს ყმათა პატრონნი, ცხენ-მკვდარ-ქვეითნი მეზრძოლნი,
გარდახლენ ყმაღ-ც პატრონთან, ზოგჯერ ხელთ აქვთ კოდევ
ორკოლნი;
გაწირეს თავი საკვდავად, არ ახსოვსთ ცოლ-შვილ-საყროლნი,
მოუღვენ მათთა უფალთა, იზრძოდეს ისართა მსროლნი.
896. დავით იახლა, მეფემან, მხენი ქვეითად მსროლელი,
მორიდა კერძო მარცხენით ქვეითთა გარ-შემომგლედი;
მუნც ზაქარია მხარგრძელი მარჯვენით იქმნა მომსვლელი.
ქვეითი არ დაუთრგუნათ, ვერ ჰყოფდა კაცი სულელი.
897. მოუხდენ რაზმათა თათართას, სიმრავლეს მათსა შუასა;
სიფიცხე მათი აწსგავსეს, რა ბარი სცემდეს ბუასა.
ერთი, ვით ლომი, დავით არს, თათართ აძახებუს „უასა“.
იქითკენ ზაქარიამაც მან თავი ერთი უასა.
898. ვითა მგელნი ცხვართა ჟოგსა, მსწრაფლ მიუხდეს მათ, თამამად,
რაზმს აპობდეს სულტანისას, ძლევას ჰყოფდეს ღმრთითა ამად;
ამათ ჯვარი სცავეს ცხოველი, შერცხვენილი იმათ მამამად.
ძალსა მალ გაექცევიან, თათართა სჭირთ გვარ-მოდგამად.
899. განხეთქეს რაზმი, იძლიენეს, სიმრავლით ჰგვანდეს მდინართა,
მუნ ხმა ისმოდა დავითის ვით ლომთა, არ თუ ნარნართა,
შავი ტყე მოსქდა მალალს მთას, წარაქცევს შამბთა და ნართა,
ჰხოცდეს უწყალოდ, უშრომლად უსჯულოთ, ვით სოინართა.
900. რომელნი იყვნეს ქვეითნი, აწ ცხენს ასხდეს, დევნა უყვეს;
ღამემღოსინ სდევდენ, ჰხოცდენ, ჯარი სულტნისა გააწყვეს;
მოზრუნდენ გამარჯვებულნი, მათ სადგომს ხანი რამ დაყვეს.
კარავსა, სალა-ფარდებსა შობდენ, წილით არ გაყვეს.
901. თუმცა არის საქართველო ღვთისმშობლისა წილხდომილი,
აქ გასინჯე საფარველი მარიამის მისი ტკბილი!
ვარძილამ წამოვიდენ, საომარად აქათ ვლილი.
არ მომკვდარა ამ ომზედა კაცი მეფეთ შესწავლილი.
902. აივსო სრულად ლაშქარი, რომელ დაჰყარეს კარავთა,
საქურტლუ პატიოსანთა, სამოსელთ სარა-სარავთა.
ცხენის ჯოგთა და აქლემის შოვნისას ვინა სწერიავთა?
გამკვიდრებულნი მდიდართა მოვლენ, ლხინთ ნახვენ არ ავთა.

903. ამხარობლეს თამარსა, ნათელსა მას უბინდოსა.
ვით სძლიოს მტერმან ბოროტმან წმინდის ლეთისმშობლის
მიმნდოსა?¹
სხვა არვინ დარჩა უძლევი, შიჰმართოს აწლა ინდოსა.
მინახავს, ძენი მეფეთა მის სურვილს დაუბნდოსა.

904. გარდვიდენ ლიხსა, სუფევდენ, ნადირობდენ და ბურთობდენ.
ამაღლებულნი ლეთისაგან კიდით-კიდემდის ნათობდენ;
ქვრივთა, ობოლთა სწყალობდენ, მუბრძოლთა მალ დაამხოვდენ;
მონასტრებს აღამენებდენ, ხატთა და ჭვართა აკობდენ.

905. მიიკვალა სოსლან დავით, მეფე, ქპარი თამარისთ,
ცრემლი თვალთა დამიბნელებს, ადგილი ვთქვა საპარისთ;
გლოვამ მოცო საქართველო, მწუხარებად, მგონ, კმარ ისი.
ძაძამ შიგნით მოიქცია ტანი ბროლი, მარმარისი.

906. ვაჟი დარჩა, ლაშა ჰქვიან და მისვე შეილს ქალს — რუსუდან;
ჩვენ ვიქმენით ყელ-დაჭრილნი უხრმლოდა და მერმე უღან;
სანადირო ოხერ იქმნა, უბურთალი — მუნ მეიდან,
განიკიცხნეს დიდებულნი, ურისთავი რაჟის ბედან.

907. ამ დღეს ვინ დააკლდებოდა დიდთაგან მცირის მონამდი?
მეფევე, შენც გული იტკივნე, სულთქმიდი, ცრემლსა მონამდი,
მოსთქვემდი სიტყვა-მქვევრულად, თაჰარის მოსაწონამდი.
და ზარი, ყვირილი ისმოდა გეგუთათ მგონი ონამდი.

აქა თამარ დედოფალი გეგუთს იდგა და მხარგრძელნიცა მუნ ახლდეს.
მიუხნდა არდავლის სულტანი ანისს, რომელი გათენდებოდა ადვსებად
და მოაოხრა და მოსრა და წარვიდა

908. დგა თამარ მეფე გეგუთსა, მხარგრძელნიც მასთან ხლებოდენ.
სცნა არდავლისა სულტანმა, პაემანსა სცა ეგოდენ;
მხარგრძელთა ანისს არყოფნა მისთ სპათ ეიმედებოდენ,
ანისს მიუხნდა დიდ შაბათს, არ ითქმის, რაც მათ ვნებოდენ.

909. აღდგომა გათენდებოდა ქრისტეს მეუფის, მხსნელია.
მოადგა ციხის გალაყანს, კარის გაღებას ელისა;
დარეკეს ციხის ზარებსა შესაკრებელად ერასა,
გაახენეს ყოვლგნით გალაყანს; ვა, ჭავრი კართ გამნმელისა!

910. შეკრბა ერი ეკლესიად, ვო წესი ქრისტიანეთ, ლაშქარიცა თანვე შეჰყვა. იზალოდეს: „მიატანეთ, რკულ-მყრალებო. ამოგვწყვიტეთ, ზოგი ცხენქვეშ დავგატანეთ, გაგემარჯვათ ვოთ გინდოდათ, ჩვენი სისხლი გაიტანეთ“.
911. ერთ-ბევრი და ორ-ათასი კაცი ეკლესიას დაკლეს, ქალაქსა და ფოლორცს შიგან, ანუ გარეთ ვინცა მოკლეს, პეროდემ რომ ჩჩვილნი მოსრნა, უფროსი ქმნეს, არ მოაკლეს, მაგრამ ლომი ზაქარია პასუხს უზამს ჳკუა-მოკლეს.
912. ახალ-კვირასა აცნობეს მეფეს და მხარგრძელთ დასტურად. დაჰმუნდა მეფეც, ყველანი, მაგრა იგინი მეტურად; ამზადდენ მათზედ სალაშქროდ არ ცუდ-სომხურად, ტურტურად. ზაქარიამ თქვა: „სულტანო, ვერ გნახო — შემქმენ ცოლ-ტურად“.
913. მხარგრძელთა ჰკადრეს მეფესა: „გვეწივნეს საქმე ბოროტნი: ჩვენის ცოდვის წილ მოისრნეს მუნ მყოფნი, ვერსად მეოტნი“. თამაზად გამოარჩივნეს, არ სიტყვა მიროტ-მოროტნი: აწ სად წაგვივლენ არდავლით სულტანნი ხრდალნი და ბოტნი?
914. ვესავთ წყალობას ღვთისასა და მერმე ცხოველსა ჳვარსა. აწ შენ, მეფეო, უბრძანე მზადება შენსა სულ ჳარსა: მზას იყოს ყოველი ლაშქარი, ჩვენი სააჯო ეს არსა: რაჟამს გაცნობოთ, გვიბოძეთ, რომ დავირეკოთ ჩვენ კარსა.
915. ნაცვალი ვავოთ, სიცრუვე მათი მათზედა მიიქცეს; თუ ბევრნი წაფალოთ, გვიგრძნობენ, ვაი, თუ სხვაგნით გაიქცეს. როს რამაზანი დაუდგეს. მთვარე სიანლედ მოიქცეს, მაშონ გვიბოძეთ ლაშქარო, მეჩიტუო სისხლი მოიქცეს“.
916. ისონი ანისს წავიდენ, აქ ლაშქართ იწყეს მზადება: ასრე მზას დადგენ ყოველნი, უნდა თუ ლაგმის ადდება; წასვლა გვიხარის, არ გვინდა სირცხვილის თავსა დადება, დაუდგამთ რამაზანი და ჩვენგან ცეცხლსა მოდება.
917. წარმოავლინეს მეფეს წინ კაცი ლაშქრისა მთხოველი, სომხითარნი და სრულ მესხნი, კახნი, არ დიდო-ფხოველი; ქართველნი არ გაიტანეს, იგრძნობსო, ამას მოველი. რაც მათ ეთხოვნა, გაგვგზავნეს ჩვენ ჳარი იქით ყოველი.

918. მივედიოთ ანისს, იგინიც დავეიხედენ შუას და ვიარეთ. ოსწრაფდეს ადრე მისვლასა და ჩვენცა არ ვიუარეთ, გარდაველეთ გელაქუნის მთა ჩვენს სამზღერითა ვათ არეთ, განვედიოთ ხაფურის ხიდსა, არ გარე შემოვეუარეთ.
919. რამაზნის მარხვა გავიდა, გათუნდა მათი აილი. არეზს აქათს რომ არბევიდი, გაბრძანდო. აბა. იქ მიდი! ასრე მოვსწყვიტენ თათრები, ხანსაც იმდენსა დაზიდი! თუ ეს ჰქმნა, ნაძლენვი მოგცე. რასაც გინდოდეს, მიზმიდი!
920. ხმა ყო ქადაგმან ბილწისამ ქადაგებისამ მათისამ, განშირდა მუყურთა ყვილიო. ბილწებო. ღვერთს რად არ ისამ? მუნ ვესტუმრენით ასეთს დროს, ველარ გააძლოს არისამ. სისხლი აღინოს ღვარული პასუხმან მათ საქმარისამ.
921. შემოუტიეს მხარგრძელთა და სრულ ერთპირად ლაშქართა, ეცნეს ანაზღათ ქალაქსა, სოფიცხე გვექონდა ვით ქართა. როს გაუსწორდა დღე-ღამე, აქტვრევედენ, სქამდენ შაქართა, აუკრეს ხელი მონათა ლანგრებს, სინ-მათ-მინაქართა.
922. იგდეს ქალაქი ხელთა და თვითან სულტანი ცოლ-შვილით; აივსნეს საშოვართა და ოქროს სრულის საქურჭლით; აფრაზობდა ზარი ჩვენის მალღასა ხმისა ყვილით, ზოგს ცრემლიც ჩამოსციოდა მათს მოთქმისა ჩივილით.
923. სულტანი მოკლეს, ცოლ-შვილი ტყვე-ყვეს და წაპოასხესცა; მუნ ამოსწყვიტეს სიმრავლე, სისხლი მიზგიათს დასცხესცა. მათი საქურჭლე, ცოლ-შვილი მათსავე ცხენებზედ ასცხესცა. იქ საშოვარისა სრულად თქმა არ ძალუც ჩემს უხუცესცა.
924. აღივსო ჩვენის ქვეყნისა მცირეცა მონა ვერცხლითა, შესამოსლითა ძვირითა, სტავრა-სარასალ-ნახლითა, თვალითა, მარგალიტითა. ოქროს ხალასის ცეცხლითა. მეფეს მოართმენ სამოსს, მადლს ბრძანებს ენა-მერცხლითა.
925. ცახე-ქალაქი მათ ბევრი უბოძა, მეფე უხვია. ზაქარის და ივანეს ხელთ მისცა, არ წაუხვია, მხიარულითა პირითა, არ არის გულით წუხია, სომხები თუ გამოექცეს, რას გიკვირს? თხისგან უთხია.

აქა ზაქარია ამირსპასალარმა და მისმან ძმამ ივანემ, მსახურთ-უხუცესმან და გაგელმან მეფეს თამარს ხორასანზედ ლაშქრობა გამოურჩივეს და მეფემაც ალაშქრა ყოველნი და ერანი დაარბიეს

926. მოვიდენ საზნივ მეფეს წინ, მათ მოახსენეს: „ძლიერო ხელმწიფევ, მზის შარავანდო, უპჯობევ, უნათლიერო, უფროსო, ხმელთა მპყრობელთა, ღეთისაგან თქვენ მადლიერო, გიხილავს თქვენ სპათ სიკეთე, მძღველო შენ მათ შერო!
927. იპოვებან შენს ჯართა არსად არ წინააღმდეგომი, ბრძანე ხორასანს ლაშქრობა, ვუნახოთ შათი სადგომი. სახელი შენი განვჰფინოთ, არ ვიყვნეთ ცუდად დამდგომი; ვინ დაგემონოს, ვიყურნეთ და დაგიმონოთ გაძღვომი“.
928. დაემორჩილა მეფეცა რჩევასა მისთა მონათა, განათლდა პირი მთვარისა, სულ არე-მარე მონათა, სიტყვა აღმოთქვა სობრძნისა ყოველთათვის ვასაგონათა, არ საწუნარი ბრძანება, ყოველთა მოსაწონათა.
929. მოუწოდა წარჩინებულთ და ყოველთა დიდებულთა, ჰკითხა რჩევა მხარგრძელთაგან მათ მამაცად დიდებულთა. სთნდა ყოველთა მათი საქმე თავბოლომდის კიდებულთა. დაასკვნეს წასვლა, ყოველთა, ჯერ ნუზლ-არაკიდებულთა.
930. შემოიყარა მეფეცა თბლისს, არ სჯელბაქეთა, ანაკოფიას მოღმართი და დარუბანდთა აქეთა, ხორასანსა და ერანზედ სარბევლად მუნ სალაშქრეთა. თუ საქმნელად კი კმა იყო, თქვენც ჩემებრ კარგა აქეთა.
931. ხორასანს მეფემ ალაშქრა ზაქარია და ივანე, მეც მათ თან ვახლდი, ვიშოვნე მრავალი, აწ გაგიმეღვენე. ტყუილი მეთქვას. დამარქვი თქვენ დათო, თქვენი მდივანე! თუ სახლს: ეძებ და წაბრძანდი, იქ მიდი, იქ დაივანე.
932. შემოკრბენ არეს სთვლის ხანსა ყოველნი აბჯარ-კვეთილად; ნახა მეფემან, ეკეთა, ჰქონდა მას მისად წადილად. უქო მის ყმათა სიმზნისა ვით ხრმალი ებათ კვეთილად, უბრძანა: „წადით ხორასანს. ღღეს აემზადეთ სადილად“!

933. პირ-ბედნიერკან დალოცა ლაშქარი დროშა, ყოველი:
„შენ გაუმარჯვე ჩემს ჯარსა, მი ან წყალობას მოველი,
დამიმხვე მტერი ხილული, უჩინო კვლავ სამოველი!
მე, ქვე მეთარევი, გონების თვალთ წინ შენსა მოველი“.
934. შეჰვედრა მასვე ვარძიას ღეთისმშობელს დროშა, დალოცა:
„შენ სულგრძელისა მშობელო და მოწყალისა მალო ცა,
შენ თუ მომხედო წყალობით, მტერი მყის დამიბოლოცა,
რა გინდ ძნელს საქმეს შეემართო, უცოდნი გამოკვალოცა“.
935. წავედით ნახიუანის გზას. განვლეთ, მივედით ჭულასა.
სხვა ჯერ არვის აწყენინეს, აზარებს ჰხოცდეს ბულასა.
ხან საქვეითო გზა მოგვხედის, ფეხთა ვიკმევდით წულასა.
ზადაც მივიდით, იტყოდეს სიტყვას ცრემლთ ასადულარსა.
936. ხუთასს რჩეულსა გვიჩინეს მთავრად თმოგველი თაყადინ:
წინდაწინ ამბის შეტყობად ვირემ ჩვენ ვსცნობდეთ, მანამდონ
თუ ვინმე დაგხედეს, რას ჰქვიან, შეებნეთ ჩვენად
მოსვლამდინ.
თქვა ზაქარიამ: „უჩემოდ ცხვირთა სისხლთაცა ნუ აღინ!“
937. მარანდის მთაზედ ავედით, მარანდელთ გვითვალწუნესა.
ხუთასი კაცი ვიყავით, გვიპტრეს, მით გვიძაბუნესა;
შემოგვიტიეს სასტიკად, მათს მუსაფს ჩაუსუნესა,
ხუთასთავ შუბი დავასვით კაცთა და ზოგმა ჰუნესა.
938. ვის შუბი ესვა, დავსტევეთ, სხვათ უკან ვსდიეთ ხოცადო,
ამოსულიყვენეს ჩვენნიცა ლაშქარნი იქ არ მოცდადო;
ენახათ მკვდარი, ზედ სმოდათ შუბი ოცდახუთოცადო;
ჩვენ მკვდარი, ვერცა ცოცხალი ვერ გვპოვეს, უჩნთ საოცადო.
939. გაჰკვირვებოდა ლაშქარსა ჩვენი ვერ პოვნა, ვერც ვართის,
მუნ ზაქარია მხარგრძელი მწუხარებასა შეერთის.
რა ჩვენ მივედით ნადენი, კირს სიხარული დაერთის,
ჯერ გვიწყინა და მერ თქვა: „წყალობა არის ესე ღეთის“.
940. მუნით წავედით, მივედით ქალაქსა თაერუზის კარსა.
განჰკრთეს და ზარმან აიღო, თრთოდეს, იტყოდეს: „ვინ არსა?“
დიდებულნი და ხოჯანი გვძღნობდეს ძღვენა დასაშვიდარსა,
ოქროს და ვერცხლსა გვიყრიდეს მათის სისხლისა მსყიდარსა.

941. ძვირფასი თვალი მოჰქონდათ და მარგალიტი მრავალი, ცხენები ჯოგი-და-ჯოგი, შორის გზისათვის სავალი, სხვა ფარჩა შესამოსელნი მათი და სხვათა ნავალი, საზრდელი კმა-საყოფელი, პირუტყვი ჩვენკენ ნავალი.
942. სხვა არა ავენუს, წავიდნენ, მცველნი დაუგდეს ქალაქსა, მცველთა უბრძანეს: „ნუ უჭერთ სამართალთანა კვლა ბაქსა, ანგარიშს გამოართმოდეთ ზარბაზებსა და საბაქსა, ჩვენ წავალთ ხორასანზედა, მათ ჩვენი ხრმალი მალ აქსა“.
943. წავედით და გავიარეთ ადარბეგი, მივალთ მანსა. ცნა მელიქმა მანისამა, ვერ დავყოფო მეო ზანსა; თავრეზელეზრ მანც მშვილობა მოითხოვა, ჰყოფს ხეფუნასა. ოქრო-ვერცხლი, ქვანი ძვირნი მოუმატა მან წინასა.
944. მანიც დაადგეს მშვილობით, მივედით ქალაქს ზანგანსა, ალიზის ზღუდე მალალი ვარ ევლო არ ერთსა განსა. ვაგვიმაგრდენ და გვესროდენ ისარსა, ვითა საგანსა. რაც რომ შეეძლოთ, ეცადნენ, თავს გარდმოგვეკრეცდენ არგანსა.
945. განყვეს თემ-თემად ქალაქი ზღუდე გარშემო სათხარად. კვლავ ზაქარია გაჯავრდა: „ვით გამიმავრდა ეს თხა რად?“ სამ კერძო იმერ-ამერნი და მესხნი იყვნეს სამხარად. უწინ მესხთ ზღუდე შეეპხვრიტეთ ნაშენი ხორად და ხორად.
946. ვიწყეთ ხოცა მოქალაქეთ, საშოვრითა დავიტვირთეთ. კვლა სხვათაცა გადმოსტენეს, ხოცა ხოცას ზედ დავურთეთ. დავაქციეთ სრულ ქალაქი, ხორცი მათი უხვად ვფითეთ, სხვაგან თუ სამ ვაგვაჯავრეს, მათი საქმე დავუთითეთ.
947. აქათ ვიარეთ, წარსულთა, ყაზმინს მივედით დღე შვიდსა, ვერ წინ აღგვიდგეს, ივლტოდეს, არც ჩვენ ვყოფთ მათ დასამშვიდსა. ქარიზი ძაღლით აევსოთ, არ წყალსა ვსმიდით სახიდსა. თვალ-მარგალიტსა ვშოებდით მრავალსა, არვინა ჰყიდსა.
948. კაცს არ ავენეს, სრულა ტყვე-ყვეს, აწ ხორასანს წარემართნეს. გურგენისა ქალაქამდის, შენს მტერს იძისცეს, რაც დამართეს;

მოაოხრეს, ამოსწყვიტეს, ასე საქმე მოუპართეს.
ქართველთაგან .ძნელი არის, ხონთქარისაგანც კმარა მართ ეს.

949. ასრე ვიარეთ, ეს გზობა ვერავინ წინა აღვეიდგა,
ვერ ხორასნისა სულტანი, ვერ ერასისა მოვეიდგა;
ქალაქთა გამაგრებულთა და ვერცა ციხემ დავეიდგა.
რა წამოვედით, უკანა მდევარი ვერ წამოგვიდგა.
950. იქით-გამო გამოვედით ღვთითა ესრეთ გამარჯვებით,
საშოფრითა ურიცხვითა, სიხარულით, ლხინით, შვებით.
კაცი ვინმე მისულიყო მანს მელიქთან ხელ-ჩაშვებით:
„ამოსწყვიტეს ქართველნიო“. აწ შეიქმენ ცეცხლთა ვსებით.
951. მოვიდა დიდი სულტანი გილანით, წინ გარდაუდგა,
სულ ასრე მოსრნა ქართველნი, აღარც ერთს სული არ უდგა“.
რა მართალს ამბავს დასჯერდა, ორნივე თვალნი დაუდგა.
მან შეიჯერა მელიქი, წინარ და წინარ წაუდგა.
952. მელიქმა მცველნი დახოცნა, რომელნი ჩვენ დაუუდგინეთ.
ერთი მათგანი გარდურჩა დამალვით. აწ მას ვუსმინეთ.
აწ ჩვენ მივედით, მელიქი წინაშე წარმოვიდგინეთ.
თუ შეფაჰინით ტყუილ, სულ ყველამ მას შეაგინეთ.
953. ზაქარიამ მოიკითხა: „მცველნი თქვენნი სად არიან?“
თქვეს, თუ: „თავრეზს წავიდენო. ამაღ აქ აღარ არიან“.
მან მოართვა შუა ზამთარს ყვავილები ია, რიან:
„ამად ვკპოვე, ამ დროს ესე, დარი იყო აქათ მზიან“.
954. რომელი დამალულიყო, მოვიდა კაცი ჩვენთანა,
ამხილა მელიქს ნაქმარი, ვით დავითს მაშინ ნათანა:
„მცველნი დახოცნა ყოველნი, მე მოვრჩი ერთი მათთანა.
რად ამოგვეწყვიტე, თათარო, რა იყავ შენ მაგისთანა?“
955. რა ისმინა ზაქარიამ, საზარელად შემოჰყვირა,
შეუზახა: „შენ ძალღ-რჯულო, ესე ასე შენა ჰყვი რა?“
გაგულისდა ასრე გვარად, ყოვლი კაცი გააკვირვა:
„აწვე მოგსრა სახლეულით, არ გადროო ერთი კვირა“.
956. ველარა თქვა რა შემცოდემ, მელიქმა, ცრუმა მანისა.
დაჰკიდეს ძელზედ; დაარჩევს, მას უყვეს შესაგვანისა.

სრულ მოაოხრეს ქალაქი, უფრორე, რაც ვთქვით, ანისა.
ყოვლს დამნაშავეს მეფეთას მალაღმან შეანანისა.

957. მუნით ლალ-წამონაღებთა არ იყო რიცხვთა შეგება.
ჩვენ სპარსნი ვერ შემოგვებნეს, თქვენ ლევიც ბევრჯელ
შეგება.

თავს მაშინ უფრო იქებდი, თუ ასე, ხმალი შეგება.
მაშინდელს საქმეს ვერ სწორავ, ანლა კარგი ხარ იგება.

958. მასე გზასა წამოფედით, კვლავ გვძღნობდიან უურიცხვეს,
ძლიე მოქქონდა სრულ ლაშქართა, გაპორთმევა არ დაირცხვეს.
მასპინძლობა-სიხარულით პური უწინ გამოიცხვეს.
ზოგთ მშვიდობა დაუტოვეს, უფროსთ სისხლი ხრამალთ
მოიცხეს.

959. რა მივედით თბილის-ქალაქს, მეფე დაგვხვდა მხიარული;
დავვიმადლა გამარჯვება, ეგზომ გრძელი სიარული;
ბუკ-დუმბულთა ზარისაგან აღარ იყო თვალთა რული.
დაჯდა ტახტსა, მკეულოცეთ ხმა-ნარნარი, კარგ-უსული.

960. მოვიდენ ყოვლნი თავადნი, დასხდეს მის წესით სელეზსა.
მუნ არმადანთა სიმრავლეს ვინ იტყვის მაშინდელეუზსა?
მიიღებდიან წინაშე უცხოთა თვალ-ნათელეზსა,
შუქნი ჰკრთებოდეს, ვით მზესა, მას პირსა არ ნაბნელებსა.

961. ლმერთსა ჰმადლობდეს გლახაკნი, ყოველნი მუნ პოენიერი,
ლაშქარი გამდიდრებელი, აესო მხნენი, ძლიერი,
უბოძა მის-მის საფერი. საქმე ქმნა მან მის-მიერი.
მეება საპულმო შეიქმნა. მეფე ზის პირ-მშვენიერი.

აქა ზაქარია ამირსპასალარი, ძე სარგის მხარგრძელისა, მიიცვალა და
მის ძმას ივანეს მსახურთ-უხუცესსა უბოძა ამირსპასალარობა

962. ძე სარგის ამირსპასალარის თეით ამირსპასალარია,
იგ ზაქარია, მხნე. კაცი, პართალი ვითა ლარია,
ზნესრული, საღეთო-საკაცოდ ყოვლითურთ უკლებარია,
გარდაიცვალა. კვლავ მეფემ ლაშქარი არა არია.

963. განლამც მეფეს ეწყინა, სრულ საქართველო იგლოვდა.
მისსავ ძმას მისცა სარდლობა, ვინ მტერთა მისებრ სისხლს
სწოვდა;

მან იუარა: „არ ღირს ვარ, მე მის სახელსა ნუ მძღნოვ და.
ვინ მის სახელსა მიზახდეს. მე უნდა მისგან მრცხვენოდა.

964. მე მის სახელსა არ ღირს ვარ, პატრე მეც ათაბაგობით,
აქ არ ყოფილა, მაგრაჲე, სულტანთ ჰყავს გამზრდელ-მამობით;
ამით განდიდდ, წყალობა შენ ჩემზედ. ბრძანე არ გმობით,
შენით სვე-ბელით აღრე; ვყო მზე, შენი მტერი ხრმალ-სობით“.

აქა ღიღონი განუდგეს თამარ მეფესა. ივანე ათაბაგი გაუხივა, ხადის
მთაზედ ავიდა, ისე მთა-მთა ჩაიარა, მიუხდა და გატეხეს. დაამძევლა
და გამარჯვებული მოვიდა

965. ღიღონი არის მოსავეი ეშმაკისა და ძაღლისა.
დაუწყევს რბევა ფხოველთა, უფროსთათ მქმნელთა ძაღლისა
განუდგეს მეფეს სიბრიყვით, აღარ მომცემნი მალისა.
იქ გაუსივეს ივანე; „მათ დაიმონებს მალ ისა“.

966. ათაბაგს ლაშქრად აახლა სახლი ყოველთა მთიულთა —
ღვალნი, ცხრაზმელნი, მოხევე, ხადელნი ცხვატიულთა,
ერწო-თიანელთ ყოველთა, არ ჩუღდით იულთა.
აღვიდეს მთას ხადისასა მუნიტგან იქით წასულთა.

967. წავლეს მალის მთის თავები აღმოსავლეთათ სიგრძეზე,
მარცხნივ დაურჩათ ძურძუქო, თუშეთი — კვლავ მარჯვენაზე.
მოვიდა მძეფე ძურძუქთა შემოსამატად ლაშქარზე;
ღიღოთ მიუხდენ, მალღიღამ თავსა წაადგა ესე ზე.

968. დაწვეს, ავად მოარბივეს, შიგ დაუწყევს მათ სამი თვე:
იენის-იელისი — ორივე, მესამე — აგვისტოსი თვე.
მძევლები მოსცეს, ბეგარა პირველისავე წესითვე;
მოვიდენ გამარჯვებულნი. აბა, თქვენც ისე აღიმსთვე!“

969. სხვას-მორკმა-ღიდებულობას „ქართველთ ცხოვრება“
მოგვეთხრობს,
მისის უამისა შენობას და იმას აქათ ვით ოხრობს,
მუნ სიხარულსა მის ღროსა, შემდგომად ვით გლოვს, ვით
ოხრობს.
სასუფეველსა შოვნასა ქრისტეს წინ მას ვინ წაუსწრობს?

970. მას ვით მონდა საქართველო, ეგრე თავი ვინ გიხარა?
შიშიც ჰქონდათ, წყალობითაც ყოვლმან სულმან გაიხარა;

მის ჩამოს მის გვარშია უმჯობესი შენვე ხარა,
აქანამდის ჩემი სიტყვა ხამი იყო, აწ იხარა.

971. მზე უღრუბლო დაგვებნელდა, მოწმენდილი, აწ ბინდ არი,
სვესვიანი გარდიცვალა, მწუხარება ჩვენზედ არი;
მაშინ ყოფთა ყოვლთ პატრონთა უმჯობესი, არვის მდარი,
ალარ დაჯდეს მის ტახტზედა იმისთანა, იმის დარი.
972. ვირემ ის მყვანდა ცოცხლო, მანამდის ვერ მითხარ უსა,
მუნ მყოფთა მასთან რად მეცა სამარე არ მითხარესა?
გული დაუბამს ურვასა, ნაღელის სმას უმწუხარესა,
მხედავ ოხერსა, მით მიზამ საქმესა გასამწარესა.
973. გმართებს ჩემი სიბრალული იმისივე ამარისა,
მერმე ბინდად გარდაქცევა სხივ-შვენება სამ-არისა!
რა საჩინო დაგვფარა, ვაი ჯავრი სამარისა!
ბრალი იყო წაახდენად პირი მნათი თამარისა!

პ ა ს უ ხ ი მ ე ფ ი ს ა მ ე ჩ ე ი დ მ ე ტ ე :

974. კარგა ბრძანე ყველაკაი, მაგრა თავი რით იმართლე?
ბევრი კვენო საშოვარი, მოვარბიე მე საფართლე.
სიტყვა-ბრძენმან შელექსემა რა აანთე, რა განათდე?
შენ გითქვამს და აწ მეც ვიტყვი, ვინ გამოვჩნდეთ უუმართლე?!
975. მითა ვთქვი ჩემი დიდება, მერმე კირი და სარჯელი,
ორნივ გონებას მისტაცებს კვლა მეფობის სჯა, სასჯელი.
შენ ვით განმართლდე მაგითა, მესხი ოძობს და კლარჯელი?
თქვენ თამარს გვერცა ახლავხარ, ივ გიზის პირად ნათელი.
976. ბასიანს ომი რომ ბრძანე, იქ თქვენ სად იყავ მაშინა?
თამართან არ იბლუნძოდი ოძობისესა, ვითა შინა?
რა გინდ ბევრნი ყოფილიყვნენ, საგრე ვითა შეგეშინა?
ომის დღესა ქალებთან ხარ, ვა, თუ სიმძლდეშ აუაქშინა!
977. შენ ეგ რას გიშლის ლექსის თქმას, გვერთ უში, ვინ მზეს
სწუნარობს,
გავხარ ბულბულსა, ვარდისას ჩირგვეს ზიხარ, კიკიკიკს
მგონარობს,
იძახის ფერად-ფერადად, მისად სამკობლად ონარობს,
შექმტრფინავს ყოვლი სასმენლად, ივ ასრე მოსაწონარობს.

985. სახლთბუციის რევავ იყო კაცი სრული ყოვლის ხნითა —
საღვთოთა და საკაცობოთ, მერმე ჭკვითა მწვე დაძნითა,
ბიძინაცა კარგი კაცი, გულმართალი, ტოლივ ხნითა.
მათ ოთხ-ოთხი შვილი ჰყვანდათ, ერთი დაკალ, მო, დანითა!
986. ცული რამე სიტყვა ითქვა, აზად ჰკადრეს უკადრისი;
რევავისგნით არა თქმული, სუფრაჯის შვილს მანდა რისი;
დილას ცხენით კარს მიუხდა, ავ საქმედ ა საკმარისო,
რევავ გავა ახალუხით, უმჯობესი სავარისი.
987. უბრალომ კაცმან რა იცის, თუ ავს ვინ რასმე უფშიდეს?
ცხენი ჰკრა რევავს ფარემუზ, სხვას ვერას ვერ მოუერთვიდეს.
შვიგნეს ჭართა, საშველად ყველა იქ შეკრბა, მივიდეს.
აღარ მიუშვეს, გაჰყარეს, მოსული ისევ წაივინდეს.
988. გავაბრჭვე, დავსხი სრულ კახნი, არ მართო ეს პაატოლო,
სუფრაჯს დაედვა სახლთბუციის არ სისხლი საუპატიო;
უთხრა ეს: „მოგცეს მამული და ზოგი ჩვენ გვაპატიო.
ჩვენ სულს ქვეშ ამას მივხედარ ვართ, აწ გინდა დასვი რატიო“.
989. აღარ იქნა გაშველება, უფრო ჩხუბი გაძლიერდა.
კახნიც შუა გაიყარნენ, დიდნი, მცირნი, სულა ერ და,
ზოგი მისკენ, სხვა ამისკენ, ვაყკაცები ან ვინ ბერ და.
რევავ წუხდა მის საქმესა, მხიარული არვის მხერდა.
990. იოთამ და ზაალ ორნივ ხან აქ იყვნენ და ხან იქა;
მოვიდიან, წაიდიან, დაგმობდიან ავად იქა,
გულმართალი კაცი ყველა უზრახევდა, უფრო მიქა.
ამ ჩხუბმა და მათმა წასვლამ საქმე ასრე გააქიქა.
991. როსტომ მეფე შეიყარა, საომარად მოვა უღლის.
ეს გზა იმან რა იცოდა, ან გაწევა ჩემის უღლის?
ვიცოდი, რომ არ შეეძლო მას შემართვა ისრე, უღლის,
ბოლოც ამან გაზითავა, გაწყვეტა ხაშს აწ საუღლის.
992. თიანეთს ვიდექ შეყრილო, რალაც რამ ყმა დაძრჩომოდა.
ბიძინაჰა თქვა: „ერწოზედ მოვლენ. აქ ვიყო მეო და
მე ნახევარი ლაშქარი მიბოძე, მივეშველო და“.
ამბობს რევავის ქიშპობით, მტერობა დაეჩემოდა.
993. უთხრეს ბიძინას: „რას ამბობ? რას ჭკუთ მოგიყვინია?
ახლა ლაშქრისა გაყოფა რას ჭკუის შესავანია?“

შენ ჰქვამთმყოფი რად ამბობ მაგ სიტყვას, ვითა სენანია?
აქ კარზუდა გვიტქს ლაშქარი. ვერა ვართ ათისთავნია“.

994. მან თქვა: „აქ მოვეკვდე რევანთან, იქ წახედეს ჩემი სახელო;
რასთვის ვიქმ მაგას, რა არის? დამრჩება არ სასახელო!
ეგ თავისას კი ინახავს. მე ჩემი რად გავთხელო?
ეგ თუ თიანეთს მოუტარს, მე ერწოს წავალ მთ ხელო“.
995. რაღას მიშველოს? კარს მტერი მოზადვა. ჩემს უმძლავრესი.
წამართვა შვილი, ლაშქარი, საქმე ჭმნა ავს უარესი:
დავრჩით თუ კაცი ათასი, არა ვართ მტერთ საკმარესი.
რა კაი ვალი დამადვა, გაუწყრა საბა ლავრესი.
996. ესენი ერწოს წავიდენ, ისინი უღლისს მოადგეს;
მოვიდა კაცი: „მოვიდენ. თუ ბატონი ზის, მო, ადგეს!“
შევსხედით, რანიც ვიყავით, მეთოფეები წინ წადგეს.
მუნ რევან არის სარდალი, თავს იმუზარადი დაადგეს.
997. ყარაულმან თქვა: „ვიართ, თვარ მოვლენ უღლისს უწყინა;
თუ მოგვესწრობენ, არ ვარგა“ — ეს სახლთხუცესმა უწყინა.
ეს ავადა ჭმნა: ჯებირზედ მეთოფე არ დაუდგანა.
წავედით, იმათ მოგვესწრეს. რევან რა ნახა, აგინა.
998. წადგა რევან მეთოფებთან, ასროლინება, არიგებდა;
ბრუნავს ჯარშიგ ხრმალმოწვდილი, ჯარქაშშიგან არ იგებდა.
ერთხანს ჯარი უკუფანტეს, ჩვენა შუბსა მათ აგებდა,
გათამამდეს და ისროდეს, ვირე ამას შეიგებდა.
999. გაგრძელდა ომი. რევანს ჰკრეს ორი ფინდიხი ტყუბადა:
შვილებს უთხრა, თუ: „მაცალეთ, მე ბატონს ვნახავ სუბადა,
მივალ, წინ წამოვაცყენებ, სისხლი ვადინოთ გუბადა.
ღვითთ გამარჯვება ჩვენია, წინ წარვიქციოთ ჯგუფადა“.
1000. მოვიდა რევან თამამად, მითხრა: „ძლევა შენიაო.
მაგას ჯარს ნუ დაახედვებ, უჩემობით შენიაო,
წინ წაუდგე, ვარდი მათი მოუყინე, შენ იაო,
შენმეც კახეთს ნუ მოეშლები, ოხერი თუ შენიაო“.
1001. მოვიდა ხელზედ მაკოცა, ვიდრედა იყო სულდგმულად.
მითხრა: „მინახავ პირნათლად, როს ქრისტე დაჭდეს
მსაჭულად,
შენ ღმერთმან დიდხანს გატოცხლოს გამარჯვებული,
კარგ-რგულად“.
- გაბრუნდა, საცა თოფი ჰკრეს, მუნვე გარდახდა სიკვდილად.

1002. რა ლაშქარმან დაინახა, რევაზ ცხენით გარდაეარდა.
ვინცა ნახა, ერთმანერთსა უთხრეს, ყოვლგან ხმა დაეარდა.
დავეიმარცხდა, გამოიქცენენ, ერთი თოფიც არ გაეარდა.
რა ზურგები დაგვინახეს, მათი ჭარი ზედ მოგვევარდა.
1003. ველარ დაეუდევ თიანეთს და ჩვეელ შიგნითს კახეთსვე,
მოწყვეს უკანა ესტნიც, მაშინ წამიხდა სრულა სვე.
ქისიყსაც ხმა დავევიარდა, ამბობდეს ლაშქრის მოსვლასვე,
დათუნა იქით გავგზავნენ, მტერს ხრმალი ველარ დავასვე.
1004. აქათ ესენი მოვიდენ, ქისიყს მოუხდენ ყაზახნი,
ამას ვინ ახლდენ მაგდენი სხვა, არ თუ ისევ, კახელნი?
მაგრა რაც ახლდენ, ყველანი მამაცნი, გულით მკვახენი,
სრულ ვაეკაცები დაგროვდენ, არ იყენენ ბევრ ომ-მნახავნი.
1005. შეუტყვეს იმავ წამსა, ქვეითობას არ აცალეს,
ვინ ვის წინა გაასწრობდა, ან ცხენს ვინ ჯდა უმუხლმალეს.
ხევი დახვდათ შუაზედა, მათ თოფები ზედ დასცალეს,
ცოტა ვინმე გაუვიდა, სხვანი ცხენით გარდასცალეს.
1006. ჩემი შვილი ხევს ასვლოდა, სხვას ნეთოფეს შემოჰყროდა,
შუბი ეკრა ამას მოსთვის, იმას თოფი დაესწრო და
ეკრა გულსა, ჩამოგდო — ვაი, რას დროს შევესწრო! და
თვით მოკლეს და ყმანი კარგნი იმ დღეს მასთან მოესროდა.
1007. ბიძინა დიასამიძე მიუძღვა მეწინავესა,
უცხოფრად თურმე, შვიბა, ელიას გულად ჰგავს ესა.
ერთი შვილი მყავს. რად ეპხირი? უყურე ჩემს სიავესა.
რას საშლვარზედან მოიციკლენ სამართლით ვისა დავესა?
1008. ქაიხოსრომ მაყაშვილმან, მან სუფრაჰმა დედოფლისამ,
წამოსულმა სხვასა კითხა, მოიხოცა მან ოფლი ჯამ:
„ბატონიშვილი მორჩა, თუ მოკლა საქმემ ამ სოფლისამ?“
უთხრეს: „მოკლეს, ეს მოილო უსაზომომ რისხვამ ღვრთისამ“.
1009. თქვა: „მოკლეს დავით თათართა, დედოფალს ვით
გაუუცხადო?
ამას იქით მე სიცოცხლე, ჩემი ღმერთსა აღარ ვხადო;
მივბრუნდები, შევაკვდები. მგონ, სირცხვილი მოვიხადო“.
მიბრუნდა და შე-ცა-აკვდა, სასახელოდ თავი დადო.

1010. იესეცა სახლთხუცესი აჰასე იქს მორჩენილი,
ვირემ იარაღთ დაუდგნეს, სცემენ არვის დარჩენილი.
ბევრი მოკლეს, სხვა დააგდეს მათგან ლახვარ-დაჩენილი,
მერჲე თვითანც ზედ შეაკედენ, რაზომ იყვნენ თავჩენილი.
1011. როსტომ მეფეა ძე მხეელის და არა აზნაურისა,
სვიმონ მქეფის ძმის — დავითს შვილი, გვარ-ჩვენებურისა,
მას დედოფალი დად ჰხედება სვიმონით შავეურსა,
მხეველის ნაშობმა მეფემან საქმე ქმნა ბედაურისა:
1012. აღარ იყო სხვაღა ღონე, დედოფალი ნახავს ძჰასა.
მოვიდა და შეეხვეწა, შეიხვეწებს ძჰა მის დასა,
იმერეთის გზის მოცემას ემუდარა, არა სხვასა.
საქმე მან ქმნა მოსაწონი, უქებდიან ყველა მასა.
1013. უთხრა თურმე დედოფალსა: „ღმერთმან იცის, არ მინდოდა.
თუმც არ ვღირსაყვარ, მაგრამ თვით ვარ მე ძმა თქვენი, და
შენო — და,
ჩვენსა შუა ჩხუბის მნდომთა თქვენგან უნდა რომ შენოდა.
ამათანას ღვთის მგმობართა ჭკუისმყოფი ვით ენღო და?
1014. არა ქნეს იმ ღვთის მგმობართა, ურცხვინოდ ფიცის მტეხართა,
თქვენ აგიყოლეს ჩემზედა სამტეროდ, მათ განახართა.
აწ ზურგი შემოგაქციეს, გრქვიან: «აქ ნულარა ხართა!»
ესენი მხიარულობენ, ჩვენ გეხედვენ ორთავ მწუხართა.
1015. ახლა რა გიყო მის მეტი? გზას მთხოვ და მომირთმევი.
ვინც გარდმოგყვების თქვენი ყმა, არავინ წამირთმევი.
არც შვილისშვილებს გოხსენებ, არა ვარ ავ სადევია,
ქართველთა შემოგაფიცებ, სახერხო არ ურევია“.
1016. ქართველნი წამოაყენა და შეაფიცა მტკიცედა:
„ჩემგან აღარა ევნოს რა — თქვენ ასრე დაუფიცეთა“.
კათალიკოზი აახლოთ: „წინ მძლოლად გზები მისცეთა“.
ამ ყოფით წავალთ იმერეთს, იქ უნდა თავსა ვიცეთა.
1017. როსტომ ამტკიცებს შენს ზიტყვას, მტრის შორეულის
ყოვნებას,
არ სიკვდილოს შორეულისას, სადაღაც უნდა, გაშვებას;
საბოლოოდაც იხედავს, ვერ ჰხედავს კარვად ჩვენს ვნებას.
თუ ჩემთვის ბოლო მოეღო, კპოებდა ვერ მოსვენებას.

1018. თუ დავესრულე სრულობით, ასრე ჩნდა საქმე ბოლოსი;
 ვასაც ხელს ჰყოფდა ყაენი, მოეხმაროდა არ ოსი;
 ის ჩემდენს ვერ გაუძლებდა, ვით მოთხე ტანისამოსი.
 ასრეა, მე დამიჯერე, მიხედების კაცი სალოსი.
1019. რა მოვედით იპერეთსა, ჩვენი საქმე მათაც ნახეს,
 მოვიდეს და მოგვეტარნეს, მათცა სულთქვენს. ჩვენთან ახეს;
 ცოცხალთ საზრდო, მკვდართ სამარხი, ყოვლიფერი
 მოგვიწინახეს.
 დავიტირეს გულმწუხარედ, სასიცოცხლო შეგვიწინახეს.
1020. დამჩნა ოთხი შვილისშვილი: სამი ვაჟი, ერთი ქალიც;
 სულ უფროსი ხუთის წლისა, ცქვიტნი, კარგნი, მუხლად
 მსალიც;
 ყმაწვილურად თამაშობდნენ ხან საქციელ-განაკრძალიც.
 სულ უმცროსსა მეფემ შვილად ზრდა დაუწყო, არს ობოლიც.
1021. ვ-ყავ გლოვაში წლამდისა. გათავდა წელიწადია.
 დადიანს დაეპატიჟა, მეფემაც ბრძანა „წადია“.
 წავალ უფრორე ამისთვის: სხვა საქმეც რამე მწადია.
 ბატონიშვილი მაჰუკა ხელთა ჰყავს, ვინ არს დადია.
1022. ოდეს ლეჟან დადიანი აქ ლაშქრითა მოსარულიყო,
 თვით გიორგი მეფე ხელთა დაერჩინა, მგონ, კმარ იყო.
 მას თავი დაახსნევინა, მობრძანდა და მომკვდარიყო,
 აწ მეფისა ალექსანდრეს საქმე მისგან წამხდარიყო.
1023. იყო ამათში მტერობა ყოვლთ მტერთა უბოროტესი,
 მიხდომ-მოხდომა, ხრმლისა კრვა, პირისა, არა კოტესი.
 აწ აქვს დადიანს მეფეზედ ძალი მწვე უუმეტესი,
 დადიანსა აქვს ნარჩივი პაატა, წუწკი კუტესი.
1024. აწყა კიდევ მოსულიყო და მამუკა დაერჩინა,
 დაეშინა შუბი, მაგრამ სალაბაზოს მოერჩინა;
 არ მოეკლა, წაეყვანათ, ოდიშს კარგად დაერჩინა, -
 ჩემს მისვლაზედ დაეტყვევა, ეს წუწკი კუტანს გაეჩინა.
1025. წაველ, მინდოდა მამუკას შუამავლობა, აშვება,
 ამათი გარიგება და ჩემი ნადირობა, აქ შვება.
 დადიანს ჩამოვიყოლებ, სულძილი არ მოეშვება,
 წუწკი არ მისცემს თავს ხელთა: „რას ჰქვიან, არ გაიშვება!“

1026. მიველ, ენახე დადიანი, ვუტირე და მომიტ-რა,
 მას — ცოლ-მკვდარსა, მე — შვილ-მკვდარსა, მიუჭივინეთ
 მწარედ ვ-რა,
 ჩვენმა შეყრამ, მოთქმის ხვამან მუნა მყოფნი გააკვირა,
 სიტყვა ისმა იქით-აქათ, თქვეს: „რუსთველი გაავირა“.
1027. რა გარდავსწყვიტეთ ტირილი, კვლა იმანც მოიფოჟოლა,
 წავედით სანადიროდა, ტყეებში ვრეკეთ, — მუნ-ყოლა,
 შემოლობილთა დადგომა, გრძლად ტყეთა ჭილგის მოყოლა.
 ჩვენ და-ძმათ შვილთა გვიხარის ერთმანერთისა თანყოლა.
1028. პაპაჩემსა ალექსანდრეს დავამსგავსე მშვილდოსანად,
 მშვილდისა და ისრის ზიგრძე-სისხო ჰქონდა ვითა მანად,
 სამამაცო ბევრი საქმე, ყველა სჭირდა კიდევანად,
 მაგრა ვეცხლის-მოყვარება გულსა ესვა, ვითა დანად.
1029. ლხინი მიჩვენა კარგები, სალაროს კარი გაჰილო,
 ენახეთ ტურჟანი ეგზომნი, მე ანგარიში წამილო:
 მურასა იარაღები უანგარიშო, საჭილო.
 გამოველ, ჭაზირი და ერთი სამოგვე მომილო.
1030. ვეცადე მათს გარიგებას, გაჰეწყობოდა რითაცა,
 ხვეწნით და შემედარებით, კვლა ფიცით მისით რითა ცა.
 ასეთი სიბრძნე, ვუამბე, მოამშვილებდა გმირთაცა,
 წუწვი ეტყოდა პაატა: „ამდენი სიტყვა ვით აცა?“
1031. მან მიზეზი უარისა მითხრა, ცუდი ბევრი რაჟა;
 რას უჭერა ერთს კუტს კაცსა ან შეიპყრა ისრე რაჟა?
 რა შესცოლა მაგისტანა, შეილს მოუკლავს მამილამა?
 საქართველოს დაასუსტებს ასე უღვთო საილამა?
1032. თუ ისინი შემჩერივა, რაც მინდოდა. მას ვიქმოდ;
 ორთაც ბევრი ლაშქარი ჰყავს, გაპიგონე, ახლოს მოდო,
 ვილაშქრებდი ჩემს მტერზედა და ბოლოსაც დაეაქმოდ.
 არ იქმნა და მეც დავეხსენ, ვერ ავილე ჩემი მოდი.
1033. ამად მინდა მათი შეყრა, ის ძმა იყო და იგ სიძე;
 ეს არ იცი, ვით ძმა არის დადიანი, ან ვისი ძე?
 მე, ძმისშვილი ვარ, ის — დისა, შუაზედ ღობე ისი ძე.
 დარეჯან მამილაჩემი და დავით მას გავუბიძე.

1034. არ გაერთდენ არას საქმით, ორთავ ბევრჯელ შევებვეწე;
მათი საქმე დაკორდვილი რაზომ წმიდად ჩამოვხვეწე,
გარდავსწყვიტეთ მათით ღონე, ახლა სხვაგნით გარდევხვეწე.
ვაიმე, თუ ვერც რამ იქ ვქმნა და ცუდადრე წავეწეწე?!
1035. თუ ყმა ბატონს მოერევა, აჯას აღარ გამოართომს,
ბევრია, რომ ღმერთსაცა ჰგმობს, პირშიც სულსაც ამოართომს;
მამუქასა თვალებს დასწევას, კარგს ვაუკაცსა, არ
თვალსადგომს,
მერჰე მოჰკლავს დიდის სარჯლით ციხესა და ერთს ავს
სადგომს.
1036. არ მომიკვდა მე გიორგი, მეფე ზრდიდა რომელს შევილად!
ჯერ ყმაწვილი ხუთის წლისა, უსუარი, ისრეე ჩვილად.
კრულმცა არის ჩემი ეტლი, არ მომესწრო პაპას ზრდილად.
ჭირი ჭირზე დამეტმანა, თავს გარდავსდებ სასიკვდილად.
1037. ეთქვი; თუ: „ეტლი უკულმართი ჩემი ბრუნავს მუდამ ასე:
არ მაჯერებს იმღონს ავსა, რომელ ათსა უფრო ასე.
რალაც დარჩა სასიკვდინე, შენ ლახვარი მე დამასე.
რად არ მომკლავ? რად გინდივარ, დამაბერე, დამანასე?!
1038. ძნელი არის გამოშვება, რა შეიპყრობს კაცსა ჭირი,
უკულმართის ჩარხის ბრუნვა მაგრა ექმნას მონაჭირი,
ლხინი, შვება, სიხარული მისთვის იქმნას ვასაჭირი.
ასე ძნელად მოურჩება, გალამაზდეს ვით დუხჭირი.
1039. თუ მოსავალი არ მოვა, კალო რით გაილეწება?
უბრალოდ ვინმე შემომყრას ლოყას, გამიხდეს ლეწება,
მარჯვენაც უნდა მიუპყრა, საქმე ვქმნა შესახვეწება.
როდეს ის ბადე შეიპყრობს, მას ვერვინ გარდევხვეწება.
1040. რასაც ვამბობ, კარგად სინჯავ და გაარჩევ, ვიცი, კარგ-ავს.
ეტლმან მიპყრა კირჩხიბისამ, ჩემთვის კარგი არაა ვავს.
მას მოისთვლებს მემუშაკე; ძირად რასაც ნერგსა დარგავს.
თუ ვერ ვირგებ ამ სოფელსა, ღმერთი მუნ არ დამიკარგავს.
1041. სვე და ბედი გარდმეხვეწა, ვხედავ სხვაგან განაქცევსა,
სახელმწიფო დამეკარგა, ვსჭვრეტ ოხერსა, მონაქცევსა;
თვალთა ჩემთა ცრემლთა ხშირად შიგან ვცურავ მონაქცევსა,
ჩემთ საყოლთა სიკვდილისგან არ მოველი მონაქცევსა.

1042. ორნიღა დამრჩენ ძისწულნი. რამე ვქმნა, ამას ვგონობდი,
ვთქვი: ერთს რუსთ მეფეს მ-ეართვამ, წინაშე მოუძღონობდი,
ეგება კარვად მომიხდეს, თათართ წილ იშას ვმონობდი;
თუ ორნიე ჩემთან ვამყოფო, ავად მომიხდეს, ვღონობდი.
1043. რაც მყვანდა, ყველა თათართა წაპართეს, მივეც თუ ნებით,
იგ მეტად ავად მომიხდა. ჰკუთთა ვქმენ თუ ცთუნებით.
ურჯულოთ წილად მორწმუნეს აწ ამას დავემონებით.
ერეკლე რუსეთს გავგზავნოთ, ხელმწიფეთ მოსაწონებით.
1044. შვიდს წელიწადს მოვიცადე, კიდევ რასმე შევეცადე,
მაგრამ ბედსა უკუღმართსა ასე რიგად დავებადე;
ვერა ვირგე მე შათითა, ღმერთს ამ სვეზედ დავებადე.
აწყა რუსეთს გავემზადე, იქით წასვლა დავიქადე.
1045. ახლა ვსთქვი შვიდის კრებისა, მამათა წმინდათ დასება,
სჯულის სიმტკიცე ნათლისა მით მიერ შემომოსება,
სარწმუნოება მართალი მუნითგან დაეთესება.
ჯერკვალთა, ღრკუთა, მწვალებელთ ოდითგან ეყო დავსება.
1046. ვარდს ბუღბული გავაუბნე, შემოდგომა-გაზაფხულსა,
კვლავ სანთელსა — პეპელაი, მისგან დამწვარ-დადაგულსა.
ამ დროს ლექსი ვით გაუაწყვე, ძლივლა მხედავ მე
სულდგმულსა?!
მუნ „მაჯამას“ შეყრილს ჰხედავ, არ იქი-აქ დაკარგულსა.
1047. ეს, ვეჭობ, შენცა იცოდე, კაცს რას დროს სიბრძნე უწესებს.
ოცდათს წელიწადს იმატებს ძალ-ჰკუას, ცოდნას დას-დასებს;
ორმოცამდისი დადგება, არ იკლებს, ამად ითავსებს,
მერმელა წავა კლებაზე, ოდითგან ველარ ისავსებს.
1048. დასტურ თქმულა: სიკვდილამდის კაცი ცოდნას, ხაშს,
იწვრთიდეს.
მაგრამ მოუძღურებული ჰბუჟისდენს ვით შესმიდეს?
თუ უცოდნი დანიწვართოს, ზოგი წვრთნილი დაავაწყდეს.
მე ეს დრო და მწუხარება შემომესწრო, ცრემლი მდინდეს.
1049. ვითხარ: სალექსე დროები აროდეს არ შემომესწრო,
ან მოსვენება მენახა, ან ჯავრისათვის დამესწრო,
მაშინ მნახევდი თამამად, თუ შენთვის მე არ წამესწრო!
ხელმწიფეს ვნახავ, თანხლება ვის გპართებს. შეგარცხვეს,
არ მესწრო.

პასუხი რუსთველისა შეათვრამეტე:

1050. მე მაგისტოვს ესტევი სულ სრული დროც კაი მქონდა, ხანიცა. ვინ ბედმან დასცა მიწადა, მერმე სვისაგან ხანიცა, სალხინო ანუ საჭირო გულისა მოსაფხანიცა, ტარიელ თუცა ვარდსა ჰკრეფს, ეკალიც ხანდახან იცა.

1051. მარგალიტი მაშინ სწორი შეიქნების, რა ეს მოჰხდეს, სადაფს პირი გაჰპობოდეს, სწორად ცვარი მგრგვალი მოხვდეს; ავი ქარი წვეთს არ სწყვეტდეს, თუ გაწყვიტოს, ის კი წახდეს. მრუდს იეფად სყიდულობდეს, ობოლს ვერვინ დააფხადეს.

პასუხი კვლადცა მეფისა:

1052. ხანგრძლად სხვათა კართა ყოფა კაცსა ცეცხლად მოედება, მუდამ მოყვრის პურის ჭამა საყვედურად დაედება; რა გინდ რომე არა აკლდეს, მაშინც გაუგემურდება, ველარ გასძლებს შემოცლასა, აჰად სხვაგან გარდევება.

1053. მომეწყინა ამდენს ხანსა მე მოყვრისას პურის ჭამა. აწ მიგმართე რუსთ ხელმწიფეს, ვინ მწერს: „ხარო ჩემთვის მამა“, განველე ზღვა და ხმელეთიცა, მომაწყინა ხანთა ზამამა, მისი სიტკბო, თავდაბლობა კაცს ვერ უყოს ვერა ძმამა.

1054. მიველ. დამიხვდა ხელმწიფე დიდისა მოწყალებითა, სამართლიანი, რჯულ-მტკიცე, სხვათ მეფეთ უმაღლესითა; დიდად პატივცა, შემიტკბო გულითა მუნ მდაბლებითა, ვითა მართებდა მამასა შეილურად ალერსებითა.

1055. პირველს ნახვანედ არ ადგა, ხელს ვკოცე, თავსა მაკოცა; დამსვა მის ახლოს, ალერსით სიტყვები კარგად ამკოცა. მომიკითხა და სიტყვითა თვალთ ცრემლი ტკბილად მომხოცა. თუ ღმერთს სწადს შენი სასჯელი, არ წახდეს, არ დაგამხოცა.

1056. მეორეზედ კვლავ მიბოხმო. მიველ, იჯდა თავის წინა. ადგა ტახტით, მომეგება მე ხელმწიფე კარგა, წინა, ხელი მიპყრა, მერმე ბრძანა: „ეს მმართებდა მე უწინა. აჰად ვერ ვქმენ მაშინ, რომე დიდრონს რუსებს არ ეწყინა“.

1057. ამიყვანა თავის ტახტზედ, დამსვა, შუღლი არ შეგვექნა. დავითისა ნათესავსა, ვიცო, ბოლო არ დაექნა.

არ ღირსვიყავ, გული ჩემი შემეწუხდა. ვითა მექმნა?
რადგან ისრე მოინდომა ან მე რალა ძალი მექმნა?

1058. მოალებინა ვახშაჰი და შეჰყვა წვრილადა სმასა,
უცხოლ, თავმდაბლად მომეპყრო, ვით ჰვერობს ტახტზედ

დასმასა.

მუხლ და მუხლ ვუჭე, თუ ღირს-ვარ პირსა მის ფერხთ მტვერთა
სმასა,

რაც გარდმსდომოდა, მკითხევდა. მე მოვახსენებ ას მასა.

1059. მიბრძანა: „იმედი გქონდეს, ილოცე, ღმერთს ეხვეწეო“.
მე ლაშქრის მოცემა მინდა, მით მისკენ გარდვიხვეწეო,
არც დრო მაქვს საქმის მოცდისა, სიბერით დავიხვეწეო.
ვერ მოვიცადე, წაპოველ, ველარ ვიშოვე შემწეო.

1060. ვნახე სიდიდე. უფროსი, სხვა რაც ხელმწიფე მენახა
მიბოძა ბევრი სალარო, რა ვუყო, რად შემენახა?
შენად სასმენლად ვიპბე. რასთვის არ ისმენ შენ, ახ, ა?
ამთარხანს მოველ. მომირთე, სოფელო, ვაი, შენ ახა.

1061. საბოცდათის წლისა ვიყავ, როს რუსეთსა გავემართე.
წაველ შორეს ქვეყანასა, ზღვა-ხმელეთსა დავემართე;
რაცა მწადდა ღონისძება, იგ ვერცერთი ვერ მოვმართე.
ცუდ-მაშვარალმა, დაღალულმა ისრევ იმერეთს მოვმართე.

1062. ამთარხანს მოველ, საზარო ამბავი მაშინ მომესმა,
აწ ნულარც შენ შემიბრალე, გულსა ლახვრისა მომე სმა,
მწუხარებისა საწლედესა საშსალით მმართებს, მო, მე, სმა!
ყოვლი იმედი გარდმიწყდა, რად, ღმერთო, ძინა მომე სმა?

1063. მიამბეს, თუცა ძნელია აწ ჩემგან კიდე, სათქმელად.
მაშინ მივიპქონდი ღელვასა უფსკრულთა მე დასანთქმელად;
ნათელი თვალთა დამიშრტა და გარდაწექცა ცა ბნელად.
აწ ამას იქით მეშველმან მიშველოს მეღა მწვე ძნელად.

1064. პირველ ჩემს ყმათ გაეგონათ, დასტეხოდათ მწარე ზარი,
მოევადკრათ ღეთის რისხვის დღე, გაეშალათ მათ ბაზარი,
ყოფა ექმნათ საკვირველი, გაეკვირვნეს მით ზაზარი.
რა მე მითხრეს, დასამხობი ამოუშვეს მაღლა ზარი.

1065. მოცივრიდიან საზარლად, მაგრამ დავაზრდი ვერასა,
თავსეშით პირსისხლიანნი იგლეჯდეს თმათ და წვეერასა:
„ვაი დავგვესია ნათელი, იშუე არ ჩანს დანაწვეერასა,
გული დარია ლახვარმა, არა გეჩხვლეტს დანა წვეერასა“.
1066. დამიხოქეს, შეჟომზახეს მაღლის ხმით და ცრემლთ-დათხევით:
„ჰე, მეფეო; მოგვედომია, ვის უქვერეტლი სამოთხე ვით,
პაპას ბივი, ახალ ნორჩი, ჟერ არ-სრული მაღალს ხე ვით.
ზღვას დაუნთქჳან პატრონ-ყმიან, არ დამჩხვალან მცირეს
ხევით.“
1067. გარდავიქეც მასვე წაშსა. ამის სხენა ვით გამეძლო?
გულიც მქონდეს მაღნიტისა, მის ჩამოღმა ან გამეძლო?
მასვე წაშსა ჳობრუნება ჩემი არვის არ შეეძლო.
გამოვემხვე ყოვლს კეთილსა და დამეხშა ვითა სასძლო.
1068. ცოტად რითმე მომამბრუნეს თვალ-ფახული, გულ-დნობილი.
ვთქვი: „რა რისხვა მომეველინა, ესდენ ვიქმენ მე ცნობილი?
კვლავცა მითხრეს საზარელი სიტყვა ერთად შეწყობილი.
ავიოხრე, მაღლი ვკადრე, ვინ ქალწულის არს შობილი.“
1069. ვკადრე: „ღმერთო, კურთხეულ არს გაგებული შენი ნება,
მაგრა მომხვდა სიბერის დროს უხოიშნო დიდი ვნება;
მით მეწია რისხვა შენი, ვერ ვათავე შენი მცნება.
სულს ნუ წარსწყმედ, ხორცს გაჰყარე, სხვადა ღონე არ ექნება.“
1070. ეგზომ ცეცხლში განოქდნარსა, სთქვა, თუ რაღა დაეწოდა?
არ თუ ჩემი ყოფილიყო, სხვის ვისგანმე მომეწოდა,
შვილსშვილად არ მყოლოდა, შვილობილი დამეწოდა,
მაშინც ხამდა სიკედლიზება ზე სიცოცხლე დამეწყო და.
1071. არ მინახავს მე მისთანა არც ჩემი და არცა სხვისა,
თვით მნახავი ბევრის კარგის ვარ, როგორცა დღის ავისა,
არსად მანსოვს იმისთანა მენახოს და ვჰკითხო ვისა?
თუ ეს ვისსა შესწრებოდა, შეჰნერწყვიდა მის რამინსა.
1072. მისნი მნახნი მას იტყოდეს; ნაშობია, მო, ის რისა?
ჰხედავ, კრთება სხივი მზისა, ვით ისარსა მოისრისა,
გულიც გქონდეს აღმასისა, დაჰრა მისგან მოისრისა.
ვარდი ვარდსა დაუჩაგრავს, ვითა ხელი მოისრისა.

1073. სხვა მისებრი ცხენოსანი ვის უნახავს მოისარე?
 ვით წავიდის მზიარული, მკვრეტელთ გულს ჰკრის, მო, ისარე,
 ჯერ უწვერულს პირსა მწესა წარბ-წამწაბი მოისარე,
 ყოვლთ სულდგმულთა სატურფალო, მსწრაფლ გული რად
 მოისარე?
1074. ხორცი უმანკო დაიციე, სული მით გაგრწელებია,
 მკლავს ძალი ამ ეამ ურკენი გულ-მაგრობ, გაგსალებია,
 ფიცხელნი ფერხნი, კისკასნი, სიკეთე არსად გკლებია,
 სხვა ამის მეტი რადა ჰყავ ოხერი ჰაპა-ბებია?
1075. თუ პატივი სიკვდილს აწვევს, მაშ სად არის, რად არ მოვა?!
 რაც მყვა ყველა დამიხოცა, მე, გლახ, მარტო მისთვის მპოვა;
 ყმანი ჩემნი დიდებულნი შემომძარცვა, შემომძოვა,
 მწიხნა ფიცხლად საწერტლითა, გაუძლომლად სისსლი მწოვა.
1076. მეფეს ექმნა საკვირველი გლოვა დიდო, მეტის-მეტით,
 გამცხადებელნი მოვიდენ სულ იმედ არ გადაწყვეტით.
 ვიცო, ჩემთვის ურგებია, მომიშინე თავსა კეტით,
 აწ ერეკლე წამომგვარე, სულ არა ხარ ამოწყვეტით.
1077. მეფის ელჩებიც გავგზავნე და ჩემიც თან გავატანე,
 ხელმწიფეს ვთხოვე ერეკლე, სათუო არ დავატანე,
 მწუხარებისა კანკალი ჩემს გულსა ხორცსა ვატანე,
 რადაც წამომყვა რუსეთით სალარო, თან მოვიტანე.
1078. მოველ იპერეთს, დამიხვდა კვლავ მკვდარი დედოფალია.
 თუ გზას ვკითხვედი კამათელს, სულ მომდის ავი ფალია;
 მართ დაჰკვდომოდა ლუარსაბს, მიწათა დანაფალია.
 დამტირებელთა ვიტირებ ჰირისა მე უფალია.
1079. აღარ ვიტყვი მაშინდელსა, ეგებ გული არ გეტკინოს.
 ვით გავუძლო ამ საქმესა, მიწაც ვინმე გამარკინოს?
 წყეულმც არის ეს სოფელი, თუ კიდევ არ მერკინოს,
 ნაძლევი ვარ, ამის უფრო თულა ვინმე დამკანინოს.

აქა ლევან დადიანის სიკვდილი და მეფის ალექსანდრესაგან ოდიშისა
 და გურიისა და აფხაზეთის დაქერა

1080. დადიანი მომკვდარიყო, მეფეს ეპყრა ლიხს იქეთი:
 სულ აედოთ ციხეები რუხვ-ნაქალაქევ-ჰაქვიითი,

სალარო თან წამოვლო ცუდ-მუდებსა მას იქითი.
აფხაზეთიც დაეჭირა, სრულ სვანეთი საქვეითი.

1081. ვამეც იყო დაღანის ბიძაშვილი, არ მის მგვანი,
ის დაესვით დადიანად, ვინ არს ლიპარიტიანი,
ბატონობის შეუფერი, ვითა დვალი ანუ სვანი;
ვერ მოველო ოდიშისთვინ, გლახას მართებს რცხვენოვანი.
1082. კვლა დაღანსა ძმისწულნი ჰყვანდა მამუკა, ლიპარი;
წასრულ იყვნეს როსტომ ხანთან, მოეხმარა მას ლაშქარი,
როსტომ ფაშას, ათაბაგსა, კვლა იმასაც მისი ჯარი,
ქაიხოსრო გურიელი და ერთპირად ოდიშარი.
1083. შეყრილიყვნენ მეფეს ზედა, ამათ ექნათ ერთპირობა,
მოსულოყვნენ ბანძას, მაგრამ მეფე წყალს კი გაესწრობა.
მეფე შარტო იმერელთათ ხლმითა ავად მიეპყრობა.
გამარჯვოდა სასახელოდ, საქართველო მით იტყრობა.
1084. უწინც ჰქონდა, ამ ომს უკან დაეჭირა უფრო მაგრა,
დაეხოცა ორგულები და ზოგი კი დაეჩაფრა;
საღმართო საქმეც ახლა ეწყო, სინანული მოესაგრა,
აწ მარგებდა უსაცილოდ, არ დასცალდა ხანი მაგრა.
1085. როსტომ მეფეც მომკვდარიყო, ვახტანგს ეწყო ქართლის
პყრობა,)
ყაენმა სიყვარულითა უწოდა შანავაზობა,
კაცი მხნე, ზნეობიანი, სიფიცხით ვით ავაზობა,
შამაცი, კარგი სარდალი, კარგად იცოდა რაზმთ წყობა.
1086. იმ ხანად მეფეც მომკვდა, ველარ გასძლო წელიწადი;
ჰკუთამყოფი დიდად ტირან, ეძახოდეს, თუ „სა წადი?
საქართველო დაემზობა, მტერთ მიჰხვდება სულ საწადი;
ჩვენ წახდენად ქვე დაგვეარენ, შენ სუფევის ტახტსა ადი“.
1087. მეფე მოკვდა ლიხს იქითსა, საქართველოს თან ჩაიტანს,
ალაღდებიან თავადნი, ერთი-მეორეს აიტანს,
ერთი მეორის სიკვდილად მოვა, ამხანაგს მოიტანს.
ერთმანეთს ხოცა დაუწყეს, თავს აშორებენ, მო, ი ტანს.
1088. წამოდგა მეფე ქართლისა და ვამეც დადიანიცა,
იმერეთზედა ილაშქრეს, მთილამ ალაღდა სვანიცა;

დამოყვრდენ, შუა გაიყვეს მთა-ბარი, შუა განიცა.
მო. ისიც გითხრა, ვაჟიყის საქმენი შეუგვანიცა.

1089. მე. დავრჩი ყოვლგნით ოხერი არგვეს, ციხესა სკანდისას.
ვამიყთან როგორ მივიდე, პურს ვქაშდე უხრმლოს კაცისას?
ქართველს ბატონსვე მივენდე, მისივ ვარჩიე იმისას,
გზას ვსთხოვდი საფიცარითა ყაენის კარზედ წასვლისას.

1090. მომცა მეფემ საფიცარი: „არ დაგიშლი მე მაგასო“.
ამად ვქმენ, რომ ყაენი არ უშადლოდეს ამას სხვასო,
ჩემის ნებით მივენდობი, ვნახო, რას იქმს მუქათასო.
მაგრამ არას დამიშადლებს და დაარქვაჰს გაგზავნასო.

1091. მიველ ვახტანგთან, ვთ მპართებს, დამხვდება ეგრე
თავმდაბლად,
ხელი შემიწყო, კვლავ იყო ყოფა-ქცევითა საკრძალად;
ხმალი, ძალგული, ნაშუსი მას ჰქონდა მისად მასალად.
ნებით გამგზავნა ყაენთან. მე მინდა. გაწა მან ძალად?

1092. რაზომ გამსაჯა სოფელმან, ცდა არ დავაქელ სიკვდიმიდი,
არ გავსტყდი, არც შევუზარდი, ვირე არ მოვჰკვდი, მანამდი;
მოსკოვს, სტამბოლს და ისპაანს, მას შიგნით მთა და
ბარამდის,
ჩემის სახელის ძეგლები ყოვლგან დავასევ მანამდი.

1093. რაც ვამიყ ქნა, ვის უქნია, სხვას კაცს ასე საქმე ცუდი?
აეშალა ამ კარგ კაცსა ეშმაყის გულს დანაბუდი,
მოყვრობილამ გაეყარა ცუდი, ავად დანაყუდი.
ამ ხრმლოანსა ხელმწიფესა სამამაცო ბურავს ქუდი.

1094. ასრე უნდა, მტერმა მტერის იუ სირცხვილი გარდინადოს,
ჩერ ეს ჭკუა მოიგონოს, მისად შემწედ ღმერთსა ხადოს,
კვლა მალხდეს ზედა მტერსა, ყოფა ავად გაუხადოს
მტერი მისი შეარცხვინოს, სასახლოდ მისთვის დადოს.

1095. მიუხდა, ყველა წაართვა სამეფო, სადადიანო,
გურია, აფხაზეთიცა, ჰე, კაცო ზღმიან-სვიანო!
შვილი მან მეფედ აკურთხა, მოყმე ჩერე ახალიანო,
ვამიყ და მისნი მიმდგომნი, უყურე სად აღიანო?

1096. ოდიშს ჩავიდა, იქ დასვა იესეს შვილი, ზუგდიდისა.
მოყვარე იყო ამისი, მეცხედრე ე მამიდისა;
მუნ ინადირა ტყეები გარშემო დინაბოდისა.
აფხაზიც შემოიყარა, შიშით ამასთან მოდისა.

**აქა ბატონი თეიმურაზ მეორეს შააბაზ ყაენთან წაბრძანდა ქალაქით
სიბერით მოუძღურებული**

1097. გაბისტუმრა ყაენთანა. მიველ, დამხვდა, დიად, კარგა.
რას დღეს მიველ, მასვე ღამეს ჯერ შართლაც არ დამებარგა,
მოვიდა და მადარბაზა, ეს რასთვისლა დამიქარგა?
ძველის მტრისა სიჭეთემა ბოლომდისი არ ივარგა.

1098. ის ღამე და მეორე დღე ჩემს სადგომს სვა მხიარულად,
დაღალულსა, შორიელსა არ მაცალა ძილად, რულად;
მიალურსა მამასავეით თავმდაბლად და ტყბილად სრულად,
კვლავ მიბოძა უსაზომო, მას არ ექმნა დაკარგულად.

1099. რას ვაქნევ გრძლად მის ამბავსა? მარხვაა განა აღება!
მოცემას ანუ პატივსა ძნელია ხელით აღება.
რას ხელს ვკყრი ასეთს საქმესა, თუ ბოლო მალ მოეღება?
კლდოვან ღირღატთა ადგილთა ვის შეუძლია ბაღება?!

1100. დღე ერთ იყო ოთხშაბათი, როს ჯვარსმცემლთა ექნათ რჩევა,
ამ დღეს ერთი დიდებული ყაენს თურმე ენაძლევა:
„მას თუ ხორცი შენ აქამო, ჩამოგართვას შენა ძლევა.
ნაძლევი ვარ, რაც მიბრძანო, ჩემგან წამ ერთ მოგერთმევა“.

1101. მიველ, ხორცი მომიტანეს, მითხრა: „ხანო, ესე კამე“.
მოვასხენე: „მარხვა არის, სად ეგ სიტყვა, სადილამე?“
მიბრძანა, თუ: „რა იქნება, დამიჯერე, მე მამამე“.
კვლავ ხმამალლა უარი ვთქვი: „ვკამო, ღმერთი არ ვისამე“.

1102. გაგულისდა, თასი სავსე ღვინო პირსა შემაქცია.
მეც მაღალი სიტყვა ვუთხარ: „ვინც გნაძლეობს, თვალთმაქცია!
მე როგორ და მარხვის კამა? სხვას რჯულზედ ვინ მიმაქცია?“
მერმე მოტება, მიალურსა, კიდევ რითმე შემაქცია.

1103. აწ უყურე ხელმწიფობას: გაათავებს ღვინოსა რა, სობათს,
თვითან წავა აშრაფსა და მე გამგზავნის ასტარაბათს;

დამაშხამებს მის სიტკბოსა, შარბათის სმას, მერმე ნაბათს.
ამე ზამთარს მივიცვლები, წელსლა დაჰყოდ ველარ, აბ, ათს.

1104. გულსა სწადლა. თუცა კიდევ ვაეკაცობა მომეახლა.
ხანთ გამოსვლით და-ცა-ვებერდი, უძლურს ვითლა მომეახლა?
ჟამი ჩემი დაილოა, სიკვდილის დღე მომეახლა.
ძოლან რომე ნაძლევი ვთქვი, დრო ზოვიდა, მომეახლა.
1105. სოფელი ჩემის ცემითა არ დაშვრა რაზომ .დამჯილა,
ველარ გაგიძლებ სიკოცხლეს, რა მოკვდე, იქაც დამრჯილა.
ყოვლის ლახვრითა დამკოდვ, ერთი გაკლია ბარჯი-ლა,
ჩონხა ჩამიცეამს, მიცვლილ ვარ, აღარ დამასვა თავს ჯილა.
1106. ამე წელს მომცა კახეთი ყაენმა მე, ამის მთქმელსა.
წაველ, გზახედ თქვეს სიკვდილი, ვინ ეახლების ნათელსა.
თათრებსაც ბევრსა ერწმუნა, მივლენ, უნთებენ სანთელსა.
თავ-პირს იცებდეს შიწასა მის ნალახ, მის დანათელსა.
1107. დადუმდა ენა-რიტორი, ორღანო მზახი, წინწილი.
აქ გამოგზავნა ყაენმა იგ წმიდათ მსგავსი ნაწილი.
სამება მან აღიარა, იგ ერთღმრთაება, სამწილი.
მას კარ-განხმულნი დაუხვდეს სასძლო მზა, მუნ საქორწილი.
1108. ალავერდსა მოასვენეს, შეკრბეს სრულად მღვდელთ-
მოდღვარნი,
კათალიკოზი დომენტი, მათ განახენეს საყდრის კარნი.
მიასვენეს, მუნ დაკრძალეს მოწამეთა თანაკმარნი.
მოწამეთა აღიარეს, აღვლნა ცისა კამარანი.
1109. თავად ბატონი მეც ვნახე სიბერით მჯდომი კუბოსა,
ველარ ცხენს მჯდომის შემძლები, მტერზედა, ვა, უშუბოსა!
მისებრი სახელოვანი დედამ სხვა ვერვინ შობოსა.
კაცი რას გაიგონებდა მისის სიტყვისა უტკბოსა?
1110. მეფეთ აჰბავი მეფემა შეეპკრიბე საქართველოთა,
ვეკობ, გაამოს სასმენელთ, ვინ კარგა მოისთველოთა;
ხან გაიხაროთ ლხინზედა, ხან თვალიც დაისველოთა.
გვედრივარ, სული ნაკოდი თქვენ ლოცვით გამიმთელოთა.
1111. დიდება ყოვლი სოფლისა განქარდეს ვითარცა ავლი.
თუ სოფლის საქმეს აჰყევი, სასუფეველში ვერ ავლი,

ვითარ მოვსულვარ შიშველი, აგრევე აქადამ გავვლი.
მიჯობს წაძალი სულისა, საძებრად მისდა სამ დავვლი.

1112. არა განმართლდეს ყოველი ცხოველი წინაშე შენსა,
დღე ერთ იყოს თუ ცხოვრება ნუ ხანგრძლად ვინმე მოშენსა.
აურაცხელი წყალობა გაქვს, ზოგჯერ რისხვაც მოშენსა,
რალა ვთქვა, ტვირთი ცოდვისა მამძიმებს, ერთობ მაქშენსა.
1113. უქმი სიტყვისა ჩემისა, ვამე, თუ პასუხი მთხოვო!
ვიცი, ნაცვალსა არ მიგებ, ბოდიში თუ მოვითხოვო.
მე ნუ განმანჭრევ დაწვდა შენ, პურო, ცხოვრების ხოვო,
რა მაქვს, პასუხი მოგიგო, თანანადებნი მკითხოვო.
1114. ცუდად ყოფნით ამის მეტი სხვა ვერარა ვიმუშაკე,
ორსა წელსა მთა ვიარე, ვერსად ვნახე ერთობ ვაკე.
ყველა ვინმე კარგად დაძვდა, ვის ბერწი ჰყვა ან ვის შაკე.
მომძიოე შეცთომილი, ქრისტე, შენვე მოძიბაკე.
1115. ნათქვამია ესე ასრე: კაცს რომ მარტოობა ექმნას,
წინ დაიდვას ქუდი მისი, ვაბრჭობოდეს, ასრე ექმნას
ერთი უნდა რამ მიზეზი, სუბაობას შემოექმნას.
იმას ესევე ვამჯობინე, ბოლოც აღრე არ დაექნას.
1116. უნაყოფო არ დავადლო მე სოფელი, თუმც ვინ მაქოს?
უგბილთაგან მოწონებას ეს დია სჯობს, ბრძენმან შაქოს.
ჩემს თქმულზედან ყიბარჩობდენ, გაიგდებდენ ვითა მაქოს,
იშვებდენ და იხარებდენ, ჰკრებდენ დაბდაბს ზედა მაქოს.
1117. იცით, საუნჯეს უხმარსა სჯობს გაცემული ყოველი,
ვით ცის გამხმარსა ჰაერსა ზომიერ წვიმით სოფელი.
მართ უტყვი ბრძენიც ცუდია, თქვენც დაგმობთ, ამას მოველი.
ვითა მცონარსა — მოღვაწე, სჯობს უტყვისა გამომეტყველი.
1118. ქვეყანა არის ნაყოფთა მომცემი, გამომღებელი,
ზოგი ერთს ბევრად მომცემი და ზოგი გამბიციბელი.
ეგრეთვე კაცი იქმნებას მართ კარგის შეუძლებელი,
სხვა ბრძენი, ტყბილად მეტყველი, წერათილების მაუწყებელი.
1119. ჰმართებს ბრძენსა გონიერსა, რაც იცოდეს, არ მალევედეს, —
ესრეთ ბრძანებს სახარება, აღორძინდეს, არ გალევდეს:

„და-ცა-დევეთ ტალანტო, სავაჭროსა მოიძლევედეს,
სახიერი შესძინებდეს და მედგარი დამალევედეს“.


1120. ეთქვა: გაბართე ლექსებო, მომწყინდა სიტყვას ძებანი.
მას ეთქვა ტკბილად გაწყობით, ვის აქვს მეფისა ძებანი,
მწერალსა ველარ ევარგა დაღრმობილთ გამოძებანი.
სახლსა ვერ ამკობს სართული, სწორებით თუ არ ძე ბანი.
1121. თქვა ვინმე: ესე უგბილმან: „რაცაღა მინდეს სხვისაო?
წვეთი მე ცვრისა არ მნებავს, ღრმა კური მეზრ სიბრძნისაო.
სხვამ გონიერმან მოუგო: „არა ვარ მე მაგ ჭკვისაო,
ცვარი სიბრძნისა ჩემდა და, თუ გინდა, შენ ზღვა სეისაო“.
1122. მწვირეშიგ მკლომმან აყვედრა, ვის ცვარი აჯღა ზედაო,
შესძახა: „დასველებულხარ, მე გხედავ ავ-სახედაო“.
კვლავ თვალში ბეწვი უპოვნა. ვის თვითან ჰქონდა ხედაო,
მიუღეს: „შენსა ვერ ჰხედავ, საწყალო, ცრუ-სახედაო“.
1123. ბევრი საქმე უნდა სცადო, თუ გინდა გამოიცადო:
ბევრი უნდა მოითმინო, ავი კარგად მოიცადო,
ავი საქმე, ავი სიტყვა გულით აღარ გაიცადო.
რა ესე ჰქმნა, დახალსდე, ნაწველმან გაპოიცა დო.
1124. ეგ ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდი სხვასავით,
მაგრამ ცუდია გარევა ქართულს ენაში სხვას ავით.
იესო ქრისტე ვის არ გრწამს, მკვირს, სხვას ღმერთსა ესავით.
თუ იგ არ შეგწევს, ცუდია, მარტო ვერას ვიქმთ ესათვით.
1125. ორს მეღექსეს ჩამოისად სხვა მეღექსე მე ამებით.
არა მშუღხართ, ყველა გაქე, თქვენის თქმულით მეამებით.
რაც თქვენ დაგრჩა, მე ავკრიბე, ამას ნურგინ მედავებით.
სტუმარს დავხვდე ნახორხალით. თქვენით უკეთ მე ამებით.
1126. რაც მასმოდა, ან მენახა, ამბავი ვთქვი მე მართლები,
ანუ ლხინი, ანუ ჭირი ერთმანეთზედ დანათვლები,
სიმაართლე და კვლავ სიმრუდე, ვინ ბნელი ქმნა, ან ნათლები.
თუ შენდობას არ მიბრძანებ, წყევლას არვინ შემართლები.
1127. ცხრა თვეს ყველა გავათავე სულ ამაზედ არ-მოცლილმა,
ოსეთს ვიყავ ფაიქომში, საქართველოს გამოცლილმა.

რად ამაზედ მომაცალა სოფლის ბრუნვამ, ვითა ჩრდილმა?
აქ ამთარხანს გავათავე არჩილ მეფემ, ასრე ზრდილმა.

1128. მიხმს, ესე ჩემი ნათქვამი ვთქვა ყოვლთა მოსაწონარად,
ფასად მომცემდენ ქებასა, სიბრძნესა — მოსაწონარად;
დავაგდო ჩემად სახსოვრად, შენდობის მოსაგონარად,
თუ არვინ მიიხრას შენდობა, ვერა მთქვან ცუდად მცონარად.

ეს ლექსი დასაბამიდან ამ წიგნის გალექსვამდისინ რამდენი
წელიწადი ჩამოსულა, და ამის დაწყებაზე რამდენის წლის ვიყავ
და აწ თქვენდამი რა მოვა სოფლის დასასრულამდე, გაუწყებთ.
ამის უწინ ქართულის ლექსით არ თქმულა, ესეც იცოდით.
ქორონიკონი ლექსად:

1129. ვიწყე ოდეს ესე წიგნი, წლისა ვიყავ სამათობ-ტნით.
დასაბამით წელიწადი ეს წასულა ჩემ არ ბატნით,
მშვიდიათას ასოთხმოს ცხრას სათვალავს ნურას დასტმასნით.
ეს ჯდებოდა ქორონიკენად, სხვას ასოსა ნუ დამეტნით.



პისრამიანი

1. კურთხევისაგან სხვას კიდე შესატყვის ქებას ვინ ვიტყვით?
თორ ვინ მოგწვდებით გონებით, არ თუ გამოგთქვათ შენ
სიტყვით!
ნივთთ-შემოქმედი ოთხ-ნივთმან სრულად ვითარ შეგიტყვით?
რაც შენს ქადაგთა არ გვამცნეს, მის მეტად ვერ
გამოგიტყვით.
2. ყოველი ქვეყანა ფერხთაგან დაუტერფავი არ დამრჩეს,
ზღვა წვეთეულად აღმოვსწყო, უფსკრულით ცვარიც არ
დამრჩეს,
ცა თითთა შეუხებელი სივრცითა ვერსად გარდაპრჩეს,
ვერც მაშინ მივხვდე დიდებას შენსა, უფროსივ არ შეგრჩეს.
3. ვინ გხადოს კეთილისადა, იქნება ნება შენი სრულ,
ვინ გამოავლენს ბრძანებას წამ-ერთ, ანაზღარ შენ ისრულ,
მოადენ სიტკბოებასა, უხვად წყალობას შენი სრულ,
ჩვენ უსრულნი ვართ ცთომითა, მხოლოდ უფალი შენი —
სრულ.
4. გვიხმს, თუ ვიცოდეთ, ყოველყამ რა გვიღირს ჩვენდა სახმარად,
ლხინშიდ ვიყოთ, თუ სალხინო გავვიხიდეს ჭირ-მოსახმარად,
დიდებით სიღარიბესა ვეწივნეთ მუნ გარდამხდარად,
გემართებს მაშინცა მადლობა, ქვე სამ ვსხდეთ საქმე
წამხდარად.
5. თავი ეს არის პირველი, ღმერთს უნდა კაცი ესევედეს,
მას დაემონოს, რაზომცა ჭირს ჭირზედ გამოუსევედეს,

მოუთმენდეს და მადლობდეს, უდრტივინლად ნუთუ კენესევედეს,
მისგან ითხოოს საწადი, სიმართლეს მიწყვი სთესევედეს.

6. ვინცა დაუთმოთ, გვიბრძანებს, სრულიად იგი ცხონდესო,
ნუ უმადლო ვართ ჳირსად, თუმც ლხინი დაგვიყონდესო,
თორე შეუბრკმეს, დაეცეს თვით თავი ვის მოსწონდესო.
სასუფეველსა გვიქადებს, სხვა მას რა შეუწონდესო?
7. მამ, გემართებს, ვთხოვთ მართ ოდენ მოთმენა განსაცდელისა,
ყოველყამ გვექონდეს იმედი ჩვენ ჩვენის გაჰომზრდელისა.
თორე რა კაი გვინახავს უმისოდ საქმის მცდელისა?
ვინ მის წყალობას მოელის, იგიცა ცად აელისა.
8. ლმერთო, რაც გინდეს, მზასა გაქვეს შენ შენთა მოქენებისა,
თუ ქვათაც ბრძანო, აბრამის მსწრაფლ შვილად შეიქნებისა,
თუ ზღვას შერისხდე. გაშრება, მათთ ძრწოლა შეექნებისა.
რაც შენ არ გწადდეს, არვისგან ის კარგად არ იქნებისა.
9. ვინ რა იცის, შემოქმედო, საქმე შენი შეუძლები!
ყოვლსა სულსა საზრდო მიეც თავთავისი გასაძლები,
ველს ნადირნი, წყალში თევზნი, ჰაერს ფრინვენ ფრინველები,
შენ გმონებენ, შენ გაქებენ, შენ ვით მწყემსი გარ ევლები.
10. თუ შაირისა შექცევა მეც მომეც გასაძლებელად,
მოწყინებისა სევდისა ჩემისა გასაძებელად,
მამ, მიხამს, ენა მიბოძო ლექსისა დამატკობელად,
უმეტრად არას წავადგე ბრძენთაგან დასაგმობელად.
11. უქმად თქვენს სიტყვა, საუქმო სიტყვის მოხდაცა გვიბძანეს,
მამ თუ ეს უქმად ჩაეგდოთ, ამათ თქმა რად მოიწადეს?
ბრძენმან მეფეჰან თემურაზ, რუსთველმაც მწვედ დაიქადეს,
სხვათა ქებითა საქებრად თავ, ვხედავ, მათ გაიხადეს.
12. უქმის სიტყვის საშუქაფოდ თუ პატოი მიმეხდების,
ვით შევმართო ამის თხოვნა, რადგან ბოლოს გარდამხდების!
თორ უშენოდ საქმე კარგი არავისგან არ მოხდების,
არ გვედრო მოცემასა, ვიცი, ცუდად წამიხდების.
13. უქმად ამად არ ჩავიგდებ, რომ ესენი არ უქმობდეს,
ოდეს ყველას დრო დაადგეს, დასულდეს, ან ვინ უბნობდეს.

მე არ შემიხვდა დრო ამათი, მთქმელი თქმულსა არ ტყუოდეს.
მიმიძიხს, არამც ცუდათ დაეშვერ, მე მომწონდეს, სხვა
სწუნობდეს!

14. ვით გთხოვო ქება ცეცხლისა მოსავთა, შენს უცნობართა?
მაგრამ წაგებაძე ბრძენთ კაცთა, ჩემს პირველ მიჯნურთ მკობართა
ამ წიგნის სიტყვას აქებდენ არ ამბად, გაუწყობართა,
თუ კაი იყო, რად დარჩათ სხვის ამბვის ლექსად მბობართა?!
15. ეს იჭვი გულად მომიხდა, მათ ამად არ შეემართათ,
სიხშო, სიძნელე ამბვისა ლექსითა ვერ დაემართათ,
თორემ იმდენთა მიღუქსეთ რად დარჩათ, რა დაემართათ?
შენი შეწევნით აწ მეთქვა ეს უკუღმართი წაღმართათ.
16. მათ ბრძენთა ამად არ უთქვამთ, კაცი სულ ამას გასდევდეს,
დაებას მიჯნურობითა, გარ ბადედ მოიბადევდეს.
გაიჭრას ველად, გაფარდეს, ცუდი ხელობა სწადევდეს,
გარჯა-ტირილსა, სულთქმასა მოყვასთან დაიქადევდეს.
17. იმად თქვეს, მათმა ნათქვამმან შენს მიჯნურობას მიგვზიდოს,
შენ გეტრფიალნენ მონანი, შენს სურვილთ თვისად მოზიდოს,
ტვირთსა მსუბუქსა, უღელსა ტებილსა სიმდაბლით გაზიდოს.
სხვა ცუდათ წავა, ურგებად, ვით მოუჭიროს გაზი დოს?!
18. თუ მოყვარენი მოყვრისად თავს სიკვდილს არ არიდებენ,
მიწყვიტ ეძებენ ერთმანერთს, მიზნეს არარას იღებენ,
ლამეს უძილად ათევენ, დღეს ძაწოლით დააბინდებენ,
მერმე სიყვარულს დაღევენ, გასცვეთენ, გააფლიდებენ.
19. ან უამი დახსნის, ან სენთა სიბერე უმიძიხს, ესო,
ან მოსწყინდებათ ერთი ერთს, ვით ჩვენთ ბუნებათ წესია.
ყოველი ნივთი გაცვდება, რაც სოფელს დანათესია.
ვინ შენ გტრფიალობს, არ დაშვრეს, ვინათგან უკეთესია.
20. მაშ თუ ამ განქარვებადით სურვილით ასრე ვიწოდეთ,
შენთეინ რა გემართებს, უფალო, ვინათგან შენს ძედ ვიწოდეთ!
ვინ შენთეინ ვრიდეთ სიკვდილსა, ფუ ხმალი რად მოვიწოდეთ?
ამის მოქმელსა გვიხამსცა, ღია რამ თუ ვიწიწოდეთ.
21. ღეთისმეტყველმან სიყვარული ჭეროვანი მას უწოდა,
ღმერთი არსო სიყვარული, — ყოვლთა მიზლა მიგვიწოდა, —

მოვედითო, შეიყვარეთ უმანკოთ და უბიწოდა.
ოთხსავე კიდეს გააგონა, არ თქმისათვის იწიწოდა.

22. ვიცით. შენი სიყვარული არა სადა დავარდება,
არ მაღლოს, არცა ცრუობს, არც ვის ხელით გავარდება.
თან დაჰყვება გაუყრელად, ვინცა ველად გავარდება,
სიკბუჯით სიკვდილამდინ მიწყივ ყვავის და ვარდდება.
23. მაშ, გვახამს, შენი სურვილი რადგან სამუდამოდ გვეზდება,
ეს აღვირჩიოთ ჭაბუკთა, ბერთაც არ დამიზნებდება;
უძღურთ ახარებს, სნეულთაც, მრავალფერად გაუზნებდება,
არც ღარიბს სწუნობს, არც მდიდარს, არც ერთს არ
გაუნაზდება.
24. ლოცვა მუნ დატკბეს, რა კაცსა ჰქონდეს რამ კანდიერება,
დღე და ღამ აღარ მოსწყინდეს, დააგლოს ნებიერება,
ხორცს შეუტაცხდეს, არჩიოს სულისა შვენიერება, —
სხვასა სიბრძნისა უმაღლე ეს არის გონიერება.
25. ლოცვას აქვს დიდი სიამე, ვინ უფალს ოდენ ესევდეს.
მუნ მსჯარულობს მუშაკი, რა თესოს ამინდით სთესევდეს.
დროდ ნორჩი მიწად დარგული აყვავდეს, გაიფესვევდეს.
ხმელს ქვეყანაზედ მარცვალსა ვინ აზნევს, უნდა კვნესოდეს!
26. მონადირე სად მოიწყენს, სად ნადირი ხშირად ხვდება?
მეომარი გულოვანი მაშინ მტერს მხნედ მიუხდება,
კარგი ყოფის მეჭილდოვე ყვანდეს, ბრძოლა მოუხდება,
კვლავ სიჭაბნის მოკიცხავი, თვარე გული წაუხდება.
27. ზღვის ღელვისგან ნავთმოდღვარი მაშინ არი უწიშარი,
ოდეს ჰპოოს ნავთსადგური, წყალი ტკბილი, არ თუ მწარი:
ვაჭარიცა მის ოხრასა მით შებედავს ბერი წყნარი,
გაღმა ჰქონდეს სარგებელი, ერთი ორად მოსახმარი.
28. მემურასე მაშინ გასთლის თვალსა სწორად, არ თუ მრუდად,
დასხამს წმიდას ოქროშიდა, ფირუზს მოვლის გარე ბუდად,
შეახანებს ერთმანერთსა, კიქაც იყოს იაგუნდად, —
პატრონი ჰყვეს მეჭილდოვე, ხელოსანი არ შვრეს ცუდად.
29. მზარეული სანოვაგეს ტკბილად რასმე გემუზადებს,
რა უფალი მეკამნიკე უვის, სცნობდეს დანამზადებს,

კარგს მოუწონს, პატივს მისცემს, მებეგრესა გააზატებს,
თორე მარილს მეტ-ნაკლებსა უზამს, დასდებს რასმე
ზადებს.

30. ფარეში მაშინ ვერ დასდგამს სევანსა სწორად კარავსა,
თუ პატრონი ჰყავს ანეთო, სამსახურს არ აკრატლავსა,
კარგს კარგად არ ჩამოართმევს, არ ბრძანებს: „კაი. ჰკარ ავსა“.
მეფესა მცოდინარესა სხვა კაცი ვერ უსწორავსა.
31. ბრმის ყმა საქციელს არ ჰკრძალავს, მაგრამ ხმაჰაღლა არ
ყვირის,
ყრუსა მოფარვით ხმიანობს. სლოკინი ისმის მართ ვირის.
უზავთო-უმწყალობლოსა არავინ არ გააკვირის.
მონანი მხიარულობენ ბატონის უხვის, არ ძვირის.
32. გული მკუმუნვარე კაცისა სიხარულს არას ინებსა,
პირს ფერს გაუკრთობს, დააქცნობს ვარდსა ბროლსა და მ-ნებლა,
ჯავრს დაამონებს, ნაღველსა სიმძიმისავე მიჩნებსა.
სიბრძნე სად წარემართება, ტუბილს მწარედ მოასმინებსა.
33. პირი კაცისა სიხარულს გულისას ვერას დაჰფარავს;
თუმც ბაგე დახშავს, თვალევი ციპციმებს, წამს არ იფარავს;
კუმუნვასაც იგივე გაჩვენებს, ფერს სახე ავს მოიფარავს,
რაგინდ ღიმობდეს, მაშინცა კაცსა გავს ჯაბანს და ფარ ავს.
34. მოწყენილის კაცის ენა, იცით, მალე დავარდება!
თუ ისარას ფრთა არ აკრავს, სწორად შორს არ გავარდება.
ნავი ქალაქს მიმავალი უაფროდ ვერ შევარდება.
ცეცხლი ქართა უბერველი დაშრტების, ჰვე ჩავარდება.
35. რა გული, ჩემი ხელმწიფე, სიხარულს არას ინებდეს,
უმისოდ რა ქნას ენამან, ვის მკობდეს, ან აგინებდეს!
მას დასტურს სთხოვს და არ აძლევს, სიტკბოს რით
მოადინებდეს?
ცუღსა ლაყაფსა, უნდოსა კარგა ვის მოასმინებდეს?
36. რა სატურთალი რუსთველსა ბულბულები ეშხმან უვარდა,
მას მზერდა ენა სამკობლად, ამისთვის არ დაუარდა.
კახთ მეფემ ბრძანა: „ვმაცობ, ქვეყანას შემოუვარ, და,
სიბრძნე მაქვს, ხმალი, ნამუსი“ — ვაყებო, ვინმე უარ, და?

37. რუსთველი რასაც ჩემულობს. თვით მისვე, თქმულსა აჩნია,
მაგრა მას მნათობს ერთი ყმა საზმისოდ სად მიაჩნია!
წამს დაწვის მისის სხივთა მან მზემან მისნი ურჩნია,
ოდენ იაღონს მწვეგრვალი წყალობის ნამით გასჩრჩნია.
38. თუმც იგი ვარდი სოწმინდის წალკოტსა ამოსულიყო,
მას ბუღბულს სად ხელეწიფა საბუღბურად იქ მისულიყო?
მაგრამ ჭიკჭიკი სპისოდ საქებრად დას-დასულ იყო,
თავს აბრალეზდა, თუ მისთინ რაგვარად სულწასულიყო.
39. ვარდი მაშინ უტურფეა, დილას იყოს დაცვარულად,
ლაღად ვინმე რა მოსწყვიტოს წყნარად, ნაზად, კარგ-უსულად.
სატრფალომ ტრფიას მისცეს ღიმილით და მხიარულად,
სულიც მაშინ უამე აქვს, საყნოსელსაც ეცეს სულად.
40. იაღონსა თუცა უამი ჰქონდეს მისის ზახილისა,
არ ნიადაგ სწორად სტვენს, უამი ხვდება ხადილისა,
მაშინ ამოდ აჭიკჭიკდეს, რა დრო მიხვდეს წადილისა.
ჩიტსაც უნდა აღსრულება დროდ თავისა ქადილისა.
41. ძიღპირობ ცამან მოცვაროს და ბნელსა სჭვრეტდეს ღამებსა,
სახმილავ ოდენ ქაათმისას მოწმენდა დაამებზა,
გაოკრტნას, ჩაჯდეს ვარდს შუა, მაშინ ჰკრავს რასტ მულამებზა
მიჯნურთა, მოაშიყეთა სასმენელს დაუამებზა.
42. აგრევე მოშარეთა თითო ამინდი მოხვდება,
მისის ნებისა საქმისა გამართვა კარგა მოხდება,
ენაპზეობა, სიტყვისა მკვევრობა არ წაუხდება.
ჩემს სარგი შოთა რუსთველსა, მგონია, მისთვის უხდება.
43. ეს უფრო ძველნი მიჯნურნი რად დარჩათ ამბევით ქებული?
რამინ სად ნახეს ჰაბუკთა ერთს სხვაზედ რითმე კლებული?
ან ვისს რით სჯობდა დარეჯან, ზილიზან გაბოზებული?
მაგრა ვერ შესძლეს გალექსვა, მით დარჩათ ქვე
ჩაგდებული!
44. ვარდი რა წალკოტს არ ერგოს, შორს ჩანს
ფერ-დანაკლულდება,
ვენახი უმუშაკობით პარტახტობს, გაეულდება.
გულსა მკუმუნავსა სიცილი არარად არ მოუნდება
ვის საყნოსელი დახშვია, მირონი არ ესუნება.

45. მეღეკესესა სამს საქმეში ერთი მაშინც უნდა სკირდეს, ან ვინ ნიჭით ათქმევეინოს, საუბარი არ მისჭირდეს, ან მიჯნური ვისში იყოს, საყვარელი გულსა სკირდეს, ან მდიდარი, ნებიერი, საწუთროსა ხელსა ჰყრიდეს.
46. ეკალს ვარდი რა გასციენდეს, გავს, ბულბული — დანასულად. მეფეს მოხვდა ეს ამბავი, გული ჰქონდა დანასულად, ამოიღო ტყბილის სიტყვით უფსკრულთაგან კარგ-უხულად, ვერვინა თქვას მორევეშიგან ჩაეარდნილი ვერ გასულად¹.
47. მიჯნური სხვათა მიჯნურთა რა ამბავს თვისად სახევედეს, თავის მაგიერ უბნობდეს, სამუდმოდ ზედან ახევედეს, ვითა ორბირსა ლახვარსა გულსა მიდამო ახევედეს, ფუ მას, თუ ავად ლაყბობდეს და ცუდად რასმე სჩმახავდეს!
48. ნამეტნავად მაშინ უფრო სამიჯნურო რა მოედოს, მისთვინ ხელსა სააწყოთ თავი მისთვინ გარდაედოს, მის ამბვისა გარდალექსვას, თქვას, მიზეზი რა დაედოს. იმას რაღა ცოდნა ეთხოვო, თუ ეს კაცმან ვერ გაბედოს!
49. მიჯნური ლექსით მიჯნურთა ვინათგან ერთად შეჰყრიდეს, ან მოაშოროს საბრალოდ, რა ჭნას, ამბავი გაყრიდეს! თავის საქმეზედ მოსაზროს, მანვე თქვას, ხელს ვის აყრიდეს, ვით უხამს, გული გაავლოს, რეცა თუ შარს აყრიდეს.
50. მე რა ვქნა უცხოში უცხოს კარს მდგომმან და შინ ვერ შესულმა, მეფობისა წილ შორიელს ქვეყნად ღარიბად წასულმა, ჩარხთა ბრუნვითა მრუდითა უდროოდ გულ დანასულმა? ვინ არ ისიბრძნოს ჩემსავით ავად საქმემა მოსულმა?
51. მასპინძლის წილ მყვირალთ მხეტთა სულ მოუცავ გარეშემო, ჯობთა ნაცვლად ხელთა ვიქნევ, ეს ტყუილად არ ვიჩემო; ფერხთ მაგიერ იგულსა მკბენენ, არ მეტყვიან, თუ: „შინ შემო“. ეჰ, რა მიყავ, უკუღმართო სოფელო და ბედო ჩემო?!
52. ცუდად ყოფა მომეწყინა, სულა ფიქრმან დამალმა, ღონეს ვეძებ ღებენისასა, არამც მოვეკვედ ამალმა.

¹ ამ სტროფს აშიაზე შენიშნული აქვს დედნისავე ხელით: „ეს ერთი ლექსი ბოქოულთუხუცის ნათქომა, ფარემ ჩხეიძის-შვილისა“.

დია მიკვირს, რად გამხადა ასე დიდმან ამა ღამა?
მაშინც მადლი მოვახსენე მე იმისა სადაღამა.

53. თბილი წყალი მწურვილთათვის გრილია და საამოა,
პური შავი მახობელი მშვიერმან ვინ გადაგდოა?
ჩვილმა ყრვამა გასაძღომლად მშრალი ძუძუ გამოსწოა,
ღეჭდა ჩქარად ჭუჭყუნითა, რძისა გემო ვერა ჰპოა.
54. ვისგან იქნება, შაქარს და სამსალას ერთგან სტოხნიდეს,
სიმწარეს გარე ჯანსთხეუდეს, სიტკობობას კი ჩანთქმიდეს?
ან ენა სწორად უბნობდეს, თუ გული მას არ უთქმიდეს?
მან სიბრძნე ვითა წარმართოს, ვინ მიწყევ ქავრიოთ
სულთქმიდეს?!
55. არა ვშვრები ამაღ, რომე ესე ვისმცა მოვაწონო,
სრულთა მივეცე საზრდო სრული და ჩვილთა რძე მოვაწოო,
სხვათა ტყბილად შელექსეთა ჩემი სიტყვა შეუწონო.
ამად ვშვრები, შეიტყვევით, ქავრს არ მინდა დავემონო.
56. ამად ვშვრებო, შევმან ნისლმან დამფარა და დამაბნელა,
მუგუზს ვაქნეე წნოარისაა ღონედ რასმე ნელა, ნელა;
ევებ ერთს გზას წამაყენოს კარგსა სადმე, სად ნათელა,
ჭირნი ჩემნი არ წამიხდეს, ან სულ ქავრმან არ წამთელა.
57. საგნად დაღმუღვარ ჭირთადა, ისრად ნაღველსა მესვრიან,
მიზიდვენ ჩემად საკრავად შკლავ გაშლით, მიწყევ გვართან,
არ დამაცდენენ არც ერთსა, გულისად სისხლათა სვრიან,
წამს თუ მინდოდეს სიამე, მასვე წამს ხანგრძლივ წამგვრიან.
58. უაფროდ დიდის ნავითა ზღვას ნიჩბით ვინმე შემართოს,
ან გრძელი, ძნელი აზბავი უგულოდ ლექსად დამართოს,
მერმე მას უამსა საწუთრომ დიდება დიდი წაართოს.
რაცა მე მიყო სოფელმან, მტერსამცა ნულარ დამართოს!
59. კაცო, მიზეზს რაღას იღებ, რაც შეგეძლოს, ის აღმოსთქვი!
მეგას არვინ არ ჩავიგდებს, რაც რამ ჭირი შენი მოსთქვი.
რა დაძველდეს, ვინ გამართლდეს, თუ სამ სიტყვა ცული
წასთქვი?
ეს აზბავი, სხვათ მელექსეთ დანარჩომი, შენ გამოსთქვი.

60. მათ მიჯნურთ ცრემლთა ნაკადმან მართ დაჰავიწყა ი სალა,
 გული დამიდნო სურვილმან მათმან, რაზომცა ის ალა,
 დავლონებულვარ ლექსთა თქმას, ძნელი რამე აქვს თიშალა.
 ვთქვა, თუ ნუ ვიტყვი, რას მირჩევთ, ჰეი, არიფნო, ჩისალა!
61. ჩემთა არიფთა მირჩიეს: „ეგევ სჯობს ცუდს დახამებას,
 უდებებითა ყოფასა, დღის უქმად სულ დაღამებას.
 რა იცის, ეამსა რა მოაქვს, ან თვალის დახამებას?
 წაწყმედა ძალუც, იცოდე, ჯავრით თავისა წამებას“.
62. რადგან დამოწმდენ ესენი, მაშა მე რალა მართება?
 მაგრა ეს კიდევ მაყენებს, ვაქებდე რად წარმართება?
 სოფელი ესეე წინავ ძეს, ჩემს საქმეს სხვასც დამართებას.
 ბრძენთა ზოგი რამ გააგეს, ცრუ კაცი რას წარმართება?
63. სიტყვა-უღექსო ამბავი ბაღსა გავს აყვავებულსა,
 არ ხამს, ერთობით ვინ ჰკრეფდეს კარგსა და გაკუდებულსა;
 ან საჭურჭლესა ნივთითა ყოვლითა გამდიდრებულსა,
 იღებდეს სწორად თვალსა და რას გინდა გაიქებულსა.
64. ეს კაცს როგორ მითუხდება, თუ სირეგვნე არ მორევდეს,
 ვარდს, ნარგისსა, იასამანს შუა ღანძილს გაურევდეს.
 იაგუნდს და მარგალიტსა აყიყს საშნოთ შეურევდეს?
 ან მწყურვალი წმინდას წყალსა ასამღვრევლად დაურევდეს?
65. მელექსეს მართებს, რა მოხვდეს გრძელს აზბავს გაუწყობარსა,
 სწორად არ უნდა იტყოდეს ცუდსა და შესამკობარსა,
 გრძლად ნათქვამს შეამოკლებდეს, ანაზად მოსაღწრობარსა,
 უცებთა მიუხელომარსა, ბრძენთ ადვილ შესატყობარსა.
66. სადაფთაგან მარგალიტი მინდა სწორი გამოკვრიბო.
 ორნატს ღვარძლი გავარჩიო, წმინდა იფქლი შევიკრიბო,
 წალკოტს ნარი არ ვეძებო, სხვა სურნელი სულ მოვკრიბო,
 ბადე მოსდვა სანადირო, ეს დიდი ზღვა მოვირიბო.
67. გრძელი სიტყვის შემოკლება რუსთველისგან მერგო წილად,
 მეც რამე ვთქვა ორღანოდა, თუ მას უთქვამს ვით წინწილად.
 რამინ ვისიოთ არ დავაგდო ლექსთა ჩემთა უნაწილად,
 ეამნი მათნი საჭირონი გაუხადო საქორწილად.

68. კაცსა მართებს, რაც ვის სწადდეს, პირველადვე გულისხმავოს, გაფიქროს და გა-ცა-საზროს, ფიქრში დიდი ხანი დაყოს, საქნელი და კვლავ უქნელი გაარჩიოს, კარგა გაყოს, თორ მას რალა ზოზღნა უნდა, რა ვინ საქმეს ხელი მიჰყოს.
69. დროა, შევიდეს საუნჯეს ძველად ხელ-მიუყოფელსა, განვახვნა ლართა ზარდახშა, გაუყო ყოვლსა სოფელსა; ლახვრად ვლესევდე ლექსებსა, მიჯნურთა გულ-საყოფელსა, სხვანიც გაიჭრან მსმენელნი, მოშორდენ მათ საყოფელსა.
70. მომინდა წალკოტს მორება, მიდამო ვარდთ მოცულითა, ხეთგან სიბრძნე მოვისთლო, არ ქვემთრევთ მუნ დაცულითა; არ გავრყვნა, არცა შევირო, ნუთუ მოვკვეთო ცულითა, მოყვასთა ჩემთა მივართვა ამოსა ხმა უსულითა.

ბარბი პირველი

71. იყო სულთანი ტულღურ ბეგ ქვეყანას ზვარასნისასა,
სხვა რაც ხელთ ჰქონდა სამეფო, ვინ მოსთვლის სახელს
სხვისასა!
მორკმული, ლაშქარძლიერი, მრისხანე უამს ორისხვისასა.
ყოველი კაცი აქებდა ნაქნარსა მისის ზნისასა.
72. სულა სპარსეთის მეფობას უკლდალა ისპანია,
დიდებულთ ჰკადრეს სულთანსა, ვინცა ჰყენეს ხასნი ყმანია:
„ვინათგან დიდად განთქმულა ყოვლს ქვეყნად თქვენი ხმანია,
ისიც დაიპყარ, გვიჩვენე თქვენს წინა მონაყვანია.
73. ვიკადრებთ, მეფევ, წინაშე ლაშქარი იხმო სრულობით.
ქვეყნით, ქალაქით, გარემოთ, სახანოთ, თემით სრულობით.
ვინ არ დაგმონდეს, იხილო თქვენზედა არ ერთგულობით,
წამს იავარყავ ორგულნი რისხვისა შეუნდობლობით.
74. ხამს ყოელი მიწიერი თქვენს ბრძანებას მორჩილობდეს,
მხესა თქვენსა იფიცევდენ, ჩვენებრ სრულად ერთგულობდეს;
შენი სჯილეს სამართალი, ვინ ქერიობდეს, ან ობლობდეს,
ფერხთაქვეშე მოიქციო, თუ ვინ თქვენს წინ
ქედმალლობდეს“.

75. მეფეს სთნდა წარჩინებულთა რჩევისა მავალითობა,
პარ-მტყეცობა ველითა. თათბირთა არ ილათობა.
იხმო ლაშქარი კურვილი ცხენით და კვლავ ქვეითობა
წამს შეიყარნენ, ვის ძალუც დაყოენის დაბალითობა.
76. ხუთად გაგზავნა ლაშქარი საბერძნეთს, სომხითს, ქირმანსა,
ჰავაზს და მუსლილს იპყრობდეს, გარ დაუსხემდენ სამანსა.
თვითან მიპართა ისპაანს, იგინიც მოვლენ ჰამანსა.
ნახეთ, თუ თავის სახელი სად მიაწვდინა, ამან, სა?
77. ყოვლგნით მოვიდნენ მძლეველი ლაშქარი გამარჯვებული,
დამხარაჯველნი ქვეყნისა. ბრძანება გათავებული;
მოულოცვიდენ მეფესა. თვითან ჯდა ლალი, შვებული,
უხვად უბოძა საქურჭლე მუნამდინ ცუდად დებული.
78. ასლანის ელჩი მოვიდა სიტყვითა არ ცუდებითა,
მასთანვე მოჰყვა ბერძენთა მეფისა მწვე დიდებითა,
მოართვეს ძღვენი მრავალი, აევსო კვლაცა ქებითა,
ერთი ერაჲ ყირმიზი თვალი თქა-დაუდებითა.
79. ბერძენთ მეფესა რაც ეძღვნა, ვერ რიცხავს მთქმელი ლექსისა,
მაშიგან თვალი ერაჲ წონა დრამ ოცდაექვსისა,
იგ იაგუნდი წითელი წმინდას წყალს სულ აევსისა,
შესამოსელი უცხო რამ, ვერ მიგხვდი, ვის დაექსისა.
80. რა ყოვლგნით ელჩნი იახლნეს, სძინობდენ თუ მოდარბაზენი,
მუნებურნი და უცხონი, ქებათა ღიდთა შემთხზენი,
თაყვანისცემდეს, ეტყოდეს: „შენ ხარ მეფეთა ყოვლთ ზენი“.
ხელმწიფეც მხიარულად ჯდა, ლხინი აქვს მუტრიბთ საზენი.
81. შეიმოსა — ტახტზედ დაჯდა, თაყვანისცეს ყოვლთ მუსურმანთ,
ხელმწიფეთა შორიელთა და დიდებულთ შაჟელ, ქირმანთ;
ქება ჰკადრეს უსაზომო, მადლი მისცეს იმათ იმანთ.
გააერთა რვა სამეფო, ამოჰყრიდენ შუა სამანთ.
82. მეფეს ჰყვა მონა მრავალი ყოელს თემს გამორჩეული
მცირეთ ტომთაგან, თუ ძირად თავადი გადიდებული;
მათ შიგან ერთი უმჯობე, მათ უფრო სახელდებული,
მას აბუნასარ ეწოდა, კვლავ იბდალ-მელიქ ქებული.

83. ესე ჩნდა მათშო, ვითა შუე მნათობთა შუაობასა,
 ღვთის-მოყვარე და კაცთ სათნო, ავთა შორ, კარგთა სწრობასა,
 უხვი, მამაცი, მხნე, ბრძენი, უჭებდენ აქრობასა.
 ეძებდა უცხოთ ამბავსა, შაირთა მუსიკობასა.
84. რა ისპაანი დიპყრა მეფემან ქვეყნის მპყრობელმან,
 მუნ აბუნასარ ვეზირად დასვა სახელის მძებელმან.
 წესია, მონამ დიდება იშოვნოს მამებელმან,
 მოშიშმან, ზნეობიანმან, ერთგულმან მისანდობელმან.
85. სულთანს გამოჰყვა, დაბრუნდა, გზად მოხედენ ჯორჯანელნი,
 კაცი კარგნი და ქებულნი, სიტყვისა შემწყობელნი,
 ჰკითხა: „ვინა ხართ ვისის და რამინის შემცნებელნი?“
 იმათგან ფაფხურ გამოჩნდა მოამბე მწვე მცოდნელია.
86. ფაფხურ გონებას გაებჰო, თქვა: „ჩემგან ეს საქნელია,
 ფალავანთ ენა სპარსულად თუცა სათქმელად ძნელია,
 ვეცდები ვთარგმნო, ვინათგან ესე ჰყავს მომძებნელია,
 ამას ვამებ, სად ითქვას, დამრჩება მეც სახელია“
87. ფაფხურ პასუხი მიუგო: „მე ყველა კარგა მსმენია,
 ამო ამბავო, ბრძენთაგან ნათქვამი, თუ რამთენია,
 მათ სეფეს პირთა მიჯნურთა ცრემლი მრავალჯერ მდენია, —
 მიბრძანებ, გკადრო, ვიამოს თქვენ ჩემგან მონახსენია“.
88. იბდალ-მელიქ-აბუნასარ დაუმაღლა ფაფხურ ბრძენსა,
 თქვა: „ვით მწადლა, შევეყარე, მე ამბავსა მოსასმენსა“.
 უთხრა: „დიდად გამახარებ, ვალს დამადებ შესაძენსა“.
 ყმამან ჰკადრა: „რასა ღირსეარ თქვენს წყალობას მე
 მაგდენსა?“.

**ამბავი ვისისა და რამინისა და
 უხუცესისა ძმისა ვისისა შაჰისა მოაზადისა**

89. ფაფხურ თქვა: იყო ხელმწიფე მაღალი ადრბაგანისა,
 ყოველთ თემთა და ქვეყანათ მპყრობელი განის-განისა,
 დიდთა საჭურჭლეთ პატრონი, ლაშქართ ამღები სანისა,
 ზღვათა და ხმელთა მპირველი, მზიდველი ბარგისტანისა.

90. ხორასანი, თურქისტანი, პერაყ, ხვარაზმ, ქოისტანი
მას დაეპყრა სამამულედ. ვითამ ერთი საბოსტანი.
მრავალთ მეფეზე უფლებდა, მხნე, ძლიერი, საროს ტანი,
მან აწვივის ყოვლს წელიწადს, იყენეს მისნი მონაყვანი.
91. შაჰი მოაბად სახელად მას ხელმწიფესა ეწოდა,
ვეზირად ჰყვანდა ძმა თვისი, არ შორიელად ეყო და,
მას ზარდი ერქვა ლომ-გულსა, ხმალი მამაცად ეწოდა.
იყენეს მეფე და სულ ერნი, ცეცხლისპოსაენი ეწოდა.
92. ეს ზნე სჭირდა, ყოვლს წელიწადს ნავროზს და შეამკობდა,
მეფენი და დიდებულნი მოაწვივის, ვინცა ყმობდა.
რა გათავდის ნადიმობა, ყველა იმას არაკობდა.
სულ არ ძალმიც მოხსენებად, მცირედ ამაღ გაიბობ და.
93. დრო მოვიდა ნავროზისა. დღე და ღამე გასწორდების,
ჰაერიცა განიხარებს, მისგან სიტუო გამოხდების,
ხე და მდღლო აწყანდების, აყვავდება, გაახლდების.
ხელმწიფეთ და დიდებულთა სმა და ლხინი მოუნდების.
94. თუეა ძნელია კაცთაგან ამ დღის დიდების ხსენება,
სრულად გამოთქმა ენითა, მეფისა გამოჩვენება,
ლხინებთა წართვა დღე და ღამ, შვებისა გამოსვენება,
ჩვენ ცოტა რამ ვთქვათ წინაშე, ივისმინე თქვენ მოხსენება.
95. მარავს შემოყრბენ მეფენი კარგ-ჰაერ, კარგ-საათითა,
კვლავ დიდებულნი ქვეყნისა დედაწულითა მათითა.
შეენებოანთა მნათობათ... მზისაცა მოკამათითა,
მათთა მქვერტელთა უწყალოდ გულსა დაგვრემდენ სათითა.
96. გაიხენეს სარა-ფარდანი შათ-მათად დასადგომელად,
შესატყვის-შესატყვისობით, შესაფერ წილ სახდომელად.
ველნი ვარდითა ყვარდეს თვალთაგან მიუწდომელად.
მონათ წალკოტი შეამკვეს სნეულთაც ლხინ-სანდომელად.
97. მუნ საჭურჭლეთა მზიდაენი პილო-აქლემნი დავარდენ.
ყოვლის თემისა დედანი მოსაყურებლად ავარდენ.
ოდეს გააწყვეს წესისებრ, მეფენიც იქით გავარდენ.
მივიდა, დაჯდა მოამბად, უთქმელად ვერვინ შევანდენ.

98. მეფე მინდორს სრად მივიდა, ლხინთა იყო მგონებელი;
მოაწვივნეს, დასხეს რიგზედ ყოვლი მისი მმონებელი,
სხვა ზეზე დგეს ხელ-მოქლობით, თვის-თვის ხელის მქონებელი,
ყველა ლხინთა წადიერნი, არვინ ჰირთა მსხნებელი.
99. დედოფალი და ხათუნი პირველვე ისხდენ მკობელნი,
კეკლუცი, მოციმციმენი, ჩაწყაპით მუხლ-დაწყობილნი,
ვითა წმინდასა ოქროსა აღმასნი შიგ ჩაწყობილნი.
მუტრიბნი კვრიდეს ტკბილს ხმასა სულ ერთად ხმა-
შეწყობილნი.
100. ვარდის აშიყი ბულბული ვარდს ზედა დაჰიკვიკობდა,
მგოსანთა შეიბანებდა, ლექსითა გამოიბჰობდა.
მათ მნათობთ პარგალიტები ძოწს ქვეშეთ გამოკვიკობდა.
დიდი ხელმწიფე მოჰაბად მათის ეშხითა ბიკობდა.
101. აჰმევეს მუშკი, ამბარი, შური, გუნდარუყი, ლალია;
ეგზომი კვამლი ავიდა, ცად საესე მთვარე გალია.
მათ კეკლუცთ მკვრეტთა გულუბი დაედნო, თუცა სალია.
არა აკლდა რა მუნ მსხდომთა შვენების ნატამალია.
102. ჯდეს მთვარე ვითა ბაკს შუა შარო, მაჰბუხტ და ნასლაქით,
მანოშ. ზარინგეს, შარინით, შაქარლბ ვინმე მალ აქით;
იასამან და საიბალ, აბანოს ვითა მალაქით,
შინამ მონაზენითა მკრეტელნი ექმნეს ალაქით.
103. სვე-დოვლათი მთის უმძიმე ჰქონდათ, სევდა — არც ბზის წონა,
მუნ მნათობთა ბროლის ყელზედ უშვენოდათ ვარდის კონა.
მათ მიჯნურთა სხივი მათი გულსა ლახვრად განეწონა,
ხელმწიფესა შარო მათგან ყველას უფრო მოეწონა.
104. დედათა ჰქონდა მსგავსება ორ-ოლნი ფერად ლალისა:
ერთი ღვინისა შუქისა, სხვა ღაწვთა არ ნამქრქალისა.
მკვრეტელთა გული დაუღვინის, რაზომცა გაესალისა.
მათის შვენების გამოთქმა ვის ძალუც ნასამალისა?
105. ზოგნი აპარეზს აბურთის გადრით თუ რადაბრაგანით,
თავით თავადინ გაქონდათ ბურთი სულ სწორად, არ განით.
სხვა შუბსა მღერდენ და სხვანი ისროდენ ჭილდოთ საგანით.
მუნ ცხენოსანსა აეს მხედარს არ უშვებდიან არგანით.

106. ერთს კვირასა ამ წესათა ლხენი იყო მათგან ქმნილი, როკვიდეს და თამაშობდეს ერთმანეთის ატანილი. ბევრა ვნახეთ იქ ნასვამი მთვრალი ხელით გატანილი. მეფემ გასცა სულ ერთბირად საქურტლე იქ მიტანილი.
107. პირდაპირადმ ხელმწიფე სჭვრეტდა მნათობთა კრებულსა, გაემიჯნურა შაროსა, მთვარესა პირ-გავსებულსა; მუტრიბს ამღერებს, აშუშპრებს კეკლუტ ქალ ხელ-მოდებულსა, გასცემს სალაროს, საქურტლეს ყოველსა მუნ მიკრებულსა.
108. მოაბად გაიჯნურება ამცნო გარდმოვლით შაროსა, მან თქვა: „ვინ აუგისათონ საწუთროს მიაშუროსა, მიენებების ყმასავით, არ ეტყვის, არ, «აშოროსა», მერმე გაჰკიცხავს, ესე მე, მეფევე, შორს მომეშოროსა!“
109. მოაბად უთხრა: „ჰე, ვარდო, მოციხრად მოუბარეო, მხიარულადმცა გიხილავ მიწყით-მიწყამდინ ბარეო! შენ ვარდმან შთასა ნაყოფმან, მოდი, აქ დაიბარეო, ვენახის ვაზი სანორჩეთ აწ ჩემით დაიბარეო.“
110. რადგან სიბერეს ასეთი ხარ გულის წამლებელია. ლიჭბუჟის ემს შენოდნათ რამც იყო სავებელია! სული ვით შერჩა, ან ცნობა, ვინა გვევა მომძებნელია?“ მან თქვა: „ხელმწიფევე, არა აქეს მაგ სიტყვას სარგებელია“.
111. შაანშამ მისგან ნიშანი ვერ ჰპოვა თავის ნებისა, ვერც დადუჟება, ვერც სიტყვა მორბილო, დამონებისა, შეიკვდიმაცა მეფემან მისისა მოხსენებისა, მისმან სურვილმან გზა მისცა ამ საქმის მოგონებისა.
112. უთხრა: „მზეო, რადგან შენი შუქი აღარ მომადინე, მე კადრება უმეტრული, სიტყვა ყბელი შევარჩინე, მაშ, ასული შენი შემრთე, სულა შენთვის შემარჩინე. ბედი ჩემი ბედნიარი ამით უფრო გააჩინე.“
113. შენა გვარი შენებრ ჩემსა სრასა მჯდომი ანათობდეს, რომ ნაყოფი თესლის მსგავსო მასმია, რომ ამოლივდეს. მზეს თუ ვპოვებ მიწიერსა, ცად, რას ვეძებ, საცა რბოდეს? ტახტსა დაჯდეს სადედოფლოს, მთვარე ველარ ამაყობდეს“.

114. შარომ ჰკადრა: „ხელმწიფეო, მე მაგისტვის გული მტკივის, ბევრჯელ ჩემს წილ მიტირია, ყარან-მეფეც დია ჩივის, მაგრაამ, შენზან დღეთ სიგარძემან, ჩვენ ასული არა გვივის. განალამცა მოგახსენოთ, თუ აწ ბელი ასულს გვივის“.
115. მოაბად შაროს საფიცი წიგნო სოხოვა და მანც მოსცა: „უფალმან მომცეს ასული, შენ მოგცე, შენ გაამოსცა“. უქნელმან საქმემ მათზედა რა ქნა, ორმანვე ნახოსცა! შაირ-მოაბად მის გამო უნდა, რომ ბევრჯელ ახოსცა!
116. მოაბად ოცდათ წელს უკან ქალსა სთხოვს, შაროც ათხოვებს, სულა-სამისოდ არ აძლევს, ასე ჩანს, ვითამ ათხოვებს. ჰკუთამყოფელი ხელმწიფე რას აქნევს ცოლსა ნათხოვებს? მოაბადს მისი ნარჩევი სიკვდილსა ბევრჯელ ათხოვებს.
117. შარო გვარად ნატამალი იყო დიდის ჯ-მშედისა, ადამს აქათ ჩამოაულთა მუხუთისა ხელმწიფისა, ვაროს დედა და მეუღლე მეფის ბერის ყარანისა ეტლს არ უნდა დანებება მოაბადის იმედისა.
118. საწუთროს საქმის სიძუხთლეს ვერაჟინ ვერ მისწვთებიან, ნასყეს შეჰკრავს, ავად დახლართავს, არაგუს მოეთენებიან, ათასის ცნობით, გონებით აღარვის გაეხსნებიან. ვერ ხელავს შაინ-მოაბად, ვერც შარო, თუ რას შერებიან
119. მათგან დასკვნილსა საქმეზედ საწუთრომ ხლათვა დაიწყო, საკვირველს საკვირველები უმატა, სულ წინ დაიწყო. ვნახოთ, ვით გაჰყრის, ვინ მისგან სასიძო მძახლად შეიწყო. მოაბად მისი საწყაევი ას-წილად უფრო მიიწყო.
120. რა მტკიცე ფიცი სასიძო მათ შუა დაიდებოდეს, ლხინ-ნახულნი და შვებულნი თავ-თავად გააყრებოდეს, ერთმანერთისა სიყვარულს თვალნი ძლივ მოშორდებოდეს, საყვარელს სიძე-მძახლობას სხვა რალა შეედრებოდეს!:
121. ჩარხთა ბრუნვამ ეს ამბავი სხვას საქმეზედ გარდაიღო, დაავიწყდა ყოველს კაცსა, ეს ფიცები ვინ მოიღო; მაშინ შარომ იგ ძვირფასი მარგალიტი მუცლად იღო. ერთმან ვინმე ეს ამბავი მოაბადს წინ წამოიღო.

122. ოცდათი წელი გარდახდა, აწ შარომ იორსულაო.
რა ქალი შობა ნზის შსგავსი, ამქმელმან ეს ისულაო.
ამიანელთაჲც უმოწმეს: „ბნელი განათლდა სულაო,
აღმოსავლეთი ყოფილა, მზე იქ თუ ამოსულაო“.
123. იგ მთვარე ძიძას შეჰვედრეს, ხუზისტანს გააბარესა.
რამინიც საზრდოდ მასვე ჟამს იგიც მუნითვე არესა,
ამად რომ ხუზისტანისას აქებდეს დია აერსა,
ორი ბრწყინვალე ვარსკვლავი ერთმანერთს მიაბარესა.
124. რამინ — ძმა მოაბადისა, მასვე ჟამს მარავს იშობა,
დღე-ღამით ერთი შანშასი, არსით ეთქმოდა ბუშობა.
დია უყვარდა მეფესა, აჩნდა სურვილის ნიშობა,
ნებიერად ჰყვა, გულს ჰქონდა ხვარასანს სიცხის შიშობა.
125. ხუზისტანსა ჰაერ-ნაქებს გამოგზავნა გასაზრდელად.
ვისიც მუხნვე მიეზარა ძიძას, ვინ ჰყვა მას გამდელად.
ნასრანი და აღრავუნი ვით ერთს ბალში ყვავდეს ჰრელად,
იზრდებოდეს ნებიერად ერთმანერთის შესაყრელად.
126. ვინ იცოდა, მათი საქმე თუ საზომსა მას მიაწევს?
ამ ამბვისა შომსმენელმან სცნას, სოფელი რას მოაწევს;
უხვიანო, ცრუ, მტყუევანი, ბოლომდის: არვის შესწევს;
ლხინსა არვის გაუთავებს, რაგინდ თავის ნებით აწევს.
127. მომავლის საქმის ყვედრება არვისგან მართებულა,
მისთვის რომ ვერვინ მოჩჩება, რაც ზენით გაგებულა.
ამ სოფლის ღზინი და ჳირი სასწოროდ მოგებულა,
ერთ-წამი არის ორივე, ეს ასე დადებულა.
128. სოფელი ესე სიცრუვით მცირეს ყრმას შეედრებია,
გაცინდეს — მოგცემს; ატირდეს — მისავ გთხოვს, არ
გეხსნებია.
ვინ იცის, კაცი ღზინსა და ან ჳირსა სად მოხედებია?
დღეს მშვიდობასა, ხვალ შფოთსა ანასდათ შეესწრებია.
129. რამინ ასე მოიწიდა, ვარდსა ია მოეხვივა,
საულვაშე აუმწვანდა, ვით აპრილმან აალივა.

იგი ნორჩი სასურველი ედემს წყარომ მოაწივა.

ვარდს ბულბული დაავიწყდა, მისთვის ხელი მას დაჰყივა.

130. ბრძენთა რაჰინის საქებრად ქება არ მიუწვდებოდეს,
მას ხელოვანი მხატვარი დასახვად ვერ მიხვდებოდეს;
ცდილობენ, თუმცა ემსგავსათ, ვით მის სიკეთეს ხვდებოდეს.
ცუდად შერებოდეს, არ იქმნის, კალამი გაუცვდებოდეს.
131. ქებათ გოდოლთა ძისა ვარ, რად ვგონებ თავსა ასლვასა?
წყაროთ ნაკადსა დაქსურავ, ვით ვაზმნობ ნილოს[ს] გასლვასა?
მზის მწვერვალს ძლივ სამ შევსკვირენ, — სად შევესწრები
დასლვასა?
მე შესხმის ზღუდე თუ ვნახე, ვინ ზორავ შიგნით შესლვასა?
132. მრავლისგან ცოტა სიკეთე მიტქვამს რამ თუ რაჰინისა,
შენება მზეებრ პურისა, ღაწვს ფერი ე რამ ინისა?
თვალ-შავ, წარბ-მშვილდი, წამწამი მკვრეტელთა გულს
ეგრგინისა,
წვერ-მერცხლის ბოლო, თმა გრუზი, სული ფშვის
ზომირინისა.
133. მონადირე, მონავარდე, მოკადრაჲე მხიარული;
ძალად ლომი, გულად ვეფხი, ფიცხი, კარგად მოარული;
კვლავ უსახო მშვილდოსანი, მობურთალი, სრულ ზნე-სრული.
ვინცა ავად შეხედვიდა, დასწყევდიან: „იყავ კრული“.
134. მისის ჟამისა მოყმენი სულ-წასვლით იახლებოდეს,
ნადირობდენ და ბურთობდენ, სურვილით თავს ევლებოდეს:
მაყურებელთა მისთაგან გზად აღარ გაივლებოდეს,
რა ის ასპარეზს იმღერის, სხვა ყველა მოიშლებოდეს.
135. მის მზე-გრძელობას ღეთისაგან ყოველი სული ითხოვდის.
რაზომ მთხოვარი მოადგის, არავის არ დაითხოვდის,
რაგინდ რომ ბევრი მიეცა, ბოდინსაც თან მოითხოვდის.
მისი მებრძოლი თავის ძალს დაგმობდის და ეკიცხოდის.
136. ქება საქები რაჰინის ამბავი ესმა მოაბადს,
ღმერთს მადლი მისცა, გლახაკთაც მრავალთ ქონებას მოაბადს;
დიდებულთ გზავნის საზმობლად მასთან, ვის ვისი მოაბადს.
ხუზისტნით მეგრს წაიყვანეს, ვით მკედარი მოჰყავთ მოაბადს.

137. ძიძა სწერს შაროს ფეცხს წიგნსა, არა აქვს სულ-გვიანობა:
„გაკვირვებულვარ, სით მოგიოქს ეგეთი გულ-ქვიანობა?
რა გიშობია, ოღითგან ცისკარი, პირ მზიანობა,
დაგვიწყებია სიცოცხლე, ბედი და სვე-სვიანობა.
138. არც შეიღს იკითხავ, ჩემად ხომ, იცი, რაც გიბრძანებია,
შე-არ-ექცევი სურვილსა, ვისცა მზე დამონებია.
გაზრდილა ნებიერობით, თუმც თქვენ არ მოგხანებია,
დაშვენებულა უებროდ, თავი მით მოსწონებია.
139. შავარდნის მართვეს უწყია პაერად ამალღებო,
ვშიშობ, ეს ბუდე დაადღოს, სხვაგნითყენ იწყოს რებო;
ბრძენთა თქმულია: «სწადიან მსგაესა მსგავსისა ხლებო»,
უებროს ადამის ტომსა მარტო ვით გაეძღებო?!
140. თუცა ყოველსთან შეწეენით ღვთისათა ჩვენ გვეშობის,
ამის გუნების საქმესა არვისი ხელი მისწვდების.
რაზომ ტურფასა საცმელსა შეუმკობ, არ მომეხსნების,
სამოცს ფერს დასდებს აუგსა, ვერ ვპოვებ ამის გუნების.
141. ყვითელს მოვართმევ, მიბრძანებს: „ეს სნეულთ სამოსიაო“.
წითელს მოვიღებ, გარდაგდებს: „ეს სრულა ბოზთ მოსიაო“.
ლურჯს ხელს არ ახლებს: „მგლოვარეთ ეს უხმსთ და
უფროსიაო“.
თეთრს ბერთად იტყვის და ორს ფერთ — „მწიგნობართ
საფასიაო“.
142. დილის პარილსა მოითხოვს, შუადღე — ოქროქსოვილსა,
სალამოდ ოქსინოსასა — ძვირფასად გამოზომილსა;
წამსა და წამსა სხვაფერსა, კაცთაგან ძვირად შოილსა,
პურის ქამის დროს ჯამ-ტაბაკს ოქროსას წმიდად დნობილსა.
143. ნადიშხედ უნდა გვერდს ახლდეს ოთხმოცი ქალი სუფთები,
გვარიანი და კეკლუცი, საშოვრად არ თუ მუფთები;
ას-ასი მონა-მხევალი სრულ ოქრო-სარტყლსანები.
მე ამას თავს ვერ გაუვალ, აგრე ვერ გავიფდები.
144. მე ვინა ვარ, ხელმწიფის შეიღს ვზრდიდე, ვითარცა მას უნდეს?
ან სით უშოვნო საბრალომ, ანასდად რალაც მოუნდეს?

თათბირი ჰქენი, მანდ იხმე, ღრუბლით მზე აღარ დაჰმუნდეს,
წარბმან, მშვილდმსგავსმან, წამწამმან სათმან მარმარი

მოინდეს“.

145. ბოლოს არაქსა თან ატანს, ვითამ რამ საგზალიაო;
„ათს თითს თავისა ერთისა საქმე არ შეუძლიაო,
არც მზესთან მრავალს ვარსკვლავსა სინათლე გაუძლიაო“.
წარვიდა მონა წიგნითა, მიართვა, მიაძლიაო.
146. შარო იკითხავს ამბავსა, გული სიხარულს გაჰკრთებოს,
შვილისა სიკეთისათვის სარო ზე აემართების,
ლმერთს მაღლი მისცა: „წყალობა შენიმც მე წარმემართების“.
ამბვის მიმტანსა მრავალი უბოძა, ვით ემართლებოს.
147. მერჲე გავზავნა ყველა რამ, რაც ხელმწიფეთა ჰვლებოდა,
მონა-მხეველნი, ხადუმნი; წინ მათ ვინ დაუხვდებოდა?
კუბო მურასა ოქროსი, მას მზეს ვით მოუხვდებოდა.
ძიძას ეგზომი უბოძა, ანგარიშს ვერ მიხვდებოდა.

ხუზისტანით მოჰვანა ვისისა

ამიანის ქალაქსა

148. ხუზისტანით მოიყვანეს ეს მთოვარე ამიანსა,
განანათლა იგი არე, ღამეც გვანდა სრულ მზიანსა,
ბალ-წალკოტი ყოველს ეაჰსა დაემსგავსა ვარდიანსა.
მუნ დარბაზსა შემკობილსა ტახტსა დასვეს ზარიანსა.
149. მშობელთ რა ნახეს ასული, შვებითა აივსებოდეს,
მთვარე დღე ათხუთშეტსა მისებრ ვერ გაივსებოდეს;
შუქთა მისთაგან ციერნი ვარსკვლავნი დაივსებოდეს,
ჩინელთ მხატვარნი ნაკეთსა და მის სახეს განცვიფრდებოდეს.
150. სჰკრეტდენ მზესა და მას შუა იყენენ სრულ საცილობელად,
ეს აჯობინეს იმასა, შეიქნეს მისად მგმობელად.
ყოველნი კაცნი ნატრიდენ, ვინ იყენენ მისად მშობელად,
განჰკრთენ, განცვიფრთენ ბრძენნიცა, ავარდენ
მსახიობელად.
151. შეამკო, ვითა წესია შვილთ-მოყვარისა მშობლისა,
სცხო მრავალფერი სურნელი ძვირფასის ნელსაცხებლისა.

დაადგა თავსა გვარგვინი მარგალიტ-სა ობლისა,
დააჯობინა სახესა, მანი ჩინელის მკობილსა.

152. დედამ უთხრა მის ასულსა: „ქვეყნად შენებრ არვინ არი,
არვინ ვიცი ხელმწიფეთგან შენს საჭუფთრად მოსახმარი,
ჩემის ძისგან, შენის ძმისგან, შენთვის იყო შესაწყნარი,
კვიროს გშევენის შეირთო, შესაფერი შენი ქმარი.
153. ნატამალი განგვიმრავლეთ, ამ მძახლობით გაგვახარეთ.
და-ძმანი ხართ, ჩვენი შეილნი სასაძო-სძლოთ შეეყარეთ.
დრო მოსულა ქორწილისა, ორნივე მ-ს დროს მოიყარეთ,
ვარდ-სუმბული, მუშკ-ამბარი ერთმანეთსა გარდაყარეთ“
154. რა ეს სიტყვა ვისსა ესმა, სირცხვილითა ფერი ეკრთო,
გაწიოლდა და სიყვარული ძმისა გულსა ზედ დაერთო.
არც ნდომა თქვა, არც უარი, თურე ნება მისი ერთო.
ან დედ-მამათ, ან და-ძმათა ვით გაბედეს, ახა, ღმერთო?!
155. დედათ უგრძნეს, დასულემა ქალთა ნდომის წესი არის,
შაროს უთხრეს: „საქორწილოდ მოემზადე. სიტყვა კმარის,
ქმენ ქორწილი მართებულ, მიზეზი გაქვს არ სიწყნარის,
ძისა შენის სასურველის, ასულისა მზის სადარის“.
156. მოაწივნეს მეფენი და დიდებულნი მათ ქვეშ მყოფნი,
შორეულნი თუ ახლონი, ან ვინ ჰყვანდათ განაყოფნი,
მუნჯიბნი და მოლანი, ეშმაკურნი ფილოსოფნი.
სამოთხე ვით დააშვენეს საქორწილო სრა-სამყოფნი.

ქორწილი მისისა და ძმისა მისისა კვიროსი

157. ყარან მეფე მასპინძელი ამ დღის წესსა წარმართებდა.
ქორწილი ქნეს, სიძე-სძლისა სიკეთესა ვით მართებდა.
შვენებასა მათ ქალ-ყმათას კაცი თვალს ვერ შემართებდა.
მათთა სხიეთა შარავანდნი მზეს წყვდიადსა დამართებდა.
158. დედ-მამისად ძე სიძედ და ქალი რძალად იქმნას რათი?
ძმამ და ცოლმან ვინ შეირთო, ან დამ ქმარად თავის „ბრათი?!“
მათ შვილთ ექმნა მამა-ბიძად და მამიდად დედა მათი.
ვეპვე, მართებდესთ სიყვარული, ერთმანერთის არ კამათი.

მოზაბადის ძმის ზარდის მოციქულად მოსლვა

159. ხე რა-მართლიად არ დარგო, სიმრუდე მუნვე ეტყობის, საქმე რა გაიჩვენებოდეს, თავს კარგად არ შეეწყობის, ისრის სისწორე, მშვილდისას მოზიდვას თან შეეტყობის, აგერ ვისი ჩანს სვე-ბედი, მის ნებად არ მიეპყრობის.
160. ამად რა დასხეს ტახტზედა, სიძე-სძალს მიულოცევდენ; ანაღად შავი ღრუბელი მზის შუქსა გარ შეიცევდენ; ვინცა იტყოდეს დღეაო, სხვა შეღამებას ფიცევდენ, ბრძენი და ფილოსოფოსნი ავ ნიშნად დაამტკიცებდენ.
161. მასთანვე კაცი გამოჩნდა შავ-ცხენა, შავ-აბჯრიანი, — სახელად ზარდი ეთქვოდა, — მართ სუბად, არ ჯარიანი, კუბო მოჰქონდა შემკული ისფრიან, კვლავ ზარიანი. ძმა იყო მოზაბადისა და ელჩი ხმა-ზარიანი.
162. ცხენით წადდა მათ წინაშე თამამად და ამაყურად, კვლავ ბოდინი მოიხადა პირ-მკ-სად და უმადურად: „ასე მაქვსო ნაბრძანები, ნუ დამდებთო საყვედურად. სხვა ამ წიგნმან მოგახსენოსთ, რაც საქმე მაქვს თქვენ დასტურად“.
163. რა შარომა ზარდი იცნა, ლხინსა კირმა გარდაჰატა. ცხენით წადდა მათ წინაშე, შაროს ხელთა მისცა ქარტა; გახსნა წიგნი. წაიკითხა, სიტყვა ტკბილი, ცოტამატა, მუნ თავისი საფიცარი ნახა, მოდრკა ვითა კატა.
164. კვლავ ზეპირი სიტყვა ჰკადრა შაროს ლაღმან მოციქულმან, თუმც ამონი სიტყვა იყენეს, არ შეუშვა კარგა გულმან. რა გზად მიხვდეს ღრმა ტალახი, რა ქნას ვირმან მოკართულმან? აგრევე შარომ სირცხვილითა ქვე ჩაიშთო მოკაზმულმან.
165. ვით გველი წელმოწყვეტილი, იქით, აქათ ყელს აგდებდა, ამად რომე საფიცარი მას წიგნს ძე ღმერთს შეაგდებდა, თავის ხელით დანაწერი ნიშანი ცეცხლს მთუდებდა. სტუმარნი მათ მასპინძელსა იმედს არვინ არ უდებდა.
166. მას წიგნში თავს ეს ეწერა: „ღმერთი სამართალს გვიბრძანებს, იგი მოწყალე ერთმანერთს არას კაცს არ გვაძაბუნებს.

ვინ ფიცსა გასტეხს, აღთქმასა, უფალსა მას გაამგუნებს,
მცირეს ხანს თუცა მიუშვას, ბოლოჲამს მწვე დააქმუნებს.

167. ვინ ექვსსა დღესა ამდენსა არსსა აარსებს უარსო,
ცათა სივრცესას, ქვეყნისას სიმგრგვლესა გარე უარსო,
ის შეპრისხდება, ვინ ფიცავს და მერმე იტყვის უარსო,
სიცრუვე-ფიცისგამტეხლობით თავს ვერვინ შემოუარსო.
168. ვინც სამართლისა მატებას ეძებს, მას გაემარჯება,
მიწვივ წინამძღვარ ექმნების, საქმეც მწვე წარემართება;
მართლას-მოქმედსა ბოლოჲამ ავი არ დაემართება.
მეც ამას ვეძებ შენგანა, შენგანც ეს არის მართება.
169. ჩვენ ორნივ სიყვარულისა პირითა დამზღვარებულვართ,
ღმერთი გვიფიცავს ცხოველი, ვინ მისგან დაბადებულვართ;
არ ზაკვით, ფიცის ტებითა, სამართლით განვმდიდრებულვართ.
მას ნუ უარეყოფთ ნურავინ, სიკვდილსა მივახლებულვართ.
170. მაშინ არ მომეც, ოცდათს წელს უკან გეშობა ასული?
ჩემის ბედითა მოგეცა, თუარ დღე გაქვს შენ გარდასული,
ფიცს ნუ გარდახვალ, რომელი მალსა ცამდია ასული.
არ წავერთმიოს, მიბოძე, მეც ვიძღვნა, ვინდეს, ა სული“.
171. შარომ წიგნი გაასრულა, თქვა: „ვაგლახ მე, რა მიქნა?
პარველ ღმერთი გამიწირავს, ხელმწიფე მტრად შემოქნია.
ყოვლს ზენარის გამტეხელსა ასემც ბოლო დაუქნია!
ჩემებრ საქმე უმეცრული ბრძენთა არვის არ უქნია.
172. სახლთა ჩემთა ჩემის ხელით შმაგსა ცეცხლი შემიდვია,
ღვთის გმობა და ხელმწიფისა შეცოდება შემიდვია,
ჩემი თავი საარაკოდ ყოვლს ქვეყანას დამიდვია.
ამ დღეს იქით სიცოცხლისა მე იმედი გარდმიდვია!
173. კვიროს დედა დაღრევილი ნახა, თქვა, თუ: „რა მისჭირდა?“
რა ცნა მანცა ეს ამბავი, საქნელად მწვე გაუკვირდა,
უთხრა: „ღედავ, ასე ქნილი საქმე ჭკუვად არა ღირდა,
უშობელის გათხოვება შენგან კიდევ სხვას ვის სჭირდა?“
174. მერმე ზარდის შეუძახა: „გვითხარ შენი ვინაობა,
ან სით მოხვალ, ან სახელად რა გძეს, გვარად ვინაობ ა?“

ქორწილის დროს ახალ ნორჩთა ცუდის სიტყვით ვინ აობ, ა?
რად გწადიან, დაგვამწარო დღე-კეთილი, სვიანობა?

175. კვლავცა უთხრა ზარდის: „ვაჟო სახელი თქვი, გვარად ვინ ხარ?
ან ამბავზედ რაზედ მოხველ, რას გვიმალავ, მალლა გვითხარ!
ამაყად და უქადრისად ჩვენს წინ ცხენზედ რაზედ ზიხარ?
არ მოხვალ და არ დასჯდები, ამ ლხინს შენცა არ გაიხარ!
176. ელჩმან თქვა: „ნატამლი ვარ მოაბად ხმელთა მფლობლისა,
საპატოო ვარ წინაშე, ღირსი გვერთ მახლობლობისა.
ლაშქართა მისთა თავი ვარ, მცოდნეცა კარგ-სარდლობისა.
ზარდს მეძახიან ვეზირსა, რალა ვთქვა სხვა ზრდილობისა?
177. რა ვისს ესმა მისგან თქმული, გაწყრა რამე მოხლობილად,
ძიძას უთხრა: „ვის ეკადროს ეს აქ იყოს მოხლობილად,
ცხენს იჯდეს და ჩვენს წინ იდგეს, სიტყვა რამ თქვას
დაქადილად?
პრქვან, გაბრუნდეს თავის გზასა, თორ მიეგდოს ქვე სამ-
დილად.
178. ვირე ნაძვი მაქვს საჩრდილოდ, მყრალს ანწლს ქვეშ არ
ვიჩრდილები,
წყაროს პირს ვეზივარ საგრელოდ, მწვირით რათ
შევიმწიკვლები?
ლომი წინ მიდგა ქაბუკი, ბერს ხარს ე-თ დავეკბილები?
შარო დედად მყავს ამიანს, მავრს შანშეს არ ვეცილები.
179. კვიროს უთხრა: „მომცდარიმცა არის შენი გამომგზავნი,
ვერა ხედავ ქორწილია, სმა და ლხინი მუდამ მზანი?
ან ჩამოხე, ლხინი ნახე, თორ წინ გიძეს შენი გზანი,
წადი აგრე პირ-შეკრული, ეგებ იყოს რამაზანი.
180. რა ეს სიტყვა გაიგონა, ზარდის გული დაუტყმუნდა.
გაჯავრდა და არა თქვა რა, მასვე წამსვე გამობრუნდა.
„ეს ვინ ჰკადრა მოაბაღლა. ნეტა ასე დაძაბუნდა?“
ვითა ქარი წამოვიდა, მარავს მისელა აღრე უნდა.
181. მოაბადს თვალი გზის კერძო აქეს, უნდა მოსლვა ზარდისა,
ასე ჰგონია, მოჰქონდეს სამისო კონა ვარდისა,
ხან გაიხარის იმედით, ხან ჯავრი შემოვარდისა,
გაურჯელს კაცს არ გაუშეებს, ძებნა მის შეუფარდისა.
182. მოვიდა სრასა, ცარდახდა, მაშერალი, აშფოთებული,
კუმტად, პირშავად მკმუნვარე, ბრაზივით განხლებული;

კარგსა და ავსა ვერ არჩევს, ვით გულსა ცეცხლ-მოღებულო.
მოაბად უთხრა: „ლომი ხარ, თუ მელი გაწბილებული?“

183. თაყვანის-სცა მან მეფესა, პირი მიწას გააერთა,
მოახსენა: „ღმერთმან ბედი აღვიშალლოს ზე ჰაერთა.
მხიარულმც ხარ მიწყით-მიწყივ, ხელმწიფეო, არ წამ-ერთა,
შენიმც ხრამალი დაასრულებს შენსა ავად მომღერეთა!
184. მიწყიმცა მათსა ქვეყანას იქნება პურ-ძვირობანი,
წვიმამც სეტყვად აქვთ, იხილონ ქვეყნისა უნაყოფიანი,
ქარნი ჭირთანიმც უქრიან, საღმომამ უწყოს პურობანი,
მთვარე ბოროტ აქვსთ, მზე ბნელი, უყამოთ სიკვდილთ
სწრობანი!
185. მიველ მათსა ქვეყანასა, ვით მიბრძანე, აგრე ვნახე;
წიგნი მივეც ცხენიღამა, მათ ქვე მსხდომსა არ ჩამოვხე,
კვლავ ზეპირი, რაცა მქონდა, სიტყვა აღარ შევიწახე.
აწ იგინი როგორ დამხვდენ, მოგახსენო იგი სახე.
186. რა ვნახე მათი ქვეყანა, სამოთხესავით შევინოდეს,
ლომნი ჭაბუკნა, ქალები კეკლუცათ იქ იყრებოდეს;
მათი დარბაზი ცას ჰგვანდა, ვარსკვლავით რა იმკობოდეს.
ქორწილობდეს და იშვებდეს, კმუნვა შორს გაშორდებოდეს.
187. ვისი ჯდა მთვარე დედოფლად, ვარსკვლავნი გარე უსხდესა.
დღივ და ღამ სვემდენ, ილხენდენ, თვალსაც არ მოიჭუხდესა;
იშვებდენ მათის მზერითა, ერთიც არავინ წუხდესა.
ისე ჰხამს ლხინი, ნადიმი, მისებრივ თუ ვის მიხვდესა.
188. დარბაზი ვნახე, შეემკოთ ცისაგან არ უარეა,
ვით ვარსკვლავნი სხდეს ცა წმიდას და შუა იგი მთვარეა:
კვიროზ მეფედ ჯდა და ვისი უებრო რამე, ასეა.
მზისა ჯობნისა დასტურად იგინი მეუარეა.
189. ერთი კაცი მათს ქვეყანას აღარ იყო დაღრეჯილი,
ყველა ზმიდა მხიარულად, ღიმილითა უჩნდათ კბილი,
მუტრიბთა და მომღერალთა ხმა ისმოდა დია ტკბილი.
მოწყენილსა რა მხედვიდეს, ჩემი ჰქონდათ თავ-სიცილი.
190. მე, კეთილმან შენმან მზემან, ცხენით პურად ქვე ვერ დამსმენ,
ქორწილი მჩნდა მათი ზრუნვად და სიმღერას მოთქმად ვისმენ.
თქვენ მათისა სიძობისას ამბავსაცა ვეღარ ისმენ.
რუ შენ სთხარე, მწყურვალნი ხარ და მის წყალსა აწ სხვანი
სმენ“.

191. შაი მოაბად დასულდა, რა ზარდის თქმული ესმოდა,
მას თითო სიტყვა თითოთა ისრად გულზედა ესმოდა,
ვითა სამსალას ტკამდა და ზედ გველის შხამი ესხმოდა.
მისი ამბავი დასტური ვითამ რომ არ შეესმოდა.
192. ჯავრითა თრთოლა დაიწყო, ვით ძეწნამ ავ ქარ-ცემულმან,
გული აევსო მტერობით, მაშ, რა ქნას ცოლ-გაცემულმან?
თვალთ ავად მზერა დაიწყო, ვით კაცმან მტერ-დაცემულმან,
თქვა, თუ: „აწ როგორ წავირთო, მის უწინ მე მოცემულმან?“
193. კიდევ ჰკითხა ძმას: „ეს რომელ შიამბე, შენ გინახავსო?
თუ შორიდან გაიგონე, პირ-ყვითელო, გინა ხავსო?
დასტურ გასცეს იგი მთვარე, ან კიდევ მე მინახავსო?
ან ეის მართებს სიხარული, ანუ ცუდათ ვინ ახავსო?“
194. ამბავი დასტურს არა ჰგავს, არც ნახვა საეჭვს სასმენსა;
ნუ შითხრობ, რაც არ გენახოს, ბრძენი ჳორს ყურს არ ასმენსა“.
მან ჰკადრა: „თუმცა კვლავ გეტყვი სიტყვასა ავ მოსასმენსა,
კაცი იმასვე მოიწყავს, რას ასხამს ჳურსა მას შენსა.“
195. ხელმწიფეო ბედნიერო, ბრძენი გრეხილს მას დასცარსა,
მაგრამ დიდიც ცოტათ უჩანს კაცს უჳკულო-უმეცარსა.
ბრმა დღესაცა ღამედ ხედავს, არ იცის, თუ სხვამეც არსა.
სიმართლე სად ეპოვება დედაკაცსა ცრუ-მეცარსა?
196. ჰკვიროს ჰგონია სირეგვნით, წვრილნი მთა მას დაეზადლოს,
ამპარტავენით — ჰაერი ცამდისი მას აეზადლოს;
შაჰი უხმია სახელად, ჳერა, რომ კიდევ ეზადლოს,
არვინ ჰგონია, ჳევეყანად სხვა კაცი მას დაეჳადლოს.
197. რაც ენახე, მითქვამს, ნასმენი ბევრი რამ დამემალემა,
ენა ჳორისა სათქმელად, იცით, რომ არ მემალემა.
ის კაცად არ ჩაგდებულა. ვინც ტყუილს არ ეყრძალემა.
ელჩს თუ სიცრუვე შეაჩნდა, ბოლოყამს დაეზრალემა.
198. მიკვირს, საეჭვი რადა გაქვსთ ამ ამბვის მოხსენებისა?
რა მაქვს მიზეზი ასეთის ტყუვილის მოგონებისა?
ყმანი ვართ მკვიდრნი, წინაშე მდომელი დამონებისა.
აწ თქვენ რაც ბრძანო, ხელმწიფეც, განალამც ის იქნებისა.

199. მას უძახიან ყოველნი, შარომ ხელმწიფეს ჰრქვიან-და კვიროსა მზესა ლოცვიდენ. რა ღვინო მათ შესვიან-და, შენ ყველა დამპლად გიყვიის, მოაბად ვინ გასვიან-და. გამოარჩიე, რაც გწადდეს, წახდება, თუ დაგვიანდა“.
200. ვინც დიდებულნი მუნ იყვნეს, უზომოდ შეიჭრებდეს, გული დაეწვათ ჭავრითა, ყველანი კბილთა იღრქენდეს, იტყოდენ, «შაი-მოაბადს სხვა ამას ვინ შებედედეს?» ნიშანი რამე მოჰგონდათ, მოფარვით თითსა იკბენდეს.
201. «რა უქნია ბერს ყარანოს? — ერთმანერთსა ჩურჩინდიან, — «არ დაამხვეს სახლი მათი, ნეტარ სხვაგან სად წადიან? როგორ, ხმელთა ხელმწიფობა ამის წილათ მას სწადიან?» ხვაშიადად ქვეშ-ქვეშ მზრახნი შევიდიან, გავიდიან.
202. ამას იქით მათ ქვეყანას აღარ დარჩეს ნაცარიცა, დაიგრიხოს ბედი მათი წაღმართი და ნაცარიცა; შარომ შევილნი საყვარელნი მოიძულოს და ქმარიცა, ბედნიერი აღარ იყოს, აღარც ეთქვას მას „ცარიცა“.
203. მოაბადს ტვირთი ტვირთზედა ჭავრისა ზედ დაეკიდა; გამწარდა მისი საწუთრო, ეს საქმე რა წაეკიდა; ცეცხლი მოედვა, მუნითგან მრავალთა სხვათ წაეკიდა. დაფიქრდა ძნელსა საქმესა, ძირიან გამოეკიდა.
204. რა მეორედ დასტურობით ეს ამბავი ესმა კიდე, მოემატა შეჭირვების ტვირთი ზურგსა მონაკიდე; ენთებოდა ჭავრისაგან, ვითა ცეცხლი მონაკიდე. გაურჯელი არ მორჩება უხამსისა გამოქიდე.
205. უხმნა მწიგნობართ, მისწერა მეფეთ და კვლავ დიდებულთა, შესჩივლა: სჯული დაადდეს ყარან და შარომ ქებულთა, ფიცი გატეხეს ცხოველი და ზენაარი ჩვენთ სჯულთა. მოდით, მილაშქრეთ მას ზედა თქვენ, ჩემგან იმედებულთა“.
206. წარვიდენ კაცნი საჩქაროდ ყოვლს თეშს ამ ამბვის მცნობელნი, შემოკრბენ სრულნი ლაშქარნი, მხნენი, ლახვართა მსობელნი, მათთა მებრძოლთა, ვით ცვილთა, ცეცხლებრივ დაჰადნობელნი, ამ საქმის გამკვირვებელნი, მქნელისა დაცამგმობელი.

გამართვა მოაბადისა
კვიროს ზედა

207. ურიცხვი შეკრბა ლაშქარი მარავს და მარვის გარებსა.
ვინ იცის, ეტლი ვის დასცემს, ანუ ვის გაახარებსა?
ცა რუსხვით ვისდა იღრუბლავს — ან ვისდა მოიღარებსა,
ლხინს ვისთვის მზადებს საწუთრო და ჭმუნვას ვის
უბარებსა?
208. ში-მოაბად ლაშქართა გამოემართა მარავით,
სიმრავლით მიწა იძროდა მებრძოლთა მისთა არ ავით,
ზახირა დიდის ნუზლითა, სევან, ოთალით, კარავით.
თქვეს: „ამის პატრონს ხელმწიფეს ყოფას ვინ
დაამწარავით?“
209. მტვერი აღვიდა ასეთი, მთვარესა ეხვაშიადა,
ღვარი წავიდა ხვარსნით, თუ სთქვა, მზეც შეაშინა, და,
თქვეს: „კაცი ყოვლის ქვეყანის აქ არის, ვინდა შინა და?
ჩვენს ისარს სისხლი სწყუჩიან და ზრმალსა ხორცი
შიან, და“.
210. ლაშქარნი მტვერში ასე ჩნდეს, ვით თხელ ღრუბელზედ
ვარსკვლავნი.
შუბის ჩხნდესა და მუზარადს ხშირად ჰკრთებოდეს ელვანი.
მთანა გავაკდენ მათ ფერხთ ქვეშ, დაყუდნეს ზღვისა ღელვანი.
ბოლოს გამმარჯვე ღმერთია, ვის მიხვდეს, ვნახოთ, ძლევეანი.
211. ცნა კვიროს მოაბადისა, თუ ვითა მას უმტერების,
ვინც მეფენი ჰყვეს წვეულად, ან ყმათა ვის ეტერების,
უბრძანა ლაშქრის შემოყრა, ვით მტერზედ შეეფერების.
იგიც მზას დახვდა მოაბადს ამაყად, არ ეფერების.
212. მოვიდეს ყოვლგნით ლაშქარნი, მინდორი ველარ იტევდეს.
თოთხჭეტის წლისგან უფროსსა ვაყსა შინ ვინ დაუტევდეს?
გვანდა, ვერ შერიგდებოდენ, ცთომასა არ მიუტევდეს.
დაპირდაპირდენ, გაჩნდება, თუ უწინ ვინ შეუტევდეს.
213. ბერნი კაცი მოიყვანნა კვიროზ რაზმთა დასაწყობლად,
კონაპანთ და მეწინავეთ უმჯობესი შესატყობლად.
გაეწყვენ და გაემართნენ, ბევრი უნდა დარჩეს ობლად,
კვლავ მრავალნი დაქერივდება, ვის რამე ჰყვეს შვილთა
მშობლად.

214. გაიყენეს მეწინავე დროშა მათი სახელებით, რაზმთა შიგან გამოცდილნი დიდებულნი თავადებით. დადგენ ადგილს საომარსა, თქვეს: „ჯერ ნურვინ ვიქადებით, რა ტრაბახი უნდა ამას, ან მოვკლავთ და ან მოვკვდებით!“
215. ორნივე ლაშქარნი აღშფოთდეს, იძახდეს [არის სისხლთა ზღვა]: „გამხნენით, ვაეო, გამხნენით, არ არის თერძვა, არც ბაღვა, დღეს გვიხაშს ერთმანერთისა ხმალთა კვრა ძლიერ, არ დაღვა!“ აღელდენ რაზმი ორივე, ქართ კვეთებითა ვითა ზღვა.

ომი მოაგადისა და კვიროსა

216. შეიქნა ქოსთა ცემა და ბუკთ ხმა ხდალთ გააშტერებდეს. ვითა ეშმათა ხმა ესმათ, ეგრე ერთმანერთს მტერებდეს. იყო ისეთი ზრიალი, ძველთ მკვდართაც ააზრზოლებდეს. ჯერ თითოს კარგსა ჭაბუქსა ერთმანერთს გააყოლებდეს.
217. მათ დასაწყობლად ისარი დარბოდა, მოციქულობდეს. არსად ჩამოხდის სხვას ალაგს, თუ არ მათ შუა გულობდეს, ან თვალს დაესვისს ღიასა, ანუ თუ დაეგულოდეს; საჩუქრად სულსა ართმევდა, იგინი ქვე უსულობდეს.
218. შეტევება მათი ქარსა სასტიკს კვეანდა ქვენა ზესა. შემოდგომას, რა ტყეს ეცეს, ფურცელს ჰყრიდეს სულა ქვესა. მათგან კაცი შეჭურვილი, მუზარადი ვის ერქვესა, ორი ზომა ჩამოვარდა, ერთს მეორე გაექცესა.
219. ქოსი და ბუკი ყიოდა: „მოყმენო, ომსა უსწრაფეთ, თორ რასთვის შეიჭურვენით, ან მუზარადი მორაფეთ? ხელთ ხრმალი რაზედ გიციინისთ ელვა ვით, ხორცს თუ არა ფეთ?“
კვლავ ერთსა მოყმეს შესძახეს: „კაი, შენ მაგას იაფეთ“.
220. ამ ომზედა ბერნი კაცნი თითქმის ვახლებულიყვნეს. გულოვანთა რაზმი ორთავ იქით-აქათ შუა გაყვნეს, არც გაიქცენენ, არც დაზავდენ, არც ერთმანერთს ომნი აყვნეს, დილით ვიდრე სამხრობამდინ უფროსიცა ხანი დაყვნეს.
221. ჭაბუკნი იყვნეს ასეთნი, ცეცხლსა და წყალს არ შიშობდეს, არც ხრმალსა, შუბსა, ისარსა, არც ლახტს, ჯაბანს კი

დაგმობდეს,

„გაქცევასა სჯობს სიკვდილი, ვაჟო, — ერთმანერთს უხმობდეს, — ჩვენ აუგს თავს ნუ დავიდებთ, სხვა დედა სხვას შეიღს უშობდეს“.

222. დროშა ტყეს გვანდა, ალამი — ფურცელსა ხაზალოვანთა, მტვრით ქაბუჯიცა ბერს ჰგვანდენ, შავ-რახსი ბაბრაბოვანთა; ჯაბანსა დაღრეჯა ჰქონდა, სიცილი — მხნეთ, ივლოვანთა. ხელთ ხრმალი ეპყრათ დასვრილი სისხლითა მკლავ-ძალოვანთა.
223. გაგრძელდა ომი მწუხრამდის, აჯობა ვერა რომელმა, ცურცულა დაიწყეს ჯაბანთა, უკან და უკან მძრომელმა. უმატეს მხნეთა ქაბუჯთა ისრის უცდურად მსროლელმა. ვისმინოთ, რა ქნან დელამთა პირველად ვერ მიმსწრობელმა.
224. ვისის მამა, მეფე ყარან, მოკლეს და სხვა მასთან სწორად ასოცდათი დიდებული, მის მიდამოს, არ თუ შორად, სხვა ეგზომი დაიხოცა, მინდვრათ ჰყრია გორა-გორად. სისხლი მისდის მრავალს ადგილს დია ჩქარად, ვითა ღვარად.
225. რახან კვიროს მამა მკვდარი ნახა, არქვა: „დიდებულნო, მონანო და აზნაურნო, ამ დღოსათვის თქვენ ქებულნო, ომს სიზანტე აუგია, სომხნეზედა დადებულნო, არ ფრცხენით თქვენს წინ მკვდართა, თქვენ, ავრე გაყუჩებულნო?“.
226. არ შეიკდემთ ყარანისგან, რა ხელმწიფე სადა გდია, უპატიოთ სხვათ მკვდართანა, თქვენ ომი არ გარდაგზდია! მისი თეთრი წვერი სისხლსა რაგვარ წითლად გაუზდია, არვინ ვეძებთ სისხლსა მისსა, არც სირცხვილი მოგვიხდია.
227. არ კი ჩაივსო ქაბუჯთა შზე სახელისა ძებნისა, რომ აღარავინ არ ვეძებთ, არც გვრცხვენის ავ-ხსენებისა, რა თქვენ მსმენელთა ჩვენისა ასრე მტრის დამონებისა? კაცს უნდა დიდი განკრძალვა ბოლოყამს მოგონებისა.
228. შუბივე მე მაქვს ხელთ მრთელი, ყარან კი განქარვებულა, ჯერ სისხლი არ მიძებნა, შზე ლაშის შეღამებულა; ჩემს გვარს აუგსა არ დაესდებ, რადგან აქაჰდის ქებულა. ვინ მამის სისხლსა არ ეძებს, ის კაცად არ ჩაგდებულა!

229. რა შედამდება, ლაშქარნი ორგნიოვე გაცყრებთან;
 თქვენ დიდათ მოგიჭირვიათ. დღეს სისხლი არ შეგმკრებთან,
 აწ ზურგი მიინდა მომბაბათ, ხვალეს ვინ შეესწრებთან?
 მოაბადს ჩემის ხელითა ლეთით სული გაეყრებთან“.
230. გააფიცხა ლომის ლეკვი მაშის მისის მუნ სიკედილმან.
 შეუტივა ჭავრიანად კვიროს ხელით ხრპალ-მოწედილმან,
 რაზმს მიმართა მოაბადის, ნახეთ, რა ქნა დაქაღლიმან!
 ჩამოყარა მეომარნი ჭერ ხრმაღმან და კვლავ ყივიღმან.
231. ვითა ველური თხა-ვაცი ფიცხს ვეფხსა დაერიდოდეს,
 ეგრეთ გაექენენ მას ყმათა, ველარ ამაყად ყიოდეს.
 მრავალნი მოსგან ნაკრავნი ქვე ცხენით ჩამოკვიოდეს;
 მკედარნი ეყარნეს უსულოდ, ზოგს ისევ სისხლი სდიოდეს.
232. რა მზე ჩაეიღა, დაღამდა, მოაბადს ბელიც ჩაევესო,
 გაექცა შანშა კვიროსა, ხორასნისაკენ გაზვესო.
 რა ცნეს ლაშქართა, ესენიც გაუდგნენ, უკან მისდევსო,
 მათგან დაღვრილსა მინდორი სულ ერთბირ სისხით აევესო,
233. დელამ-ქიძანნი, გელანნი ღამე დაესხნეს კვიროსა,
 ველარ შებედეს მისგანთა, თქვეს: „ვინლა გაიჭიროსა?“
 ყველა უომრად გაექენენ, ეს ვინ არ გაიკვიროსა?
 მაგრამ ჰხამს, ყმაძან პატრონთან ბოლომდინ მოიჭიროსა.
234. საწუთოს ნივთი ჭუფთთია, ვით ნათელი და კვლავ ბნელი
 მას სიმძიმირი ღზინთაგან უფრო აქვს ჩვენდა საქნელი,
 ამ გამარჯვებულს ვაეკაცსა საქმე წაჰკიდა რა ძნელი!
 წელან ის უყო, აწ ესე, კურთხეულმაჲა ჰყავს შემქმნელი!
235. ამცნეს მოაბადს, რაც იქნა, ნეტავი მის შესწრობასა!
 არ მართლის გულით იყითხავს კვიროსის ხელთ შეპყრობასა.
 ვინ შეატყობდა გაქცეულს დაღალვა ან დაშრობასა?
 იმ წამს მოვიდა, სად ვისი იყო, მის სამყოფს, გორაბსა.

**მოაბადისაგან გორაბს ციხის შემოღობობა
 და ვისის საუბარი**

236. ვისმან ყოვლო კეკლუტ პატრონმან ნახა მოაბად გარ დგმული,
 თავი უებრო მტრის ხელთა ბადეთა შიგან დაბჰული.
 მამა მკედარი და ძმა კვიროს გამოქცეული, შებმული,
 საბრალოდ დაღონებული ქვე ზის მისებრი სულდგმული.

237. ფრჩხილითა ვარდსა იგლეჯდა, ზოვრიელს ცრემლსა აყრიდა,
მისთა თვალთაგან ნაღვარევეს გილანის ზღვასა შეჰყრიდა,
მისი მოთქმა და ტირილი იქაურობას აყრიდა.
ესეგვარს ძიძას ეტყოდა და მერმე ღმერთს ხელთ შეჰყრიდა.
238. „ლუტრას ცას ქვეშ და შავს მიწაზედ ჩემებრ საწყალს ვერვის
ვხედავ,
არც ვიცი, თუ ჰირთა ჩემთა ვისთან ვჩივი, ვისთან ვეხედავ.
საწუთროსა სამუხთლითა მე სიკვდილსა დანით ვხედავ.
ძიძავ, მითხარ, მარგებ რასმე, თუ შენც ამას გამიბედავ?“
239. ვინ მიხსნას მოაბადისა უსამართლოსა ხელთაგან?
რას ეტლზედ მშობა დედამან, ვერ მოვირჩი სიბნელეთაგან!
რად დავრჩი მამას ცოცხალი, მეშინის მისთა მკვლელთაგან!
არსით არა მაქვს ღონე და იმედი მე მეშველთაგან.
240. რა მმართვეს მოყვრის გაყრილსა, რა უნებურად მტერს
მივხვდე,
ამის რჩევასა ბედკრული თვალ-ცრემლიანი რას მივხვდე?
არა მაქვს ღონე მის მეტი, აქ მას ცოცხალი არ დავხვდე!
რალა მერგების მას უკან, რა ერთხელ ღომის ქანვს
შეეხვდე?“

მოაბადისაგან მოციქულის მოსვლა ვინისთან

241. მოციქულმან ჰკადრა მზესა: „ყოვლთ ცის მნათობთ უნათლესო,
რაცა ეტლსა გაებედოს, ვინ დაეხსნას ანუ სევსო?
ნუთუ გულსა ეს ჩაიგდო, მოვერევი სიმართლესო?
ბედმან ვის რა რამ უწდია, ყოვლმან კაცმან ის შესევსო.“
242. ვინ ჩემდა დაბადებულხარ, თმობისაგან კლდე რას იქ?
ვინ შენთვის ვხელობ სურვილით მოყვრისა გულსა რასა იქ?
მე შენის გზითა მოვსულეარ. შენ მანდ ზი, ანუ რასა იქ?
ამ საწუთროსა ასე სწადს, სხვას სოფელს ახლა ვერ შეიქ.
243. თუ დამმორჩილდე, მრავალი მეც აღგისრულო შენ ნება,
თვალ-მარგალიტით აღგავსო, არ მისწვდეს კაცთა გონება,
შეგამკო სამკაულითა, მზეს შურდეს შენა შევენება;
ჩემის ჭკუვის და მეფობის სადავე ხელთ გექონება.

244. ლულსა და გულსა მოგიძღვნი, ვით გწადდეს, ინებიერო, ქვეყნის დედოფლად დაბძანდე ტახტს ზედან შენ შეენერო: მაშინ რა ეს ქნა, იქნება შენს უფრო რაც ნოთიერო? ვინ არ იქს, მზეო, ამასა შენთანა სხვა გონიერი?"
245. რა ვისმან გულის-წამლებმან ეს გაიგონა, ეოცა, ყველა გინებად შეესმა, არ ერთად-ორად, ეოცა, თავს მიწა გარდაიყარა: „მეხი რად დამეც, ეო, ცა?“ ორნივე ხელნი პირს იკრნა: „ჩემთვის დაბნელთა მზეოცა!“
246. მან მტირალმან სირცხვილითა მალლა აღარ აიხედა, თავ ჩაგდებით მწეს ეძებდა, ქვე-ქვე დაბლა გაიხედა, ვერვინ ჰპოვა სხვა მეშველი, აწ ძიძისკენ მიიხედა. დაქცნა ვარდი, მოიხარა ალუა ნაკეთი, ვით ზრო ხე და.
247. ღონე არ ჰქონდა მის მეტი, მოციქულს სიტყვას უგდებდა, მოაბაღს სიყვარულის წილ გულსა და ლახვარს უგებდა, „წა, ასე უთხარ მანმასა“: ცუდ საქმეს ნუ არიგებ და, თვარ ხელმწიფობას მალალსა და სახელს გაიუგებ და.
248. ფათერაცის მოედანს, მიკვირს, ბურთს რასთვის გააგდებ? ჩემისა იმედისაგან დიდს ქირში თავს რად ჩაიგდებ? საჭურჭლეს ცუდად ნუ ჰფანტავ, ნურც აგრე შენს თავს აიგდებ! მითქვამს, უთუოდ ბოლოყამს სახელის ავს ხმას დაიგდებ.
249. შენთ საქმეთაგან მე შენი კაცობა შემიგნიაო, გრძნებით და ნავთიენობით აქ ცუდად მოგიგნიაო, ავ მცნობლობით და სახელით გზა ველარ გაგიგნიაო, ძველი ახალსა ეძებდეს, მსწავლელი რა წიგნიაო?
250. ნუთუ ეგების გეგონოს, ვისს ცოცხალს მოვიხილებო? თუმც ყოველთ გრძნულთ მწვრთნელი ხარ, ციხით ვერ გამიხილებო. უკუნისამდე მანდ იდეგ, ცივს გულს ვერ გამიხილებო, ნაძვი მაქვს სწორი, ტირიფსა მრუდსა არ ვეძებ, ხელეზო.
251. არვის შევრთოდი, მაშინცა აბა რით შევიყრებოდი? მამა მომიკალ, არ იცი, რომ ასე დავმტერდებოდი?! თუ შენს სახლსაცა გჯდომოდი, იქიდგან გავიყრებოდი. ეს არ ქნილიყო, ან მაშინ თქვენ მე სად შემესწრებოდი?

252. ვისცა მიმცეს საყვარელსა, მანც ნება ვერ შეითავსა,
მას, სიბერით მოდრეკილსა, როგორ მივსცემ ჩემსა თავსა,
უხამს[ს]ა და შეუფერსა, საქმეს მრუდსა ვინ მართავსა?
საით ვშვენი მოაბაღსა, დამპალი ვით შემირთავსა?
253. მე, ჭაბუკს, საუკუნოსა მეშინის, მოვერიდები,
შენ, ბერი, უქნელს საქმესა რასთვის არ დაერიდები?
საკაულოცა ბევრი მაქვს, თვალ-მარგალიტი, რიდეები,
ქვეყანა, ციხე-ქალაქიც, მაგით ვის მივესყიდები?!
254. მაგრამ ოხრად მჩანს, რა მამის სიკვდილი მომავგონდებას.
მას დედოფლობა სად შეგენის, ვინ სიტყვით მალ მოლორდების,
უფრო მას კიდევ, ვინც თქვენსა ქონებას დაუმონდების.
დასტურ ჩემს გვართა მე არ ვარ, თუ თქვენი რამ
მომწონდებას.
255. აწ ნუ გაქვს ეგე იმედი, შენს ნაყოფს არ გამოიღებს,
ნუ სწრაფობ ჩემსა ნახვასა, თორე ავს საქმეს მოიღებს.
ვირი მაშვრალი მძიმეს ტვირთს, არ იცი, გორს ვერ წაიღებს?
ბოლოს დაინანს, რა კაცი საქმეს თავს ავად აუღებს.
256. თუ საწუთრომაც მიმუხთლოს, უნებლიე ხელთ ჩაგივარდე,
ვერ გაიხარო ჩემს გვერდათ, წამსაც არ გაგიკარდე.
ვინ სახლი ამოიწყვოტე, სჯობს გულით გარდაგივარდე.
მე, მტერი შენი მესისხლე, შენს დარბაზს არ შეგივარდე.
257. მწარეს ხეს რაზომ შაქრის წყლით ჰრწყავ, ნაყოფს მასვე
მოიბამს.
ჩენი მტერობა მოყვრობის ძირს არაოდეს დაიბამს.
ქიქა ხმელს რეინას ცნობილი, არ იცი, არ შემოიბამს?
წალკოტში ვარდი გამხმარი ფესვსა რაღათი გაიბამს?
258. მე მაშინ დაგმორჩილდები, რა ქორს კაკაბი დაზავდეს,
ციტგან ვარსკვლავნი ერთპირად ქვე ჩამოცვიდეს, დაზავდეს,
ან ნამეტნავსა ნადეულსა ცოტა რამ სიტკბო შეზავდეს.
ასეთი მოყვრის შეყრასა, ბრძანე, თუ ვინ არ დაზარდეს?
259. მოციქულმან მას ნიშანი ვერ უპოვა სურვილისა,
მივიდა და მოახსენა შაანშასა პირად მზისა,
მასზედ მისი გულციობა, ვით ენახა, სიგრილისა,
ვითა მისთვინ ყინვად უჩნდა ვარდსა ეამი მაისისა.

260. მოაბადს კიდევ დამეტდა ხელობა სიყვარულითა,
უკვდავებად სჩნდა პასუხი და შეთვლილობა გულითა
უფრო ამითა, რა ესმა მის ალვად ედემს რგულითა,
მანცა ვერ ჰპოვა ნებაო, ვის უვი სიქალწულითა.
261. უსაზომოდ გაეხარა, სცნო, საცოლო ქალწული ჰყვა.
ვისს ეს ამად დაემართა, რა სიძესა რძალი მიჰყვა,
თან იახლა დედაც ასულს; უფრო კიდევ ამით გაჰყვა,
ქალს დიაცთა წესი მაშინ წაეკიდა, აღარ ჩაჰყვა.
262. მოაბად ძმები მოიხმო, სიცილით ეუბნებოდა,
ვისის ამბავი ვის მიწყვი სასურველად ეგონებოდა:
„რას მეტყვი, ძმანო, რას მირჩევთ. ნეტა თუ მემოენებოდა?“
მისად მიჯნურად მას რამინ ჯერ მას არ ეჩვენებოდა.
263. რამინ სიყრმითგან ვისისა მიჯნური იყო, ხელი და,
ოდეს ზუზიტანს ყმაწვილნი ებარნეს გასაზრდელი და.
მუნითგან შეჰყვარებოდა აქამდი ვერ ნამხელი და.
გულს ჰქონდა მისი სურვილი, ვითა სახმილი ცხელი და.
264. გვალვისაგან გამხზარს ყანას ჰგევანდა რამინ უნაყოფოს;
რა მეორედ გორაბს ვისის სახლს მოვიდა და სამყოფოს,
მოირწყო და ა-ცა-მწვანდა, ემხსავ ხელი მიიყოფოს.
მას სურვილის აღყვავებამ, ვისმინოთ, რა უნაყოფოს!
265. გული გაუყმდა დამქნარი, სიშორით დაბერებული.
მან სიყვარული ვისისა აწ შექმნა გაახლებული;
ენა ვერა რით დაიბა, სიხელით გაქრელებული;
ფიცხელი სიტყვა მოაბადს ჰკადრა რამ პირს-შესწრებული.
266. კაცს ვისცა გულსა საყვარლის ცეცხლი ედება სურვილთა,
ის ენას ველარ დაიჭერს, წასძლევს სამ სიტყვა ქუვალთა?
რა გული დათვრეს ემხითა, სად ჰრადებს სპათა ქურვილთა?
რას ის უბრძანებს, ეს იტყვის ჯერ ნამეტნავსაც ურვილთა.
267. ღმერთმან ნურვინ ნუ გაჰხადოს პატრონისა უნებელი!
ამად დიდი აუგია უმეცრება მავნებელი.
სიტყვას უნდა კარგად გაცდა, რაა მისგან საქებნელი.
რამინ ახსნა ხეაშიადი დია მაგრა დასაბმელი.

268. მოახსენა: „ხელმწიფეო, რას იქირავი ეგზომ ჰისდა?
 ცუდ საქმეზედ საქურჭლესა რად წააგებ ნაცვლად ქვის-და?
 დიდს ჰირს ნახავს უსარგებლოდ, ვერ იზოვნი მაგით ვის და?
 რით წაართომ საყვარელსა, რა შეერთოს ძმასა ვის და?
269. ეგე ამას ჰგავს, რა თესლსა მლაშეს სთესვედღე ადგილსა,
 თესლსაც დაჰკარგავ ცუდად და ვერ სკამ ნაყოფის სადილსა;
 რად ბრძანებ ცუდსა სიტყვასა, უამებელსა ქადილსა?
 შენ მაგით ვისს არ შეჰყვარდღე, ვერც მიხვდღე შენსა
 წადილსა.
270. თვალს ეძებს პატიოსანსა რაზომცა ძვირად სასყიდლად,
 თუ ადგილს მისსა არ მიხვალ. ვერ ჰპოვებ მას მოსასყიდლად,
 დაშვრები, და-ცა-არდები თქვენ უსარგებლოდ სულ დიდად;
 ბერი ხარ, იქ ვერ მიაწევ — ჰაბუკობა აქვს მას ზიდად.
271. აწ ვით ეძებ სიყვარულსა თქვენ მისისა შვილისაგან,
 რომე მამა შენ მოუჯალ, მტკიენეულის გულისაგან?
 იმას შენგან არ ეშინის, არცა მრავლის ლაშქრისაგან,
 ვერც საქურჭლით მოალორებ, ვერცა თვალთა სიხასისგან.
272. თუმც ჰპოო დიდის ჰირითა, ან მაშინ რა გაიხარო,
 რა მტერი გიჭდეს შინათა, მიბრძანე, ძმაო, მითხარო?!
 იმას ჰგავს, გველი საყელოს შეგიძვრეს, მწვე მოიხარო?!
 წყალი რა სახლში აღმოხდეს, სხვაგან რუ რადლა უთხარო?
273. უფროსი საქმე ეს არის, თუმცა თქმა გეკადრებოდეს,
 შენ ბერი ხარ და იგი ყრმა, არ თქმულა შეხამდებოდეს.
 თუ ცოლი გინდა, შეირთე. ვითა თქვენ გეფერებოდეს,
 თორემ ძნელია გაზაფხულს სთველი სამ შეესწრებოდეს.
274. ბერს ბერი უხამს, პატრონო, ეგებს არ მოგხსენებთან?
 ყრმა ყრმასა ჰყვარობს, უძლური ამად არ მოუხდებთან?
 უსუსურს დღეთგან ჩამოსლვით ფიცხნი ვით დამონდებთან?
 გასძვრება სითმე ხელითა, გან თუცა არ ეხსნებთან.
275. რას ხელსა ჰყრი მას მთვარესა, რა უნებლივ გვერდს გახლვიდეს,
 შენ გიყვარდეს, მას არ უნდღე, სიძულვარით გულს გხალვიდეს,
 თეთრს წვერს გჰკვრეტდეს ნარგისითა, დღეთა შენთა
 ჩამოსთვლიდეს,
 ველარც სძლებდღე სიშორენსა და სიახლევ მიწყავ გკლევდეს?

276. სიყვარულისა ჰასაკი კაცთათვის ზღვრსა მსგავსია, მისი ძირი და ნაპირი არა ჩანს, წყლითა გავსია; ვის სწადდეს შევა, მაგრამე ყოველთა არ სათავსია. მოგინდეს, ძნელად გამოხვალ, ნავი მრავალთა დავსია.
277. აწ შენთვის ეგეთს სიყვარულს ეძებ, ფათერაკს შეჰხდები, ვერა რას ირგებ, შენმა მზემ, მტერის გულისათ გაჰხდები; თუ იცი, შენდა სარგებლად ვამბობ, რასათვის წაჰხდები? ესმინე ჩემსა რჩევასა, ხელმწიფე, ნუ გარდაჰხდები!“
278. რამინისგან რა მოაბად მოიხსენა მოხსენება, გულს ეწყინა, ითაკილა და აპის გავონება; მწარედ უჩნდა, ვით სამსალა, ტებილი მისი შეგონება, ზე პასუხი აღარ უთხრა, მას იგივე ეგონება.
279. მიჯნურობით საესეს გულსა შეგონება არ ესმისა, ლხინად უჩანს ფათერაკი, რა შერებოდეს, არ ესმისა; დაგმობა და საძრახავი მწარის გემოდ არ ესმისა; რაზომ ვინ ჰკრას მას ისარი ყვედრებისა, არ ესმისა.
280. მიჯნურს რაცა შეუყვარდეს, კიცხვით აღარ შესძულდების, შორს დაიჭერს გინებასა, კიდევ უფრო მოუნდების; ვითა გველი, რა დაბერდეს, გაფრინდება, გაახლდების, რა სურვილი კაცს შეიპყრობს, თმობა დია გაძნელდების.
281. კაცთა ყვედრება მიჯნურთა თუცა ხრმლად მოექნეოდეს, ღვიძლსა მიუშვერს, მას ძრახავს, ასე არ მოეთნეოდეს; შავი ღრუბელი თავს წვიმდეს, არცა მას გაექცეოდეს, სრულ კიცხვა იყოს, გინება, მაშინც მას შეექცეოდეს.
282. ყოვლს საქმეშიგან მრავალთა ზიანი დაუმძიმდების, მაგრამ მიჯნურსა სურვილი შარცხით არ გაუგრილდების, ამად არ უნდა ყვედრება, თვალთ ცრემლი გამოჰილდების ვინ ის არ იცის, ის კაცი სიხარულს ვერას მიხვდების.
283. ზოაბადის გული ასე, ავსილიყო სიყვარულით, მას რამინის შეგონება ყველა ესმა სიტყვა ცრულით, მალვით ზარდი მოიყვანა, რჩევა ჰკითხა მართლის გულით; მან გზა კარგად გაურკვეია ილათით და ჰქუა სრულით.

284. მოახსენა: „ხელმწიფეო, წყნარად იყავ რჩევის მქნელი, ჰკუთით თავი გამოებმის, რაზომ იყოს საქმე ძნელი, გავიაროთ ილაითთა, ესე გზაა თუცა ბნელი. ფრთხილთაც აღრე მოაღორებს ტკბილს სიტყვასთან საქონელი.
285. შაროს ეუბენ ამოთა სიტყვითა შეწყობილითა, ნუ ჟერ ზავით და წყრომითა, პირველად სულ სირბილითა, მარგალიტითა უფასოდ, თვალთა სრულ გათლილითა. ამითი, ვეჭობ, მოგართოს, ვინც გინდა შენ სირბილითა.
286. მერმე ღმერთიც მოაგონე, ფიცს რაზედ სტეხს უზუნარო? შენი რისხვაც დანახვე, სხვათ არათი შეიწყნარო, თუ არ მოგცეს იგ მნათობი, ნაზი, ტურფა, ხმა-ნარნარო. ამით, მგონი, შეაგონო, ფიცხი აღრე დააწყნარო“.
287. ღია იამა მოაბადს რჩევა ვეზირის ზარდისა. უხმო მწიგნობარს, რომელი წერას არ შეუზარდისა; ერთგულსა, სიტყვა-მიმხედარსა, თვით მისგან განაზარდისა. წიგნს წერა დააწყებინა, რაც გულსა შემოვარდისა.

წიგნი მოაბადისა შაროსთან

288. «ამ უხანოს საწუთროსად ნუ დაიჰერ ავსა ხელთა, შენს თავს აუგს ნუ დაადებ. საძრახისსა ავ სახელთა, უფალს ზურგსა ნუ შეაქცევ და დევთ — პირსა, ავთა, ხელთა. ნუ შეერთვი საუკუნოდ ზენაარის გამტეხელთა.
289. ჩვენ ვიფიცენით ღვთითა და ყოველთ ანგელოზს მისითა. რა მან გიბოძოს ასული — შე გამახაროს ვისითა. ფიცსა და პირსა რად მოშლი, ნეტა რჩევითა ვისითა? სასახელო ვარ სასიძოდ, რად მჭრვეტ თვალთა მქისითა?
290. არ ჰხამს, ჩემგან აბეზარი იქმნა, მტერსა ჩემს მიერთო, ბედით ჩემით მოცემული შე შენითა რად წამერთო? ეს სჯობს, შემერთო შენი ქალი, გული მართლა გამიერთო. რადგან ჩემთვის გაჩენილა, თქვენ წართმევას ცუდათ

სწერთო.

291. დახსენ მტერობა, ქვეყანა შენი დაიხსენ მოსრევითა,
ლაშქარი აღელვებული დააცხრევ ხრმალთა ქნევითა;
გავიხარებდეთ ნიადგ ერთმანერთისა შეყრითა,
ნუ გინდა ჩემი შერცხვენა სააუგოსა დასვრითა.
292. თორ რაც სისხლი დაღვრილ და ანუ თუ დღეს დაიქცევის,
ან ქვეყანა ამოსწყდება, აოხრდება, მოიქცევის;
საუკუნოს მოწყალისა რა პასუხი შეგექცევის,
არ დარჩები იქ პირშაეი, აქ მოაბად არ გექცევის.
293. დაიხსენ ერთის დიაციტთ თავი და შენი სამეფო,
თვარა უმისოდ, იცოდი, ველარას ვერ იამეფო,
მთვარე მზეს შემართო, მაშინლა მეც გამწყრალს დამამეფო,
თუ ეს არა ჰქნა, ვერა რათ შენ კვიროს ვერ გაამეფო.
294. ჩემს მესისხლობას მსუბუქად ნუ ხედავ, უ ას აბია,
ნურც ცოტას ხნისა გგონია, მწვედ ძნელი ბოლო აბია;
მე ლაშქარი მყავს მრავალი, არ შინლა მოასაბია.
გამწყრალის მეფის შერისხვა მამაცთაც დასანაბია.
295. აწ მოიქეც უმეცრულის შურისაგან სიყვარულად,
შენს შვილს, კვიროსს, სახელმწიფოს დიდსა მიესცემ მკვიდრად
სრულად,
ქოისტნისა სადღეოფლოდ შენ იქნები დანერგულად,
ხვარსნისა ვისი იყოს ტახტზედ მჯდომი ჩემად სულად.
296. რაზომნიცა დღენი გვესხნეს, საწუთროსა ხელი ვყაროთ,
მოყვრულად და საყვარელად ერთმანერთსა შევეყაროთ,
ლხინსა ვზმიდეთ სამუდამოდ, ეს ლაშქარი გავიყაროთ,
შფოთისაგან მოვიცალოთ, სრულ ქვეყანა დაეაწყნაროთ“.
297. რა წიგნისგან მოიცალა, აწ შევიდა საჭურჭლესა,
დაარჩია სასალუქო, არ ურევდა ცუდმად ჭრელსა;
კვლავ ცხენებთა ბედაურთა გარდასთვლიდა, არ თუ მკლესა.
ანგარიში არ შეეძლო მის საჭურჭლის აღმრიცხველსა.

298. ასი აქლემი კუბოთი, სამასი ლარ-კიდებული,
 ასი ტაიჭი, სამასი ულაცი ლაგამ-დებულა,
 ხუთასი ჯორი მისრული, არ ცუდად გამოგდებული,
 თვალ-მარგალიტით ტვირთული, სიმძიმით გახუებული.
299. ამასთან თავ-საბურავით ზანდუჯი სავსე ორასი,
 ვინცა ნახევდა, გაჰკვირდის. იტყოდეს: «აო, ო რასი?»
 სხვა ერთი სამკაულითა სავსე ფას-შეუსწორასი,
 ქვეშაგებელნი ტურფანი, ზალასი პირი ღორასი.
300. სხვა მრავალი სახელმწიფო, უცხოობით არ ითქმოდა,
 კაცს ენახა რაგინდ ბრძენსა, თითქმის რეტად შეიქმოდა.
 აჰკიდა და გაუგზავნა. ეს ხმა ყოვლგან განითქმოდა.
 რა მიაბრუნეს მას დიაცსა, ასე ამით დაინთქმოდა.
301. რა შარომ ნახა ეგზომი, დაითრო საქონელითა,
 ძეც დააფიწყდა, ასულიც — ჰკუთითა ავის მქნელითა;
 მზე მოაშორა სამყოფსა, აავსო სრულ სიბნელითა,
 ვისი ხელთ მისცა მოაბადს, ვა, ყოფა დია ძნელითა!
302. შარომ ქალი ვეშაპს მისცა, ცა შეიქმნა ლილის-ფერად,
 სრულ ვარსკვლავნი გაუჩინდენ, აღარ ისხდენ თვალთ სამზერად,
 მთვარემ ფარდა ამოიკრა. გამხდარიყო, თუ სთქვა, შტერად,
 ეტლნი მსრბოლნი, ჩარხთა ბრუნვა შექმნილიყვნენ სულა
 მტერად.
303. ასე მწარეა საყვარელთ გაყრისა მკმუნვარებანი,
 ცას შეაწუხებს მნათობთა იმათი მოშორებანი;
 ზრუნვიდენ ყოვლნი ციერნი, გლოვისა ჰქონდათ კრებანი,
 მოსთქმიდენ ვისის საქმესა, იყო ტირილი, ტყებანი.
304. მზემ დასავლად გაილაშქრა სრულ ვარსკვლავით, მთვარეც
 ანლად,
 დააყოვნეს მუნ დიდხანი, აღმოსავლად აღარ ახლად;
 ეტლნი ჰგვანდეს რკინის კლდეთა, უძრავობდენ ნუთუ ახლად.
 ვისი მათ რომ ეშთაობდა, ძლივ მოკუშტვით მათ იახლად.

305. ვერძ-მოზვერნი დაღრეჭილნი, დამალულნი სადმე თრთოდა,
ლომ ადგილი და-ცა-ეგლო, შიშით ვითამ უსულობდა.
მოტყუბარი ორს ტყვეთებრი დაქედილი უძრაობდა.
გამწყრალიყო მუნ კირჩხიბიც, კულ-აბზეკით თავს იგდებდა
306. ქალწული დიაცის მსგავსად დგა, ხელთ ტევანნი ეჭირნეს,
სასწორნი დაგრეხილიყვნენ, მასცა ეს ჭირნი ეჭირნეს,
ღრიანკალს ერთგან მოკეცით, ვით გველს, ზურგს თოკი
ეჭირნეს.
ნეტა რა გავდა შაროსა, თუ ასე არ გაეჭირნეს!
307. მშვილდოსანსა, ვითა კერპსა, მშვილდით ომი აღარ ეძლო,
თხას ისრისგან უშიშარსა, ქვე-მწოლარსა, ხორციც ეძლო.
წყლის-საქანლის ჩასაგდებლად ჰასა შიგან თავს დაეძლო,
მისი ჭურღმულს უქმად გდება მის მზიდავსა ვით გაეძლოს?
308. თევზი ლალი წყალსა შიგან შეცაეპყრა მაგრა ბადეს,
ვითა ხმელზედ გამოქრილი. ასე ვითმე დაებადეს,
დარჩომისგან უიმედო ეტლსა აზად დაებადეს,
შაროსაგან დაემართა, პასუხს გასცემ რასა ბადეს?
309. რა ციხეს შიგან შევიდა მოაბად კარგის ეტლითა,
აღარა ჩნდა რა სიბნელით, თვალნი ეტკივნეს ბლეთითა;
იბოვა ვისი სინათლით პირითა მეტ-ს-მეტითა.
ხელი მოჰკიდა, მისთრევედა, არ წაჰყვა თავის ნებითა.
310. შანშამ ავისა ეტლითა ნახა საცოლე თავისი
სხვა ამ ბედითა ნულარ შვას, რით დაებადა მათ ვისი.
კვირომ დაჰკარგა მნათობი, ცოლი — ძმამ, არ თუ შორს თვისი,
ნახეთ ნაქნარი სოფლისა, ვინ მიიხვედრა ვინ ვისი.
311. განმხიარულდა ვით ლომი კანჯრისა ზე შემსწრობელი,
ან კაცვან გლახამ საჭურჭლე ჰპოოს, ვით იყოს მნდობელი,
შესვა კუბოსა, ვითა მზე კირჩხიბზედ იყო მჯდომელი,
მომართა თავის სამყოფსა ქარივით, არ დამშრომელი.

312. ხამდა მისთვის ჳირთა ნახვა, რადგან მისებრ არვინ არი, მან შვენების ჳარდახჩა და პოვა ლალი მოცინარი; მუნიტ ჩქარად წაიყვანა ნებიერი, მშვიდი, წყნარი, მაგრამ ბედი საბოლოოდ ავად უჩნდა მორკინარი.

ცნობა კვიროსაგან ცოლის წაგვირისა და ტირილი

313. კვიროს სცნა, მზე ეტლს სხვას ვისმე ჳურგსა უნებად დაესვა, გული დარია ლახვარმან, არ თუ მიდამოს დაესვა, უნდოდა თუმცა საკვდავად ეჭაჳა რამე და ესვა. საყელო გარდაიხნია, ტირილ იწყო და ეს ვა.

314. ფერამითა შემოიქცა, მთვარე დახვდა მის სრას არა, შაროს ფიცი გაეტეხა, მართლა აღარ შეაწყნარა, წაყვანათ მისთა მტერთა, გულსა დანა გაეყარა, მის უფასოს იაგუნდის ნაცვლად სხვა რამ დაეყარა.

315. უშრეტი ცეცხლი მოედვა, თუმც დედას ვერას ჳადრებდა, უთხრა, თუ: „რასთვის წამართვი, ვინ მზეს არ შეიდარებდა?“ ხელს თავს იცებდა, ტიროდა, სიცოცხლეს გაიმწარებდა, თუმცა მიეცათ საკვდავად, მახვილსაც მოიხმარებდა.

316. დასწყევლა ყოველი საწუთო დაუდგომელი წამსაცა, ის არას ნაღვლობს, ამისთვის ყვედრება მუდამ თავს აცა, გაჳყარა კვიროს საყვარელს, მიჯნურსა, ცოლსა, დასაცა. რადგან მოაბადს მიჳგვარე აბა, სოფელო, მას აცა.

317. მას დაამძიმა საწუთრომ, მოაბად მწვედ გაახარა. ერთს საყვარელი გაჳყარა, სხვას საძულველსა შეჳყარა, შანშა იშვებს და კვიროზ ტირილზედ ღონე დაჳყარა. პაი-ჳამ, მრუდო სოფელო, ასე ცრუ სულა რად ხარა?

318. ხორასანს მიჳყავს მზე ეტლსა, მოაბად მხიარულობდა, რაც ჳირი პირველ ენახა, ოცნებადც აღარა რულობდა.

იგ მთვარე კუბოს შესმული აქლემით მოარულობდა,
რა ქარი ეცის, სულითა მინდორნი სულთ სურნელობდა.

319. მზესა რაზომ მოელრუბლა, არე მაშინც არ დაბნელდის.
თუმც ქვეყანას ახარებდა, იგი ვერათ ვერ ილხენდის,
მას ასეთი ცეცხლი სწვიდა, წყლის პკურებით არ დახელდის,
კუბოს მისთა მონაქროლით ტყე და ველი გასურნელდის.
320. განგებამან ქართა ქროლით კუბოს ფარდა გარდმოჰხადა,
მუნით შუქი მზისა მსგავსი ვისმან ქვეყნად გამოჰხადა;
რამინს ეცა პირსა სხივი, ცხენიდამე გარდმოჰხადა,
ქვე დაეცა დაბნედილი, სიმხნე ასე გაუხადა.
321. ვით ღრუბლიდამ ელვა ღამე, ანუ დღე მზე გამობრწყინდეს,
ეგრეთ შუქი მუნ ვისისა ქვეყნად ჰკრთოდა, თუმც მოსწყინდეს;
მისსა პირსა სხვა მნათობი მიწყვი ყველა დაებინდეს,
მთიებიცა მას ჰნატრობდა, რამინს ვითა არ მოუნდეს?
322. რამინს გული დაუტყვევა, ვით გრძნეულმან, თოკით მაგრა,
ცნობა მისკენ გარდებხვეწა, ველარათი დაიმაგრა,
სიბრძნის წილათ ეშხი მისი ერთის ნახვით მოისაგრა,
ცრემლით იყო დაღტობილი, მაგრამ სულა დაიდაგრა.
323. მიჯნურობის ცეცხლმან გული დაუწო და დაუალა,
წამს თვალისას გონებანი მას შესწირა, დაუალა.
მზისა შუქი თუმც დახლების, ვისისაა დაუალა.
ასეთს გზასა დაემართა, ძნელია და შეუალა.
324. მისის მიჯნურობის ხემან ნაყოფად ეს გამოიღო,
გახელება, ველად გაქრა რამინის წინ წამს მოიღო.
იდვა უჭკო ქვე მტიორლი, სული ვერათ ვერ დაიღო.
ვისი მივა კუბოთ ლალი, კაი სული თან წაიღო.
325. პირი მისი ვარდის მსგავსი ზაფრის ფერად გარდაექცა,
ტანი სრულღო, ჰარო ნაკეთი მოეკვეთა, ქვე წაექცა,

სიცოცხლისგან უმედო გახდა, სული რა გაექცა,
ეტლებოდა ღონეს რასმე, მაგრამ ცნობად ვერ მოექცა.

326. რამინ მტრიანი ეგონათ, ეხვეოდინ გარემოს,
შეშინებულნი ამისგან, ვაითუ ე შმაგ გარე მოს!
არცა ყვილი ესმოდა, სურნელთაც კმევეა არ ემოს.
„მზე დაგვიბნელდა, — იტყოდეს, — ვითლა ნათელი არ
ემოს“.
327. ყოველი კაცი ტიროდა მის ეგრე გასლვა-ყოფასა,
მაგრა რა ერგოს უჩინოს გულსა ლახვართა ყოფასა?
ზოგნი იტყოდეს სიცოცხლეს და სხვანი სულთ გაყოფასა,
ასუნებდიან ამბარსა, ცუდს ყვავილს, არ ონტკოფასა.
328. მერმე ღმერთსა შეეწყალა და მოვიდა ცოტად ცნობას,
სიტყვის თქმალა არ ძალედვა, აბრალეზდა უენობას;
კაცთ სირცხვილით აიოხრა, თქვა: „ჩავარდი მოსვენებას“
ცხენსა შესვეს, წამოვიდენ, აკერევიენს მალლა ნობას.
329. მეტისა გონებისაგან ნათელი ებნელებოდა,
ოხრიდა ქვე-ქვე იღუმალ, სიცოცხლე ეძნელებოდა:
ვითა სანთელი სახმილზედ, დღითი-დღე ეგრე ღნებოდა,
ხან ხელი ვითა გაიჭრის და მერმე გულით ბნდებოდა.
330. თვალნი მისნი ვისის კუბოს შეეკვეთა სულა ასეთ,
ვით მპარავი უკეთესსა ღარს უმზერდეს, თუ საფასეთ;
ჩისი ეშხი მას სურვილად გულს მოედვა, ვით მასეთ.
სამაჯნუროვ, მიჯნურები, უწყალონო, რას დანასეთ?
331. იტყოდა: „ჩემთვის ნეტარძი, თუმც ერთხელ კიდევ ვნახევდე,
ანუშტა ღონე იყოს რამ, ასმინა, ვითა ვახევდე,
მეკუბორობა მალირსა, მის ხეთა მეცა ვახევდე,
ან თმობა მომცა, ნდომასა გულისას შევინახევდე!“

332. აჰა, იქნებამც მწე ვინჟე მძებნელი იყოს მადლისა.
მას ჰკადროს ჩემი სალამი, ნდობა მაქვს რა საწადლისა;
ნუთუ შეებრალდე მას მზესა. თუ მადლი მოიმადლისა.
იგიცა ამყვეს მიჯნურად, ნახევრად დასაქადლისა!
333. ან სიზმრად სადმე ვეჩვენე სისხლის ცრემლითა შესერილი,
ეგებ შეებრალდე უწყალოს სიბრძნის ეამ ცნობა-წაგვრილი.
მო-რე-ლებეს გული მაგარი, ღონე ქნას ჩემზედ დაყრილი,
გულსა ლახვარი გამიღოს, რომელ მაქვს მისგან გაყრილი.
334. ეგებმცა იგიც ჩემებრ გამიჯნურდეს, იქმნას ასე,
ვითა მისის სიყვარულით მე დავები დავიმასე;
მასცა ჩემგან ნახევარი მიეც, მივა ეგრე, მასე,
მასც რამ ჩემი დაარჩინე — მარტო სულ მე ნუ დამნასე!“
335. ზოგჯერ რამინ ესეთს გვარსა იგონებდა სულდალებით,
დაედრიჯა თავ-ჩაგდებით, გულ-დამწვარსა სულ დალებით.
გაეზადა სისხლის ცრემლით უბე-კალთა სულ დალებით.
კარნი დახშა სიხარულის, არა ჰქონდა სულ დალებით.
336. გულს ეტყვის: „გულო, ურგებსა საქმეს ნუ დაემონები,
უსარგებლონი ნატრანი საქმეა შეუწონები;
მის მთვარისათვის რას ვკვდები, ვის რომ არ მოვეწონები?
რაზომ ჰირს ჰირზედ იმატებ, მას მზეს სად მოეგონები?“
337. რად მოელი ვისის შეყრას, ვის რომ გზა აქვს შეუფალი,
ნუ იმედობ უმეცრულად, თავსა ჰირი შეუფალი.
მზეს ვინ მიხვდა ხორციელი, რომე გზად აქვს ცა სავალი?
ჰმუნვისაგან კიდევ საქმე გვეშოვება არსავალი?!
338. შენ გწყურიან, წყლის მძებნელო, ხმელს მინდორში რა გერგების
მისგან კიდევ, დამბადებელს შეებრალო თუ ეგების?
სხვის ღონისა გამორევა, ძებნა არსით არ ეგების.
უიმისოთ ვინ რა აგოს, ცუდათ შვრება, არ ეგების“.

339. რა რამინ მაგრა დაება მიჯნურობისა ბადესა.
 თმობა არ ჰქონდა, არც ნება. სხვა რალა დაექადესა?
 გულმან მგზავრობა მგზავრთანა უნებლად მოიწადესა.
 ვისი ხელმწიფედ. შეექნა, მის ფერხ-მტვრად, მგონ,
 მიწად ესა
340. მუნ ყოფითა ამის მეტი საწადელი არა მიხვდეს,
 რომ ხანდახან ვისის კუბოთ სურნელების სული მოხვდეს.
 მას სასჯელსა ნურვინ ზარობს, საბოლოოდ თუ არ წახდეს
 ამას იქით გავიგონოთ, რაც ორთაგან საქმე ნოჰხდეს.
341. თუ კაცი ერთხელ გააცხროს, მნახავნი სიკვდილს შიშობენ,
 მიჯნურს სრულ ცეცხლი ედების, მშობელნიც, ვექვ, მას
 შიშობენ;
 იწვიან ქვისებრ ქურასა, ბოლოყამს თუცა შიშობენ.
 ესენი არვის ეწყალების, რაზომცა სულთქმით უშობენ.
342. რა არის უფსამართლე, რაც მიჯნურს წაეკიდება?
 ანაზღად უცხოს-უცხოსა გულს ცეცხლი მოეკიდება,
 ტვირთი უთმინო სურვილის ყელზედა დაეკიდება.
 სჯობს, რომ კაცს ებრალეობდეს, ნურავინ წაეკიდება.
343. მიჯნურს ჰირად ეს ეყოფის, ჰირსა შიგან არის მიწყით:
 მოყვრის ნატვრა, ხვაშიადსა გულსა წამსა ცერ მივიწყით,
 გულს მიანდობს ვერავისა, სხვამან სხვისა მით არ უწყით.
 რამინ იყო მმატებელი სურვილისა ემხთა მიწყით.
344. ჰგვანდა ქორის ჰანგთა შიგან კაკაბს მყოფსა, ზურგ-კოდილსა,
 არც ცოცხალი, არცა მკვდარი, სახე ოდენ ჰგვანდა ჩრდილსა;
 მის ტანისა ნაძე-ნაკეობობას მშვილდებრ სჰვერეტენ
 მოდრეკილსა,
 გზა საკნად სჩნდა შეჰირვეებით, ინატროდა, გლახ,
 სიკვდილსა.

ქორწილი მოაბადისა და პისისა

345. მოაბად მარავს შევიდა მთვარიას გაახლებითა.
სრულად შეემყო ქალაქი სტაერიითა მუნ ნახლებითა,
მნათობთა მსგავსნი მკვერეტელნი უმზერდეს ბაბ-სახლებითა,
ციოვან ვარსკვლავნი იძახდენ: „ვისს მხველად ვიახლებითა“.
346. დიდებულთაგან თვალ-გვარი, მარგალიტი ეყრებოდეს.
მიწის ნაცვლად ოქროზედა მას წინ დაიარებოდეს.
საწუთროსა ლხინი სრულჰყვეს; მარვი ეღეწს ედრებოდეს,
მაგრამ ვისსა შეჭირვებით თითქმის სული ეყრებოდეს.
347. სამოთხეს ჰგევანდა ქალაქი: — თვალს წვიმს მარგალიტ ხშირადა. —
მკვერეტელთა პირი ეღვიდა ვარსკვლავებრ გასაჰქვირადა;
მუტრიბნი ჰკვრიდენ, იმღერდენ ტურფა-ხმად, არ საყვირადა.
სნეულნიც მხიარულობდენ, ერთი დღე უჩნდათ კვირადა.
348. რა ესე ყოფა ლაშქართა ქალაქსა შიგან იქნების,
მეფის დარბაზის შვენება, თვით იყოთ, ვით შეიქნების!
სიდიდით ჰგევანდა მინდორსა და კოშკი ცაშდინ მისწედების,
ქვერეტად კოშკისა ბანზედა ვარსკვლავნი ისხდეს იქ ნების.
349. მეფე ტახტსა ზის გულუხვი, სვამს, გასცემს, დია იხარებს.
ცას ხელს მოავლებს სიმაღლეთ, ქვეყნად აღარვის იდარებს:
ეზარეთ ანათობს დარბაზსა, მზე უფრო ველარ იდარებს.
მისთა მკვერეტელთა ამებს, არცერთს არ დააბინდარებს.
350. გაიხარე ამ სოფელსა, თორე ჰმუნვით ვერას ირგებ.
სვი, ჰამე და ლხინი ნახე, ცუდად სუფრას ნუ არიგებ,
უხვად გაეც გასაცემი, დაკლებასა რას შეიგებ!
თუ ესე ჰქნა, ქვეყანაზედ კარგ სახელის-ხმას დაიგდებ.
351. სად ვისი იჯდა დედოფლად, დარბაზი წალკოტ-ქმნილობდა,
მისთა პირთაგან ყვაოდა, ვით ჟამი მზისა დილობდა.

თუმცა შანშა იშვებდა, მთვარე დაღრეკას ცდილობდა,
დღევ და ღამ ტირდა ღრუბლისებრ, აროდეს მოილხინებდა.

352. ვინცა ეგეთსა ნახევდა, მისებრივ ატირდებოდა.
დედის სიშორე, ძმის გაყრა ცეცხლივით მოედებოდა:
ზოგჯერ სულლებით თვალთაჯან სისხლ-რევით იცრემლებოდა,
ამ წამს ხელურად აიჭრის, ზახილი მოუნდებოდა.
353. ვინც რამ სიტყვა მოახსენის, მასთან ასე გავიდოდა:
გულსა მისსა შეჭირვების ქარავეანი შევიდოდა.
ასე გახდა, ნემსის კურწსა — თუ სტყვა — სიწლოდ გავიდოდა,
ფერი მისი თუც ლალობდა, ზაფრის ფერად წავიდოდა.
354. ხელმწიფეთ და დიდებულთა ცოლნი ნახვად მოვიდოდეს,
გვერდს უსხდიან მოზრუნაენი, ნუთუ ლხინად მოვიდოდეს;
ზენაარის ხეწუნა მათი მასთან სრულ არ გავიდოდეს,
თქვეს, თუ: „სულსა დაიღებდა, თუ სიკვდილი არ
უნდოდეს“.
355. რა მოაბად დაინახის, პირი სულა დაიხივის,
ვით ლოპისგან შეპყრობილმან შევლმა ვითა დაიხივის.
შანშაჲ ვერცერთი დღე მასთან ლხინი ვერ იყვის.
ვისის პირი ვენახია, მაგრამ კარი აძევს ტყვიის.

ძიძისაგან ვისის წაუვანის მოთქმა

356. ძიძმა რა სცნა ვისისა წაყვანა უნებლიეთი,
ქვეყანა მისთვის შეიქმნა ქვესკნელი და საბნელეთი,
კვამლად შეექმნა სული და სიცოცხლე მკვდართ უძნელეთი;
ტირილით შექმნა მინდორი მუნ მყოფთა დასანთქმელეთი.
357. ძიძა მოსტქვამს: „პაი, მზეო, ჩემთვის ნათლად ამოსულო,
თვალთა ჩენავ, სიცოცხლისგან უამესო, ამო სულო,

ზმირინო [და] ღალიაო, საყნოსელო ამო სულო,
ჭერ ჭაბუკო ქცევა-ღალო, კარგ-ანღამო, კარგ-უსულო!

358. უსინჯოვ, სულა კეკლუცთა ხელმწიფედ განჩინებულო,
ცისა მნათობთა უნათლევ, არ თუ მზისაგან ვნებულო,
პაეროვანო მაისო, ვარდ-გაშლით განშეენებულო,
პირ-ბადრ ბაკობით მჭდომარო, მთვარეე პირ-მოვანებულო!
359. მთვარეე ეღვარეე, კეკლუცთა ხელმწიფედ სანატრელო დ-
რად დაგემტერა საწუთრო, თუქც ყოვლთა ზედა ტრელო და?
ვით საარაკოდ გაგხადა, მრავლ-ფერად ვითა ჭრელოდა?
ჭერ ბროწეული კოკობი, უმწიფო, გაუქრელო და!
360. რად დამწიფდა სრულ ქვეყანას უქმოდ შენი სიყვარული?
ჭერ სძის სული პირს ამოგდის, მარტვილი ხარ, არ თუ სრული.
ყოვლთ კაცთ პირმან ვით გაბსენოს, ან სიტყვა თქვან შენთვის
კრული?
შენ ცოტაო, სახელ-დიდო, ბედიბცა მაქვს მიწყი კრული!
361. შენ, თხას ველურსა, უვნებლად მიჯნურადა გყავს ავაზა.
მის გამო ვიწვი, მან მისი, ვიცი, არ იცის თავაზა.
ვაგ გაზაფხულსა, რა თრთვილმან ახალი პოოს ა ვაზა.
ნეტამც სიცოცხლე გამიყო, მანდ მისვლად გამაგაევაზა.
362. ღმერთმან რადგან შენი ნახვა ჩემად სულად გვაჰსა მიყო,
მაშ უსულო, გლახ, საბრალო, მითხრას ვინმე, აქ რით ვიყო?
უშენოსა მე სიცოცხლე თუ მინდოდეს, მომცდარვიყო,
ნიშანიმცა ნუ დაბრჩება, ქვეყნად — ჯავრი, თუ ეს ვიყო“.
363. შეკაზმა ფიცხლად მავალი ღარ-ტურფად ჯამა ოცდათი,
აკიდა ტურფა მრავალი სახელმწიფო და საშათი;
ღლისით და ღამით იარა, ვინ სრულ თქვას მისთა მოთქმათი?
ეს ვისს ჰყავს მისად მეშველად, ნესტან-დარეჯანს — ასშათი.
364. მარეს რა მივიდა, ვითაქცა უსულოს სული ეპოვნა,
ჯოჯონეთიღამ ხსნილიყო, სამოთხის შვება ეშოვნა;

ვისი თუმც ნახა გულ-წყლული, მაშინც მას ლხინად ეპოვნა.
თოიჯმა ძიძამ მცხრალს მთვარეს ვარდის ბაგენი მოსწოვნა.

365. ვისი ნახა ნაცარს მჭდომი, ნახოჭი და თმა-მგლეჯელი,
მტირალი და აეს ყოფაში, თავის სისხლის თვითან მსმელი;
ტანი თმა ვით დასწლობოდა, ჩიტის ადვილ ჩასანთქმელი,
პირი-სარკე დაეალა, დაეკოზრდა ღვანთს სანთელი.

366. რა ნახა ასე გასული, ძიძა მწვედ შეიჭირვებდა,
გული ცეცხლითა აივსო, ზე მარწუხს მოუჭირებდა;
მისთვის თმობასა ეძებდა და მისთვის მოიჭირვებდა,
უთხრა: „ნუ ქმნილხარ უთმინოდ, გულს ნურათ

შეიურვებ და.

367. რად დაიცილები სულთაგან, რად ღვრი, რითაც მას ევენების?
შენ ხარ სულისდგმა ჩემი, თორ უშენოდ გაიდევნების.
მიწყვიც ვინ ჭირსა დაებას, მისგან რით მოისვენების?
დამქლდები, გა-ცა-ყვითლდები, ეს შენ რად შეგეშვენების?

368. დედამ მიგცა მოაბადსა სრულად მისად საკუთარად,
აწ შენ უფი ჯასურველად, სულთაც უფრო მოსახმარად.
ხელმწიფესა ბრძენი არეინ შესცოდებენ არას არად,
კვიროს თუმცა მორკმულია, ვერ უსწორებს, ვინ გყავს

ქმარად.

369. დრამა დაქვარგე, სანაცლოდ თვალს მიხვდი პატრეცემულსა,
კვიროსს მოშორდი, ხელმწიფეს დიდს ახლავ სახელდებულსა,
ძიძამ ვერ გარგოს, მიმართე დედამთილსა და, ჰე, მულსა;
თუ არც მით იქნას, ღმერთი გყავს მშველად შენ,

ნათელცემულსა.

370. თუ საწუთრომ ვეცხლის ვაშლი გამოგართვა ხელთ ნაჭერი,
ნაცელად ოქროს თურინჯითა მოგიქედა სახლთა ჰერი;
ჯარი ცოტა თუ დაგიხშა, ეს გაგიღო, შეველენ ერი.
ბაზმის წილად შენ სანთელი მალალი გითქს, არ ნაჭერი.

371. საწუთრომ შენზედ არა კმნა საქმენი სავაგლახია,
 ღმრთისგან უმაღლო არც ის არს, მონაა, ვინ ვავლახია;
 ვინ მას ემდურვის, დაინანს, ბაღდანია თუ ვლახია.
 თუ არ მომისმენ, მე შენი არელა არ დაელახია.
372. ადევ მიწისგან, არა ვაქვს უამი ტირილთა გლოვისა,
 ტანს შეიმოსენ ტურფანი, ფერი ძოწ სიახლოვისა:
 თავს შესაფერი გვირგვინი დაიდვ ყოვლისა თვალისა,
 პირი შეიმკე, მოჰფინე ნათელი მზის სიკბოვლისა!
373. შაქრის უტკბოთ ენით შენით საუბარი ამოიწყე,
 ბაგე-ვარდით, გიშრის თვალთ შენს მკვრეტთ მთვარე დაავიწყე;
 ნადიმობდი დედოფლურად, ლხინი ჰირად ნუ მიიწყე,
 მოაბაღსა ახარებდი, ამო კოცნით მიწყით მიწყე.
347. სამოთხეს ჰგვანდა ქალაქი:—თვალს წვიმს მარგალიტ ხშირადა.—
 მზე მოშურნე ჰყავ ერთითა შენითა გაცინებითა,
 შაქარი გააბედითე ტკბილისა აღურსებითა,
 ამბარს პატივი წაუღე შენთ თმათა ელვარებითა.
375. მამათ გული დედათათვის გააგრილე, გაუციე,
 შენს მიჯნურთა ლომთა პირი ყვითლის ფერად გარდუქციე;
 მიღმაც ბრძანე, თუ ვინ მოღმა გკადროს, სიტყვა შეუქციე,
 ერთის შენის უკუყრითა ყოვლი სული შეაქციე!
376. თუ ტანს შეიმოს, იქნება, რაცა ვთქვა, უკეთესადა,
 კეკლუცი გაწბილდებოან, იტყვიან: «ჩვენ სად, ეს სადა?»
 გვარი ვაქვს, სიყრბე, სიტურფე. შენებრ ვინ დაეთესა და?
 ღმერთს რაც წყალობა უქნია, დასჯერდი, სხვას ნუ ესავ
 და.
377. ნუ ემკლავები განგებას, მოწიენადს ვერათ შეაქციე.
 არ დაბრუნდება, ბედითთ ზახილით როგორ გააქციე?
 თვალთავან შეუშრობელად ცრემლთა, ვავლახ მე, რად აქციე?
 ან შენის სიბედითითა შანშასა სახლსა დააქციე“.

378. ესე გვარად ძიძამ რაცა შეგონება გააგონა,
ვისს ყველა რამ ასე ესმის, ვით ქარის ხმა გაეგონა,
უთხრა: „ხესა უნაყოფოს სიტყვა შენი მიეგონა,
სიცოცხლითა გამაძღარვარ, არამც შენ ეს არ გეგონა.
379. ტანსაცმელად ფლასი მსურის, ტახტად მიჩანს შავი მიწა,
ნადიმია მოთქმა ჩემთა ჭირთა, მიწყი: წიწა-წიწა!
ნობად ვით გაიხაროს, ვინ საწუთრო შეაბილწა?
არცა მე რას კარგს მოველი, არც მით თავსა შევიბიწა.
380. ვარდიმე ვიყავ უეკლო, კეროს ვეახელ ოდესა,
აწ ეკალო ვარ უვარდო, იდგის რა ზღვისა კბოდესა;
ნება უნებან ყოველთა, მე უნებლობა მკობდესა;
რადგან ვერ ჰპოვა მან ნება, სხვა ნუვინ მაზე რბოდესა“.
381. ენად კარგმან ძიძამ ვისსა კვლავ დაუწყო შეგონება:
„შენ ავი რამ გულს გაივლო, ეგ ვისგან მოიგონება?
ვინ სადმე თქვას ეგ უხამსად, ძმა და ქმარი გეგონება?!
თუ მე შენი გამზრდელი ვარ, გიხამს რამე გავგონება.
382. ჯერ ძმა იყო საწადელი და ქმრადა გყვა სასურველი,
გარნა ნება ვერ სრულჰყავით, გაგეყარა საყვარელი;
იქნება, რა ბევრხან იყენენ მოყვარენი გაუყრელი,
საწადელი ვერ იამონ, ნუ გგონია საკვირველი.
383. წარსულს მოყვარეს ნუ ეძებ, დღესა ჰგავს წინ გარდასულსა,
ნუ იბრძვ, ნუ კუშტობ, ნუ ფრთხილხარ, ვინ მირჩევენხარ ჩემს
სულსა;
აბანოს შედი, ნუ ზიხარ მიწასა შავსა, ავსულსა,
ტანს შეიმოსე, ტახტს დაჯე, გიქებდენ ყოვლნი უსულსა.
384. შენ და კვიროს საქმე შეჰგავს, მოწმენდილს დღეს რა ცა ქუხსა,
ან გლახაკსა ლართ-მპოვარსა, მის დამგდებს სხვის
მოჩანჩრუხსა.
შენგან მეტი ხორციელი ბედს სხვა თვალს არ მოუქუხსა,
გარდავიდა იგი ყაში, კუ დასცემდეს ორს შარუხსა.

385. აქ არიან გვარიანი დედოფალნი და ასულნი,
დიდებულთა კაცთა ცოლნი, მთვარებრ მნათი, დას-დასულნი,
მოვლენ შენთან, დასხდებიან შენებრ ნაცარს, აქ მოსულნი.
ეგ არ მინდა, მზეებრ მნათობნი ქვე სამ ისხდეთ დანასულნი.
386. სახელის ძებნა კაცთაგან დიდი სალარო არისო,
უცხოთ ენისა დაჭირვა საქრახად ქებად კმარისო.
ვინ აგრე გნახავს, იტყვიან: «ღირსია სულ სიმწარისო».
ზოგთა თქვან: «არ მიგვაჩნია», სხვათა თქვან: «ის ვინ
არისო?»
387. ვინ კაცთა უბატო ქყოფს, იგინაც დამტერდებიან.
ვინ დიდ გემოა კეკლუცი, მჭერეტი ევრ გახარდებიან.
დააგდე ეგ ზნე, აქიდგან ნუშცალა მოგიწდება.
ნუ მოაბადის თნებითა, სხვათდა, ვინ შენთვის კვდებიან“.
388. ვისმა ძიძას ესე სიტყვა დაუმაღლა, მოუსმინა,
ადგა ნაცრით, წამოვიდა, კვლავლა გული არ ატკინა,
აბანა და განუსვენა, სადედოფლოს მიაწვინა,
მერმე მოართო სამკაულით ბროლ-ვარდი და პირად მინა.
389. შეაქო თვალით ბრწყინვალით, უფასოს მარგალიტებით,
უკმია სული სულნელი ამბრით და სულ ღალიტებით,
შეულოცა და შეჰბერა: „ავ თვალნო, დაიკლიტებით“.
რაზომ ჰკაზმიდენ, არად სჩნდა, ტიროდა მწარის სიტყვებით.
390. რა ტირილი დაიდუმა, მო-რე-მშვიდდა, მო-რე-წყნარდა.
ვერა ბრძენი ნაასალსა მის ქებასა შეუწყნარდა.
ოქსინოზედ ჩინელთ სახეს წარემატა, ხმა ნარნარ და,
ყოვლი სული შენატროდა ხმა-მალლად და ებან-ქნარ და.
391. მლამის წყლით თუ პირს იბანდის და მიწაზედ გარდაიქოს,
მუნ საშაქრე ლერწამისა ამოლივდის, აღმოიცის;
ამარტა თუ დაწეს მოისვის, იაგუნდად გარდაიქის,
მკედარს, მიწაქმნილს, თუ დაპყივის, მისგანც სიტყვა
გამოიცის.

392. ამ ამბვის სპენით მოაბად შვება-შვებას გარდამატა,
რაც მიართვა, თითო თითოს ვერ დაიტევს წერით ქარტა,
თვალნი თლილნი, მარგალიტნი სრულ ობოლი, არ პატ-პატა.
იგი მაშინც დაღრეჭით ჯდა, სულთქმით ვერამ გააზატა.
393. სტავრა ურიცხვი, კვლავ ტანის შესამოსელი მრავალი,
ბროლის ტაბაკნი და ჯამნი მუნ მზა, არ შორით სავალი,
მურასას მუჭამრებითა სულთ სულნელთ აღმოსავალი.
ვისი ჭმუნვასევე შეეპყრა, არ ჰქონდა გზა გასავალი.
394. მხევალნი ტურფა, მართ მსგავსნი შვენებით ფარშამანგისა,
მონანი ბრძენნი, ჩინელნი კეკლუც, არ ფერად ზანგისა,
ქსუნნი, ვით თხანი ველურნი, სამსახურს განაკრძალისა,
გარე მოადგენ ვისს მტირალს, პირი ვის გაემანგისა.
395. მას არად ჰკვირდა საჭურჭლე, ცხროდ უჩნდა რა მოსვენება,
კაცთა ლოცვა და ქენება ვით წყევა მოეხსენება,
ქება-დიდება გინებად ესმის, ვით ავად ხსენება.
მისით იხარებს სოფელი, თუცა თუ მას არ ენება.
396. თუმც ვისის მზერით ქვეყანა იშვებს, იგ ეგრეთ კუშტობდა,
ბაგე არ დაძრის სათქმელად, ვარდი ნიადაგ ბუტკობდა,
შაანშას თავის ნებითა აროდეს არ დაუტკობდა.
მთვარესა ეტლი დაბმობდა, არ მოძრაობდა, კუტობდა.
397. ბატონმა წართო დღე-ღამე ლხინითა, სიამოვნითა,
გასცა ეგზომი საჭურჭლე, აღავსო ყველა შოვნითა:
დიდებულნი და ღარიბნი, მსახურნი მცირეს მონითა;
უხვად უბოძა ყოველთა, ჩინჩურად არ მიწონითა.
398. მერმე ველად განვიდობდა, ნადირობდა მხეტთა მსრველი,
ისარს არას დააცდენდა, მის-მის ალაგს იყო მკრველი;
შემოიქცის ასპარეზსა, უხდებოდა ჩოგნის ჭრელი,
ბურთს ყვანჯი ჰკრის, ცას აწვდენდა საწუთროსა ხელის
მყრელი.

399. რასა გინდა სიხარულს უნდოდალა იმას მწე სით,
 ყოველ დღეთა ასრე იყო, რაც წინა ვთქვე, ამა წესით.
 მაგრამ მზესა ცეცხლი სწვიდა, ვით აბედსა ტალხედ კვესით.
 შანშა გემო ვერ იხილა ნაყოფისა მის ნათესით.
400. ცამ შანშას ნების ღრუბლითა შემოსა აწ დაიწყო და,
 მოაბად წვიმდა ოქროსა, ქვეყანა მოგან ირწყოდა;
 სრულ ქვეყნის შემოსავალსა ერთს დოსტაქნის სმად იტყოდა.
 ბერმა დიაცმა ძლიერი. ნახეთ, თუ ვით ღაიტყო და.

ძიძისაგან მოაბადის მამაცობის შეპარვა

401. ვისმა საწუთროს მოწყენით ძიძას დაუწყო ქენება:
 „ნუ გეწყინება, გამზრდელი, ამისი შენ მოხსენება,
 გავძელ სიცოცხლით, არ მინდა ამ სოფლის მე განსვენება,
 ეგებ გარდურჩე სიკვდილით, თუცა ძნელია ხსენება.
402. დაუბანია მოაბადს გული ჯერ თმობის წყლითაო,
 მე თავს არ მივსცემ, ეს მითქვამს, უმცირეს ერთის წლითაო;
 მეშინის, ვა, თუ ვერ გასძლოს სულ ცუდა ქვე წოლითო.
 ნება ვერ ჰპოოს, შემიკარ, დამიხსენ სისაწყლითაო.
403. რა წელაწადი გასრულდეს, ნუთუ გონება მომექცეს,
 გული და-რე-ვდვა უკანის, თუმც უნდა მეხი/დამეცეს;
 მას უკან გახსენ, მოაბად შენ დაგრჩეს, არსით გაგექცეს;
 რა გავვა, მიხსნა სიკვდილით, სიცოცხლე შენით მომეცეს“.
404. გაპკვირდა სიტყვას, დაქმუნდა, რა ესმა ძიძას გრძნეულსა,
 გულს ეცა ვითა ისარი, ემსგავსა მიწყი სნეულსა,
 გამოაჰყირნა თვალეზო, ვით აქვს ეშმაკის ძლეულსა,
 დაუწყო ჰერეტა კუშტ-გვარად, გავდა მტრის გამოსეულსა.
405. უთხრა: „თვალო დედისაო, შენში ცნობა აღარ არის,
 სამართლის გზა დაგკარგვია, გიპოვნია სულ სიმწარის,

ეშმა ბილწსა შესდგომიხარ, მგონ საქმედცა მისად კმარის,
სიყვარულის გზა შეუკრა? — ძებნა მიჯობს მე სამარის!

406. შეპირვებით გულ-შავ ქმნილხარ, სათს სიშავე არ წაელოს,
ცნობა ერთად შეგვეცია, ბრმას დახშული ვით გაელოს?
უბადლოსა საქმისათვის ქრთამი ბრძენსა ვის გაელოს?
ვინ ხელმწიფის შეცოდება მაქმნევინოს, მასვე ეზლოს“.
407. ძიძა იყო საარაკო გრძნეულობის მაგალითი,
როსკიბი და დია ბოზი, სიტყვა-ურცხვი, დაბალითი.
ჩხიბი შექმნა, ზე შეჭედა მაღალი თუ დაბალითი,
დილას ადგა, აიკიდა, ვით მსუბუქი თაბალითი.
408. ძიძამ საქმე დაიურვა, თუმც საქნელად მწვედ გონჯობდა,
დილას გაძვრა სახლიდამე, ჩქარად რასმე მიბიჯობდა;
მიიტანა, წყლის პირს დაჰფლა, ნოტიო თურ მას უჯობდა.
გამობრუნდა, მალ მოვიდა, იგ როსკიბი სულ ქუჯობდა.
409. ძიძას გრძნება მწვე სცოდნია, სიტყვითაცა აგრე უთქვამს.
ჩვენ ლექსითი მოკლედ რამე მიხი თქმული გამოგვეთქვამს.
წამსავ სრულყოფს ვისის თქმულსა, ეშმაკს სულსა, ვეჭვ,
აღუთქვამს.
სადაც დაჰფლა თილისმები, ვის სახელებსა დაუთქვამს.
410. გამობრუნდა, მოახსენა: „მე, ეს არ მომგონებია,
ეს ჩვენი ქმნილნი საქმენი სრულ არას მომწონებია,
მაგრამ მოაბად შემიკრავს, აქადგან დაგმონებია;
რა თვე გავიდეს, ნურც შენგან უარი მოხსენებია.
411. ამ თვეს უკან ისევ გავხსნი, შეიყარეთ საყვარელად,
ერთმანერთი გაახარეთ, ნულარა ხართ აგრე ჭრელად,
თქვენ გამოსჩნდით ქვეყნის მპყრობლად, საწუთოსა
ხელისმყრელად“.
აწ უყუროთ, თუ რა მოაქვს სოფელს მათდა გასაყრელად.

412. ვისმან ღია დაუმადლა, მერმე იგიც დაჰყვა ნებას,
 გული ამოდ დაწყნარა და ჩავარდა მოსვენებას.
 ვინ რა იცის, თუ რა შოაქეს შეღამება-განთენებას?!
 მოვიცადოთ, ყური უგდოთ მომავალსა მას განგებას.
413. მცირედ დღენი გარდავიდა, ზღვით ღრუბელი აღმოვიდა,
 მზეს სინათლე დაუფარა, მავრისაკენ წამოვიდა,
 გაუყვირდათ მუნა მყოფთა, ყველა მზერად გარდმოვიდა.
 წვიმა წვიმდა საშინელი, თქვეს: „პირველივ რღვნა მოვიდა“.
414. აღტყდა ღვარი საშინელი, ქალაქს ეცა, თან წაიღო,
 ბალ-წალკოტი სრულ დაგლიჯა, ძირიანად ზე აიღო,
 თილისმებიც წარიტაცა, ძიძამ ველარ გამოიღო.
 შეკრა ასრე იგ ძლიერი, ტახტიდაღმე გარდმოიღო.
415. მოაბადს ყოფა დამწარდა, ტახტი სჩნდა ვითა საკანი,
 მას ვისი თვალს წინ დაურჩა, ვით გლახაკს მდიდრის დრაჰკანი;
 დაბმულსა ლომსა უხტოდა უშიშრად კანჯრის ბატკანი.
 დასწყევა თავის სიცოცხლე, დაბადების დღით აკვანი.
416. ხნარცვად სჩნდა ღია საჭიროდ მისი საეუკო საწოლი,
 დღე გვერდს იახლის და ღამე, შორვიდენ ერთათა მწოლი;
 მტერნი ხარობდენ, მოყვარე იყვნიან მისებრ რამ მძრწოლი,
 ვისი ყვარდა ვარდისებრ, შეენოდა ზილფი კონწოლი.
417. ერთად წვენ, მაგრამ შორვიდენ სავალსა ვითა თვისისა;
 ვისს ორი ქმარი შეირთავს, ნებას იქმს არც ერთისასა.
 უყურე, ეტლსა რა ძალუც, ბრუნვასა ფალაქისასა!
 დიდი ხელმწიფე მოაბად დღეს ნატრობს სიკვდილისასა!
418. ვისსა მთვარე მონადა ჰყვა ბაკოვანი გავსებული,
 მისი მსგავსი არვის ახსოვს, რაც სულდგმული სხვა ქებული.
 მიზეზები ვა, საჭირო შეხვდა ბეგრგზის შეკრებული,
 ამად ჰქონდა გული წყლული, ცეცხლი მიწყვი მოდებული.

419. მოაბადს. რაჰინს, ვისს, ძიძას უყუროთ, რა წაეყიდოს.
არვის ასმია მათ მსგავსად სურვილის ტვირთი ეკიდოს,
ვინ სხვამ მიჯნურმან ისპინოს, სახმილი ზე. მოეყიდოს;
მათ უკან მიჰყვეს, ვინ მათსა საქმესა გამოეყიდოს.

ამბავი რაჰინის მიჯნურობისა

420. ეისი აუგს ეკრძალვოდა ნებიერად განაზარდი,
ნაკეთად ნაძვი მოაწიფა, აღუყვავდა პირზედ ვარდი,
მის ამბავსა მომსმენელო, ჰე, მიჯნურო, ველს იგავარდი!
მთვარემ რაჰინ შეიყვარა, ტანად სარო განაზარდი.
421. გულწყლულს რაჰინსა სურვილის სენი მწვევ გასძენელებოდა,
ულონო იქმნა, უკაცურს ადგილთა გარ ევლებოდა;
მას ლამით ძილი დავიწყდა, სულ აღარ მოჰგონებოდა,
მიჯნურობისა აღვირი პირს ედვა, თან დაჰყვებოდა.
422. ვარსკვლავთ უმზერდა, ფალაქთა მოქცევას ეხვეწებოდა,
ფალსა ჰკითხებდა, სამისოს ბედსა თუ შეესწრებოდა.
ვით კანჯარი და ქურციკი, კაცთა ნახვასა ჰკრთებოდა.
ნაძვი სად ნახის, ამსგავსის, ვის ტანსა ესწორებოდა.
423. ვარდს ჰკოცნიდა, იას ჰკრეფდა, ვისის თმასა ამსგავსებდა.
ორძალს ჰკრეფდა ჰამოს ზმითა, მსმენელთ ღზინით აავსებდა.
მისი სულთქვა ზამთრის ქრისებრ შორს. სანთელსა დაავსებდა.
მთხრობელს ვერსად შეეყარა, სამთხრობლოთა ვის ეძებდა.
424. რაჰინ მოყვრისთვის სიკვდილსა სიციოცხლედ მოინახვედა,
გული საკუთრად შესწირა, მისთვის არ შეინახვედა,
მღუღრის ცრემლითა ტიროდა, ვაებოთ მიწყვი ახვედა,
მიმოდარბოდა, ეგებ თუ შორით სამ დაინახვედა.
425. პირი მისი ვარდის ფერა ოქროს გვანდა მიჯნურობით,
სული ბაგეს მოსდგომოდა სიციოცხლისა მოურჩობით,

სულ ქვეყანა მტკავლეს სიგრძედ უჩნდა, იყო თუცა პერობით.
სამიჯნურო ასრე ტყვედ ჰყვა გაუხსნელად სულ შეპყრობით.

426. ზოგჯერ დაბნდის, ქვე დაეცის. კვლავ ხელივით ზე ავარდის,
მისის კენესით იადონი რტოზედ მქლომი ჩამოვარდის.
ტიკიკიკები დაავიწყდის და სურვილი მისის ვარდის.
ვერც მუნ გასძლის გრძლად შექცევა, ბალიდამეც
გამოვარდის.
427. ღვინო ველარ მიიწურის, თორ სულ თიობას მიუღებდა.
სისხლსა სწვიმდა ღვარისებრი, ღრმად რუს სითმე გაღლებდა.
ცრემლთა ლამში და-ცა-ეფლის, ფერხს ზე ველარ აიღებდა.
ხან სადგომს ჯდის თავის წინა, კარს არვისგან გაიღებდა.
428. თვალსა მისსა დღე ნათელი ბნელად უჩნდა ყოვლი არე.
სულ საბრალოდ გამხდარყო. მართ აღარას მოსახმარე.
ვერვინ ჰკითხა: „რას ჰირითა სოფლით აგრე გაიბარე?
შენ ახალი სიჭაბუკე, ყრმარ, რაზედ ვაიმწარე?“
429. მოაბადის ბალს შევიდის, ხენი მოწმად დაიყენის:
ეგზომ ტირდა, სისაწყლითა უსულონიც მოიყენის
უთხრა: „არქუთ ვისს აქ მოსულს, ნუმც ექნება დღე მოწყენის,
ნუთუ გული განიწმინდოს უსამართლოს ჩემის წყენის“.
430. იადონს საყვედურითა მრავლითა ეუბნებოდა:
„რა წაგეიდა აგეთი, სიცოცხლე მოგწყინებოდა?
შენ საყვარელსა სამუდამოდ მზერ. სულიც გესუნებოდა,
არა ჩემებრი აშორავ, სიტყვა არ მოგხსენებოდა.“
431. შენ ათასფერით წალკოტით იხარებ, ვარდსაც ახლავხარ,
უმზერ თვალ-მოუცილებლად, არ შორავ, მას თან ახლავხარ.
მოყვრის მიდამო მყოფელი, ფუ, აგრე რას მოუტკლავხარ?
თუ ა შორვიდე ჩემებრი, მაშინ სულთქმასა მართალ ხარ.

432. ნახვის მოლოდნაც არა მაქვს, არ თუ სამისოდ მიჩემოს,
 არ ყნოსა სულთა სურნელთა სულსა მიდგმიდეს საჩემოს.
 მას მართებს სულთქმა, მიჯნურმან გაწირვად რა აიჩემოს,
 თორე გვერდთ მსხდომნი ჩემებრმა შორს ყოფას ვით
 დაგაჩემოს“.
433. ერთ დღეს ძიძა შთამოვიდა, სად ბაღს რამინ მოარებდა,
 დაინახა ძიძა შორით, რა ვთქვა, ვით ვახიხარებდა!
 სიხარულით სისხლი ღვიძლსა აუღულდა, გულს დარებდა,
 დაწვი მისი ყაყაჩოს-ფერს პერანგს ზე გარდიფარებდა.
434. ვით გვამსა სული გაყრილი კვალად სამისოდ ეშოვნა,
 ეგრეთ იამა მძებნელსა, საძებნი რა მუნ ეპოვნა.
 თქვა: „დღეს კმა ჩემად სალხინოდ, იმედადც მგონი მეპოვნა“.
 სირცხვილის ოფლი სდიოდა, მისი მას ჰქონდა შეპოვნა.
435. ყურის ძირნი ვეცხლს უგვანდა, ჯერ სუმბული არ ემოსა,
 მაშვეზანი მუშკის ყვანჯად ჰქონდა, სხვა არ შეეგმოსა,
 ნიკაპს ოდენ ჭაფურისა ფერი მოეგემოოსა.
 გაზაფხულის წალკოტს სჯობდა და სულ მისა გარემოსა.
436. ბაგენი — ვარდნი, კბილებსა — მარგალიტს გარე ბუდებდა,
 ნაკვთა და სიგრძე მოარულს ნაძეს ადვილ გააცუდებდა,
 მზეს სულიერსა სჯობდაცა, თუ ქებას თავს გაიღებდა.
 შეტობდა ყოვლთა ჭაბუკთა, ფარსა თხემს რა დაიდებდა.
437. გული შესწირის წამსავე, ვინ იგი გაიცადისა.
 სიკეკლუცითა მასთანა ჭაჭმანც ვერ მოიცადისა.
 ვერ გამოხატის მხატვარმან, რაზომცა შეეცადისა.
 ვერავინ ბრძენმან იმისი სიბრძნე ვერ დაიქადისა.
438. რამინ ასეთის შევენებით ვისისგან უსულგულობდა,
 ფილასაფოსთა უბრძნესი, თუ სთქვა, ხელურად შულლობდა.
 თავის გზა ველარ გაეღო, წალკოტში მოარულობდა.
 რა ნახა მისი საწადი, უსახოდ მოხარულობდა.

439. რამინ ძიძას თაყვანისცა, იგიც შვრება რასმე ქუქებს.
 ყრმა დიაცსა მოდღევენებულს შეაყენებს მზეებრ შუქებს.
 ხელი უპყრა, მოიკითხა, საქციელებს დია უქებს.
 აწ უყუროთ მასცა გლისპსა, ვით შეაძლევს ხუის ბუქებს.
440. გარდახდენ რასმე მუნითგან ადგილსა უჩინარებსა,
 რაც რამინ უთხრა ძიძასა, წყლულს გულზედ იმაღამებსა,
 თუმც იკდემს, მაშინც არ რიდებს სირცხვილის ეკალ-ნარებსა,
 ფარდა დახია სირცხვილის, სხვას რაღას გარდიფარებსა?
441. უთხრა: „გიპოვე დღეს ჩემთვის სულთაგან უსახმარეო,
 მონა ვარ შენი დღეითგან, ვით გინდა მომიხმარეო,
 სულს ნუ აღმომხდი უდღეოდ, სასა მაქვს ამომხმარეო,
 მორწყე წყალობის წყალითა ჩემებრი ხე გამხმარეო.
442. შენ მიზოგინხარ ღონელა, საფიცი ჩემი ვისია,
 მე მიწყვი მისთვის ხელქმნილვარ, იგი არ ვიცი ვისია;
 მას ყვავილს ვეძებ მტირალი, ვარდი ვერ სწორავს, ვის ია,
 ვინ გავს გავსილსა მთვარესა, მშვილდი მოურთხამს ვისია.
443. ვექვ, ამაღ დაბადებულა, ყოველთა ცეცხლად მოედოს,
 მეტად, გლახ, ჩემსა საბრალოს გულსა სახშილებრ მოედოს.
 მზესა მწუნარობს საჯუფთრად, მთვარეს ვითარღა მოედოს?
 ასე ჩემს სიკვდილს რას ეძებს, მას საყვედური დაედოს.
444. არც ვინ შობილა მისთანა, არც ახლა დაიბადება,
 ვინ მნახავთა სწვავს უცეცხლოდ, ჩემს გულსა უფრო ედება.
 უბედურს ბელი უშვერი ჩემებრ გარ მოებადება.
 მაქვს რამე სიტყვა შენთანა, თუ ჩემგან გაგებდება.
445. თუმც ვიწვი მისთვის, მას ღმერთმან სიკეთე ნუ მოაშოროს —
 რაზომ დიდს ჳირსა ვაბივარ, რა მათქმევიწებს: «აშოროს».
 ჩემს ავ ბედს მისი კეთილი დღე მინდა შორ გააშოროს.
 შენი საწყენი მე რამ ვთქვა, ეგ, მისმან მზემან, მაშოროს“.

446. ძიძას იაშა რამინის, სიტყვები მისი გულს იცა.
 ვით რამინ კრძალვით უბნობდა, ეგრეთ იწიწვის ისიცა:
 „მთლადმცა გვივო, დღესითგან დღე ნუ გაქვს ერთი მქისიცა,
 შენის ბედითა კარგად მეც და შერმე ჩემი ვისიცა.
447. მისის პირისებრმც მიშენის იმისი ბედნიერობა;
 მის თმისებრმც დაიგრიხება, ეინ მისი იწყოს მტერობა.
 არ ვეჭობ, სადმე გენახოს შენ მისი ნებიერობა.
 მაგრამ მესმინა: „რა არის ეგზომი ჩემი ფერობა!“

პ რ ა პ ი

448. მიჯნურობისა ლხინები ჟუფთია რა სიმწარისა,
 ვით მთრვალს არ ძალუე გაზომა ახლოსა ან სიშორისა.
 თუ ვინ მოყვრად სჩანს დუხჭირი, კეკლუცსა შეუსწორისა.
 მღვიძარე შეპგავს მძინარსა, რა თვალი მოაშორისა.
449. მიჯნურობისა სურვილი სამუდამოდ გულზედ ცეცხლს ინთებს,
 სიყვარული სძლევს ცნობასა, ზოგს ვისზე მწვე გააფინთებს;
 ხელს სჭირდეს მისის გონებით, მის წილ დაპკრის სულ თითებს.
 კაცს სიხარული იმისი ჭინოსებრ გააბედითებს.
450. მე მიჯნურობით დიდების საფარველს, მხედავ, ამხდია.
 სულისგან ცნობა და გულის თმობა სრულიად მიმხდია.
 რას ვამბობ შენთან, არ ვიცი, ბოდიში ვერ მომიხდია.
 მიცნობ, რა ვიყავ, აწ მხედავ, საქმე საძრახად გამხდია.
451. ერთ დღე რა ქარი აქროლდა, ვნახე ქაჯს უკეკლუცესი,
 სამოთხისებრი სანდომი, მისგანცა უუტურფესი.
 სინელის ზღვასა შემავდო, აჰა, მე, ბრძენთ-უხუცესი,
 არც ცოცხალი ვარ, არც მკედარი, ვარ ხელთა უუბუცესი.
452. იგი არ იყო სხვა ქარი, ზეცით მგონია განგება.
 ჩამავდო სიყმაწვილისა ფათერაჯს უცებ, განგება.

ოდიდგან მიჯნურობაჲა გულსა დამიწყო გან გება.
შემიპყრო ცნობა, გონება, უგრძნობლად აწყა განგება.

453. ლომისა მსგავსი ძალგული ჩემი მართ გამელეებულა.
შეკირვებისგან ჩემისა მთა დიდი გავაკებულა.
ტანი თმად მქნია და ვარდი იწითელი გაყვითლებულა.
გული მოკვდა თუ ცოცხალა, არ იცის, გახელეებულა.
454. წაწაპი თვალთა ლურსმალა შემქნია დახმხაჲებად.
რა ერთს დღეს ჩემთა არიფთან სმად ვიჯდე გასამებად. —
ვითამ მტერს ვისმე შევეყრიეარ საკედევად. დასალამებად.
ასე გამხდარსა მარგე რა, თუ ღმერთი იცი სამებად.
455. რა კაცსა ჩემსა მოყვარეს ვეახლო ლხინად მჯდომელსა,
ბურთსა ეგავ ცხენოსანისას, ფიცხის ყვანჯს ვერ გამძრომელსა,
ფერხთ დაუხსნელი ემუდა მიყრია გაყრ-ს მდომელსა.
მსგავსი ვარ წყლულის კანჯრისა, ებრიყვებინოს რა მელსა.
456. თუ წალკოტს სადმე მოველიდე თამაშად ყვაილ-დარგულსა,
რა ვარდსა ვნახავ ტევრშიგან. კაცს ვგვევარ გზა-დაყარგულსა,
სიხარულის ჟამს მოყვასნი მკვრეტენ სულ გულ-დადაგულსა.
ესრე გამხდარის ჭირითა მოწყალე კარს ვინ დაგულსა?
457. დამე საგებელს რა ვიწვე, სახე ვარ ზღვა-შესწრობილის,
მარტო ფიცარზე ჯდომილსა, ნავზედა ვერ-ასწრობილის.
მსგავსი ვარ ყრმისა უდედოს. ძიძისა არ-შეწყობილის.
აწ შენგან ვითხოვ ზენარსა, რაძია შენთ მონდობილის.
458. ესრეთ ვტირ ყოვლთვინ ცისკრის ჟამ, ვით ვარდზედ რა
ადონა;
ან დილას მთაზედ ღრუბელი წვიმდეს, ცრემლი მდის ამდონა.
მე დამელია, სხვათ მიჯნურთ უთხარ, მასესხონ მან-დონა.
უნდა უბრძანონ რგება რამ, ვინ ძმათა დანი ადონა.

459. მარგე რა ცეცხლით უთმ-ნოთ დამწვარსა ჰე. დადნობილსა;
 ეწიე ყრმასა უგულოს, ლომისა ჰანგშეპყრობილსა.
 ჯომარდობა და ნამუხი მიჩვენე შენს მონდობილსა.
 სისხლის ცრემლითა მტირალი მუხლს მოგხვევივარ
 ღობილსა.
460. უცხოთ და შმაგთა მოწყალე ხარ, მეც მყავ შებრალებული,
 მეც დამიჭირე მათგანად ერთად აწ შენი ხლებული,
 ყოვლის ღონითა უშენოდ სიცოცხლის გლახ დაკლებული,
 წითლის ვეშპისგან ჩანთქმული, განლევად მიახლებული.
461. ჩემ მაგიერ მოახსენე ნაძეს უსულოთ მოარულსა,
 სულიერსა მთვარეს, ბუთსა მოუბარსა ბარბარულსა,
 მიწის მზესა. უკლებ ტურფას, სიტყვა ტკბილსა, მხიარულსა,
 თმა-მუშკ, ბაგე-იაგუნდსა, აღყვავებულს წალკოტს სრულსა.
462. ჰე, კეკლუცთა დასაბამო, ვის მნათობნი გემალვიან,
 ორი კვირის მთვარე სრული შენს მეშურნედ ცუდად თქვიან.
 გრძნეულთ რაზმი უებრობას შენსა სულა. გაჰქცევიან,
 ჩინელთ სახლის მოკეკლუცნი შენგან მიწყვი იშფოთვიან.
463. ბარბაროზს ბუთი შევნებით შენითა გაწბილებულა,
 გამთლელი მისი აბეზარ-ქმნილა, მით გახელებულა;
 შენთა ბაგეთგან მეფენი მოწურად მოხელებულა,
 პირის შენისა მიხედვით მკვდარნიცა გაცოცხლებულა.
464. დადნა გულოცა ტანთანვე ჩემი შენისა გონებით,
 ვით მთისა თოვლი მზისაგან გადნება სიცხის ბუნებით.
 ჩაეჭრილვარ ბადეს ნადირებრ უნებლიე, არ თუ მონებით.
 ცნობა წამსვლია, სულს გეამი იავარ ქმნია ქონებით.
465. მღვიძარს და მძინარს ორივე, ლხინი და კირი, მჩანს სწორად,
 არც ხელმწიფობა ჩემი რად მიხარის, მგონის რამ ჰორად;
 საკურტლე, ლარი, დიდება ცუდად ძე სადმე, ვით ყორად.
 ოხრად მიჩნს ყოვლი უშენო, სასიხარულო — სულ შორად.

466. არცლა ვიმღერი ასპარეზს მე ჩემთა დიდებულთანა,
 არცა ვნადირობ ავაზით მინდორთა მათ ფიცხელთანა,
 არც თეთრს ქორსა და კაკაბსა მივეყები თან ნაბულთანა,
 არც ნადიმს შინა ღვინითა ვიხარებ მოხარულთანა.
467. არა მოყვარე გულისა პასუხის შემწე სად მივის,
 ჩემს სახლსა მყოფი ტყვეს ვგეგარ, ამის მზრუნველი არ მივის,
 მწუხრითგან განთენებაში ვკენესი, არ ვიცი, რა მტკივის,
 ნარგისი ჩემი თრთვილითა დაზრულა, მოსწონს აღარვის.
468. წამალი სხვა არ იქნების, მზევ, კიდევ ჩემოს ტანისა,
 თუ შენი ს-ტყეა არ ესმის საშენოდ ასატანისა.
 გულმან სიცოცხლე ვერ გასძლოს, არ ვნახოს ხანის-ხანისა.
 - შეწყალება ჰხამს საბრალოს მიჯნურის ამისთანისა.
469. თუცა არის წელიწადი შენგან ჭირსა დიდს ვაბივარ,
 ცრემლი სისხლად გარდმქცევია, პირყვითელი ასე ვზივარ,
 ეგრეთ შენი მიჯნურობა სულად მაქვს და ვერ გავყრივარ.
 არსად ვეძებ სიცოცხლესა, უშენოსა საცა ვდგვივარ.
470. ოდეს შენით სიყვარულით გული წყლული გაძღეს, აბა,
 თავსამც თამანი ხრმლად შემქმნია, მოქნეული ნუ დააბა;
 დღის სინათლემც დამევესება, სუდრად მქნია ესე კაბა,
 ანაზდათამც გამივლია საწუთრო და ჩემი დაბა.
471. ჩემი მზე შენთა პირთაგან ნათობს, თორ მუდამ ბნელია.
 მე მუშკი თმის შენისაგან მსურნელობს, თორ რას მქნელია?
 უშენთანისოდ ბროლი თუ უტალოდ მქონდეს, ძნელია.
 ჩემად სამოთხე შენ გიცი, რაზომცა იგ ნათელია.
472. მე ბედისაგან მას ვითხოვ, ერთხელ შენ ნახვა მაღირსო,
 მაგ მაგარს გულსა შევსწყალდე და ლმობიერსა სამ-პირსო:
 დავლა წაღმართად მეყოფა, უთუოდ კიდევცა ღირსო.
 თუ წამზიდობა დაიწყოს, უბრალოდ სისხლსა დაღვრისო.

473. რა დამემტერო, სიშორე ეძებო, სულიც წამგვარო,
 უცლოდ ამპარტავნობით საბრალო სისხლი დავლევარო.
 მაგრამ არა ჰხამს, შენმა მზემ, თუ საქმე არ გასაზღვარო,
 მოკლა ყმა შენი ერთგული, მოყვარე არ შეიყვარო.
474. რად მოკლავ კაცსა ენეთსა, ვის ცრემლი შენთვის მიწყი სდილ,
 სიცოცხლეს შენ ურჩევნიხარ, შენს ჭირთ სანაცლოდ გაჰყიდის,
 სულსაც გასწირავს შენთვისა, შენს ფერხთ მტვერს თვალად
 იყრიდის?
 ასეთი მკვიდრი მიჯნური არავინ არ გააფლიდის“.
475. საუბრითა რა დასულდა, ქალს ყრმა ღია შეუყვარდა,
 შე-ცა-ბრალდა მიჯნურობით, მაგრა არას დაუარდა;
 მქისედ უწყო საუბარი, ვით საშულრად გაუვარდა,
 დაუწუნა ვაჟს სიტყვები და საცთომლად შეუვარდა.
476. „ვეგ შენი სიტყვა მე ყურსა მესმიან, რამინ, ა ქარი,
 ჰგავს, ყალბ ვერცხლზედა ოსტატმან დაასხას რა შინაქარი.
 ვინ ჰქადრებს მზესა მაგასა, თქვას ვინმე: „რამინ აქ არი“.
 ვით ითქმის შენი ბიჭური, მონაქარ რა მინაქარი?
177. შენი აზო სახელი მასთან არ დაამდებისა,
 მის მზისა სხივი საშენოდ აროდეს მოგადგებისა.
 გიჯობს, გულიდამ გარდიგდო, ნუმცალა მოგინდებისა!
 ღია რამ სახედ ქსუ არის, კაცს ის სად დამონდებისა?
478. ჰკვა მით აქვს კაცსა, გონება, არჩევდეს კარგს ავისაგან.
 რად ვარგა, ვინმე ეძებდეს შევენებას დუხჭირისაგან?
 მთას სად უპოო სიმჩატე მეტისა სიმძიმისაგან?
 შენ იმას მაშინ შეჰყვარდე, სძე გამოსწოო ჰქვისაგან.
479. თუ სიჭაბუკით ცოლს სივრცეს მოზიო, ერთათ შეჰკეცო,
 ზღვა ამოაშრო გრძნებითა, ჰკვით ამოჰყორო, ჩაჰკეცო,
 ერთს ბეწეზე დასდგა ჰვეყანა, თუ გინდა შე-სამე-ჰკეცო, —
 შორილამტკ ვერ დაინახო, თორ მასთან სად მოიკეცო?

480. ვინ შეშარბებს მას აზაყსა ეგე-გვარსა კადრებასა?
ძლივ ათასის ფერობითა მე რას ვიტყვი ვედრებასა.
თუ ამას მას მოვახსენებ, დიდსა შევიქს ყვედრებასა,
პირის წყალი მიმეღება, ვაი ჩემს დაბერებასა!
481. დიდ-გემობითა, მისმა მზემ, თუ სთქვა, ცას თავსა მოუსვამს;
ამპარტავნობით სულდგმული ჭერ გვერდს არავინ მოუსვამს;
ამ სოფლისაგან დამკრთალა, სხვაგნით საოჯი გავუსვამს,
მშობელთა მოწყვეტისათვის ნაღვლს საწლევნი შეუსვამს.
482. მუდამ ცრემლი სდის, ღაწვთ სისხლი კალთას უღებავს, უბებსა,
ეტლსა და ბედსა უჩივა, სიკეთით მაზე უღებდა.
ვით აღვა იწვის ცეცხლზედა, სხვას კიდევ ვინ შეუღებდა?
არ გეტქმის, ვერცა მე ვიტყვი, ნუ ამბობ სიტყვას ცუდებსა.
483. ათასიცა ენა მედგას, ერთს მაგის თქმად ვერ გავსწირავ;
ლომსა ეჯობდნე გულოვნობით, მაშინ ახლო ვერ მივსწურავ.
მას, უმანკოს სულიერსა, მე ბილწი რად შევამწვირავ?
საცოდავსა ვერას ვიტყვი, ეშმაკს სულსა არ შევესწირავ“.
484. რამინს რა ესმა, გარდუწყდა იმედი სიხარულისა,
დაალტო მიწა ცრემლითა ნარგისთა მონაცრულისა,
ტერფით თხემამდი აღედვა მას ცეცხლი სიყვარულისა;
გაშტერდა, ფეხზედ არ ჰქონდა ღონელა სიარულისა.
485. თავ-მოკვეთილის მფრინვლისებრ ათრთოლდა, ქვე სამ დაეცა,
ძოწისა მსგავსსა ღაწვზედა ზაფრანის ფერი გარდეცა,
ენას ვერ სძრვიდა საუბრად, პასუხი რამე გაეცა.
კვლავცა მობრუნდა უსულო, ცოტა რამ ცნობა მოეცა.
486. რა კვლავ დაუწყო ქენება, იგ ეგრეც უწყალო იყვის.
რაზომცა თავს აბრალებდა, მან უფრო უიმედო ყვის.
რა უთხრის: „შენ წინ მოვკვდები“, მან ღაწვზედ ზელი მიიყვის.
ვერას ხვეწნით და მუდარით პირი ვერათი დაუყვის.

487. „სულს ნუ გამყრი, ყმაწვილი ვარ საწუთროსა უნახავი, არვინ მივის შენგან კიდე ხოშიადის შემნახავი; სხვა სად ვძებნო, შენს ჩამოდმა, ჩემის ღონის მომნახავი? ან სად არის სხვა შენებრი საქმის კარგად დამნახავი?
488. ხელოვნებით ხელოვანნი წისქვილს ქარზედ ალაგებენ; ცით მფრინველსა შეიპყრობენ, ქვე ვინც ბადეს მიუგებენ; ასპიტრცა მომშვიდდება, რა ტუბილს სიტყვას მოუგებენ. შენისთანა ბრძენი ჩემებრს ხელსა როგორ ვერ არგებენ?:
489. ღონის ამგები შენთანა, ვიცი, რომ არსად არისა, ენა ვისა აქვს უტუბოსი, რა დროა საუბარისა? ორივე ერთად მოკეცე, საქნელადაცა კმარისა, ვისი მიჩვენე, წამალი ეს მიყავ მე სიწარისა“.
490. შეუოლასა საუბრისას აღგილი ხვდათ უკაცური. ყმამან ქალსა შეამჩნია მისი ნდომა დიაცური, მანც მინება, თუმც არ უნდა საქმე მდედრსა მამაცური, აღუსრულა ნება მისი, რაზომ იყო ცრუ-კაცური.
491. მუნითგან გული მას დიაცს რამინისაყენ მოექცა, რა ფარდა მან სირცხვილისა დაიბო, აღარ გაექცა; მას საუბარი მუნითგან კუშტი აწ ტუბილად გარდექცა. უაუგოსა როსკიჰსა, მითქვამს, თავს სახლი დაექცა.
492. უთხრა: „ჰე, მალორებელო, ვინმცა სძლოს მაგ ქენებასა? რა გაეწყობა ეგზომსა შენებრ ტუბილს ენოვნებასა?! აქადგან გაწყდა მიზეზი, ვათავებ შენს ბრძანებასა; რადგან შენ ჩემი ნება ჰქენ, მეც აღვისრულებ ნებასა“.
493. მიუგო რამინ პასუხი: „ჰოე, თვალთა ჩემთა სარჩეო, თვით ნახავ, როგორ ვმსახურო, ძნელს სიკვდილს თუ გარდავრჩეო; ან საბოლოოდ საკუთრად გიჩვენო, როგორ შეგრჩეო. ჩემს საყელოსა ხელთ მოგცემ, მას ვიქ, რას გამომიჩრეო.
494. თვით იცი, შელამებითგან არ ველი დილის შესწრობას; წყალ-წალბებულს ვგავ, ნავზედა ვერ აპირებდეს ასწრობას.

შენ გპოვე ჩემად მლხენელად, ნეტარძი ჩემს აქ მოსწრობას!

თქმა და არა-ქმნა არ ვარგა, საქმე სჯობს სიტყვის

დასწრობას.

495. აწ ეს მიბრძანე. კელა ოდეს მიჩვენებს პირსა სვიანსა?
აქიდგან წამსაც დავითელი, ვერ გავსძლებ საქმეს გვიანსა,
თვალი მეჭირვის შენს გზაზე, სიყვდილზედ ვით სენიანსა.
ვირე გნახევდე მეორედ, ცეცხლს ვიწვი ქურას ქვიანსა“.
496. ბებლს ჰაბუკი უსაზომოდ მოეწონა განცვიბრებით,
თქვა: „სამისო ამსებრი ვერა ვჰპოვო ვერას კრებით;
დღეს დავილევეთ მწუხარებით. რად ორნივე ცუდად ვშვრებით?
თუცა მოვანდენ საქმესა, ღია დიდს ლხინს შევეყრებით.
497. მაშ, რა ვქნა, შაი-მოაბად შეკრული აღარ იხსნების,
კვიროს მოშორდა, აბა სხვა მიხვდება საქმრო ვინ ნების?
რა ქალი დიდს სახლს შევიდეს, სხვაგანც სამ შესვლა იქნების,
მაგრამ უმცროსში შეყვანა ჰკვათ-მყოფთა არ ემისნების“.
498. გრძნეულმა ჰრქვა სიცილითა: „მტერსაც შენდა გარდიყენებ,
გული ჩემი დამიწყულლე, შენს ბორკილთ ფერხთ მე მიყენებ;
წულარასმცა შეიჭირვებ, ვისის კვალსა ჩავიყენებ,
ვარდსა დაძრულს გასაშლელად მზისა შუქსა მოგაყენებ.
499. მოვიდა ჟამი ეგზომის შენთა ჳირისა ლხენისა,
სიხარულმან სძლო ჰმუნვასა, დასწყდა რუ ცრემლთა დენისა;
მადლობითა ჰხამს მიღება ჳირისა დიდად ძნელისა,
ბოლოსაც არის ლხინს ჰპოებს, ვის აქვს იმედი მხსნელისა.
500. ყოვლდღე აქა მომელოდე და შენც აქა მომნახევდე,
სიხარული წუმცა დაგრევეს, შორით რა დამინახევდე;
ვექვ, საქმე ასე. მოგიროთო, გულს ლახვარს აღარ ახევდე.
რაცა გკადრო, კარგ-კაცურებრ ხვაშიადს შემინახევდე“.

501. გასაყრელად აემართნენ, ერთმანერთსა ხელი მისცეს,
შეაჯერეს გული ამით, ფიცი რითმე შეიფიცეს.
ნადვლის სმაბან რამინისამ შაქრის გემო აწ მოცეს.
გაიყარნეს თავ-თავისად, რა ეს საქმე დაამტკიცეს.

ძიძისაგან რამინისაგან და ვისის წინაშე მისლვა

502. მოვიდა ძიძა გრძნეული, ვისი ქვე ნახა მწოლარი,
შეკირვებული, შკმუნვარი, დედა-ძმის გაყრით მძრწოლარი,
ცრემლთა მტრქვეველი დაღრეჯით, სულთქმა-ოხვრითა
მთრთოლარი,
სამკაულ შემოგლეჯილი, თავსა ხელითა მქოლარი.

503. ძიძამ გრძნელმან რა ნახა, სავსემა ორგულობითა,
ტკბილად ჰრქვა: „მუდამ ქვე რას წევ, გვირს არა
სნეულობითა?
ტანი ისრებრი შშვილდივით მოგხრია უძილობითა,
რასთვის არ იშვებ, სულისდგამე, ყოველთა დედოფლობითა?

504. მარვი რად მიგანს საკანად, ქვეყნად უმჯობეს სხვებისა?
სამოთხის მსგავსნი წალკოტნი ოხრად, ვით სრა-სახლებისა?
ლხინს კირზედ ვით სცვლი, მიბრძანე მიზეზი რისმე კლებისა?
მანშასებრივი ხელმწიფე გძულს მიუწდომი ქებისა.

505. კაცს ტვირთი კაეშანისა დღეს აკლებს, სიკვდილს მისწურავს.
ვინ შენებრ თავით იქადის, უბრალოდ ვინ შეიღურავს?
ვინა სჩქეფს მუდამ ცრემლთა ღვარს და ერთ-წამ არ
მოიწურავს?
რას საბრხეს უგებს უმანკოს, უყურეთ მაცთურს,
ბიწურ-ავს“.

506. რა ესმა ვისსა ძიძისა ესეთი შეგონებანი,
მო-რა-მესწყნარდა ტირილით, ქნა რამცა მისი ნებანი;
თავი აილო მუხლთაგან, გამოჩნდა შზის შევენებანი.
ვის ვისი უნდა საქებრად, მიუწედეს ვერვის ქებანი.

507. თვალნი აახვნა, უგვანდა ნარგისსა ნადიმიანსა.
გაზაფხულისა ღრუბლისებრ ცროდის წამს პირზედ მზიანსა.

მას გოგო-ბოძთა სურვილის ქება სად უზამს ზიანსა?
სიტყვა ამონი, გავს სამე, მოალობს გულსა ქვიანსა.

508. უთხრა ტირილით: „რამდენი წამი და ეამი მოვაო,
ეტლს მოაქვს ჩემზედც სხვადახვა ქირი, მე ასე მპოვაო!
საყნად მიჩნს დარბაზოვანი, სვემან რა ასე მშოვაო.
სიცოცხლის უიმედო ვარ, დედამ ამ ბედის მშოვაო!
509. ვარდშიდ გორვიდეს, რა ერგოს, ვის გულს ლახვარი
დარევედეს?
რა მზე წყვედიადსა შეეპყრას, საწუთროს ვინლა დარევედეს?
ვინ უსუსურობს გონებით, ლომსა რალათმე დარევედეს?
მას საფუფუნოდ სად იტყვი, სიხარულს ქმუნვა დარევედეს?
510. სიზმარს კვიროს ნადიმობით ცხენსა მჯდომი სამ მოვიდა.
ღია რამე ენადირა, მხიარული შემოვიდა,
მოთხრა: «დაო, რა გაგყრივარ, ხანი დიდი გამოვიდა».
დამკოცნა და გამეყარა, ვაი, სული ამოვიდა!
511. ვით ძილში მეთუბნებოდა, ვითამ რამ აწცა მესმისა.
მისი სურნელი სული ფშვის და გულზედ ხელი მესმისა.
სულსა ცოცხალსა და ტანსა მკვდარს რად ლახვარი მესმისა?
მისებრ სულდგმული, აბა, თუ გენახოს, თუ შეგესმისა?“
512. გამოულა ხელი გაზრდილს, თვალს დაიდვა, ეუბნება:
„შენს წინამცა მოცკვდებო, გავიგონე შე ბრძანება,
ვით რკინა და რვალ ერთად შემძიქება, არ მეხსნება.
თქვენ ბრძანე და აწლა მეცა გამიგონე მოხსნება.

ა რ ა კ ი

513. საწუთრო ჩვენდა ფუნდუკს ჰგავს, სხვად ჩვენთვის არ იყოფება,
ჩვენ — ქარავანსა; მას შიგან, მგზავრი გრძლად არ იმყოფება,
მის სიმძიბილსა კვლავ შვება აქვს, ასე არ იყოფება.
პირ-მიუტეხი სიტყვები მართლის თქმით დაიყოფება.

514. ნუ გასწირავ სიცოცხლეს და სულა ერთად სიხარულსა,
 ნუ აჭმუნებ გონებასა, ვერვინ გვკრეტდეს მხიარულსა.
 ხელმწიფე ხარ, რად იყარგავ ყოფაქცევას დიდ-გვარულსა?
 ქვეყნის მზესა ვით გიმზერდენ სრულა ღრუბლით
 მოარულსა?
515. ყოველნი ვინმე თავისა მძებნელი არის ნებისა,
 ამ სოფლის სიამოვნისა, შვებისა, განსვენებისა.
 ფარდათა შიგან მყოფთაცა სხვა რამე ეგონებოდა,
 ეშყით ვისითმე მათც უნდა კვლავ ქება დაშვენებისა.
516. შენ ოდენ ყოვლდღე იჭირვი, სხვა არა გეგონება რა,
 კვიროსგან კიდე სულდგმული არავინ მოგინდება რა.
 სულ ერთს სურვილსა შენს მეტი, მიბრძანე, ვინ მიებარა?
 ნუვინ გგონია, შენმა მზემ, მაგ საქმით შენი მქებარა.
517. თუმც შენი ძმა ხელმწიფისა შვილია და თვითც ხელმწიფობს,
 არა ანგელოზი არის, არ სხვასავით ისიც მიწობს?
 არც ედემში გაზრდილია, ვერც ნაყოფად მისად მწიფობს.
 გარდასრულთა დღეთ მოქცევას ვერავინ ვერ ხელიწიფობს.
518. წელან მიბრძანე, კვიროს თუ აქ ვინმე ედარებოსო,
 მაქვს რამ პაპუხი თქვენს წინა, თქმა თუ რამ იკადრებოსო.
 მე აქ მინახავს მოყმენი, ზე მზესაც ედარებოსო,
 ასპარეზით და სხვას ზნითა იგ ვერვის გაედრებოსო.
519. მათ შიგან ერთსა ჭაბუკსა კაცი საქებრად განჰკრთების,
 ვით მართებს მისსა ქებასა, ნურავინ შეემართების!
 ჰგავს, ვარსკვლავთ შორის მთვარე ჩნდეს, გუნბადს რა
 აემართების,
 სხვა ლიტონს კენჭს ჰგავს, იგი — ლალს, რისხვა ნუ
 დაემართების!
520. აღამისითგან ხელმწიფედ გვარ-მოდგმით განჩინებულა,
 ანგელოზია ქვეყანად, ბრძოლაში დევებრ ქებულა;

სახედ კვიროს ჰგავს ასე რამ, ერთცახედ არ დაკლებულა.
შევენებით თმასა გააპობს, მზე მისგან განქიქებულა.

521. ვერას ზნით ვერვინ ედრების, ვით მოდგმით
დიდგვარიშვილობს,
უხვი, ნარნარი, ხმა-ტკბილი, ძოწთ მარგალიტი უკბილობს,
ბრძენი, ყრმა ვეფხებერ ფიცხელი, წვერ-ულვამ ახლა
აშლილობს.
ოდენ ეს დალი აჩნია, შენებრ იგიც რამ გულჩვილობს.

522. ერთს ვაშლს ჰგავხართ შეჭირვებით, სწორად შუა
განკვეთილსა.
თმას ჰგავს ოქროთ შეღებულსა, ოდენ ჯერ არ მოკვეთილსა.
პირი მისი, მთვარის მსგავსო, მზეებრ უყვიტს მას კეთილსა.
მის საქმესა რათ გიმალავ გაზრდილს ჩემსა შეკვეთილსა?

523. მას შენის აზიკობისა სასმელი დიდად შეუსვამს,
მისებრ ხელქმნული მიჯნური ეტლს სხვა არავინ შეუსვამს.
ვინცაღა ჰკურნებს მის წყლულსა, გულს ასეთს წაპალს
შეუსვამს.
დიდს მადლს მიხვდება, შენმა მზემ, მთვარესა გვერდს ვინ
მოუსვამს.

524. მისთა ნარგისთა თვალთაგან წვეშა წვიმს გარდღლებელი,
ღისხლი ღვარული მარად დღე უბეთა მისთა მღებელი.
სურვილი მტკიცედ უპყრია, სხვისაგან მიუღებელი.
რად ვარგა კარი მას ზედა წყალობის განუღებელი?

525. შენ მებრალეები და იგი მეწყალვის, რახან მინახავთ,
პირველ კეკლუცნი ჰმუნავთ და, შენ აქ და ის იქ მინახავთ.
ნებისგან მოშორებულნი მე სულდგმულს რადლა მინახავთ?
„დღეს სიმწუხარით დაიღვეთ, თუ ღონეს არ მოინახავთ“.

526. ქალს რა ესმა საუბარი ბედითი და სააუგო,
განჰკრთა თქმასა, გულსა უთხრა: „რას მიამბობ უაუგო?“

ატირდა და პასუხის თქმა ენამ ძლივსად გამოუვგო,
ჰრქევა: „კაცისა სათაენონი სირცხვილია“: — ეს მიუვგო.

ა რ ა კ ი

527. „კარგად ჰრქევა ხოსრომ მოლაშქრეს: «ვეყო, რაც იცინდა, იტყოდი, რადგან არა გაქვს სირცხვილი, რა გ[ვ]აფა, რას შეიტყობდი». აგრე შენს გულსა რაც გიძე, ზეპირცა აპოიტყოდი. როს უკრძალავი შექმნილხარ, ნამუსით სად დაიტყოდი?
528. მიაბობ ასეთს ამბავსა, ვითა შენ გეკადრებიან.
იერი სწვართე, მე ნუ მწვრთნი, ვინანი შეგედრებიან;
მე და კვიროს კი დაგვიწყდით და რამინ შეგევარებიან.
საძაგელთ ძუძუთ შენთ ლეკვა მაგით ნუ მეყვედრებიან.
529. ჩემს ფრჩხილზედა თმის ამოსლვას ვგონებდი და ამას არა.
სად იტყოდა მის ასულსა იგ პირველი ამა სარა?
გული წყლული კიდევ უფრო ამ სიტყვითა ამასარა,
სიბოროტით ავსებულხარ, ცეცხლის წამლით ვით მასარა.
530. ლამაზობით უწრფელობას ამის მეტად ნუ მასწავლი;
ქალს ბოზობა მოაყიენებს, ესე კარგად დაისწავლი.
ცუდს ამბობ და ცუდად იწავა, განქარდება ვით აწ ავლი.
მაგ ხიდს, შენგან გადებულსა, დაიკერე, მე არ წავლი.

ა რ ა კ ი

531. მოაბადმან ოშანს უთხრა, ვით არს დედათ ვითარება:
«უსრულს პირველ შესაქმითო ცთომა რათლა გებრალემა?»
მაგრა ზოგთა ბანოვანთა ეგ არვისგან ეკადრება.
შენც ავად ჰქენ ურცხვინობით ჩემი მაგის შეკადრება.
532. ჩემიმც ლხენა და იმედი მიწყიმც მოწყალით იქნება.
შენ რაზომ სიტყვას ამრავლებ, ჩემი არ არის იქ ნება.
ცოვის წყლით ცუდად ბერვითა, თქვი, აბა, რა შეიქნება?
რა ვაზზედ ებას ტევანი, უწნეხლად სად დაიქნება?

533. თუ ყმაწვილობით მიბრიყვე, შაროსგან, გმართებს,
ჯრცხვენოდეს.

სასირცხოდ თაჲ დავიდჲა, სადათ ვიქ მავას მე ოდეს,
შენებრ დიაცნი მაქებდენ და წრფელი მეკიცხეოდეს?
მე არ მექმება ეგ პური, ეგება შენ მოგ[მ]შეოდეს.

534. სასირცხოს საქმეს რა მოაქვს, ეგებ არ გავიგონია?
სხვა ვინმე, ვის რას ამბობდეს, მას მისი ძრახი ჰგონია.
მე საკიცხავი სხვისაგან ნუმც ოდეს მომიგონია!
შიში ღვთისა და კაცთ კრძალვა მიჯობს და შემვიგონია.

535. მავას მე სად გაჰიმხელდი, თუ ნაჰუსი რამ შეგწეჲდა.
შენ მას აჲად არ ენახე, მავაზე სად მოგწი[ვ]ეჲდა?
არ თუ ეთქეა ზეზე მდგომსა, ქეე. ჯდომადც ვერ დაგწი[ვ]ეჲდა.
თურე შენებრ ბიწოვანი სიტყვით სხვათაც შებიწეე, და“.

536. მოციქულმან ვერ ოგვა სიტყეა მის რა ამინისა,
ვერას ნიშნით დაინახა ნდომა მისგან რამინისა;
აღმასისა უმაგრესად დგომა ნახა რა მინისა,
პირსა ფერი შეიცვალა ყვითლად, მსგავსად რამ ინისა.

537. რა ხელი მისი შემოკლდა მის საქმის მოსაწთომელად,
ეგზომი არაკოვნება შერჩა ქეე. ცუდად მშროჲელად,
ვერსად რა პოვა ნაწილი მისგან მ-ს ყმისა მდომელად,
სხეას კარს სითმ უწყო გაღება მან მისდა კვლა
საცთომელად:

შეგონება

538. „კაცს ღვთისა დაბადებულსა მისიეე მონა ჰქეიანო,
მის განგებასა ვერავინ მოსწვთება გულად ქეიანო.
შენც იგი წაგეკიდება, მეეტლეთ რაცა თქეიანო,
ბედმან ვის რამე საფქეავი მისცა, იმასეე ფქეიანო.

539. ეგებ გეგონოს ძალითა ლომს ვინ ბუნება უცვალოს,
ქორმან საზაო სიტყეანი კაკაბსა სამ შეუთვალოს,

თეთრის და შავის გარჩევა ან ვინმე ჰკითხოს, უთვალოს?
ვინ განერება განგებას, დღე გრძელი რაზომ ითვალოს?

540. ნუ წარვსწყდები, ვერას ცდითა ბედს ვერ სადით გაექცეო.
არა გვირს რა სასამძიმრო, ცუდათ ცრემლთა რად იქცეო?
აგრე ყოფას დია გიჯობს, ლხონით ლოფელს შეექცეო,
უმეცრებას ჩამოეხსნა, ჩემს მცნებაზედ მოიქცეო.

541. შენს საქმესა ყოვლი კაცი ვინ არაკობს, ვინ სწერს ნუსხსა,
ზოგთ უქვირს და ზოგნი გზრახვენ, ზოგნი დია გუღით წუხსა,
მას გვიობენ, დედოფლობა რად არად სჩანს, სრულ იქმუხსა?
დაიჯერე, წვიმა მოვა, სამხრით ელავს, ცა მოქუხდა“.

პასუხი ვინისა

542. თუმც საქმე ყოვლი ყოვლს კაცსა ბედისგან წაეკიდება,
მაგრამ კარგს ვინ იქს, — კარგი და ავს ავი გარდეკიდება.
ვინ თავს შეირცხვენს სიძვითა, ტვირთით ზე აეკიდება.
ცოდვის მოქმედსა უშრეტი სახმილი მოეკიდება.

543. ბედითი ვიყო ბედისგან და არვის საქმის მიმდგომი,
ასემც გავივლი ლოფელსა, კვლავ მოვალ მკვდრეთით აღმდგომი,
უბიწოდ, შეუძწიკვლავად ჩემს მეუფეს წინ წამდგომი.
შენ ბოროტ იყავ, მეძავი, მრუშების უკან წამდგომი.

544. რა ვქნა, ვერ ვიტყვი, პირველად შარომ ქმნა საქმე ავია,
მოაბადს ცოლი წაჰგვარა, ვისი არ იქძლო დავია,
ჩვენ უბრალო ვართ ორნივე, მაგრამ შეგვირცხვა თავია.
თუ ნამუსი გაქვს, დამეხსენ, სიტყვის თქმა გაათავია.

პასუხი ძიძისა

545. დაეინებდა რა ზნე სჭირს, აწ გეტყვი, მო, გაიცადე.
ევზომის შეჭირვებითა თავი ვერ გამოიცადე.
რა ირგე მაგის გამოის, რაზომ რა ჰმუნვას ეცადე?
ჩემო სიცოცხლევე, ჰირს მოგვამ, ეს სიტყვა შემომიცადე.

546. ეს დაიჭირე, ამ სახლით ველარსად გახვალ სხვაგანა,
კვიროს უპჯობე საშენქმრო არ იშობა სხვა განა?
თვალთა სარჩეო, არ იცი, სხვა სიგრძე არის, სხვა განა?
ასრე სჯობს რამინ კვიროსა, ვით კუმელასა ბაგანა.
547. ნათელო ჩემო, მიბრძანე, მე რამინ ვინ გამიგერა?
საქმე-წამხდარსა მარგო რა, თუ ბუზი სამ მომიგერა?
შე შენთვის ვიწვი, ვიჭირვი, შენ სიტყვა ეგ მომიგე რა?
რაღა მე გკადრო, აქადგან რადგან წვრთნა ვერ შეიგე რა.
548. თუ რამინს ეტლი ჰყვარობდეს, მაგით სად დაბრკოლდებისა?
მე ვხედავ, მას ყმას სვე-ბედი ჟამ-ჟამად ემატებისა.
დიდებულნი და მხედარნი ყოვლ-დღე მუნ შეკოლტდებისა,
მისნი მნახავნი სურვილით მრავალნი გახელდებისა.

უ ე გ ო ნ ე ბ ა

549. მრავალნი ველნი უშენნი ქალაქად აშენდებიან,
პალატნი დარბაზოვანნი ოხრობით უშვერდებიან,
მდიდარნი დაგლაზაყნების, გლაზაკნი გამდიდრდებიან,
კეკლუენი გაუშვერდებინ, გონჯნი სადმ დაშვენდებიან.
550. ყოველსა რასმე, კეთლსა განგება ღეთისა განაგებს,
კაცთ-შეუძლებელს საქმესა იგ წამისყოფით ააგებს;
კეთილის მყოფელს — კეთილსა, ბოროტს ბოროტსა მიაგებს.
ქირს ლზინად შესცვლის იჩქითად, ადვილად მტერს მტერს
დააგებს.
551. კრძალვით და პატიოსნებით თუცა ცათამდე აღზდები,
მაგისტვის ზენა განგებას, უწყოდინ, ვერ იგარდაპზდები;
არც კუშტობით რა გერგება, როსცაა მასვე მიხვდები.
რაზომ ზი ფიცხსა პუნესა, ღრო მოვა, ქვე ჩამოპზდები.
552. სიყვარულისა პასაკი უნებლი რამ მოპზდებისა,
კაცს აუგს აღარ აკრძალვს, ვერცავინ მოუხვდებისა.
მაშინ სცნობ ჩემსა ანდერძსა, როს ესე გარდახვდებისა,
ამ დაფარულსა წინწყალსა სად აღი აღმოპზდებისა.

553. მუნ შეიყარნენ, სად იმათ ვერავინ მიუხვდებოდა;
პრქვა ყრამამან ქალსა: „სარჯელი დღეთ ჩემთ ნუმც
წაგიხდებოდა.
ნიშატიანი სიზმარი ნუთუ მეც ამიხდებოდა,
რა დღე სჯობს გასახარელი, საწადი ვის მიხვდებოდა!
554. შენ მით მართლად მხიარულობ, მისი პირი დაგინახავს.
აწ ეს მითხარ, ხვაშიადი ჩემი როგორ შეგინახავს?
სულმობრძავეის სნეულისა წამალი რა მოგინახავს?
მო-რა-მწყნარდა სულტქმისაგან, ან თუ მთვარე ისევე ახავს?
555. რამინის დღენი სურვილით მას წინათმც დაილევაო,
იგ ბადრი მუდამ ბადრობდეს, ნუმც ოდეს გაილევაო,
მისის სიტყბოსა ნაყოფი ჩემდამც ნუ მოილევაო.
სამსალა შაქრად გარდმექცა, თუ კიდე დამელევაო“.
556. ქალმა უთხრა: „მას მშვენეარეს შეთვლილობა მოვახსენე,
ქებითა და დიდებითა მის წინ დია რამ გახსენე,
სხვათ მიჯნურთა საქმე შენდა სასარგებლოდ გავახსენე, —
იგ დაბმული მისის ზნითა ვერას ღონის ვერ ავხსენე.
557. ვით გამხადა, არ ეგება კაცისაგან მისი თხრობა,
რას გინებთ, რას სთავით, ვის ასმია ის მოპყრობა?
იგ სიტყვით არ მოლორდება, ვით ქარი არ შეიპყრობა.
უწყალოთგან მოაჩეთა ხელი როდის აეპყრობა?
558. მითხრა: «ზე ადგე, მაგაზედ ცუდად ნუ ივედრებია,
დღესითგან სიტყვა მაგ[გ]ვარი ნუმცალა გიკადრებია,
ცოცხალი აღარ მოგისმენთ, ვით შენ არ შევედრებია».
სულ გაწირავა მიბრძანა, სხვაც ბევრი საყვედრებია.
559. თქვა: «რა ქალს კაცი ხელთ ივდებს, სახეებს დაუთვლისაო,
მას უკან ბევრსაც ეხვეწოს, პასუხსაც არ შესთვლისაო,

უნამუსობას უზრახავს, აუგებს მოუთვლისაო,
ლინცილს დაიწყებს ბიჭურად, გარემოს უუელისაო».

560. ესმოდა რამინს სიტყვები და გული უძაგძაგებდა,
— ძიძაც უმატებს სურვილსა და ვოს[ა] არ უძაგებდა, —
ძრწოდა კაენებრ, სათქმელსა სიტყვას ვერ გამოაგებდა,
მასვე თავს შეაბრალებდა, მის ფეხ-ქვე გადააგებდა.
561. ექენებოდა: „კელავ ჰკადრე, თუმც ენა მეყბედებოდეს;
მაგას რად ბრძანებ, მას შენგან სიტყვა არ გაუბედოდეს?
ეცადე აპის ცოდნასა, რაც მისგან შეიტყობოდეს;
მომკლევდეს, ან დამარჩენდეს, ნუთუ მართალსა გეტყოდეს.
562. არ არის კაცი ყოველი ერთი და ერთის ნებისა.
არც დამნახავი საქმისა, არც სიტყვის გაგონებისა.
კარგს კარგი უნდა საქნელად, ავს ავიც ეგონებისა.
ხელმწიფე არის სულდგმამდი ჩემისა დამონებისა.
563. რითად უნდა შევიჯერებ, მის წინ ფიცი რა დავიწყო.
სიკვდილამდი არას საქმით მე ის არათ დავივიწყო,
სიცოცხლუ და სიყვარული მისი სწორად აზოვიწყო,
მიწა ვიყო ტერფთა მისთა, ფერხნი ტკეპნად ზე დავიწყო.
564. ვერ ლხინმან და ვერამ ჰირჰან დამავიწყოს იგი ვერამ.
ვერ გლოვამ და მწუხარებამ. ვერ შევბამ და მუდამ მლერამ,
თვალნი ასე მას შევშსჭვალნე, მიმაცილოს ვერას მზერამ.
ამ სიტყვასა შემეჭერდები, თუ სხვაც რამ ვთქვა ფიცი მე
რამ“?
565. „კმარა სიტყვის თქმად ეგეცა, თუ მას რამ ჰქონდეს შესმენა.
დამშვიდდებთან ურვანიც, ჰინჰროს სმით რა კაცს შესმენა.
მე მასთან არ გამივიდა რგება ვის ან ვის შესმენა.
იგ ჩემსა სისხლსა ასე სვამს, ვით მტერნი მტრისას შესმენა.
566. ნუ სტირ, მიჯნურსა ტირილი ავად სამ მოუხდებისა
ამად, რომ გაგიცხადდების და სახმოდ გაგიხდებისა.

ცხადს მარჯნურს ფათერაკი სღვეს. სარკელი წაგინდებისა,
თმობის კურტაკი ჩაიცვი, ის დია მოგინდებისა.

567. მე ნამუსისა მანდილსა გარდვიხევ, კვლავ შევებმია,
რა თავსა შენთვის გავსწირავ, მამ ცუდად არ დავებმია;
ან ჩემს მახეში შევიბამ, ან თავით მე შევებმია,
ვირ ნებას არ აღვისრულვებ, მანამ სად მოვეშვებია?“
568. გებრუნდა და მას წინაშე წყნარა, ნელად, უხმოდ წავლა;
ათასფერი შეტმასნილი სიტყვა ზეპირ დაესწავლა.
მის მოყმოსა არა თქვა რა და სხვა ვინმე შეასწავლა.
მწუხარებით მოცალემა დია სჯობსო, კვლავ ასწავლა.
569. ბედისგანმც მიწყვიც დაღრეჯით იგიმც ზის, ვინც დაგლრიჯაო,
უკურნებელიმც სენი სჭირს, რად უბრალოსა გრჯიდაო?
ვინ მოგაშორვა მშობელთა, ან თქვას, თუ «აქ რა გრჯიდაო».
მუღმივ ცრემლთ ზღვაში გაცურვებს და იგი გარ გაგიჯდაო.
570. მაგრამ ამ უცხოთ მნახავთთან სრულა შმაგურად რასა ზი?
რასაზე ირგებ მაგითა, თუმც მოიჭირო კვლავც გაზი!
ცნობა გაქვს, შორჩი მაგ საბრხეს, სიხარულის კერძ სამ გაზი,
რად გინდა სახლი გლოვისა, მწუხარებისა დარბაზი?
571. მე, გლან, შენისა დაღრეჯით სამუღმოს ცეცხლით ვიწვები,
თან დამღვეს შეჭირვებისა ტვირთი, ვდგავარ თუ მივსწვები.
შენ შენს წამალსა არ ეძებ, სწავლებით არ ისწავები,
ვინ შენთვის კვდება, არ გინდა, სხვის ვისგან შეისწავები?
572. ვირს ჰგევნარ ყურით მალალსა; რა ზურგსა ხრმალი ეკიდოს,
ვერ მოიხმაროს მაშინდა, როს ლომი გამოეკიდოს.
რას გარუებს დიდი შვენება, თუ ცნობა არ მოგეკიდოს,
არ დაუშრიტო სახმილი, ვის შენს გამოის ეკიდოს.
573. ნუ იქ, სიყმე, შეიბრალე, ჭირსა მიწყვი ნუ იმატებ,
ნუ სწყევ შენსა შობის ღღესა, მაგით ვერას შეიმატებ.

ხელმწიფე ხარ ერაცისა, ვისცა გინდა გააზატებ,
დედლოფალი ხორასნისა, თავს რად აგრე იპატატებ?

574. ან რად ემდურვი დედასა შიწიერს მზისა მშობელსა,
ან რას მიწყრები მე შენსა ერთგულსა, მართლის მშობელსა?
შენს ანგელოზსა ნუ ასმენ სიტყვასა სულს-საგმობელსა,
ნებიერად ხარ გაზრდილი, რით ჰბაძევ სხვა ულმობელსა?
575. დღე-გარდასული არვისგან გარ აღარ შემოიქცევის,
რად იგდებ ზღვაში სიყრმესა, ვინ ხმელად არ გარდიქცევის?
შენებრსა ჭირსა სამუდგოს გმირნიცა გამოექცევის,
რა სიტყვა ესმას სარწმუნო, ურწმუნოც მალ მოიქცევის.
576. შენ რადა გძულს იგი ვინმე, შენს სიყვარულს ვინ მიწყვი ზღის,
ტან-სარო და გულად ლომი, ვის ბაგეთგან თაფლი მიზღის?
სხვა ვინმეა იმისთანა, თუ აწ ვინმე სხვას გამოზღის?
უკედავების წყლით ვინმე ზრდიდეს, მისებრ ნაყოფს ვერ
აღმოზღის.
577. სხვათა გაზრდილთა გამზრდელთა სიტყვა თავს შეუდებია,
შენებრივ ქალსა ყმაწვილსა თავი ვის დაუდებია?
ნუ ჰკარგავ ტბილსა საწუთოს, ცნობა ნუ გაგცუდებია,
მაგრამ რასა იქს კეთილსა, შენს მსგავსად ვინ უდებია!
578. მე ასეთს სიტყვას სად ვიტყვი, შენ რაცა წაგიხდებოდეს,
სათაკილოდ და საზრახად საქმე ჯადმ გაგიხდებოდეს,
ქენ, ქალო, ნება ჩემი და შენც კარგად მოგიხდებოდეს,
მიჩვენე შენი კეთილი, ვირ სული აღმოხდებოდეს.
579. ნუ იყოფები ამ სოფელს სულ აგრე გულ-მტკივნოვანი,
არვისგან გამოიქამო ვენახი ტევანოვანი.
ვინ დასთმობს თავსა ქალი და, თუ გინდა, ან ბანოვანი?
არ იპოვება საშენო მისებრი სხვა გულოვანი“.
580. აღშფოთდა ქალი კუშტ-გვარად, ჰრქვა: „რად არ
დასწყენარდებითა?
ნუმე შენ, ნუ რამინ, ნურც ვისი კეთილს სამ შევესწრობითა!

მოპაველს საქმეს ბოროტსა ნურსადათმც გავესწრობითა!
რისხვასა ზეცით გაგებულს უამად მზა დაუხვდებიოთ!

581. აღ-მც-იხოცება ქვეყანა, სად შენებრ იშვას არჯალი,
რად არ შეგწყინდა მაგდენი ეგეთს საქმეზედ ჯანჯალი?
ცოცხალი ვერ მოგიჩიები, ნეტამც გამოწყურეს აჯალი!
ბოზო, დამეხსენ, ან მომკალ, თუ გქონდეს, დამეც ხანჯალი!
582. შენის რძით გაზრდას მიჯობდა, თუმც ძაღლის ძუძუ მეწოვა,
გულსა შენ ბიერ ლახვარი. ვინ თქვას, რამდენგზის მეწოვა!
მაგ საქმეს ჩემდა საქნელად არ მეტყვის თუში მე, წოვა!
შენ ნამუსისა ჩიქილა რად თავზედ შემოგეწოვა?
583. დედის გინება ვის ეთქმის, თორე მართ შეგეკადრება,
შენებრ ბოზის-ბოზს მაქანჯალს ქალი ვის ეანაბრება?
სად იხამსება მაგისი სრულ შენჯან ჩემი კადრება,
შენ, მოდგმით მრუშის, ზნეობა ჩემს გვარსა სად ეკადრება?!
584. გრძნეულობის მაგალითსა, აბა, რად მე ხელთა მიმცა?
წმინდა გვარი მომიყინე, ნათესაონ — მულდამიცა;
ლამის გავხდე საარაკოდ ყოველთაგან მიდამიცა.
ადეგ, წადი. გამაცალე, ჩემთან ხელი აღარ გიცა.
585. ბოზ-კუროთა საარაკოდ სულა პირი დაგილია,
რად, მათის სურვილითა სული ველარ დაგილია?
არც მკედარი ვარ, არც ცოცხალი, რა ეგ სიტყვა მოგილია.
შენ სადა გაქვს პირის-წყალი და, ვეჭვ, ჩემიც წაგილია.
586. თუ მზის შვილმან შენი ძუძუ გამოწოროს, იგიც წახდეს,
სინათლისგან უნაწალო დარჩეს, ბნელად ქვე სამ ჩახდეს.
სუ, დასულდი აუგითა, სავსე ვირე ნმა სამ გახდეს.
მუნამდისცა გიკენესია, ოდემდისცა ეგ არ მოჰხდეს!
587. შენის სიტყვისა სიბილწე, ვინ იცის, თუა რათაო,
ავი რად გინდა, აუგი სხვისათვის თუ არ ათაო.

ასე თქვი: ადრემც მოჰკედები, კარგი არ იყო თუ თაო.
კრულმცა ხარ უკუნისამდე, რას ამბობ, თუ არათ აო?

588. ჩენი სიცოცხლე აჩრდილს ჰგავს, მყოვარემ წამსავე წასულსა,
ახ მზესა აღმომავალსა, დილას და მწუხრი დასულსა,
ანუ ყვავილსა სურნელსა, ანაზდა ფერ-გარდასულსა,
ამ სოფელს სამოთხის წილად, სად გიღირს, მირჩევ ასულსა.

589. ბრძენთ საწუთრო და ლალობა სწორად სჩანს. — ეტყვის
ბიძასა, —
არად შეირაცხს ამ სოფელს, ვინ სიბრძნეს მათსა მიჰბაძსა;
ვერვი შეუდრის მას ამას, ვით სეხნას კარგსა ბიძასა.
იქ ვფუფუნებდე, დია სჯობს შენსა ნაქალებს სიძესა.

590. მე სულსა ჩემსა მარადის მცველად მიდგს ჩემი გონება,
ერთხელ დამფრთხალვარ სოფელსა, რადღამე მოჰვეგონება?
შენ მოდღევენებულს სად გიღირს, წამის-წამ ეგ გეგო ნება?
ამიერითგან ნუმც ოდეს ცოცხალსამსც გამეგონება,!

591. რადგან გული დააჯერა მისგან ამის უქნელობას,
გულსა უთხრა: „რითა კეურნო ამ ქალისა სნეულებას?
სიტყვით ვერათ მოვალორე, აწ ვცდი ჩემსა გრძნეულებას“
სხვა ტყბილ უწყო საუბარი, მიჰყო ხელი ჩვეულებას.

592. უთხრა: „მიწყი სიწმინდისა და სამართლისა მთქმელი ხარო,
მე რა მიჭირს მაგისტანა, ჩემთვის თავი მოითხარო?
გეხვეწები შენდობასა, თუ რამ ავად მოგიტხარო,
უკადრისად არ გამხადო, რისხვით მიწა არ მიტხარო.

593. ეს მიბრძანე, შენდა მტრად და მის მოყვარედ რად შემქმენო?
მწყევრადა და მაგინებლად, გაზრდილო, ვით შემქმენო?
რაც შენ გინდა, მეც ის მინდა, მოვეკდე, ასე მომიტქმენო.
თუ მოაბად შემიტყობდეს, ლუკმა-ლუკმა ამიქმენო.

594. აწ ბუკითა შენს წინაშე განვაცხადებ ხვაშადსა:
რაზომ სიღიღეს გემობდე, თავს ნუ ახვალ სულ დიადსა,

მაშინც ადამის შვილი ხარ, ტყუის, ვინცა სხვას გიქადას!
ანგელოზთა ბუნებასა კაცი ნუვინ დაიქადასა.

595. ასეთს ქმარს მოსწყუდი, ვით კვიროს, ვისითმე მაგალითობით,
აწ ეს ხელმწიფე შეგირთავს ძალით თუ მისის თითლობით, —
არცერთს არ გასთავებია შენთან ცოლ-ქმრობა მართლობით,
ვაზთა ნაყოფთა სიტკბონი რით იქოს, თუ არ მოსთლობით?!
596. რას გარგებს მზესა შარვანდი, თუ სხივი არვის მიჰფინო,
მარგალიტს ცუდად აფრქვევდე, ან ღორთა ქვეშ დაუფინო!
გიჯობს, მიჯნურსა უებროს ვარდი ვარდს გარდაუფინო.
გიაჯ და შენც დაიჯერე, შენს ფერხთ, ქვეშ ვეგლო, ვით ფინო
596. რას გარგებს მზესა შარვანდი, თუ სხივი არვის მიჰფინო,
კვიროსს ველარ შეეყრები, ტყუის, ვინცა გეფერება,
მისგან კიდუ შენდა საქმროდ არაფინ შეგეფერება,
რა მიჯნურნი შეიყრებით, ლხინი ჭირს გარდეფარება.
598. შეიფიცე მტკიცეს ფიცით, სხვა შენს მეტი არ იცოლოს,
არას საქმით იმან შენზედ გული არ გამოიცვალოს,
იქორწინეთ დაფარულად, გლოვა შვებად შეიცვალოს;
მაშინ საქმე გააცხადეთ, რა ხელმწიფე გარდიცვალოს.
599. აწ თუ ეს იცი, მართალი მითქვამს მე, შენდა სარებლად,
არ საყითხავად, საძრახად, ყოვლთაგან შენთვის საქებლად.
მაშ, რას გეხელყვი გამზრდელი სათრეველად, ან საფინებლად?
მე მაშინაც შენთვის არა მშურს გული ლახვართა საგებლად.
600. ისინანული რალას არგებს, კაცი ჭკუას რა დასცდება?
ისარს ვინდა მოაბრუნებს, ეცემა თუ ან დასცდება?
იმ წელიწადს სადლა მოვა, ერთხელ ყანა სადმ მოსცდება?
ვერას ცდითა, რაცა ვიზედ დაწერილა, არ ასცდება.
601. თევზთ და მფრინველთაც იციან მის-მის დროს დედალ-
მამლობა,
ქალთაც ბუნება იგივე გვაქვს, თუმც გვმართებს დიდ-
მოკრძალობა.

საუკეთესო ამ სოფელს არს სიძე-პატარძლობა.
ქალი ქმრისათვის იშვების — ცუდია უქმრო ქალობა.

602. ეს დაიჯერე, რად ბედსა, მზევ, კაცისადა გაეგოს,
ვერვინ შორჩება, რაზომცა მიწყევ სოფელი დაეგმოს,
ბოლოდ იმასვე მიჰყვება. თუმც თავი სითმე გარდევოს.
ვიდრე აღვიხდეს ჩემი წვრთნა, მუნამდი ცუდა სამ ეგოს.
603. შენ მზე ხარ, იგი მოყმეა სახელოვანი, უსწორო.
მას რა უყვარხარ, გმართებსცა, სურვილი შენც შეუესწორო,
ერთმანერთს განზედ არ უჯდეთ, მუხლი-მუხლს გამოუესწორო,
რა ერთათ განახო, მე შაროს ვახარო, წვიგნი მივსწერო
604. სულ ბედს უჩივი, ვით გიხამს, არა ხარ რითმე სნეულად!
ნივთთაგან ქჷნილხარ აბეზარ, ვით ხელი ქკუა-ბნეულად.
სიყმის სიხარულს მოსწყდები, ვის აძლევ მას შენეულად?
სიბერე წამოგადგება, ყმაწვილო, ანაზდეულად“.
605. ეგზომის ოსტატობითა დაება ფრთხილი მახესა,
გრძნეული ქაჯთ ულოცევდა, ჰე, ალვის მსგავსსა მა ხესა;
ქალს გული გამოეცვალა, თქვა: „ნეტარ, რა შემახესა?
მგონია, ეშმამ და ძიძამ გრძნება რამ მომიჩახესა“.
606. მო-რე-ულბა ფიცხი გული, აუდუღდა სიყვარული,
ყოვლი ასო აღემღერა, ეშხზედ იწყეს სიარული,
ენა ოდენ ხვაშიადსა უნახავდა მხიარული.
შე-ცა-იპყრა გველმან მთვარე, მალე მსრბოლი, მოარული.
607. ამოს სიტყვით ეგრე უთხრა: „უმართლე ხარ, რაცა გითქვამს,
მამაკაცი დიაცს უნდა, ოდით სახელი დაუთქვამს,
მაგრა რა ვქნა, უბედურმან, ნდომის აღთქმა რამ აღმითქვამს,
აუგს თუ არ განვეკრძალო, მელექსე ლექსს გამომითქვამს.
608. მეც ამადა ვთქვი, რაცა ვთქვი, დედათ მალ წყრომა ზნედა
სდევს,
მე შენი სიტყვა მეწყინა, ავის თქმას ავი თან მოსდევს.

სიყვარულშიგან ჯდომასა სჯობს, ქვე ვინა ზის, არ გასდევს;
რაზომ კისკასობს იგ ვინმე, ვერ მომეწევა, ნუ დამდევს.

609. ენა განმრყენია ავის თქმად, მით მითქვამს შეშინანია,
არ მიხმდა შენი გინება, ძიძა ხარ, ჩემიანია;
სჯობდა დამეთმო, ღია სჯობს სულ-მსწრაფლსა სულ-გვიანია.
შენ ჰოედა გჩანს იგი ყმა და ჩემთან რა მინანია.
610. თუ სიტყვას არ მოვსმენდე და პასუხს არვის გავსცემდე,
ჭირად ეყოფა უბრობა, ვინ გინდ ჯოხითა მივსცემდე.
მანამდომე ნუეინ წამართობს ნამუსს, ივრ მე არ გავსცემდე,
ნემც ოდენ ვისგან ძლეულვარ, მიწყითამც მტერსა
დავსცემდე“.

ძიძისაგან მესამედ რამითან მისლვა

611. „პო, ცუცხლში წყალსა რას ეძებ, მისგან რომ არ გამოჰხდება?
ქარს ნუ სდევ შესაპყრობელად, თვარ დევნა ცუდად წახდება
ზღვა კოვზით არ აღმოიწყვის, ვით საზღვარს არ გარდაჰხდება,
მისი და შენი მოყვრობა არვისგან არათ მოჰხდება.
612. ტინის კლდითგან ჩემის გრძნებით ტყბილსა რძესა გამოვხდიდი,
მზე ბრწყინვალე დავაბნელი, სხივსა მისსა გარდავხდიდი,
ბრძენთა ერთის შელოცვითა ხელისაებრ მყის გავხდიდი, —
მასთან ვერა გავყიდე რა, თორ ბოდის არ მოვიხდიდი.
613. კაცმან თუ კლდესა შეჰყივლოს, იგიც პასუხსა გამოსცემს,
ეს ავ-ცნობითა გამზრდელსა პასუხის-პასუხს არ მომცემს,
მაგინებს, მწყევლის, მიძრახავს, თუცა დედასა ვერა მცემს;
თულა რას ვეტყვი, მგონია, გამაძებს, ან ვის სხვას მიმცემს“.
614. დამსგავსა რაზინ კაკაბს, შავარდნის ჭანგს ქვეშე მყოფსა,
მრავალ-რიცხვი ისრის პირი გულსა შიგან წვერს უყოფსა,
ცნობა მიჰხდა, შორ გაუქცა, მას ქალს ველარ წამს უყოფსა;
უგულობა პასუხის თქმად უძლებლობით პირს უყოფსა.

615. მერმე შეჰფიცა: „ან დიდს წყალს, ანუ კლდეს გარდევარდებო, მე თავს მოვიკლავ და შენ ძნელს ცოდვაში ჩავარდებო; ან შევიშლები ხელთაებრ, ველად სამ გავეარდებო, ან ბერად საღმე შევედგები, ამ სოფელს განვშორდებო“.
616. თვალს ნამი ჰქონდა, გულს — ელეა, სული სულ უმცირდებოდა, სურვილის ცეცხლი უთმინო უშრეტლად მოედებოდა, ყოიდა მალა, ვერ სცნობდა, რას მიედ-მოედებოდა. მისი მისაწყყლე მას ქალსა სნება ვით გარდედებოდა.
617. ველარ გასძლო მისი ჰვრეტა, ასე ერთობ შეებრაღა, ადგა, ფიცხლავ წაბოვიდა, გულ-იწრობა დააბრაღა. ყმამან კალთას ხელი სტაცა, დიდად თავი შეაბრაღა. რა მივიღა იგი ვისთან, იქ ყოფა სხვად გარდებრაღა.
618. შეუძახა: „შე დიაცო ხრინწიანო, რას მოხველო? საქმე სხვა, ვეჰვ, არა გაქვს რა, საგრძნეულოდ თუ მოხველო. წადი იქავ, გამეცალე, საიღამეც წამოხველო, წყეულმეც ა ის ადგილი, რასაც ქვეყნით გამოხველო!“.

ძიძისაგან კვლა ვინის საუზარო

619. „ეჰა, კეკლუტა ხელმწიფევ, ვით მთვარეს გიახლებიან, რად გალეულხარ, ბადრობის დრო ახლა მოგახლებიან? ვინ გახლვენ, ან ვინ გამოორვან, ბნდებიან, ველარ ხლდებიან, ხელურად გარე გირბიან, რას იქმან, ვერ მიხვდებიან.“
620. ხვაშიადი მაქვს, წინაშე ვერ მითქვამს სირცხვილითაო, დამბმია ენა სათქმელად, მაგრა თქმად სწორად ვრბითაო; მოაბადოსაც მეშინის, ეშინის ყოვლთ ავითაო, მაშინაც არ მგამა, იმისთვის მოვკვდე სულთ ამოსვლითაო.
621. რა მის სისაწყყლე მომგონდეს, შიშს ველარ დავემალეზი, ნამუსიკ დამეკარგება, ველარც სრულ გავეკრძალეზი; ნუ შემრისხდები, ანასღათ თუ რამ ვთქვა დასაბრალები; შემინდევ შენსა მონასა, რაზომცა არ გებრალები.

622. თუ იმას ვნახავ, ჩემისა ცნობისა თვალი შეიკრვის,
სანძილი მომეკიდება, თვალნი მზერისდა მიიკვრის.
იმისი მსგავსი მიჯნური სხვა არ ნახულა, ეს მიკვირს.
ყოვლთ მუსიკელთა ციმბალი მის საარაკოდ დაიკვირს.
623. ათას მიჯნურსა მისისა სულთქმისა ალი დასწვავსო.
სიტყვა მკვეთია, ბაგენი ტკბილ ასხენ, ვინც გამოსწოვსო;
თმობის ჩემისა მოკვეთას მისის ხრმლით ცნობა მაწვევსო.
იმისი ისრე გახდომა გულს მძიმედ ლოდად მაწევსო.
624. მოიქეც, ყური მომიგდე, მისმინე მოქენებანი,
ნუ მოჰკლავ კაცსა უბრალოს, დაითმე მრისხანებანი;
უმოწყალობა არ ვარგა, ძალუც სულისა ვნებანი.
თავისუფალსა მართებსცა, ხან ქნას სხვისაცა ნებანი.
625. უბრალოს სისხლით კალთასა რასთვის შეისვრი, მზევ, რადა?
ევზომის ჰიარით სიმორვალე რად ერთხელ ვერ გამოგქარდა?
ბილწის ეშმაკის საბრხენი ლოცვითა ვით არ განქარდა?
აროდეს ბრძანებ ტკბილს სიტყვას, სრულ ისევ მუქარ-
მუქარ და.
626. რა გგავა, თუ უმოწყალოდ მისი დღენი არ დალივენ?
რა გგავა, თუ არ ევლტოდე, სხვანი მისდა ხლდომით მივლენ!
მაშინ სცადე ჩემი სიტყვა, ერთხელ თვალნი გარდაავლენ,
რა იხილავ, შენთ მზეთ სიგრძემ, უძეობით არ გარდავლენ.
627. შენ მისმან ბედმან აქამდი ქალწულებითა დაგიცო,
ერთხელ არ ბრძანებ მის ნდომას, ნეტაი პირს ვინ დაგიცო?
ახალ-მოწიფულს მარტვილსა თავი რად ცუდად დაგიცო?
შენ კერძ ვამბობ, თუ სხვის კერძო, მიხედება ამას შმაგიცო.
628. შენი ბეჭედი კრძალული მას მიეცე, იმან აღილოს,
ცოლ-ქმრობის აღერსობისა კარი დახშული გაგიღოს,
შენის სურვილის გუბები ნაკადეულად გაიღოს;
აწ სიხარულსა ეწიე, ტირილმან სული დაიღოს“.

629. რაც მოქენისა ესმოდა, იგი გულს იდასტურებდა,
დაიდუმებდა პასუხსა, მოქმელს ქვე-ქვე შეუყურებდა,
ხან ფერი განჰკრთოს, ხან ოფლი სდის, მალ-მალ მოიწურევედა,
ყელს იქით-აქათ იგდებდა, თვალეზზედ ხელ იბურევედა.
630. დატკბა სიმწარის საწდევი, რადგან შეერთო მელია;
მომშვიდდა მწყრალი ასპიტი, რა გესლი გამოელია;
სიყვარულმან სძლო სიძულვილს, ღიჰობს მოსაქმე მელია.
ხან ლხინი მოვა, ხან ჭირი, ელოდი, ვის მოელია.

ა რ ა კ ი

631. ოდეს ორკეცი სურვილი ორთ ერთად შეიყაროსა,
ვით მალნიტი და ფოლადი ერთმანერთს მიემყაროსა.
ცალკეცი ვირმან ვით ცალი არ ზიდოს, გარდიყაროსა,
მაშინ დაშორდენ ერთმანეთს, ხუნდიც ვინ შეუყაროსა.
632. სცნა მშვილდოსანმან, ბნელს ღაპეს სწორად შესტყორცა ისარი,
მოწყლა მან ფრთხილი კანჯარი იმისი, ვისი ის არი;
მის ადგილსა ჰკრავს, ვინ არის უცდური მშვილდ-მოისარი.
შელოცვით დაბორკილდება სასტიკი ქარი ი სარი.

მისისაგან მოაბადის დარბაზს რამინის ნახვა და მისთვის გამიჯნურება

633. აწვიეს რამინ დარბაზსა და სხეანოც დიდებულები;
არ შეატანეს სხვა კაცი, მათ-მათი მოკიდულები.
მათ ლომ-ჭაბუკთა საჰკრეტლად მოდგნენ ქალნი და დულები.
მის ყმისა შეენებისაგან იყვნენ გულ-დაღაგულები.
634. განმხიარულდა ხელმწიფე, მის-მისდა უაღერსებდა,
ტკბილის სიტყვითა ლალობდა, იმათგან თვით აღირსებდა,
ზუმრობას პირშედებულსა პასუხად არ შერისხევედა.
მათში შენებით იგი ყმა შუაზედ ბეწვსა გახევედა.
635. განზრახვითა ტანთ-ცმულობა კვლავც შეენებას უშვენებდა,
თვალთ გრემანთა პინდოთ ტევრთა გარე შემოუშენებდა,

სიყვარულსა დაფარულსა გულსა მიწყვი იშენებდა.
ვინ ურჩ იყო აქანამდი, მწვე გინდა და აშენებდა.

636. ღვინით ფერი ყაყაჩოსა ღაწვთა გარდაჰფარებოდა,
სურვილითა მთერალ-ქმნილიყო, სული ევიწროებოდა,
იქა-აქა იხედვიდა, ნუთუ მოეყურებოდა;
მასპინძელსა უფარვიდა, ღია რამც ეფერებოდა.
637. ძიძას ძალით საყურებლად მალვით ვისი მოეყვანა,
უიმისოს გლოვის სახლით სხვასა ვისმცა გაეყვანა?
კიბე-კიბე აიარეს, დარბაზის თავს აიყვანა,
მუნვე უნდა შეემეცნა, მანამდინ არ წაეყვანა.
639. „შეხედე. თუ არის ვინმე იმისებრი, შენსა მზესა?
მზეს არა ჰგავს მიწიერსა, ვინცა გაცდით შეუშზერსა.
ემართლება ჩემი სიტყვა გულსა შენსა ღმობიერსა,
ვინ იშოვნის ზორციელსა კაცსა მისსა მაგიერსა?“
639. სიკეთემა შეაყვარა, ნახეთ, ვინა ვისი ვისა!
სულ გაწირვით დაავიწყდა მისი კვირო მისსა ვისსა,
გული ამოდ დაიწყნარა, აღარ ზრახავს სიტყვა-მქმისსა.
ბედი თურმე აღირსებდა ქალს ყმას მისსა შესატყვისსა.
640. ბუნებითი სიყვარული მოერია ქალსა ღია
აღარ სადათ მოაგონდა დედა და მამიდაია.
სურვილისა მიღვენება, პოი, რაბამ ღიაღია!
უთხრა მისსა თანამყოლსა: წარვიღეთ, ადე, ადია!“.
641. ცნობა გონებას გააბჰო, თქვეს: „რა გვერგება ამითა,
ცუდად გარდაველეთ ჩვენი დღე ჭირითა, არ სიამითა,
ყოვლი ბუნება ჩვენებრი იხარებს არსი ამითა“.
დამტკიცებულა სურვილი მოყვრისა დასაბამითა.
642. დღეთ ცუდად წარსლვას ინანდა, მაგრამ არ გამოუტყადა,
ოღითგან აღარ ახსოვდა, რაც ჭირი გარდაეხადა;

იმადლდა მისსა რჩევასა, თუმც მადლი ვერ გარდუხადა;
სიმწარისაგან აწ სიტკბო ანაზღა გამოიხადა.

643. უთხრა, თუ: „მართალს ვიტყვოდი, რა ვნახე რამინ ვით არსა,
ესრეთ წყლიანი, კეკლუცი შემქმნელმან მისმან ვით არსა?
ჩემს ძმას კვიროსაც ასრე ჰგავს, ზედ გამოჭრილი ვით თარსა,
მაგრამ საჩემოდ არ მინდა გაბრი, ნასრანი ვით თარსა?“
644. ადგა, წარვიდა, იწვართა კვლავ კრძალვა სიყვარულისა,
თქვა, თუ: „არ მმართვეს აყოლა ამ სოფლის, ერთის ჰრულისა,
დიდ ვნებულება მასმია სურვილზედ მოარულისა,
სიყვარული და ძებნაცა მიხმს ჩემის დაქარგულისა“.
645. ცნობამ უთხრა, ვინც უყვარდა, გული მასვე გარდაიდოს,
საძრახისსა სასთუმალზედ თავი აროს არ დაიდოს,
მგონ, პაემნად ეს დაიდვა, ვირ ტკბილი რძე გარდაიდოს.
მაშინ რჩევა გარდიცვლება, რა ყელი ყელს გარდაიდოს.
646. ძიძამ ვერ აგრძნა, კვალადღა თუ მიჯნურს გული ქცეოდა,
რამინის უნდობლობასა ვით გულში შეექცეოდა,
არ მისის სიყვარულისა ხე ძირით გარდაქცეოდა.
სამახარობლოდ გრძნეული მალ ამად გაიქცეოდა.

ძიძისაგან რამინს წინაშე მახარობლად მისლვა

647. მოახსენა: „აწ მგონია შენთა კირთა ბოლო მოჰხდა,
იგი ფრთხილი მო-ცა-მწყნარდა, კუშტობასაც გარდამოხდა;
ველის ყრდელსა სიმწარის წილ სიტკბოება გარემოხდა;
შენზედ უხვი მოწყალება ზეგარდამო გარდამოხდა“.
648. რა ესმა ყმასა ამბავი, სად ითქმის, ვით გაეხარა?
კალთას აკოცა, თაყვანსცა, მიწამდე თავი იხარა,
ჰრქვა: „ცხადივ მესმის, თუ სიზმარ ვარ, გეხვეწები, მითხარა,
მკვდარს გაცოცხლება მაღირსა, თუ კიდევ მიწა მითხარა?“

649. გრძნეულთ თავო, თვალთმაქცობის, მისნობის და ბებლთ-
მოდღვარო,
 მლიქნელო და ენოვანო, მზაკვარების სეტყვე და ღვარო,
 ტურავ, ჯადოთ ხელოსანო, რაა, შენ არ გასაზღვარო?
 ქაჯთ და ჭიმკათ დედოფალო, ვინ წამს მოვლო ჩრდილო,
ბღვარო!”
650. ჰკადრა: „ყოვლთა ბანოვანთა გამზრდელო და დედოფალო,
 შვენების და ნატიფობის უხუცესო ხელთ-უფალო,
 ეტლთა მრუდთა მოწაღმართევ, რაზომ იყოს უუფალო,
 სულიც გიძღვნა, სადა კმარის, პასუხად ვით გაგითვისალო?“
651. ათიათასი დრაჰკანი მისცა და თვალნი თლიონი, რათ არ ა
ლალი,
 მონა-მხვეალნი, ჯუჯა მასხარა, მოთარალალი, რათარალალი. :
 ოდენ აილო ერთი ბეჭედი, სხვა არ ინდომა, ვით არა ლალი.
 ეს საჩუქარი იმისთვის ვინმე რად არ ჩააგდო, ვითარ
ალალი?
652. უთხრა: „მე ამით მძღარვარ, ჰე, ჩემო სიხარულოო,
 მე შენ მიხედი და მიყვარხარ, უსწოროდ გამოსულოო;
 ჩემის თვალისა სინათლე ხარ და იყავმცა სულოო,
 მუნამდინ მივი ცოცხალი, ვირე არ გიორგულოო“.

ძიძისაგან რამინის გაურა ღა ვისთან მისლვა

653. მი-რა-ვიდა, კარი დახვდა შიგნიდამე მოგდებული;
 დაურეკა, გა-ცა-უღეს; ნახა ქალი ქვე გდებული,
 ტიროდა და ყური ჰქონდა სხვის კერძ სითმე მიგდებული.
 ჩაიშთო და მიჯდა კუთხეს, სიტყვა იწყო აგდებული.
654. გაიზმორა, დაამთქნარა, ამოიწყო მორულობა,
 მერმე ზევე აღიხედა, იწყო მისივე მელურობა,
 ხან კენესოდა, ხან სულთქმიდა, მოახსენეს ხან ხუმრობა,
 ჰრქვა: „ავია მარტო ყოფა, სამუდამო უსტუმრობა“.

655. გარდმობრუნდა ნამტირალი, ამო იწყო საუბარი,
უთხრა: „მგონი, ბევრჯერ მითქვამს. ნუ ხარ ცუდის მოუბარი.
სულა მე რას მეუბნები, ხომ არა ხარ სხვათ უბარი?
რა ვაზს ძირი გახმობოდეს, იმას რალად ძირს უბარი?
656. რად ვიქ ასეთსა საქმესა, რა იგი მომაციენებდეს,
მტერს უხაროდეს, მზრახვედეს, მოყვარეს გულს ატკინებდეს,
ნატამალთ ვესირცხვებოდე, საუკუნოსა მუენებდეს
აქ რაცა მრჩიდეს, რა მგავა, თუ მუნ სადმ განისეენებდეს“.

პასუხი ძიძისა

657. „ავ ცნობებისგან სხვას კიდევ ვერ ვხედავ შენს სალაროსა,
ავს საქმეს თუ ვინ შერებოდეს, სხვასა რად დააბრალოსა?
ვინ დაარღვია აგრე მალ, რა ვინჟე რა ალაროსა?
რაც ვინდა, ქალო, იგი ქენ, რას მერჩი მე, საბრალოსა?
658. ერთს სიტყვაზედა არ სდგები, ვითა წისქვილი იქცევი,
კამათელს ჰგეგხარ, შაშს დაგსუა, იაქედ გარდაიქცევი.
მართლმადიდებლად ურწმუნო ვიდრემდის არ მოიქცევი?!
მითქვამს და კვლად-კვლა გეტყვი: კარგს ბედსა ნუ
გაექცევი!
659. საწუთრო ვითა მბრუნავ ხარ, ერთს ნირზედ არ დასდგებია;
რად ჰგეგხარ ქვასა ფირუხსა, ფერისა მალ დამგდებია?
რკინის ბუნება არა ვაქვს, რას აგრე სრულ ჯანგდებია?
ტახტსა მკდრომარე, ვით გლახა, ნაცარშიდ ნუ ეგდებია.
660. ხედავ, ამ მთისა იმ მთაზედ შეგდება მას შეუძლია,
რაზომ გეხვეწა, არ იქნა, რითც თავი შემოგაძლია,
შენსა ეშმაკსა ბოროტსა ვერას ცლით ვერას დაძლია.
მაგდენი მტრისა მტერობა მის მეტსა ვის გაუძლია?!
661. ქალო, აგრე დაეინება, მითხარ, რას გეხმარებო?
სულისათვის მარგე არის მოაჯეთ მოხმარებო.

მარტო გდებდასა ის გიჯობს — მოყვრიტა გახარებაო,
რა ჭკეას დასცდე, რაღას გარგებს მერმე თავის ბარებაო.

662. დევიც ვერ გასძლებს შენს გვერდით, მე ვით გაგიძლო, ბებერმა?
მუნიანობის ხსენებით ლამის შემქამოს მე მღერმა.
ვერ შეგაგონე ვეროდეს, წა-სამ-ვეგები ბარემა.
აცა და ნახავ, ყმაწვილო, რა გიყოს შენ სირევენემა!
663. მე ამის მტრსა შენთანა ვერ გავძლებ, მეყო აქ ხლება,
მარვი შენ გქონდეს, შაანშას ცოლობა, არ მოახლება;
მეყოფა ყოვლ დღე ჭირს ჭირზედ დართვა, ზე ახალ-ახლება,
აწ წარვალ შაროს წინაშე, ვქამო, იქაც მე „ხლება“.
664. ქალს რა ესმა წარსვლა მისი, ყოვლი ჭირი მოეგონა,
ობლობა და დედის გაყრა, სხვა სასჯელიც წაიგონა.
სიმარტოეს შეუშინდა. მისთვის რამე შეიგონა;
უფრო ამით მო-რე-მწყნარდა, რადგან სხვათაც გაეგონა.
665. უთხრა: „რა ცქნა უშენომა, ობოლმა და საბრალომა,
ჭირთა ჩემთა მეზვადის ოხერ-ქმნილ და სულ უყოლმა,
უბადრუქმა, უბედურმან, ყოვლის კაცის დასაქოლმა?
ჩემს კაეშანს ამას იქით ვერ გაზიდავს ხარი ლომა.“
666. რად შეგიყვარდა იგ უცხო, თქვი, იმის ამოწყვეტასა,
ვინ მის ძალითა აპირებ გულთაგან ჩემს მოწყვეტასა?
შენ შეგეკვთა, რა მოვსწყდი, მამა, დედა, ძმა, ქვე დასა.
ვის ზენა დაგვიწყებია, ჩამზერ სრულ საქმე ქვედასა.
667. უშენოდ სრულ ოხერი ვარ მე, გლახ, გაყრილი დედისა,
ნუმცა მაქვს გული მოქენე უშენოს სხვას იმედისა!
ვინ გაოკვიროს, რა ესმას ავი რამ ავ-მოქმედისა?
ბრძანებს მდაბალსა სიტყვასა, თორ სხვაც რამ ეიმედისა.

668. ნუ გამწირავ, სახელს წყალშიდ ნუ ჩაიგდებ წასაღებლად.
ცოდვის ტვირთა ნუ აზიდავ, მძიმე არის ასაღებლად.
ავი ვის გვკვარს, ნუვის გვინდა ჩვენებრ სხვისდა მოსაღებლად.
ჯოჯობეთის კარს რად ეძებ შენდა შესვლად გასაღებლად?“

პასუხი ძიმისა

669. „მზე ხარ კეკლუცთა, ეგება მაგით ვინმ მოგაციდინაო,
შენს მაგდენს ილიკ-ბილიკსა მე სად ვინ მიმაწვდინაო,
ეგზომი საღვთო-საკაცო ნეტა რამ გაცოდინაო?
ჩემი მართალი ლაყბად გიჩნს, სრულ ამან შემაციდინაო“.

670. კვლავცა მოტკბა, ხელს აკოცა, ჭკვა და სიტყვა და უქნა.
„კმაო წყრომა იმ საბრალოს, აწ წყალობა, გიხამს, უქნა,
მზემ შარვანდი ვარდს დაზრულსა მიაფინო, დაუშუქნა.
მალლის სიტყვის მეტყველებას დროა ბოლო შემოუქნა.“

671. დააგდე ეგე კრილობა. სხვას ნუვის მოინახვინებ.
შენ-მაგიერსა საცოლოს იმას ნუ დაინახვინებ,
უებროს თავსა მის მეტსა, აბა, ვის შეინახვინებ?
აწ ეს მიბრძანე, შენს მზესა, მზე ლომსა როს ინახვინებ?

672. გამოაჩინე გვარი და უებრო ჰაეროვნება,
აგემე მას ყმას ეგზომი სიტურფის ნაყოფოვნება;
გოგო-ბიჭობის ალერსის შეიტყევე სიამოვნება,
გასახარელი გულისა მისებრი არ იპოვნება.

673. შენის სიყმის სიამოვნე, მე ვიცი, რომ მძინარეა.
გააღვიძე, გაიხარე და ტკბილად შეიწყნარეა:
შეიერთე იგი მოყმე, შევენებისა ვინ არეა,
მაშინ ნახავ ჩემს ნარჩევსა, მოტფოა თუ მყინვარეა“.

პასუხი ვინისა

674. მაგას დია სჯობს, წყეულო, სამოთხის გამოსვენება,
სად ოხრა, სულთქმა არ არის, სამუდმო არის შევენება;
მისდა სანაცვლოდ სამყოფად შენებრსა ეგ ეჩვენება,
ეგ არის შენი ზნეობა და შენი გამომჩვენება.

675. თუ შენ დაგხსნოდი ადვილად, მე იმას მალ ვეწეოდი,
 ჯაღოთ-მოქმედსა, გრძნეულსა საწყალი სამ დაგძლეოდი;
 რაზომცა მოსწყურებოდა, არსად არ დაველეოდი,
 რა არ მეგონა, ის იქნა და არსით არ მოველოდი.
676. ყოვლის კაცის შეუტყობრად აწ მონახე ჟამი პოვნად,
 წყრომის ჟამსა იცნობ შანშეს, თუ გახდება რა ახლოვნად,
 იმის ამის შეტყობამდის სული გედვას მართ ნათხოვნად
 ვა, რა დიდი ბრალი არის, ქალი გახდეს თუ საშოვნად!“

პასუხი ძიძისა

677. ვახ, ათასჯერმც გენაცვლება ძიძა და შენი გადია!
 მზე ხარ ქვეყნისა მნათობი, ნუ ქვე ზი, ცაში გადია.
 სულდგმული ვერვინ შეიტყობს, თამამად დამიქადია,
 ოლონდ შენ ნულარ მიტყუებ, რაც ბრძანე, რაც მიქადია.
678. ვერ ხედავ, ბედმან თუ მტერი რას დროსა სად გაგაცალათ?
 დღესითგან შეჭირვებისა ტვირთები გარდაგაცალათ,
 ეგზომთა ჭირთა სანაცლოდ ჟამი აწ ლხინთა გაცალათ,
 საერთმანეთოს ალერსზედ მიჯნურნი, ჰე, მოგაცალათ.

რამინისა და ვინის შეხება

679. წელიწადის შეზავება გაზაფხულსაგ დაეტყობის;
 საქმე კარგად რა ჰხდებოდეს, წინაღლითვე შეეტყობის.
 იპოვნაან ერთმანერთსა, გული გულს რა გაეწყობის,
 ენად მქვერის მოციქულით მტერი მტერსა დაეწყობის.

680. შაჰი მოაბად ასაყრელს აცემინებდა ნობათსა,
 დასკვნეს წარსლვა მავრიდამ გურგენით კერძო შაბათსა;
 ის იქ წაბრძანდა სალხინოდ, შინათც უნახვენ სოჰბათსა.
 დრო მოვა, ისრიმს დაატკობს, დროვ შეიქს მწარედ

ნაბათსა.

681. არ წაჰყვია რაჰინ ამისთვის, სურვილით ჰგვანდა სნეულსა, რად ვერ მიუხედა, უძრახავ კეჟუსა მას მოს ეულსა. არას უმადლის მიჯნური რამინ ძმა მას მისეულსა. ვინ ვერ ათაოს ბრძანება, ვა კაცსა მას მისეულსა!
682. საწუთრომ, ვითა ზენკალმან, გულს შურის ჭანგი აჰხოცა; სვიანმან ეტლმან ხელითა თვალთაგან ცრემლი მოხოცა, გამარჯვებისა კალდიმმან მტერნი გარ შემოუხოცა. აჰა, სოფელო ძუნწო და ანაზდა დია უხოცა!
683. მიჯნურობის ასპარეზი ხელთა იგდეს ცარიელი, ბედს აღარას ემღუროდეს, იყვნენ მისგან მადრეღი; სხვა მიჯნური ვინ ყოფილა მათი მსგავსი, სად, რომელი? მო, უყურეთ, გარდინხადონ რა არიელ-მარიელი.
684. იმავე დღესა აწვიენეს მუნანი სრულ ბანოვანი, სრა და დარბაზი შეამკვეს, წალკოტი აბანოვანი; მთვარე ელვარე ტახტს დასვეს, მუნამდი ნემნოვანი. ვარდნი გაიფრჩინენ უეკლოდ, კოკობნი არ ეკლოვანი.
685. ჰგვანდა, თუ ცათა მნათობნი მას დარბაზს შემოსულიყო, ერთი მათ შორის ასე. ჩნდა, ვითა მზე ამოსულიყო; ვარდს პირი გამოებუტკა და ია თავ-დახრილიყო. მკვრეტნი ბნებოდენ სურვილით, ზოგი გულ შემოყრალიყო.
686. იყო ქალთაგან შეგნება საყურთა იალქანისა. უმჯობეს იყო დარბაზი ყოვლთ სატურთაღალთა ქანისა. მათთა მკვრეტელთა გულეები, ვინ თქვას, სად გაექანისა? მხემან ვარსკვლავთა უბრძანა თითოს სმა მათ ალქანისა.
687. შემწუხრდა და მოემანთა ასაყარად აიწივეს, ერთმანერთსა წამს-უყოფდეს და ქვე აღარ დაიწივეს. რა იგინი გაიყრნენ, სხვა სტუმარი მოიწივეს; მოსლვამდივე ეტყობოდათ, ერთმანერთზედ წაიწივეს.

688. ვით მოჰყვანდათ იგი მოყმე, ირემს ჰგვანდა ახლა წამხლტარს,
იქით-აქეთ იხედვიდა, მზეს ამსგავსეს ეტლსა ამხტარს.
მის ქცევისა გამოხატვა არ ძალ-ედღა ვერას მხატვარს.
სვე-სვიანი ბევრჯერ უზამს ასეთს საქმეს კაცსა წამხლარს.
689. რა ყმამან ქალსა შეხედა, ცხვირთაგან სისხლმან წახეთქა,
თვალთა სისხლში სცვიოდა, პირს ოფლმან მწვე წაშოხეთქა.
ძიძა ღიმილით უმზერდა, ეტყოდა მოყმასთ: „ნახეთ-ქა!“
თქვა, თუ: „აქამდის საწადი, ნეტარძ მე, რა არ დამენთქა!“
690. ძიძამ რამინ მოიყვანა, ქალს ტახტზედ მჭდომს გვერდს მოუსო,
მიულოცა ერთმანერთი: „ამან გიქმროს, შენ უფსო,
ნუმც ქმნილხართო ერთი ერთზედ ორგული და უნამუსო“.
ყმამ გული ვერ დააჭერა, ვირე ხელი არ მოუსო.
691. გულს სახმილი გამონელდა, პირი ვარდებრ აღუყვავდა,
ჰგვანდა, მთვარე მალრიბილამ მაშრიყისყე მზეს მიჰყავდა,
მათთა ხმათგან იადონსა ჭიკჭიკები გაუყვავდა,
ვა, სოფელო, წამი ერთო, იგ ქალ-ყმანი რა უყავ და?
692. ყმამ ქალსა ჰკადრა: „ყოვლითურთ შევნიერებით უკლებო,
სიხარულისა წყაროო, ვინ სიტკბოს არ მოიკლებო;
მზეო, ქვეყნისა მნათობო, სხივსამცა ნუ მომიკლებო.
თუ შესატყვისად ვერ გაქო, ვიცოცა, მწვე ამიკლებო.“
693. თმა ამბარი ხარ, მუშკსა და ყოვლთ სურნელთ შენ მორეული,
ნარგისი თვალ-მოცინარი, ვარდი ქაფურით რეული,
კვიპაროზ-ნაკვთი, სარო-ზრო, ხელთაგან არ შერხეული. :
დღესამდღე მქონდა მე შენგან გული ლახვართა მხეული.
694. შენს შობასა შევნიერი შარო ბევრჯელ დაქადილა,
ნეტარძი მას ქვეყანასა, სად შენებრი აღმოზრდილა!
სხვა, შენგ ბეტი ვინ ნახულა, ქალი იყოს დილის დილა?
უშენომან სულდგმულობა, ვა მას, ვინცა იწადილა!

695. შენსა შუქსა აუვისია ქვე პაერი, ზე თხელი ცა,
 ნეტარია, ვინ გასლოვან, ან ასმია სახელიცა.
 ვაშა, ვინცა მიჯნურად გყავს. რაზომ იყოს სულ ხილიცა!
 ნეტარძი ჩემს შენს შეყრასა, დიდი დამრჩა სახელიცა!”
696. ნაზად პასუხი მიუგო: „ჰე, ბედ-სეიანო ჯომარდო,
 სახელოვანო ჭაბუკო, აროდეს არსად ნამარდო,
 ლალო, კისკასო, ფიცხელო, პაერთა ზე მონაეარდო!
 დასტურად ჰპოვე შეენების ბალი-წალკოტი, სავარდო.
697. მე საწუთროსგან დიდ-დიდნი სარჯელი გარდამხდომია,
 თურე არ ჰირი მინახავს, სასირცხო საქმე მდომია.
 აწ ეს რით მოჰხდა, არ ვიცი, გონება ვერ მიმხდომია,
 ვეჰვე, უბედოსა ბედითა და ძიძით წინ დამხდომია.
- ასე სჯობს ნებას ნამუსი, ვით ღირსი კაცი — არაღირსს.
 ავია ვნება, სავნები, ვინ იქს და ვინ მას სულ შეღირს,
 მის ჯანგსა ვერვინ აღმოხოცს — ხელსა ნურავინ დააღირს.
 ასე სჯობს ნებას ნამუსი, ცით ღირსი კაცი — არაღირსს.
699. უგუნური ყოვლს საქმეშიდ ნამეტნავსა განიზრახავს,
 ავ საქმესა რა შერებოდეს, თავს იქებს და არ იზრახავს,
 თვისს დიდს აუგს ვერ მიხედება, სხვისას ცოტას დაინახავს,
 კაცი არის, ხვაშიადსა ვერას ცდით ვერ შეინახავს.
700. აწ ეს გკითხო: ჟამად შინა ხარ თუ მტკიცე ანდამატი?
 სიყვარულსა ზომიერსა მოიკლებ, თუ ან დამატი?
 ნამუსლია დიდი რამე კაცობისა შესამატი,
 ვინ მოყვარეს ეცრუება, ცუდი რამ ა მოსამატი.
701. თუ ვარდისებრ გაახარებ ჩემთა მტერთა ხან-მცირობით,
 ან იხანგძლებ იაგუნდებრ კარკაცობის ხელთა პყრობით?
 არ ინანი ამ საქმესა დროთ რითაშე შემოსწრობით?
 აწ მასუხი შენ მიბრძანე, შემიჯერებ რას პირობით?“
702. მიჰყო პირი რამინ ფიცსა მათს რჯულზედა საშინელსა,
 მზეს და მთვარეს, ვარსკვლავებსა, ცეცხლსა ცხელსა, არ ყინელსა:

„ვიდრე მთაზედ ქარი ქროდეს და წყვილიაი ჰქონდეს ბნელსა, არას საქმით არ ეცრუოს მას, მის თვალის სინათლესა“.

703. ჰრქვა: „მოგგონდეს ეგე ფიცი, დაინახო რახან ია, ვით გარდჰხდეს ისე ლურჯად, თავ-დახრილს თავსმც გიფხანია. მე წალკოტსა ვარდს რა ვნახავ, ვოტყვი ესე ის ხანია, თუ გიტყუეო, ღღენი ჩემნი მის მეტამც ნუ მიხანია“.
704. ვარდი ხელთა გამოართო, მას მიართო, რა მან ია, რამინ ჰკადრა: „აჰა, მზეო, მიბრძანე, ეს რამანია? უთხრა: „ადვილ შეიტყობის, ძიძა გეტყვის, რა მანია“. კვლავცა მოწმად ხელთა მისცა საესე ჰქია რამანია.
поклонением челом бью и милости ко всем неоскудевающий, который наз смиренный требуя и искатель есмь и всеусердно прошу незабвенна мя иметь в своем милостивом ходатайстве в печальном размышлении пребывающего о всяких пред опасительных случаях зимнего пути и вне в готовности к ему и всякие скудости и розные непогоды, а в чужей стране и с немалыми людьми толико и с надеждою моею предаюс благородству вашему и с тем остаю чающий ко всем преизливающейся милости твоей и к себе ашли изволение будет его царского величества мне назад к Москве возвратится о твоего ж благородия помощи прошу, чтоб мне в дороге и на Москве не принимать великую нужду и скудость, которая мне и будущим временем на Москве преизлиществовал.

1707 г.

№71

Превосходительнейший господине мне по премногу милостивый Гавриил Иванович! Здравие ваше да хранит десница Господня на множество лет благополучно.

... При сем донося и паки слезно прошу не остави твою к нам природную благодать без добраго в начатом деле нашем окончания понеже по милосердому высокодержавнейшаго нашего монарха повелению еже бы розменити сына моего на свободу, чрез посредство секретаря Нарвинскаго при моем дворе витающего дело сие не возприяло еще и начала и после указу прошло 30 дней, а секретарь еще не отпущал, о котором продолжании в презелно есмь печали. Пожалуй, мой государь, подай руку помощи как тя Бог наставил, и я по Бозе на твою милость в надежде остаюс твоей всегда послушник Имеретинский

აჩილ იმერეთისა

Из Москвы, октября 24 1707 г.

№ 72

Милостивый мой благодетель Гаврило Иванович, здравие ваше да хранит господь благополучно.

Прешедших месяцев просил я милости у царского величества чрез писмо, посланое к вашему превосходительству о разных долгах и имянно о трех тысячах, выданных мне из ратуши, а тысячу из болшие казны на выручку покойника сына Александра и на оное мое прошение от вашего превозходительства ответственания не получив я при таких моих бедствиях не в малых волнуяся печалех, а ныне наипаче, потому что ту доимку правит на мне правительствующий сенат безсрочно и ныне долги на мне спрашивают же кому я должен, а мне воистинну платит нечим за скудностью и розбродом крестьянским вотчин моих.

Умилился, мой милостивый, донеси нашему милостивейшему государю, дабы его царское величество не указал ту на мне доимку правит, а долги указал бы по-прежнему нашему прошению из своей государской казны оплатит, хотя бы в малую мою отраду и желаю твоего милостиваго о сем получить респонса.

Вашего превозходительства докучник престарелый

АРЧИЛ.
1711 г.

№ 73

Милостивый наш благодетель господин граф Гаврило Иванович! здоровье ваше да сохранит Господь многолетно.

Милостивое твое к нам в печалех и бедствах наших сострадание и приятство познали мы от прежних твоих к нам многих благодеяний, а ныне наипаче от писем твоих утешительных к нам; а к Пиперу и Реиншилду повелительных которыми по указу царского величества изволил стараться со взятии тела сына моего Александра чрез корреспонденцию оных шведских в Москве будущих генералов и мы беззаступные за сие должны вашему превозводителству всегда благодарным сердцем служить. И паки просим Господа ради единого начатое извол, мой государь, в совершенство привести твоим милостивым посредством.

Р. С. Сын наш тамо в жестоком аресте живучи велми одолжал и как московским людям, так и по векселям всего долгу на нас болше 16.000 рублей и того долгу правят на нас безвременно. Прошу мой милостивой твоего добраго совета и помощи, а наипаче о милостивом заступлении к царскому величеству еже бы повелел милостивейший государь из казны за нас тот долг оплатить или крестьяном помотил до нашей исправы, потому что с крестьян нам взять ныне нечего за многими на них государевыми разными доимками; а наипаче ныне все разное разбегались от разных сыщиков, которые присланы для высылки крестьян, которые нам по приписным книгам отданы и ежели обороны нам от высылчиков не будет, то ни десятая часть крестьян у нас не останетца, потому что такие мужики издавна до нас за многие годы переселились в государевы волости дворцовые а не при нас и мы просим твоего заступления чрез советное письмо господину Петру Матфеевичю или изволь, мой государь, послать к нему имянной государев указ, чтоб брать он у нас таких крестьян не велел.

Вашего превозходительства должник
Имеретинский Арчил челом бью.

из Москвы 6 июля 1711

При сем послал я к вашей милости роспись долгам, которые не отпущены из приказа болшие казны занято, а рублей из ратуши занято

3.000 рублей у иноземки Анны Елизаревы 1160 рублей, у Дмитрия Сомлева 2480 рублей, суконного ряду у Дементья Афанасьева 1650 рублей.

У иноземца Карлуса Гутфеля взято в Стекхолме на расплату ево тамошним должником при отпуске ево из Текхолмы 1664 ценою ефимок по 26 алтын по А (!) денги.

Да у иноземца ж Кромберт капелю в Стекхолной взято в тож число 3343 с полуефимком тою ж ценою.

№ 74

Петру I

Державнейший царь государь к нам подданным Вашим особно в милости превосходительнейший чрез настоящее мое письмо Вашему высокодержавнейшему монаршеству доношу подданный Ваш:

Нынешняго, государь, июля в 12 день от брата моего Иверския земли наместника Леонтия дошло ко мне письмо, в котором объявлено варварское на наши места нападение и церковей разорение сотых и о том прошение подробну писано к Вам великому государю, а отписка подана в Казанском дворце.

Еще он же Леонтий прислал ко мне письмо от шаха персидскаго к нему Леонтию с повелением еже-бы ему отписать ко мне от него шаха написаное и я с того его писма послал к вашему царскому величеству с сим писмом перевод. Против котораго писма ответ мне подданному твоему писать ли, и какой о сем как Ваше монаршеское повеление состоится.

Вашего царского величества подданный, покорнейший Арчил Имеретинский

Из Москвы лета господня 1708,
месяца июлиа в 19 день

№ 75

Петру I

Державнейший царь, государь милостивейший!

С Нарвинского, государь, походу был при сыне моем царевиче Александре при Стекхолме в полону лет з десять боярин мой Зал Гаракановичь и по Вашему царскому величества призрению он и чрез прошение сына моего от других неволников за кровную ево службу при нем свобожен на пароль; а ныне, государь, посылаю я ево да с ним четыре кречета к племяннику своему царевичу к Вахтан(г)у

Левонovichю да при нем с людьми ево с переводчиком с Потапом Матвеевым с Петром Поликарповым, да з женою ево Федоровою Анною Петровою дочерью, з дочерью ево девкою Авдотьей с Васильем Макаровым с Иваном Потаповым и с Макаром Макаровым, да игумену Доментия 32 человеки челядници с Москвы в Грузинскую землю, дабы ему и оттуду возвращену також как и отсюду.

Всемилоштивейший государь, прошу Вашего величества... из государственного посольского приказа о проезде ево с людьми ево дать свою государеву грамоту проезжую и судно с прогоны а из Астарахани об отпуске их в грузинскую землю и из Грузинские земли назад послать свою государеву грамоту к ближнему боярину и губернатору Петру Матвеевичю Опраксину.

ВАШЕГО ВЕЛИЧЕСТВА ПОДДАННЫЙ ЦАРЬ АРЧИЛ ИМЕРЕТИНСКИЙ
преля 6, 1711 году

№ 76

სათხოვარი მეფისა არჩილისა პეტრე პირველისადმი

ყოვლად მოწყალეო მეფევ ხელმწიფევ!

თვით უკანასკნელსა ამას ჩემსა აღმოფშვინვნასა თქვენს მეფობის დიდებულებასა ყოვლად მორჩილებით ხელდებული თქვენი მოვასხენებ:

ვითარცა ერთი მოსლვა შობილებითა შერომა არს კაცთა, ეგრეთვე ერთი განსლვა სიკვდილურთა არს განსვენება, ვინა სიკუდილი უკვე კაცისა განსვენება არს. ხოლო საყოველთაოსა ამას დიდებულსა უღელსა ცოდვათათვის ძეთა მათ ადამისთა შევუდღევ მეცა ცხოვრებითა ამით ჩემითგან მრავალ წელთათა. და ვითარნი შეჭირვებათა, განსაცდელთა და ჭირთა ტვირთნი მივიღე, მათი არა არს გამოთქემა გამოწლილვით. ესე ყოველნივე დავითმინე მოწმობითა ყოველთა მხილველისა თვალთა ხრისტესა ჩემისათა, რომლისა მიმართ ცხოველ ვარ და მოკვდები ჭეშმარიტისა მას შინა აღმოსავლეთისა მართლმადიდებელისა ხრისტიანეთა სარწმუნოებისათვის, რომლისათვისცა არა თუ ოდენ ქვეყნიერსა სამეფოსა ჩემსა, საყვარელსა მამულსა ჩემსა, ტბილთა შვილთა ჩემთა, ყოველთავე ქონებათა და დიდებათა, არამედ მრავალგზის თვით ცხოვრებასაცა ჩემსა ჭირთა შინა შთავარდნითა განვეშორებოდი და აწ, აპა, ესერა შეისმინა უფალმან ხმა ტირილისა ჩემისა და წარმიყვანა ამოსა ამის სოფლისაგან სანუგეშინის-ცემოსა განსვენებისა ნავთსაყუდელისა, ცხოვრებასა ჩემსა თვისითა მით მისითა ჩემდა მომართ სახიერებითა.

ხოლო ვუწყვი, ვითარმედ სიკვდილი ცოდვილთა ბოროტ არს, არამედ ესეცა მსმენიეს, რამეთუ არა არს ცოდვა უძლეველი კაცთმოყვარემსა მის ღმრთისაგან, უკეთუ შეინანოს ვინმე წმიდად. და მესმა კვალად მისგანვე, რომელსა რწმენეს მისი; უკეთუ მოკვდეს, ცხოველ იყოს, რომლისთვისცა მაქვს სასოება მტკიცე სახიერისა ღმრთისა ჩემისა, ვითარმედ სარწმუნოება ჩემი, რომელიცა მაქვს, მისი საქმისა წილ შერაცხოს და არ დამაგდოს მე უსასოდ ცხოვრებისა ჩემისაგან. შემდგომად: აწ აღესრულების სრბოლა ჭირვეულისა ცხოვრებისა ჩემისა კეთილად,

ხრისტიანეთა სასოებითა, აღმოვეტყევებ სულსა ჩემსა და ვიტყვი შემოქმედის მიმართ ჩემისა: „მამაო ჩემო! ხელთა შენთა შევედრებ სულსა ჩემსა!“, და შენისა მალლისა ხელმწიფობისა დიდებულებისა მომართ, ვითარცა თვით თქვენისა მეფობისა მალლისა წინაშე მდგომარე და მხილველი, ცრემლით გილადადებ: „მამაო ჩემო, უფალო ჩემო, მეფეო ჩემო, მოწყალეო! ხელთა შენთა შევედრებ სახლსა ჩემსა და მას შინა მყოფთა და შენდა დამიტევებდის გლახანი, ობოლნი და მწირნი. შენ ეყავ შემწედ, ნუ დაუტევებ მათ ჟამსა სიბერისასა, რაჟამს მოაკლდესთ ძაღნი მათნი. ხოლო ჩემსა ამას უკანასკნელსა ვედრებასა მოყავ ყური შენი!

უკეთუ რომელითამე მიუხვდომლობითა ჩემითა თქვენისა ხელმწიფებისა დიდებულებასა ვცოდე, ვითხოვ შენდობასა ცრემლითა! და შთომილსა შემდგომად ჩემსა — საბრალოსა ასულსა ცარევენას და სხვათა თქვენისა მალლისა ხელმწიფებისა თვალითა სათნო-იზინე, პატრონო, მოწყალოდ მიხედვად, არა მათთვის, ცრემლთა ჩემთა და უცხოობისათვის, არამედ თვით ხრისტიანთათვის, რომელმან დასთხივა ჩვენ ყოველთათვის უსასყიდლო სისწლი თვისი და საუკუნოდ მპყრობელობისა სამეფოსა თქვენისა სახელისათვის; ვითარმედ ალექსანდრეცა იგი, მაკედონელი მეფე, არა ეგრეთ არს ქებულ სიმხნისა და ძლიერებისათვის, ვითარცა მოწყალებისა და ცოდვისათვის ტყვეთა და ხელ-ქვეშეთთა მისთა; იდიდა ყოველსა ქვეყანასა. არა ეგოდენად დარჩოსნი ძლევისათვის, რაოდენცა დედასა, ცოლსა და შვილთა ზედა მისთა ჩვენებულმან მის მიერ მოწყალებითა ბრწყინვალედ გამოიჩინა იგი.

და აწ მე, ხელ-ქვეშეთი თქვენი, ამას გვედრები: მამული და სხვა რომელნიცა თქვენისა ხელმწიფობისა წყალობითა, ჩვენ, ხელ-ქვეშეთსა თქვენსა, წყალობად გვპირდებოდეს, ნუ უბრძანებ, პატრონო, ჩვენს უკან გამორთმევას ჩვენის ქალისასა და ჩვენისა მემკვიდრისასა, რომელსაც ღმერთმან მისცეს და ბრძანოს თქვენმა დიდებულებამან დამტკიცებამ მისი ჩემისა ქალისათვის მიუღებულად, რომ ის სასლელუითურთ თვისით, თქვენთავ-შეუწყინარად, შეუპირვებულად გამოიზარდოს.

იმედულ-მსასოებელნი ვიყვნით ჩვენ განახლებად ძეთა ჩვენთაგან შთამომავლობით-მემკვიდრეობისა ჩვენ პანკრატოვანთა, რომელიცა მრავალთა ასთა წელთა წარსლველთა ჰფლობდა ტიბერიასა და სხვათა ქვეყანათა, არამედ ღმერთმან ესედ არა ჰყო. აწ ესე შემდგომად ჩემსა რჩების ასული ჩვენი, შორის რომლისაცა ძლიერ არს ღმერთი, განახლებად ჩამომავლობისა ჩვენისა, უკეთუ მოიპოვნოს პირი შესაფერი შეუღლებისა სჭულიერად, ორისავე მხრით კეთილის-შეხმობითა. ამისათვის ვვედრები თქვენსა მამობრივსა მოწყალებას, რათა დაიკვთო ესე, ვინათგან შორის ეგეთისა პირისაგან განახლება ჩამომავლობისა აზიასა და ევროპისას პალატთა შინა არს ჩვეულთა. ესევითარითა სახითა პირველ ამის ორგზის ნათესავენი ჩვენნი განახლებულან დაპირვებით უკვე არა, გარნა ჩვეულებისა ძლით, არამედ სჭულისაცა გარდაცვალება იქმნების.

იმერეთისა ქვეყანასა და სხვათა ჩვენსა ქვეყანასა, რომელნიცა აწ თქვენისა მალლისა ხელმწიფობისა სახელითა და შეწყენითა თქვენისა დიდებულებისა თანა არიან, მათ ყოველთა საეკლესიოთა და საქვეყნოსა შეპირვებათა შინა თქვენისა მეფობისა მარჯვენისა შეწევნად განაპყრობითა ნუ დაადებ. ვინათგან მათ ხელთა შინა შენთა წილხვდომად, ვითარცა მრავალ-ჟამითგან, პირველ თქვენსა ხელმწიფეთაგან, ეგრეთვე თქვენისა შეწევნისა ქუეშე ვიდრე აქამდე და ამას იქითაც

ყოფნა სურჩიანთ აზნაურთა და ყოველთა მოწესეთა კაცთა, რომელნიცა ჩუენთანა მოსკოვში იმყოფებოდნენ, გინა შემდგომ ჩუენისა ჩუენის ქუეყანიდამ მოვიდნენ ჩუენთანა, რათა ბრძანოს თქვენმან დიდებულებამ მისლუჲი და წარსლუჲი დაუბრკოლებლად და პირველ-დებულად იმყოფებოდნენ იგინი სახლსა ჩვენსა, როგორც ჩვენს წინ იმყოფებოდნენ მისვე წესითა შეუცვალებულად.

და ამას უკანასკნელსა ვედრებსა შევრდომითა თქვენისა მეფობის დიდებულებისა ფერხთა და ქვეშე ცრემლითა ვითხოვ მოწმობითა, რომელსა ნებავე დასჯად ჩვენ ყოველთა, შემოქმედისა ღმრთისათა და მოვიციტხავ, თუ შევემთხვევი გონებითა შენისა მეფობისა. დიდებულებისა მარჯვენასა კეთილისა სასოებითა, რომე მივიღებ თხოვასა ამას ჩემსა და ამითა განვალ მაშისა მიმართ ჩემის და ღმრთისა ჩემისა, ამინ.*

№ 77

ანდერძი მეფისა არჩილისა, ვახტანგის შვილისა**

ესევითარი სასოება ეუწყებდით მკითხველთა ამისთა, ყოველთა ღმრთისა მადიდებელთა მართლმორწმუნეთა მცხოვრებთა კაცთა, რათა აღსრულებულთა ცხოვრებისაგან თვისისა მისცენ ხელთა მიცვალბულთასა საფლავსა შინა, ვინაცა ინებოს, კეთილი საქმე არს. ყოვლისა შემოქმედო და ყოვლისა მპყრობელო, მამაო ღმერთო, ძეო ღმერთო, სამთა თვითებათა ერთსა ღმრთაებასა, არსებასა და ბუნებასა შინა ყოველთა ნივთთაგან დაუცხრომელად დიდებულო!

შენითა მით სათნო-ჩენითა და პირველივე უწყებითა, უზომოსა შენთა მოწყალებათა, შენისა სიბრძნისა ცხოვრებად ხილვეულსა ამას ქვეყანასა შექმნულ

* იქვე დატულია პასუხი არჩილის სათხოვარზე:

„ჩლოგ (1713)-სა წელსა, მაისის იე (15)-სა, დიდმან ხელმწიფე მეფემ და დიდმან მთავარმან პეტრე ალექსის შვილმან, ყოვლისა დიდისა, მცირისა და თეთრისა რუსეთისა თვითმპყრობელმან, მოისმინა მეფის არჩილის, ვახტანგის შვილისა, თხოვისა წერილი და ბრძანა სახელ-დებით თავის დიდის ხელმწიფობის დიდებულებისა ბრძანება, რომე: მამულისა, სახლისა და ესრეთვე სხვათაცა ყოველთა ნივთთა ქონებად ასულისა მისისა და მემკვიდრეთა მისთა, უკეთუ გამოვიდნენ — მიუღებულად და დედოფალი და ბატონის შვილის ცოლი გამოიზარდნენ იმავ მამულისაგან და, თუ ასულმან მისმან ცარვენამ მემცხედრაბა ინებითა ნებითა თვისითა ვისიმე, ამას ზედა იყოს ნება მისისა ხელმწიფისა დიდებულებისადმი მოხსენებითა. აზნაური და ყოველნი მოწესენი მათნი კაცნი, რომელნიცა დღეს მოსკოვს, სახლსა შინა მათსა არიან, და აწ მათის ქვეყნით მოვიდნენ ვინმე, იყოს ნება მათსა სახლსა მოსლვისა და წარსლვისაცა დაუბრკოლებულად პირველ-დებულად და ამისთვის, რომელსაცა გუბერნიამო იყოს მეფისა არჩილისა ვახტანგის შვილის მამული, წარიგზავნოს მის დიდისა ხელმწიფისა ბრძანება საბრძანებელით გამო მმართველისა სენატისა.

ბრძანება ხელჩართული არის მმართველთა სენატორთა მიერ:

კნიაზ იაკობ დოლოროუკოვი.

გრაფ ივან ალექსიევიჩი პუშკინი-მუსინი.

კნიაზ გრიგორი ივანოვიჩი ვოლკონსკი (ამანვე კნიაზ მიხაელ ვლადიმეროვიჩისა დილოროუკოვის მაგიერ ჩართო ხელი)". H1103, ფ79

** H1103, ფ. 80

და დაბადებულ ვარ მე, მონა შენი, რათა შენს — უფლისა ღმრთისა ჩემისა—წმიდასა სახელსა ვადიდებდე, ვუგალობდე და ვმადლობდე მოწყალებისათვის შენისა და ყოვლითავე კეთილისა მოქმედებითა ვილწვიდე საუკუნოსა მას სასაუფეველსა შენსა. ხოლო მე ვიცოდე, ჰო, საღმრთოო სამებაო, წინაშე შენსა განვარიხსე სახიერება შენი, გარდავხედ მცნებასა შენსა ცხოვრებასა ამას ჩემსა. ხატება შენი და მსგავსება, ჩემ შორის მყოფი, ვითარცა შენის, ვერა დავიცევე და შევამწყვლე სული ჩემი და ხორცი ყოვლითავე ცოდვითა და სიმყრალითა ამის ჩემისა საქმისათა განრისხებად აღვძარ შენ. არამედ, უკეთუ, უფალო ჩემო, სოფლისა ამის ამაოებაჲმან მიმტაცა, მაშინცა არასადა უარგყავ შენ, შემოქმედო ჩემო, ცხოვრებაო, სიხარულო და სასოებაო ჩემო! და აწ აღსასრულსა ცხოვრებასა ჩემისასა, გარდაკეთილსა მეუფებისა მის შენისა მიერ, მივიღებ. განეშორების სული ჩემი თიხისა ამის ხორცისა ჩემისაგან საუკუნოდ უკვდავებად და კვალად ხორცითავე ამით თანამღებ ვართ აღდგომად ბრძანებითა შენითა, ოდესცა სათნო-იჩინო მითვე ჭეშმარიტისა ამის ჩვენისა კეთილ-სარწმუნოებითა.

შენისა წყალობითა და მოწყალებითა უკეთუშეცა ცხოვრებისა ჩვენისათვის და მსასოებელ ვარ, არამედ ცოდვათა ჩემთათვის, რომელნიცა ვჰყავ წინააღმდეგომ შენდა, ფრიად ვძრწვი, რათა არა მივიღო სატანჯველი ბოროტი. ამისთვის გვედრები შენ, უკვდავსა მეუფესა და ღმერთსა ჩემსა, უკანასკნელისა ჩემისა ამის აღმოფშვინვითა.

შემინდევ ყოველნივე შეცოდებანი ჩემნი, რაოდენიცა სიყრმითგან ვიდრე აქამომდე ვცოდე, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩემი და შემოქმედი ჩემი. მრწამ უკვე შენი და მაქვს სასოება შენი, რომლითაცა უწყვი სასჯელითა, მაცხოვრე მე, უფალო, და ღირს მყავ სასუფეველსა შენსა ზეცათასა, რამეთუ ჩვენთვის კაც იქმენ, იესო ქრისტევე, და ვნებისა ჩვენისა და ცოდვათაგან განგვათავისუფლე. მადლითა შენითა [...] და გამომზარდე მართლმადიდებელთა ხრისტიანეთა სარწმუნოებასა ზედა და სიბრძნესა წმიდისა მას მხოლოდსა აღმოსავლეთისა ეკლესიისასა. ხოლო წმიდისა მის სიმბოლისაებრ ყოველსავე აღვიარებ და მიჰპირე და მრწმენის. გარნა ხრისტიანობა ესე ჩემი შემეცვალე, უფალო, საქმეთა წილ. გვედრები ამისთვის ყოველთა წმიდათა ეკლესიათა და ყოველთა მართლმადიდებელთა ხრისტიანეთა და შთომილთა ქვეყანასა ამას: თუ ვინმე შეგაჰირვეთ რითმე — სიტყვითა, გინა საქმითა, ლოცვასა, შენდობასა და განხსნასა ვასხთა ჩემთასა ყოველთავე გულითა ვითხოვ და სარწმუნოებითა ამით ჩემითა, წინამდგომობითა მარადის ქალწულისა ღმრთის-მშობელისა მარიაამისითა და ყოველთა წმიდათა ღმრთისათა და ეკლესიათა ვედრებითა ვალ, შენდამო ღმერთო, შეუორგულელებლად მითვე განშორებითა სულისა ხორცთაგან.

ამიერითგან ხელთა შინა შენთა, უფალო, მიიღე სული ჩემი და წყალობითა შენითა საუკუნოსა მას ღიღსა სანატრებელსა განმაცხოველე მე უკუნისამდე, ამინ!

№ 78

Милостивый наш благодетель, государь Гаврило Ивановичь.

Не без великия тут сердечная крайнюю нам за грехи от вышняго посланую печаль доношу в 16 апреля господь Бог друга вашего, а

моего сожителя от суетного и многобедственного жития взять благоволил, котораго создателя нашего имя буди от всех благословенно во веки при сем бедные вдовицы и сироты ваши древнюю милость просим не дайте нас пришелцов беспомочных в обиду и от всяких нападков и нужд милостивно охранять, не оставте вашим царскому величеству о нас заступлением за что и сами со своими от вышняго воспримите подобное воздаяние о сем просят.

Остаюс в слезах бедная вдовица

Иверская царица Екатерина с сиротами

№79

არჩილ ბატონიშვილის წერილი
ბჟალცის კურფიურსტ — იოანნე ვილელმთან

(ძიუნხენის სახელმწიფო არხივი)

უბრწყინვალესო!

ჩვენთან მოვიდა ისრაელ ორი, ჩამომავალი ბროშის თავადთა ოჯახისა და გვამცნო, რომ თქვენმა უბრწყინვალესობამ პატივი გვცა ჩვენ წერილებით იმ დროს, როცა ჩვენ საქართველოში ვიმყოფებოდით და ოსმალებთან ომი გვქონდა. ომიანობის მიზეზით ნახსენებ წერილებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ჩვენ მაინც ვაფასებთ იმ პატივს, რომელიც ჩვენ ამგვარად გვხვდა, და მზად ვართ ათას გვარი სამსახურით მაგიერი გადავიხადოთ. — უთუოთ თქვენმა უბრწყინვალესობამ უწყის, რომ მას შემდეგ, რაც ურწმუნოთ მოსპეს ან დაიძინავეს მცირე აზიის მეფენი და მთავარნი, რომელთა რიცხვი საბერძნეთში, სომხეთში და სირიაში ოცზე მეტი იყო, დარჩა მარტო ერთი დამოუკიდებელი მთავარი, რომელიც ჩვენ პატარა საქართველოში მეფობდა. ვებრძოდით ქრისტეს სარწმუნოების ორ მძლავრ მტერს — ოსმალებსა და სპარსელებს, და ვცდილობდით ამდენი ხანი შეგვეჩერებინა მათი ქრისტიანობისადმი თანდაყოლილი მრისხანება; მაგრამ რადგანაც მარტონი ვიყავით, ჩვენ ვერ შევძელით მათის დიდის ძლიერების წინააღმდეგობის განგრძობა და იძულებული შევიქენით, მოსკოვის უბრწყინვალესი მეფისათვის მიგვემართა და მისგან დახმარება გვეთხოვა, რათა ამ დახმარებით შევიძლოთ ჩვენი ქვეყნების დაბრუნება და დაცემულ ქრისტიანობისათვის შემწეობის აღმოჩენა. მაგრამ ჩვენი აქ მოსკლისთანავე უბრწყინვალესმა მეფემ შევდლების წინააღმდეგ დაიწყო ომი, რომლის დასაწყისშივე შვილი ჩვენი, ბატონიშვილი ალექსანდრე, უბრწყინვალესი მეფის ჯარის არტლერიის გენერალი, ტყვევნილ იქმნა შევდლთან და ეხლაც ღოღამიაშია ტყვედ. ამ უბედურებამ ერთობ შეგვაწუხა, მაგრამ ამაზე უფრო ის გარემოება გვაწუხებს, რომ მილიონები ქრისტიანთა კვნესიან უსჯულოთა უღელ ქვეშ, რაც ჩვენი თვალთ გვინახავს, და ურწმუნონი კი იქცევიან ისე, ვით მგელი ცხვრის ფარაში; ისინი ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა სულნი, აღბეჭდილნი ქრისტიანობრივის ხასიათით, გადაიყოლიონ წყეულ მაჰმადიანობისაკენ. — ჩვენ ენახეთ თქვენი უბრწყინვალესობის წერილები უბრწყინვა-

ლესს მეფესთან. რომელშიაც თქვენი უბრწყინვალესობა იჩენს თავის სულს და ისრაელ ორის საქმის დანმარებისათვის მზად-ყოფნას, და ჩვენ ძრიელ გავიზარეთ და უაღრესი მადლობა ვუძღვენი თქვენს უბრწყინვალესობას მათი მზად-ყოფნისათვის და ქრისტეს სარწმუნოების დაცვის სურვილისათვის. ბ. ისრაელ ორის აქ მოსვლისთანავე და როგორც თქვენი უბრწყინვალესობის, ისე რომის უავგუსტოესის იმპერატორის წერილების მოტანისთანავე უბრწყინვალესი მეფე დასთანხმდა მის თხოვნას და დაუყოვნებლივ შეუდგა 350 გემის და სხვა ომისათვის საჭირო მასალის დამზადების ზრუნვას; გარდა ამისა ერთი მოხელეთაგანი იმ ქვეყნებისაკენ გაგზავნა დასაზვერავად, თუ რა ხდება ეხლა იმ ადგილებში, ან რა შეიძლება მოხდეს თავის დროზე. დაბრუნდა კიდევ გაგზავნილი მას შემდეგ, რაც ყველაფერი ენახა, მაგრამ რადგანაც ომი შევდებთან ჯერაც არ შეწყვეტილა და არც მალე მშვიდობიანობის ჩამოგდების იმედი გვინათებს, გარემოების მიხედვით განვსაჯეთ, რომ ნახსენები ბ. ისრაელ ორი, ამ საქმეში ჩვენი მესაიდუმლე და წრფელი მეგობარი, თქვენ უბრწყინვალესობასთან დაბრუნდეს. ამან ჩვენ კარგად გაგვაცნო თქვენი უბრწყინვალესობის სული, სიკეთე და სულგრძელობა უსწორო, აგრეთვე თქვენი მეგობრობა და ხელ-შეკრულობანი ევროპის უპირველეს მთავრებთან; ამიტომაც ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენი უბრწყინვალესობა დაგვეხმარება ამ საქმეში, როგორც თვითონ, ისე მისი მოკავშირე მთავრებიც, რაც საუკუნოდ სადიდებლად დარჩება. ბ. ისრაელმა, რომელიც მთელი თავისი ღონით ამ საქმეს ემსახურება და წინ-სწევს, ძალიან კარგად იცის, თუ სად ან როდის რა არის საჭირო ამ მიზნისათვის. — გარდა ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენს უბრწყინვალესობას შვეციის მეფესთან მეგობრობა აქვს; ამიტომაც მდაბლად გთხოვთ, გვიჩვენოთ ჩვენ ჩვენი შვილის ტყვეობიდან დახსნის რომელიმე საშუალება, სასყიდელი იქნება ეს თუ სხვა რამე. — ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ისრაელ ორი, რომელსაც ჩვენ დიდად ვენდობით, ყოველს მოწიწებით სიტყვიერად აუხსნის თქვენს უბრწყინვალესობას ჩვენს განზრახვებს და თქვენი უბრწყინვალესობა თავისი ნდობის ღირსს ჰყოფს მას და თავის თავს ბეჯითად დარწმუნებს, რომ ჩვენ მთელის გულით თქვენი უბრწყინვალესობის წრფელი მეგობარი და დავალებული მოსამსახურე ვართ.

აჩილ მეფე საპართელონსა
1704 წ. იანვარი.

№80

აჩილ ბატონიშვილის წერილი რომის კეისარ ლეოპოლდთან

(ვენის სახელმწიფო არხივი)

უავგუსტოესო!

თქვენმა დიდებულებამ უთუოდ უწყის, რომ მას შემდეგ, რაც საბერძნეთის, სომხეთის და სირიის სამეფონი ურწმუნოთა ხელში ჩავარდა, არ დარჩენილა მცირე აზიაში არც ერთი დამოუკიდებელი სამეფო და მთავარი, გარდა ჩვენი სახლის მთავრებისა. ჩვენ საპართელოს პატრონნი ვართ და ვებრძოდით ქრი-

სტეს სარწმუნოებისათვის ოსძალეებსა და სპარსელებს ჩვენი წინაპრები, რომელთაც არა ჰქონდათ დამოკიდებულება ევროპის ძეგლებთან და მთავრებთან. ამდენი ხნის განმავლობაში ვერ გაუმავრდნენ ძლიერ მტრებს და იძულებული შეიქმნენ, დაეთმოთ ერთი ნაწილი ჩვენი ქვეყნისა ოსძალეთათვის და მეორე — სპარსეთათვის. ეს უკანასკნელი, გამხეცებულნი ქრისტიანებზე, ოცდა-ხუთი წელიწადია სხვადასხვა საშუალებას ხმარობენ, რათა აიხულონ ქრისტიანნი თავის სარწმუნოების მიღებად. ამ მიზეზების გამო, აღძრულნი სიბრალულითა და ცეცხლ-მოკიდებული ქრისტეს სარწმუნოების სიყვარულით, ოთხი წელი ვეომებოდით სპარსელებს გარეშეთა დაუნმარებლად. ამ ომის დროს, მას შემდეგ, რაც მთავარ სარდალთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა, ჩვენ დავინახეთ, რომ სისრულეში ვერაფერს მოვიყვანთ, და გავმეზავრეთ ჩვენ სამეფო იმერეთისაკენ, ჩვენი ძმები კი ისპაჰანს — სპარსეთში გაგზავნეს. — ამის შემდეგ ჩვენ დავიწყეთ ომი ოსძალთა წინააღმდეგ; სამი წლის განმავლობაში ბედი ჩვენსკენ იყო და ეს ხალხი ძირს დაესციოთ ჩვენს სამფლობელოში. მაგრამ მას შემდეგ, რაც თქვენ დიდებულებასა და ოსძალთა სულთანს შუა ზავი ჩამოვარდა, იძულებული შევიქენით, რადგანაც ჩვენ წინააღმდეგობისათვის სუსტნი ვიყავით, მოსკოვის უბრწყინვალესი მეფისათვის მიგვემართა და გვეთხოვა, რომ დაგვხმარებოდა ჭარით და დაებრუნებინა ჩვენთვის ძველი ბედნიერება. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ატყდა ომი შვედლებთან და წაგვართვა ეს ახლო იმედოვანი. როცა ჩვენ ვგრე დასვედიანებული და დადარდიანებული ვიყავით, თუ ტახტის დაკარგვით, თუ ძმების ურწმუნოთა შორის ტყვეობით, მაშინ გულს ახალი ჭრილობა მიემატა: ჩვენი შვილი, ბატონიშვილი ალექსანდრე, უბრწყინვალესი მეფის ჭარის არტილერიის გენერალი, სამი წლის წინად შვედლებმა დაატყვევეს და ეხლაც ტყვეობაშია. — ამ გარემოებათა მიუხედავად ჩვენ, არ ვკარგავთ იმედს თავისუფლებისას და ძველის ბედნიერებისას. ისრაელ ორი, ბროშის თავადთა ჩამომავალი, მოვიდა მოსკოვში და თან მოიტანა თქვენი დიდებულობის და უბრწყინვალესი პალატინის ელექტორის წერილები, აგრეთვე სომეხ პირველ-კაცთა წერილები უბრწყინვალეს მეფესთან. როგორც მომტანი, ისე მოტანილიც უბრწყინვალესმა მეფემ კეთილად მიიღო და დაჰპირდა ამ საქმეში თავის დაუყოვნებლივ დახმარებას. ერთი თავის მოხელეთაგანი ისრაელის ქვეყნებისაკენ გაგზავნა იმის გამოსაკვლევად, თუ რა ამბები ხდებიან იქ; გაგზავნილი დაბრუნდა კიდელ წერილებით მინდობილობის ენსარულების შემდეგ, და რომ უბრწყინვალესი მეფე ომში არ იყოს ჩარეული, თუ არა უეჭველად ჩვენს ქვეყნებში იქნებოდეს. — რამდენად მადლობელი ვართ თქვენი დიდებულობისა, რომ იგი მზად არის ზრუნვა და დახმარება აღმოუჩინოს ამ საბრალო საქრისტიანოს. რადგანაც მოსკოვლებსა და შვედლებს ეხლაც ომი აქვთ და ზავის იმედი ახლო არ გვინათებს, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ზემოდ ნახსენები ისრაელ ორი, ამ საქმეში ჩვენი მესაიდუმლე. დაბრუნდეს თქვენს დიდებულებასთან და უმდაბლესად სთხოვოს მას, რათა მან, როგორც მის მაღალ-გონიერებას შეეფერება, ინებოს ამ საბრალო ქრისტიანობის საშველი სახსარი, ელჩების გაგზავნა იქნება ეს თუ სხვა რამე. ისრაელ ორი მოწინებით მოახსენებს თქვენს დიდებულებას ყველა ჩვენ განზრახვებს. ჩვენ ვიცით თქვენი დიდებულების ქრისტეს კანონისადმი სიყვარული და ვთხოვთ განმეორებით, აღმოუჩინოს დახმარება ჩვენს საქრისტიანოს, ამდენი ხანი ურწმუნოთა უღელ-ქვეშ მცნებარა. ჩვენ

იმედი გვაქვს, რომ თქვენი დიდებულება არ უკუაგდებს ჩვენს მეგობრობას. ჩვენი უბედურების მიზეზი იმდენად ჩვენ არა ვართ, რამდენადაც ჩვენი წინაპრები: ისინი რომ თქვენი დიდებულების მოკავშირენი ყოფილიყვნენ. ურწმუნონი ვგრე ვერ დასჩაგრავენენ მათ. რაც წინელ უყურადღებოდ იყო დატოვებული, ეხლა უნდა გაკეთდეს მომავლისათვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ისრაელ ორი მოახსენებს თქვენს დიდებულებას ყველაფერს, რაც ჩვენ მას დავაბარეთ. როგორც ჩვენი შვილის შესახებ, ისე სხვა საქმეების შესახებაც. ამიტომ უმდაბლესად ვთხოვთ თქვენს დიდებულებას, თავის ნდობის ღირსი ჰყოს ეგ ისრაელ ორი და სწამდეს, რომ ჩვენ ვართ და სამუდამოდ დავრჩებით თქვენი უაგუსტოესი დიდებულების უმორჩილესი მონა.

ARSCHIL PRINCE DE GEORGIE

1704 წ. იანვარი.

წერილები №79 და №80 გადმობეჭდილია ჟურნალიდან „მოამბე“, 1899, II.

№81

“ქ. სიყვარულით მოგიკითხავ მეფე არჩილ პატრი გიორგის, დავით ჭეჭუსტეს, მერმე ველი შენისა სიკეთისაგან, — რომელიც სიტყვები წმინდას აფენდი ინოკენტი მეთორმეტეს დიდს პაპთან დავაბარეთ, — აღრე მისწეროთ მის კარზე და მისი პასუხი კიდევ შენვე ამ გზით შეგვატყობინე”.

არჩილ•

* გურამ შარაძე. ბელნიერებისა და სათნოების საუნჯე. თბ., 1984, გვ. 437.

არჩილ ბაგრატიონი, როგორც საზოგადო მოღვაწე, ეროვნული კულტურის დიდი ქომეგი, პოეტი და ტრაგიკული ბედის მქონე პიროვნება, განსაკუთრებული სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდა თანამედროვე და შემდგომი თაობების ქართველ საზოგადოებაში. ამ პოპულარობის დასტურია ის უამრავი ხელნაწერი, რომლებმაც მისი ლექსები შემოგვინახა

არჩილის თხზულებების პუბლიკაცია ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაწყებულია. მისი პირველი გამომცემელი იყო პლატონ იოსელიანი, რომელმაც 1853 წელს გამოაქვეყნა „ცხოვრება მეფის თეიმურაზ პირველისა“ (ანუ „თეიმურაზისა და რუსთველის „გაბაასების“ მოზრდილი ნაწყვეტი). ეს გამოცემა შეიცავს მხოლოდ თეიმურაზის ცხოვრებას და რუსთველის პასუხები არ არის დაბეჭდილი. ძველთაგანვე ქართველნი დიდ შეფასებას აძლევენ თეიმურაზის ბიოგრაფიას. ძველში არსებითად მისი ცხოვრებაა აღწერილი და ამიტომაც იგი პლ. იოსელიანს გამოუყვია „გაბაასების“ საერთო ტექსტიდან და ეს ისტორიული ნაწილი დაუბეჭდავს.

„გაბაასების“ მეორე გამოცემა განხორციელდა 1888 წელს ქუთაისში. ამ გამოცემაში ტექსტი დაბეჭდილია სრულად და ერთვის ანბანთქება— „ასულასულა“. ტიტულზე ასეთი ზედწარწერაა: „არჩილიანი, ანუ მეფის თეიმურაზ პირველის ცხოვრება. ისტორიული პოემა და სხვა ლექსები, თქმული მეფის არჩილ მეორის მიერ, გამოცემული ლავრენტი მანიაძის-დიმილისაგან“. უძღვის წინასიტყვა, რომელიც ზღმომწერილია გამომცემლის მიერ. მასში ვითხულობთ: „პლ. იოსელიანის მიერ დაბეჭდილი „არჩილიანი“ ვერსად ვერ ვპოვეთ და ჩვენი გამოცემა დაიბეჭდა იმ დედნიდან, რომელიც ერთს პირს აქვს სოფელ დიმში და რომელიც, ასე გვგონია, თვით არჩილის ხელნაწერი უნდა იყოს, რადგან ბოლოში მისი ბეჭედი აზის. ამ წიგნის შინაარსის დაფასებას ჩვენ არ გამოვეუდგებით. წიგნი თავის თვისით უმკვერმეტყველესად დალადებს თავის ვითარებას. მხოლოდ ამას კი ვიტყვი, რომ წამკითხველი შიგ დიდს განძს იპოვის ქართულის ენის შესასწავლად, ძვირფასი სიტყვის მასალას და მასთანვე შესანიშნავს ეპოქის ისტორიულ ცნობებს.“

* არჩილ მეფის თხზულებათა ენა განეკუთვნება ე.წ. საშუალო ქართულს (XII-XVIII სს.). რომელიც ძველი სალიტერატურო ქართულისა და ცოცხალი მეტყველების სინკრეტიზმით იქმნებოდა. ამის გამო ერთიანი, უნიფიცირებული ნორმები არ არსებობდა. ეს ჩანს კიდევ არჩილის თხზულებებში (განსაკუთრებით წერილებში). რომლებშიც ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა დაწერილობით გვხვდება (ჩუენიჩუენი; ჯელმწიფუი/ხელმწიფუი...); ტექნიკური მიზეზების გამო არ მოხერხდა: 1. ვარიანტების დართვა. 2. მეოთხე სტრიქონის წინ „და“ კავშირის დატოვება, რადგან და კავშირი თავის დროზე კონსტრუქციული იყო, შემდგომ საუკუნეებში კი მხოლოდ დეკორატიული ფუნქცია პქონდა (ეს არ ეხება ხალხურ პოეზიას). თანაც იგი სალექსო სტრიქონს ერთი მარცვლით ზრდის. 3. ძველი გრაფემების გამოყენება ქართულ და რუსულ ტექსტებში (წერილებში).

ტექსტის ორთოგრაფიული თავისებურებები დაცულია საკუთარი და გეოგრაფიული სახელების გადმოცემისას პუნქტუაცია; თანამედროვე ნორმების მიხედვით არის გამართული.

ამის შემდეგ ფრაგმენტები გამოქვეყნდა „ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგიაში“ (ტ. II, 1928 წ.), რომელიც დასაბუთებლად მოამზადა ალ. ბარამიძემ. არჩილის თხზულებათა პირველი სრული მეცნიერული გამოცემა 1936-1937 წწ განახორციელეს ალ. ბარამიძემ და ნ. ბერძენიშვილმა. ეს იყო დიდი მოვლენა ქართული ეროვნული კულტურის მეცნიერული შესწავლის საქმეში. არჩილის შემოქმედების კვლევა ამიერიდან ახალ საფეხურზე იქნა აყვანილი.

არჩილის თხზულებათა მეცნიერული ტექსტის დამდგენთ დიდი შრომა გაუწევიათ; გამოუვლენიათ და შეუსწავლიათ არჩილის თხზულებათა შემცველი ხელნაწერები და მათ შორის შეურჩევიათ საუკეთესო ნუსხები, რომლებიც არჩილის სიცოცხლეში და მისი უშუალო მეთაველურებით იყო გადაწერილი. სწორედ ეს ხელნაწერები, რომლებიც ავტოგრაფული ნუსხების ტოლფასია, დაედო საფუძვლად 1936-1937 წლების გამოცემას. გამოცემა მეცნიერული ხასიათისაა და მას თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

1960 წელს „ჩვენ საუნჯეში“ (ტ. IV) დაიბეჭდა „გაბაასების“ ტექსტი შემოკლებით. ტექსტი პუბლიკაციისათვის მოამზადეს ა. გვახარიამ და ლ. მენაბდემ. ამ გამოცემაში გამოტოვებულია რუსთველის მე-16 პასუხი, რომელიც შეიცავს „ისტორიათა და აზმათა“ შემოკლებულ გალექსილ რედაქციას. შენიშვნებში რედაქტორები წერენ: „ტექსტი გადმობეჭდილია არჩილის თხზულებათა უკანასკნელი გამოცემიდან. იგი შეჯერებულ იქნა ავტოგრაფული მნიშვნელობის ხელნაწერთან (S N424), რომელიც ცნობილი მდივანმწიგნობრის გივი თუმანიშვილის მიერაა დამზადებული. ვიყენებთ სხვა ნუსხებსაც (H-2116, S2663)“. (გვ. 506). ამ გამოცემაში ზოგიერთი სტროფი არ არის შეტანილი (გამომცემლების მოსაზრებით მიჩნეულია ჩანართად). 1975 წელს „გაბაასების“ ტექსტი გამოქვეყნდა ქართული პოეზიის თხუთმეტტომეულის სერიაში (ტ. III). ტომი მოამზადა ს. ცაიშვილმა.¹

ამჟამად დღის წესრიგში კვლავ დადგა არჩილის თხზულებათა სრული, მეცნიერული ტექსტის ხელახალი გამოცემა. ამ საპატიო ამოცანის შესრულება შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ძველი ქართული მწერლობის განყოფილების თანამშრომლებმა ივ. ლოლაშვილმა, ლ. კეკელიძემ და ლ. ძოწენიძემ ვიკისრეთ.

ჩვენ მიერ დადგენილი ტექსტი ეყრდნობა 1937 წლის გამოცემას, ოღონდ მასში შეტანილი რიგი ცვლილება ტექსტოლოგიური ხასიათისაა, რაც გაპირობებულია ხელნაწერთა კრიტიკული შესწავლით. ჩვენ ვიყენებთ შემდეგ ხელნაწერებს:

A—S-424, გადაწერილია 1701-1705 წლებში მდივანმწიგნობარ გივი თუმანიშვილის მიერ. ეს ხელნაწერი „არჩილიანის“ ერთ-ერთ ხელნაწერ გამოცემად ითვლება.

B — ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების ხელნაწერი M-19. იგი გადაწერილია 1705 წელს არჩილის ხელმძღვანელობით დაეით თურქისტანიშვილის მიერ.

1. ჩვენ მიერ მომზადებული „არჩილიანის“ ტექსტი უკვე გამომცემლობაში იყო ჩაბარებული. როდესაც ქართული მწერლობის მე-6 ტომში გამოქვეყნდა (1989წ) არჩილის შემდეგი თხზულებები: „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, „საქართველოს ზნეობანი“, „სამიწურთონი“, „ლექსი ასნი ორმუხლნი“.

- C—H-338 — გადაწერილია XVIII საუკუნის შუა წლებში. ტექსტი ნაკლულია.
 D—S-2663 — გადაწერილია XVII საუკუნის გასულს თუ XVIII საუკუნის დასაწყისში (აღ. ბარამიძე მას თვლის ავტოგრაფული მნიშვნელობის ხელნაწერად).
 E—H-2116 — გადაწერილია XVIII საუკუნეში და პირია ლენინგრადული ხელნაწერისა.
 F — S - 418.
 G — S - 1729

1937 წლის გამოცემას საფუძვლად დაედო S - 424 და S - 2663 ხელნაწერები. აღ. ბარამიძე წერს: „გაბაასების“ კრიტიკული ტექსტის დასადგენად საუკეთესო წყაროა A და B ხელნაწერები,¹ ნაწილობრივ - C. დანარჩენი ხელნაწერები ანგარიშში მისაღები არაა.² სამწუხაროდ ამ ანგარიშში მიუღებელ ხელნაწერთა შორის მოხვდა ლენინგრადული M - 19 დ. თურქისტანიშვილის მიერ გადაწერილი ნუსხაც, რომელიც, S - 424-თან ერთად, უმნიშვნელოვანესია ტექსტის დასადგენად. აღ. ბარამიძე ამ ხელნაწერს S - 424-ის ასლად მიჩნევს. ის წერს: „გადამწერს საფუძვლად აულია გივი თუმანიშვილის ნუსხა და ფაქტობრივ უკანასკნელის პირი მოუცია“.³ ჩვენი დაკვირვებით, ლენინგრადულ ხელნაწერში მრავლად გვხვდება განსხვავებული წაკითხვები. ვანსაკუთრებით საინტერესოა ის სტროფული შედგენლობის შესასწავლად. ვფიქრობთ, ყოველივე ეს მხოლოდ „უბრალო გასწორება და უმნიშვნელო ვარიანტული წაკითხვა“ არ უნდა იყოს. ამგვარი დასკვნის საფუძველი მოგვცა A და B ხელნაწერთა გულდასმით შეჯერებამ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ B ხელნაწერი A ნუსხის პირი არ არის და აი-რატომ:

I. გივი თუმანიშვილის ნუსხა, ე. თაყაიშვილის შეხედულებით, 1701 წ. უნდა იყოს გადაწერილი.⁴ აღ. ბარამიძეს მიაჩნია, რომ ის „საბოლოოდ გადანუსხული უნდა იყოს მაინც და მაინც არა უადრეს 1703 წლისა. 1701 წელს მზად ყოფილა, ალბათ, კრებულის მხოლოდ ძირითადი ნაწილი. ხელნაწერის თავისუფლად დატოვებული ადგილები შემდეგში თანისთანობით შეუვსიათ.“⁵ დ. თურქისტანიშვილის ნუსხა გადაწერილია 1705 წ. მასასადამე, ქრონოლოგიურად A ხელნაწერის შედგენა წინ უსწრებს B-სას, მაგრამ გივი თუმანიშვილის მიერ გადაწერილ „არჩილიანში“ შევიდა ორი თხზულებაც: „მეფეთა საქმებელნი და სადიდებელნი“ და ახალი შემოღებული ანბანთქება“, რომლებიც არ გვხვდება B ნუსხაში. 1705 წლისათვის გივი თუმანიშვილის კრებული ჩამოყალიბებული იყო და თუ ის თურქისტანიშვილის ნუსხისათვის დედანს წარმოადგენდა, მასში ეს ორი ლექსიც უნდა მოხვედრილიყო. მით უმეტეს, რომ თურქისტანიშვილის კრებულში 1706 წლით დათარიღებული მინაწერიც გვხვდება. მასასადამე, კრებულის გადამნუსხავს შეეძლო შემდეგშიც შეეცნო თავისი კრებული.

1 „არჩილიანის“ 1936 წლის გამოცემის რედაქტორები ხელნაწერ S - 2663 აღნიშნავენ D ლიტურით, ხოლო მომდევნო ტომში (1937 წ.) იგი B-თა აღნიშნული ჩვენ მიერ მომზადებულ გამოცემაში S - 2663 - D-თი, ხოლო M-19 B-თი გვაქვს აღნიშნული.

2. არჩილი თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II ტფილისი, 1937. გვ. 150.

3. არჩილიანი, ტ. I 1936, გვ. XII

4. Описание ტ. II, გვ. 133.

5. არჩილიანი, ტ. I, გვ. 8.

2. გვი თუმანიშვილის ნუსხაში „გაბაასების“ 710-ე სტროფი ორი რედაქციით გვხვდება. ერთი ძირითად ტექსტშია შეტანილი და მეორე აშიაზეა მიწერილი. აი ეს სტროფები:

მოვიდეს, თავი მომართვეს და საშოვრის ფანჯიკი,
ექმნათ ბევრი საშოვარი, დაეცალათ ცხვართა ბაკი,
მომილოცეს, მიულოცე, თქვეს: „გათავდა თქმული აკი“.
აწ შეიქმნა ნაღიმობა, არ თუ ცული რამ ტაკ-ტაკი. 710 ა.

მოვიდეს, თავი მომართვეს, კვლა ნაშოვრის ფანჯიკი,
სისხლნი მათნი მოელვარნეს, შეეღებნეს იატაკი,
იგი მხარე მოერბივნეს, დაეცალა ცხვართა ბაკი,
მამილოცეს, მიულოცე, თქვეს: გათავდა თქმული აკი. 710 ბ.

გვი თუმანიშვილის ნუსხაში ძირითად ტექსტში შევიდა 710 ბ სტროფი, ხოლო აშიაზე მოყვანილია 710 ა სტროფი შენიშვნით: „პირველი ლექსი ეს არის და მწერალს ის დაუწერიათ“. თურქისტანიშვილისეული ხელნაწერი მხოლოდ 710 ბ — ს იცნობს. თუ მწიგნობარი A ხელნაწერს იყენებდა დედნად, მაშინ მას უნდა გაეთვალისწინებინა გ. თუმანიშვილის შენიშვნა და ტექსტში 710 ა სტროფი ჩაესვა. მაშასადამე, დ. თურქესტანიშვილი სხვა ნუსხას იყენებდა წყაროდ და, რომ წყაროები მართლაც რამდენიმე ყოფილა, ამას მოყვანილი მაგალითიც მოწმობს. გ. თუმანიშვილმა ძირითად ტექსტში სტროფის ერთი რედაქცია შეიტანა და მეორე, რომელიც სხვა ხელნაწერში უნდა ყოფილიყო, აშიაზე მიაწერა. ასევე მოიქცა ის 837 ე სტროფის მიმართ. სხვადასხვა რედაქციით გვხვდება „გაბაასების“ კიდევ რამდენიმე სტროფი: 603, 759, 761, 763, 764. ალ. ბარამიძე A ხელნაწერში 710-ე სტროფის ორი რედაქციით წარმოდგენის ფაქტს იმით ხსნის, რომ „გადამწერს“ („მწერალს“) თავისი რედაქცია თვითნებურად შეუტანია ძირითად ტექსტში, ხოლო ავტორი უგულვებელუყვია“ (გვ. 150)¹. მართალია, ინტერპოლატორული საქმიანობა იმხანად საკმაოდ გავრცელებული იყო, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ინტერპოლატორები უფრო ძველ ძეგლებს ხელყოფდნენ ხოლმე და არა თანამედროვეთა თხზულებებს. ძნელი დასაჯერებელია, რომ პოეტის, და ისიც მეფის, სიცოცხლეში რომელიმე გადამწერს უგულვებელეყო ავტორი და თავისი ლექსი შეეტანა ტექსტში.

განსხვავებულ რედაქციათა არსებობა საშუალებას გვაძლევს ჩავიხედოთ არჩილის შემოქმედებითს ლაბორატორიაში, დავეკვირდეთ ლექსის შექმნის პროცესს. როგორც ჩანს, არჩილი დიდი მონდომებით მუშაობდა ტექსტზე, არაერთხელ უბრუნდებოდა დაწერილს, კვლავ და კვლავ „ჩაღხავდა“ ლექსს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს „ვისირამიანის“ ტექსტზე დაკვირვებით. ტექსტზე არჩილის გულდასმითი და ხანგრძლივი მუშაობის სურათი ცხადი ხდება D ხელნაწერის შეპირისპირებით A და B ნუსხებთან. ალ. ბარამიძე წერს, რომ D ხელნაწერს „შემონახული აქვს პირველადი, ავტორის ხელიდან შავად გამოსული ანუ „გაუმართავი“ ტექსტი (გვ. 150)². მაშასადამე, არსებობდა პირველადი ანუ „გაუმართავი“ ტექსტი და შემდეგ დახვეწილი ტექსტის შემცველი ხელნაწერები. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, თუ მივიჩნევთ, რომ დ. თურქესტანიშვილი იყენებდა სხვა

1. არჩილიანი. ტ. 1. გვ. 150

2. იქვე.

წყაროს და არა თუმანიშვილისეულ ნუსხას. ან შეიძლება A ხელნაწერი მისთვის ერთ-ერთი და არა ერთადერთი წყარო იყო. ასეთი ვარაუდი C ხელნაწერის მიმართ დასაშვებდ მიაჩნია ალ. ბარამიძესაც. ის წერს: „რედაქციულად C უფრო B-კენ იხრება, მაგრამ ხშირად A-ს იმეორებს, ცალკე შემთხვევაში კი, ორივესგან განზება და დამოუკიდებელ წაკითხვას იძლევა“ (გვ. 150)‘.

არჩილს თავის თხზულებათა უმეტესი ნაწილი ოსეთში ან ასტრახანში 3 წლის იძულებითი ცხოვრებისას შეუქმნია. დიდ პრობლემებს შექვილებულ მეფეს სამშობლოდან გადახვეწის შემდეგ სხვა ასპარეზი აღარ ჰქონდა და შემოქმედებითს მუშაობას აყოლებდა გულს. ამიტომაა, რომ სხვადასხვა ხელნაწერში ზოგჯერ რედაქციულად განსხვავებული სტროფები იჩენს ხოლმე თავს, არჩილის სიცოცხლეში და მისი თაოსნობით გადაწერილი ყველა ხელნაწერი A, B და D ერთნაირად საინტერესოა და ანგარიშგასაწევი.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს მივიჩნიოთ B ხელნაწერი A ნუსხის ტოლფას ავტოგრაფულ ხელნაწერად.

ბუნებრივია, საჭირო გახდა შავი სამუშაოს ჩატარება: ხსენებულ ხელნაწერთაგან ამოიკრიბა ვარიანტები, 1937 წ. გამოცემა შედარებულ იქნა A, B და D ხელნაწერებთან სტროფული თანმიმდევრობისა და შედგენილობის გასათვალისწინებლად და ტექსტის ბუნდოვანი ადგილების გასამართავად. გამოირკვა მრავალი საგულისხმო რამ, რაც თხზულების გამართვისას მხედველობაში იქნა მიღებული. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რა სახის სამუშაოს ჩატარება მოგვიხდა ტექსტის დასადგენად, მოუხუმობთ მაგალითებს.

1. „საქართველოს ზნეობანი“ (25,4 სტროფი): „მალე მიშველა ფრინველისა, მუნ აღრე წამოწვევრობა“. სიტყვა „წამოწვევრობა“ გაუგებარს ხდის სტროფის შინაარსს. ეს კალმისმიერი ლაფსუსი უნდა იყოს. ვფიქრობთ, აქ თავდაპირველად უნდა ყოფილიყო სიტყვა „წამომწვევრობა“. ამ გასწორების საფუძველს გვაძლევს სტროფის შინაარსი, სადაც ლაპარაკია ნადირობის რიტუალზე „მალე მიშველა ფრინველისა, მუნ აღრე წამომწვევრობა“.

2. „საქართველოს ზნეობანი“ (66 სტრ):

ამად ვთქვი ასრე გვიანად კარგები, ძნელად საცოდნი,
ძვირად მინახავს ამათი სრულად და კარგად ნაცოდნი,
ამათს მოქმედსა მოყმესა, სიავის არა საცოდნი,
სხვა რომ ერთპირად შეჰყარო, იქნება ყველა საცოდნი.

არჩილი ლაპარაკობს ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში შემუშავებულ ზნეობრივ ნორმათა ცოდნის მნიშვნელობაზე, რომ ამ კოდექსს სრულად დაუფლებული პიროვნება, მართალია, იშვიათად გვხვდება, მაგრამ ის ზნეობრივად სრულყოფილია და სიავეს არასოდეს ჩაიდნეს. არჩილი უპირისპირებს მას ცუდად აღზრდილთ, რომელნიც „ყველა საცოდნი“ არიან. სტროფის მესამე სტრიქონი არ გვაძლევს საშუალებას ამგვარად გავიაზროთ მისი შინაარსი. ამათს მოქმედსა მოყმესა, სიავის არა საცოდნი“, კონიექტურა საშუალებას გვაძლევს აზრობრივად გავმართოთ სტროფი: „ამათს მოქმედსა მოყმესა სიავეს არას აცოდნი“.

3. 93,1: „ჯაბანს გაამხნობს, ხდალს კაცსა მგონივარ გაამამაცებს“. „მგონივარ“

ფორმას, როგორც გრამატიკული. ასევე აზრობრივი დისონანსი შეაქვს სტრიქონში, ამიტომ „მგონივარს“ ნაცვლად ვწერთ სწორ ფორმას „მგონია“. მართლაც, ხდალს კაცსა, მგონია, გაამამაცებს“ ნათელს ხდის არჩილის სათქმელს.

4. 65-ე სტროფში ვკითხულობთ:

ვინ ამას იქმს, მასცა იქს, რაც რომ არ დამიწერია,
ბევრის რამ ზნეობებისა კარგი რამ ანაწერია,
ზოგი რამ იცის წუჟამა, მთავრობდა და აწ ერია,
მაშინც ეშმაკი ებრძოდა, მორია, დააწვერია.

ყურადღებას იპყრობს ბოლო ტაების სარითმოდ სიტყვა — „და აწვერია“, რომელიც შინაარსსაც ბუნდოვანს ხდის და რითმასაც არღვევს, რადგან სარითმოდ სიტყვაა „წერია“. მართლაც, B, C, D ხელნაწერებში იკითხება „და აწ ერია“. ამ წაკითხვის გათვალისწინებით, სტრიქონში გადმოცემული აზრი ნათელი ხდება. ავტორი გვიამბობს, რომ ეშმაკი ებრძოდა ვინმე წუჟას, ოდესღაც მთავარს და შემდეგ ერისკაცს და ამ ბრძოლაში გამარჯვება ეშმაკს დაჩივნიდა — „და აწვერია“ — და აწ მოერია.

5. „ლექსნი ასნი ორმუხლნი“ (პირველი). სტრ. 62:

კაცი კაცს საქმით შევერდეთ და ნუ ამოსა სიტყვითა,
ადვილად კაცის ცნობასა ვიტყვით, თუ ვინმე ვიტყვითა.

სტროფში გადმოცემული აზრი განმარტებას არ მოითხოვს. ყურადღებას იპყრობს მეორე ტაების „ვიტყვით“ სიტყვის განმეორება, რომელიც ლექსის პოეტურ სხეულს არღვევს და აზრსაც ბუნდოვანს კხდის. C ხელნაწერში დამოწმებულია „ვიტყვით“-ის ნაცვლად „ვსტყუით“, რომელიც ზუსტად ესადაგება ტექსტს და აზრს ნათელყოფს: „ადვილად კაცის ცნობასა, სტყუით, თუ ვინმე ვიტყვითა“.

6. ამავე ლექსის 77,2 სტროფი: „ცუდ კაცსა მწვე ააზავებს, მორკმა, ტყუილი ქებანი“. ამ ტაეში ნახმარი სიტყვა „მწვე“ სხვა ხელნაწერებში, კერძოდ B და C ხელნაწერებში, იკითხება „მწვედ“, რაც უფრო მისაღებად მიგვაჩნია.

7. 85-ე სტროფი:

სჯობს სნეულობა, ბოროტსა, სიმრთელე ფერხზე რებასა,
ცოდვილთ თავსდება ცოდვისა, სიწმინდის შეფერებასა.

არჩილის „ლექსნი ასნი ორმუხლნი“ აფორისტულად გადმოგვცემს ცხოვრებისეულ სიბრძნეს. აქ ძირითადად გამოყენებულია დაპირისპირების ხერხი. ზემოთ მოყვანილ სტროფში გატარებულია აზრი, რომ სჯობს იყო სპეტაკი, თუმცა სნეული, ვიდრე ბოროტი და ჯანმრთელი. მაგრამ მოყვანილი ტექსტის მიხედვით პირველი ტაების მეორე ნახევარში ეჭვს ბადებს სინტაგმა „ბოროტსა სიმრთელე“ რომელიც არღვევს აზრის სწორ მდინარებას, B, C, D ხელნაწერთა მონაცემების მიხედვით, სადაც გვაქვს „ბოროტსა სიმრთელით“, შესაძლებელი გახდა ტექსტის აზრობრივი გამართვა, რის შემდეგაც მან მიიღო ამგვარი სახე: „სჯობს სნეულობა ბოროტსა სიმრთელით ფერხზე რებასა“.

8. ამავე ლექსის 93-ე სტროფში ხელნაწერთა ჩვენების საფუძველზე გასწორდა სარითმოდ სიტყვა. თუ გამოცემულ ტექსტში იყო — „ნაკლულობას“, ახლა B, C, D ხელნაწერთა მონაცემების მიხედვით ჩასწორებული გვაქვს — „ნაკლუ-

ლებას": „რაზომცა დიდად ბრძენ იყო, ნუ ეკობ სიბრძენ-სრულებას, რაზომ სვამ წყლისგან წყაროსა, შეატყობ ვერ ნაკლულებას.“

9. ლექსნი ასეულნი (მეორე) სტრ. 7, 1-2:

გარდასულთა დღეთ მოქცევა ველარავინ ხელ იწიფოს,
კოხი წმახი ხან-გამოსლვით სიტკბოებად შეიმწიფოს.

არჩილის მიხედვით, როგორც არ შეიძლება გარდასულ დღეთა მობრუნება, ისევე შეუძლებელია კოხის სიტკბოდ შეგრძნება. მაგრამ კონტექსტში გაუგებარია სიტყვა „კოხის“ მნიშვნელობა. საბას მიხედვით ის ცეცხლგამძლე ქვას ნიშნავს. ქვასთან დაკავშირებით კი ძნელია პოეტს სიმკაფიასა და სიტკბოს ასოციაცია გაუჩნდეს. „კოხის“ გვერდით სიტყვა „წმახის“ (მეტად მკაფიე, კმახი, ნ. ჩუბინაშვილი) ხმარებამ გვაფიქრებინა, რომ სწორი უნდა იყოს C ხელნაწერის წაკითხვა „კუხი“, რომელიც ამ შემთხვევაში „წმახის“ სინონიმი და ისარი ნიშნავს (საბა). ახლა ჩვენთვის ნათელი ხდება არჩილის მიერ ოსტატურად მომარჯვებული პოეტური სახის მნიშვნელობა: მკაფიე ისარი სიტკბოდ შეგრძნება ისევე შეუძლებელია, როგორც გარდასულ დღეებზე ბატონობა. ამ წაკითხვამ აზრი ნათელყო: „კუხი, წმახი ხან-გამოსლვით სიტკბოებად შეიმწიფოს“.

10. ლექსნი „ასეულნი“ (მეორე) სტრ. 81:

ლექსში „ასეულნი“ არჩილი დიდ ადგილს უთმობს სხვა ზნეობრივ საკითხებთან ერთად შეგონებას იმის თაობაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თავშეკავებას ლაპარაკის დროს, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია ავყობასა და ავისიტყვობას. ამის ნიმუშად და ცხადსაყოფად არჩილს მოჰყავს ჰეროდეს მაგალითი:

ეროდე რა ქნა, გასმიათ, რა ფიცით იმან აღმოთქო,
რაბამ უჯობდა დუმილი, სრულიად, „ქეცა“ არ ეთქო.
ოღითგან ფიცთა სიმტკიცეს დიდი ბოროტი დაეთქო.
აწ შენ რა ენა-მოსწრაფობ, ჰპატიეობ: მალ იარე-თქო.

აღნიშნულ სტროფში აზრს აბუნდოვანებს ბოლო ტაეპი „ჰპატიეობ: მალ იარე თქო“. თითქოს გაუგებარია, რას უნდა ნიშნავდეს ამ კონტექსტში მალე სვლისაკენ მოწოდება. მით უფრო, რომ შემდეგ სტროფშიც ლაპარაკია მოზომილი სიტყვის სიკეთეზე. ხელნაწერი D ამ სტროფის სხვა ვარიანტს გვთავაზობს: „მალე არა ეთქო“. მართლაც, ამ გასწორების შემდეგ 81-ე სტროფი აზრობრივად დასრულებულ სახეს იღებს.

11. „ვაბაასება კაცისა და სოფლისა“. 54,4 სტროფში ღმერთი მოუწოდებს ადამს, გულსწყურით მოისმინოს და შეასრულოს მისი შეგონება — არ ჰკმოს აკრძალული ნაყოფი, წინააღმდეგ შემთხვევაში ურჩს სიკვდილი ელის. სტროფის დასასრულს ავტორი ამბობს: „ნეტა ის არ გესმია, სულ ქვეყნით ვერ დარჩებია.“ „არ გესმია“ გაუგებარს ხდის ტექსტს (ამ შემთხვევაში ის უადგილო ჩანს). B და C ხელნაწერებში „გესმიას“ ნაცვლად გვხვდება „გხზია“. „ხმევა“ საზრდელისა და სასმელის მიღებას ნიშნავს (ნ. ჩუბინაშვილი). კონტექსტით სტროფში სწორედ აკრძალული ხილის მიღებაზეა ლაპარაკი და ამიტომ ბუნებრივი ჩანს არჩილის დასკვნაც: ნეტა არ გეხზია ანუ გექამა, მიველო ნაყოფი, მაგრამ რაკი ივემე, „სულ ქვეყნით ვერ დარჩებია“. ვფიქრობთ, B და C ხელნაწერთა მონაცემის გათვალისწინებამ ნათელი გახადა პოეტის თვალსაზრისი.

12. ასევე სწორდება მე-60 სტროფის შინაარსიც ვარიანტული ნაირწყაი-

თხვის გათვალისწინებით. ამ სტროფით ადამი წყევლის სოფელს. ბოროტები-
სა და სიმწარისათვის:

ნუ მუხანათობ, ნუ კრელობ, მგზავსად შენისა ძალისა,
თორ მოვინდება გარდახდა, როსცაა ჩემის ვალისა.

მე-4 სტრიქონის „მოვინდებას“ ნაცვლად E ხელნაწერში იკითხება „მოვიხ-
დება“, რაც უფრო ზუსტად ესადაგება სათქმელს. თუ გავითვალისწინებთ, რომ
ადამი წყევლა-კრულვას უთვლის სოფელს და აფრთხილებს, რომ მუხანათო-
ბისა და სივერაგის გამო მას სასჯელი მიეზღვება და სამაგიეროს მიღება იძუ-
ლებითი აქტია, ამიტომ „მოუნდებას“ შეცვლა „მოვიხდება“ სიტყვით აზრობრი-
ვად უფრო გამართლებულად მიგვაჩნია.

13. „გაბაასებაში“ სტროფი 64: ადამი თავის ერთ-ერთ სამღურავში მიმა-
რთავს სოფელს: „შენი ნდობა გვაქვს, მის გამო გვიდევნებ ჩვენცა, განა გდევ?“ B
და C ხელნაწერებში გვხვდება სიტყვა „ნდობის“ ნაცვლად ნაირკითხვა „ნდომა“. მართლაც, ჩვენი აზრით, კონტექსტი ამ სიტყვას მოითხოვს, რადგან ადამის
არცერთ საყვედურში არ ჩანს, რომ ის ენდობა სოფელს, პირიქით, სოფლის ყვე-
ლა სივერაგედ და გაუტანელობა მისთვის ნათელია. ნდომა, სურვილი, დაუთმობ-
ლობა განუყოფელია ადამიანის არსებობისაგან. ამავე აზრს იმეორებს არჩილი
68-ე სტროფში, სადაც კვლავ ჩამოთვლილია სოფლის სივერაგისა და დაუნდობ-
ლობის მაგალითები, მაგრამ მაინც ადამიანი მიღის იმ დასკვნამდე, რომ:

მოგიძულებთ, კვლავ საცოთობლად, ლიქნით ხელში დაგვიბნდები,
ასეთს ვგარად რას მოგვირთავ, კიდევ უფრო მოვკინდები.

ამიტომ ჩვენც უკეთესად მივიჩნიეთ ვარიანტული წაკითხვა — „ნდომა“ და
ტაეპმა მიიღო შემდეგი სახე: „შენი ნდომა გვაქვს, მის გამო გვიდევნებ ჩვენცა,
განა გდევ?“

14. „გაბაასების“ 89-ე სტროფში მსჯელობაა იმის თაობაზე, რომ ადამის მო-
დგმის ცოდვათა გამოსასყიდად და კაცობრიობის ხსნისათვის უფალმა გამოა-
რჩია ქალწული მარიამი. სტროფი იკითხებოდა ამგვარად:

გამოირჩია უფალმან ნაშობთაგანი ევასა,
ქალწული წმინდა მარიამ დახსნის მის გამოწყევასა.

ბუნდოვანი იყო მეორე სტრიქონის მნიშვნელობა — „დახსნის მის გამოწყე-
ვასა“. „გამოწყევა“ სრულიად გაუგებარია ამ კონტექსტში. ამიტომ სავსებით
მისაღებად მივიჩნიეთ B და C ხელნაწერთა ნაირკითხვა — „მის გამო წყევასა“. ამ
გასწორების გათვალისწინებით სტრიქონმა მიიღო შემდეგი სახე — „ქალწუ-
ლი წმინდა მარიამ, დახსნის მის გამო წყევასა“.

15. 130,1 სტროფში ვკითხულობთ: „სულ ერთპირად წარუტაცა, რაც ჰყვა-
ნდა და ან ემარა“. სტროფში ლაპარაკია ღვთის მიერ იობის გამოცდაზე; ყველა
უბედურებასთან ერთად როგორ წარუტაცა ღმერთმა იობს მოძრავი და უძრავი
ქონება. ამ კონტექსტში სიტყვა „ემარას“ არავითარი აზრობრივი დატვი-
რთვა არა აქვს. აზრის გასამართლავად გვეხმარება B ხელნაწერში დადასტურე-
ბული ნაირკითხვა „ეებარა“. მართლაც, ამ სიტყვის შეცვლით სტროფი აზრობ-
რივად გაიძარტა: „სულ ერთპირად წარუტაცა, რაც ჰყვანდა ან ეებარა“. გაიმა-
რთა სტროფის რითმაც.

16. სტროფი 136,1 გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით იკოხება ამგვარად: „თუ სიმართლეს შეემთხვეია, ღმერთი ნაცვალს აქავ გაგებს“. B ხელნაწერში გვაქვს: „თუ სიმართლეს შეემთხვევი“. B ხელნაწერში დადასტურებული ვარიანტი კონტექსტში გადმოცემული აზრის უფრო ზუსტ შესატყვისად მივიჩნევთ. ამავე სტროფში B და C ხელნაწერთა მონაცემების გათვალისწინებით, შეეცვალებოდა ზმნის ფორმა მე-4 ტაქში — დაგებს — გადაგებს. სტროფი ამგვარად გავმართეთ:

თუ სიმართლეს შეემთხვევი, ღმერთი ნაცვალს აქავ გაგებს,
და უკვდავის ცხოვრებისად ნამეტნავად დი:ლ გარგებს.
თუ ცოდვის წილ დაგმართა, მაშ მოვალე შენი გექებს,
აქავ გიჯობს გარდუწყვიტო, იქ უშრეტი ცეცხლი გადაგებს.

17კ. 159,1-2 სტროფში ვკითხულობთ:

რა მოეკაზმენ წასავლად, დედოფალს ესალმებოდეს,
შორიდამ მალღსა იხდიღეს, ქალები შიშით დნებოდეს.

B და C ხელნაწერთა ჩვენებით სარიტმო სიტყვის „დნებოდეს“ ნაცვლად „ბნებოდეს“ იკითხება, რაც აზრობრივად გამართლებულად გვეჩვენება. ტრადიციულ ქართულ პოეტურ საგანძურში (იხ. ვეფხისტყაოსნის ურიცხვი მაგალითი) გვხვდება შიშით დაბნედა და არა დადნობა.

18. 234,4 სტროფში ვკითხულობთ: „ხარს არ ძალევედეს სახრითა“, B, C, E ხელნაწერებში „ძალევედეს“ ნაცვლად გვაქვს „ლალევედეს“. მართლაც, ხარების მიმართ იხმარება გალაღვა — ლაღვა (გალაღვა — განღვენა, გარკვევა, შრავალთა ნ. ჩუბინაშვილი). ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნევთ „ძალევედეს“ ნაცვლად ჩაგვევა „ლალევედეს“.

19. 280-ე სტროფში საუბარია პატიოსნებაზე, კეთილსინდისიერებაზე და ხაზგასმულია, რომ „მოირკვამს“, ანუ დიდად მოიგებს ის ვაჟარი, რომელიც „მისცემს სწორის უღლითა“. გაუგებრობას იწვევს სიტყვა „უღლითას“ ხმარება. B და C ხელნაწერთა წაკითხვა ამ შემთხვევაში ასწორებს ტექსტის ბუნდოვან სიტყვას. ამ ხელნაწერებში დადასტურებულია სიტყვა „პირითა“. ტაქმა მიაღწეო შემდეგი სახე:

„დიდად მოირკვამს, ვინც იღებს და მისცემს სწორის პირითა“.

თუ წინა გამოცემაში სტროფის რითმა იყო მკერითა — მწირითა — უღლითა — სიკრუითა, სიტყვა „პირითას“ ჩასმამ გაასწორა დაკოქლებული რითმა.

20. C და E ხელნაწერთა ვარიანტული ნაირკითხვის გათვალისწინებით გასწორდა რითმა 320-ე სტროფშიც. თუ გამოცემაში იყო შვინიარება, ნებიარება, შეიწერება, დიწერება, ახლა გვაქვს: მშვენიერება, ნებიერება, შეიწერება, დიწერება.

21. ლექსში „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“ არჩილი სხვა მეფეთა შორის იხსენებს სახელოვან სარდალს ალექსანდრე მაკედონელს (სტრ. 12). ჩამოთვლის მის საგმირო საქმეებს, ძლევაშოსილ ლაშქრობებს. მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებს შორის ნახსენებია მადია და ინდოეთის სამეფო. სიტყვა „მადია“, ჩვენის ფიქრით, კონიექტურას მოითხოვს. აქ უთუოდ იგულისხმება მიდიის სამეფო, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა მართლაც დაიპყრო. გას-

წორების აუცილებლობაზე მიგვანიშნებს სტროფის შინაგანი რითმა: „ღია-მიღია“ მაშინ აღნიშნული ტაეპი ასეთ სახეს მიიღებს:

„ვინ დასცა ღია, ვითა მიღია“.

22. ამავე ლექსში 18-ე სტროფის მე-6 სტრიქონში უნდა გასწორდეს ზმნა „დამიწვედეს“, რადგან შინაარსის მიხედვით მსჯელობაა მოწვევაზე („გვერდს მოუჯდები, ვინ დამიწვედეს“) ამიტომ ხელნაწერთა ჩვენების საფუძველზე უძობესად მიგვაჩნია შევეცვალოთ აღნიშნული სიტყვა ზმნით „დამიწვევდეს“ (ხელნაწ. E, F).

23. 29-ე სტროფში 1936 წ. გამოცემულ ტექსტში კვითხულობთ:

„აგ არაკი, აგარაკი ვერ მოიგო სარას სწორად“.

სტროფი მაჯამურია, მაგრამ აზრი — ბუნდოვანი. ჩვენი დაკვირვებით აქ მსჯელობაა აბრაამის, სარასა და აგარის ურთიერთობაზე. როგორც ბიბლიიდან ვიცით, უშვილო აბრაამმა სარას რჩევით, შთამომავლობის გასაგრძელებლად მოიყვანა ეგვიპტელი მხევალი აგარი, რომელმაც უშვა აბრაამს ძე ისმაილი. შვილის შობის შემდეგ ის დათხოვნილ იქნა. ბიბლიის სწორედ ამ ეპიზოდს გულისხმობს არჩილი, როდესაც ამბობს, რომ აგარმა ვერ მოიგო აგარაკი (მამული) სარას, ანუ კანონიერი მეუღლის სწორად. ამის გამო სტრიქონი უნდა გაიმართოს ამგვარად:

„აგარ აკი აგარაკი ვერ მოიგო სარას სწორად“.

24. მეფეთა შორის არჩილს მოხსენიებული ჰყავს ბიზანტიის იმპერატორი ივლიანე (361—363 წწ) და მისი მემკვიდრე მხედართმთავარი ივბიმიანე (364—373 წწ). ისტორიულად ცნობილია და არჩილიც ამის შესახებ ვრცლად მოგვითხრობს (სტრ. 36—45), რომ ივლიანე განდგომილის მიერ ქრისტიანთა სასტიკ დევნას წინ აღუდგა ქრისტიანი მხედართმთავარი ივბიმიანე, რომელიც ივლიანეს დალუპვის შემდეგ გახდა იმპერატორი. არჩილის მიხედვით, ივბიმიანე მრჩეველი იყო ივლიანესი და ეს უკანასკნელი ანგარიშს უწევდა ხოლმე მის აზრს.

41-ე სტროფის მე-8 ტაეპში კვითხულობთ: „იგიც“ (ე. ი. ივლიანე) უსმენდა, ვის სკვრეტდა მხნედა, ივბიმიანეს რასაც ეტყოდა“. ამ მონაკვეთში აზრი ისეა წარმოდგენილი, თითქოს ივბიმიანე უსმენდა მეფეს. E, F ხელნაწერთა მონაცემებით, სადაც ივბიმიანე სახელობით ბრუნვაშია, საშუალება გვაქვს გავასწოროთ დაშვებული უზუსტობა, ამრიგად სტროფი იკითხება ასე:

„იგიც უსმენდა, ვის სკვრეტდა მხნედა,
ივბიმიანე რასაც ეტყოდა.“

არჩილის თხზულებათა ხელნაწერებზე მუშაობის დროს გაირკვა ზოგიერთ ლექსში სტროფთა თანმიმდევრობის დარღვევისა და ამა თუ იმ სტროფის სხვადასხვა ლექსისადმი მიკუთვნების საკითხიც:

1. „სიტყვა სანათლისღებო“ 1936 წ. გამოცემული ტექსტის მიხედვით მთავრდება შემდეგი სტროფით:

არ გიკვირო ჩემთა მნახავთა, ვით მოვიცალე ამდენად,
ეს ლექსი ჩარხებრ მბრუნავი აწ მოვიგონე უსმენლად:
ერთს სტრიქონს სიტყვა რამდენი აქვს, ლექსიც იქმნა იმდენად,
ნაძლევი ვარ. თუ ჩემს წინათ ეთქვას ვის, იყოთ მოსმენად.

ამ სტროფის მიხედვით აშკარაა, რომ არჩილი ლაპარაკობს მის მიერ შემო-
ლებულ ლექსის სახეობაზე, კერძოდ ჩარხებმბრუნავ ლექსზე. აღნიშნავს მის
თავისებურებას, წყობას, რაობას. ძირითად ხელნაწერებში .სიტყვა სანათლი-
სლებოს" უშუალოდ მოსდევდა ჩარხებმბრუნავი ლექსი. მაგრამ, როდესაც ჩა-
რხებმბრუნავი ლექსი არჩილის თხზულებათა გამოცემაში ბოლოში იქნა დაბე-
ჭილი, მაშინ აღნიშნული 44-ე სტროფიც უნდა წამძღვარებოდა ამ ლექსს, ან
პირიქით, ჩარხებმბრუნავი ლექსი უნდა დაბეჭდილიყო უშუალოდ .სანათლი-
სლებოს" შემდეგ, როგორც ეს ხელნაწერებში გვხვდება. ამ სტროფს არავითარ
კავშირი არა აქვს .სანათლისლებოსთან", ის ჩარხებმბრუნავი ლექსის ორ-
განული ნაწილია და ამიტომ ამჟამად მასთან ერთად იბეჭდება.

2. 1936 წლის გამოცემაში „ვისრამიანის" ტექსტს ერთვის 723-743 სტრო-
ფები. ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამ სტროფებს შინაარსობრივად
არავითარი კავშირი არა აქვს .ვისრამიანთან". აღნიშნული მონაკვეთის თანდა-
რთვა „ვისრამიანზე" გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ძირითად ხელნაწერებში
(A და B) 723-743 სტროფები უშუალოდ ერთვის „ვისრამიანის" ტექსტს (იგი-
ვე შემთხვევაა, რაც ზემოდნახსენებ ჩარხებმბრუნავ ლექსში გვეხვინდა). ზოგი-
ერთ ხელნაწერში, კერძოდ D, K, H, M, ეს სტროფები ცალკეა დადარწერილი და
სათაურად აქვს „თქმული ნაზარალი ხანზე". განსაკუთრებით საყურადღებოა
ის გარემოება, რომ D ხელნაწერი (Q-548) ვანტანგის თხზულებებთან ერთად
შეიცავს არჩილის რამდენიმე ლექსსაც. მათ შორის აღნიშნულ სტროფებს.
ტექსტი ნასწორებია ვანტანგის მიერ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ვანტანგსაც
ის დამოუკიდებელ ლექსად მიაჩნდა. ჩვენც 723-743 სტროფები ცალკე ლე-
ქსად გამოვეყავით, თუმცა საექვოდ მიგვაჩნია სათაურის საკითხი.

ლექსი არჩილისათვის დამახასიათებელ სულიერ განწყობილებას გამოხა-
ტავს და მისთვის ჩვეული აფორისტული სტილითაა დაწერილი. იმავე ხასია-
თისაა როგორც „ლექსნი ასნი ორმუნლნი" და „ლექსნი ასეულნი". ამიტომ მი-
ზანშეწონილად მიგვაჩნია, ჩავთვალოთ ის დამოუკიდებელ ნაწარმოებად და
პირობითად დავუტოვოთ ტრადიციული სათაური.

ზოგიერთი შენიშვნა აღნიშნული ტექსტის თაობაზე:

731-ე სტროფში ვკითხულობთ:

„კლდეზე წოლა სჯობს სამუდმოდ უსჯულოთ კვალთ წადგომას".

D ხელნაწერი გვაძლევს ვარიანტულ ნაირკითხვას .უსჯულოთ კვალთ შედ-
გომასა", რომლის გათვალისწინებით ნათელი ეფინება ტექსტს, რადგან კონ-
ტექსტის მიხედვით იგულისხმება საკუთარი რწმენის დაღატი და უსჯულოთა
გზაზე დადგომა. სიტყვა „შედგომა" კი სწორედ მიმდევრობას გულისხმობს. ამ
გასწორებით ტექსტი მხატვრული თვალსაზრისითაც გაიმართა, რადგან აცი-
ლებულია ტავტოლოგიური რითმა („წადგომა" — .წადგომა");

დათმობავე სჯობს მარბიელთ უმსჯავროდ წინ წადგომასა.

კლდეზედ წოლა სჯობს სამუდმოდ უსჯულოთ კვალთ შედგომასა.

732-ე სტროფში ვკითხულობთ: „ძვილ დაეთმობა საქმესა საძრახის-მოსაყი-
ნელსა". D და K ხელნაწერთა ნაირკითხვების საშუალებით ტაქმა მიიღო შემ-
დეგი სახე: „ძვილ დაეთმობის საქმესა საძრახის-მოსაყიენელსა". ამ შემთხვევა-
ში ზემოაღნიშნულ ხელნაწერთა ვარიანტების უპირატესობა იმით გამოიხა-

ტება, რომ სიტყვა „დაეთმობის“ უფრო არქაულად მივიჩინეთ, ხოლო „მოსაყი-
ვებელი“ გრამატიკულად სწორი ფორმაა — საძრახისი საქმე მოყივნებულია
და არა მოსაყინელი.

742-ე სტროფის პირველ სტრიქონში საჭიროდ მივიჩინეთ კონიექტურა, რა-
დგან სარიტომო სიტყვა „თობასა“ მნიშვნელობისაგან დაკლილი იყო. სტროფი
გავმართეთ ამგვარად: „ვაი, წარმდებსა სიცრუევს, ვაი, სიმართლის თობასა.“

3. A ხელნაწერში, რომელიც 1936 წლის გამოცემას დაედო საფუძვლად,
ლექსში „კაცს უთხარ“ დასასრულს 3 სტროფისათვის გადამწერს, გვი თუმა-
ნიშვილს, გაუკეთებია მინიშნება: 29-ე სტროფთან მიწერილია ასო გ, 24-ე სტ-
როფთან — ბ და ბოლოს 25-ე სტროფთან — ა, რაც იმის მათუწყებელია, რომ
სტროფთა თანმიმდევრობა ნაცვლად 23, 24, 25-ისა უნდა იყოს 25, 24, 23. ხე-
ლნაწერ B-ს გადამწერს დავით თურქესტანიშვილს შეუნიშნავს ეს გარემოება
და მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ისიც A ხელნაწერის მსგავსად აპი-
რებდა ტექსტის გამართვას, სტროფთა დასაწყისი სიტყვების გადაწერის შე-
მდეგ მიუტოვებია ისინი და ხელახლა, ახალ გვერდზე უკვე სწორი თანმიმდევ-
რობით გადაუწერია აღნიშნული სტროფები, გადანაცვლების საფუძველი ში-
ნაარსობრივი მხარეც უნდა იყოს, რადგან სტრ. 23 ამჭერად 25-ე სტროფის ნა-
ცვლად იქნება და ლოგიკურად დასრულებს ლექსს: „ლექსი გახლავარ ნათქვა-
მი მეფისა არჩილისაო.“ და ა.შ.

4. მსგავსი მდგომარეობაა „მეფეთაშიც“, სადაც ასევეა აღრეული სტროფთა
თანმიმდევრობა 49-დან 54-მდე. A ხელნაწერში ზოგიერთი სტროფი გვერდზეა
დაწერილი და იქვეა დახატული ხელი, რომლის თითის მიმართულება მიანი-
შნებს: თუ სად უნდა იყოს ჩასმული ეს სტროფი. როგორც ჩანს, A ხელნაწერი-
დან მომდინარე ნუსხებში გადამწერლებს შეუნიშნავთ დახატული ხელის მტე-
ვანი და უცდიათ შეცდომის გასწორება, თუმცა ზოგიერთი გადამწერი ვერ გა-
რკვეულა. ამიტომ სხვადასხვა ხელნაწერში აღნიშნული მონაკვეთის სტრო-
ფთა თანმიმდევრობა აღრეულია. ჩვენ შევეცადეთ გაგვეთვალისწინებინა, რო-
გორც ნახატი-მინიშნება, ასევე აღნიშნული ადგილის შინაარსობრივი რაო-
ბაც. ამიტომ ჩვენ მიერ მოზადებულ ტექსტში სტროფები დალაგდა შემდეგი
თანმიმდევრობით: 49, 52, 51, 50, 53, 54.

ცალკე უნდა შევიჩრდეთ არჩილის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან თხზულე-
ბაზე — თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაზე. ჩვენ მიერ გამართულ ტე-
ქსტში შეიცვალა თხზულების სტროფული შედგენილობა: 1937 წლის გამოცე-
მა შეიცავს 1133 სტროფს (ერთი სტროფი შემდეგში არის ტექსტში ჩართული
429-ის მიყოლებით 429 ა N-ით). ჩვენს გამოცემას საფუძვლად დაედო B-ს სტ-
როფული შედგენილობა, რომელიც უფრო სანდოა და შეცდომებისაგან დაზღ-
ვეული. ამიტომაც აქ არ შევიდა შემდეგი სტროფები: 65-ე („არ მეც მათთან ჩა-
გიგდივარ“), 90-ე („ერთ ქვეყანას არ იყო და ვირს დაარქვეს მთვარისახარ“), 172-
ე („ოთხი თავი სახარება“), და 198-ე („რუსთველის ნათქვამი ზანდუქს ჰგავს“).
რომელიც იოსებ ტვილელს მიეწერება. ეს ოთხი სტროფი 1937 წლის გამოცე-
მაში დაბეჭდილია ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული შრიფტით (პეტე-
ტიით), რაც იმას მოწმობს, რომ გამომცემლებს მათს ორიგინალობაში ეჭვი შეუ-
ტანიათ, რადგანაც სხვა ხელნაწერებში ისინი არ გვხვდება. წინამდებარე ტექსტი
შეიცავს 1129 სტროფს. აქედან ზოგიერთი სტროფი ისტორიულ-ბიბლიოგრა-

ფიული ცნობის შემცველია და ეხება თვით „გაბასებს“ დაწერის თარიღს და ადგილს. გამოცემაში შეტანილ იქნა ცვლილებები სტროფთა ცალკეული წაკითხვების შინაარსობრივად გამართვის თვალსაზრისითაც

გასინჯეთ, სიბრძნის ტრფიალნო, კარგად მითქვამს, თუ არ ავად,
მინდა თქვენ გამოგამჩვენო, არ მინდა დასაფარავად,
ერთხელ ყოვლისა საქმისა ქარი მიქროდა არავად,
ბოლომდის არვის გაუშვებს სოფელი გამუმწარავად. (53)

საანალიზო სტროფში გაუგებარია მეორე სტრიქონის მესამე სიტყვა „გამოგამჩვენო“ და მეოთხე სტრიქონის სარიტმო სიტყვა „გამუმწარავად“. ამკარაა, არცერთი წაკითხვა არ არის მართებული.

ჩვენი აზრით, მეორე სტრიქონში კონიექტურაა საჭირო: მინდა თქვენ გამოგაჩვენო. ე. ი. არჩილი მიმართავს მკითხველს: მე თქვენს გამო, თქვენთვის მინდა საჩვენებლად, არ მინდა დასაფარავად (ჩემი ლექსები, ჩემი შემოქმედება). B და F ხელნაწერები საშუალებას იძლევა გასწორდეს — „გამოგამჩვენო“ — „გამოგაჩვენო“ და „გამუმწარავად“ — „გამუმწარავად“.

53-ე სტროფი ასეთ სახეს მიიღებს:

გასინჯეთ, სიბრძნის ტრფიალნო, კარგად მითქვამს თუ არ-ავად,
მინდა თქვენ გამო გაჩვენო, არ მინდა დასაფარავად
ერთხელ ყოვლისა საქმისა ქარი მიქროდა არავად,
ბოლომდის არვის გაუშვებს სოფელი გამუმწარავად.

118-ე სტროფი რუსთველის პასუხია თეიმურაზ მეფისადმი. რუსთველი უსაყვედურებს თეიმურაზს: აქამდე არვის შეუღარება ჩემთვის ლექსი, თუ რაიმე ვთქვი, ვიცი, მომკლავ, არ დამაყენებ, გამძაძებ. სტროფის შინაარსი თითქოს გასაგებია. საკამათო უნდა იყოს მესამე სტრიქონი: „თუ რას ვიტყვი საგულისოს, მამკლავ, ვიცი, მას უღარებ“. აქ გაუგებრობას ქმნის სარიტმო სიტყვა: მას უღარებ.

B, F ხელნაწერებში ამ სიტყვის ნაცვლად იკითხება „მასუღარებ“, რაც საესებით მართებული ჩანს და შეეფერება სტროფის შინაარსს. მომკლავ და სუღარაში შემახვევო, — მიმართავს რუსთველი თეიმურაზს.

გასწორების შემდეგ 118-ე სტროფის მესამე სტრიქონი ასე გაიმართება: „თუ რას ვიტყვი საგულისხმოს, მამკლავ, ვიცი, მასუღარებ“.

149-ე სტროფი ასე იკითხება 1937 წ. გამოცემაში:

წინასწარმეტყველთ ექნება, წიგნები მათი ხელთაო,
ეს ამისთვის ვსთქვით, გერწმუნათ, რად არ ირწმუნეთ ხელთაო,
სხვა რამ სიბრძნისა წიგნები არ გამოჩნდების ხელთაო,
ცოდვილთ რალა თქვენ მის მეტ: ვაი დამწვარო ხელ-თაო.

ამ სტროფში ყურადღებას იქცევს პირველი სტრიქონის სიტყვა — „მათი“, მეორე სტრიქონის ტავტოლოგიური ფრაზა — „გერწმუნათ, რად არ ირწმუნეთ...“ მეოთხე სტრიქონის სიტყვა: „თქვენ“. სამივე შემთხვევაში ხელნაწერთა მონაცემების საფუძველზე საჭიროა გასწორების შეტანა.

ხშირ შემთხვევაში „გაბასების“ ამა თუ იმ წაკითხვის მართებულ გასწორებას განაპირობებს B ხელნაწერის მონაცემები. ასეა ამჟერადაც პირველ სტრი-

ქონში „მათის“ ნაცვლად იკითხება „თვისი“. მეორე სტრიქონი ამგვარად არის გამართული: „ეს ამისთვის ვსთქვით, გერწმუნათ, რად არ ისმინეთ ხელთაო“. მეოთხე სტრიქონში კი „თქვენ“ სიტყვის ნაცვლად „სთქვან“ არის დამოწმებული. შინაარსობრივად B ხელნაწერის სამივე წაკითხვა გამართლებულია, რის საფუძველზეც 149 სტროფი ასეთ სახეს მიიღებს:

წინასწარმეტყველთ ექნება წიგნები თვისი ხელთაო,
ეს ამისთვის ვსთქვით, გერწმუნათ, რად არ ისმინეთ ხელთაო,
სხვა რამ სიბრძნისა წიგნები არ გამოჩნდების ხელთაო,
ცოდვილთ რაღა სთქვან მის მეტი: ვაი, დამწვარო ხელ-თაო.

180-ე სტროფში არჩილი გადაკვრით თუ მინიშნებით მოგვითხრობს მოსეს მიერ ათი მცნების შექმნის ისტორიას და გაცხადებს გამოთქვამს, როგორ გაცვალეს შემოქმედი მომცრო ხბოს თავზე.

სტროფის შინაარსი გასაგებია, დაეჭვებას იწვევს მესამე სტრიქონში ხბოს თავის ხსენება. ამ სტროფში გადმოცემულია ბიბლიის ერთ-ერთი ეპიზოდი: იაჰვემ მოსეს გადასცა ქვისაგან გამოთლილი სჯულის ორი ფიცარი, რომლებზედაც ამოკვეთილი იყო ათი მცნება. მოსემ იაჰვესთან დაპყრობა დაიწყო და დაიწყო მისი დღე. ამ დროს ისრაელის ძენი დაუბრუნდნენ თავიანთ ძველ ღმერთებს: ჩამოასხეს ოქროს კერპი — ხბო, რომელიც მტვრად აქცია მოსემ დაბრუნების შემდეგ. სწორედ ამ ხბოს თაობაზეა საუბარი სტროფში. არჩილს უყვირს, რომ ებრაელებმა ქეშპარიტი ღმერთი კერპზე გასცვალეს.

180-ე სტროფის მესამე სტრიქონის მეორე ნახევარი უნდა გასწორდეს B ხელნაწერის მიხედვით, სადაც „მომცროსა ხბოსას“ ნაცვლად იკითხება „უნდოსა ხბოსა“. „უნდო ხბო“ მეტად ამბავრებს არჩილის სათქმელს. მის აღშფოთებას ებრაელთა საქციელით. ასევე B ხელნაწერის მიხედვით უნდა გასწორდეს საანალიზო სტროფის მეორე და მეოთხე სტრიქონები. სახელდობრ, მეორე სტრიქონში „ქერობინზედას“ ნაცვლად უნდა იყოს „ქერაბინზედა“ (აღბათ არჩილი გულისხმობდა სერაბინს, უმაღლესი რანგის ანგელოსს, ღმერთთან ანლოს მდგომს). მეოთხე სტრიქონში „გვექიროს“ მხოლოდობითი ფორმის ადგილი უნდა დაიკვიროს მრავლობითის ფორმამ „გვექიროს“, რადგან წინამავალი ზმნაც მრავლობითშია — „დავიწეროთ“. ამგვარად 180-ე სტროფი ასე გაიმართება:

ოდეს დასხმიდა ამ მცნებას უფალი ქვის ფიცარზედა,
ის არის, სხვა არ სცოდნოდათ, ვინ რომ ზის ქერაბინზედა.
მიკვირს, შემოქმედს რად სცვლიან უნდოსა ხბოსა თავზედა!
ჩვენ დავიწეროთ გულებსა, თვალნი გვექიროს მაზედა.

253-ე სტროფის შინაარსი ასეთია: ყაენისაგან წამოსულ თეიმურაზს ქიზიყში შეეგება ერთი კაცი, რომელმაც მეფისა და მისი ამალის შინ მიპატიჟება მოისურვა. მასპინძელმა შემწეობა სთხოვა სახლთუხუცესს შერმაზანს: „შენ ხარ ჩემი ღონე, მოახსენე ერთი სიტყვა, უფრო ნულარ დამაღონე, თავი, სახლი, საქონელი ყველა თქვენს წინ მოვიძლონე, ერთი ღვინო დამილივეთ, ხვალ წინ მეფე წამიძლინე“.

საანალიზო სტროფში დაეჭვებას იწვევს სიტყვა „მეფე“. სავარაუდოა, რომ აქ ყოფილიყო სხვა სიტყვა, რადგან მოპატიჟე ევედრება მეფეს და მის ამალას: ოლიანდ ცოტა ზნით მობრძანდით და ხვალ მე გაგისტუმრებთ და გაგაცილენ-

ბთო. მართლაც, B ხელნაწერში „მეფე“-ს ნაცვლად იკითხება „მევე“. ამგვარად განსახილველი სტროფის მეოთხე სტრიქონი ასეთ სახეს მიიღებს: „ერთი ღვინო დამილივეთ, ხვალ წინ მევე წამიძლონე.“

745-ე სტროფის პირველი სტრიქონი 1937 წ. გამოცემაში ასე იკითხება: „გავიდა მალლა სოფლები, დავლო ფშაველი ართანა.“

ჩვენი მოსაზრებით, სწორი უნდა იყოს B ხელნაწერის წაკითხვა, რომელიც „სოფლებში“-ს ნაცვლად „ფხოველში“-ს გვთავაზობს. ფხოვი ფშავესურეთის ძველი სახელწოდებაა და სავარაუდოა, რომ სწორედ ფშავესურეთი იგულისხმებოდა სანალიზო სტრიქონში. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს სტროფებში მოთხრობილი ამბავი, რომლის მიხედვითაც ანანურიდან გამოსულან გარსევან ჰავჭავაძე და მამუკა ბოქაულო-ხუცესი. ლეკებმა ტყვედ ჩაიგდეს გარსევანი. მამუკამ გადაწყვიტა: „მივსდევ დალისტანში. იმას ვვლარავინ დაურჩა, სად მიიყვანენ, მივჰყვები, მე თეიმურაზ დამიძრჩა.“

ბუნებრივია, რომ ანანურიდან გასულ ლეკებს დაღესტანში მისვლამდე გავლათ ფხოვი და შემდეგ გადასულიყვნენ კახეთში, სადაც ლაგოდეხის მიდამოებში წამოეწია ლეკებს მამუკა. ფშავესურეთიდან კახეთისაკენ მიმავალ გზაზე მამუკას გაუვლია სოფლები: ფშაველი და ართანა (ორივე სოფელი კახეთშია).

B ხელნაწერის საფუძველზე სანალიზო სტრიქონი ასე გასწორდება: „გავიდა გაღმა ფხოველში, დავლო: ფშაველი, ართანა.“

1937 წ. გამოცემის 820-ე სტროფში კვითხულობთ:

გავედით ზიდა მტკვრისასა, მივჰყევით, ღვენა უყავით,
ლიანის ველსა ვეწიეთ, მათ ხორცთა შუბნი უყავით,
სინგარის წყალზედ მივედით, ჩვენ, ჭარი არ გაუყავით.
ერუშეთსა და თმოგვს შუა ყრიალი იყო მუყა ვით.

A და B ხელნაწერებში გვხვდება მდინარის სხვაგვარი სახელწოდება — ხანგარის წყალი, როგორც ყოველთვის საკონტრალოდ მივმართეთ „ისტორია და აზმანის“ ტექსტს. შესაბამის ადგილზე კვითხულობთ: „მიწინეს ველსა ნიალისისა და წყალსა ხინგრისასა“ (გვ. 52). მაშასადამე, ხელნაწერებს დაუცავთ მდინარის ზუსტი სახელი. ამიტომ ტექსტში აღვადგინეთ „ხანგარის წყალი“. ისტორიკოსის შრომამ საშუალება მოგვცა გაგვესწორებინა სტროფის კიდევ ერთი უზუსტობა — ნაცვლად — „ლიანის ველისა“, უნდა იყოს „ნიალის ველი“, სადაც 1191 წ. თამარ მეფის ერთგულ ლაშქარსა და გიორგი რუსის მომხრეებს შორის გაიმართა ბრძოლა.

გამოცემული ტექსტის 824,4 სტროფში გვხვდება წაკითხვა: „ზოგი ხელთ დარჩათ, იტყოდეს: უფროსი ერთსა მოკლის ასს“. აზრი მთლად ნათელი არ არის. მართლაც, B ხელნაწერში ვკაქვს: „უფროსი ერთი მოკლის ასს“.

828-ე სტროფში გიორგი ლაშას დაბადებით გამოწვეული საერთო აღტაცებაა გადმოცემული. არჩილს პათეტიკურად აღმოხდება: „საქართველოსად კმარიყო უფრორე ასამაღლებლად“. — ამგვარად იკითხება ხელნაწერში, მაგრამ გამოცემულ ტექსტში აზრი შეცვალა „საქართველოსად“ — გაყოფამ ორ სიტყვად და წინადადებისათვის კითხვითი ფორმის მიცემამ: „საქართველო სად კმარიყო უფრორე ასამაღლებლად.“ ვფიქრობთ, რომ რედაქტირებამ შეცვალა არჩილის სათქმელის აზრი, პოეტი იმეორებს „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხ-

რობილ ამბავს, რომ უფლისწულ გიორგის ზედმეტ სახელად ეწოდა ლაშა, „რომელი განმანათლებელად სოფლისა ითარგმნა“ (გვ. 58), - უმატებს, რომ ლაშას გაჩენით გამოწვეული ბედნიერება ქვეყანას სიმტკიცესა და უძლეველობას მატებდა — „საქართველოსად კმარიყო უფროე ასამაღლებლად“. ჩვენი ვარაუდი განამტკიცა B ხელნაწერის წაკითხვამ: „საქართველოსთვის კმარიყო...“ ამ საბუთის გათვალისწინებით გამოსაცემად მომზადებულ ტექსტში აღვადგინეთ ვ. თუმანიშვილისეული წაკითხვა.

837 სტროფის შემდეგ სათაურში კვითხულობთ: „აქა მხარგრძელნი ივანე და ზაქარია, ძენი სარგის მხარგრძელისანი, წარვიდეს, რახსის პირი მოარბიეს და დვანელნი ამბედარელნი სამეკობრედ წამოსულნი დახვდნენ“... „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის ადგილას „ამბერდელნის“ ნაცვლად არის „ამბედარელნი“ (გვ. 60). ამავე ფორმით ხმარობს მას არჩილიც 838-ე სტროფში. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით სათაურში შესწორების შეტანა.

864-ე სტროფში გვხვდება „სპერი — ქური“. A, B და D ხელნაწერებში გვაქვს „სპერი — მური“, რაც „დიდ ნაღარას“ ნიშნავს. ამავე მნიშვნელობითაა იგი ნახსენები „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის ადგილზე (გვ. 707). სამივე ხელნაწერის მონაცემთა გათვალისწინებით გავასწორეთ წაკითხვა.

895-ე სტროფში კვითხულობთ:

რა ნახეს ყმათა პატრონი ცხენ-მკვდარ, ქვეითნი მობრძოლნი,
გარდახდნენ ყმანიც პატრონთან, ზოგთ ხელთ აქვს კიდევ ოროლნი,
გაწირეს თავი საკვდავად, არ ახსოვს ცოლშვილ-საყოლნი,
მოუდგენ მათთა უფალთა, იბრძოდეს ისართა მსროლნი.

მე-4 ტაეპის „მოუდგნენ“-ის ნაცვლად, A, B და D ხელნაწერებში გვხვდება „მიმართეს“. როგორც ხელნაწერები მოწმობს „მიმართეს“ ავტორისეული ფორმა და მომავალ გამოცემაში ის უნდა აღვადგინოთ, რაც აზრობრივადაც უფრო ნათელია და გასაგები. ასევე გასასწორებელია 902 სტროფის პირველ ტაეპში სიტყვა „სულად“. A და B ხელნაწერებში მის ნაცვლად გვაქვს „სრულად“, რაც ზუსტად შეესიტყვება ნათქვამის შინაარსს. „აივსო სრულად ლაშქარი, რომელ დაჰყარეს კარავთა.“

სტრ. 911,2 კვითხულობთ: „ქალაქსა და ფოლორცს შუა“. B ხელნაწერში „ფოლორცის“ ნაცვლად „ფოლორცია“. „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის ადგილას „ფოლორცი“ (101,4) იკითხება. ამიტომ ჩვენს ტექსტშიც B ხელნაწერის წაკითხვა აღვადგინეთ. 920-ე სტროფი A, B ხელნაწერთა მონაცემების გათვალისწინებით ახალ შინაარსს იძენს. თუ გამოცემაში გვქონდა:

ხმა ყო ქადაგმან ბილწისამ ქადაგებისა მათისამ,
განშირდა მუყრთა ყივილი, ბილწებო ღმერთს რად არ ისამ?
ჩვენ ვესტუმრენით ასეთს ღროს, ველარ გააძლო არისმან,
სისხლი ადინოს ღვარული პასუხმან მათ საკმარისამ.
ჩასწორების შემდეგ გვაქვს: „მუნ ვესტუმრენით...“

A და B ხელნაწერთა ჩვენება არ არის გათვალისწინებული 935-ე სტროფის პირველ სტრიქონში: „შემოკრბენ არეს სთვლისასა ყოველნი აბჯარ-კვეთილად“. უნდა იყოს: „შემოკრბენ არეს სთვლის ხანსა“.

ზოგიერთ შემთხვევაში გამოცემულ ტექსტსა და იმ ხელნაწერებში, რომე-

ლთა საფუძველზეც არის დადგენილი ტექსტი, ნაირკითხვები გვხვდება. მართალია, შინაარსობრივად ეს ნაირკითხვა მნიშვნელოვან სხვაობას არ იძლევა, მაგრამ ჩვენ მიერ მომზადებულ ტექსტში შევეცადეთ, ყველგან ხელნაწერთა ჩვენება გაგვეთვალისწინებინა.

როგორც ცნობილია, აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში ძალზე პოპულარული გახდა პროზაულ ძეგლთა გარდათქმა. ამ გატაცებას ვერც არჩილმა დააღწია თავი. მისი ყურადღება მიიპყრო შუა საუკუნეების ქართული პროზის ბრწყინვალე ძეგლმა „ვისრამიანმა“. მისი გალექსვა არჩილს ასტრახანში (1682-1685 წწ) დაუწვია, მაგრამ, როგორც A ხელნაწერის მინაწერი ვამცნობს, „პირველი რომ ითქვა და ნუსხად დაიწერა“, ის ნუსხა „დაიფარა სადმე და მეორედ რომ თქმადვე იწყო, მაშინ გამოჩნდა“. ჩანს, არჩილის ინტერესი „ვისრამიანისადმი“ იმდენად დიდი ყოფილა, რომ გალექსილი ტექსტის ნაწილის დაკარგვამაც ვერ გაუტუნა გული და გალექსვას ხელმეორედ შესდგომა. მაგრამ მოხდა ის, რომ შემდგომში ნაპოვნ პირველ რედაქციასაც ვერ შელევია და განსაკუთრებით ნასათუთევი სტროფები აწ უკვე ახლად გალექსილ რედაქციაში ჩაურთავს. ამიტომაც არჩილის თხზულებათა ხელნაწერ კრებულებში ორივე რედაქციის სტროფებმა იჩინა თავი. რაკი „ვისრამიანის“ მთლიანად გალექსვა არჩილმა ვერ მოასწორო, ვფიქრობთ, რომ პოეტის ვარაუდობდა ხელახლა დაბარუნებოდა სამუშაოს და თვითონ „გაეკრა ჩარხი“ — დაედგინა გალექსილი „ვისრამიანის“ ტექსტი. ამდენად, ხელნაწერთა კრებულმა შემოგვინახა არჩილის მიერ გალექსილი „ვისრამიანის“ ნეღლი, საბოლოოდ დაუმუშავებელი ტექსტი.

არჩილისეული „ვისრამიანის“ პირველი პუბლიკაციის დროს ტექსტის დამდგნთ დიდი მუშაობა გაუწევიათ. მათ გააკეთეს ის, რაც თვითონ არჩილს უნდა გაეკეთებინა, გამოავლინეს პარალელური სტროფები და ამა თუ იმ სტროფებისადმი უპირატესობის მინიჭებით დაადგინეს კიდევ გალექსილი „ვისრამიანის“ ტექსტი. მაგრამ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ტექსტში კვლავაც დარჩა ადგილები, რომლებიც დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენც შევეცადეთ ჩვენი წვლილი შეგვეტანა „ვისრამიანის“ არჩილისეული ტექსტის დადგენაში.

დაკვირვება ცხადყოფს, რომ არჩილი გალექსვისას კვალდაკვალ მისდევდა პროზაულ ტექსტს, ის ცდილობდა, ზუსტად და მკაფიოდ ეთქვა ის, რაც პროზაშია მოთხრობილი. პროზიდან მოდის არჩილისეული ტექსტის ლექსიკა, ფრაზეოლოგია, მხატვრული აქსესუარი. ამიტომაც ამა თუ იმ ვარიანტული სტროფისადმი უპირატესობის მინიჭებისას ჩვენთვის ძირითადი ამოსავალი იყო პროზაული „ვისრამიანი“ — თუ რამდენად ზუსტად ასახავს ლექსი შესაბამის პროზაულ მონაკვეთს. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ ვარიანტებიდან ძირითადად ტექსტში გადმოტანილი სტროფები ბევრი არ არის. მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ და დავასაბუთოთ თითოეული სტროფი.

1. რამინის დახასიათება არჩილისეულ „ვისრამიანში“ 130-136-ე სტროფებშია მოცემული. 130-ეს და 131-ე სტროფებს ახლავს ვარიანტები. ძირითადი ტექსტის აღნიშნული სტროფები პროზაული „ვისრამიანის“ შესაბამის ტექსტთან სიახლოვეთ და მხატვრულადაც ვარიანტულ სტროფებთან შედარებით სუსტი ჩანს. მაგალითისთვის მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ნიმუშს: 130-ე სტროფში ვკითხულობთ: „ვეფხსა უსწრობდა სიფიცხით, ძალ-გული ჰქონდა ლომისა“. რამინის ეს თვისება კვლავაც მეორდება 134-ე სტროფში — „ქალად ლო-

მი, გულად ვეფხვი, ფიცხი კარგად მოარული". რამინის პიროვნება იმდენი ღირსეული თვისებით არის შემკული, რომ მისი ძალ-გულოვნების მსგავსი შედარების ორგზის განმეორება უხერხულად ყლერს. ის არც პროზის შესაბამის ეპიზოდში მეორდება (გვ. 38). 131-ე სტროფის შეცვლა 131-ა სტროფით გვაცილებს ტავტოლოგიას. ამავე დროს 130-ა და 131-ა მხატვრულად უფრო გამართულია. ამ გარემოებამ გვაფიქრებინა გადმოგვეტანა ძირითად ტექსტში ვარიანტული სტროფები.

2. ძირითად ტექსტში 133-ე სტროფს შეესაბამება ვარიანტებში წარმოდგენილი 133-ა. რამინის სილამაზე ამ სტროფით უფრო კომპაქტურად, მხატვრულად უფრო სრულყოფილად და ნათლადაა გადმოცემული, თანაც პროზაულ „ვისრამიანთა“ უფრო ახლოსაა. თქმულის ნათელსაყოფად მოვიყვანთ შესაბამის ადგილებს:

133. სახე უმსგავსო, უებრო, კქონდა ასაკთა სრულობა,
პირად მზეს ჰგვანდა, თვალ-წარბი შავი თმით მოგრუხულობა,
წვერ ამბრის ფერით, ულვაშით, ზომისებრ გაზიდულობა,
ანაგებობით შევნოდა, თორ ისე არ უსულობა.

133-ა. მრავლისაგან ცოტა სიკეთე მითქვამს რამ თუ რამინისა,
შევენება მზებერ პირისა, ლაწვს ფერი ე რამ ინისა?
თვალ-შავ, წარბ-მშვილდი, წამწამი მჭკრეტელთა გულს ეგრგინისა,
წვერ-მერცხლის ბოლო, თმა გრუზი, სული ფშვის ზიმირიმისა.

პროზაულ ტექსტში ვკითხულობთ: „პირად მზესა ჰგვანდა, თვალ-წარბ-შავი, თმანი-მდიდარნი და გრუზნი, შავნი-წვერნი-მერცხლის ბოლო“ (გვ. 38). ვარიანტული სტროფის პროზაულ ტექსტთან სიახლოვის გამო მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მისი შეტანა ძირითად ტექსტში, ნაცვლად 134-ე სტროფისა.

3. „ვისრამიანში“ მოთხრობილია ვისისა და ვიროს ქორწილი. ზარდი უამბობს შაპ მოაბადს: „მივედ და ვნახე მაპისა ქვეყანა შემკობილი და შეკაზმული, ვითა სამოთხე, და ყოვლისა ქუეყანისა დიდებული ლომნი, ჰაბუკნი და მათი ცოლები, ვითა მზე და მთუარე, და სიკეკლუკითა მათი დარბაზი ესრე შეკაზმული იყო, ვითა მასკულავითა“ (გვ. 45) ეს აბზაცი არჩილის ორ სტროფს (187 და 187ა) შეესატყვისება.

187. იყო ქორწილი ასეთი, უტურფე აღარ ინახვის,
დიდებულნი სხდეს მრავალნი და ქალი სად დაისახვის?
ლომნი ჰაბუკნი, მნათობნი მათს მზეს ფიცვედნენ, არა სხვის
რაც იქ მინახავს, მეფეო, უთქმელად არ შეინახვის.

187ა. რა ვნახე მათი ქვეყანა, სამოთხესავით შევნოდეს,
ლომნი ჰაბუკნი, ქალები კეკლუკათ იქ იყრებოდეს,
მათი დარბაზი ცას ჰგვანდა, ვარსკვლავით რა იმკობოდეს,
ქორწილობდეს და იშვებდეს, ჰმუნვა შორს გაშორებოდეს.

187-ა ვარიანტულ სტროფში მაქსიმალური სისრულით არის გადმოცემული პროზის შესაბამისი ადგილი: „მივედ და ვნახე შაპის ქუეყანა, სამოთხესავით შევნოდეს“, „ლომნი ჰაბუკნი და მათი ცოლები, ვითა მზე და მთუარე“ — ორივე სტროფში გვხვდება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველში მენიხენი ვისისა და ვიროს მზეს ფიცვულობდნენ, ხოლო მეორეში ისინი „იქ იყრებოდეს“, რაც პროზის მზისა და მთვარის შეყრას უფრო ესადაგება. ასევე ზუსტად იმეორებს ვარი-

ანტი პროზისეულ შედარებას საქორწინო დარბაზისა ვარსკვლავებით მოჭედრლ ცასთან. ვფიქრობთ, 187ა სტროფი უფრო სრულად გადმოგვცემს ეპიზოდის მხატვრულ-შინაარსობლივ მხარეს და ამიტომაც ვამჟღავნებთ მისი შეტანა ძირითად ტექსტში ნაცვლად 187-ე სტროფისა.

4. ჩვენი ყურადღება მიიპყრო 205-206-ე სტროფებმაც. პროზაულ „ვისრამიანში“ ვისის გათხოვების ამბის ცნობით შაჰი მოაბადის გულისწყრომა და რისხვა ამგვარად არის გადმოცემული: „რა მეორედ მოდასტურებით ესე ამბავი ესმა შაჰი მოაბადს, მოემატა ზურგსა შეჭირვებისა ტვირთი ტვირთსა ზედა. ზოგჯერ ვითა გუელი თავ-დანაყილი, ილულაქნებოდა და ზოგჯერ ტკბილსა ქურისაებრ გული აუღულდებოდა“ (გვ. 47).

გალექსილ რედაქციაში ეს ეპიზოდი 205-ე და 206-ე სტროფებით არის გადმოცემული:

205. რა ესმა მეფეს ეს სიტყვა, პირ-მოწი გაყვითლდებოდა,
მეტის წყენითა სახმილი უშრეტი მოედებოდა;
ვით ქარით ძეწნი და წყლით მზე, იგ ეგრე ათრთოლდებოდა,
ხან გაყირმიზდის, ზაფრანა, ხან ვარდსა ფერი ჰკრთებოდა:

206. რა მეორედ დასტურობით ეს ამბავი ესმა კიდე,
მოემატა შეჭირვების ტვირთი ზურგსა მონაკიდე,
ენტებოდა ჭავრისაგან, ვითა ცეცხლი მონაკიდე,
გაურჯელი არ მორჩება უხამსისა გამომკიდე.

თუ გულდასმით წავიკითხავთ ორივე სტროფს, ვნახავთ, რომ განმეორებასთან გვაქვს საქმე: 205, 2-ში ნათქვამი „სახმილი უშრეტი მოედებოდა“ იგივეა, რაც 206, 3-ში „ენტებოდა ჭავრისაგან, ვითა ცეცხლი მონაკიდე“.

ამავე დროს 205-ე სტროფის შედარება „ვით ქარით ძეწნი“ ოდნავ ზემოთ 194-ე სტროფშიც გვხვდება: „ჭავრითა თრთოლა დაიწყო, ვით ძეწნამ ავ ქარცემულმან“. ათიოდე სტროფის მონაკვეთში ერთი და იმავე შედარების მოხმობა გამომსახველობით ხერხთა სიღარიბის შთაბეჭდილებას ქმნის. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ 206 ა სტროფი მთლიანად ამოწურავს 205-ე და 206-ე სტროფების შინაარსს. ის ახლოს არის პროზაულ ტექსტთან და ამავე დროს გვაცვლავს ზემოთ მოყვანილი შედარების ორგზის განმეორებას. აი ეს სტროფიც: მოაბადს ტვირთი ტვირთზედა ჭავრისა ზედ დაეკიდა, გამწარდა მისი საწუთრო, ეს საქმე რა წაეკიდა. ცეცხლი მოედვა, მუნითგან მრავალთა სხვათ წაეკიდა დაფიქრდეს, ძნელსა საქმესა, ძირიან გამოეკიდა.

ვფიქრობთ, ამ სტროფის შეტანა ძირითად ტექსტში ნაცვლად 205-ე და 206-ე სტროფებისა გამართლებული უნდა იყოს.

5. პროზაულ „ვისრამიანთან“ შინაარსობრივმა სიახლოვემ გვაფიქრებინა აგრეთვე 234-ა ვარიანტული სტროფის გადმორტანა ძირითად ტექსტში: „რა მზე ერთობ ჩაივსო, თუ სთქუა, მოაბადის ბედი ჩაივსო მზესვე თანა და საწუთრომან იმედი გადასწყუთა მოაბადის ხელმწიფობისაგან. გაიქცა მოაბად ისპაანსა და ხორანისსაკენ. და რა მისთა ლაშქართა იგი გაქცეული ნახეს, ყუელა გაიქცა“ (გვ. 57).

ამ ეპიზოდს არჩილისეული „ვისრამიანის“ გამოკვეყნებულ ტექსტში შეეფარდება სტროფი 234.

დალამდა, თორე მოაბად კვიროს ვერ მოურჩებოდა,
ესე ეგონა შანშასა, ვეროდეს მობრუნდებოდა,
ჯერ ხრმალი ხელთავ ეჭირა, ქარქაშსა არ ჩაგებოდა,
ისე დელამთა ლაშქარი ურიცხენი გამოჩნდებოდა.

ვარიანტად წარმოდგენილი სტროფი კი პროზასთან გაცილებით მიახლოებული შინაარსს გვთავაზობს:

რა მზე ჩავიდა, დალამდა, მოაბადს ბელიც ჩაევსო,
გაექა შანშა კვიროსა, ხორასნისაკენ გაზევსო.
რა ცენს ლაშქართა, ესენიც გაუდგნენ, უკან მისდევსო,
მათგან დაღვრილსა მინდორი სულ ერთპირ სისხლით აევსო.

6. რამინისაგან ვისის პირველად ნახვა პროზაულ ტექსტში ასეა აღწერილი: „ანაზლად ღმრთისა განგებისაგან აღგა დიდი ქარი და მოჰგლიჯა კუბოსა სახურავი ფარდაგი, თუ სთქუა, ღრუბლისაგან ელვა გამოჩნდა ანუ ანაზლად მზე ამოვიდა: გამოჩნდა ვისის პირი და მისისა გამოჩენისაგან დაყტუვედა რამინის გული“ (გვ. 61).

არჩილისეული „ვისრამიანის“ შესაბამისი ეპიზოდი ხელნაწერებში შემდეგი თანმიმდევრობით არის გადმოცემული: 321, 322-ა და 321-ა სტროფებით. გამოქვეყნებულ ტექსტში 321-ა 321 სტროფის ვარიანტად ითვლება, რაც შინაარსით არ დასტურდება, არც 322-ა სტროფია 322-ე სტროფის ვარიანტი. მოიყვანთ ამ ორ სტროფს:

321. აწ მოიწია რამინის ლხინთ კლება, ჭირთა მატება,
სული მოჰბერა ნიაემან, ეშხი ეშხს მოემატება.
მთვარე შეეპყრა ვეშაპსა, ვაი, როს გააზატლება!
მას მისი სახე, სურვილი მუნ გულსა დაეხატება.

321-ა. განგებამან ქართა ქროლით კუბოს ფარდა გარდაჰხადა,
მუნთ შუქი მზისა მსგავსი ვისმან ქვეყნად გამოჰხადა,
რამინს ეცა პირსა სხივი, ცხენიღამე გარდმოჰხადა,
ქვე დაეცა დაბნედილი სიმხრე ასე გაუხადა.

321-ე სტროფში მოთხრობილი ამბავი მხოლოდ ექსპოზიციას იმ განსაცდელისა, რომელიც რამინს დაატყდა თავს. „სული მოჰბერა ნიაემან“ — ვისისაგან გადმოფრქვეულ სურნელებაზე მიუთითებს და არა პროზისეულ „განგებისაგან აღგა დიდი ქარი“, რასაც ზუსტად შეესიტყვება არჩილის 321-ა სტროფში: „განგებამან ქართა ქროლით კუბოს ფარდა გარდაჰხადა“. სწორედ 321-ა სტროფით იწყება რამინის დაბნელის ეპიზოდი და მისი ლოგიკური გაგრძელებაა 323-ა სტროფი, რომელიც ხელნაწერ კრებულებშიც 322-ა სტროფს მოსდევს.

ვით ღრუბლიღამ ელვა ღამე, ანუ ღღე მზე გამობრწყინდეს,
ეგრეთ შუქი მუნ ვისისა ქვეყნად ჰკართოდა, თუმც მოსწყინდეს,
მისსა პირსა სხვა მნათობი მიწყვიც ვველა დაებნიდეს,
მთიებიცა მას ჰნატრობდა, რამინს ვითა არ მოუნდეს?

თუ ჩვენ 323-ა სტროფს ისევ ვარიანტად დავტოვებთ, მაშინ გაუგებარი ხდება რამინის თაობაზე 325-ე სტროფში ნათქვამი: „იღვა უჰკო, ქვე მტირა-

ლი", რადგან ზემოთ არსადაა ნახსენები, თუ რატომ აღმოჩნდა ცხენზე მქდომი ქაბუყი -ქვე". ამის თაობაზე კი 323-ს სტროფში სწერია: „რამინს ეცა პირსა სხივი, ცხენილამე გარდმოჰხადა“. ზემოთქმული ვფიქრობთ, საკმაო საბუთია იმი-სა, რომ 321-ა და 322-ა სტროფები ვარიანტებად არ შეიძლება ჩაითვალოს და ძირითად ტექსტის კუთვნილებად უნდა იქცნენ.

7. როგორც პროზაული „ვისრამიანის“ შესაბამის ეპიზოდთან სიახლოვით, ასევე მხატვრულადაც უფრო სრულყოფილად მიგვაჩნია 391-ა ვარიანტული სტროფის შეტანა ძირითად ტექსტში, ნაცვლად 389-ე სტროფისა. მოგვყავს ორივე სტროფი:

389. ვისმა მერმე შეგონება მოიწონა, მოისმინა,
აღგა ნაცრით, აბანოსა შევიდა და იცხო ინა,
მიმავალი თუცა თიხა იყო, იქმნა მო-ის მინა.
ძიძა ჰკაზმავს უსაზომოდ, არ თუ ვისმე შეასმინა.

391. ვისმან ძიძას ესე სიტყვა დაუმალა, მოისმინა,
აღგა ნაცრით, წამოვიდა, კვლავდა, გული არ ატკინა.
აბანა და განუსვენა, სადღედოფლოს მიაწვინა.
მერმე მართო სამკაულით, ბროლი ვარდა, პირად მინა.

8. მხატვრულად უფრო გამართლებულად გვეჩვენება 394-ა ვარიანტად მიჩნეული სტროფის ძირითად ტექსტში შეტანა.

ჩვენი შრომის მიზანი იყო არჩილის თხზულებათა ხელნაწერი მემკვიდრეობისათვის კიდევ ერთხელ გადაგვევლო თვალი, რადგან პირველი გამოცემის დროს შეუძლებელი ხდება ხელნაწერთა ყველა მონაცემის გათვალისწინება. შრომას აადვილებდა ის გარემოება, რომ არჩილის ხელნაწერი მემკვიდრეობა აღნუსხულია. ცნობილია მათი ავ-კარგიანობა, გამოქვეყნებულია თხზულებათა კრიტიკული ტექსტი.

არჩილის თხზულებათა წინამდებარე კრებულში შევიტანეთ მისი პირადი წერილები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს არჩილის ბიოგრაფიისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლისათვის. არჩილს ცხოვრება წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქაში მოუხდა და ბუნებრივია, რომ მის წერილებში აისახა მე-17 საუკუნის II ნახევრისა და მე-18 საუკუნის დასაწყისის საქართველოსა და, კერძოდ, სამეფო კარის შინაური ცხოვრება. საქართველოს, ირან-ოსმალეთის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების ისტორიული მოვლენები და იმ ხანის ცნობილი ადამიანები.

არჩილის 13 წერილი გამოცემული აქვს ჯერ კიდევ მარი ბროსეს თავის წიგნში „Переписка Грузинских царей с Россискими государями“ (1861 г.), ნიკოლოზ გოლოვკინმა 1852 წ. უფრნალ „Раут“-ში გამოაქვეყნა არჩილის ზოგიერთი წერილი. არჩილის წერილების დიდი ნაწილი დაბეჭდილია გ. პაიჭაძის სამტომიან ნაშრომში — „Материалы по истории руско-грузинских отношении“. ებისტოლეთა ნაწილს მიაკვლია ჯ. ვათეიშვილმა შვეიციაში მივლინების დროს. მაგრამ არჩილის არც ერთ გამოცემულ წერილს არ ახლავს კომენტარი. ჩვენ შევეცადეთ ნაწილობრივ ამოგვევსო ეს ხარვეზი. არჩილის წერილების ნაწილი მოპოვებულია ჩვენს მიერ რუსეთის სიძველეთა საცავებში.

არჩილის წერილების გარდა აქვე ვაქვეყნებთ არჩილის მეუღლის ქეთევანისა და უფლისწულების — ალექსანდრესა და მამუკას ზოგიერთ

წერილს, რადგანაც ისინიც არჩილის ინტერესთა სფეროს მოიცავენ, წერილები დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით.

ეპისტოლეები ქართულ და რუსულ ენებზეა წარმოდგენილი. იქ, სადაც ქართული ორიგინალი არ დაიძებნა, ვაქვეყნებთ მის რუსულ პირს და ამიტომ ლექსიკონის ნაწილი რუსულად არის წარმოდგენილი.

ამ წიგნში პირველად ქვეყნდება არჩილის შვიდი იამბიკო, რომლებიც ტექნიკური მიზეზების გამო „არჩილიანის“ ძველ გამოცემაში არ დაიბეჭდა. აქვე მოთავსდა ორსტრიქონიანი ლექსი „იმატამ ასვათ ასეთი“, რომელიც მინაწერის სახითაა დაცული XVIII საუკუნის N182 (A ფონდი) ხელნაწერში (გვ.229გ).

ამრიგად, „არჩილიანის“ ტექსტი დადგენილია ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი მემკვიდრეობის კრიტიკული შესწავლის შედეგად. ტექსტში შეტანილია ცვლილებები, დაზუსტებულია პუნქტუაცია (რის შედეგადაც ხშირად იცვლება ტაქტთა შინაარსი), გასწორებულია დამახინჯებული ადგილები, გახსნილია ომონიმური რითმები. დიალოგური ფორმები ყველგან ჩასმულია ბრწყალბებში.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ არჩილის თხზულებათა სრულ კრებულს ერთვის ცნობები გამოყენებული ხელნაწერების შესახებ, აუცილებელი ტექსტობრივი შენიშვნები: საკუთარ, გეოგრაფიულ, ეთნიკურ, იშვიათ და არქაულ სიტყვათა ლექსიკონი.

წინამდებარე ლექსიკონს საფუძვლად უდევს „არჩილიანის“ ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემაზე დართული ლექსიკონი, რომელიც ჩვენ მიერ შეესებულები და შესწორებულია ახალი მასალებით, რისთვისაც გამოყენებულია როგორც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ასევე დიალექტოლოგიური, და ამ ხანის ძეგლებზე დართული ლექსიკონები. ლექსიკონში შეძლებისდაგვარად გაშიფრულ იქნა ყველა სახელი სათანადო წყაროს მითითებით; დამოწმების დროს პირველი ციფრი უჩვენებს თხზულების თანმიმდევრობას (ან რიგით ნომერს), მეორე — სტროფს, ხოლო მესამე — ლექსის სტრიქონის ნომერს.

ლ. კეკელიძე, ლ. ძოწენიძე

შემოკლებათა განმარტება

გად. გაღატანიო
ვულგ. ვულგარული
იხ. იხილე
მეტ. მეტაფორულად
რუს. რუსული
ფრაზ. ფრაზეოლოგიზმი
ქველ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი რვა ტომად არს. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I-VIII, 1950-1964 წ.წ.
ქსე ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თერთმეტტომეული ტ I-XI 1975-1987 წ.წ.
ქ. ცხ. ქართლის ცხოვრება, ტ. I - IV, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა. 1955-1973 წ.წ.
ალ. ლლ. — ქართულ კილო - თქმათა სიტყვის კონა. შეადგინა ალ. ლლონტმა. I - II, 1974-1975 წ.
შდრ. შეადარე

алтын 32,35. ალთინი; ექვსი ფული
аманат 21, 44. მძევალი, ანაბარი
аргамак 20,21 ბედლაური; ძირფასი ჩიშის
 აღმოსავლური ცხენი
аче бы 32,70 ხოლო; უკეთუ
бес 30. ეშპაკი, ქაჩი, დაუღეგარი,
 მოხერხებული
бирич 27, 28, бирюч გზირი
благотробиe 4,75 გულმოწყალება
благочестый 21. ღვთის მოშიში;
 კეთილმსახური
бозе 61,70 უფალი, ღმერთი
бранный 18 ერთგვარი ქსოვილი
брань ბრძოლა, ომი **бранных 21;**
бранный. საბრძოლველი, საომარი,
 სალაშქრო; საგინებელი, სალანძღვი
брущатыe 35. ძელისგან გაკეთებული
бурмистр 60. მამასახლისი; მებატონის
 მიერ დანიშნული მოხელე.
бусурман 41 მუსლიმანი
бить челом 31 თაყუანისცემა, საჩივრის
 ან ძღვენის მირთმევა
вексель 73. თამასუქი
вельми 21, 54, 73 ძალიან, ძლიერ
вем 67 (вемь, веси, весть, ведети) ვიცი
воевода 28 ერის მთავარი, წინამძღოლი,
 მხედართმთავარი
возвичи 94, возвеличание. განდიდება,
 ამაღლება, გაძლიერება
возрится, დასტერებით ცქერა
не возрили 43 ურადლება არ
 მოგვაქციეთ
вольтe 73. სამოურაო, საბატონო;
 საერისთაო
вотчина 66. მამული, ან ყმა,
 მემკვიდრეობით მიღებული
всеконачная нужда 61. უკიდურესი
 გაჭირვება
вследно 15. კვალდაკვალ
вспоможно 38, вспоможение შეწყევნა,
 შევლა
Вышний 58. უზენაესი, ღმერთი
глаголил 15. ლაღადებდა, ამბობდა
дaнь 32. ხარკი
дeдичевый 22. დედინიშნული
дeсница 62. მარჯვენა, ძლიერება,
 მფარველობა
дивно 30. „საკვირველ არს“ (ნ. ჩუბ.)
доймка 67,72. ასაღები; ასაკრფი

доколе 22. ეიდრემდის
докучный 73; докуче 30,61.
 მომაბეზრებელი, თავშემაწყენელი
докуку чинию 62. თავს გაბეზრებთ
донeсь 68. სამსახურებრივი ამბის
 მოხსენება ხელისუფლებისთვის
думной дворянин 41. საკრებულოს
 (სათათბიროს) წევრი აზნაური, სამეფო
 სსამართლოს უმცროსი მსაჯული
единосущный 4, единосущный
 ერთარსი
езжалые дороги 43. გათელილი გზა
елико 42,43,54,64 რამდენადაც ; **еликий**
 რამდენი
емлю 20 ვიღებ, ვართმევე, ვიპყრობ
есмы 9, есмь, еси. ყოფნა
ефимка 63, ефимок ჰოლანდიური
 ვერცხლის ფული
живота 17; живот ცხოვრება; სიცოცხლე
забвения учинить 63. დაიწყებას
 მიეცეს
заемное письмо 31. თამასუქი
замешатьe 68. დაგვიანება, დაყოვნება
заступительнo 59. შეშველ; **заступный**
 შეშვე, შუქალობელი; მფარველი.
збирают 42. კრებენ, აგროვებენ; **збираю**
 ვკრებ, ვაუწყებ
зговор 30; сговор დაყოლიება,
 შეთანხმება; შეპირება; ნიშნობა
зело 19,57. ფრიად
знатно 30. ჩინებულად
извычаю 39. ჩვეულებისამებრ;
извычая 8, извычий ჩვეულება.
изявися 55. შეგატყობინეთ, გაგიცხადეთ
кликать 8. ღაძაბება, მოხმოა
клубук 31 კიღარი (ბერძნ.), საბერო
 ბარტყულა, მონაზონთა თავსაბურავი
кокраваты 27, кокора გემის ძირის
 კოჭები **кокорина** ამგვარი კოჭის ნაჭერი
коломна 26; коломенка დიდი ნავი,
 ბარკის მსგავსი
крепко воздержателю 8; крепко
держаться (чего) ამოჩემებით,
 ახირებით მიყოლა რისამე
крот 11,17. თხუნედა
(в)купе 17,42. ერთად; **купно 38,58**
 ერთბაშად
лепостe 44. შვენიერება, მოხდენილობა,
 სილამაზე

литер 55. ასო
мешкал 42,44 ივკიანებდა, ზოზინობდა;
мешкотно 17,32, ზოზინით
мешкотный ზანტი, ზოზინა
наделить 23. გამოყოფა, წილის დაღება
наизыщный 42, ტყუილი ამაო, ცუდი,
 ურგები
наипаче 9, 33,43, 57,72,73. უმეტესად,
 უფრო
наказною 28, наказный
 დასამოძღვრებელი; **наказная грамота**
 დარიგების წერილი ან სასამართლოში
 დაბარების უწყება
наместник 34. მოადგილე, ერის მთავარი,
 მარზაპანი
невозбранно 66. აუკრძალავად.
 დაუშლელად, თავისუფლად
негли 67. ნუთუ, ვეგბის, შესაძლოა.
негоднино 8. უფარვისი, უხეირო
неизроченный 95. გამოუთქმელი
неколи 46. არაოდეს
не молчив 56. უჩუმრად
немчин 33, немец ვერმანელი
ниские 30. მდაბალი, მდაბიო,
 არაჩინებული
наипаки 15. მერამე, მას შემდეგ
нащед 65; **нащечить** მოგროვება;
нащеченный მოგროვებული
облегающая 68. ვარემოცველი;
образец 35. ნიმუში, სახე, ფორმა;
образчатый 34. ამობურცული,
 რელიეფური ნახატი, ან ზემოდან
 დაკრული მოსართავი
оброк 66. როკი; გამოსაღები; ქამაგირი
ознаймить 68, შეტყობინება,
 გამოცხადება
оклад 18.... ხატის შექვედილობა
окольныйничий 10. „მეორე ხარისხის
 მოხელე, რომელსაც აქვს სამძღვართა
 ზედამხედველობა და ბოიართა შემდეგ
 პირველი ადგილი“ (ნ. ჩუბ.)
окоянству 20; **окоянный** უბადრუკი;
 განწირული; **окаянство.** უბადრუკება,
 განწირულება
опрично 94, **опрична** გარეშე;
 არათანაზიარი
особство 42, **особность** и **особливость**
 განსხვავებულობა
отверзалася გამეხსნა **отверзется 15**
 გამეხსნება
отколе 42 საიდან
отметывайте 4; გადაყარეთ;
 აქ: ნუ დაიშურებთ

отписка 71. მიწერა, მიწერილობა,
 მოხსენება
отселе 32. ამიერიდან; აქედან.
оттоле 8,9. ამიერიდან; აქედან; იქიდან
отчина 18,20 იგივეა, რაც **вотчина** (იხ.)
отчик 22,39; **отчищевый...** მამისეული
 ქონების მკაცრე
отъемлема 43; წართმეულია, დაკარგულია
пазуха 22. ილია, უბე, ზღვის ყურე
паки 39, 60,70,71. კვლად, მერმე
память **издрали 31.** გონება
 დააკარგინეს
памятью, памятная 28. განსვენების
 წერილი
парчь 18. ფარჩა
паче 21,55. მეტად, უფრო
подсолнечною 22; **подсолнечная**
 მზისქვეშეთი, სამყარო
подъачному 30; **подъачей.**
 სასამართლოს მწერალი
пожитки 21,43. მონაგები, მონაღვაწი
полефимка 67 მ ფულის ერთეული.
 იხ. **ефимка**
положено 4. დადებული, დაწყობილი
полюбовно 30. დაზავებით, მორიგებით
помозителю 23; **помозитель**
 მირონმცხებელი
понятой 28. გამორჩეულნი გლეხნი
 იასაულეზად, გასასიჩად და მოსაძებნად
 რისამე, ანუ დასჯერად ავაზაკთა“ (ნ. ჩუბ.)
попалис 65. დაიწვა; დაიფერფლა
попрешь 8; **попранный** დათრგუნვილი
порозже 42; **пороженный** ცარიელი
поручинцу 29; **поручник** თავმსდები,
 შუამდგომელი
посаженных 32. დასმული ვისგანმე
 მოხელედ, მთავრად (ნ. ჩუბ.)
послуживцам 50, **послужение**
 მომსახურე, სამსახური
посмех 29. დასაციხი; სასაცილო
посольский двор 34. საგარეო საქმეთა
 საგანგო (სამინისტრო)
потщились 54. ისწრაფოდნენ;
потщение სწრაფვა
почал 32, **початие.** დაწყება,
 დანაკლულება
презельно 70. მეტისმეტად, ფრიად.
 იხ. **зелно**
препосланный 56; **препосланный**
 ყოვლად განდიდებული
препоясанною 22; **препоясанный**
 სარტყელშემორტყმული.
 აქ: განმტკიცებული

приветит 67; привет ალერსი,
გულომოდინება
приемлему 21; приемлю მივიღებ
призирательный 17; призиратель
მზრუნველი; მიმხედავი
призрить 41,43 призрение ზრუნვა.
შეწევნა სამაღლოდ
приказ земских дел 59. საერო
სამოქალაქო სასამართლო
присно 42. მარად
причитание 25. მითვლა; მიწერა;
დაბრალება
прогон 39. გატარება, გარეკვა; ფოსტით
გაგზავნა
промысль 67. განგება (ლოვისა)
противство 30. წინააღმდეგობა
противно 8. წინააღმდეგ
проториях 39; протоиерей. დეკანოზი
радения 23. ზრუნვა, თავის დადება
разброд 73. დაფანტვა
ратный 22,32,40. საბრძოლო, სამხედრო,
მებრძოლი
ратуша 60. ვაჭართ სასამართლო პატარა
ქალაქებში როგორც დიდებში —
მაგისტრატი (ნ ჩუბ.)
рейтар 28. რაინდი, მხედარი
рекали 32. მეტსახელი (прозвище)
respota 73, respogna. ღირსეული,
შესაფერი, ჭეშმარიტი
радивый 9. სანათესაო (ნათესაობა)
светлице 34, светлица. ხის ნათელი
ოთახი დიდფაჩრებიანი
сырым 17; сырый. ობოლი; უმწეო;
უპატრონო
скудности 30. ხელმოკლეობა; სიგლახავე
слывут 20. იწოდებიან, შეირაცხებიან,
თავი მოაქვთ
сорочинский 32. მიცვალბეულის
მონხენება მეორმოცე დღეს ადაპის
გადახდით (კორკოტი)
сродников 15; сродник. ნათესავი;
მოყვასი; თვისტომი
стольник 29. სუფრაჯი, სამეფოს
ტრაპეზის გამგე
сторонных 28, сторонный. უცხო,
გარეშე
стрелецким 43. სამშვილდოსნო;
მშვილდოსანთა
страство 66. უბადრუტება
стрельцов 28. стрелец. მშვილდოსანი,
მოისარი
струг 27. პატარა გემი ფსკერგანიერი
суды 60. სასამართლო, სამართლი

супостат 15, сопостат. მტერი,
მოწინააღმდეგე; მებრძოლი
сурику 35,63. სურიჩი, ალისფერი
სალბავი
сырцу 32,34, сырец. უცეცხლო
(უღებლარი) თაფლი
таи 18. ფარულად
только 30,31,39. что только — რაღა;
тоже — აგრეთვე
толиких 8, 9; толикий. ესოდენი, ამდენი
толку 15; толкаю. ესეცმ, ხელს წაყვრავე
2. ვნაყავ
толмачил 30. თარჯიმნობა;
толмач თარჯიმანი; მონგე
толмачение ლაპარაკი, თარგმნა
трости 54; трость. ლერწამი; ლერწმის
ჯიხი
тщание 40. სწრაფვა; მეცადინეობა
убо 57. უკვე; საიდანაც; მასასადამე
уем 59. გადმოღება, დანაკლულება
учинить 30,44 ქმნა, ყოფა; კეთება;
დაწესება, учинитца 41. გაკეთდება;
დაწებდება; გაახლდება;
учинюсь 32. შევიქმნები
фортецы 25, фортификация. ადგილის
გამაგრება მტრისაგან თავისდასაცავად
харч. харчи 48. სასმელ-საკმელი;
სანოვავე
хиагра 67,73. ნიკრისი (პოდაგრა)
холопи 30,43. უმის შვილი, შინ
მოსამსახურე გოგო ან ბიჭი
холст. холстами 32. ტილო
хором 34. დიდი სახლები, შენობები
хощем 30; хотение. ნება, ნდობა, წადილი
чаял 8,30; виждоვენбди, чаять.
იმედოვნება чаяние ლოდინი
чело 40. 1 შუბლი
челобитье 15,21,41, 61. საჩივარი;
წერილობითი თხოვნა
челобитчик 42. მოჩივარი; челобитье
მოკითხვა, თავის დაკვრა; თაყვანისცემა;
челобитная წერილობითი სათხოვარი
მეფისადმი
челядинцы 74, челядинец. სამგზავროდ
ნაჭირავები ცხენი ან ურემი
чинит 30; чинили. იქმს, აკეთებს;
აკეთებდნენ; чинить შეკეთება; დაკვება
чинские 54. ქაშანურის ჭურჭელი
